

117
1966/8

9
საქართველოს
საბჭოთაო
კულტურის
მინისტრო

მეოთხედი

1966 6

გნათობი

საქართველოს
ლიტერატურის
აქადემია

სოციალური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 43-ე

№ 6

ივნისი, 1966 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა კ რ ს ი

სერგო კლდიაშვილი — ობროდი. მოთხრობა	3
რევაზ შარვაშიანი — ახალი ლექსების წიგნიდან	17
გიორგი კაკაბაძე — ლექსები	19
ოსთარ ჩოქავაძე — თვითმკვლელები. რომანი. გაგრძელება	20
ლადო ხულაბერიძე — ლექსები	50
ტარიელ მანტურია — ლექსები	51
პოლიკარპე კაკაბაძე — მეფე ვახტანგ პირველი. დრამა. გაგრძელება	52

ნაკვეთი

ვიქტორ კერძნაძი — უნიერებისა და ნარინჯების ქვეყანა. დასასრული. თარგმანი რ. ვაჩუაშვილისა	84
---	----

პრიბკა და ლიტერატურისმცოდნეობა

სერგო კლდიაშვილი — დემნა შენგელაია	125
ლავროსი კალანდაძე — პოეტი და მისი რამდენიმე შოტიე	127
პეტრე შამთავა — პოეტი-მეომარი	142

800 შოთა რუსთაველი 800

შალვა ნუცუბიძე — არეოპატიციის წყაროები	151
--	-----

1876 ივანე ჯავახიშვილი 1966

დავით გვრიტიშვილი — ივანე ჯავახიშვილი	164
პროკოფი რატონი — ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობისათვის	169



10231

წიგნების მიმოხილვა



ფილიპე ბერიძე — „იქნება შეც შაქვს პეერი სათქმელი..“	181
იოსებ მეგრელიძე — შესანიშნავი კრებული დიდ ქართულ მეცნიერზე	182
გურამ ბათიაშვილი — „მე საქართველო აქედან ვიცი“	185
გ. ჭაფარიძე — „გადანახული სავანეურიდან“	185
შალვა რატიანი — „კიტა აბაშიძე“	187

გზოგონდ რევიკა

შალვა ალაზიშვილი — უმეცრება თუ დაუდევრობა?	190
--	-----



მთავარი რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდა-
შვილი, გ. მარგველაშვილი, ე. შალრაძე, ბ. უდენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათე-
ლი, ე. ყიფიანი, ს. შანშიაშვილი, ვ. წულუკიძე (პ/მგ. მდივანი), გ. ჭიბლაძე.

ტექნოლოგიური რ. ჩავეტაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 63. ტელეფონი 7-13-42; 7-11-08.

ბელოწერილია დასაბეჭდად 30/VI-66 წ. ქაღალდის ზომა 70×108. ანაწილის ზომა
71/4×121/2. დიზიქტორ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16.
უბ 03115. ტირაჟი 6500. შეკვეთი № 1669.

საქ. კმ. ცკ-ის გამომცემლობის პ/კომბინატი,
თბილისი, ლენინის ქ. № 14

Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии,
Тбилиси, ул. Ленина № 14.

საჩუქრე ქალიშვილი

მ ბ რ მ დ ი

მოთხრობა

სატანამ გათვალა, ალბათ, ის წუთი, როცა მოთხრობის წერას იწყებ. ზოგჯერ იმდენ საზრუნავს ვაგინენს, სასოწარკვეთილება შეგიპყრობს და კალამს აგერაც ხელიდან გაგაგდებინებს. იტულებული ხარ მრავალი ეკლიანი ბილიკი გაკაფო სიტყვების ტევრში, სანამ სწორი ტონის მომცემ პირველ სტრიქონს მიაგნებდე. ხოლო თუ ბოლოს ბედმა გავილიმა, ლხენა მოგეცა, შევებით ამოისუნთქავ, სტრიქონი სტრიქონს წაებმება და ის-ღა დაგრჩება, მათ დინებას გაჰყვე.

ეს ხომ ძველი ჰემშარიტებაა, მაგრამ რა ქნას კაცმა იმ შემთხვევაში. როცა მოთხრობის გმირი ობროდია? როცა ობროდის აბურდულ ცხოვრებას აღწერ, როგორ გინდა თავი დააღწიო, რომ თვით მოთხრობა აბურდული არ გამოვიდეს! და ბოლოს, რაც მთავარია, განა ღირს ამდენ სადავიდარაბოდ ვიღაც ჩაწილული და დაბალი რანგის მოხელე?! რა სარგებლობა უნდა ნახოს, მაგალითად, ლუკა კვეხელის მემკვიდრე? მესმის კიდევ, ბობოლა ვინმე ყოფილიყო. მაშინ მემკვიდრე საშუალება მიეცემოდა ფერების ელვარება გამოეჩინა და წარჩინებული საზოგადოების აღწერით როგორმე ფონს გასულიყო. მაგრამ ლუკა და ფერების ელვარება?! ღმერთმა ნურავითარი დარდი ნუ მოგცეთ! ის უღიმღამოა ნოემბრის დანის-ლულ დღესავით და ისეთი ჩვეულებრივი, ისეთი არაფრით გამოსარჩევი, რომ, თითქოს უჩინმაჩინის ქუდი ხურავსო, ვერც კი შეამჩნევთ, როცა გვერდს ჩაუვლით.

მსახურობდა ლუკა აგრეთვე ჩვეულებ-

ბრიე სამინისტროში, სადაც სხვა მრავალიც, დილის ცხრა საათიდან ხუთამდე მაგიდას უზის და ქაღალდებს ჩაიკრიკიტებს. ეს კი იყო, რომ გულმოდგინე მუშაკად იცნობდა ყველა. არავის ახსოვს, რომ თუნდაც ერთხელ, როგორი ამინდიც უნდა ყოფილიყო, დაწესებულებაში მისვლა დაგვიანებოდა. მაღწევდა თუ არა თავის განყოფილებას, კარებშივე გალიმებული შეყოფდა თავს. ღიმილი კი განსაკუთრებული ჰქონდა, — კეთილი და ყოვლისმიმტვებელი. იქაურობას თბილად მიმოავლებდა თვალს და, თუმცა ღუმდა, მაინც გესმოდათ მისი ხმა:

— რა მადლიანი დილა იწყება, მეგობრებო! რა კარგი ხარო ყველანი!

და განა მარტო თავისი კოლეგებისადმი იყო აღერსიანი! როცა გარედან მოსული უბრალო მოქალაქეც მიმართავდა რაიმე საქმეზე, ყოველთვის ყურადღებით მოუსმენდა, მოტებნიდა მის განცხადებას, დაწვრილებით განუმარტავდა უფროსის მიერ განცხადების ზედა კუთხეში ირიბად წარწერილ რეზოლუციის მნიშვნელობას და რჩევა-დარიგებას მისცემდა, როგორ ემოქმედნა ამიერიდან.

ცნობილია, რომ მოსამსახურეებს, როგორი დაბალი თანამდებობაც არ უნდა ეკავოთ, საგარეო პოლიტიკაზე აზრთა გაზიარება უყვართ და ტემპერამენტთანად კამათობენ, ოღონდ მათ სასახელოდ უნდა ითქვას, ისე არავინ გაცხარდება, რომ შენლა-შემოხლა მოხდეს. მშვიდობიანად კი იმიტომ თავდებდა, რომ როგორც ბოლოს გამოირკვევა, თურმე სადაო არაფერი ჰქონდათ, — ყველა ერთნაირად ფიქრობდა.

კოლეგების მსჯელობას ლუკა მუდამ ყურადღებით უსმენდა და არათუ მხოლოდ სიამოვნებდა მათი ენაწყლიანობა, თავისი ცხოვრების გამართლებად მიაჩნდა, რომ ასეთ განათლებულ და შორსმკვრეტელ ადამიანთა წრეში იმყოფებოდა. ზოგჯერ, მართალია, აღებრებოდა სურვილი მონაწილეობა მიეღო დისკუსიაში და თუნდაც ერთი სიტყვა ჩაერთო, მაგრამ რადგან ბუნებით მოკრძალებული იყო, და შეიძლება კიდევ იმიტომაც, რომ ერთი რაღაც შემთხვევის შემდეგ ფიცი დასდო აღარ გამოეთქვა თავისი აზრი, დუმილს რჩებოდა და მხოლოდ მსჯელობის მოსმენით კმაყოფილდებოდა.

როცა ერთხელ კამათის მსვლელობაში რომელიღაც თანამშრომელმა შემთხვევით მიმართა:

— თქვენ, ამზანაგო ლუკა, თქვენ რას იტყვით? თქვენ როგორ ფიქრობთ?

ამაზე ლუკამ ჯერ მხოლოდ ჩაიბუბუნა:

— პოლიტიკის მე რა მეკითხება! ეგ ჩემი საქმე არაა!

ხოლო როცა თანამშრომელი ასეთ პასუხს არ დასჯერდა, იძულებული გახდა უფრო გარკვევით განემარტა:

— განა შემიძლია თქვენგან განსხვავებული რაიმე აზრი მქონდეს? ამის უფლებას ჩემს თავს არასოდეს არ მიეცემ!

ამით ლუკამ, რა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ, როგორც კოლექტივის წევრს მოეთხოვებოდა, სავსებით მათი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი იყო. ეს გარემოება კი უცილობლად ადასტურებს იმასაც, რომ ლუკა უმწიკვლო მოქალაქე იყო.

ოღონდ სული-წმინდად რომ არ მოგვეჩვენოს, უნდა გავუხსენოთ ერთი მარცხი და თითქმის ცოდვა, რომელიც თავისი უფროსის წინაშე მქონდა ჩადენილი. მართალია, ის ამბავი არც თუ ისე ბლალავს მის პატიოსან სახელს, მაგრამ ერთგვარად მაინც ჩრდილს აფენს. შემთხვევა კი ასეთი იყო: როცა ერთხელ განყოფილების უფროსს არ ეცალა და

დაავალა დასკვნა დაეწერა განცხადებაზე, ლუკამ, იმის ნაცვლად, რამე დაეწერა, ირიბად წაეწერა ხელსაწყოთა საესეებით შეგნებულად გვერდი აუხვია ამ წესს და სტრიქონები სწორი ხაზით გაავლო. უფროსის შეკითხვაზე, თუ რატომ მოიქცა ასე, ლუკამ თქვა, რომ მთხოვნელს აღარ დასჭირდება შეატრიალოს ფურცელი და რომ, საერთოდ, სწორი ხაზით გავლებული სტრიქონის წაკითხვა ბევრად უფრო მოსახერხებელიაო. ამგვარი მოსაზრება ისეთ სითამამედ და თითქმის მკრებელობად ეჩვენა განყოფილების გამგეს, რომ ეჭვის თვლით დაუწყაო ცქერა თავის ხელქვეითს. ლუკამ ეს მალე იგრძნო, დაფიქრდა, უფროსის წყენა სამართლიანად ჩათვალა და, ის დღე იყო და ის, მომავალში აღარ განუშეოვრებია. ეგ კი არა, იმიერიდან მთელი თავისი მოქმედება და ფიქრი იმ გზით წარმართა, რომ გამოესყიდა დანაშაული და აქამდე ერთგული შრომით მოპოვებული ნდობა აღედგინა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ლუკამ კიდევაც მიაღწია ამას და ყველაფერი, ალბათ, რიგზე იქნებოდა, რომ ერთ დღეს ისეთი რამ არ მომხდარიყო, რამაც მისი ცხოვრება ძირფესვიანად შეატრიალა... აქ ცდუნება მქონდა მოკლე ფილოსოფიური მსჯელობა ჩამერთო, შევხებოდი კერძოდ დიალექტიკის კანონს, მაგრამ არ მინდა თავი შეგაწყინოთ, ბოროტად ვისარგებლო თქვენი სულგრძელობით და ამიტომ პირდაპირ იმ საბედისწერო წუთიდან განვაგრძობ ამბავს.

ის იყო, დასვენების საათი იწყებოდა, როცა უეცრად ძლიერმა ჰქეპა-ქუხილმა შეატორტმანა სამინისტროს შენობა და მაშინვე კოკისპირულად დაუშვა. განყოფილებიდან წასასვლელად გამზადებული თანამშრომლები იძულებული გახდნენ იქვე დარჩენილიყვნენ. ერთხანს ფანჯარასთან იდგნენ და ბუნების ჯანყს თვალს ადევნებდნენ. ქარი ატრიალებდა წვიმას, ქუჩაში მღვრიე ლეღები მიჩხრიალებდა. არ იქნა და არ დამშვიდდა ავდარი, მოსამსახურეებს მოწყენილობა

დაეტყოთ. მზად იყვენ ბედს შერიგებოდნენ და სამუშაო მაგიდებს დაბრუნებოდნენ, როცა ერთმა ვიღაცამ თქვა:

— ხომ არ აჯობებს ბუფეტში ჩავიდეთ? იქ ქადრაკით მაინც გავერთობით!

გარემოს შეცვლაც დასვენების ილუზიას ქმნიდა, რჩევა ყველას მოეწონა, უმაღლე გაიკრიფნენ და ქვედა სართულისაკენ დაეშვნენ.

ოთახში მხოლოდ ლუკა და რემინგტონზე მომუშავე აგნესა დარჩნენ.

რადგან ახალი სახელი შემოვიდა ამბავში, ორიოდ სიტყვა მაინც უნდა ითქვას მასზე: აგნესა. მგონი, ყველაზე ძველი მუშაყი იყო იმ განყოფილებისა. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს სხვაზე უხნესი იყო, მაგრამ წლებს თუ დავთვლით, გავიგებთ, რომ იმდენი ხანი არავის უმსახურნია ერთ ადგილზე და ერთ განყოფილებაში, რამდენიც აგნესა ვარდიაშვილს. წლების მანძილზე თანამშრომლები იცვლებოდნენ, ზოგიერთებს აწინაურებდნენ და სხვაგან გადაჰყავდათ, ზოგი პენსიაზე გადიოდა, ხოლო აგნესა, როგორც ძვეალი კვერცხი საბუღალროში, იქვე რჩებოდა. არა თუ თვითონ, მისი მაგიდაც, სხვა მაგიდებთან შედარებით ვიწრო და ცოტათი დაბალი, — ეს იმიტომ, რომ საბჭოთა მანქანისათვის ასე იყო საჭირო, — თავიდანვე ერთ კუთხეში იდგა და ყოველთვის იქიდან ისმოდა მანქანის კლავიშების კაკუნი. ეს ხმა ისე იყო შერბილი იმ კუთხესთან, რომ ერთ დღეს, თუ, ვთქვათ, სხვაგან გადაედგათ მაგიდა, ანდა სულაც გადაეტანათ ოთახიდან, კლავიშების კაკუნს მაინც გაიგონებდნენ იმ კუთხიდან.

აგნესა აღარც თუ ახალგაზრდა იყო, და ისიც, ყველა მისი ასაკის ქალივით, შეუპოვრად ებრძოდა წლებს, რომელიც არავის ინდობს და ცდილობს თავისი დალი დააჩინოს. ეს შეუპოვრობა იმაში გამოიხატებოდა, რომ თმას იღებავდა და კოსმეტიკას იშველიებდა, უმთავრესად, კიტრის წვესს, რასაც სახის კანის მდიდარ საკვებად თვლიდა, და სხვასაც ურ-

ჩევდა ამ უებარ საშუალებებისათვის მიმართნა.

ეს გულმართალი ადამიანი დიდხანს ხელოვნებული იყო თავის სპეციალობაში და ხშირად გაკვირვებასაც იწვევდა. რად ღირდა თუნდაც ის, რომ გაუკვირებლად შეეძლო ებჭუნდა კლავიშებზე დაუხედავად და იმავე დროს ხალისიანი საუბარი გაეზა. თანამოსამსახურენი, როგორც კი თავისუფალ წუთს იხელოებდნენ, მასთან შეხუმრებით ირობდნენ თავს. აგნესა ცდილობდა არ გაემჟღავნებია, თორემ კიდევაც სიამოვნებდა. როცა მამაკაცები ორატორიანი ქარავით მიმართავდნენ. ასეთ შემთხვევაში აგნესა ხანდახან ისე ხშირად გადიკისკისებდა. რომ ერთი ჰალარა მოხუცი თანამშრომელი, რომელიც მუდამ შორსუბლული სახით უჭდა თავის მაგიდას, ყოველთვის გაკვირვებით გამოიხედავდა და აბუზღუნდებოდა:

— ამხანაგებო, აქ ბალავანია, თუ სახელმწიფო დაწესებულება?!

აგნესა, ცხადია, უმაღლე ჩაჩმდებოდა, მაგრამ მისი გათქვირებული ტანის ცახცახი ნათლად ამჟღავნებდა, რომ გულში კიდევ ხითხითს განაგრძობდა.

სამწუხაროდ, აგნესა გაუთხოვარი დარჩა. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო მის სახეზე და გარეგნობაში, სიარულიც ისეთი ნარნარი იცოდა, თითქოს ტიტიკვებდა. გეგონებოდათ ზამბარები ჰქონდა ფეხების ნაცვლად. ხასიათითაც სიამოვნო იყო და დიასახლისობაც ემარჯვებოდა, მაგრამ ყველა ამ ღირსების მიუხედავად, მაინც არ გამოჩნდა ისეთი მამაკაცი, რომელსაც მასთან შეუღლება მონატრებოდა. ყველა იმ აზრისა იყო, რომ აგნესა ივარგებდა, მაგალითად, დეიდად ან მამიდად, ბინაში კარგ მეზობლად და მეგობრად, მაგრამ აგნესა და რაიმე ემოციის აღმძვრელი? ამას ერთხმად უარყოფდნენ და წარმოუდგენლად თვლიდნენ.

კიდევ ბევრი რამ შეიძლებოდა თქმულიყო აგნესაზე, მაგრამ მცირე დრო რჩება, სანამ დასვენების საათი დამთავრდებოდეს და თანამშრომლები ბუფე

ტიდან დაბრუნდებოდნენ. გარდა ამისა, ტყუილად ხომ არ დავტოვეთ მარტო აგნესა და ლუკა! მართლაც და, რა მოხდა მაშინ, როცა გარეთ ავღარი მძვინვარებდა? აქ ითქვა, რომ იმ წუთიდან ლუკას ცხოვრებაში გარდატეხა დაიწყო!

ქადრაკის სათამაშოდ ამხანაგების წასვლის შემდეგ, ლუკა ერთხანს ისევ ფანჯარასთან იდგა და ნიაღვრით დაფარულ ქუჩას გადაჰყურებდა. ხედავდა, სკვერში ხეებს როგორ წეწეოდა ქარი, და მისი ზუზუნი ესმოდა. ქარის ხმა კი ყოველთვის მის შემფოთებას იწვევდა. მოუსვენარს ხდიდა და გუნებას უფუჭებდა. ერთი-ორჯერ კიდევაც ღრმად ამოიხრჩა. აგნესას ამ ღროს მანქანის გორგოლაჟში შეჩრილი ჰქონდა ფურცელი და ბეჭდავდა, მაგრამ ამოხვრა მაინც მკაფიოდ გაიგონა და თანაგრძნობით შეეკითხა:

— რა იყო, ბატონო ლუკა, ხომ არაფერი გაწუხებთ?

— მოწყენილობა, საოცარი მოწყენილობა! — თქვა ლუკამ.

— დიახ. მოწყენილობა ვახლავთ, — დაუდასტურა აგნესამ და გაიცინა.

აგნესას ჩვეულებად ჰქონდა, — ყოველთვის, როცა მიესალმებოდა ან დაემშვიდობებოდა ვინმეს, ანდა რაიმე შეკითხვაზე პასუხს დაამთავრებდა თუ არა, მაშინვე სიცილს დააყოლებდა. ხშირად სიცილითვე გამოხატავდა არა მარტო სიხარულს, გაცხებასაც და ზოგჯერ წყენასაც.

უგუნებოდ მყოფმა ლუკამ გულთან ახლო მიიღო ქალის დასტური, მის გვერდით ჩამოჯდა და შესთავაზა:

— იქნებ დაგეხმაროთ რაიმეში...

— რაში უნდა დამეხმაროთ? — გაიკვირვა და გაიცინა აგნესამ.

— ვიკარნახებთ და უფრო მალე მოჩივებით საქმეს.

— უი, არა. არა! ამაზე როგორ ვაგრაჯით! ისეთი მოსაწყენი სასაუბროა, რომ...

— ჰო, მოსაწყენი... — ანგარიშმოუცემლად გაიპიროს ლუკამ. — საერთოდ,

ამ მოწყენილობაში მიმდინარეობს ჩვენი დღე და წუთისოფელი!

— მეგობრებთან უნდა მიწვიდეთ ზოლმე, ბატონო ლუკა. ხან ნარდს წაითამაშებთ, ხან რას, და...

— ეხ, მეგობრები! — ხელი ჩაიჭინა ლუკამ. — სად არიან, თორემ...

— რატომ, ბატონო ლუკა? — გაიცინა აგნესამ. — ამდენ ხალხში ერთი მაინც არ გამოჩნდა?

— არსად, არავინ! — გაყინიანდა ლუკა. — თავი ისე მოგვაქვს, ვითომც შევხართ ერთმანეთს, ვითომც უერთმანეთოდ სიცოცხლე არ გვინდა, ნამდვილად კი მარტო ვართ, ერთმანეთისაგან გათიშული და დამორებული... ეგ კი არა. კიდევაც გვეშინია ერთმანეთის...

აგნესას ისე ეოცა, გაცივდაც ვეღარ შეძლო. მისი ფართოდ გაღებულ თვალებში დაინახა თუ არა ლუკამ, იგრძნო, რომ გადააჭარბა, და შეცბუნდა.

— ეს მე, ისე... ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ამხანაგო აგნესა... ქარის ზუზუნი ნერვებს მიშლის და მაფორიაქებს... თუმცა თქვენთან რად დავმალო, ხანდახან იმგვარად მომეძალევა მარტოობა, რომ... — უცბადვე თავი შეიკავა და მერე ყრუდ ჩაილაპარაკა: — ჩემი ბრალია, ალბათ, თორემ მართლაც რამდენი ღირსეული ადამიანია ამ ქვეყანაზე...

— უნდა გაერთოთ, ბატონო ლუკა, შეხალისდეთ რაიმეთი! — გულთბილად უთხრა აგნესამ.

— ძნელია ეგ, ქალბატონო აგნესა, ძნელი საქმეა, თორემ...

— სცადეთ, იქნებ შესძლოთ.

— სიმართლე გითხრათ, ჯერ არ მიცლია, მაგრამ...

— აი, თუნდაც კინო... — საბე გაუბრწყინდა აგნესას. — გუშინწინ ერთი კომედია ვნახე. იმდენი ვიცინე, პირდაპირ დავიღალე. ლურჯი, საოცრად ლურჯი ზღვა, აქეთ კი დიდი პარკი, სულ პალმები, მთელი ტყე. სულ მზე და პალმები. იშვიათი მსახიობები, განსაკუთრებით ორი. ვაჟი და ქალიშვილი. პირველად ზღვაში შეხვდნენ ერთმანეთს და როგორც კი ნაპირზე გამოვიდნენ...

აგნესამ სცადა შინაარსის მოყოლა, მაგრამ მიწაზე ფეხი დაადგმევინა თუ არა მსახიობებს, თავშეუყავებელი სიცილი აუტყდა, სიტყვები გაურკვეველი ხდებოდა და ლუკამ ვერ გაიგო, რა მომხდარიყო ეკრანზე. მესხიერებაში დარჩა მხოლოდ მზიანი დღე. ზღვა და პალმები.

— ხომ მოგეწონათ, ბატონო ლუკა? — მზიარული ცრემლებით ამღვრეულ თვალებს იმშრალებდა აგნესა. — თვითონ უნდა ნახოთ და მაშინ უფრო დარწმუნდებით, რომ იშვიათი კომედიაა.

— დიდი პალმები იყო? — თითქოს ეს მცენარე შეადგენდა ფილმის მთავარ ღირსებას, იკითხა ლუკამ.

— მალალი, ფართოფოთლებიანი, საოცრად მწვანე! აუცილებლად წადით და ნახეთ!

ლუკა დღმდა.

— აუცილებლად ნახეთ, აუცილებლად! — არ ეშვებოდა აგნესა. — ნამდვილად ისიამოვნებთ. ბოლოსდაბოლოს, ხომ უნდა გავხალისდეთ, თავი გავიროთოთ რაიმეთი და ამით ჩვენი ცხოვრებაც გავალამაზოთ!

— ჰო, უნდა გავხალისდეთ... — წაიდუდუნა ლუკამ. — ოღონდ...

— ეხ, რა ზანტი ყოფილხართ, ბატონო ლუკა! — გაიცინა აგნესამ და კლავიშები ააყაყუნა. — შეიძლება ითქვას, სისხლ-ხორციით სავსე მამაკაცი ბრძანდებით და კინოში წასვლა ვერ გავიბედინათ!

— ჰმ... სისხლ-ხორციით სავსე! — თმცი სინამდვილეს არ შეეფერებოდა, მაინც ესიამოვნა ლუკას ამის გაგონება. — მაშ, ზღვა და პალმები, არა? როგორც ვხედავ, იმ სურათს თქვენზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია.

— განა მარტო ჩემზე! მთელი დარბაზი გუგუნებდა, დამაყრუებელი ხარხარი ისმოდა! თუ დრო მექნა, მეორედ უნდა ვნახო უსათუოდ.

— რა თქმა უნდა, თუ კი მართლა ისეთია, როგორც თქვენ ამბობთ.

— გაბედეთ. ბატონო ლუკა, შეწი-

რეთ ერთი საღამო! მერე კიდევაც დამიმაღლებთ.

— რომელ კინო-თეატრში? — ჩემსგებნ? — წამიერი ყოყმანის შემდეგ იკითხა ლუკამ.

— თითქმის ჩემი სახლის გვერდით. ზომ იცით, სად ვცხოვრობ?

— შორს არ ყოფილა, მაგრამ... — რატომღაც რადიკრიანებულად თქვა ლუკამ. — ხომ იცით, მარტო წასვლა... აი ვინმე რომ..

— მაგაზე ადვილი რა არის, წაიყვანეთ რომელიმე ნაცნობი! ვინ იტყვის უარს!

— მაშ, იქნებ... — ლუკას სიტყვა გაუწყდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა: — მაგალითად თქვენ რომ ვთხოვოთ...

აგნესასათვის ისე მოულოდნელი იყო. ლოყებიც კი შეუფაქლდა.

— ვინ? მე წამოგყვით?

— ვიფიქრე, ძნელი არ იქნება თქვენთვის... მით უფრო, იქვეა თქვენი სახლიც...

— ჰო, ჩემი სახლისა და სკვერის შუა, — ისე თქვა აგნესამ, რომ ლუკა მიხვდა, წინააღმდეგი არ იყო.

— მაშ თანახმა ხართ?

— კი ბატონო. თქვენი გულისათვის... — დამორცხვებულად გაეცინა აგნესას. რახან ასეთი გაუბედავი ხართ, უნდა ვიმეგობროთ...

— მაშ იქ დავხვდებით, შესასვლელთან! — საბოლოოდ გადაწყვიტა ლუკამ კინოთეატრში წასვლა.

უნდოდა კიდევ რაღაც დაეზუსტებინა, მაგრამ ველარ მოასწრო, — დასვენების საათი დამთავრებულიყო და კორიდორიდან ზარი მოისმა. ამ ხმამ უცბადვე მონუსხა, გადაავიწყვა სათქმელი და თავის მაგიდას მიაშურა.

* * *

გვიან იყო, კინოდან შინისკენ რომ ბრუნდებოდა. დაცარიელებულ, მიმკვდარ პროსპექტზე იშვიათად გამოჩნდებოდა ქვეითი ვინმე. სიჩუმეში შორიდანვე იჭერდა ყური აჩქარებულ, თითქოს

ნერვიულ ბავუნს. ისედაც აფორიაქებული იყო და ამის გავრეზება, რატომღაც, უფრო უმღვრევედა გუნებას. რუსთაველის ძეგლთან მძიმედ შეუყვავა აღმართს. გაიარა ქუჩა და შესახვევი რომ აათავა, ფერდობის ძირში თავის სახლს შიდაგა.

შხოლოდ მაშინ იგრძნო დაღლილობა, როცა ბინაში კარი შეაღო. ქერიდან ჩამოკიდებულ აბაქურზე მიხრახნა მოშვეებული ნათურა. შექზე ჩრდილები გაცოცხლდნენ. ქანაობდა შექფარი და მასთან ერთად იატაკზე ირწეოდა კარადის და სკამების ლანდები. კუთხეში თაროზე დადგმულ კაპკაქის ფიტული მარჯვნივ და მარცხნივ დაზოზინობდა კედელზე.

თითქოს პირველად ზედავდა, ოთახი ღარიბული და სევდიანი ეჩვენა. პერი დახშული იყო. ფანჯარა ჯალო და ხარბად შეინუნთქა გრილი სიო. მახათას მთაზე, ნაძალადევის შეფენებაზე და შორს, მცხეთასა და ვაზიანისკენ, მიმოფანტული უთვალავი ელნათურა დაღობულად ხამხამებდა.

კედლის საათმა თორმეტი ჩაიხროტინა. გამართო შექი და დაწვა. მაგრამ, რაც ძალიან იშვიათად მომხდარა, მაშინვე არ ჩაეძინა. ვერ იქნა, ვერ მოძებნა ადგილი სასთუმალზე, რომ თავი მოხერხებულად დაედო. ლეიბიც გათხელელებლიყო და, როგორც კი შეტრიალდებოდა, რკინის ბაღე ჩხელეტდა წელთან.

სხვიმისაც გაუწვალებია საწოლს. ოდონდ არა ასე მომბზერებლად. იძულებული ვახდა გაუნძრევლად მოკრუნხულიყო, თუმცა ძალიან მოუნდებოდა ხოლმე გვერდი შეენაცვლა. ასეთ ყოფაში ძილი არ ეკარებოდა და, ძალაუნებურად, ფიქრს ეძლეოდა. ფიქრები კი აბურღული იყო, ზოგჯერ ბრახიანი და უწესრიგოდ მისდევდნენ ერთმანეთს... თვალწინ გაივლვა ყრმობის წლებმა. დიდი ხნიდან მივიწყებულმა სოფელმა... კოინდრით ამწვანებული ეზო უეცრად სამინისტროს განყოფილებამ შეცვალა. და მაშინ იყო, რომ პირველად კითხვა თავის თავს: სისწორით განვლო თუ არა ცხოვრების გზა? იქნებ, არც შეიძლება

გზათ ჩათვალო ის ბილიკი, რომელსაც ლორლით სავეს ზეგში დახუჭუჭუნუნუნუნ? რატომ ვანერიდა ცოცხალი მშვენიერებას ახვალტზე გახარებულა რაიმე? რად ჩაკეტრიან ადამიანები დაწესებულებებში და წლობით, გაუთავებლად სწერენ ისეთ რაღაცას, რაც მესხიერებაში არ რჩება და სულს არ ალხენს? ეს ხომ არ არის მიზეზი, რომ მოწყენილობას განიცდიან? იქნებ, მაგრამ ცოცხალი ადამიანი ხომ უნდა ეცადო შეატრიალო შენი. დღეები! საგსებით მართალი იყო აგნესა, ეს უჩინარი დედაკაცი, როცა ურჩევდა გავლამაზებია და გავხალისებია თავისი ცხოვრება...

გაახსენდა თუ არა აგნესა, თვალწინ წარმოუდგა ამ საღამოს ნანახი ფილმი და ცოტათი გულზე მოეშვა... ჰო, ხალისიანი კომედიაა, თუმცა ქალ-ვაჟის სატრფიალო ამბავზე უფრო მოსაწონი იყო ზღვა და პალმების ხეივანი. რა ჩრდილიანი, რა მწვანე! აჰ, აგნესამ კი უსამართლოდ უსაყვედურა. რატომ არ გეცინებოდა... იქნებ ის თავის თავსაც უჯავრდებოდა, ამოდ რად გავისარჯეო... მაგრამ რა იყო და, როგორ წარმოიდგენდა, რა იყო მიზეზი! ზღვა და, განსაკუთრებით, ხეივანი ისეთი მომხიბლავი იყო, ისეთ თაყვანისცემას აღუძრავდა, სხვა ყველაფერი იჩქმალეზოდა და ზედმეტი ჩანდა. იქაურობის ცქერა უფაქიზეს განცდას იწვევდა. კომედიის მონაწილენიც, რა თქმა უნდა, იმიტომ იყვნენ მხიარული და ბედნიერი, რომ ისეთ გარემოში ტრიალებდნენ... მართლაც და, როგორ შეიძლებოდა კეთილი ზეგავლენა არ მოეხდინა იმ სასწაულებრივ სილამაზეს... მართო პალმები რად ღირდა! ახლაც ესმის და ყურს უაღერსებს ფართოდ გაშლილი ფოთლების შრიალი...

საათმა ორჯერ ჩაიხროტინა.

ძილი აკლდა, მაგრამ მხნედ ადგა. დალია ჩაი და ქალაქში გავიდა. მხიანი დღე სიამოვნებდა, კარგ გუნებაზე პყენებდა.

ხომ არ ინახულოს აგნესა? — ფიქრობდა დაღმართზე ჩამავალი. — წუხელ

საჩქაროდ დაემშვიდობა და ხერიაანად მადლობაც ვერ უთხრა... ალბათ, ნაწყენია... მართალია, კეთილი ქალია, მეტი-მეტად კეთილიც, ცუდის დამახსოვრება არ იცის, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ საჭირო არ იყოს ბოდიში მოიხადოს და გამოასწოროს თავისი უზრდელი ქცევა“...

გასტრონომში ტკბილეული იყიდა და გზა განაგრძო.

აგნესას ძალიან გაუკვირდა ლუკას მიხედა და ისიც ძღვენით ხელში.

— ეს რაღა საჭირო იყო, ბატონო ლუკა, რად შეწყუბნით! — სიტყვით საყვედურობდა, თუმცა გულში სიამოვნებდა.

— ვალდებულად ვრაცხდი თავს... დიდი პატივი დამდეთ გუშინ საღამოს.

— თავახიანად შეეხმინა ლუკა. — გარდა ამისა, ერთხელ მაინც ხომ უნდა გამეტყვნა ნავსი და მოვსულიყავი.

— როგორ, პირველად ხართ ჩემთან? — თითქოს არ იცოდა, ისე გაიოცა აგნესამ.

— სამწუხაროდ, — დაიმორცხვა ლუკამ. — აქამდე როგორღაც ვერ მოვახერხე.

— მაგას ვერ ვგაპატიებთ. ბატონო ლუკა, ნამდვილად ვერ გაპატიებთ! — იცინოდა აგნესა. — შეიძლება ითქვას, ძველი მეგობრები ვართ და ერთმანეთთან უფრო დაახლოებული უნდა ვიყოთ.

— ოღონდაც, ოღონდაც! — უდასტურებდა ლუკა. — არა უშავს, გამოვისყიდი დანაშაულს!

მასპინძელმა ხელი ჩაკიდა, გაუადვილა ავეჯით მოჩხორილ ოთახში გავლა, რბილ ტაბტზე დასვა და თვითონაც აქვე მოიკალათა იმის შემდეგ, როცა ახალი ხალათი გადაიცვა, თმა შეისწორა და ოდეკალონიც შეიშხაუნა.

ფანჯრის სიმაღლეზე მუქი ლილისფერი ფარდა ეკიდა, მზის შუქი მხოლოდ ნაპირებიდან იპარებოდა და შებინდებული გარემო სიმშვიდის მომგვრელი იყო. მოსალოდნელი გულითადი საუბარი ერთ ხანს მაინც ვერ გაიბა. ის აგნესა, რომელსაც აქამდე მხოლოდ დაწესებულე-

ბაში ხედავდა ლუკა და საბეჭდო მანქანის განუყოფელ ნაწილად მჩუქმუნდა წარმოდგენილი, სულ სხვანაირად უჩვენებდა და შინაურობაში და კიდევაც ეუცხოვებოდა. წინანდელი უბრალოებით ვეღარ უსწორებდა თვალს და ძალაუვნებურად გადაჰქონდა ხოლმე მზერა გადიდებული ფოტოპორტრეტებით აკრედიტულ კედლებზე.

ერთგან ცნობით მიკრული ფერადი რეპროდუქცია დაინახა. სურათზე ჩანდა პალმების წარადგი, შორიახლოს კი ზღვა, უნაპირო ლურჯი სივრცე. მიაჩერდა, გუშინდელი ფილმი გაახსენდა და საბეჭდო ღიმილმა გადაურბინა. აგნესამ ეს უმაღლე შენიშნა და კითხა:

— ლამაზია, ბატონო ლუკა, არა? ლუკამ თავი დააქნია.

— შემთხვევით ერთ ყურნალში წაეაწყდი და ამოგჭერი... მეცოდება საწყულად ჩამოკიდებულს რომ ვუყურებ და ჩარჩოში მინდა ჩავსვა. ჩემი მასიამოვნებელია და უნდა მოვუარო, — ლულუნებდა აგნესა. — ეგ კი არა, ისე მეჩვენება ხოლმე, ამ მარტოხელა ცხოვრებაში ხალისი მომცა.

ლუკა მღუმარედ უსმენდა.

— სულ უბრალო სურათთაო, იტყვიან ალბათ, ბატონო ლუკა. მაგრამ არც ასეა საქმე. უეჭველად რაღაც ჯადო აქვს, ნამდვილი ჯადო. ასე მგონია, ოთახსაც ფერი ეცვალა. ახლა ისიც ვიფიქრე, ზღვას ვერ შემოვიტან და ერთი ცოცხალი პალმით მაინც დავამშვენებ აქაურობას! — გულიანად გაიცინა აგნესამ.

ლუკა ისევ ჩუმად იყო.

— მოგაწყინეთ თავი, ბატონო ლუკა? — შეწყუბნებულად მიაჩერდა აგნესა.

— არა, რას ბრძანებთ! პირიქით! — წამოიძახა ლუკამ.

— რა ვიცი, ხმას არ იღებთ და...

— თქვენ რომ გისმენდით, ერთი აზრი ღამიტირალდა თავში და, ალბათ, იძიტომ...

— რა აზრი, ბატონო ლუკა? — დაინტერესდა აგნესა.

— არაფერი ისეთი, იქნებ თქვენთვისა

სასაცილოც იყოს და თქმა ვერ გაძი-
ბედნია...

— აგეთი რა უნდა იყოს, რომ ვერც
ვაგებდნით? — ცნობისმოყვარეობამ
აიტანა აგნესა.

პასუხის ნაცვლად ლუკამ თვითონ
კითხა:

— მაშ თქვენ დარწმუნებული ხართ,
ის მცენარე ხალისს შემატებს აქაურო-
ბას?

— ნამდვილად, ბატონო ლუკა! მგა-
ში ეჭვი არ შემდის! მაგრამ, ის რა იყო,
ბატონო ლუკა. რა აზრი დაგებადათ?

— შეახსენა აგნესამ.

— თქვენთან არაფერი მაქვს დასაფა-
რავი, რა თქმა უნდა, გეტყვით, ოღონდ
ახლა არა, სხვა დროს, — თითქმის მუ-
დარა გაისმა ლუკას ხმაში.

სტუმარს რომ არ მოწყენოდა, აგნესამ
მორიგეობა ალბომი, სადაც ძველი და
ახალი ფოტოები ჰქონდა ჩაკრული. ფუ-
რცლად, უჩვენებდა და უხსნიდა ვინ
იყვნენ ეს გრძელწვერაულვაშებიანები,
ვახამებულ მაღალ საყვლოში გაყინილ-
ლები, ჯვარსაწერ ლეჩაქით მოკაზმული
პატარძლები, ჩიხტიკოპიანები, ახალგაზ-
რდები ძაბრიანი კომუნარკებით, ჩაის
მკრეფავი ორდენოსანი ქალიშვილი, ტი-
ტლოკანა ბავშვები და, ბოლოს, როცა
ეკრანის ვარსკვლავების პორტრეტები
დაიწყო, გაიხსენა, რომელი მსახიობი
ნახა და რა ფილმში.

ალბომი რომ ჩაათავა, ყავით გამას-
პინძლება დაუპირა, მაგრამ ლუკამ გა-
დაქრით უარი თქვა. ზრდილობისათვის
რამდენიმე წუთი კიდევ იჯდა და, თუმ-
ცა მასპინძელი თხოვდა დარჩენილიყო,
დაემშვიდობა.

— ძალიან სტუმართმოყვარე და ხასი-
ათითაც ბევრად უკეთესი ყოფილხართ,
ვიღრე აქამდე ვიცოდი. — კარებში რომ
გადიოდა. მაშინ უთხრა ლუკამ და ხელ-
ზე აკოცა, რაც დიდ თავაზიანობად ჩაუ-
თვალა აგნესამ. — ნუ გამიჯვარდებით, თუ
ჯერჯერობით ვერ გაგიმხილეთ რა ფიქრ-
მა გამიელვა თქვენთან აქ ყოფნისას!

ქუჩაში რომ მიაბიჯებდა, ხშირად აგო-
ნდებოდა აგნესას სიტყვები... რა თქმა

უნდა, ის ხუმრობდა, როცა ჯადო ასე-
ნა და ზებუნებრივი ძალა შემეწყობა მალ-
მის ხეს. მაგრამ წარაფის მანქანაში რომ
სიამოვნებას გვრიდა, ამას გულწრფე-
ლად ამბობდა... ჩარჩოში ჩასმასაც უპი-
რებს... ისიც თქვა, მარტო ოთახი კი
არა, ცხოვრებაც გამიხალისაო... თუ და-
ხატულმა ამდენი სიკეთე უყო, ცოცხა-
ლი ხე რომ შეიძინოს, მაშინ ხომ ერთი-
ორად ფერს იცვლის მთელი მისი ცხოვ-
რება... ჰო და, რა იქნება იშვოვოს სად-
მე და მიუძღვნას... მართლაც და, რატომ
არ გამოიჩინოს ყურადღება იმ ადამიან-
ნისადმი, ვინც განყოფილების სხვა თა-
ნამშრომელივით აბუჩად არ იგდებს, ლი-
რსეულ კაცად თვლის და ვისგანაც არც
ერთი უპატივემელო სიტყვა-პასუხი
არასოდეს არ სმენია...

მეტროს სადგურს რომ მიუახლოვდა,
ყვავილების სავაჭრო სარდაფს მოკრა
თვალი და ჩავიდა. შეათვალიერა იჭაუ-
რობა, მაგრამ რაც უნდოდა, ვერ დაინახა.

— მშობილო, სხვა მცენარეულობა
არაფერი გაქვთ? — მიმართა სარდაფის
პატრონს.

— თქვენ როგორი გინდათ? — გულ-
გრილად იკითხა გამყიდველმა.

— აი, მაგალითად... აი, ვთქვათ, პალ-
მა...

— არ გვაქვს, — ისევ გულცივად
თქვა გამყიდველმა.

ლუკამ მაინც მიმოიხედა და ჩაიდუ-
ღუნა:

— თუნდაც სულ პატარა, თუნდაც
სხვებისაგან დაწუნებული და თქვენთვის
უფარგისი...

სარდაფის პატრონი უნდომლად შეტ-
რიალდა და ბნელი კუთხის სიღრმიდან
გამოათრია ჩია ქოთანის, რომელშიაც
ჩაჩხვრალი იყო ხაოიანი წვრილი ღერო
შეყვითლებული ორი ფოთოლით.

— ასეთს ხომ არ წაიღებთ და, სხვა
არა გვაქვს, — უფრო იმიტომ აჩვენა,
რომ მალე მოეშორებინა აბეზარი მუშ-
ტარი.

წამითაც არ შეეყოყმანებულა ლუკა, მა-
შინვე გადაუთვალა გრომები და ამო-
ვიდა.

• • •

თითქმის ყველა უცვლადი აზრი, რამე-
ლსაც მეცნიერებაში გადატრიალება მო-
უხდენია, ძილის წინ ან მხარეთმცოდნე
უღარდელად წოლის დროს დაებადება
ზოლმე ადამიანს. პარადოქსია? არავი-
თარი! უამრავი დამადასტურებელი მა-
გალითის მოყვანა შეიძლებოდა. მაგრამ
შორს რად წაივლით: ვანა თვითვე
თქვენგანს სწორედ ამ მდგომარეობაში
არ ჩასახვია ყველა თავისი განსაკუთრე-
ბულად თვალსაჩინო აზრი?

მთელი დღე ლუკამ მეცნიარზე ზრუნ-
ვაში გაატარა. ჯერ წყლით გააძლო და
ფანჯრის წინ რომ კიენა ბაღია იყო, იქ
დადგა მზის გულზე. საღამოს ქარმა და-
ბერა და იმის შიშით, რომ შერჩენილი
ორი პატარა ფოთოლი არ დაზიანებოდა,
ოთახში შემოიტანა. ღამით უჩვეულოდ
კარგ გუნებაზე დაწვა. მაშინვე მითელი-
მა, მაგრამ იმ წუთში, როცა უნდა ჩას-
ძინებოდა, მოუსვენრობამ შეიპყრო და
ბორბვა იწყო... ჯერ იყო და, აგნესას
სიცილი შემოესმა. ცხადია. უხაროდა,
რომ ცოცხალ პალმას ხედავდა. ხოლო
უფრო საკვირველი ის იყო, რომ დილით
მოტანილი უღიმღამო ბუჩქი ძალიან
მალა ხედ გაზრდილიყო, ფართოდ გა-
შლილ ფოთლებს ამრიალებდა, მწვანე
მზედ დაჰყურებდა ოთახს, სადაც ვან-
ყოფილების თანამშრომლები მოგროვი-
ლიყვნენ, ხალისობდნენ, ბედნიერად
გრძნობდნენ თავს, ლუკას ძმობას ეფი-
ცებოდნენ და სიყვარულით ეხვეოდ-
ნენ... ჰო. ყველანი ძმები ვართ, ყველა
ერთმანეთისთვის ვცოცხლობთ, ყველას
ბედნიერება მოგვანიჭა იმ სასწაულომქ-
მედმა მეცნიარმა. ვანა მარტო მე და აგ-
ნესას, ის ყველას უნდა ჰქონდეს, ყვე-
ლგან ხარობდეს!

რკინის ბაღზე შეტრიალების ბრალი
იყო, ზმანება გაქრა და ლუკაც უშაღვე
გამოერკვა. დაენანა, მაგრამ მაინც ტკბი-
ლად გაეღიმა და უეცრად ეწვია მალა

შთავონება, რომელმაც დიდი ხნით დაუ-
ფრთხო ძილი...

გარკინული
გაზაქონებისა

• • •

ორშაბათს ლუკა ჩვეულებრივად ად-
რე მივიდა სამინისტროში. განყოფილე-
ბა მზით განათებული იყო. კმაყოფილე-
ბით გადახედა იქაურობას და გაზეთის
ქალაქში შეფუთვნილი ქოთანის აგნე-
სას მავიდის გვერდით რაფაზე დადგა.

სხვა დროს, ალბათ, მაშინვე შეუდგე-
ბოდა მუშაობას, მაგრამ ახლა სულ არ
იყო ამ გუნებაზე, უცხოსავით იჭდა, და
თითქოს ვიღაცას ელოდებოდა, მაჯის
საათს ხშირ-ხშირად ჩაკრავდა თვალს.

თანდათან მოგროვდნენ თანამშრომ-
ლები. ზუსტად ცხრაზე, ხარის რეკა ჯერ
არ დამთავრებულიყო, აგნესაც გამოჩ-
ნდა. ქოშინით შემოიჭრა, უხმოდ შეს-
ცინა ყველას და თავის მანქანას მიამუ-
რა.

კიდევ რამდენიმე წუთი და, დაწესე-
ბულების ყოველდღიური ცხოვრება და-
იწყო.

ლუკას ისე ენიშნა, რომ შემოსვლისას
აგნესამ უფრო მეტი სითბოთი გადმოხე-
და, ვიდრე ოდესმე. აქამდე მათი ნაც-
ნობობა და ურთიერთობა საშსახურის
ადგილით განისაზღვრებოდა, ხოლო სა-
მუშაოს დამთავრებიდან მეორე დღიამ-
დე ისინი არც არსებობდნენ ერთმანე-
თისთვის. მაგრამ კინოში ერთად ყოფ-
ნისა და, განსაკუთრებით იმის შემდეგ,
რაც შინ ეწვია, ლუკა დაახლოებულად
გრძნობდა თავს აგნესასთან. ახლა ისიც
ეჩვენებოდა, თითქოს რალაცნაირი ინ-
ტიმიც გაიბა მათ შორის.

რეგისტრატორიდან მოიტანეს ახლად
მიღებული ვანცხადებების დასტა და
ლუკა სასწრაფოდ შეუდგა კითხვას, რომ
დროით მოეთავებია მასალის დახარის-
ხება და განყოფილების უფროსისათვის
გადაეცა დასკვნისათვის. ჩქარობდა,
მაგრამ გულმოდგინება მხოლოდ რამდე-
ნიმე წუთით იყო. დაჩერებოდა ასოებით
აჭრელებულ ფურცელს, წინადადებებს
განმეორებით კითხულობდა, და მაინც
უძნელდებოდა შინაარსის ნათლად გა-

გება: სიტყვებს აღარ ჰქონდა ეროვნუთთან კავშირი, მრავალს კიდევაც დაჰყარგოდა თავისი მნიშვნელობა და იმას აღარ გამოხატავდა, რისთვისაც განუთვნილი იყო. ეგ კიდევ არაფერა, ზოგიერთი ანგლობასაც იწყებდა, — რაიმე გამოსახულებას მიიღებდა და, საიდან სადაო, განივთებული, სახეთქცეული ამოტივტივდებოდა წინადადებაში. ვიღაც მოქალაქე თავის განცხადებაში წერდა: „...და ყოველივე ამის შემდეგ სამინისტროსთვის ნათელი უნდა იქნეს, რომ ზემოდსხეებული ორგანიზაცია ვალდებულია დააკმაყოფილოს ჩვენი პრეტენზია და დაუყოვნებლივ გვიზღას...“ მაგრამ რა უზღას და როგორ უზღას, ეს გაურკვეველი დარჩა ლუკასთვის. იმ უკანასკნელ სიტყვაზე, თითქმის ვიღაცამ ჩასძახაო, უეცრად თვალწინ გაიშალა მომხიბლავი სანახაობა ზღვისა და მერე, სტრიქონსა და სტრიქონს შუა, თავი ამოყო პალმის ხემ.

წინათაც ყოველთვის თავდახრილი და ჩაფიქრებული დაჩერებოდა ლუკა ქალაღლებს და ამიტომ აზრად არავის მოსვლია, რომ ახლა ის ოცნებით სულ სხვა სამყაროში ტრიალებდა. არც აგნესას შეუმჩნევია რაიმე და არც ლუკას უგრძენია, რომ ის ყურადღებას არ აქცევდა. პირიქით, მანქანის კლავიშების კაქუნის იმგვარად ჩაესმოდა, თითქმის აგნესაც ვანიტდიდა სულიერ მღელვარებას და ამიტომ იყო, რომ საოცარი სისწრაფით ამოძრავებდა თავის თითებს.

იმ დღეს ლუკამ წინასწარი განზრახვით არ ისარგებლა შესვენებით. აგნესას გარდა ყველა თანამშრომელი წავიდა, თვითონ კი არც ამდგარა მავიდიდან.

— რატომ არ გაისეირნებ სუფთა პაერზე, ბატონო ლუკა? — მიმართა აგნესამ იმ ფარული აზრით, რომ წასვლა შეეხსენებია.

დასვენების საათებში აგნესა კერძოდ აღებულ სამუშაოს ასრულებდა, ბექდავდა სალოქტორო და სკანდიდატო დინერტაციებს, და ვინაიდან კლიენტები ყოველთვის უჩქარიდნენ, ცდილობდა მარ-

ტო დარჩენილიყო. რომ ხელი არავის შეეშალა.

— ახლა საამისოდ გულში მჭიმობხარ, — თქვა ლუკამ.

— რატომ არ მიგიდით გული, ბატონო ლუკა? — ცოტა არ იყოს გულცივად იკითხა აგნესამ.

— იმიტომ, რომ... — წამიერად შეყოყმანდა ლუკა, როგორღაც გაუტორდა უბრალოდ აგნესა მიზეზი. — იმიტომ რომ... ახლა მე ჩემი ოცნება მაქვს, და...

შორიდან ამაზე ლაპარაკი, ისიც ზამალდა, თითქმის მკრებლობად ჩათვალა, ადგა და ქალის გვერდით ჩამოჯდა. აგნესა იძულებული იყო შერიგებოდა მდგომარეობას. ფურცლებს შუა სწრაფად ჩააწყო ასლის გადამღები ლურჯი სიფრიფანა ქალაღლები და ბექდავს შეუღდა.

— მინდა ერთი რამ გკითხოთ, ქალბატონო აგნესა, — დაიწყო ლუკამ, მაგრამ ადრე მოფიქრებული ფრაზა გადავიწყდა და შეაგვიანა.

— რა უნდა გკითხოთ, ბატონო ლუკა? — აგნესა ახლაც უგულოდ შეეხიანა.

— გწამთ თუ არა, ქალბატონო აგნესა, რომ ადამიანთა შორის შესაძლებელია დამყარდეს მარადი სიყვარული?

აგნესამ გაკვირვებით გადახედა.

— აი, მე კი მწამს! — აღარ დაუცადა ლუკამ, თითქმის იმის შიშით, რომ უარყოფით პასუხს მიიღებდა. — ეს იმიტომ გკითხეთ, რომ ერთი ჩემი საიდუმლო უნდა გავიზიაროთ და მინდა აქედანვე ვიცოდე თქვენი შეხედულება... თქვენი ხასიათის ამბავი რომ ვიცი, დარწმუნებული ვარ, ჯერჯერობით ჩვენს შორის დარჩება ის, რასაც გეტყვით...

აგნესამ რამდენიმეჯერ გადასწია და გადმოსწია გორგალაჭი. ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში აკეთებდა, როცა შეცბუნდებოდა.

— ვანა წარმოსადგენია, რომ ადამიანმა... აი, მავალითად, თქვენ, უარი თქვით ნამდვილ ბედნიერებაზე? — ლუკას თანდათან გაუნაზღა ხმა. — თქვენ კი, ქალბატონო აგნესა, ღირსი ხართ იმისა, რომ ბედნიერი ცხოვრება გქონ-

დეთ... თქვენ ეს ყოველმხრივ დამსახურეთ...

აგნესა დროდადრო აყრუებდა კლავის შების კაკუნს.

— რა დღეა, რა იშვიათი! — გაბრწყინებული თვალებით გახედა ლუკამ ფანჯარას. — ასეთ დღეს გული გინდა გადაშალო და ყველაზე იღუმალი გრძნობა გაამზილო!

აგნესა შეიშმუნა და ჯერ ჩათავებული არ ჰქონდა ფურცელი, ასალი შეჩრა მანქანაში.

— ყოველთვის მქონდა იმედი, — დამტკბარი ხმით განაგრძო ლუკამ, — ერთი დღე იქნებოდა, შევხვდებოდი ადამიანს, ვინც გაიგებდა და გაიზიარებდა ჩემ გულისტქმას. თქვენ ხომ გწამთ, ქალბატონო აგნესა. რომ არსებობს სულთა ნათესაობა?

ამის გაგონებამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა აგნესაზე, რომ უნებურად ჩაბეჭდა იგივე სიტყვები.

— და, აი, ქალბატონო აგნესა, ასეთ სულიერ ნათესაებად მიმაჩნისართ თქვენ...

აგნესა შეიჩრა და ნერვიულად გაეციინა.

— ნამდვილად, ნამდვილად, ქალბატონო აგნესა! — ოდნავ ხმა აიმაღლა ლუკამ, რომელმაც ქალის სიცილი დაეპყვებდა მიიღო. — აგერაც ოცი წელიწადია ამ დაწესებულებაში თითქმის ყოველდღე ვხვდებით ერთმანეთს და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ მრავალისგან გამოირჩევით გულისხმიერებით და პატიოსნებით. ამიტომ მინდა დაუფარავად ვითხრათ ის, რაც მოსვენებას აღარ მაძლევს...

აგნესა სულგანაბული ესმენდა.

დერეფანში გასასვლელი კარი გაიღო და სხვა განყოფილების ორმა თანამშრომელმა ქალიშვილმა შემოიხედა. ეტყობოდათ, ვიღაცას ეძებდნენ. განმარტოებული წყვილი ეკვნიულად შეათვალაურეს, ეშმაკურად გაეღიმათ და წავიდნენ.

— როგორც ამასწინათ ვითხარით და თქვენც დამეთანხმეთ, — შეთამამდა ლუკა, — მოწყენილი ცხოვრება გვაქვს.

მაშ რატომ არ ვეცადოთ ცოტა რაღმეთი მაინც შევახალისოთ და გავიღებოთ? — რატომაც არა. უნდა გავიღებოთ ხოთ! — დაეთანხმა აგნესა.

— მენდეთ, სიმართლეს მოგახსენებთ, მარტო ჩემს თავს ანგარიშში არ ვავდებ, უფრო მესიამოვნება, თუ სხვასაც ვახარებულს დავინახავ. ამ შემთხვევაშიც, მერწმუნეთ, ეს გრძნობა მამოძრავებს...

— მკერა, ბატონო ლუკა, რა თქმა უნდა, ბატონო ლუკა... — ხმაში უკვე მოუთმენლობა ემჩნეოდა აგნესას. — მე ხომ ვიცი თქვენი ხასიათი...

— მადლობელი ვარ, ქალბატონო აგნესა, რომ აგეთი კარგი შეხედულების ყოფილხართ ჩემზე. ეს ამბავი დიდად მამხნევეს, — სერიოზული გამომეტყველება მიიღო ლუკამ. — ჩემი იდეა, უკეთ რომ ვთქვა, ჩემი ოცნება ასეთი გახლავთ, ძვირფასო აგნესა...

ლუკა უცბადვე ჩაჩუმდა და თითქმის შესწოთებით შეხედა:

— მაპატიეთ, თქვენი ქირიმე, მაპატიეთ! ფამილარობად ნუ ჩამომართმევთ, რომ „ძვირფასი“ გიწოდეთ. ამის უფლება მე არ მაქვს, ღმერთია მოწმე, წამოცდა...

— არა, რატომ, ბატონო ლუკა! — გადივისკისა აგნესამ, — ამაში არაფერია საწყენი, პირიქით, ბატონო ლუკა, პირიქით!

ლუკამ ღრმად შეისუნთქა:

— ჩემი ოცნება, ძვირფასო ამხანაგო აგნესა, იქნებ არც ისე მნიშვნელოვანია, შესაძლოა ფუჭიც და მინდა გთხოვოთ, პირუთვნელად მოთხრათ თქვენი აზრი...

— უპველად ბატონო ლუკა, — გულისგაწვრილებით იგრძნო აგნესამ, რომ არ ეღირსა საიდუმლოს გაგება. — რა თქმა უნდა, საესებით პირუთვნელად!

— მაშ ასე. პატივცემულო აგნესა... მე და თქვენ ერთი დიდი მისია უნდა ვიკისროთ. ვეცადოთ, გადავტვათ ეს ნაბიჯი და, ვინ იცის, იქნებ მართლაც მივალწიოთ. ხომ გაგიგონიათ, ცდა ზედის მონახვერეაო...

— მონახევრეა, ბატონო ლუკა, ნამდვილად ბედის მონახევრეა! — უკვე მექანიკურად იმეორებდა აგნესა.

— თქვენც ამჩნევთ, ალბათ, ქალბატონო აგნესა, ადამიანს ბუნება შეეცვალა, ის აღარ არის, რაც უნდა იყოს... აი, სხედან ისინი თავიანთ მაგიდებთან, ქეჩავენ ქალაღდებს, შრომობენ. ცდილობენ გაერკვიონ ცხოვრების რთულ საკითხებში, ამაყად უჭირავთ თავი, იმას კი შორეულადაც არ გრძნობენ, თუ რა შესაბარლისნი არიან. და უმთავრესად რატომ, იცით?

აგნესას ვერ გაეგო, რას ეუბნებოდა ლუკა და რა საჭირო იყო ამაზე ლაპარაკი.

— იმიტომ. რომ გატლანქდნენ და გაუხეშდნენ... თვითელი მათგანი უყურებს მეორეს არა როგორც ძმას და თავის მსგავსს, არამედ როგორც სულდგმულს, რომლის დამცირებით და დამდაბლებით საკუთარი თავი უნდა აღიმდლოს. მაგრამ განა ეს ბუნებრივი მიდრეკილებაა ადამიანისა და ასეთი ბოროტი თვისება დაჰყვა იმ წუთიდან, როცა პირველად შეხედა მზეს და ქვეყანას? არა, ადამიანი კეთილად არის გაჩენილი. ასე არაა, ქალბატონო აგნესა?

აგნესამ თავი დააქიცინა.

— და, აი, ჩვენი მოწოდებაა დავუბრუნოთ თავისი პირველსაზე, გავუღვიძოთ მიძინებული გრძნობა გულშემატკივრობისა და კაცთმოყვარეობისა. მაგრამ როგორ მივალწიოთ ამას? როგორ და, აუცილებელია განხორციელდეს ის აზრი, რომელიც თქვენთან სტუმრობის შემდეგ დამებადა... დიახ, ყველამ უნდა გაილამაზოს თავისი ცხოვრება, ყველას უნდა ექნეს თავისი პალმის ხე!

აგნესა საგონებელში იყო ჩაყარდნილი. ველარ გაერკვა, რაზე ელაპარაკებოდა ლუკა.

— დავიწყეთ პატარაი, რომ მერე დიდს მივალწიოთ... რას იტყვი იმაზე, ქალბატონო აგნესა, რომ მოვრთოთ ჩვენი განყოფილება? მოვრთოთ სწორედ იმ სუბტროპიკული მცენარით, რომელსაც, თქვენი რწმენით, დიდი ზეგავლენის ძალა აქვს. განვალაგოთ აქ რაფეზი-ხე. კუთხეებში, შუაში დავდგოთ ყველაზე მაღალი, ხოლო ვინც უმცირესესს, მაგიდაც დავუშვებოთ. ეს გარემოება ერთგვარად გამოაცოცხლებს იმ ერთფეროვან შესაბუღობას, რომელიც ამოთახს აქვს, აღარ იქნება მოწყენილობა, ყველა გახალისდება. ჩვენს მაგალითს ხეა განყოფილებები მიბაძავენ. მერე ჩვენი სამინისტრო სხვა სამინისტროზე მოახდენს გავლენას და, ბოლოს, რესპუბლიკის ყველა დაწესებულება შემოიღებს ამ ღონისძიებას. ამრიგად, ჩვენს ქვეყანაში ყველას სასიკეთოსკენ შეეცვლება ხასიათი, დაამდება და გახალისდება...

როგორც იქნა მიხვდა ბოლოს აგნესა, რომ ლუკა თურმე ისეთ საიდუმლოებაზე ელაპარაკებოდა, რასაც მათ საერთო ბედთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. იმედი, რომელიც ერთი საათის განმავლობაში აფორიაქებდა, უმაღლეს ჩაუქრა. ისიც გაიფიქრა, რომ ლუკამ, ალბათ, ოინი უყო, გაამასხარავე... მუშაობის თავი აღარ ჰქონდა, ხშირად სულ სხესიტყვას ჩაბეჭდავდა ხოლმე და მერე იძულებული ხდებოდა რეზინით წაეშალა.

დერეფანში ზარი დაირეკა.

— მე შევასრულე თქვენი ნატვრა! ვიშოვე, მოგიტანეთ! — სწრაფად წამოდგა ლუკა. ფანჯრიდან ქოთანს აიღო, გაზეთი შემოახია და მანქანის გვერდით დადგა.

აგნესას არც შეუხებდავს, დააბირა რაღაც ეთქვა, მაგრამ მხოლოდ ნერვიულმა კრუნჩხვამ გადატრბინა ტუჩებზე და როგორც კი დაინახა, რომ განყოფილებაში თანამშრომლებმა იწყეს შემოსვლა, აცრემლებულ თვალებზე ცხვირსახოცი მიიფარა, წამოვარდა უეცრად და დერეფანში გაიქრა.

ყველამ შეამჩნია, რომ აღუღებელი იყო და ტირილს ძლივს იკავებდა.

— რა იყო, რა მოხდა აქ? — რამდენიმემ ერთხმად იკითხა.

გაოცებული ლუკა აზრდაბნეული მიშტერებოდა კარებს არც გაუგონია

ვინ ეკითხებოდა და რას ეკითხებოდა. არც ის შეუმჩნევია, რომ ყველას მის-
აენ ეპირა თვალი.

— თავი დაანებეთ! — ჩაიქირქილა
ჭალარამ. — რა იყო და, ცხადია, აქ
ამურები დაფრინავენ!

• • •

ამბავი მალე ქორად დაირბა და გან-
ყოფილებიდან განყოფილებაში სწრა-
ფად გავრცელდა. შემთხვევის გმირები
რომ ახალგაზრდები ყოფილიყვნენ, იქ-
ნებ დიდ ყურადღებას არავინ მიაქცევ-
და. მაგრამ ლუკა და აგნესა? ეს კური-
ოზი იყო და ყველა ხარხარებდა.

რამდენიმე წუთში განყოფილების
უფროსამდე მივიდა ხმა. მან იმდენი
იკინა და ისე გულიანად, რომ სავსებით
დაკარგა უფროსისათვის აუცილებელი
ოლიმპიელობის იერი და ჩვეულებრივ
ადამიანად იქცა. ამბავი, მართალია, გაზ-
ვიადებულად ჩათვალა, მაგრამ სამსა-
ხურებრივი მოვალეობის გამო საჭი-
როდ მიიჩნია რჩევა-დარიგება მიეცა
თავისი განყოფილების პატიოსანი სახე-
ლის შემბლაღველ თანამშრომლებისათ-
ვის.

ჯერ აგნესა ვარდიამვილს გამოუძახა
და გამოკითხა, რა იყო მისი აღელვების
მიზეზი. დამორცხვებულ დედაკაცო
ერთხანს მიკიბულ-მოკიბულად პასუ-
ხობდა, მაგრამ ხანგრძლივი გამოკითხ-
ვის შემდეგ, უფრო კი პალმის ხეზე
დაცდენილმა სიტყვამ, თანდათანობით
ალაპარაკა და ათქმევინა ყველაფერი.

— ო, ეგ უკვე საინტერესოა რაღაც!
ამ ამბავს სხვა სუნი უდის! — აღარ ელი-
მებოდა ფიქრში ჩავარდნილ უფროსს,
გაუშვა აგნესა, გასწია მინისტრის მო-
ადგილესთან, წვრილად მოახსენა ყო-
ველივე და როგორც კი თავის კაბინეტ-
ში დაბრუნდა, ლუკა კვებელი იხმო.

— რა თქმა უნდა, ათავისა აქვს უფ-
ლება სხვის სულში ხელები აფათუროს,
მაგრამ ამხანაგო ლუკა, დამეთანხმეთ,
რომ ყველაფერს თავისი დრო და ადგი-
ლი გააჩნია. — დინჯად, თავაზიანად და-
იწყა განყოფილების უფროსმა. — სა-
ხელმწიფო დაწესებულებაში, მით უფ-
როს სამინისტროში, ყველამ თავი უნდა
შევიკავოთ და პირად გრძნობები სააშ-
კარაოზე არ უნდა გამოვიტანოთ. დამე-

თანხმეთ იმაშიც, რომ თქვენი ასაკის მა-
მაკაცს მერი თავდაპირილობა მართებს,
არ უნდა ჩაიგდოს თავი სასახლეო
მდგომარეობაში. თქვენ სხვა რა ქენით?
შეარცხვინეთ ქალი, შეირცხვინეთ საკუ-
თარი თავი და ყველას საშუალება მიე-
ცით ილაყბოს ჩვენი განყოფილების თა-
ხამშრომელთა მორალურ დონეზე.

ლუკა გაოგნებული შეპყურებდა, ვერ
გარკვეულიყო, რას უსაყვედურებდა.

— თქვენ ვერავინ დაგიშლით იმას,
რომ კიხოში ერთად იაროთ...

ლუკამ დააპირა ეთქვა რაღაც.

— არა, ამასი ცუდი არაფერია, — სი-
ტყვის თქმა არ აცალა გაყოფილების
უფროსმა. — კინო მასების საყვარელი
ხელოვნებაა და უნდა გამოვიყენოთ
ჩვენი კულტურული დონის ასახაღლებ-
ლად. ოღონდ ამ შემთხვევაშიც ისე უნ-
და მოვიქცეთ, რომ...

— ეგ ერთხელ იყო, მხოლოდ ერ-
თხელ! — ეგლარ მოითმინა და გააწყვე-
ტიხა ლუკამ.

— კეთილი, აგრე იყოს, — დაუყვა-
ვა განყოფილების უფროსმა, — მაგრამ
იმას ხომ ვერ უარყოფთ, რომ აქაც, ოფიციალურ
ადგილას, თავი ვერ და-
გოიკებიით და თქვენი გრძნობების დე-
მონსტრირებას ახდენთ. მოგეხსენებათ,
დასვენების საათი იმიტომ დააკანონა
ხელისუფლებამ, რომ მოსამსახურეს
საშუალება მისცეს ძალა მოიკრიფოს
და დღის მეორე ნახევარში ისევ ენერ-
გიულად განაგრძოს მუშაობა. თქვენ კი
არა თუ არ ისვენებთ, შფოთიან სცე-
ნებს მართავთ, რაც საერთო ყურადღე-
ბას იპყრობს.

— არაფერი ამის მსგავსი! — წამო-
იძახა ლუკამ და წამოღგა. — აქამდის
ვერ გამოიგია, რამ ააღელვა ამხანაგი
ვარდიამვილი!

— დამშვიდდით, დაჩქეით, — გულცი-
ვად უთხრა განყოფილების უფროსმა,
მაგრამ უცბადვე შეიცვალა ტონი. —
დავანებოთ ამას თავი, მე სხვა უფრო
საყურადღებო საკითხი მაქვს გასარკ-
ვევი. — მაგალითად, რატომ მოგივიდათ
ახრად მორთოთ ჩვენი განყოფილება
პალმებით?

ლუკასთვის ეს სრულიად მოულოდ-
ნელი იყო.

— მე მინდოდა... მე მხოლოდ სურ-
ვილი გამოვთქვი, რომ...

— გაგელამაზებით აქაურობა, არა?
— დიას...

განყოფილების უფროსმა მრავალ-
ბნიშველოვნად მიიპყრო თვალები.

— არ გრძნობთ, რომ ამ სურვილს რაღაც საეჭვო სარჩული უდევს?

— რა სარჩული? — გაოცდა ლუკა.

— თქვენ ამბობთ, რომ ადამიანი გაუხეშდა, რომ აქ მოწყენილობაა და სხვა, და სხვა, და სხვა...

— ეგ მხოლოდ იმიტომ ვთქვი, რომ...

— იმიტომ, რომ ადამიანი გეცოდნებათ და გინდათ ხალისიანი ვახდეს? და ყოველივე ამის მიღწევას ფიქრობდით იმით, რომ ყველგან პალმის ხეს ჩაამწყრივებდით? ასეა, არა?

ლუკა ერთხანს ხმაჩაქმენდილი იჯდა.

— მგონი მე მართლაც გადავჭარბე, — ყრუდ ამოილაპარაკა ბოლოს.

— კიდევ კარგი, რომ თვითონ აღიარეთ — თითქოს თანაგრძნობით თქვა განყოფილების უფროსმა. — სიმართლე გითხრათ, ცუდი წარმოდგენა არასოდეს არ მქონია თქვენზე. პირობით, გულმოდგინე მუშაყად მიმჩნდივით და პატრეს გეცმდით... მაგრამ...

ლუკა სმენად იქცა.

— ჩვენი განყოფილების რეაბილიტაცია რომ მომხდენია, იძულებული ვიყავი მომეხსენებია ყოველივე მინისტრისათვის და... ვიფიქრეთ. ვიშკეტეთ და ისეთი აზრი გამოითქვა, რომ... — განყოფილების ვამგე შეყოყმანდა. — ერთმა ან მეორემ უნდა დასტოვოთ სამინისტრო. ვამჯობინეთ, მეძანქანე დარჩეს, თქვენ კი... შემოიტანეთ განცხადება, რომ თქვენი სურვილით მიდიხართ...

ლუკა შეკრთა.

— არა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თავიდან გიცილებთ. ისევ ჩვენს უწყებებში იქნებით, ოღონდ პერიფერიაში. სხვა შენობაში გადახვალთ... დამეთანხმეთ, იმ სკანდალური შემთხვევის შემდეგ თქვენითვისაც ძნელი იქნება აქ ყოფნა. ეს არის მთავარი, თორემ, სიმართლე გითხრათ, სულაც არაა ყურადღების ღირსი თქვენი რომანტიული თავგადასავალი. — წამიერად გაჩუმდა და ბერე იღმირით თქვა: — რაც შეეხება თქვენს იდეებს, ძმურად გირჩევთ, დაივიწყოთ. პალმის ხეს რომ მაგდენის გაკეთება

შეეძლოს, მთელ ბათუმსა და სონტემს გადმოვიტანდით აქ... მაშ ასე, ამხანაგო ლუკა, ხვალ მიმართულენას მხოლოდ ჩვენთან და ახალ ადგილზე იმუშაებთ კარგად, მზნედ იყავით, ამხანაგო ლუკა!

სულდამიმეხებული, მოქურუფებული გამოვიდა ლუკა კაბინეტიდან. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს დაცარიელდა გული. როგორც ბურანში, გაიარა დერეფანი, შევიდა განყოფილებაში, რამდენიმე წუთს გაოგნებული იჯდა თავის მაგიდასთან, აიღო ქუდი და წავიდა. პირველად იყო, სამუშაო დღის დამთავრებას არ დაუცადა და დასტოვა დაწესებულება.

კარი რომ გაიხურა, მოღუშულმა ჭალარა თანამშრომელმა ყველას გასაგონად ჩაიბურღლუხა:

— ბრიყვი, ობროდი... დონ კისოტია მაგ უბედური!

ჩამოვარდნილ სიჩუმეში მანქანის კლავიშების ჩქარი კაკუნის ისმოდა.

შეიძლებოდა სხვაგვარი ფინალიც ჰქონოდა მოთხრობას. მაგრამ როგორც დასაწყისში ითქვა, უნებურად რთულ მდგომარეობაში ვარდება მემატიანე, როცა ობროდის ცხოვრებას აღწერს.

თითქოს ამ მობოდიშების შემდეგ მაინც უნდა დასმულიყო უკანასკნელმა წერტილი, მაგრამ ძალიან მომინდა ცოტა რამ ვთქვა იმ ჭალარა თანამშრომელზე: მისი აზრით დონ კისოტი, როგორც ჩანს, სიბრიყვის სინონიმი და საგინებული სიტყვაა. მას წარმოდგენაც არ ჰქონია, რომ ის სახელგანთქმული ობროდი რაინდი შეუღარებლად კეთილშობილია და მისი გული ისე სავსეა ადამიანის სიყვარულით, როგორც არავისი. მაგრამ, აბა, საიდან უნდა სცოდნოდა ეს გულგამოშვიგნულსა და იმ ჭოტის ფიტულის ორეულს, რომლის ლანდი კედლიდან კედელზე დაზოხინობს ლუკას ოთახში!

ამ მცირე რეპლიკით გული მოვიოხე და საბოლოო წერტილიც აქ უნდა დაესვა.

კვაზ მარხიანი

ახალი ლექსების წიგნიდან

ამ დღეს ვერაფრით
გაიმეორებ

სიტყვას დავეძებ დასამშვიდებლად
და ჩემი გულის მესმის ზმაური.
ეს დღეც ჩიტვივით გამიფრინდება,
დღე სიხარულის და სასწაულის.

არ მემეტება ეს დღე, რადგანაც
საესეა თბილი მზის მცხუნვარებით,
რადგანაც იის თვალში ჩამდგარა
უბიწო ცრემლი შენი თვალების.

ამ დღეს ვერაფრით გაიმეორებ,
მიჭირს, რომ ასე ჩუმაღ მშორდება,
როგორც უჭირდათ ომში მეომრებს
სატრფოსთან უხმოდ დამშვიდობება.

სინათლევ ჩემო, ორთავ
თვალისა

იყუჩე!

დარდი ღმერთმა გაკმაროს,
შენ უნდა იქცე ისევ ხალისად,
განათებულა მთელი სამყარო,
სინათლევ ჩემო, ორთავ თვალისა!

იყუჩე!

დარდი თოვლის ფიფქია,
შენს წამწამებზე ბევრჯერ დამდნარა,
მარტოობაში რაც გიფიქრია,
იმ ფიქრს გაუღე მხოლოდ თანჯარა.

იყუჩე!

მზეში თვალი მილულე,
დარდი წულარ გაქვს გრიგალ-ქარისა!
ხედავ?




10.345

მზე ალღობს გულცივ ყინულებს,
სინათლევ ჩემო, ორთავ თვალისა!

იყუჩე!

დარდი ღმერთმა გაკმაროს,
დროა გადიქცე ისევ ხალისად.
ჩემო იმედო, ჩემო ლამპარო,
სინათლევ ჩემო, ორთავ თვალისა!



რომ გუზგუზებდეს დაუსრულებლად...

ისევ ყვირიან სიზმრად მამლები,
ძველ ორღობეში ძალი წკაფწკაფებს,
მე კი, ვით ყოლოს, ვკრეფ გამოლებით
შენს ფერდობებზე დაყრილ ვარსკვლავებს.

ჩემი ვაშლის ხე ისევ შრიალებს,
და ოცნებებში მთვარეც ჩავიდა.
სათიბებს ქარი ჩაიქრიალებს,
ხმაური მესმის მულხრის ქალიდან.

ცეცხლივით ღვივის იქვე მოცხარი,
სადღაც შორს ყვითლად
ელავს იელი.
გაწბილებული და მკვდარ-ცოცხალი,
ვით მონადირე ხელცარიელი

კვლავ შინ ვბრუნდები.
ცეცხლთან მიმიშვით,
რომ მივაფიცხო ხელი დამზრალი
და მოვიცილო ცეცხლის ღიმილში
მზრებიდან ღამე უზარმაზარი.

ცეცხლს შეუყეოთ!
აემა სულემმა,
რომ არ იპოვნონ თავშესაფარი...
რომ გუზგუზებდეს დაუსრულებლად
ჩემი ცხოვრების გრძელი ზღაპარი.



გიორგი კაჭახიძე

იმ ვარსკვლავების შუქი

ვიყავ ჩიტვით თავისუფალი,
არ ვაწუხებდი ბედს შედავებით.
მოვინახულე შენი უბანი,
შემომენთე და უცებ დავები.

ისე შემეკრა ცეცხლში გზა-კვალი
ველარც მოგყევი, ველარც მოგეშვი...
ლამით ვხედავდი, გუნდად
ვარსკვლავნი
როგორ ცვივოდნენ შენს ორლობეში.

მე იმ ვარსკვლავებს ჩუმაღ ვიჭერდი,
როგორც იმედის ციციანთელებს,
შემომასიე ბოლოს ეჭვები
და სასოების ღობე ჩათელეს.

გულში საადრო ღრუბლის
შემოჭრა
არ გაიკვირვა ფიცხმა გონებამ,
და იმ ვარსკვლავთა შუქი შემომჩნა
იმ გატაცების მოსაგონებლად.

საიდან მოდის ეს სურნელება

ქალარა ისე მომეძალა. ისე
გავეთვრდი,
ვერ იქნა, ხელში ვერ მოვიგდე ბედის
სიავე.
ნეტავ ამქვეყნად რატომ ფიჭრის
კაცად გავეთვნი,
რატომ ვარჩიე ლექსის ცეცხლი
ყოველ სიამეს!

დიდი ყოფილა შემართული სულის
დუღილი,
სათქმელმაც დროზე თუ აისხა
სიტყვის ფარ-ხმალი.
არ მიკვირს, ხშირად ვის რად ვუტყევ,
ვის რად ვუღიმი,
პირვეულია გზის ძებნაში ახრი
ახალი.

საიდან მოდის გაზაფხულის ეს
სურნელება,
გულის შეჭირხვლას შემოდგომა
რომ ვერ მიბედავს?!
ალბათ, ჩახჩახა სიჭაბუკე ველარ
მელევა
და კაცთა მოყვრად გაჩენილი
მომღვეს იმედად.

მისთვის არ ვამბობ: სიღ მოღწეულს
რა მემღერება,
ნუ დამცხრომოდეს გრძნობის
ცეცხლი, გულის ნაკვესი.
რას დაციმიციმებ გარე-გარე,
ბედნიერება,
მოდო და ერთი გამაბრუნე შენი
ალერსით!



მთარ ჩიჯაპაძე

თვითგვგდელები

რომანი

* * *

აღბათ, არსებობს წონასწორობის რა-
ღაც კანონი: რამდენადაც მიადვილდება
აქ, დამნაშავეთა კოლონიაში, იმდენად
მიძიმოს სახლში ყოფნა.

კოლონისტები დიდი პატივისცემით
მეპყრობიან. ბუღასთან ჩხუბმა შედეგი
გამოიღო, მეც შევეცვალე ბიჭებთან
ჩემი დამოკიდებულება. მივხვდი... ისი-
ნი ჩვენსავით აღამიანები არიან, აქეთ
ნაკლოვანებები, რისთვისაც თავისუფ-
ლების შეზღუდვით ისჯებიან, და კარგი
თვისებებიც, რომელთა შემჩნევა არავის
უნდა.

ჩხუბის მეორე დღესვე ლოყატოკია
პედაგოგს ხელიდან გამოვტაცე პატარა
იდიოტი, რომელსაც ძალზე ენერგიუ-
ლად უსრესდა ყურს. ახლა პატარა იდი-
ოტი ფინიასავით ერთთავად უკან დამ-
დევს. თუმცა ეს მომამბურებელიც
არის, მაგრამ პედაგოგიკაში ჩემი პირვე-
ლი გამარჯვება მაინც მაზარებს.

„ნიკოლოზისეული სამეფულიდან“ და-
ნარჩენი ორი პედაგოგი რამდენჯერმე
ჩავაჩუმე, როცა ჩვენი გაკვეთილის
დროს მოღაოდნენ და ენაკვიმატობდნენ
მოწაფეების მიმართ.

ნამდვილი, ბავშვურად ჟანსალი, უშუ-
ალობა ვამოაჩინეს კოლონისტებმა,
როცა მილის ნაჭერი ვიშოვე და მათი
დახმარებით ეზოში სავარჯიშო ღერძი
გავმართე. ბიჭებს ბევრნაირი იღეთი
ვუჩვენე, მერე სწავლებას შევუდექი.

საერთო ხარხარში, ცოტა თუ ბევ-
რად, გამბედავებმა ღერძზე მოუხეშავი
კლავენა დაიწყეს. როგორც ყოველ-

თვის და ყველაფერში, სხვებზე მარჯვე
ვასკა გამოდგა.

ბიჭების სიხარულს საზღვარი არა
ჰქონდა, როცა ჩემოდნიდან ბურთი ამო-
ვიღე, გავბერე და მათ მივეცი.

სიამოვნებას მოგგვრიდა ყურება, რო-
გორ დასდევდნენ ბურთს ბოროტმოქ-
მელებსა და ყოყოჩობის ნიღაბჩამოსხ-
ნილი კოლონისტები, ახლა მათ საკუთა-
რი, ნამდვილი სახე ჰქონდათ — აღტა-
ცებული, სახეწამოჭარხლებული ჩვეუ-
ლებრივი ბიჭუნები მთელის გატაცებით
თამაშობდნენ.

ჩემი აღმოჩენა „ახალს“ გავუზიარე.

— სწორეა, — თქვა მან, — ოღონდ
ამას ნურც ძალიან დაუჯერებთ.

— თქვენგან მაგას არ მოველოდი! —
უნებურად წამცდა მე.

— პირწავარდნილი ავაზაკიც კი
დროგამოშვებით ნამდვილ აღამიანს
ჰგავს ხოლმე.

„ახალმა“ ჩემს დაბნეულობაზე გა-
დაიხარხარა:

— აი, რომ შეგვეძლოს ჩვენი ბიჭები
არა მარტო ფეხბურთის თამაშის დროს,
არამედ სამუდამოდ გარდაქმნათ ასე-
თებად!..

მეორე დღეს, ფეხბურთს რომ თამა-
შობდნენ, ვეღარ მოვიტოინე და მეც ჩა-
ვერიე. ფეხზე ფეხსა მცემდნენ, მაგრამ
ყველაფერი მათი გამოუცდლობის ბრა-
ლი იყო. ბიჭები უკვე შალმერთებდნენ.

ვასკა ერთსულოვნად აირჩიეს გუნ-
დის კაპიტნად. მე მას საფეხბურთო მი-
სური ვაჩუქე. ბუღას ჩემი ნახმარი ბუ-
ტსები მივეცი. ამით საბოლოოდ განვ-
მტყიცე ჩვენი შერიგება.

ბუღამ თავის მეგობარს მარცხენა

ბუტსი უწილადა და ახლა ბუღა და ვასკა თავგანწირულად ურტყამდნენ ბურთს ხან ბუტსით, ხან შიშველი ფეხით.

კოლონისტებთან, ურთიერთდამოკიდებულების გარდა, კიდევ სხვა რამეებიც აღორძინდა.

ერთ საღამოს, ოთახში შესვლისას დავინახე, რომ თაროზე მურაბის ქილა დგას, გატეხილის ნამდვილი ტყუპი.

ჯერ ვიფიქრე, რომ „ახალმა“ მოიტანა. ვკითხე კიდევ. მან არაფერი იცოდა.

ნაკლები სიურპრიზი არც საქათმეში მელოდა: მომაცვდავი ქათამი უცებ გაჯანსალდა, კვერცხი მოიწყო და ყოველდღიურად ორ, სამ და ხან ოთხ კვერცხსაც მიღებდა სოლმე. კვერცხების რაოდენობა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენი ბიჭი უვლიდა მას იმ დღეს.

ფეხბურთი რომ არა, კვირაობით არც კი წავიდოდი სახლში, სადაც მუდამ რაღაც უსიამოვნება მეღის ხოლმე. აქ, როგორც წესი, ყოველ საღამოს „ახალთან“ ვატარებ. ის, მართლაც, საინტერესო და ბევრის მნახველი კაცია. მენშევიკების ბატონობისას „ახალი“ ციხეში მჯდარა რაღაც პოლიტიკური დანაშაულისთვის. მის მეგობრებს დიდი პოსტები უკავიათ, თვითონ კი ოცნებობს, ექიმი გახდეს.

მომავალ შემოდგომაზე ერთად ჩავაბარებთ გამოცდებს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჩემზე ცხრა წლით უფროსია.

— მე არასდროს არ დავებრდები, იმიტომ რომ ჩემი გვარი ახალკაცია... ახალი კაცი — ხუმრობს იგი.

მე დავპირდი, რომ ჩამოვუტანდი ვერსავეის „ექიმის წერილებს“ და მედიცინის მოკლე ენციკლოპედიას მამაჩემის ბიბლიოთეკიდან.

კვირას სახლში გავემგზავრე. შემოდგომის ნათელი დღეა იყო. სწრაფად მირობოდნენ გვერდზე კაშკაშა მზით განათებული ფაბრიკების ხარაჩოები.

მოთმინება აღარ მყოფნიდა, სანამ სადგურიდან შინ მივიდოდი. გამიკვირდა, რომ მიუხედავად აღრიანი დილისა, შუთა და რუსუდანი შინ არ დამხვდნენ.

დედა ძალიან განაწყენებული იყო, მაგრამ არ მეუბნებოდა, რა მოხდა.

კაბინეტში შევედი. ვერსავეიკი ვენე, მაგრამ მედიცინის ენციკლოპედია, ისევე, როგორც ბევრი სხვა საუკეთესო წიგნი, კარადაში არ აღმოჩნდა.

— ბუტისიტებთან წაიღო, — ამიხსნა კაბინეტში შემოსულმა დედამ და დაუმატა, — სულერთია, ახლა ვერაფერს უშველი, სჯობია არაფერი უთხრა, გუშინ რუსუდანი კინალამ მოკლა... მე მეტი აღარ შემიძლია!

— რუსუდანი სადღაა?

— დედა სონიასთან... შოთა კი სადაც წავიდა, იმასთან, თავის...

— დიდი ხნით?

— აბა, რა ვიცი!

— მითხარი, რა მოხდა?

— მხოლოდ სიტყვა მომეცი, რომ შენ არაფერს არ...

— კარგია, მითხარი! ბოლოს და ბოლოს, მეც ხომ ოჯახის წევრი ვარ! — მაშინვე ვიგრძენი, რომ ძალზე სუსტი არგუმენტი დავიხმარე, მაგრამ მაინც გასკრა.

— შენ ხომ იცი, რომ მეორე სართულის მდგმურები წესიერად არ იხდიან... ჩვენ კი ფული გვპირდება. გუშინ რუსუდანმა ზენიკალი მოიყვანა, რომ ცეცხლგამძლე კარადა გაეხსნა.

— უჩემოდ?

— ეს აღარ მომაგონდა... კარადა უკვე დიდი ხნის გაღებული იყო და ცარიელიც.

— ეს შოთამი..

— იმან გახსნა. მერე კი, კარი როგორღაც ააქედა, მაგრამ მან თქვა... — დედა ცდილობდა შოთას გამართლებას, — რომ ეს უკვე დიდხანია, მამის გარდაცვალების ორი კვირის შემდეგ იყო!

— რა იყო შიგ?

— არ ვიცი. შოთა ხომ არ იტყვის...

რაღაც უცნაური განუჩრეველობა დამეუფლა. არც კი მინდოდა გამეგო, რა იყო იქ, ისე, ჩემდაუნებურად ვიკითხე. საჭირო იყო, რაც შეიძლება, ჩქარა გავცლოდი სახლს, სადაც ყველაფერი

სულს მიხუთავდა თავის შავბნელი ვან-
წირულებით.

— დედა, ერთი პერანგი დამიუთოე.

გაკვირვებულმა დედამ ერთი შემოპ-
ხედა და გახარებული წავიდა უთოს და
სადგმელად.

მთელი მატჩის პირველი ნახევარი
მოდუნებულად ვითამაშე და ლელიკო
რომ არა, რომელმაც კარგად შემახურა,
უშეველად შევრცხვებოდი.

„დურუჯის“ გუნდის ორგანიზატორა,
უფროსი, მწვრთნელი, მენ და თითქმის
ყველაფერი, — ლელიკოა. „დურუჯი“
კი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უპ-
ლიერესი გუნდია. სამართლიანობისთ-
ვის უნდა დავუმატო, რომ ლელიკო
„რესტორნის პატრონიც“ არის. მისი
ახალგაზრდა, ლამაზი მეუღლე სოფლი-
დან მიღებულ სურსათს ხარშავს დაღ-
ქვაბში და კმაყოფილი ქმრის მეთვალ-
ყურეობით ჰკვებავს მშვიერ ფეხბურ-
თელებს, ხოლო თვითონ რასა სქამენ მე-
რე, ეს იცის მათი ერთადერთი ოთახის
შიშველმა კედლებმა, რკინის საწოლმა,
მაგიდამ და სამმა სკამმა.

მატჩის მეორე ნახევარი კარგად ვი-
თამაშე. ავეწყვე, თავს ძალა დავატანე
დამევიწყებინა ყველა ჯგერო, მერე
სწრაფად ჩავიციე და, ამხანაგებისთვის
არ დამიციდია, ისე გავემართე იქით, საი-
თაც მუდამ მიმიწევდა გული.

მხოლოდ თამარს შეეძლო ჩემი გაცე-
ბა. არა, რა თქმა უნდა, მე არაფერს ვუა-
მბობდი, მხოლოდ მის გვერდზე ყოფნა
საკმარისი იყო, რომ ყველაფერი დამევი-
წყებოდა და ბედნიერი ვყოფილიყავი...

ეზოდან შევედი და დავაკაჯუნე.

— თამარმა იცის, რომ ჩამოხვედი და
მთელი დღე სარკესთან ტრიალებს, —
კარის გაღებისას მითხრა შინამოსამსა-
ხურემ, რომელიც კარგა ხანია ყველა-
ფერს მიხვდა. — საინტერესოა, როცა
ბავშვობიდან უყვართ ერთმანეთი... თა-
ნატოლებს... ოღონდ გოგო ადრე მწიფ-
დება... და სხვას ვაჰყვება ხოლმე... ეჰ,
რას იზამ, ასეთია ცხოვრება!

შინამოსამსახურე მოხუცია, ღვარძ-

ლიანი. ჯანდაბას იქით გავგზავნე ჩემს
გუნებაში.

— თამარიკო! მოვიდამ ეს ^{მარტენული} ~~სწორედ~~ კის,
ვისაც შენ ელოდებოდი! — თამარიც
გაკენწლა მოხუცმა და კმაყოფილი, სა-
მზარეულოს კარს მიეფარა.

— ოთარ!.. ოჰ, რამოდენა გაზრდილ-
ხარ!..

თამარი შეხვედრისას მუდამ ამ სიტყ-
ვებით მხვდება: ვგრძნობ, რომ დიდია
ვარ და ღონიერიც...

მეც მქონდა სათქმელი — ძალზე
ალერსიანი და ამავე დროს ამაღლებუ-
ლი და ვაკეცური.

მეტი დამაჯერებლობისათვის ხელი
ჩავიყავი ჯიბეში... და ჩერვონეცმა გაი-
შრიალა, რომელიც ჯამაგირამდე „ახალ-
მა“ მასესხა.

— გინდა, წავიდეთ, ნაყინი ვქამოთ!
—ახლა, რასაკვირველია, არავითარ მა-
ღალ მატერიებზე ლაპარაკი არ შეიძ-
ლებოდა. — მერე კინოში წავიდეთ.

— კარგი, მხოლოდ დედას ვეტყვი, —
დამთანხმდა თამარი.

გამოვედით და უცებ წავაწყდით ან-
ტონს, ნიკოს და სანდროს. ისინი კუთ-
ხეში იდგნენ. და ვერასგზით ვერ ავი-
დებოდით.

ბიჭებს ჩემი დანახვა მეტისმეტად გა-
ეხარდათ და ცდილობდნენ ეჩვენებინ-
ათ, რომ სულ არ აინტერესებთ თამარი.

— მაშ, მივდივართ? — თქვა თამარ-
მა.

მეგობრებს დარბაისლურად გამოვე-
თხოვე, თამარს ხელი მოვკიდე და წავე-
დით.

ნუთუ ახლაც ვერ მიხვდებიან, რომ
თამარი გულიდან უნდა ამოიგდონ?

დღეს მე უშეველად უნდა ამეხსნა მი-
სთვის სიყვარული.

თამარი მიამბობდა ახალ კაბაზე, რო-
მელიც მათ ზემოთ მცხოვრებმა „ანჯ-
ლიჩანკამ“ შეიკერა. მე კი ვფიქრობდი,
როგორ დამეწყო სიყვარულის ახსნა.

მომავლიდან ამასწინანდელი ლაპარაკი
შოთასთან:

— როგორა გაქვს საქმეები თამარ-
თან? — შემაჩერა მან „ლურჯბლუზე-

ლებს“ შესასვლელთან, სადაც ვილ-
კას ელოდებოდა.

— ძალიან კარგად.

— მაშ, გიყვართ ერთმანეთი?

— მერე შენ რა!

— გასაგებია... უკვე აუხსენი სიყვა-
რული?

— ჰო... არა... ისე...

— აკოცე?

— რას ამბობ!

— ნახად უნდა მოჰკიდო ხელზე ხე-
ლი და უთხრა, რომ გიყვარს და უმი-
სოდ ცხოვრება არ შეგიძლია.

— ეგ მართალია! — მიაბიტად წამომ-
ცდა მე და მაშინვე მივხვდი, რომ ამ-
გვარი საუბრის გაბმის ნება არ უნდა მი-
მეცა მისთვის. ის კი განაგრძობდა:

— როცა მართალია... მაშინ ვაცილე-
ბით უარესად გამოდის და ნაკლებად
დამაჯერებელია. — თან ირონიულად
ილიმებოდა.

— თუ ძმა ხარ, ნუ მოგაქვს თავი ქა-
ლების გულის მომაჯადოებლად! — ვერ
მეპატიებინა ჩემი თავისთვის წელან-
დელი „ეგ მართალია“.

— არაფრადაც არ მომაქვს თავი... მე
უბრალოდ, როგორც უფროსი ძმა, გა-
მოცილებას გიზიარებ. სიტყვა „მიყ-
ვარხარ“, ვნებისა და მღელვარებისაგან
აყანკალებული ხმით უნდა წარმოსთქ-
ვა. მერე ხელი მოჰხვიო და აკოცო... სა-
ერთოდ, ქალი სულელია, როცა შეყვა-
რებულია.

— რა ვინდა მაგითი თქვა? — მე ტა-
ნად უკვე მისი ტოლი ვიყავი. წავიდა
მისი ფიზიკური უპირატესობის დრო.
ერთი გაბედოს და კიდევ თქვას რამე!
მაგრამ შოთამ თვალი მოჰკრა თავის
სქელფეხა „გულის სატრფოს“, და მე
მისთვის აღარ ვარსებობდი.

ახლა, როცა თამარის გვერდზე მივ-
დიოდი, ვფიქრობდი, რომ სიყვარულის
ახსნა არც ისე ძნელი უნდა ყოფილი-
ყო.

უნდა მოგკიდო ხელზე და... გამარჯვე-
ბულნი ხომ მხოლოდ გულადები არიან.
მართლაც და, მოხუცმა შინამოსამსა-
ხურმაც კი იცის, რომ მე და თამარს

ერთმანეთი გიყვარს. მე კი მერთდება
და ჯერ არაფერი მითქვამს თამარისთ-
ვის.

გონიერებისა

კარგახანს ვიდევით ბილეთების რიგ-
ში, ისე ახლო ერთმანეთთან, რომ სუ-
ლი მეხუთებოდა. მერე კინოში შევე-
დი.

დუბროვსკისა და ოლღას სიყვარულის
განცდებმა ხალხით გაქვდილი დარბაზი
გაიტაცა, გარდა ერთი ადამიანისა, —
ეს მე გახლდით. მთელი ჩემი ყურად-
ღება მიქცეული იყო სკამის სახელურ-
ზე დაყრდნობილ, დარბაზის ბინდბუნ-
დში თეთრად მონარნარე თამარის ხელ-
ზე.

უნდა ამელო მისი ნაზი ხელი... მაგ-
რამ ვერაფრით ვერ ვებედავდი. ვაკვირ-
ვებულმა თამარმა რამდენჯერმე გად-
მომხედა, რომ მე თავჩაქინდრული ვზი-
ვარ, მერე სურათით გატაცებულმა, ყვე-
ლაფერი დაივიწყა.

ბოლოს, თავს ვძლიე და უცებ ღრ-
ნივრად მოვკიდე ხელი თამარის ხელს.

— ოი! — მთელი დარბაზის გასაგო-
ნად დაიკივლა შეშინებულმა თამარმა.
საბედნიეროდ, სწორედ იმ წამს დუბ-
როვსკიმ ესროლა მასთან შეჭიდებულ
დათეს. თამარის ხმა დაჟვარა მასურბე-
ელთა საერთო კვილმა, რაც დუბროვ-
სკის გადარჩენის შემდეგ შვების ამოო-
ხერაში გადავიდა.

— რა მოგივიდა? — მკითხა ცოტა
ხნის შემდეგ თამარმა.

— მე... მე ძალიან შემეცოდა... დათ-
ვი! — ვერ მოვინახე პასუხი.

— ჰო, შენ ძალიან გიყვარს ცხოველე-
ბი, — აღერსიანად შემომხედა თამა-
რმა.

— ძალიან! — დავეთანხმე მე. ახლა
კი ნამდვილად უხერხული იყო მეტქვა,
რომ თამარი მიყვარდა.

შინ რომ ვბრუნდებოდი, ცირკში
ჯერ კიდევ გრძელდებოდა წარმოდგენა,
რასაც მოწმობდა ცირკიდან გამოსული
გუგუნე. უეცრად ყველაფერი დაჟვარა
ცირკის თუნუქის სახურავზე მორბგნა-
ლთა ფეხების ბრაგუნმა. მსახურნი მის-
დევდნენ ბიჭებს, რომლებიც უბილუ-

თოდ უყურებდნენ ცირკის წარმოდგენას. ბრახუნის ხმა უფრო მატულობდა, მატულობდა მორბენალთა რიცხვიც.

ალბათ, თვითველ ფანჯარასთან ცირკის ცოტა მოტრფილად არ იწვა, რომლებიც მხოლოდ უკანასკნელ წამს მოსწყვეტდნენ ხოლმე თვალს წარმტაც სანახაობას.

ბიჭებმა ყურისწამლები გრუხუნით შემოირბინეს ცირკის წრიული სახურავი, შემდეგ დაიწყეს ჩამოხტომა სალაროს უფრო დაბალ სახურავზე, იქიდან — მიწაზე და თავველდომილები გარბოდნენ. ბევრი მათგანი კოჭლობდა კიდევ.

თუმცა მე და თამარი ცოტა მოშორებით ვიყავით, მაგრამ მომეჩვენა, რომ გაქცეულთა შორის იყვნენ ვასკა და მისი რამდენიმე ამხანაგი კოლონიიდან.

თამარიანთ სადარბაზოსთან ცოტახანს შევეყოვნით. მერე ხელის ჩამორთმევით დავემშვიდობე და შინ წავედი.

მეორე დილას ადრიაანად გავემგზავრე კოლონიაში. პირველი, ვინც სამასწავლებლოში შემხვდა, იყო „ახალი“. მას დადლილი და იმავე დროს კმაყოფილი შეხედულება ჰქონდა.

— დაბრუნდნენ!.. შეიდივე... დილის ოთხ საათზე. ფეხით ჩამოვიდნენ.

„ახალი“ ილიმებოდა.

— დირექტორმა შეიტყო?

— იმას ჯერ სძინავს, ისევ ქეიფობდნენ ფანჯატურში. სასურველია, რომ ვერ გაიგოს... თორემ მისი სულელური რეპრესიების გამო ბიჭები სამუდამოდ გავვექცევიან.

— ჩანს, თქვენ მთელ დამეს არა ვძინებიათ, — ჩურჩულით დავამთავრე მე, რადგან ამ დროს შემოვიდნენ ორნი „ნიკოლოზისეული სამეულიდან“.

— არც ვაგუას ეძინა. — ამას ამბობდა პედაგოგზე, რომელსაც „სპილო“ ერქვა.

მოვიდა შალიკო, რომელმაც აქ სამუშაოზე მომაწყო. შალიკო, ალბათ, კიდევ სადმე მუშაობს, რადგან მთელ ამ დროის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ ვნახე.

შალიკომ გამომკითხა, როგორ მტდის საქმეებში, და ის იყო წასვლად დაპირდა, რომ შემოვიდა დირექტორის მსახურში. პედაგოგის თანხლებით. მე გამოკვირდა, რომ მდებარე მივსალმა დირექტორის შალიკო, მაგრამ დირექტორმა სალაში არავის აღიარა და ყველას მენდიდურად მოავლო თვალი.

— გაგუა სადღა? — იკითხა მან და თავის ტკივილისგან დაიღრჩვა.

— ახლაც დავუძახებ! — უფრო ძლიერ, ახლა უკვე პირფერობით აუტოკლა ლოყა დირექტორის უკან მოკრძალებით მდგარ პედაგოგს. ის სწრაფად გაექანა კარისკენ, მაგრამ ვასასვლელი უკვე მთლიანად დაიკავა ვაგუას ვოლიათურმა ტანმა. მისი კეთილი სახე გაცრეცილი და ბავშვურად ნალელიანი იყო.

— ეს რა ხდება, ამხანაგებო? — დაიწყო დირექტორმა და მხოლოდ „ახალს“ შეხედა.

ლოყატოკია პედაგოგმა, რომელმაც, ალბათ, მოახსენა დირექტორს ბავშვების გაპარვის თაობაზე, თავის ორ თანამშრობავს გადახედა.

დირექტორი თავიდანვე ამკლანებდა „ახლის“ წინააღმდეგ ჩაწყობილ საქმეს და მიმართავდა მხოლოდ მას. „ახალი“ კი შეიძლებოდა გაემტყუნებინათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის დამალავდა ბავშვების წასვლას.

— და განა თქვენ უკვე არ მოგახსენეს? — მშვიდად ჰკითხა „ახალმა“.

— თქვენ მიგაჩნიათ, რომ არ უნდა მოეხსენებინათ? ვინ არის აქ დირექტორი, თქვენ თუ მე! — დაიღრჩიალა დირექტორმა.

— თქვენთვის ეგ არავის უთქვამს! — წინ წამოდგა ვაგუა, მაგრამ დირექტორის მისთვის ყურადღება არ მიუქცევია. მას მხოლოდ თავისი მტერი, „ახალი“ აინტერესებდა.

— როდის უნდა მომეხსენებინა თქვენთვის? — ჰკითხა „ახალმა“.

— როდის? როგორ თუ როდის?... როცა ისინი არ აღმოჩნდნენ წესდებით

ვათვალისწინებულ... როცა აღმოაჩინეთ, რომ ისინი არ არიან.

— მაგრამ, მაშინ თქვენ უგონოდ მთვრალი ბრძანდებოდით, — მშვიდად მიუვო „ახალმა“.

მოულოდნელობისაგან დირექტორი ჯერ დაიბნა, მერე კი აღშფოთებულმა დაიწყო კომედის გათამაშება:

— ეს მადნებლობაა!.. კონტრავოლუციას! მე შენ სამსახურიდან მოგხსნი!..

— გადავიდა შენობით ლაპარაკზე დირექტორი. — მე შენ პასუხს ვაგებინებ ამ პროვოკაციისთვის!

— ჯერ თქვენ ვაგებინებენ პასუხს კოლონისტების ხარჯზე ქეიფისათვის!

— აუჰ! — არაადამიანურად დაიღრიალა დირექტორმა, უკან ვადახტა და რევოლვერისათვის ჯიბეზე ხელი გაიკრა. ვაგუა მისი კომპლექციისათვის საკვირველი სისწრაფით გაჩნდა დირექტორის წინ, სწვდა მაჯებში და ორივე ხელი გაუკავა.

რამდენიმე უშედეგო გაბრძოლების შემდეგ, დირექტორმა თეატრალურად დაუშვა თავი მკერდზე და ყრუდ წაიდუღუნა:

— გმადლობთ, რომ არ მომაცვლევინეთ ეგა!.. — და დიდი პაუზის შემდეგ დაუმატა. — გამიშვით, მე უკვე დაწყინარდი! მას საფრთხე არ მოეღის!

მე „ახალის“ გვერდზე ვიდექი, როცა დირექტორმა წამებული ადამიანის გამომეტყველებით გვერდზე ჩაგვიარა.

ღია კარიდან ჩანდა, რა დინჯი ზემოქრობით ადიოდა დირექტორი კიბეებზე.

ეზოდან ღია ფანჯრებში იყურებოდნენ ბიჭები, რომლებმაც ყველაფერი დაინახეს და გაიგეს. ვაგუამ ფანჯრები მიხურა და ბავშვებს ხელით ანიშნა წასულიყვენ.

— თქვენ არა ხართ მართალი! — მივიდა „ახალთან“ ლოყატოკია პედაგოგი.

— მომწყდით თავიდანს! — ზიზლით უთხრა მას „ახალმა“.

— მეეჰ. რატომ? — გაიკვირვა პედაგოგმა.

„ახალი“ მიბრუნდა და წავიდა. ვაგუათან გაჰყვა.

„ნიკოლოზისეული სამეული“ აშვარად ცუდ გუნებაზე იყო და დაბნეულად უსმენდა, თუ რას ეუბნებოდა მათქმალთ.

— აბა, როგორ შეიძლება ხელფასის ასე დაგვიანება... მე ხომ ქალიშვილი მყავს ავად!

ქალაქში წასული ბიჭები არ დაუსჯიათ, რადგან დირექტორი დიპლომატიურად ვახდა ავად და თავის სამყოფელოდან არ გამოდიოდა. სამაგიეროდ „ნიკოლოზისეულმა სამეულმა“ ცხარე საქმიანობა გააჩაღა. ისინი დაბინდების შემდეგ ცალ-ცალკე მიდიოდნენ „ახალთან“ და ურჩევდნენ დირექტორის წინააღმდეგ საჩივარი არ შეეტანა.

სამშაბათ საღამოს დიდი უბედურება დაგვატყდა: დაიწვნენ ვასკა და ვაგუა, რომელიც ვასკას გადარჩენას ცდილობდა.

ვასკა მოკვდა მიხეილის საავადმყოფოში. მეორე დღემდეც არ უცოცხლია. ვაგუას დაშვარი აქვს მკერდი და კისერი, მაგრამ მის სიცოცხლეს საფრთხე არ მოეღის.

პოი, ბავშვებო მიამიტობავ, რა შემაძრწუნებელ უაზრობამდე — სიკვდილამდე მიიყვანე მისი ავტორი!

ვასკას ცარიელ საღურგლოში ცირკის წარმოდგენა ვაუმართავს. ალბათ, ვინც მასთან ერთად არ იყო ცირკის სახურავზე, იმ ამხანაგებისთვის უნდოდა ესიამოვნებინა.

ცირკის კლოუნების საკმაოდ მოსწრებული იმიტაციის შემდეგ, ვასკა გადასულა საგვირგვინო ნომერზე — პირიდან ალი უნდა ეფრქვია, ისევე, როგორც ამას ცირკის „ფოკუსნიკი“ ჩადიოდა. პირში ჩავუბეჭდული ნავთი სახიდან მოშორებით ჩირაღდანზე უნდა ეფრქვია, მაგრამ ტრავედია ის იყო, რომ ნავთის მაგივრად ვასკას ბენზინი ჩაუგუბებია.

ყვირილზე შემოვარდნილ ვაგუას როცა მამხალასავით აღჭოლებული ვასკა დაუნახავს, მკერდზე მიუკრავს, რომ ცეცხლი ჩაექრო.

— ნეტავი, რად იყო ბიჭის ბედიღა-

ლი ყოველთვის ცეცხლთან დაკავშირებული? — გულამომჯდარი ვეკითხებოდი „ახალს“.

— ტრაგიკულ გარემოებათა დამთხვევა, გარემოებათა, რომლებსაც ხანდახან ჩვენ თვითონ ვუწყობთ ხელს, — გულამოსკვნით წაიდუღუნა „ახალმა“.

* * *

მეორე დღეს დირექტორმა ღირსეულად მიიღო ქალაქიდან ჩამოსული კომისია და ერთი დღის შემდეგ ზედმეტად ჩათვალა კოლონისტების მიერ სატრაქტორო საქმის შესწავლა.

მაინც გადაწყვიტეს ჩემი გაგზავნა კოლონიის კუთვნილი მიწის მოსახნავად ღრმადლეღში. ეს კარგიცაა... რატომღაც არ მინდა კოლონიაში დარჩენა, რომელიც ვასკას გარეშე ვერ წარმოვადგინა.

ჩემს გულისტკივილს არავის ვუმხელ. მხოლოდ „ახალმა“ იცის ჩემი განცდები, თვითონაც არა მალავს თავის წუხილს და ერთთავად იმეორებს:

— რატომ?... რატომ არ ავუხსენი ბიჭებს, რომ ბენზინი... — და ისევ სკუმბინის შუბლს და სწევს ნიკაპს წინ, რომ ისინი თითქმის ერთმანეთს უერთდებიან.

* * *

ქალაქისა და კოლონიის შუა მანძილზე რკინიგზის ღია ბაქანია. იმის იქით დეღე, მერე ვიწრო კლდოვანი ბილიკი, რომლითაც ადინხარ ღრმადელის ვიწრო პლატოზე. უკვე რამდენიმე დღეა, რაც მე იქა ვხნავ. ჩემი სახნავის სამხრეთ-აღმოსავლეთით ნორჩი ბაღებითა და ახალი მესერებით გარშემორტყმული ნახევარკალად განლაგებული პატარა სახლები.

სალამოობით შინ მივემგზავრები, ტრაქტორს კი პატარა სახლის ეზოში ვაყენებ. სახლი ეკუთვნის ყოფილ მიკიტანს; მას „ბედნი არამს“ ეძახიან და ძალიან სწყინს, თუ ვინმეს დაავიწყდება სახელის თავსართი „ბედნი“.

„ბედნი არამა“, როგორც ეს წესად აქვს თავისთავის პატივისმცემელ ყველა მიკიტანს, ღიბიანია, რომლისთვისაც ღაბაბი აქვს, კისერი ხარის ქედს მიუვაგვს, იკეთებს ხელოვნურ ხალს, და თიქარის წყალობით მუდამ გაჩაჩხული დადის. ერთი შეხედვით იფიქრებთ, აბა, რა უნდა იყოს საინტერესო ამ ადამიანში, რომელიც არ ღრუტუნებს, თორემ სხვაფრივ არ განიჩჩევა კარგად გასუქებული ტახისაგანო, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ გახლავთ.

მეც მხოლოდ მაშინ დამიანტერესა მან, როცა მისი ცხოვრების ზოგიერთი დეტალი შევიტყვე. ბევრი რამ თვითონ მიაშპო, რადგან თავისი ხმაურიანი სამიკიტნოს შემდეგ, ამ უკაცრიელ ადგილას მოწყენილობას გრძნობდა.

სალამოობით, მუშაობის დამთავრებისთანავე, შინისკენ მივიჩქარი ხოლმე, და „ბედნი არამას“ ჩემი სასაუბროდ დავერა უფრო დილაობით, როცა მე ტრაქტორს ვუტრიალებ, ანდა სადილობის შესვენებისას უხდება ხოლმე.

— აი წინათ, მე ერთი მდიდარი მუშტარი მყავდა... — მიაშპობს ჩემსა და ტრაქტორს შუა ჩამდგარი „ბედნი არამა“ და აინუნშიც არ აგდებს, რომ ხელს მოშლის მუშაობაში. — როგორც კი დათვრებოდა, ლაქიისთვის უეჭველად უნდა კბილებში შემოეკრა!.. ისეთი ზორბა იყო... და ჭიგრიანიც, ღმერთმა სულით გაანათლოს. მოჰკლეს, როგორც კი რევოლუცია დაიწყო.

— ახიცა ყოფილა! — ვთქვი მე, როცა წარმოვიდგინე, როგორა სცემდა ლაქიას.

— ეებს, უღმერთოები ხართ, ეხლანდელი ჩველები... აღარაფერი გწამთ.

— რა, იქნება ფული ვიწამოთ?..

— მერე და შენ იცი, რომ... — გადავიდა ტკბილ ღრუტუნზე „ბედნი არამა“.

— გამოფხიზლების შემდეგ თითო ჩამტვრეულ კბილში, ოქროს თუშნიანს აქლევდა! თანაც ეუბნებოდა: „პირი დააღე, კბილები დაგიტვალო, რომ ანგაოიშში წარ მომატყო!“ ეეპ, კაცი იყო. იმ-

ისთანები ახლა აღარ არიან! — ამოხვრით დაამთავრა „ბედნი არამამ.“

მიუხედავად შერქმეული სახელისა, „ბედნი არამამ“ მდიდარია. გაკნაქული, ხანშიშესული ცოლი უენო, მუშა პირუტყვის მდგომარეობამდე მიიყვანა. მას მხოლოდ მაშინ ელაპარაკება, როცა გემრიელ, აღმოსავლურ საქმელების მოზადებას დაავალებს. სხვაფრივ „ბედნი არამამ“ ცოლს იმდენსავე ყურადღებას აქცევს, რამდენსაც თავის ძალს, თუმცა უკანასკნელსაც აქვს თავისი ფუნქცია — ქურდებისაგან იცავს. „ბედნი არამამს“ წატრაბახებაც უყვარს, ჰყვება, როგორ მოახერხა თავისი ორი ქალიშვილი ისე გაეთხოვებინა, ერთი კაპიკის მზითვეიც არ გაეტანებინა, თუმცა მდიდარ საპატარძლოებად ითვლებოდნენ.

როცა შესაფერი სასიძო შერჩეული იყო ხოლმე, და ახალგაზრდებიც უკვე ერთმანეთს შეიყვარებდნენ, — „ბედნი არამამ“ აცხადებდა, რომ სხვა სასიძო ჰყავს შერჩეული და... მხოლოდ მას მისცემს თავისი ქონების ნახევარს!

შეყვარებული, ან იქნებ, კარგი მზითვის მომლოდინე სასიძო ერთადერთ გამოსავალს პოულობდა — დაქორწინებულობო „ბედნი არამამს“ თანხრობის გარეშე... და მზითვესაც ველარ ლებულობდა.

საკვირველია, რომ ერთნაირმა სტრატეგიამ ორივეჯერ შეუფერხებელივ გასჭრა.

ჩანს, სიყვარულმა ან სიხარბემ (ანდა ორივემ ერთდროულად) სასიძოებს თვალები აუხვია.

სიძეებს სძულთ მოხუცი, მაგრამ „ბედნი არამამს“ ეს ამბავი სულაც არ აწუხებს. იგი განაგრძობს ტრაბახს, თუ როგორ დატოვა პირჩალაგამოვლებული, მის ქონებაზე დახარბებული სიძეები. ის კი ავიწყლებოდა, რომ მაინც წაგებულ იყო, რადგან ახალგაზრდებზე ადრე წაგიდოდა სიჭიროს, რასაც უკანასკნელნი მოთმინებით მოელოდნენ.

მოხუცმა ცოლმა, რომელიც ქალიშვილების მხარეზეა, თქვა:

—ნეტა რასა ბაჭიბუქობს? როცა ჩაკვდება, ხომ ქალიშვილებს დაურჩებთ ყველაფერი!

ამას წინათ „ბედნი არამამ“ გაქურდეს. სამხარეულოს გვერდზე საკუქნაოს კარი გატეხეს და ხუთი ტომარა ფქვილი წაიღეს.

პირველი, რაც „ბედნი არამამ“ გააკეთა, მოწამლა თავისი ძალი, რომელსაც გაქურდვის ღამეს არჩენიანდ ეძინა თავის ხუხულაში. „მუქთად გაკმევი“, შეიცოდა მან თავისი თავი, როცა ძალმა ფეხი გაჭიმა. მერე იყიდა ვეებერთელა თათრული ნაგაზი, ჯაჭვით მიიბაწინანდელის ალაგას და თითქოს ამით დამშვიდდა.

გაქურდვის ამბავი „ბედნი არამამს“ მილიციაში არ განუცხადებია.

რამდენიმე დღის შემდეგ, ღრმადელის განაპირა უბანში ერთი აურხაური ატყდა. ორი მეზობელი ქალი ერთმანეთს წაჩხუბა, და რადგან მათი ქმრები სახლში არ იყვნენ, რომ გაეშველებინათ, გააკანსებულნი ქალების წყევლა-კრულვა გააფთრებულ კივილში გადაიხარდა.

თურმე ვიღაც დედაბერს დაუნახავს, რომ ერთ-ერთი მოჩხუბართაგანი ეარშიყებოდა მეორის ქმარს.

ეს დედაბერი ჩხუბის დროს იქვე იყო და ცეცხლზე ნავთს ასხამდა, დაწვრილებით ჰყვებოდა, „რაც თავისი თვალით ნახა“.

მეტოქის თავლაფსხმაში ერთ-ერთმა ქალმა მეორეს წამოსძახა, რომ თავისი თვალთ დაინახა, როცა იგი მოპარულ ფქვილის კვალს რეცხავდა თავის კართან.

სალამოთი „ბედნი არამამს“ მთხოვა დაერჩენილიყავი მასთან, როგორც ერთი სერიოზული ლაპარაკის მოწმე და თანაც საქმიანი ქალაღლის დამწერი. მან გასამრჯელოც შემომთავაზა, მაგრამ ფულზე უარი ვუთხარი.

„საქმიანი საუბარი“ მიმდინარეობდა დაკეტილ სასტუმრო ოთახში, რომელიც ულაზათო ავეჯით, ყვავილებით მოჩუქურთმებული ვეებერთელა სარკით და

კედელზე გაკრული მშვენიერი თექერი ხალით იყო მორთული.

დიდ მაგიდას ეუსხედით, გამხდარი, გაუპარსავი კაცი, ნამტირალევი უძლური ქალი, საკუთარი ღირსებით აღსავსე „ბედნი არამა“ და მე.

— თქვენ იცით, რად დაგიძახეთ? — ჰკითხა „ბედნი არამამ.“

— არა! — თქვა კაცმა.

— არა, იქნება, მაინც იცით? — ძალზე დაბეჯითებით იკითხა მასპინძელმა.

— აბა საიდან უნდა ვიცოდე! — თქვა კაცმა და სარკეში ჩაიხედა.

— მაშ კარგი... — „ბედნი არამა“ აღგა, ფანჯარასთან მივიდა და გადასწია იისფერი ყვავილებით მოქარგული ფარდა.

სახლიდან ორმოცდაათიოდე მეტრის დამორებით ტელეგრაფის ბოძზე მიყუდებულ იყვნენ ცამეტ-ოთხმეტი წლის ორი ბიჭი. ბიჭები სახლისკენ იყურებოდნენ.

— აი, იმათ იციან! — „ბედნი არამამ“ თითით უჩვენა ბიჭებზე.

— აბა, რას ამბობ! — აღშფოთდა კაცი.

— ეგენი იყვნენ, შენ რომ გშველოდნენ!.. აი ეს კი.. თვითონაც ძლივს დადის... — დაცინვით გადაიქნია თავი ქალისკენ, — ეს მხოლოდ ფქვილის კვალსა სპობდა!

— ეს ვინდა მოგახსენათ?! — თავი გააქნია ქალმა, გესლიანად გაიღიმა და უცბილო ღრძილები გამოაჩინა.

— როგორც გენებოთ... მე თქვენ მოსალაპარაკებლად დაგიძახეთ, ბიჭებს კი თქვენთან ერთად დააპატიმრებენ!

— რაო? — თქვა კაცმა.

— როგორც მონაწილეებს! — უთხრა „ბედნი არამამ“.

— ნუ დამლუპავ, „ბედნი არამა“! — უცებ აზლუქუნდა ქალი.

— ხმა ჩაიწყვიტე, შე!.. — შეუტია ქმარმა ცოლს.

— არა... არ გავჩუმდები, ეს სულ შენი ბრალია, შე საზიზღარო! ლოთო! ციხეებში ამოღობი და ახლა ბიჭებიც გინდა!..

კაცმა რამდენჯერმე სცადა გაერქმებინა ცოლი, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. ქალი გააფთრებდათ იცავდა თავის შვილებს. ბოლოს, გაჩუმდა და მხოლოდ ზიზღით გასცქეროდა ქმარს.

— კარგი! შეგიძლიათ წახვიდეთ, — კარგა ხნის დუმლის შემდეგ თქვა „ბედნი არამამ“. ცოლ-ქმარი კი აღვილიდან არ იძვროდნენ.

— დასწერე! — ბრძანების კილოთი მომმართა „ბედნი არამამ“ და ხაშით საესე ჯამივით ორივე ხელით მომიჩოჩა ქალაღდების დასტა. ზედ კალმისტრიანი სამეღნე იღვა.

— ვალდებული ვარ დავაბრუნო შეიდი ტომარა ფქვილი...

— რათა? ხუთი იყო! — თქვა ქალმა.

— შეიდი ტომარა ფქვილი... — განაგრძო კარნახი „ბედნი არამამ“. — ხუთი დღესეე, დანარჩენი ორი კი...

— საიდან ვიშოვნოთ კიდევ ორი ტომარა? ჩვენ ხომ არაფერი გავვაჩნია, — აწუწუნდა ცოლი.

— ხმა ჩაიკმინდე, — შეუღრინა ქმარმა და ძალღური მორჩილებით შეხედა „ბედნი არამას“.

...როცა ხელი მოაწერეს და წავიდნენ, „ბედნი არამამ“ უბრძანა ცოლს, ღვინო და საქმელი მოეტანა.

ძალიან უკმაყოფილო ვიყავი ჩემი თავისა, რადგან დავრწმუნდი, რომ უნებურად შევასრულე „ბედნი არამას“ თანამზრახველის როლი და ვერ მოვიფიქრე თავიდანვე მეთქვა უარი მოწმობასა და მდივნობაზე.

ჩემიანებიდან ვინმეს რომ შეეტყო ამ უგვანო საქმეში ჩემი მონაწილეობა, სირცხვილს ვჰამდი.

შეიძლება იმიტომ, რომ ჩემი სინდისი მაინც წმინდა იყო, ჩემიანების გახსენებაზე გუნებაში გამეცინა... იმათ შეეძლოთ მეტი ესწავლათ „ბედნი არამასაგან“, ვიდრე ამპარტავნული ჰქვიანობით ეკითხათ მაკიაველის ან სხვათა თხულებები.

გამოდიოდა რაღაც უაზრობა. ნუთუ „ბედნი არამა“ იმათზე ჰქვიანი იყო? არა, მაშ ცბიერი? კიდევ არა.

და უეცრად მივხვდი — მთავარია არაშნაობის ჩადენა განიზრახო, მოხერხებულობა კი მერე, თავისთავად მოვა.

ახლა „ბედნი არამა“ არათუ შეზიზღებოდა, მძულდა კიდევ. ის კი ძალზე კმაყოფილი იყო თავის ფანდისა და მასწაველიდა, როგორ უნდა ცხოვრება.

— გახსოვდეს, ყველა, ვისაც ფული არა აქვს, სულელია! სულელები რომ არ იყვნენ, ფული ექნებოდათ!

— ვისაც ფული აქვს, ჭკვიანია?

— შენც კითხულობ, რაღა! — გაიცინა „ბედნი არამა“. — აბა, მამ როგორ?!

— და გაიძვერა: — ვთქვი და თვლებში მივაჩერდი.

— კარგი, რაღა!.. აი ის, ფქვილი რომ მომპარა, მამა აბრამის ბატკანი ხომ არა გგონია? იმას რომ შესძლებოდა, ჭათამივით გამომპყრიდა ყელს!

— ახლა იზამს ამას! — ვთქვი, რომ რამით მეწყენინებინა.

— ახლა ვერა, ახლა ხელში მყავს. ეს ამბავი მთელმა უბანმა იცის.

— მილიციაში უნდა გაგეცხადებინათ.

— მერე რა სარფა მაქვს მაგაში?... დამიწყებდნენ კითხვას, თუ საიდანაა მაქვს ამდენი ფქვილი... ასე კი ორ ტომარას მოვიგებ კიდევ. ერთი ტომარა იმ ბებრუხუნას უნდა მიეცე, ცოლები რომ წაახტუნა. მეორე კი ხარჯებისთვის მიეყოფა... ნუ გეშინია, „ბედნი არამა“ ანგარიშში არ წააგებს! ხა, ხა, ხა! მოდი, ყველა ჭკვიანი კაცის სადღეგრძელო დავლიოთ!

— დავლიოთ. — მძიმედ ვწრუპავდი ღვინოს და ვფიქრობდი, თუ როგორ გამოვიყენო საკუთარი ჭკუა ყველა გარეწარის ასალაგმავად.

— მე კი, თქვენს ადგილზე, იმ ბებერ ქოდავს არაფერს არ მივცემდი! — გაჩხარდა კიდევ, რომ შემქმლო მეწყენინებინა იმ საზიზღარი დედაბერასათვის.

— აბა, რას ამბობ!.. საქმეში სიტყვა ოქროზე ძვირფასია! რახან დავბირდი, ეს უკვე კანონია!

— რატომ? — ჩავაცვივდი მე.

— ეგ თქვენ — ფრანცუსკი ბულკებზე გაზრდილებმა არ იცით სიტყვის მნიშვნელობა. იმიტომაც არის, რომ სიტყვა „ბედნი არამა“ არ გამოვდით!

— თქვენ კი გამოვდით?

— ვახ! განა არა ნახე! — გაჯავრდა „ბედნი არამა“ — მე, თუ მოვინდომე, ყველა თქვენ ინტელიგენტს თავფეხიანად ვიყიდო!

— ეგ მხოლოდ ლაპარაკია! — დაცინვით გავიღიმე მე და გადავწყვიტე უკანასკნელად მეცადა. — თქვენ ადგილას ყველა ჭკვიანი კაცი ცხრა, ან ათ ტომარას მოითხოვდა. ისინი ხომ თქვენს ხელში იყვნენ. ციხეში რომ არ ჩავარდნილიყო, მეტსაც იშოვნებდა.

— ყველაფერში ზომა უნდა იყოდე! — უცებ მომიჭრა „ბედნი არამა“, მაგრამ მერე, ცოტა დაფიქრდა და დანაგებით თქვა: — ვამ! შენი სიტყვაც მართალია, შეიძლებოდა, რვა მეთქვა!

შინისკენ მაინც არც ისე უკმაყოფილო წავედი.

* * *

აი, ამგვარად, ვლებულობ გამოცდილებას ცხოვრებაში. ნეტავ რომელმა მიაბიტმა თქვა, სიცოცხლე მშვენიერი იყო... ეს აზრი, ალბათ, ბედნიერების განცდის ეამს მოუვიდა... მე კი ეს განცდები სულ უფრო და უფრო მიმცირდება...

დღეს კოლონიაში ვიყავი. ხელფასის გაცემის დღე იყო. თურმე, ტრაქტორისტის შტატი არ ყოფილა, და მე შალიკოს შემცველად ვმუშაობდი. იმას უნდა ეძლია ჩემთვის ხელფასი, თავის ჯამაგირიდან. შალიკო არ დამიხვდა, და ბულალტერი დამპირდა, შალიკოს დავავალე, ღრმადღელეში ჩამოგიტანოს ხელფასი.

— წინა ხელფასის დარიგებისას შალიკოს თქვენთვის არაფერი მოუცია? — შკითხა ბულალტერმა.

— არა.

— მაღე ხომ ორი თვე გახდებოდა, რაც აქა მუშაობთ?

— დიხ... — ალბათ, ძალიან სულე-

ლური გამომეტყველება მქონდა, რომ ბულატერმა დამწვიდება დამიწყო.

— შალიკოს ხელფასს ვერ დაეუკავებ, მაგრამ აუცილებლად მოვატანიებ. ეს კია, არ ვიცი, როდის მოვა. უეჭველად, დაელოდეთ იქ, ღრმადღეღეში.

მთელი დღე ვმუშაობდი, თან გზისკენ მივსივარე, როცა გზაზე დაბალი, ჩასკვნილი კაცი გამოჩნდებოდა, ყველა შალიკო მეგონა.

მზე ჩავიდა, ტრაქტორი „ბედნი არამას“ ეზოში დავაყენე. ჰინჯართან პატარა მერხზე ჩამოვჯექი და დაეწიე ლოდინი, თან გზას თვალს არ ვაშორებდი.

უეჭველად, ყოველ მიზეზს გარეშე უნდა მიმელო ჩამავირო, რადგან სახლში უკვე დაეჭვდნენ ტრაქტორისტობის სარფიანობაში.

პირველ დღეებში დედა პურსა და ერბოვერცხს მატანდა ხოლმე, გუშინ პური და ყველი მქონდა, დღეს კი პურის პატარა ნაჭრის ამარა ვიყავი. ჯიბეში კაპიკი არ მქონდა. პური სადილობის შესვენებისას შევქამე და ახლა შიმშილისაგან გული მეღეოდა.

ცოტა ფული მაინცა მქონოდა... მაგრამ, რატომღაც, მე ფული არასდროს არა მაქვს. ახლა ასე მეგონა, მუდამ. მთელ სიცოცხლეში, უფულო ვიქნებოდი. მთელი ფული, რასაც დედა ღებულობს, სულ სიმონასთან, სასურსათო დუქნის პატრონთან იხარჯება, ხან ნოსიადაც ვსარგებლობთ... ზოგჯერ დედა ფარულად შოთასა და რუსუდანს აძლევს ხოლმე ფულს რაღაც „აუცილებელი საქმეებისთვის“.

— ასე „სკუნჩათ“ რაღა ხარ? — მძიმედ ჩამოვდა ჩემს გვერდზე სახლიდან გამოსული „ბედნი არამა“. — თუ ნავთი გაგითავდა, მე გასესხებ. მერე დამიბრუნებ, რა თქმა უნდა, ცოტა სარგებლით... ეგ ხომ შენი ჯიბიდან არ მიდის.

ის მთავაზობდა ჩემი კასრიდან მოპარულ ნავთს, სხვა დროს რომ შემოეთავაზებინა, გავცოფებოდი, მაგრამ დღეს ყველაფერზე გულაყრილი ვიყავი.

— შალიკოს ველოდები. თვენახევრის ხელფასი უნდა მომიტანოს.

— ვაჰ!... საღიშო პროლეტარიატ! მერე და თვენახევრის რაათა? მე ველოდები, როგორც ჩემი „ბედნი არამა“ კარგა ხანია შალიკოს იცნობდა.

— ეშმაკმა წაიღოს! — წაიბურტყუნა მან. — შალიკო კარგი მეხანიკია, მაგრამ ფულის შესახებ... რა ვიცი, მასთან საქმე არა მქონია.

— ბიჭია და ნუ მომცემს! ქუფთასავით დაენაყავ! — ვთქვი მე.

უკვე დაბნეულა და გზა აღარა ჩანდა.

— თუ შალიკო მოვიდა, უთუოდ ჩემთან შემოვა. წამო, „შინ შევიდეთ, — მითხრა „ბედნი არამამ“.

ვიჩქევი „ბედნი არამას“ სამზარეულოში და ვისმენდი იმის რჩევა-დარიგებებს, რომ ჩხუბით არავითარი საქმე არა გვარდება. თუმცა არ ვეთანხმებოდი, მაგრამ შიმშილისაგან ქანცგამოლეულს კამათის ილაჯი არა მქონდა.

შემოვიდა დიასახლისი და ქმარს წინ დაუდგა თიხის ჭამი ცხელცხელი ჩანახით, ირგვლივ თავბრულამხვევი სუნის დადგა.

ვცდილობდი თვალი ამერიდებინა მსუქან წვენიში მოლივლივე ხორცის ნაჭრისთვის, მოლიანი ბადრიჯნის, კართოფილისა და პამიდორისათვის. იმ წუთში მეგონა, რომ ქვეყნად იმაზე გემრიელი საქმელი არ არსებობდა. „ბედნი არამა“ მაღიანად აწებდა პურის ლუქმას ჩანახის ცხელ წვენიში, შემდეგ გულდასმით უბჭრავდა მას და ისე შეეჭეცოდა.

ალბათ, „ბედნი არამა“ მიხვდა, რომ ძალიანა მშვიოდა.

— დედაკაცო, ამასაც მოუტანე ჩანახი, — უთხრა ცოლს, რომელიც ამ დროს კარში ვადიოდა და ვერ გაიგონა.

მგონია, ჩემს სიცოცხლეში პირველად იყო, რომ ზრდილობის ხათრით უარი არა ვთქვი. ნეტავი მალე მაინც შემობრუნებულიყო ეზოდან ის დედაკაცი.

„ბედნი არამას“ პირი დაეწვა და გადაწყვიტა ცოტა დაეცადა. დიდი ქრელი ბაღდადით მოიწმინდა ქონიანი ტურჩები და ირონიულად გამომხედა.

— მაშ, შალიკო ქუფთასავით უნდა დანაყო, ჰა... ყოჩაღ! ღონე კამეჩსაცა აქვს... მაგრამ ჰქუაა საჭირო, ჰქუა!

თითქოს გიბრზე მისი ცოლი აღარ ბრუნდებოდა ეზოდან. „ბედნი არამა“ კი ვანაგრძობდა.

— მაგრამ თქვენ ჰქუა საიდან გეჭენ-ბათ, როცა ყველაფერი მზამზარეული გქონდათ... თანაც ფულის ყადრი არ იცოდით!... ერთი მანეთი გაქვთ და ასი მანეთის აურზაურს ასტეხამთ ხოლმე! ცხოვრობთ რაღა, როგორც ჩიტი ტოტ-ზე... ჰიკიკოობთ თქვენთვის და ხვალინ-დელ დღეზე არა ფიქრობთ.

საჭირო იყო მაგარი პასუხი. მაგრამ ცოლს აღარ ეტყოდა ჩემთვისაც მოეტა-ნა ჩანახი. არა და ვგრძნობდი, რა გემ-რიელი იქნებოდა... და ვდუმდი.

მერე, მთელ გზაზე გული მერეო-და. ფეხით მომისწია შინ წასვლა, მაგრამ გული მერეოდა... შიმშილისაგან.

მაინც მივახალე რამდენიმე სიტყვა. როცა შევატყვე, რომ ჩანახი საბო-ლოოდ დაკარგულია, უხეშობაც შევკა-დრე.

შუალამე უკვე გადასული იყო. როცა სახლს მივალწიე.

* * *

ნთუ ყველას, ვისაც არაფრად მივა-ჩნდი ან მტყუებდა, სულელი ვეგონე?!

ძალიან საწყენია, თუ ასეა. ვანსაკუ-თრებით იმიტომ, რომ დღევანდლამდე ჩემს თავზე სულ სხვა წარმოდგენა მქო-ნდა... არა ღირს ახლა, რაღაც გამართლე-ბის მსგავსი ახსნა-განმარტებანი ვეძებო. სულერთია, სწორ პასუხს ვერ მოვნახავ და არც მინდა... ეს ზედმეტი დადასტუ-რება იქნებოდა იმისა, რომ ჰქუას მუდამ მჭიდრო კავშირი არა აქვს პრინციპუ-ლობასთან.

ვგრძნობ, რომ რაღაც შეუსაბამობა-მდე მივალ. ასე მოხდა — შორჩა და გა-თავდა.

მეორე დღეს ნაშუადღევამდე ველო-დი შალიკოს, მერე კოლონიაში წავედი. იქ გავიგე, რომ შალიკო საერთოდ მათ-თან აღარ ირიცხება. გუშინ მოსულა

და საბოლოო ხელფასი აუღია. მისი მი-სამართი გავიკითხე და „მარხბაღსკან“ კვლავ ვისესხე ფული. *მარხბაღსკან*

ძველი აბანოების უბნისაკენ საბრძო-ლო განწყობილებით გავემართე.

წითელი აგურით ნაშენებ სინაგოგას-თან ერთ თეთრწვერა, ჩასკვნილ ებრაელს ვკითხე ჩემთვის საჭირო მისამართი. მან ჯერ ამათვალეირ-ჩამათვალეირა თავისი ჰკვიანური, მრავალსაუკუნოვანი სევდით აღსავსე თვალებით და მერე დაწვრილე-ბით ამიხსნა, როგორ მეპოვნა შალიკოს ქუჩა. თათრის მოედნისკენ გავემართე.

ფირუზისფერი და მწვანე ფილებით მოპირკეთებული მეჩეთის მინარეთის იქით მოჩანდა მტკვარზე აგებული ორი ხიდი. თუმცა გზა იქით არა მქონდა, მაგ-რამ მაინც იქითკენ გავწიე. ხიდები ისე ახლო არიან ერთმანეთთან, ერთი შეხე-დვით, შეწყვილებული გეგონება. ქვე-მო ხიდი, ძალზე ვიწრო და ძველი, „მეტეხის ხიდად“ იწოდება. ზედ არავი-თარ ტრანსპორტს არ ატარებენ. მხო-ლოდ ადამიანსა და ვირს აქვს უფლება გადავიდეს... გამველულები შიშის ძრწო-ლით იხედებიან ქვემოთ, მშფოთვარე მორევისკენ, რომლის გაცურვა არც ერთ სახელმძოვებელ მცურავს არ ძალუძს. თუმცა იყვნენ გამბედავებიც, მაგრამ, როგორც კანონი, მათ გვამებს რამდენი-მე დღის შემდეგ პოულობდნენ ხოლმე ქალაქიდან შორს, სოღანლუღის მიღა-მოების მეჩჩეგებში.

რაღაც უხილავი ძალა მიზიდავს ამ მორევთან. დიდხანს ვდგავარ ხოლმე ხი-დზე, დავცქერი ამ წყლის ქაოსსა და შიშით გულაკანკალეული წარმოვიდგენ ჩემს თავს მის ბობოქარ სტიქიაში. მუ-დამ მეწადა გამეკეთებინა ის, რაც ვერ შესძლეს სხვებმა, — ვადამეცურა ეს მორევი.

როგორც იქნა, მოვშორდი ხიდის მოა-ჯირს, მოვბრუნდი და ჩემი ვზით წა-ვედი.

მოედანზე და მის აშლო-მასლო ქუ-ჩაზე უამრავი ხალხი ირეოდა. აქ ნამდვი-ლი აღმოსავლეთი იყო. გეგონებოდა, უცერად შუაგულ აზიაში მოვხვდით.

ამისათვის საკმაო იყო დაგენახა იმის, წითლად შეღებილწვერიანი სპარსელი, ან აი ის თათარი, უკან, კვალდაკვალ დატვირთული ცოლი რომ მისდევდა, მკალავი ლეკი, მუზარნიშე ჩერქეზი, აისორები, იეზიდები...

პაერი გაედენთილი იყო ცხვრის ხორცის, საზამთროების, მიხაკდარიჩინის სურნელებით. აბანოებთან მიახლოებისას ყველაფერი დაჰფარა გოგირდის მუხანე სუნმა.

აბანო, კიდევ აბანო... ყველგან მავრიტანული სტილით ნაშენები აბანოები, სადაც კი მიწის წიალიდან სჩქეფდა ცხელი, გოგირდიანი წყალი.

სადაღაც აქ იყო, ვახტანგ გორგასალის ისრით ვანგმირული ოქროსა და ზურმუხტისფრად მოელვარე ლამაზი ხოხობი რომ ჩავარდა მტკვრისაკენ მიჩუხჩუხუნაკადში, და ბაზიერთუხუცესმა კი ამაყი, ლამაზი ხოხობის მაგივრად გაფუფქული, საცოდავი ფრინველი მიაართვა მეფეს...

ღელეზე გადებულ პატარა ხიდზე გავედი. ხიდქვეშ ქვით მოკირწყლულ კალაპოტში საპნიანი ნარეცხი წყალი ჩამოდიოდა. შევუდექი ვიწრო, დაკიდებულ ქუჩაბანდს. აქაც ორივე მხარეს იყო აბანოები, მაგრამ ლაზათიანად მოპირკეთებული ფასადების ნაცვლად დაბალი და კვლემჩამორეცხილი, ვიწრო, მღვიმეების მსგავსი შესასვლელები ჰქონდა. შიგნით მოჩანდა თითქმის ვერტიკალური კიბეები და კიბის იქით, ტალანებში მკრთალად ბეუტავდა ელემტრონათურები, ერთადერთი, რაც მეოცე საუკუნეს ამართლებდა. ხანდახან კიბეების ფილებზე ხის ქოშების ბაყუნით გამხდარი, თითქოს საფლავებიდან ამოსული, ნახევრად შიშველი მექისებრი ამოვიდოდნენ, შეისუნთქავდნენ სუფთა ჰაერს და კვლავ უბრუნდებოდნენ ოსშივრით დაბინდულ მიწისქვეშეთს.

ბოლო აბანოს იქით, მოსახვევში, მივაგენი შალიკოს სახლს. გაცვეთილი ხის კიბეებით ავედი მეორე სართულზე და დამრეცილ აივანზე მოვხვდი, საიდანაც აბანოების მრგვალი გუმბათ-სანა-

თურების მთელი მწყრივი მოჩანდა. მივადექი ერთადერთ კარს, რომელიც აღიად იყო დაგდებული. შიშველი ნახევრად ბნელი ოთახიდან ჩემსკენ ვილაც გამოემართა. ეს შალიკო იყო.

— ააა! — წამოიძახა შალიკომ.

— ექიმია? — მომესმა ოთახიდან ქალის ხმა.

— არა, ეს ჩემთანაა. — თქვა შალიკომ.

კარებიდან აივნის მოაჯირს მივადექი, რომ შალიკოს პირისპირ შევხვედროდი, მაგრამ შალიკო არ გამოშყვა, პირიქით, შინ შემიაბრტია. გაბედული და მტკიცე ნაბიჯით შევედი, როგორც შედიან იმათთან, ვისიც არ უნდა გერიდებოდეს.

— გამარჯობათ! — ჩემს გვერდით გაიარა მანდილოსანმა, მივიდა კართან და სინათლე ჩართო. შალიკომ ხელები გაშალა და გაუპარსავი სახე საწოლისაკენ მიაბრუნა. მეც უნებურად იქით მივიხედე. სუფთა ლოგინში ჩვიდმეტოდე წლის ქალიშვილი იწვა და მიყურებდა. იგი ძალიან ჰგავდა უსახურ შალიკოს და ამავე დროს ლამაზიც იყო. მკრთალი, სწორნაკეთებიანი სახე და დიდი თვალები ჰქონდა.

— სალამო მშვიდობისა! — მივესალმე მე.

ქალიშვილმა მორცხვად ამოძრავა ბაგეები და განზე გაიხედა.

— ეს ჩემი პატარაა... ახირებული გოგონაა! — თქვა ქალმა და ჩვეული მოძრაობით პატარა სკამზე თავთან ჩამოუჯდა ქალიშვილს.

— კარგი, დედა! — ყრულ წარმოიტქვა ქალიშვილმა.

— ახლა ცოტა უქეიფოდ არის, მაგრამ სულ მალე ყველაფერი გაივლის და... ისევ ამიკისკისდება ჩემი პატარა ჩიტუნა! — დედის ხმაში ყალბი მხიარულება გამოსჭვივდა. ქალიშვილმა საყვედურით გახედა დედას და მერე მობოდიშებით გამიღიმა.

შალიკო დაეინებით მომჩერებოდა თვალებში, მერე სკამი შემომთავაზა.

— დაბრძანდით, დაბრძანდით! — ახ-

ლა შალიკო საწოლზე საბანს ასწორებდა მზრუნველობით.

— აი, ჩვენ ცოტა მოვმჯობინდებით და მაიკო აბასთუმანში წავიყვანს. — შალიკო ისევე ელაპარაკებოდა ქალიშვილს, როგორც დედა, თითქოს ორი წლის ბავშვი ყოფილიყოს.

ქალიშვილმა გამომხედა და მაგრძობინა, ნუ გჯერათ ამ ზღაპრებისაო.

— რა თქმა უნდა! აბასთუმანში ყველაფერი ერთბაშად გაივლის! — ვთქვი მე.

— აი, ხედავ! — გაეხარდა დედას. — ესეც ხომ ჩვენ არა ვართ! — და დედამ ისე გამოიშვირა ხელი ჩემსკენ, თითქოს მე ვწყვეტდე სიკვილ-სიცოცხლის საკითხებს.

— ჰო, ამას ჩვენ ხომ არ ვამბობთ! — დაადასტურა შალიკომ.

— თქვენ გავიწყდებით, რომ მე უკვე პატარა აღარა ვარ, — თქვა ქალიშვილმა. საბნინდან გამხდარი ხელი გამოჰყო და თმები გაისწორა.

— დიდი ამბავია, ოცი წლისაა და ჩვენზე უკეთ იცის ყველაფერი!.. — რატომღაც ისე გაჯავრდა შალიკო, რომ სახეზე აღმური მოედო.

— შალიკო, ისევ თავიდან ნუ დაიწყებ! — ჩაერია დედა.

— სალახანა, გარეწარი!.. თვითონ არხეინად დასეირნობს და ეს კი...

— ვისთან დასეირნობს? — შემფოთდა ქალიშვილი.

— სანახავადაც რომ მობრძანდა... არ ვიცი, როგორ გადამირჩია ცოცხალი! შალიკოს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, რომ მართლა შემოაკვდებოდა ვინმე.

— ამის საქმროზე ამბობს. — დამიწყო ახსნა დედამ. — შესახედავად ისეთი ლამაზი და ჯანსაღი... თურმე ღია პროცესი ჰქონია და, აი!..

ყველაფერს მიხვდები. ჩემდა გასაოცრად, ქალიშვილი გაფაციცებით ისმენდა ყველაფერს. ეტყობოდა, რალაცის გაგება უნდოდა.

ახლა შალიკო თავისი ამო ბრაზით

ჩემში უსაზღვრო თანაგრძობას და სიბრაულეს იწვევდა.

მითხედავად ქალიშვილის მკვლევარს მე მდგომარეობისა, ბოლმამოწოლილი შალიკო ძალზე მოურიდებლად ლაპარაკობდა.

— ადრე ქალიშვილები მხოლოდ ჯვარისწერის გვირგვინქვეშ იძლეოდნენ კონის ნებას! სხვაფრივ როგორ შეიძლება?.. აკი შეგყარა ეგ სენი იმ კაცის მკვლელმა!..

— შალიკო, ნუ გავიწყდება, რომ აქ უცხოებიც არიან! — თქვა დედამ.

ქალიშვილმა იკითხა:

— როცა მოვიდა, რა მოხდა?

— გაეპრტყი! — თქვა შალიკომ.

— სტყუი! შენ მხოლოდ გინდოდა გაგერტყა! — დედა მეკრძან მიტანილი ორივე ხელით ანიშნებდა შალიკოს, რომ გაჩუმებულიყო.

ქალიშვილმა, თვალები მიღულა და საოცრად გრძელ წამწამებზე ცრემლები დაეკიდა.

— ეს რა ჩაიდინე, შე უბედურო!

— კენესით აღმოხდა დედას.

— მართლაც, ეს რა ჰქენი! — შემფოთდა შალიკო.

ქალიშვილმა როგორღაც უცნაურად გააქან-გამოაქანა თავი და ტუჩები დაემანკა.

შალიკო ოთახის კუთხეში ჩამოკიდებულ ფარდას მივარდა, გადასწია და პირსაბანზე დადებულ ქანგბადის ბალიშს ეცა. დედამ ონკანი მოატრიალა და ქალიშვილს პირთან მიუტანა, შალიკომ კი ბალიშს ხელი დააკირა, რომ უკანასკნელი ქანგბადი გამოეშვა იქიდან. მე ვიდევი და არ ვიციოდი, რით დაეხმარებოდი.

— ქანგბადი გათავდა! — თქვა შალიკომ.

— მოიცა, დოდო!... დოდო, მოიცა!

— იძახდა დედა, თითქოსადღოდო საღლაც მიდიოდა.

— მე მოვიტან, მხოლოდ მითხარით, საიდან? — ვთქვი მე.

— აფთიაქიდან... გემუდარებით, ჩქარა!..

— შალიკო კარისაკენ მიბიძგებდა და ხელში ჟანგბადის ცარიელ ბალიშს მჩეჩებდა.

გიცივით ჩავიბრინე ვიწრო ქუჩაბანდი.

ტრამვაის ამო ლოდინის შემდეგ ძლივს მოვისახრე ეტლში ჩავმხტარიყავი, რომელსაც უკვე სხვები იკავებდნენ.

— აბა, სწრაფად, აფთიაქში! — ვუბრძანე მეეტლეს. გახარებული მეეტლე, რომ წინდაწინ არ შეევაჭრნენ, წამოდგა და ცხენებს შოლტი ვადაუჭირა.

იორლით გაქანებულ ერთ-ერთ ცხენს ხმამალა აუბუყბუყდა ფერდი და ამან მომაგონა ფასანაური... ჩემი ამხანაგი დათო მეუბნებოდა: „თუ ცხენს ფერდი უბუყბუყვებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ძალიან ჯანმრთელიაო.“

ჯანმრთელი... ჯანმრთელი... ჯანმრთელი... დაყინებით ადასტურებდა ცხენის ფერდი.

ძალიან მებრალეობდა ქალიშვილი... დედამისიც, შალიკოც.

აფთიაქში ბნელოდა. აღმასკომის კოშკის საათი ათზე მეტს უჩვენებდა. „მორიგე აფთიაქი კირკის ქუჩაზეა“, წავიკითხე კარის შუშის იქით ჩამოკიდებულ მუყაოს ფურცელზე.

— კირკის ქუჩისკენ ვარეკე!

ვერის დაღმართი რომ ჩავათავეთ, ხიდიდან დავინახე თამარი. განათებულ ფანჯარაში ვადმომდგარიყო. ფანჯრის ქვემოთ ანტონის, ნიკოს და სანდროს სილუეტები ჩანდა. მინდოდა დამეძახა მათთვის, მაგრამ ხელში ჩაბლუჯულმა ჟანგბადის ბალიშმა შემაკავა. ბალიში უნდა აივსოს სიცოცხლით — ჟანგბადით... შერე საჭიროა ხელების დაბანვა.

აფთიაქში ბევრი ხალხი იყო და ცდა დამჭირდა. უკან დაბრუნებისას თამარი და ბიჭები ფანჯარასთან აღარ იყვნენ.

შალიკოს სახლთან მთლად არც კი ვიყავით მისული, რომ ეტლიდან ვისკუბე, რამდენიმე ნახტომით კიბეებზე ავეარდი, თან ხელში ჟანგბადით სავსე ბალიში მეჭირა.

— არ შეიძლება, არ შეიძლება! — ვილაც უცნობმა ქალმა ჩამთმართვა ბალიში და ცხვირწინ მომხსნარა. კარისკენ მოაჯირობი მივდექი და ველოდი. ოთახიდან გამოსული ხმაური მოწმობდა, რომ ქალიშვილი ძალიან ცუდად იყო. ვილაც მიმივღე ამოდოდა კიბეებზე, მაგრამ არ მიმიხედავს.

— რამდენი უნდა ვიცადო! — ისე ხმამალა დაიძახა მეეტლემ, რომ შევხტი.

— რა გაღრიალებს!.. იქ ავადმყოფია! — წავისისინე მე.

— ფული მოიტა, მე ავადმყოფი არ ვიცი! — უფრო ხმამალა აყვირდა მეეტლე, ალბათ, დაეჭვდა, რომ ფულს არ გადავუხდიდი.

— დაიცა, ისიც გამოვა! — მივუთითე კარისკენ.

— ვინ ის?! მე შენ გატარე, სხვა არ ვიცი! — ისევ დაიღრიალა მეეტლემ და ჩემს ცხვირწინ შოლტის ტარი დაატრიალა.

იძულებული ვავხდი მკლავში ხელი ჩამეველო და ძალით ჩამეთრია დაბლა, ქუჩაში.

— რამდენია? — ვეითხე მას. „ახალმა“ რომ მასესხა, ჯიბეში ის სამი მანეთი მეგულეობდა. მაგრამ იქიდან ჟანგბადის ღირებულებაც ვადახდილი მქონდა.

მეეტლემ ჩამოთვალა შერიის ფასი, ყველა წმინდანი, ვილაცის ნათესავეები დედის მხრიდან, ბევრი იჯიჯლინა, საბოლოოდ ორ მანეთს დამჭერდა და წავიდა. დიდხანს ვიდექი ფიჭვებში წასული და ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, რომ ერთადერთი, რაც ახლა უნდა გავაქეთო, — ავღვე და სახლში წავიდე!..

... ეს-ეს არის სასაფილოში საათმა ხუთჯერ დაჰკრა. საცაა გათენდებოდა. მე კი წინასწარ ვტკბები, თუ როგორ ვეგდები ლოგინში შუადღემდე და მარტო დღეს კი არა, ხვალაც, ზეგაც, მერეც...

ჩემი სინდისის წინაშე აღარაფერი ვალდებულებოდა არა მაქვს. ტრაქტორის ჩასაბარებლადაც კი არ წავალ... ჩემი

გახეილი შარვალი, კეპი და ძველი ფესხაცემლები დარჩეს იმ გაუმძღარ „ბედნი არამას“.

ნუთუ ის ქალიშვილი მოკვდა... საცოდავს სულ რაღაც ორიოდ დღე დარჩენია... მას მაინც უყვარს, ვინც კლექი შეჰყარა... ის კი, ალბათ, კიდევ იცოცხლებს... თურმე მოსულა სატრფოს სანახავად. შალიკომ კი გაართყა... ვინ არის მათ შორის მტყუანი?... შეიძლება, ორივე მართალია.

საინტერესოა „ახალთან“ შეხვედრა მისი აზრის გაგება... კი მაგრამ, როგორ გადავუხადო ვალი?

თუშეცა ძალიან სულელურად გამოვივინა... მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ მოვიქცევი... საჭიროა რაღაც... არც ვიცი, რა, ყოველშემთხვევაში, დღეიდან ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვლება!

არ მინდა, რომ სულელად მთელი დღეს ვინმე.

* * *

უნივერსიტეტის უკაცრიელ დერეფანში მკვეთრად გაისმის ფეხის ხმა... მერე ნაბიჯები გააფთრებულ ლეკურზე გადადის, და უეტრად სრული სიჩუმე ჩამოვარდება. ეტყობა, კაცი შეჩერდა და... მაგრამ ეს კაცი ხომ მე ვარ! ვდგავარ და ვცდილობ შევიგნო უსახლურო ბედნიერება.

ეს-ეს არის, უკანასკნელად გამოვიხურე საგამოცდო ოთახის მაღალი კარი. კარს იქით დარჩა ყველა ვანცდა... მე ახლა სამედიცინო ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი ვარ!

ოჰ, მამა რომ ცოცხალი იყოს!

სულ ბოლოს მომიწია გამოცდის ჩაბარება, რადგან ჩემი გვარი ალფაბეტის თითქმის უკანასკნელი ასოთი იწყება.

გამოცდებისთვის ოთხნი ვემზადებოდით „ახალი“ აბარებდა ერთი პირველთაგანი, მას მისდევდა ნინო, მერე — სანდრო, მათ უნდოდათ ჩემთვის დაეცადათ, მაგრამ მე ძალით გავრეკე სახლებში, რომ თავისიანები გავხარებინათ. მათგან მართო სანდროს ექნება სადარ-

დებელი, მაგრამ ქულების საჭირო რაოდენობა, მგონია მაინც შეატრეყნენ... ანტონმა შესანიშნავად ჩააბარა სანდროს, ნიკო კი ისტორიკოსი იქნება დინჯად მივდივარ გრძელ დერეფანში. არავინ მანს- ელექტრონათურები შუქსა ჰფენენ კედელთა სითეთრეს და ფანჯრების წყვილად, რომელთა იქით იგრძნობა ცხელი, დამათრობელი სურნელებით აღსავსე საღამო.

შორს, თითქმის კიბებთან, ფანჯრის რაფაზე სამნი სხედან, ალბათ, რამე საგანს „ზუთხავენ“ გამოცდაზე შესვლამდე. ახლა კი ნამდვილად შემიძლია თანავეუგრძნო მათ. მაგრამ, დახე, სამივენი ჩამოხტნენ და გამოიქცნენ ჩემს შესახვედრად.

მეგობრებს დაუცდიათ ჩემთვის...

— ჰა, როგორ არის? — თითქმის ერთად მკითხეს სამივემ.

— ხუთიანი! — ნამდვილად გახარებულმა ვუპასუხე მე, მეგობრებთან რა მქონდა თავშესაქავებელი! ყველანი ხელს მართმევენ, ისევე, როგორც რამდენიმე საათის წინ მე ჩამოვართვი მათ ხელი.

— ახლა კი სრული უფლება გვაქვს ცოტა წავიქეიფოთ! — გაიცინა „ახალმა“. — ყველაფერზე მე ვაგებ პასუხს, ვინაიდან თქვენზე ადრე გავხდი სტუდენტი.

ახლა სულაც არ ეჩნევა, რომ იგი ჩვენზე უფროსია.

— მერე კი მე გავხდი! — ნინომ გახსნა პაწია საფულე და ოთხად მოკეცილი ასიგნაციები გვაჩვენა — მე უკვე დავრეკე შინ. ისიც კი ვუთხარი, რომ საქეიფოდ მივდივართ!

— მე არ შემიძლია თქვენთან ყოფნა. სერიოზული საქმე მაქვს. — სანდრო განზე ვადგა და ქამარს ქვევით დაიჭიმა ბუკებში გამოხუნებული შავი ბლუზა.

— ალბათ, ვინდა შინაურებს შეატყობინო, — თქვა „ახალმა“, რომელსაც ქეყანად არავინ აბღდა.

— ჩვენც წამოვალთ და დაბლა დაგიცდით. შენ კი შეარდები შინ და თქვენებს ახარებ! — უთხრა ნინომ.

— რა უნდა ვახარო? — გულგრილად თქვა სანდრომ. — დედა უკვე დიდი ხანია დარწმუნებულია, რომ მომავალი პროფესორი ვარ. მამა კი ამბობს, კიდევ რომ დავამთავრო, უკეთეს შემთხვევაში სანიტრად მუშაობას მაინც შევძლებ!

ჩვენმა ხარხარმა გააყრუა დერეფნის ორივე მხარე და კიბეების ბაჭნები. ასე ბედნიერად, მგონი, პირველად ვიცინი. ცხოვრება, თურმე, ნამდვილად მშვენიერი ყოფილა.

— ახლა ესეც ნახეთ! — ათი, ოცი, ოცდაათი... და კიდევ ექვსი. — ვითვლიდი მე. — ყველაფრისას მე ვიხდი! და, ძალიან ვთხოვ, სანდრო, მაიმუნობას თავი დაანებო!

— კარგი! — დაგვეთანხმა სანდრო.

— საიდან? — გაუკვირდა „ახალს“. ის, საერთოდ, საპიროდა თვლის ჩაეროვს ჩემს ცხოვრებაში.

— წავიდეთ! — მე წინ წავედი. ვიცოდი, ყველანი გამომყვებოდნენ.

— ისევე საბილიარდოში? — წამომეწია „ახალი“. ახლა გვერდით მომყვებოდა, და ჩემსკენ მოეჭვია თავისი მერყველი სახე.

— ძალიან მიხედვრილი ხარ! ახა სად ჯანდაბაში ვიარო თავისუფალ დროს? ჩემი პასუხი ცოტა უხეშად გაისმა, და მაშინვე ალერსიანად მოკვიდე ნიდაყვზე ხელი.

— შენ ხომ მითხარი, რომ მეტს აღარ წავალ იქაო!

— შენ, ალბათ, კარგად ვერ გაიგონე. მე ვითხარი, მეტს აღარ წავაგებ-მეთქი. ეს სულ სხვადასხვა რამეა!

— მაგრამ ეგ ხომ შენზე არ არის დამოკიდებული.

— აბა, მამ ვისზეა?

— აბა, ახლა თავი მოგაქვს, როგორც ბილიარდის ბრწყინვალე მოთამაშეს! — „ახალმა“ როგორც დამცინავად ჩაიფრუტუნა. — რატომღაც მეგონა, რომ უმჯობეს ბიჭი არ იყავი, მაგრამ ახლა...

— გამოგონე, „ახალოჯან“... ნუთუ გინდა ჩვენთვის ასეთ ბედნიერ დღეს წავიჩხუბოთ?

— სულელი!

— თქვენ რაღაც ძალიან გეტრთეთ ლაპარაკით! — გვითხრა კრწვენი მღმრეწველმა ნინომ, რომელსაც ჩვენსავე შერეობა უნდოდა.

— ოთარ, მე ხომ შენთვის სიკეთე მსურს! საბილიარდოში დაიარებიან... — „ახალმა“ ცოტა ენას მოუყიდა. — უმეტეს შემთხვევაში ს... საქმონები, აფ... ფერისტები და ბოროტმოქმედნი!

— დიახ, ძალიან კარგი და პატიოსანი ხალხი!

— და ხ...ხომ არა ს...სხედან იქ დღამის ორ ს...სათამდე, რრროგორც შ.შენ დღდ თთთ...თანაც ფულზე თთამაშობი რამდენიმეჯერ გაგიმართლა და ახლა გგონია, რომ მუდამ ასე იქნება!...

„ახალმა“ დასძლია თავს და ენას აღარ უკიდებდა.

— სულ მუდამ! — დაჯერებულად ვუთხარი მე.

— არ მიყვარს გამეორება, მაგრამ შენ ნამდვილი სულელი ხარ!

— აი, სწორედ ამაზე მინდოდა შენთან ლაპარაკი.

— ინებე, მაგრამ...

— ბოლოს და ბოლოს, მათქმევინებ თუ არა, ეშმაკმა წავიდოს! — „ახალი“ ცოტა აწურული მოდიოდა. უკიდურესობამდე იყო დაძაბული.

— არ მინდა, რომ ტუტუცად მთვლიდეს ვინმე!... როგორც აი ის, შალიკო... ანდა ჩემს სახლში! — თავს ძალა დავატანე ეს რომ მეთქვა. — მე ხომ ვიცი, რომ სხვები ჩემზე ჰკვიანები არ არიან!

— ეს ცოტა გაბედულადაა ნათქვამი! — თქვა „ახალმა“.

— ეს, უბრალოდ, პატიოსნებაა... თქვა ის, რასაც თქვენ ყველანი მალავთ! თვითთული თქვენგანი ხომ რაღაცით უკმაყოფილოა? ზოგი თავისი მომცრო ტანითა უკმაყოფილო, ზოგი მრუდე ფეხებით. ან დიდი ცხვირით, ჰოდა, აბა თუ გინახვს ადამიანი, რომელიც თავის ჰკუის გამო გამოთქვამდეს უკმაყოფილებას? არა! ასეთები საერთოდ არც არიან!

— კარგი და... აქედან გამომდინარე,

შენ გადასწყვიტე, რომ სხვებზე ჰკვირ-
ანი ხარ?..

— არა, მე, უბრალოდ, არ მინდა
სხვებზე სულელი ვიყო, სულელი ხომ
მუდამ სულელი არ არის. ის სულე-
ლია მაშინ, როცა ჰკვირანი უნდა იყოს!

— მაშ, არის ხოლმე მომენტები,
როცა შენ ჰკვირანი ხარ? — გაიხუმრა
„ახალმა“.

— დიას, აგრეა! მე მივხვდი, რა
მცდარი ყოფილა აზროვნებისა და მო-
ქმედების კონფიქტების ურყევობა. მი-
ვხვდი, რომ არსებობდა, პედანტი ვი-
ყავი. მქონდა ძალზე შეზღუდული
პრინციპები, რომლებიც არავის არა
სჭირდება!

— ძალზე ნაადრევად უარყოფ შენს
პრინციპებს!

— შე არაფერსაც არ უარყოფ! მა-
გრამ ისინი უფრო მოქნილნი უნდა
იყვნენ.

— დიას... იქ, კოლონიაში შენ უკე-
თესი იყავი, ბევრად... როგორა ვთქვა...
უშუალოც და სპეტაკიც! — თქვა „ახა-
ლმა“.

— მერე ვისა სჭირდება ევა?

— მოიცა, მოითმინე!.. — „ახალმა“
ხელისგული მომბაჭინა მკერდზე, და
ჩვენ გავჩერდით. ნინომ და სანდრომ
გაცხოველებული საუბრით ჩავვიარეს
გვერდზე.

— მე კი ასეთები მიყვარს... —
აღფრთოვანებით ამბობდა სანდრო.

— რა თქმა უნდა... რუბენისი შესანი-
შნავი მზატვარია! — მენტორის კილო-
თი დაუდასტურა ნინომ.

— არა, მე ვლაპარაკობ სქელ ქალებ-
ზე!

მერე ისინი გაჩერდნენ და დაგვიცა-
დეს.

— ძალიანა გთხოვთ!.. თუ შეიძლე-
ბა!.. — უთხრა მათ „ახალმა“.

ნინო და სანდრო მიბრუნდნენ და
გზას გაუდგნენ.

— ოთარ, შენ რაღაცას ყოყლოჩინობ
ჩემთან! გესმის, რას ლაპარაკობ? არა
შენ ... რაღაც... ჰკუიდან შეიშალე!

— მე კი მგონია, პირიქით — ჰკუიან
მოვედი! — მომწონდა, ^{„ახალმა“} ასე
რომ ნერვიულობდა.

— აი, სადამდე მიჰყევხარ იმ საბი-
ლიარდოს! ..

— რათა, იქ ჩვენი ფეხბურთელებიც
დადიან ... /

— მხოლოდ ისინი, ვისაც ოჯახი არ
გააჩნია, ანდა არა აქვს უფრო მაღალი
მიზნები.

— განა მე კი მაქვს? — ეს, რასაკვირ-
ველია, უცებ, ცხელ გულზე წამომცდა
და, ცოტა არ მესიამოვნა.

— აახ, მამაშენი რომ ცოცხალი ყო-
ფილიყო! ..

— ნუ ამბობ, მამაზე ნურაფერს იტყ-
ვი, თორემ გაგარტყამ! — როგორ შეიძ-
ლებოდა ასეთი საუბრის დროს მამაჩე-
მის ხსენება? ...

— გამარტყი! — თქვა „ახალმა“

— ჩემ სიცოცხლეში აღარ დაგელაპა-
რაკები! — არ ვიცოდი, როგორ გამომე-
სწორებინა ჩემი უხეშობა. — კარგია,
გთხოვ... მამატიე! ჩემთვის მამა, ეს
ყველაზე! .. და შენ კი! ..

— დიას, დიას! .. მე არ უნდა მეთ-
ქვა! — „ახალი“ განაწყენების მაგიერ
ბოდიშს იხდიდა — მოდი, ამაზე ნუღარ
ვილაპარაკებთ! ნინო! სანდრო!..., დაი-
ცადეთ!

ჩვენ ბალის რესტორნის განაპირას
მდგომ შვიდას ვუსხედით. სკამების
ფეხები არათანაბრად იფლობოდა დანა-
ყოლი აგურით მოფენილ ნიადაგში და
აღბათ, ამიტომ, ასე უხერხულად გრძ-
ნობდა თავს სანდრო და მორცხვად ილი-
მებოდა ნინო. შეკრეტილ ბუჩქებს
იქით, ხეივანში, წყვილები დასეირნობ-
დნენ. რაღაცაზე მზიარულად მსჯელობ-
დნენ ახალგაზრდები და დარბაისლური
განტრჩევლობით დააბიჯებდნენ ხანში-
შესულები.

ბალის შუაგულში, ესტრადის ნიჟარა-
ში ისტდნენ მამა-შვილი. თბილისელი
გერმანელები, ფეხებშუა ვიოლონჩე-
ლები მოექციათ, უკრავდნენ და თან ნაღ-
ვლიანად გასტკეროდნენ წინა რიგებში.

კანტიკუნტად მსხდომ მსმენელებს.

იქვე, ცოტა მოშორებით, ხის რიკულთ ნახევრად გადატბორული შენობიდან მოისმოდა კამათლების ჩხარუნნი.

იმ შენობის იქით კი, პატარა ბაის მსგავს ოთხკუთხედ ფართობზე, ძლიერი, უაბაყურო ელექტრონათურა „პტი-შვო“-ზე ჩაკირკიტებულ აზარტულ მოთამაშეთა ზურგებსა და თავებს ანათებდა.

ჩემი ყურადღება სულ სხვა ამბავამ მიიპყრო.

— გაიხედეთ იქით! — ვუთხარი მეგობრებს, რომლებმაც შეკვეთილი მწვადების მოლოდინში, ცოტა არ იყოს, მოიწყინეს.

ბაის შედებილი გალავნის პარალელურად გაშლილიყვნენ მეზობელი ორსართულიანი სახლის აივნები. აივნებს ბალიდან სინათლე მისდგომოდა, მეორე სართულის აივნის ბოლოში, კუჭუკიან კართან თავის რიგს უცდიდა შეიდიოდუ წლის ბიჭი. იგი უკვე კარგა ხანია იდგა იქ, მოუთმენლობისაგან ცმუკავდა და აღშფოთებული, დროგამოშვებით ბერავდა თავის ფუნჩულა ლოყებს.

ჩვენ აშკარად თანაფერძნობლით მას, მაგრამ ვერაფრით ვერა ვშველოდით.

— შეხედეთ, შეხედეთ! .. შარვლის სათავეც კი შეიხსნა! — გაიცინა სანდრომ.

— ღმერთო, ვინ არის ის გათახსირებული, ამდენ ხანს რომ ზის იქ? — აღშფოთდა „ახალი“.

მე ვცადე ძალზე თამამი ხუმრობა, რადგან ვიცოდი, ნინო ყველაფერს მპატიებდა.

— შენ უსულგულო ხარ! — თქვა ნინომ.

— მართალია, ამ ბოლო ხანებში მე ვამჩნევ ამას. — დაუდასტურა „ახალი“.

ახლა ბიჭს ცალი ხელით შარვალი ეჭირა, რომ არ ჩავარდნოდა, მეორეთი კი კარს დაუკაქუნა.

ამ პატარა დრამით გართულებმა ვერც კი შევამჩნიეთ, როგორ მოვიდა

ოფიციალტი და სუფრის გაწყობა დაიწყო.

მე ვუთხარი, ცოტა დაახლოვდითქი. ბიჭი აივანზე მარტო აღარ იყო. მის გვერდზე იდგა ჩამრგვალებული მელოტი კაცი. ბოლოს, როგორც იქნა, კარი გაიღო და იქიდან მძიმედ, მედიდურად გამოვიდა ხნიერი ქალი.

— ეგ უმეკველად ამ სახლის ყოფილა პატრონი იქნება, — თქვა სანდრომ, — ზედგამოჭრილი ჩვენი სახლის პატრონია.

ბიჭს სახეზე შვეების ღიმილმა გადაკრა, მაგრამ ამ დროს მელოტმა კაცმა უბიძგა და კარს უკან გაუჩინარდა.

— მე აღარ შემიძლია ვუყურო! — თქვა ნინომ და აქეთ მობრუნდა.

— არც არის საჭირო! — ვთქვი მე. — რა მნიშვნელობა აქვს კაცობრიობისათვის, შარვალში იხამს, თუ ...

— გეყოფა, კმარა! ჩვენ აქ სასიამოვნოდ მოვედით და არა შენი ნაძალადევი ცინიზმის მოსასმენად! — აღშფოთდა „ახალი“.

მეწყინა, ვგრძნობდი, რომ გადავამეტე. როცა ისევ ზევით ავიხედეთ, ბიჭი აივანზე აღარ იყო.

მწვადები მცვრიანი იყო, ღვინო კი, რაც მეტსა ვსვამდით, უფრო დაუფრო მოგვწონდა. შეზარხოშებულებმა ძალიან ბევრი ვიცინეთ სანდროზე, როცა მან განაცხადა, რომ გინეკოლოგი უნდა გამოვიდეთ, მაგრამ ვერაფრით ვერ აეხსნა, რატომ მაინც და მაინც გინეკოლოგი.

საუბარში „ახალმა“ რამდენიმეჯერ მომცა შენიშვნა და ბოლოს შევლაპარაკდით.

— შენ, საერთოდ, რატომღაც ჩემი „სწორ გზაზე დაყენება ვსურს! .. იქნებ, გგონია, რომ ამცდარი ვარ? .. — ვუთხარი მე.

— მგონია! — თქვა და თვალი გამისწორა. — მე ზომ კარგად გიცნობ ... ეს შენი ცინიზმი უბრალო პოზაა! .. არტი-სტობა! ნეტავი ვიცოდე, ვისგან და რისგან იცავ ამით თავს?!

— გეტყოდით, ეს ლამაზი ქალიშვი-

ლი რომ არ იყოს! — ნინოზე მივუთითე. სათანადო პასუხის მოსაფიქრებლად დრო მჭირდებოდა.

— ლამაზი შეიძლება არ არის... მაგრამ კონტა, — გაიზუმრა ნინომ, დაძაბულობა რომ გაეფანტა.

— და საერთოდ... — ეთქვი მე, — ყოველი ადამიანი რაღაც ნიღაბს იფარებს!.. ზოგი გულმართალსა და მოსიყვარულეს თამაშობს!.. ზოგი ჭკვიანსა და სხვებისათვის თავდადებულს! ეს, რასაკვირველია, მას ეხებოდა.

— ზოგი კი ცინიკოსს!.. — არ შეიმჩნია ჩემი ირონია „ახალმა“.

— დიახ!

— არ გჭირდება ეს, გენაცვალე! ცინიზმი ზომ ყველა მაღალი ვრძნობისაგან გამოფიტული, უშუალობისა და შემოქმედების ალღოს მოკლებული ადამიანის ხვედრია.

— სამაგიეროდ, ჭკვიანის!

— რად გინდა ამისთანა ჭკუა!

ალბათ, ღვინის ბრალი იყო, რომ არაფერს ვუთმობდი.

— არც მე მინდა შენი ჭკუის სწავლება!... ერთი ლუკმა პური ვერა გვამე, რომ ნერვები არ ამიშალონ! — სანამ ამას ვიტყვოდი, სულაც არა ვფიქრობდი ასე, მაგრამ ახლა ჩემს ნათქვამს უნდა გავყოლოდი.

ავდექი, ცაცხვის ხეზე მიყრდნობილ ოფიციანტს ანგარიში გავუსწორე და წავედი.

— ოთარ! — უკვე ქუჩაში დამეწია სანდრო. — წავიდეთ უკან... ნინო ტირის!

— ყველა მთვრალი ქალი ტირის... წადი იმათთან! წადი, თორემ არ ვიცო, რას გიზამ!

სანდრო ხმამაუღებლივ მიბრუნდა და წავიდა.

ქუჩაში მივაბიჯებდი და გულისწყრომით ვფიქრობდი: ეს რა ჩავიდინე... ნუთუ არ შემეძლო თავი შემეკავებინა და უფრო ჭკვიანურად მელაპარაკა?! ყველაფერი ნერვების ბრალია, ისტერიული ქალიშვილივით რომ მქონია აშლილი... სასაცილოა!..

წავიდე სადმე მაინც, ოღონდ არა იმ გამოცარიელებულ სახლში, რომელსაც მუდამ ასე სულელურად ვვხვდებოდი. გულუბრყვილოდ მგონია, რომ დანგრევისაგან ვიხსნი... რისთვის, როცა ეს არავის არ ჭირდება...
* * *

შუალამე გადასული იყო, როცა საბილიარდოსთან მივედი. მიუხედავად გვიან ღამისა, ტროტუარის პირას გამოშავალ რიკლებბაკრულ ფანჯრებიდან ჩანდა, რომ იქ ჯერ კიდევ ხალხი ირეოდა.

დავეშვი ბინდით მოცულ ნესტიან სარდაფში. თამბაქოს ბოლის ნისლში მწვანე კუნძულებად მოჩანდნენ განათებული ბილიარდების მაუდები და მომავალი ბრძოლის აზარტით გიზიდავდა.

კიბის ბოლოში, დანჯღრეულ ბილიარდზე თამაშობდა წვრილფეხობაიმის მიხედვით, თუ როგორ გლეჯდნენ ერთიმეორეს ხელიდან კიბის, ეტყობოდათ, ესარგებლათ მომენტით და მუქთად თამაშობდნენ. ამ ახალგაზრდებს იშვიათად აქვთ ფული, რომ დაიკმაყოფილონ ბილიარდზე თამაშის მწვავე ეინი. ჩვენ „ლემპენებს“ ვეძახდით. თვითველ მათგანს თავისი იღბალი აქვს... აქ ხელმრუდე ქარგალიც არის, ხელმარჯვე, უყისმათო ჯიბგირიც, სასწავლად ჩამოსული სოფლის კულაკის შვილიც, რომელიც საბილიარდოს იქით ვეღარსად წასულა, და რომელიღაც გაკოტრებული თავადის ვაჟიც, რომლისთვისაც უმაღლესი სასწავლებლების ყველა კარი დახშული აღმოჩნდა...
* * *

მიუხედავად ამისა, მესიამოვნა, როცა გვერდზე ჩავლისას თავაზიანად მომესალმნენ.

— ოთარ, შენი არიფი ცაცია ჩაიგდო! — მითხრა „ჩოფკამ“. ცაცია საბილიარდოს პატრონი იყო.

— რომელი არიფი? — ვკითხე მე, თითქოს ისინი ბევრი მყოლოდეს.

— აი ის, გუშინ რომ ფული მოუგე. მაღალი, „ცივანი“.

— დე, სხვამაც გაიხაროს! — ვუპასუ-

ზე სიცილით ალბათ, ღვინო კიდევ მოქ-
ქმედებდა.

— ეგ ვინ არის? — ჰკითხა „ჩოფქას“
ჩემზე მიწისფერსახიანმა ახალგაზრ-
დამ. ალბათ, ციხიდან ახალი გამოსული
იყო. მე ხომ არც ისე დიდი ხანია, რაც
საბილიარდოში დავდიოდი.

მე გავიარე და ამით „ჩოფქას“ საშუა-
ლება მივეცი ამომწურავად დავეხასია-
თებინე.

კედელთან, გრძელ მერხზე, ისხდნენ
ჩრეულნი და რამდენიმე მოხუცი.

— გამარჯობა, ყორა! სალამი, გე-
დღონ! სიცოცხლე, გოგი! — დანარჩე-
ნებს მხოლოდ თავის დაკვრა ვაკმარე.
სტეკომ, რომელიც ამაოდ მლიქვნე-
ლობდა ჩვენი „ჯგუფის“ წინაშე, ადგი-
ლი დამითმო ამხანაგების გვერდზე.

— როგორაა შენი გამოცდები? —
ზრდილობისათვის მკითხა გედღონმა.
ჩვენ ფეხბურთის გუნდში ერთად ვთა-
მაშობდით და სკოლაც ერთდროულად
დავამთავრეთ, თუმცა ჩემზე ბევრად
უფროსი იყო და ერთ დროს ჩემს ძმას-
თანაც კი სწავლობდა კლასში.

— ყველაფერი რიგზეა. — ვუპასუხე
მე.

— გუშინ რამდენი მოუგე „ციგანს“?

— ახლა გედღონი იმაზე ლაპარაკობ-
და, რაც მას აინტერესებდა.

— ორმოცი.

— ჩემი ერთი თვის ხელფასი, — შუ-
რით ჩაიცინა ვანაპირად მჭდომმა, პატა-
რა, მუშტისოდენა სახიანმა მოხუცმა,
კანტორის მოხელემ: მე ირონიულად
გავხედე მას და პასუხის ღირსიც კი არ
გავხადე.

აქ სულ სხვა სამყარო იყო და
ავტორიტეტის მოპოვება თავის დაჭერა-
ზეც იყო დამოკიდებული.

ჩასკენილი, მკვეთრი მოძრაობის მქო-
ნე: „ცაციალ“ წოდებული საბილიარდოს
პატრონი თითქმის დაუმიზნებლივ, ლა-
წანით ჰყრიდა ბურთებს. „ციგანი“ ბეე-
რად უკეთესად თამაშობდა, ვიდრე გუ-
შინ, მაგრამ ცაცია ნამდვილი აფთარი,
ძველი პროფესიონალი იყო მიაშიტების
გაცურებაში.

— რამდენი მოიგო? — ვკითხე გოგის.

— რომელმა?

— ცაცია.

— უკვე ორჯერ ვაგზავნა სახლში ფუ-
ლისთვის, — ჩაიცინა გოგამ.

— მაგრამ ეგ ხომ... ნუთუ „ციგანი“
უგებს მაგას? — გაეკვივრე მე.

— ჯერ ცაცია აძლევდა „ციგანს“ ოც
ქულას წინასწარ, შემდეგ ნაკლებს და
ნაკლებს... ახლა თანასწორზე თამაშო-
ბენ. „ციგანს“ ერთთავად მოსდის! —
თქვა ყორამ.

ეს პარტია „ციგანმა“ მოიგო, და ყვე-
ლას აზრით, სავსებით შემთხვევით. ლა-
მის ორ საათზე ცაცია საბილიარდოდან
ხალხი გარეკა, რამდენიმე კაცი დაგეტო-
ვა, კარები ჩაქეტა და „ციგანს“ შესთა-
ვაზა, აქამდე ისედაც დიდი ფსონი გაე-
ორკეცებინათ.

— ცაციას წაგებულის დაბრუნება უნ-
და, — თქვა ყორამ.

— შეხედეთ, რამდენი ფული აქვს
„ციგანს“! რა თქმა უნდა, ცაცია არ მოე-
შვება! — გადმოკარკლა თვალები გედე-
ონმა, რომელზედაც ფული ყოველთვის
დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა.

ქალაქში გედღონი კოხტაობით იყო
განთქმული. ეს კი ძალზე ძვირად უჯდებო-
და.

დილის ექვსი საათისთვის დავრწმუნ-
დით, რომ „ციგანი“ შესანიშნავი მოთა-
მაშე ყოფილა. ახლა იგი აძლევდა წი-
ნასწარ ათ ქულას ცაციას, რაც მხოლოდ
იშვიათ ოსტატებს შეეძლო.

თამაში მალე შესწყვიტეს, რადგან
ცაციას თან აღარ ჰქონდა ფული.

ცაცია ცდილობდა არ ეჩვენებინა,
თავზარდაცემული რომ იყო, თუმცა იმ-
დენი წააგო, რამდენსაც პატიოსანი კაცი
მთელი წლის შრომით ვერ აიღებდა.
მთელი თავისი სიცოცხლის განმავლო-
ბაში გაანგარიშებული გულცივობით
ფეკენიდა ცაცია აზარტისაგან თავგზა-
აბნეულ ხალხს და ახლა თვითონ იყო
წამოგებული ჩანგალზე. ეს კიდევ ადას-
ტურებდა ჩემს თეორიას ძლიერის უფ-
ლებაშისილობაზე.

— საღამოზე ოც ქულას მოგცემთ! —

უთხრა „ციგანმა“ ცაციას. — მხოლოდ გარეშენი ნუ შეგვიშლიან ხელს. მხოლოდ ესენი დაგვესწრონ, — თქვა და ჩვენზე უჩვენა.

— კეთილი, — ძლივს დამალა ბოროტი ღიმილი ცაციაში. ოც ქულას მას ვერ მისცემდა თვით კუროჩინი, მთელ რუსეთში ყველაზე განთქმული მოთამაშე, — ათ საათზე საბილიარდოს დაგვეტავ და დავიწყებთ. . .

ჩვენ სახლებისკენ წავედით. ქალაქი უკვე იღვიძებდა. მეგზოვრები გულმოდგინედ ამტკერებდნენ ქუჩებს, მემარჯვენეები ხურჩინებგადაკიდებულ სახედრებს მიატუნდრუკებდნენ. კარგა ნასუქალი ცხენი ეწეოდა ცისფრად შეღებილ სუფთა ორთვალას, რომელშიც, რძის კასრებს შუა, ლოყებდაელაქა გერმანელი ქალი იჯდა. ძველმოდურ კიტელში გამაოწყობილი, ორად მოხრილი მოხუცი ასეირნებდა ჩატიკუნულ, სულმთლად ბეწვგაცევილ ბალონკას. ძალს ქუში სჭირდა. ორთავენი ბებრები იყვნენ და, ალბათ, უძილობით იტანჯებოდნენ. . . მე კი ახალგაზრდა ვიყავი და ძალიან მეძინებოდა.

ვედილობდი, დედა არ გამეღვიძებინა. უხმაუროდ გადავივლე შხაპი და ჩაეწევი. მაგრამ ძილი არ დამაცადეს, — დილის ათ საათზე დედამ გაუფრთხილებლად შემოუშვა ჩემთან „ახალი“.

— შენ რა. . . შეუძლოდ ხომ არა ხარ? — მზრუნველობით მკითხა „ახალი“.

— ახლავე ავდგები. . .

— იწეკი, იწეკი! მე სულ ერთი წუთით, — უხერხულად გაიღიმა „ახალი“. — იქ, ქუჩაში ნინოა. . . შემოსვლისა ერიდება.

წამოვხტი, რომ ჩამეცვა, მაგრამ ისევ ჩაეწეკი, რადგან დედაჩემს ნინო უკვე შემოჰყავდა ოთახში პატივით:

— შედით, შედით მასთან, გეთაყვა!.. აბა რად უნდა იდგეთ ქუჩაში და ელოდოთ?.. კიდევ კარგია, რომ შეგნიშნეთ!

— შენ ავად ხომ არა ხარ? — მკითხა ნინომ.

— არა, ახლახანს მოვედი.

— ისევ იქ? — ცხადი იყო, რაზედაც მეკითხებოდა „ახალი“.

— სამწუხაროდ საბილიარდოებს ლამის პირველ საათზე ჰკეტავენ! — ავდებით ვუპასუხე მე. რატომ უნდა ყოფილიყო ყოველთვის მართალი!

— აბა, მამ სად იყავი? — ნინო იღიმებოდა, მაგრამ მისი წაბლისფერი თვალები სულ სხვა რამეს ამბობდნენ.

— საყვარელთან!.. აქ, მეზობლად, ერთი „ანგლიჩანკა“ გყავს. . .

— საზიზღარი, — წაიბუზღუნა ნინომ.

— შენც გჯერა ამისა. ვერა ხედავ, ყოყლოჩინობს, — დაამშვიდა „ახალი“ ნინო.

— განა თქვენთვის სულერთი არ არის, სად ვიყავი?.. — დავდიოდი გრძელ უკაცრიელ, ქუჩებში... ვფიქრობდი... ვფიქრობდი დაკარგულ მეგობრებზე. . . იმაზე, რა კარგები ყოფილხართ, და მე კი უღირსი ვარ!.. კმაყოფილი ხართ? — დავამთავრე უკვე გამოშვები ტონით.

— ო, სულაც არა! — თქვა ნინომ.

— ჩვენც სწორედ ამიტომ მოვედით! — გულითადად შემომხედა „ახალი“.

მთელი იმ გრძელი პაუზის განმავლობაში, სანამ ისინი ასე დაეინებით მიყურებდნენ, სავსებით გულწრფელად გამოვხატე სახეზე განცდათა მთელი გამა. აშკარაა, აქტიორული ნიჭის ორ კატეგორიიდან, — წარმოდგენიდან და განცდიდან, — მე მეორესა ვფლობდი.

— ოთარ... ჩვენ ხომ არ ვიცოდით, რა შეგემთხვა სახლში. როცა სანდრომ გვიამბო, ჩვენ მივხვდით, რომ... და ჩვენ ასე. . .

„ახალი“ განაწყენებულ ბავშვს მიაგავდა.

— იცი, ჩვენ იმიტომ მოვედით, რომ შენზე ნაწყენები არა ვართ!.. ჩვენ ხომ შენი მეგობრები ვართ, გესმის, მეგობრები! — ნინო თითქმის ყვირილით ცდილობდა დაემტკიცებინა ის, რაც არასოდეს შეეჭვებდა.

ისინი მოვიდნენ ჩემთან გულლიად,

როგორც ნამდვილი მეგობრები. მე კი... არა, მე აღარ შემეძლო მეთამაშა ჩემივე მოგონილი „პკვიანი ცინიკოსი“. საამისოდ არც ძალა შემწევდა და არც სურვილი მქონდა.

— არ ვიცი, შევძლებ თუ არა, ფიხსნათ... მაგრამ უკანასკნელმა ამბებმა ისე იმოქმედა ჩემზე... ზოგჯერ მე თვითონ არ ვიცი, რას ვაკეთებ... მერე კი ვნანობ!... — მიძნელებოდა საჭირო სიტყვების მონახვა.

— რა მოხდა, სახელდობრ, — სანდროს ჩემთვის არ უამბნია, — თქვა აააააა.

— ეგ უკვე ჩვენი საქმე არ არის, — შეაწყვეტინა ნინომ.

— რატომ?! — ახლა უკვე მინდოდა მათთვის სული და გული გადამეშალა. ერთხანს შემეშინდა კიდევ, ვაი თუ არ მომისმინონ-მეთქი.

ოთახში დედა შემოვიდა. ძალზე აღელვებული იყო.

— ოთარ, მე სონიასთან მივდივარ, — თან მობოდიშებით გაუღიმა ჩემს მეგობრებს.

— ნება მომეცით! — ნინო წამოხტა და დედას ქუდი გაუსწორა.

— გმადლობთ, შვილო! — თქვა დედა. — შენ კი, ოთარ, ჩაით გაუმასპინძლდი ამათ. უიმე, გეთაყვა... მგონი შექარიც გაგვითავდა!... ნახვამდის!... — დერეფანში გაიხშიანა მისმა ჩქარმა, პატარა ნაბიჯებმა, შემდეგ კი სადარბაზო კარმა დაიჭახუნა.

— რა ლამაზია! — მგრძნობიარედ თქვა ნინომ. — რამ ააღელვა ასე?

— ჩემმა ძმამ, შოთამ...

— ისევ ზარმაცობს? — შემაწყვეტინა „ახალმა“.

— განა შენი ძმა? — გაოცებით შემომხედა ნინომ.

— ერთ დროს სიზარმაცის გამო მზეზე გასვლასაც ერიდებოდა, თავისი ჩრდილის თრევა რომ არ დასკირვებოდა... ახლა არა. პირიქით, სამსახური დაიწყო... ძალიან დადინჯდა.

— მაშ რა მოხდა? — მკითხა „ახალმა“.

— ცოლი შეირთო! — იმნაირად ვთქვი, რომ „ახალმა“ და ნინომ ერთმანეთს გადახედეს და სიცოცხლე აღუტყდათ. მეც გამეცინა, თუმცა თავის შეკავებას ვცდილობდი.

— საქმე ისაა, რომ შოთაც და რუსუდანიც სახლიდან წავიდნენ.

— ერიპა — აღმოხდა „ახალს“.

— იმ საღამოს, ჭიშია რომ ჩავაბარეთ, შოთამ გვითხრა, ცოლი შევირთეთ.

— მერე რა?... თუ უყვარს! — თქვა ნინომ.

— ჰო!.. მეც ეგა ვთქვი... მაგრამ დედა და რუსუდანი ამირიზნენ. მერე ხომ იცი, დედა... დედაა!... რუსუდანი კი არ თმობდა. მეო, მაგ „ლურჯ ბლუზის“ ქალთან ერთად სახლში არ ვიცხოვრებო! მეც ვუთხარი, ვინ გაძალებს, ნუ იცხოვრებ-მეთქი!

— შოთა? — მკითხა ნინომ.

— ისეთი საცოდავი სახე ჰქონდა... თურმე, ეს-ეს არის, ხელი მოუწერიათ და ცოლი ქუჩაში ელოდებოდა. შოთა წავიდა და აღარ დაბრუნებულა. მეორე დღეს რუსუდანმა შეჰკრა თავისი ნივთები და რაიონში წავიდა, ბუღალტრად. უკვე კაი ხანია, პირდებოდნენ ამ ადგილს, მაგრამ რაღა სწორედ ჩემი თქმის შემდეგ გადაწყვიტა!..

— ოჰ, ღმერთო ჩემო! — ამოიოხრა ნინომ.

— არაფერია, ცხოვრებას ისწავლიან!

— მკაცრად თქვა „ახალმა“.

— დედა სულ ტირის... საყვედურის თქმას კი ვერ მიბედავს!

— შენ რა შუაში ხარ?! — გაცხარდა „ახალი“.

— მართლაც, შენ რა შუაში ხარ! — დაუდასტურა ნინომ.

როცა ისინი წავიდნენ, ცოტა გულს მომეშვა.

ამ საღამოს დამშვიდებული წავალ საბილიარდოში. იქ ძალიან საინტერესო ამბები უნდა მოხდეს: „ცივანი“ ოც ქულას ჰპირდება „ცაცის“.

— რაო, გეშინია?!

— რისა უნდა მეშინოდეს? ისე, არ მინდა!

— მე ასეც ვიცოდი, რომ სერიოზულ საქმეში განზე გადგებოდა, — ეუბნებოდა ყორა ჩემზე გოგისა და გედეონს, რომლებიც ვითომდა მთელი გულისყურით ბილიარდის კუთხეს მიჩერებოდნენ.

ჩვენ ელნათურის ქვეშ ვიდექით, რომელიც საპირფარეშოს ანათებდა მკრთალად. ჩვენსა და საბილიარდოს შუა ნახევრად დამპალი ხარახურით მოფენილი სარდაფი იყო.

გათენებამდე ჯერ შორს არის, ცაციას კი ფული გაუთავდა, ყველა პარტია წაავო.

— ვერც ერთსაც ვეღარ მოიგებს! — დაუდასტურა გოგიმ ყორას.

— ჩვენ ცოტა ადრე გავალთ, როცა „ციგანი“ გამოვა, უკან გავყვებით და... იოლი საქმეა!.. ყორა კვლავ ჩემსკენ მობრუნდა. — პა, გადაწყვიტე! — მითხრა მან.

— არა!.. ფული არ მჭირდება! — კარგი იქნებოდა სიტყვა „ასეთი“ დამემატებინა, მაგრამ თავი შევიკავე. ახლა მივხვდი, საიდან ჰქონდათ ხოლმე საქეიფო ფული. ცოტა არ იყოს, შემეშინდა კიდევ...

— წადი შე... გინეკოლოგო! — გედეონის ნაკვესები მუდამ მოულოდნელი და ბასრი იყო.

— შენ თვითონ წადი, კინოაქტიორო! — გედეონი კინოში გამოსცადეს ახალგაზრდა გმირის როლში, მაგრამ მეტისმეტად უნიჭო გამოდგა.

— რაო?!

— კმარა!.. რას ეჩრებით. მე მხოლოდ ამასთან მინდოდა მოლაპარაკება, — თქვა ყორამ და ჩემზე უჩვენა.

გოგი მორჩილად წავიდა, გედეონი კი ნერვულად ლუჯავდა პაპიროსს.

— გინდა თუ არა ჩვენთან ყოფნა? — მკითხა ყორამ.

— მინდა!.. მაგრამ... — არა, ვერაფრით ვერ ჩამითრევდნენ.

— რა მაგრამ? — წაიწიპინა გედეონმა. ბუნებამ იგი ტანადობით, იუმორით, სილამაზით დააჯილდოვა, მაგრამ ხეირიანი ხმა ვერ გაიმეტა...

— როგორც ვინდოდეს... უშენოდაც იოლად წავალთ. წამო, გედეონ.

როცა საბილიარდოში დავბრუნდი, განზე გავდექი, მათთან აღარ ჩამოვმჯდარე.

„ციგანს“ აღარ სჭირდებოდა თავისი თამაშის დამალვა. უკვე ოცდახუთ ქულას წინდაწინ აძლევდა და მაინც ისე უგებდა, როგორც ახალბედა მოთამაშეს.

იმ დამეს საბილიარდოში ქალაქის ყველა ცნობილი მოთამაშე შეკრებილიყო, „ციგანის“ ექსტრა-კლასიკურ თამაშით რომ დამტკბარიყვნენ.

„ციგანი“ ჰეშმარიტად არნახულ ამბებს სჩადიოდა და შეკრებილ პროფესიონალ მოთამაშეებსაც კი აოცებდა.

უკანასკნელ უხეირო დარტყმის შემდეგ, ცაცია გაცოფება მის ფულთან ერთად გაქრა. იგი ახლა პირმოთნე ღიმილით თხოვდა თავის კოლეგებს ესე-სხეზინათ, მაგრამ ისინი სავსებით საზრიაანად თვლიდნენ, რომ საუკეთესო დახმარება ის იქნებოდა, თუ არც ერთ კაპიკს არ ასესხებდნენ.

ყორამ, გედეონმა და გოგიმ დემონსტრაციულად დაუძახეს მარკიორს, მათი წასვლის შემდეგ კარები დაეკეტა და წავიდნენ.

საინტერესოა, მაინც თუ გაუბედავენ... ან სად დაელოდებიან „ციგანს“...

ჩალისქუდიანმა და ძველმოღური გრძელცხვირა ფეხსაცმელებიანმა კაცმა, რომელსაც „მესაანეს“ ეძახდნენ, ცაცია ფული ასესხა. ეს პარტია „ციგანის“ გამარჯვებით დამთავრდა.

გაბრუებული ცაცია თავის მაგიდას მიუჯდა, „ციგანს“ კი ხალხი შემოეხვია და კითხვები დააყარეს, თან მოწიწებით შესციციენებდნენ თვალეშში.

ბილიარდზე ჩამომჯდარი „ციგანი“ ხალისიანად უპასუხებდა და თან გრძელ ფეხებს აქანავებდა.

გათენებას არა უკლდა რა. ღმერთო, აქ მაინც დარჩებოდეს, სანამ მთლად არ ინათებს...

უცებ ავწრიალდი. ბედნიერი დამთხვევების მოლოდინის ნაცვლად, ხომ შემეძლო... მაგრამ ამხანაგებიც ხომ არ შემეძლო გამეცა! ამხანაგები? თუმცა, როცა „თეთრ ღუქანში“ ჩემთვის ბოთლი უნდა ჩაერთყათ, ეორამ ხელი დაუხვედრა. მაგრამ მეც ხომ წავართვი კაროს რეველვერი. როცა გედეონს სროლა დაუპირა. ხომ სწორედ ამის შემდეგ მიმიღეს მათ თავის წრეში... ახლა როგორ მოვიქცე?

ძალიან განვიცდიდი ყოველივეს, მაგრამ, ალბათ, ამ უკანასკნელ წუთს თვით ჩემი განცდების ფორმაც შეიცვალა. უმიზნო სიკვდილი კიდევ დასაშვებად მიმაჩნდა, მაგრამ უმიზნო სიცოცხლე — არასოდეს!

არა, ისინი ვერ ჩამითრევენ ბოროტ მოქმედებაში ვერავითარი დაცივებითა და შეურაცხყოფით! რა ვუყოთ, რომ ერთად ბევრი გვიქეიფია და ჩხუბიც ბევრი გადაგვხდომია. ეს სულ სხვა რამეა. მაინც, რა მიამიტი ვყოფილვარ, როცა ვფიქრობდი რომ „ვაქაცობის“ გულისათვის დამიამხანაგეს. უკანასკნელ წუთს, როცა „ციგანი“ ბილიარდიდან ჩამოვიდა და წასასვლელად მოემზადა, გადავწყვიტე, მეხსნა და ხსნის გზაც გამოვინახე:

ხალხი მიშლიდა. მხოლოდ კიბეებზე მივუახლოვდი, წამოვეწიე და მოვასწარი სხვებისგან უჩუმრად მეთქვა:

— ვთხოვთ, ჭერჭერობით ნუ წახვალთ!

„ციგანი“ შეჩერდა, დაიცადა, სანამ სხვებიც მოვიდოდნენ და ძალზე ხმაილალა მკითხა:

— რაო, კიდევ გინდა მომიგო?

ყველამ გაიცინა. თავისი ხუმრობით კმაყოფილმა „ციგანმა“ კი დაუმატა:

— გეთამაშები, თუ წინდაწინ, ქულას მომიცემ!

ირგვლივ სიცილმა იფეთქა. მოთმინებიდან გამოვედი და მივახალე:

— გაიარე, გაიარე, გაიძვერავე!.. თუ

არ გინდა ეგ მოგებული ფული დანტისტს ჩაუთვალო!

„ციგანი“ დიწჯად მომიბრუნდა და ვიკაცვირეებით შემათვლიერა და წავიდა. ალბათ, პროფესიონალ მოთამაშეს სხვაზე მეტი მოთმენა მართებს.

— მართლაც, მაგ ფულით ყველა ჩვენთაგანისათვის ვიყიდით პროთესს, — თქვა კანტორის მოხუცმა მოხელემ.

მე ყველაზე ბოლოს გავედი. ქუჩა უკაცრიელი მომეჩვენა, ისე სწრაფად შთანთქა სიბნელემ საბილიარდოდან გამოსული ხალხი. ქუჩის კუთხეში, ზემეღლის აფთიაქის ვიტრინაზე შიგნიდან განათებული ფერადი სითხით საესე შუშის სურებიდან წითელი და ცისფერი სხივები გამოერთოდა.

უხილავი დრუბლებიდან კანტიკუნტად ჩამოცვენილი წვიმის მსხვილი წვეთები ერთ წამს ლალებად და ზურმუხტებად გაიფლავებდნენ და მყისვე ქვაფენილის ტალახში ინთქმებოდნენ.

სინათლე თავისკენ მარტო ფარვანებს როდი იზიდავს. შევჩერდი. აფთიაქის ქვეშ, რესტორანის დაქანებულ კიბის ბოლოზე, დაკეტილ კართან რალაც ფუთფუთებდა, — ზემოთ ზღაზვნით ამოდიოდა ძალდი. უფრო სწორედ, ეს ლეკვი იყო, ვეებერთელა, უხეში თათები ჰქონდა, მეტად გამზდარი და ქუჭყიანი. ზემოთ ამოსულმა ლეკვმა დამჩნოსა და კულის ჭიკინი დაიწყო. ნუთუ ჩემს ტანისამოსზე კიდევ დარჩა ჩვენი რექსის სუნი, რომელიც, უკვი კარგა ხანია, ვილაც არამზადებმა მოწამლეს?

— აბა, რა გინდა ჩემგან! — ვთქვი მე. ლეკვი შიშისაგან უკანა ფიხებზე ჩაიკეცა და კულის ჭიკინს უმატა.

— რაო, გშია, შე საცოდავო? ლეკვი მთლად გაერთხა მიწას. კაცკასიური ნაგავის ლეკვი იყო, დაკარგული მისთვის უცხო ქალაქში. ალბათ, ცხვრის ფარას ჩამორჩა.

— ტყუილად დაგიკარგავს შენი მშობლიური სოფელი!... უსათუოდ დაგლუპავს ეს ქალაქი!

ლეკვის არაჩვეულებრივად სულელური დრუნე უსაზღვრო სიხარულს გა-

მოხატავდა. ილიმებოდა... და ეშვებს აჩენდა.

— ერთადერთი, რაც შემიძლია, ეს — მოალერსებაა.

ჩაეცუტკდი, რომ შემესრულებინა დაპირება, მაგრამ ლეკვი ზურგზე გადაბრუნდა და ფეხები ასავსავა.

— გადი, გადი! თფუ, რა საძაგლობაა! — მოისმა ჩემს ზურგს უკან. ეს „მესაპნე“ გახლდათ, რომელიც ცაციასთან დარჩა საბილიარდოში.

— ასე ხომ რამე სენს აიკიდებთ — მითხრა მან.

— არაფერია, სახლში მისვლისას ხელებს დავიბან.

— თქვენ ქვემოთ, ხიდისკენ?

— დიახ.

ერთხანს მდუმარედ მივიდიოდით. რატომღაც, ეს კაცი თვალში არ მომდიოდა, ზედმეტად ზრდილობიანი იყო, რომ პატიოსან კაცად ჩათვალათ და ერთთავად ცდილობდა, არისტოკრატად მოგვეჩვენებოდა.

„მესაპნე“ იმიტომ შეარქვეს, რომ მენშევიეების დროს საპნის სახარში პატარა ქარხანა ჰქონდა; ნების დროსაც, სხვა საქმეებთან ერთად, საპნის დამზადებასაც მისდევდა.

თითქმის მუდამ საბილიარდოში იყო, თუმცა არასდროს არ თამაშობდა. რით ცხოვრობდა, არავინ იცოდა, დროგამოშვებით საბილიარდოში მოდიოდა უცხო ხალხი და ვითომ ანაზღაურად, რამდენიმე სიტყვას გადაუგდებდნენ. მერე „მესაპნე“ გაილაღებოდა. მგონი, ფულსაც ასესხებდა სარგებლით.

— დიდებული მოთამაშეა!.. ბილიარდის ნამდვილი პაგანიანია! საოცარია, მდამიო რასის კაცმა ასეთ სრულყოფას რომ მიაღწია! ალბათ, დედამისმა, ბოშის ქალმა, ვეროპაში ხეტიალის დროს შესცოდა რომელიმე ინგლისელ ლორდთან, ფრანგ ვიკონტთან, ანდა გერმანელ ბარონთან..

— პაგანიანი უბრალო იტალიელის ოჯახიდან გახლდათ...

— პო, რა თქმა უნდა... დიდი დოყების ქვეყნიდან!.. და თქვენ, ახალგაზ-

რდავ, ალბათ, მოგესხენებათ, რომ იქაური არისტოკრატები პირველი დამის უფლებით სარგებლობდნენ — და ამით აკეთილშობილებდნენ მდამიოთა სისხლს!... რასაკვირველია, აქ ეს არ ესმით. ეგ კი არა და, ამისთანა ლაპარაკისთვის თავზე ხელს არ გადაგისვამენ... მაგრამ იმედი მაქვს, რომ ეს ჩვენ შორის...

— ნუ გეძარდებთ.

რად სჭირდებოდა ასეთი ლაპარაკი, თუ ეს უფრო სერიოზული საუბრის პრელუდია არ იყო! გაფაციცებული ვუსმენდი... ლეკვმაც, რომელიც აგვდევნებოდა, თითქოს გასაფრთხილებლად, ფეხში დრუნჩი წამკრა.

— აი, მაგალითად, საფრანგეთში, არისტოკრატულ წრეში მდამიო ვერ მოხვდება, თუნდაც არქიმედიონერი იყოს.

თავისი ტყლარქია ლაპარაკით უკვე მალიზიანებდა;

— მაგრამ რა აქვს ამას საერთო „ციგანთან“, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობდით?

— წარმოიდგინეთ, რომ აქვს: ციგნების სიდიადე სწორედ იმაშია, რომ მათთვის არ არსებობს საზღვარი. ისინი უფრო მალა დგანან იმ პირობითობაზე, რომლებიც რუკაზე არის დახატული ლურჯი ფანქრით რომელიმე მონარქიის ან დიქტატორის მიერ!.. ადამიანი ფრინველივით თავისუფალი უნდა იყოს! ის კი გალიაში ჩასვეს!... — ვაიმე!... ეს რა არის? — უცებ შეხტა შეშინებული „მესაპნე“.

— ნუ გეშინიათ, ეს ის ლეკვია!.. პო, ვინ ჩასვეს გალიაში? — მიამიტად ვანვაგრძე მე, თითქოს ვერ მივხვედრილიყავი, საით ჰხრიდა საუბარს.

— ეჰ, სამწუხაროდ, უკვე ახალგაზრდა აღარა ვარ. მაგრამ თქვენი ხნისა რომ ვიყო...

შეიძლება, პროვოკატორიც იყო. ბოლო ხანებში საზღვარგარეთ გაქცევის რამდენიმე მსურველს ბედმა არ გაუშარტლა, სულაც არ მსურდა მათი კომანიონი გავმხდარიყავი.

ლამე თანდათან ილეოდა, ბაცდებოდა, და ხიდის მოაჯირს იქით უკვე ნახევრად დამშრალი მტკვრის ნაპირი მოჩანდა.

„მესაპნეს“ თამარიანთ სახლის კუთხეში დავემშვიდობე.

სახლში გამხმარი პურის ნაჭრის გარდა, ვერაფერი ვნახე. მწირი ულუფა პატიოსნად გაუფნაწილე ლეკვს.

უორას, გედონს და გოგის საღამოთი შეეხვდი, ტირის გადაღმა. რესტორნიდან დამინახეს და გოგი დამადევნეს.

— დახლიდარო, ერთი ჭიქა და ჩანგალი! — გასძახა უორამ სამზარეულოსაკენ.

გაჭვარტლულ თუჯის ტაფაზე ხორცის რამდენიმე ნაჭერი დარჩენილიყო. ერთადერთი კვარტიანი ბოთლიდან მომწვანო სიცარიელე გამოსჰვიოდა.

ეჭვი არ იყო, ბიჭებს ფული არა ჰქონდათ. მაშასადამე, ვერ შეასრულეს განზრახული. შევეცადე, ჩემი სიხარული არ გამომემკლავნებინა.

— საბილიარდოში მიდიხარ?

— ჰო, რა იყო?

— თუ „ცივანი“ მოვიდეს... ნახე, როგორ...

— რა მოხდა?... ჰა, სტჟეთ, რა იყო!

— მე რა შეაში ვარ — წაიწიპინა გედონმა. — თვითონ გაიქნია ნიდაყვი და წამოეგო.

— ძალიან?

— არც ისე!... ჩივილს, ალბათ, ვერ გახედავს... მაგრამ... ნეტავ ვის გადასცა ფული? — თქვა უორამ.

— იმ ღმერთმაღლს, არც ერთი კაპიკი ზედ არა ჰქონდა! — გაბრაზებით თქვა გედონმა.

— სჯობია, აჭაურობას გავეცალოთ. ქუთაისში წავიდეთ რამდენიმე დღით, — წინადადება შემოიტანა გოგი.

უორა დაფიქრდა და თავისი ენებერთელა თითები მაგიდაზე აათამაშა. ხელეზზე წითელი და ხორკლიანი კანი ჰქონდა. ქარხანაში, სადაც დირექტორად მამამისი იყო, ბავშვობისას მწვავე კირხსნარში ჩაეყო ხელები.

— არავითარი ქუთაისი... საბილიარდოში კი წავალთ! ^{არქონესული} გედონმა და გოგიმ სიტყვები შეუბრუნეს, რომ სიმხდალეში არ ჩამორთმეოდათ.

— ფული გაქვს? — მკითხა უორამ და მრავალმნიშვნელოვნად ვახედა ცარიელ ბოთლს.

— ცოტადენს მოვნახავთ. დახლიდარო, ოთხი კვარტი ღვინო და რამე საჭმელი!

ბიჭები გამოცოცხლდნენ და, მგონი, აღარა წყრებოდნენ ჩემზე, წუხანდელ „საქმეებში“ რომ არ გაეყვიო.

ჩვენ მეგობრობის, ერთგულების, გამბედაობისა და, რა თქმა უნდა, ერთი მეორის სადღეგრძელოებს ვესვამდით.

ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ სხვების სადღეგრძელოები პირფერობად მეჩვენებოდა, ხოლო ჩემი დღეგრძელობისას ყველაფერი რასაც მეუბნებოდნენ, ჭეშმარიტად მიმაჩნდა.

როცა სუბიექტურ შეფასებათა ასეთი შეუსაბამობა ვიგრძენი, ხმამაღლა გავიცინე.

— რა გაცინებს, როცა ალალი გულით გეუბნები! — ეწყინა გოგის, რომელიც, ის-ის იყო, ჩემს სადღეგრძელოს სვამდა.

— იქნება იცი, სად გააქრო „ცივანი“ ფული? — ატოკდა ფიცხი გედონი.

— არა, ბიჭებო, მაინც რა სასაცილოა: კაცს თუ აქებენ, ფიქრობს, ასეც უნდა იყოსო, ხოლო როცა სხვას აქებენ, ვერ იტანს და გადაჭარბებულად ეჩვენება.

— შენ ისევე ფილოსოფოსობ, — მოიღუშა უორა.

— მე ვერ ვიტან, როცა სხვებს აქვთ ფული და მე კი არა! — თქვა გედონმა.

— მაგრამ არც ის მოგწონს, როცა სხვებსაც არა აქვთ, — გადაფუკარი „ცივანზე“ და გავიცინე.

— შენ რაღა ვიხარინა! — აწრიპინდა გედონი, — გირჩევ, ცოტა ფრთხილად ამოირჩიო შენი ხუმრობები! თვითონ ჭკეშიდან გამოხვედი და ახლა!..

ჩემს ენამახვილობაზე არც კი ვაუ-
ლიმით, აშკარად ჩანდა, რომ ყველა
გედეონის მხარეზე იყო. განმარტებანი
ზედმეტი იქნებოდა. საჭირო იყო შეტე-
ვაზე გადასვლა.

— დიდი ამბავია, რა გვირობაა, ოთხი
ერთზე წახვიდეთ!... ნეტავ რატომ გე-
გონა, რომ „ცივანი“, ოდესელი თუ
როსტოველი ქულიკი, ისეთი მიაშიტი
გამოდგებოდა, ლანგარზე დაწყობილს
მოგართმევდა, რაც აბადია!... მას იქ
თავისი კაცი ეყოლება, ერთ-ერთი აქა-
ური მოთამაშე, ყველაფერი გაითვალის-
წინეს...

— სწორია, — თქვა უორამ, — უნდა
გვეფიქრა ამაზე.

თუმცა ჩემი ქარაგმები უორამაც ეხე-
ბოდა, მას არ წყენია. ჩემმა ავტორიტე-
ტმა კვლავ აიწია.

— შენ კიდევ ვაქვს ერთი ბოთლის
სამყოფი? — ძალზე მეგობრული ტო-
ნით მკითხა გოგამ, ღვინის დიდმა მო-
ყვარულმა.

— არა, საკმარისია! საბილიარდოში
ცალ-ცალკე შევიდეთ, — თქვა უორამ.
მინდოდა თუ არა, მაინც ისე გამო-
დიოდა, რომ მაინც მათი თანამონაწილე
ვხდებოდი.

საბილიარდოში „ცივანი“ არ დაგვხ-
ვედრია. ცაცია აქეთ-იქით აწყდებოდა,
როგორც მგელი ვალიაში, და კლიენ-
ტებთან ძალზე უხეშობდა. გედეონმა
ნასვამი პარიკმახერი ჩაიგდო და ჩემს
ფულზე ეთამაშა.

პარიკმახერი, ალბათ, არც ისე
მოგრალი იყო, რადგან გედეონს სამივე
პარტია მოუგო, და უკაპიკოდ დავრჩი.

კმაყოფილმა პარიკმახერმა რაღაცის
მოყოლა დაუწყო „მესანეს“ და სტე-
პოს, მაგრამ მათ ყური არ ათხოვეს.
მერე საპირფარეოებისაკენ გასწია.

წაგებული გედეონი ბორკავდა, ჯერ
სარდაფს გასასვლელთან მდგომ ნაპი-
რა ბილიარდთან მივიდა, ერთხანს უყუ-
რა მოთამაშეებს და მერე ვაქრა.

რამდენიმე წუთის შემდეგ, გედეონი
უკვე ჩემს გვერდით იჯდა, აჩქარებით
სუნთქავდა, ცხვირსახოცი თელვს იწ-

მენდდა და იქით იყურებოდა, საიდანაც
მოვიდა. ცოტახნის შემდეგ, „პარტიკმა-
ხერი გამოხნდა, ახლა ძალზე წაღვანდებ-
და, ალბათ, შეშინებული.

მხრებჩამოყრილი პარიკმახერი მძიმე-
მძიმედ ადიოდა კიბეზე. მთელ მის არსე-
ბაში სრული ინერტულობა სუფევდა.
კარებთან პარიკმახერი ერთ წამს წელში
გასწორდა, უცებ მობრუნდა და მის წი-
თლად მოფაკლულ სახეზე სასოწარკვე-
თილი გადაწყვეტილება აღიბეჭდა.

გედეონი თვალუბამრგვალეული,
მრისხანე სახით ჭიქურ უყურებდა პა-
რიკმახერს.

მათი თვალეები ერთმანეთს შეხვდნენ.
პარიკმახერი უეცრივ მოეშვა, მძიმედ
მიბრუნდა და გავიდა ქუჩაში.

— შეშინებულ კაცზე საზიზღარი
არაფერია! — ვუთხარი გედეონს. კარ-
გახანია, მივხვდი, რაც მოხდა.

— შენ რა... არასდროს არა გშინე-
ბია? — ღიმილით, თითქოს ყოველშემ-
თხვევისათვის, მკითხა გედეონმა.

— თუ შშინებია, არ გამომიმკლავნე-
ბია. ჩემის აზრით, ყველაზე საშინელი
შშინის გამომკლავნებაა!

— მაგ ძალღიშვილმაც რომ თავი გა-
მოიღო!... ვეუბნები, ფული ჩემი არ
არის და მერე მოგცემ-მეტქი. ადგა და
ჰკუის კოლოფი მიწოდა!... მიიღო კი-
დეც!

— შენ კი არ მიიღე?

— მაგ ცინგლიანისაგან?... აა, შენ
წაგებულზე ამბობ... სულ მთლიანად.
მგონი, თითიც მელრძო. გედეონმა პი-
ანისტივით გრძელი თითების სრესვა დაი-
წყო, — აჰა, აიღე ნახევარი. ასეა თუ ისე,
ფული ზომ წაგებული იყო.

— რასაკვირველია, რა კარგად იცი
ართმეტიკა. მე პირდაპირ აღტაცებუ-
ლი ვარ! ტყუილად ვიწერდნენ მასწა-
ვლებლები ერთიანს! ორიანი გეტუ-
თენის!

— შენ ჩემთან იქონიე საქმე და ცი-
ხეშიც ერთად მოვხვდებით.

ზმების ამოხსნა კარგად იცოდა, და კი-
დეე უკეთესად, ვინა ჰკერავდა კარგად
აზიურ წაღებს, კონტრაბანდული კოვე-

რკოტებით ვინ ვაჭრობდა და რომელ რაიონში ვინ იყო მილიციის უფროსი.

გედეონი ქორასთან და გოგისთან მივიდა, რომ ყველაფერი ეამბნა. მე წერილფეხობას შევერიე. ჩემს გვერდით მოხუცები ისხდნენ და მშვიდად თვლემდნენ, მხოლოდ ჭახანით ჩავარდნილი ბურთის ხმაურზე თუ წამოსწევდნენ თავს.

„ციგანის“ ატრაქციონების შემდეგ, საბილიარდოში მოწყენილობამ დაისადგურა.

მაინც არ მეთმობოდა აქაურობა.

მერე ორი ცაცი ჩამოვიდა — ხუჭუჭა თომა და ალიოშა მალაკანი. ორთავენი დინჯად ირჯებოდნენ, მაგრამ ისე აცეცებდნენ თვალებს, ეტყობოდათ, დაძაბულები იყვნენ. ვილაცას დაეძებდნენ და იმიტომ კი არა, დაბადების დღე მიელოცათ. . .

კიბის თავზე, კართან იდგა „ჩონჩხა ტანტრე“ ეტყობა, ესეც თომას და ალიოშას ახლდა. მარჯვენა ხელი ჯიბეში ედო. ვილაც მეოთხე ქუჩაში, კართან ბოლთასა სცემდა.

ლაპარაკი და ხმაური მიწყდა. ყველა ამ საშიშ სტუმრებს ადევნებდა თვალს. ბოლოს ქორა განზე გაიხმეს, რალაც უთხრეს და სწრაფად წავიდნენ.

ვერავენ გაბედა ეკითხა ქორასთვის, რა მოხდა.

დრო შევარჩიეთ და ქორასთან მივედით.

— ბიჭებო, მხოლოდ, ეს ხომ იცით. . .

— ვის ეუბნები?!

— გასაგებია!.. თქვი!

— ჩოფურას ეძებენ. ველოსიპედების სახელოსნო გაუჩნრეკიათ. ექიმ კირშენბლატის ნივთები აღმოუჩენიათ და სამივე ვინც იქ ყოფილა, დაუპატიმრებიათ. როცა კოჭლი შაქრო მიჰყავდათ, უთქვამს, ჩოფურამ გაგვყიდაო.

— მაგათაც ეძებენ?

— ჰო, მაგრამ სანამ მაგათ მკაახელდებენ, ეგენი ჩოფურას გაუსწორდებიან. საზიზღარი, თავისიანები გაჰყიდა! . .

კიბეზე ნელა ჩამოდიოდა „ციგანი.“ მარჯვენა ხელის ნიდაყვი შეხვეული

ჰქონდა-ქორას და გედეონს ისე გაუქარა გვერდით, რომ არც კი შეეხებოდა. მივხვდი, რომ იცნობს ჩინის შეშტხება, მათ გვერდზე რომ ვიდექი.

როგორც მოყვარული დედა ისე განიცდიდა ცაცია „ციგანის“ დაჭრას.

ამბობდნენ ცაცია მსახლი გაყიდა, რათა წანაგები ამოიგოსო. ახლა ყველაფერი წყალში ეყრებოდა.

„ციგანი“ დღეს კარგად გამოწყობილიყო. „შუშით ხელის გაჭრის“ გამო, ცაციას სამძიმრის შემდეგ, მოიბოდიშა რევანშის შეუძლებლობაზე, და რაკი ცაციას დალონება შეატყო, მარცხენა ხელით თამაში შესთავაზა, რა თქმა უნდა, თუ ცაცია წინდაწინ ჭულებს მისცემდა. ცაცია ცას ეწია სიხარულით.

— ამბობენ, ისტორია მეორდებაო, — თვალი ჩამიკრა ინტელექტუალურმა „მესაპნემ.“

ცაცია ისევ აგებდა.

— ისტორიას ხალხი ჭმნის. . . და მეორდება მხოლოდ ადამიანთა სისულელე!

— უკანასკნელი სიტყვა ყოველთვის მე უნდა დამჩინოდა. ასე გადაწყვიტე გუშინ.

— ეჰე, ყველანი რომ ჰკვიანები იყვნენ, მაშინ ამ ქვეყანაზე ცხოვრებაც აღარ ეღირებოდა.

— აზარტი ყველას ასულელებს. თქვენ თვითონ არ მიამბეთ, რომ ერთხელ ქართულ კლუბში ძალიან დიდი თანხა წააგეთ!

— მაგითი რა გნებათ თქვით, ჰკვიანი ვარ თუ სულელი?

— არ ვიცი ყოველ შემთხვევაში, თქვენ მუდამ თქვენზე სულელებს ეძებთ! იქნებ იმიტომ, რომ თქვენ უმალესი რასისა ბრძანდებით? . . .

„მესაპნემ“ ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ვერაფერსა ხედებოდა.

დილისათვის ცაცია ძალიან დიდ თანხას აგებდა, თუმცა უკვე თანასწორზე თამაშობდნენ.

შემდგომ ორ დამეში „ციგანმა“ უკანასკნელ კამიკამდე გაფტქენა ცაცია: თუმცა უკვე თვითონ აძლევდა წინას-

წარ დიდ ქულებს და თანაც მარცხენა ხელით თამაშობდა.

მერეც, როცა „ციგანმა“ ჩვენი საბილიარდო დატოვა და სხვა ქალაქში გადაინაცვლა, ერთხანს ხშირად იგონებდნენ მის თამაშს და უკვე ლეგენდას თხზავდნენ. მერე ყველა გაქცეულ ჩოფურაზე ალაპარაკდა. მისი მღვევრებიც გაუჩინარდნენ. რადგან მათ მილიცია დაეძებდა.

საბილიარდოში ახლა ხშირად ნახავდით სამძებრო ორგანოების რომელიმე თანამშრომელს. ამ ჯანღონით სავესე ახალგაზრდებს, ჩვენებურ შერლოკ-ჰომსებს, ალბათ, თავის დღეში ხელში არა სჭერია არც გამადიდებელი შუშა და არც კონან-დოილის თხზულებები; სამაგიეროდ, იარაღს უსათუოდ შესანიშნავად ხმარობდნენ. ხმები დადიოდა, ჩოფურა ქურდებმა დაიჭირეს, მაგრამ გაექცათო... ჰყვებოდნენ, ჩოფურა ვერის სასაფლაოზე უპოვნიათ, სადაც სანთ-

ლის შექმნე ჯიბგირებთან ყომაჩს თამაშობდა, და ფლატესკენ წაუყვანიდით მტკერის მხარესო.

ჩოფურას მშვენივრად გაუთამაშნია გაკვირვება, ცილისწამების გამო აღშფოთება... საფლავის ქვებზეც უხლია თავი, მაგრამ ვერაფერმა ვერ უშველა. მიმხვდარა, რომ ქურდების „მართლმსაჯულების აპარატი“ ამუშავდა და მას უკვე ველარაფერი შეაჩერებდა, ჩოფურა ფლატედან ლოდინებზე გადაეშვა და თვალსა და ხელს შუა გაქრა.

ესროლეს. დილით ლოდებზე სისხლის კვალიც იპოვნეს, მაგრამ კაცი კი გაუჩინარდა.

რატომღაც არ მეგონა, რომ ჩოფურა გამცემი იყო. სახენაყვავილარი, თავისი ოცი წლის ასაკისათვის პატარა და უძლური... რატომღაც მინც ვასკას მაგონებდა და ახლა, როცა ვიცოდი, რომ ჩოფურა განწირულია, ძალზე მეცოდებოდა.

(გაგრძელება იქნება)

ღამე სანაპიროზე

შპრობი ცეცხლი არაგველავის ოჯახისკოთახი

ბავშვებს ხელები გაუშვებიათ
და თოთო თითებს ითბობენ ალზე.
ეს—საქართველოს ცხელი კერია
ღვივის ისევ და შუქს ლესავს ხმაღზე.

ავტობუსის და მგზავრთა ლანდები
ზედ გადარბიან და ხურდებიან.

ამ ცეცხლს როდესაც თავს
წავადგები,
არაგველები ახუცვლდებიან.

ეს ალი მათი სისხლის ფერია,
ამგვარი ცეცხლი ეკიდათ თვალზეც...
...ბავშვებს ხელები მიუშვებიათ
და თოთო თითებს ითბობენ ალზე.

სევდის გენია

სავსეა შენი ბიოგრაფია
განშორებებით,
ლოდინით,
ცრემლით.
მისდევ შორეულ ნავეს აფრიანს,
დაღლილებს მზორგავ ტალღების
ცემით.

ელავს კეთილი იმედის კონცხი,
ქათქათებს ცივი ციმბირის თოვლი.
საფეთქლებს ნისლი მიჰყვება
ცოცხლად,

როგორც დაცლილი ბერდანის ბოლი.
ხარ გასუდრული საფლავის ლოდთან
მზით გახურებულს სუნთქვით
ავრილებ.

ძალგის დაცხრომა მძვინვარე
ლომთა,
ეფარვი ღრუბლებს, მთებზე
დაყრილებს.

დაგაქვს წუხილი ჩამქრალ ველყანის,
დაგაქვს ქვითინი ჩამქრალ ეროსის.
შენ შეათრთოლე სული უკვდავი
რუსთაველისა და ჰომეროსის.

და შენს კალთაში მარად ეღვარი
კრთის ნამსხვრევები ფერად სარკეთა.
„სამშობლო“ — აი, შენი მწვერვალი
და უმალღესი სასოწარკვეთა.



ზარილ ჭანჭარია

• • •

როგორც კი მოვა ნოემბრის წვიმა
და ყვითელ ზვინებს ნისლი დამალავს,
მაშინვე მამის საფლავზე მივალ
და ვნახავ — ქცეულს ნააკლდამარად.
ვერ დავიკავებს გვიმრის ფესვებზე
ცემენტი, თიხა, ღორღი და სილა,
მაწვიმს და... გული დარღით მევსება
მთ გამო, ვისაც ლოდებქვეშ სძინავთ.

წვეთავს და თითქოს კისერში ჩამდის
წვეთები ცივი და უამური,
ავზილუ ფეხით სიკვდილის ლანდი
და საყვედური მესმის მამური.
სველდება გვიმრა, სველდება ბარდი,
სველდება ბზის და ნეკერჩხლის ტოტი,
და მესმის: „შვილო, პო, ახლა წადი,
და მერე... ერთხელ... ოდესმე... მოდი...“

• • •

გ. კალაძის სახელობაში

დგანან, ელიან თიხის კაცები
სულის შთაბერვას, თვალისჩინს, სმენას,
ვერ შლიან თითებს, თიხით გაწებილს,
ვერ აბრუნებენ ტალახის ენას.
ელიან კეთილ ღმერთსა და ლილეს,
სისხლის მოქცევას, სისხლის მიქცევას,
ელიან ცხიმებს, ნახშირწყლებს, ცილებს,
სიცოცხლის წყაროდ რომ გადიქცევა.
გეანან ყურმოჭრილ ყმებსა და მონებს,
გინდ თავი მოჭრა; ხმას არ იღებენ;

არა აქვთ ტვინი, არა აქვთ ღონე,
არა აქვთ სული — რას გაიგებენ.
კაცად ქცეული ყოველი ბელტი
მოელის თავის ღმერთსა და ლილეს,
და შენ, რომელიც ძერწავდი, ზელიდ,
რად არ პატრონობ შენს ობოლ
შვილებს.
დგანან, ელიან თვალისჩინს, სმენას,
ვერ შლიან თითებს, თიხით გაწებილს.
დგანან, ელიან გონსა და ენას,
დგანან, ელიან თიხის კაცები...

• • •

თუ დავიღალე ისე ძალიან —
ვერ ვზიდვ შენი საფლავის ლოდი...
თუ დავიღალე ისე ძალიან —
არ მომენატრა, ვინც აღარ მოდის...
თუ დავიღალე ისე ძალიან,
ნუ გეწყინება, ნუ გეწყინება:

მივდებ თავს ჩემი საქართველოს
მწვანე კალთაში
და დავისვენებ
და...
მკვდარივით დამეძინება...

პოლიტიკა კავაპაპი

მეფე ვახტანგ პირველი

დრამატული პოემა სამ ნაწილად

ნაწილი პირველი
დრამა ოთხ მოქმედებად

მოქმედება მეორე

არმაზის ტაძრის ნანგრევები მთის წვერზე. უწყესრიგად ყრია მარმარილო და ფერადი, ნატიფი ქვები. ნანგრევებზე დაშლილ ქვებისგან შეკოწიწებულია ვიწრო ოთახი და შავ ღვას არმაზის კერპი, ანთია უქრობი ცეცხლი. უქრობ ცეცხლთან დამხოზილია უფროსი ქვრუმის მანგუ — ღრმა მოხუცი. ცეცხლს აცვირდება. ძრწის. კერპის წინაშეა ქვრუმის ბაქარ, გულედი, სამიოდე მლოცველი და ცეცხლის შემძებელი. სხვა მლოცველები ღია კარებთან მიჭუნელან, რადგან შავ არ ეტყვიან. ოთახის იქეთ მოდგმულია ფიცრული სახელოსნო და ქანდაკებათა ზურგი ჩანს.

ბ ა ქ ა რ ი — კეთილთა არმაზ, მზევ, სიცოცხლის მომნიჭებელი, დღეს ქართლოსიანთ უფალთაგან ზარ დაგმობილი, ურწმუნოებმა დაგინგრიეს დიდი ტაძარი და ამ მწვერვალზე, საიდანაც გადმოსცქეროდი ქალაქს, შენდამი ყოველ დილით ბელაპყრობილსა, აწ შემალულსა ვიწრო სახლსა ვით დამნაშავე...


მ ლ ო ც ვ ე ლ ნ ი — პოი, რა დრტვივით აღვივსენით შენი მოსაენი.
ბ ა ქ ა რ ი — ჩვენს გულს ვერა რყვნის, დიდო არმაზ, სინათლის ღმერთო, ძველ ტაძრის ნგრევა და გინება შენი სახელის, წერაქვი მტერთა და ურწმუნო მათი ძაგება ჩვენ გვამცირებდა, შენს დიდებას კი ვერ შეეხო.

ი-ლი მ ლ ო ც ვ ე ლ ი — არ შერევი შენს წიაღში სიბრძნეს სიცრუე და არ შეცვლილა შენს დაფაზე არც ერთი ასო გამოძერწილი ზეროდამტრეს წმინდა თითებით.

ბ ა ქ ა რ ი — შენ ცათა შინა აღკაზმულსა, ყოველსა მნათობს შენი არსების ხილულ ზორკად დაარონინებ, იმავე წმინდა გზნებით ებრძვი, უქრობო ცეცხლო, არიმანს, ბნელსა დასაბამსა მას ბოროტების. ღამეს სობ — ახალ დილით, სიკვდილს — ახალ სიცოცხლით, მეხებით სავსე ღრუბელს აქცევ შრომანთა ნამად და შენი მადლი უსასრულოდ გვესახვის ყველას.

გ უ ლ ე დ ი — ლოცვა მიგვაფრენს სიზმრის მხარეს. ცხადში კი ვხედავთ უსაფუძვლოდ გვაქვს ცის იმედი.

ბ ა ქ ა რ ი — რისთვის, გულედი, შენ აქ ბომონში მოისმინე, რომ ავმა ეამმა



არა ღმერთები დააკნინა, არამედ თვითონ
კაცნი შეიქნენ მხეცთა მსგავსად.

გულელი

—

მხეცებს რა უმეცობა
კეთილო ბაქარ, მხეცებს დიდი ჭკუა არა აქვთ,
ამიტომ მათი ბოროტებაც შეზღუდულია,
ხოლო თუ კაცი გონიერი გარყვნა ავმა დრომ
და ყალბი სიბრძნით აღატრუა, ვერ მოისვენებს
სანამ ქვეყანას არ დააქცევს... კაცის გონება
ცუდად იქცევა, თუ ვერ პოვია ღმერთი პატრონად.

ბაქარი

—

ჩვენ გვყავს კეთილი ღმერთი.

გულელი

—

არ ჩანს, დამალულია,
ის მზიურ ხორციტ ხორცს გვითბობს, და სულში
ყინვაა...
და ღვთის მცნობელი ცხოვრება თუ არ გვიწერია,
სჯობს ვიქცეთ კაცნი უგუნურ ცხოვლად, ან ხედ და
დავტკბეთ,
როგორც ნაწილნი ბრმა ბუნების.

ბაქარი

—

რად შეუპყრიახარ
გვებს, წარმართების დიდო ბრძენო, გულელი?

გულელი

—

ენახე
გაუგონარი ბოროტება.

ბაქარი

—

მითხარ, რომელი,
იმდენს ჩაღიან ბოროტებას, რომ გვაეიწყებენ
ერთით მეორეს.

გულელი

—

თქვენ იცით, დღეს ეპისკოპოსმა
მიქელმა ბრძანა საზეიმოდ ძველ წიგნთა დაწვა.
ამით გამწყრალი გავეშურე კარგ ვაქცალებით
უფალ ქართლოსის საფლავისა თაყვანსაცემად.
მინდოდა ჩვენი ძველი ერის მამამთავარის
წინაშე ვალი მოგვებადა ამ მწუხარე დღეს.

1-ლი მლოცველი

—

თვალში ცრემლები გვადგებოდა იქ დასალერეულად.

ბაქარი

—

დღეს თქვენთვის ფრთები გამოუხსამთ კეთილ
დემონებს.

გულელი

—

გზაში აგვეგზნა თაყვანებით ასეთი გრძნობა,
თითქოს ჩვენ — მკვდრები მივდიოდით მასთან,

ცოცხალთან,
რათა ძველ, გმირულ ცხოვრებისთვის გამოგვადვიძოს.
თავზე ხმლის ცემით გვსურდა ლოცვა, რადგან
ვფიქრობდით,
რომ სულს სისხლი პბანს და სიყვარულს მსხვერპლი
ამტყიცებს.

1-ლი მლოცველი

—

მისი საფლავი მოუფხვრიათ, მოუხნაეთ ფართოდ,
დაუფხვრიათ ზედ კვალი, ქაცვი...

გულელი

—

და მზესაც
ავი ნათესი ისე ჩქარა წამოუზრდია,
რომ დაუფარავს მამამთავარის ნასაფლავარიც
და მისი კვალი დაუქარგავს.

1-ლი ხმა

—

ეს არ გვსმენია!

- მე-2 ხმა — გზორები დასვენს, საფლავისკენ არ გვატარებდნენ.
- მე-3 ხმა — მაინც ესოდენ მკრუხელობას არ მოვულოდინო.
- გ უ ლ ე დ ი — ისე შეგვიპყრო უსასობამ იმ სიმწრეს აღწევს...
ყოველი ფიქრი მოვლენილი შიშის ზარს გვეცემდა...
ასე ყოფილა, რამდენადაც ხელისუფალი
უმოწყალოა და უგუნური, იმზომ მის ხელში
ბრძენი, მართალი შეპყრობილი, კარგავს კაცობას,
რაკი დამხმარეთ ვერც ღმერთს. ვერც კაცს ვერ
ხედავს თვალით...
მობრუნებისას ვაგვაცოფა გულის ტკივილმა,
ერთიმეორეს მოვუგონეთ სიმდაბლე, შიში,
ავეყვით კიცხვას, ბოროტების ჭურვიც ავმართეთ
და შფოთის შემდეგ ორმა-სამმა ქრისტიანების
ეკლესიაშიც შეუხვიეს უსუსურ ყინით.
- 1-ლი ხმა — ჩანს, ბოროტება იპყრობს მთელ ერს.
- ხმები —
- ბ ა ქ ა რ ი — ვიქცევი!
— არა,
ვათენების წინ ზოგჯერ მეტად ბნელდება, მაგრამ
ამით ცისკარი არ ივიწყებს ეამს ამოსვლისას.
იბერიისთვის ცისკარს მოაქვს შავი დღეები.
- გ უ ლ ე დ ი — არის ნიშანი უკეთესი. თქვენ იცით, მეფე
ბ ა ქ ა რ ი — მიპრან ტახტიდან გადამდგარი არის ყოველ ძველ
სარწმუნოების მწყალობელი. თქვენც გაიგებდით,
მეუფე ვახტანგს შეუროგდა დღეს მომხრეებით
და ტახტზე ჯდება თანამეფედ მისი ასული.
- 1-ლი მ ლ ო ც ვ ე ლ ი — ესეც მოგვესმა, უკურნელი სენი სჭირს მიპრანს,
მისი ასული კი მოთრგუნა ეპისკოპოსმა
და ნება დართო მოსაყდრობის.
- გ უ ლ ე დ ი —
- მ ლ ო ც ვ ე ლ ი — ვახტანგი მოდის, მოაღწია ტახართან, ხოლო
მთის ფერდობს ჩვენკენ შემოუდგნენ ვინმე პატრიკნი
და მოახლენი.
(შემოდის დაღონებული ვალენტი)
- 1-ლი მ ლ ო ც ვ ე ლ ი — წყალობა მზისა კეთილ ვალენტს.
ბ ა ქ ა რ ი — (ოთხიდან) — ია და ვარდი
ჰფენია ვალენტს, ჩვენს დიდ იმედს. ხოლო ვინა თქვა,
რომ მთის ფერდობზე პატრიკნია?
- მე-2 მ ლ ო ც ვ ე ლ ი — მე დავინახე.
(მანვე ამ სიტყვაზე ძრწის)
- 1-ლი მ ლ ო ც ვ ე ლ ი — რისთვის შეშფოთდა ჩვენი დადი ჭურჭმი მანგუ?
ბ ა ქ ა რ ი — კარგად დაზვერე და მაცნობე. მობრძანდი, ვალენტ!
(მლოცველი მიდის. ვალენტი შეჩერდება)
- ვ ა ლ ე ნ ტ ი — მე მოველ იმზომ შერცხვენილი, ვეთქმით, ვალენტის
გვამში ჩამდგარა სხვისი სული.
- გ უ ლ ე დ ი —
- საიდან მოხველ?



- ვალენტი — ჯოჯოხეთიდან, სადაც შავი ცეცხლი დაანთო ეპისკოპოსმა.
- 1-ლი მლოცველი — მაგ სანახავს ჩვენც გვემეცა მაგრამ მეტ ჭირში გადავევარდით.
- გულელი — შენ რა გადავხდა ესღენ შემძვრელი?
- ვალენტი — უწყით, ბრძანა მღვდელთამთავარმა, რომ ყველა წიგნი, გარდა მათთა წმინდა წერილთა, დასაწავთა ცეცხლში, როგორც ეშმაკის სიბრძნე, — და ბრბო მოდიხდა მოედანზე სვირის ცქერად. — ბევრსა მოჰქონდა განწირული თავისი განძი... იმა წიგნებში შეყრილიყვნენ ათას წლის ფიქრნი სასწაულებრივ სიმჭიდროვით, თითქო მრავალი უხორცო სული, მოქცეული მკორე ქურქულში. წიგნთა მომტანი მეტის-მეტად ტრელი ბრბო იყო. — ზოგი უგნური, ახალ ეამის ჩიხა ნაყოფი, ბრძენ მამა-პაპათ განძს სიამით ჰყრიდა კოცონში, სხვა ვინმე ვაჭრულ ანგარებით ნანობდა ყოფილ განძის უფასოდ გადავადებას. ზოგი მოხუცი. ვისაც ცხოვრება დაუხარჯავს წიგნთა კითხვაში და სიხარული სხვის სიბრძნეში მხოლოდ უგრძენია, ახლა შიშის ქვეშ ცეცხლში ყრიდა წმინდათ-წმინდას და ეთხოვებოდა თვის გონებას საყვდილზე ადრე... ოჰ, მიმიძმს გითხრათ ჩემი საქმე... ვერც ვღუპდები... და...
ვაჭიანურებ.
- გულელი — ჩვენც გვეყურია მთლად მოვისმინოთ.
- ვალენტი — ოდეს ებორავდი კოცონის წინ, მაგონდებოდა, რომ ეპისკოპოსს ჰქონდა წიგნი ჩემი მამისა, უცბად მიქელმა აღაპყრო ის წიგნი კოცონთან, ბრბოს დაანახა და ცეცხლს მისცა ვინებით. ასე მკაცრად მომისპო კვალი ლეთიურ მამის ცხოვრების. შემთავრო ნამდვილ კოფმა... მალე ეპისკოპოსი ბედმა პირისპირ შემახვედრა. მას ახლდა ვინმე დედათავანი, შებურვილი სქელი პირბადით. მივიჭერ რვალით. მაგრამ ამ დროს პირს ბადიდან დინარას სახე ვამოჩნდა და წინ აღმემართა... ამ შეფერხების ქაშს დამესხნენ მცველნი, შემბოქეს, დინარამ კიცხვით მიმატოვა, მიქელმა მშვიდად შემხსნა საბული, დამიბრუნა რვალი და შემდეგ აგზნებულ ბრბოსგან დასაცავად ვამომაცილა. მე ხმალი მიპყრა, ის კი იყო შეუჭურველი, მაგრამ იცოდა მახვილს აწ ვერ ვიხმარდი, რადგან ის იყო ჩემზე სათნოებით გამარჯვებული. ასეთი ხერხით საშინელით გვამარჯვებენ ჩვენ ძველთა სიმართლის შეილეს ახალ დროის ვერაგნი. ამ მწარე ფიქრთან გამახსენდა მოულოდნელი



შეკაცი გაციცხვა დინარასგან, და აირია ჩემს გონებაში სინათლე და სიბნელე-უფიქრეობა და მარჩა მე მხოლოდ არყოფნისკენ. — ყველა გზა მიდის ქვესკნელისკენ, ვალენტი, მაგრამ იქ მიღწევამდე ვინ არ ეძებს აქ ნეტარებას, თუმცა სიკვდილმა, ყოველ ქურდზე მძარცველმა.

გ უ ლ ე დ ი

ვერვის ველარ უპოვა წასართმევად ბედნიერება, იმედებს მაინც ყველას ართმევს და მით აწამებს და ყველა ცდილობს მასთან შეყრა დააგვიანოს. შენ კი თვითონვე გზას იმოკლებ. ნუთუ, ჭერ წაბუქა აქ იმედებიც აღარ გრჩება გულდასაწყვეტად.

მე-2 მ ლ ო ც ვ ე ლ ი

— მეფის მიპრანის ასულაა, პირმზე დინარა, მოახლეებით მოაღწია ბოშონთან!

ბ ა ქ ა რ ი

— ჩქარა, ვარდები ფეხქვეშ გაუფინოთ! თქვენ, მლოცველებო. გაიხვეწენით, ეგებ თვალში არ მოეფონოთ. ვალენტი, ტყვილად გამოფხიზლდი. გულედო...

გ უ ლ ე დ ი

— არა, მე ვფიქრობ, რაღაც ცბიერ ზრახვით აქ გვევლინება. მიეჭვებს მოხუც დიდ ქურუმის ჩუმი გოდება.

(მლოცველები და გულელი მიდიან. ვალენტი გაშეშდება. შემოდიან და შემოჰყავთ ახოვან მონებს ჭიორფას საკაცურებზე ნებიერად მკლარნი დინარა და ბანოვანი. ბაქარს და ცეცხლის მგზნებელს გამოაქვთ ყვავილები და ძირს უფენენ დინარას)

დ ი ნ ა რ ა

— ღაწვები რისთვის შეგიფითრდათ, ბანოვანებო!

1-ლი ბ ა ნ ო ვ ა ნ ი

— ბოშონში მიხვალ?

მე-2 ბ ა ნ ო ვ ა ნ ი

— გვეშინა.

დ ი ნ ა რ ა

— თუ საყდარს ვკლები ყველა რწმენისა ქვეშევრდომებს უნდა მივხედო. დღეს არ გაგონილ საქმეს ნახავთ. თქვენ უკუდევით და გადახედეთ მწვერვალით ჩემს ტურფა ქაღალქებს. (ბანოვანი საკაცურით წელა უკან ისევინ)

1-ლი ბ ა ნ ო ვ ა ნ ი

— ო, რა რიგ იპყრობს შხის სადარსა ამპარტავენება.

მე-2 ბ ა ნ ო ვ ა ნ ი

— ვარდებს უფენენ.

მე-3 ბ ა ნ ო ვ ა ნ ი

— ხედავ ქურუმს!

1-ლი ბ ა ნ ო ვ ა ნ ი

— თფუ, ბოროტ ეშმაკს!

მე-2 ბ ა ნ ო ვ ა ნ ი

— უფალო ქრისტეე, ღარიბთა და ყველა ტვირთმძიმეთ მოწყალეე, გვიხსენ ბოროტისგან!

მე-3 ბ ა ნ ო ვ ა ნ ი

— იდამიანურ, ჩვენი ცოდვების განტევებას გთხოვთ, ქრისტე ღმერთო!


მ ო ნ ე ბ ი

— მოგვხედე მონებს, ქრისტეე, ჩვენო მსასოებელო!

(საკაცურებზე მსხდარი ბანოვანი წელა ისევინ უკან და მიდიან. დინარა ვაღმოდის საკაცურადან, ვარდებზე აბაჩებს. მისი მონები საკაცურით მიდიან. დინარას ეგებებიან: ბაქარ უკან ვიღებს უფენს, ახოვანს ოქრო-ვერცხლის ძაფებით ამკობს, კალიოპე — (გალობით) მზე შინ შემოდი! მის ვალობას აყვება ვარდლან გუნდი)


დ ი ნ ა რ ა

— პირველად ვარ აქ სტუმრად, მახსოვს, წინათ მწვერვალზე უფრო დიდი ბოშონი ჩანდა.



- ბ ა ქ ა რ ი — ეს მზის ტაძარი შენ გლეხულობს პრა ვით სტუმარს, ვით თავის ნათელ ღმერთის ნაწილს, ნაპერწკალს უნაღმისა და უმზისა.
- ღ ი ნ ა რ ა — ჩვენ ვართ, ქურუმო, იბერთ პირველ ქრისტიან მეფეა მირიანისგან.
- ბ ა ქ ა რ ი — ის იყო ძე შაჰინ-შაჰისა, და მზის შვილის, აქემენის, შთამომავალი. მისთვის გიწოდებთ მზის ნაპერწკალს.
- (მანვე მუნჯური ნიშნით შეაწყვეტინებს ბაქარს, კალიოპეს და აპოლოს დინარასადმი პატვისცემას და გალობას. შემოდის ფირუზი)
- ა პ ო ლ ო ს ი — ბაქარ, რად შფოთავს უხუცესი ქურუმი მანვე?
- ბ ა ქ ა რ ი — არ ვუწყვი, დიდი გლოვით შეხვდა მზისა ამოსვლას.
- კ ა ლ ი ო პ ე — ხელში აქვს რაღაც შესვეული და წყევლის, ვით გველს.
- ღ ი ნ ა რ ა — მე თანავუგრძნობ ქურუმს. ვუწყვი, მისთვის დამუნჯდა, რომ სავალალო ვადასახდელს ველარ გიცხადებთ, მე კი ამოველ თქვენი ხვედრის შესამჩატებლად.
- ფ ი რ უ ზ ი — (დინარას) მე მომიწოდე, და აქ დავხვდი, რათა ქურუმი ხერხითა ჩემით დავამშვიდო.
- ბ ა ქ ა რ ი — მე კვლავ მოვმართავ მეფისა ასულს სასოებით. შენ მზის სისხლი გაქვს და მჭერა, შენი ღვთაებრივი ფეხის შეხებით ახლა ეს ქვები ცოცხლდებიან და გრძნობენ, რომ კვლავ დიდ ტაძრის კედლად აღდგებიან.
- ც ე ც ხ ლ ის მ გ ზ ნ ე ბ ე ლ ი — მეც მრწამს, მნათობო, სასტიკ მიჭელის რისხვისაგან იხსნი სალოცავს, როგორც მშობელი შენი მიპრან მეგობრულ გულით გვიცავს საკუთარ გულშეგებით მთლად აღმოფხვრისგან ამ მთის მწვერვალზე.
- ღ ი ნ ა რ ა — ესეც სცანით, მე მორჩილი ვარ მიჭელის, რადგან მოსპო ქიშპი და დიდად იღწვის ტახტი მარგუნოს.
- ბ ა ქ ა რ ი — ამისთვის სულს ბნელეთს არ მისცემ.
- ღ ი ნ ა რ ა — თავის საშველად ვარ კავშირში ეპისკოპოსთან. თქვენ დღეს მზეს მისთვის მადარებთ, რომ მან მეფედ მიხმო.
- ბ ა ქ ა რ ი — დამცირებულს კი ვერ მიცნობდით აქემენისად.
- ღ ი ნ ა რ ა — მე მოვახსენე, რაც სწერია ბოძონში.
- ბ ა ქ ა რ ი — მე აქ ამოველ არა მსმენელ ყურით, მბრძანებელ ბავით.
- ღ ი ნ ა რ ა — მოგისმენ, როგორც ამ უქრობელ ცეცხლის ღაღადისს.
- ღ ი ნ ა რ ა — დავისწრებდი აქ ვალენტისაც, მაგრამ განზე დგას. ჩანს, სწყინს, მარცხისგან რომ ვიხსენი.
- ვ ა ლ ე ნ ტ ი — მე ვისმენ ყოველ სიტყვას შენსას სულგანადული, მიკვირს, მიქელი შენს დამცველად რომ გარდაქმნილა, ხოლო ძლიერ მწყინს, რომ მე მიხსენ.
- ღ ი ნ ა რ ა — რისთვის, კეთილო?

- ვალენტი — ჩვენს სულს აქვს ფესვი არა მარტო საყუთარ ზოგადად, არამედ ამა ქვეყნის ეამთა მდინარეებში. მე ცხოვრებისგან მთელი არსით ამოვეყოფილვარ. შემჩრა სულ — შენი ქანდაცება და მამის წიგნი, წიგნი დამიწვეს. ყველა მტუქსავეს ქანდაცებისთვის, შენ და მეფემ კი არც იხილეთ.
- (ღინარა სიღრმეში შვიიდა თა აკვირდება ქანდაცებას)
- ღინარა — ჩანს, ძველ ღმერთებთან საუბრობდი ამის შექმნის ეამს.
- ნუ-თუ ისინი ცოცხლებია!
- ვალენტი — ჩვენ ღმერთს მადლით ვგრძნობთ, სანამ გვაფრქვევენ შთაგონებას, ვერ ჩავთვლით მკედრებად.
- ღინარა — ჩემი ასახვა მათ მოგთხოვეს?
- ვალენტი — შენი და ვახტანგ მეფის სახეში ვცნობ ელინურ ღმერთსა და ქალღმერთს, თქვენ ქვეყნად მოგყავთ მათი სული და სილამაზე, გაკლიათ მხოლოდ ჭეშმარიტი ბედნიერება, რადგანაც გაჩნდით ჯვარცმულის ეამს.
- ვაქარი — ჰოი, რა ბრძნულად ვიპასუხა, მზის ნაპერწკალი!
- ღინარა — ნუთუ ჯვარცმული კაცთა მტერია?
- ვალენტი — მე ღმერთად არ ვცნობ ჯვარცმულს, რადგან სიყვდილს და ნალევს არა ჰყავს ღმერთი.
- ღინარა — მე მასწავლეს, ძველი სიბრძნე და ხელოვნება იქცა სიცრუედ და ქრისტემ მისცა სასოება კაცობრიობას.
- ვალენტი — ეს ქანდაცება სიცრუეა? აქ მადლს ვერ ხედავ?
- ღინარა — შენ თვითონ ვერ ცნობ ამ ქმნილებას. აქ შემაღარე თუმც ქალღმერთს, მაგრამ ეამისაგან არა ბედნიერს, შენი ვერია კი ჩამძახის ამ ქანდაცებით, რომ ვარ არსება სანეტარო.
- ვალენტი — ო, ვატყობ, მოგწონს.
- ღინარა — მეტი სიცოცხლით სუნთქავს ეს ქვა ყოველი ნაკეთი, ვიდრე მე ვსუნთქავ ზორციელად. ეს მარმარილო მეუბნება, რომ მე ვარ გმირთა შთამომავალი. ამ ქმნილებიდან მე ვიბრუნებ გაზრდილად ჩემს სულს და ღვთაებრივსა დიდ წინაპრებს ვესაუბრები, ვითარცა ტოლებს ... ო, ამ სახეს ვერვინ ამ ქვეყნად ბედნიერებას ვერ დაუშლის.
- ვალენტი — ჩანს, არა მარტო შენი გრძნეული სილამაზე გამომისახავს აქ თვითონ შენი ბედის ძალაც გამოვლენილა უბედობისთვის შეუვალად. ვახტანგის ძეგლიც ასე კეთილად, ბედნიერად თუ დავასრულე, შემოიძლია ვთქვა, რომ ავსაზე ქვაში ღმერთები



და მმართველს ხელი დაეკრიფო კმაყოფილებით
თქვენგან უსაზღვროდ მადლოერმა.

ერეკლეთის
ვერ შეგპირდებოდნენ

დინარა

— კეთილ ბოლოს, ნუ ავჭარდებით.

ვალენტინ

— რისთვის მალალო?

დინარა

— ჩვენ შევიკუთრვით იმედებით შავი დღისათვის.

ვალენტინ

— ამ ქანდაკების ბილგამ აკი შენ ჩემზე მეტად
აღტაფროთოვანა იმედებით.

დინარა

— პირველ შეხედვით
გადამაფიწყდა სინამდვილე.

ვალენტინ

— რა სინამდვილე?

დინარა

— მალე იქნება დამსხვრეული ეს ქანდაკება.
ვეპვობ, ეს დღესვე დაიქცევა.

ვალენტინ

— დღესვე, რა რიგად?

დინარა

— ეპისკოპოსი მობრძანდება აქ ხელოსნებით.
ო, ახლა მისი თვალით ვუპკრეტ ამ ქანდაკებას.
ის ამის სახის მეტყველებით, ტანის სიშისვლით,
ამპარტავენებით. — აღშფოთდება.

ბაქარი

— მიქელი მოდის ამ ბომონში?

დინარა

— ასე შეგთანხმდით,
მე წინ ამოველ ნება ლეთისა გამოვიცხადოთ.

ბაქარი

— შენ იას გიფენთ, მას რა უნდა?

დინარა

— მე და უწმინდესს
ეპისკოპოსს გვაქვს ერთი ნება, — აქ, ამ მწვერვალზე
ბომონის ნაშთი აღმოიფხვრას დაუყოვნებლოვ
და დღესვე იწყონ აღშენება ჯვარის ტაძრისა.

ბაქარი

— ეს ათასი წლის ბომონია.

დინარა

— ამის მაგიერ
ტაძარი ჯვარისა დაიდგმება სამარადისოდ.

ბაქარი

— ათას წლის ფესვი ერთ ბრძანებით არ მოიფხვრება.

დინარა

— ერთ წამში მოსაპობს უფლის რისხვა მთელსა ქვეყანას.

ბაქარი

— მე მგონია, ჯერ ცაში მზე არ დაბნელებულა.

დინარა

— მე გიცხადებთ მალალ განაჩენს,
რაც თვითონ მანველ მოძმინა.

ბაქარი

— ვისგან, კეთილო?

დინარა

— გუშინ ირანის მობედისგან, დიდ მანდაკისგან
მიიღო დაფა ამ ბომონის მლოცველთა მიმართ
მშვიდობით დათმონ მთის მწვერვალი.

ბაქარი

— მანველ აქ არის.

ფირუზა

— დაფაც მკერდზე აქვს აპყრობილი.

კალიოპე

— მამ, ლეთაებრივი

ქურუმის დაფა წაგვიკითხოს.

ფირუზა

— არ ძალუძს.

ხმები

— რისთვის?

ფირუზა

— გუშინ აქებდა ის მანდაკის მომართვეს — ვნახე.
მაგრამ შეშლილა წუხელს აქეთ მუცლის გვრემისგან.

ხმები

— ნუთუ ეს ახლაც ძრწოდა მუცლის ტკივილით?

ფირუზა

— დიახ,

- ბეწვეზე მიეუსწარ მანგუს მისმა ექიმ-დალაქმა და, მისვლისთანავე, წამლით რომ არ მიეშველეთ უხუცეს ქურუმს, აქამდე ჩემ ზრუნვით შეგნამუცხმის ალმობდებოდა სული თქვენს წინ. აწ კი მზის მადლით ძილი ირევა და ვაცალოთ, ნუ შევალვიძებთ.
- (ბაქარ მოწინებთ იღებს მძინარე მანგუსგან დაფას და იწყებს კითხვას)
- ბ ა ქ ა რ ი — ქურუმთ-ქურუმში ახალისა ეამის მახდაკი...
- დ ი ნ ა რ ა — მან მე მიწოდა იბერიის მეფე-ციცქარი.
- ბ ა ქ ა რ ი — ო, მახდაკს ესმის უჭრობ ცეცხლში ღვთაების სიტყვა და შაჰინ-შაჰი მას ცნობს თავის სულიერ უფლად.
(შემოდის მლოცველი)
- 1-ლი მ ლ ო ც ვ ე ლ ი — ამ მწვერვალისკენ ხელოსნებით, შავ ბერებით და შეჭურვილ ბრბოთი მოდის მკაცრი ეპისკოპოსი. რისხვით გვაფრთხილებს, წინ წარმართნი არ შეეფეთონ, მლოცველნი შეკრთენ.
- დ ი ნ ა რ ა — მე, ვით მიპრან ქველის ასული, თქვენი მფარველი, შევევედრე დიდ მეცეცხლეებს უზრუნავთ ჩვენში მშვიდობისა დასამყარებლად. მაგრამ რა, მანგუ, უხუცესი თქვენი ქურუმი, შეიპყრო სენმა, აღარ ძალუქს მლოცველთა მოვლა და პატრონობა, ამისათვის მეორე დაფა გამომატანა მახდაკმა თვის შიკრიკის ხელით შენს მიმართ, ბაქარ, რომ მლოცველნი დააწყნარო და ცეცხლი და კერბი არმაზისა გადასვენო ძველ, გაუქმებულ აპოლონის ყოფილ ბომონში ქრისტიანებთან სრულ მშვიდობის დასამყარებლად.
- ბ ა ქ ა რ ი (მხლებელი გადასევს და ბაქარი გამეშვებული ჩასცქერის დაფას) — მახდაკი მისმობს დავმორჩილდე იბერთ მეფე-ქალს. რა დამრჩენია, ის ამქამად ფლობს ყველა ტაძრებს. დადადს ცეცხლისას ახლებურად უხსნის ქურუმებს, თვით შაჰინ-შაჰსაც ხიბლავს. — და, სჩანს, ყველამ ვაგვწირა.
- დ ი ნ ა რ ა — ის არ დაგტოვებთ. გინახულებთ ახალ ბომონში და დაგარიგებთ.
- ბ ა ქ ა რ ი — ვაგვალვიძებს მაშინ წმინდანი ამ საშინელი სიხმარისგან. ო, მლოცველებო! დღეს კი დუმილით შევასრულეთ ბედის ბრძანება.
- დ ი ნ ა რ ა (ბაქარის მეთურობით წარმართებს მწყავთ ხელში აუჯანღი მოვლემარე მანგუ, მილიან) — მითხარი, ფირუზ, მოკვდება თუ იცოცხლებს მანგუ?
- ფ ი რ უ ზ ა — არც მოკვდება, ვერც ვალვიძებს, — გაქრება ძილში, ვით ძველის-ძველი მათი რწმენა.. (მიდის)
- ვ ა ლ ე ნ ტ ი — გულს მიკოდავს, რა სისასტიკით მიემართები მაღალ კვარცხლბეკზე აღსასვლელად.
- დ ი ნ ა რ ა — როს გათიშული არის ძალა და სილამაზე, პატივს არ იწვევს. მე როს დაეიპყრობ მეუფებას, თვითონ უსულო თვალმარგალიტნი, მოფრქვეულნი ჩემ ლამაზ ტანზე, თითქო იგრძნობენ სიამაყეს და დიდ მადლობით

გაბრწყინდებიან, რომ ღირსეულები ტანზე მომესხა...
 მაშინ კაცთა ბრბო ჩემი ხილვით აღფრთოვანდებოდა და ჩემსა ხორცსა პორფირის ქვეშ წარმოადგენდნენ არა მიწიერ ნივთიერად, — ციურ სხეულად.

ასეთ დიდების მისაღწევად გამოვიყენებ ავსაც, კეთილსაც, სიმკაცრეს და სათნოებასაც.
 — ჩემს გათლილ ქვაში ყველა შენი ვნებები ფშვენენ, მაგრამ ვერ ვპოვე, შენ საერთო რა გაქვს მიქელთან.
 — ჩვენ საერთო მტრად რომს ვცნობთ. გვთიშავს ის დიდებისგან, მისთვის მიქელი ტახტს მიშადებს, რათა საერთო ძალით მოგწყვიტოთ რომს მეუფე.

— ...ო, მესმის ხმები.
 — მას მოჰყავს ბრბო და ხელოსნები.

— ...რა ხელოსნები?
 — შეუდგებიან თავის ჯვარის ტაძრის აგებას.

— ...ო, არ ვიცი, შენ ქანდაკებას რა ბედი ელის.
 — მას შენ დაიცავ.

— ...ვერა, ვალენტ.
 — ...ის მოგეწონა,

— ვერ გადვუდგები ებისკოპოსს.
 — ...შენ მეუფე ხარ.

— მე მირჩევნია ცბიერება აღშენებელი, უმანკოებას დამაქცევარს. ასე მსჯელობენ ძველი ღმერთებიც, თვითონ უწყი.

— ...ისინი იყვნენ მამაკები, — შენ?

— ...მამაცი ვარ. მხოლოდ გვახსოვდეს, თუ ჩემი საქმით მოვიშალე მეუფის ფუძე, ჩემი დიდება გადარჩება მხოლოდ შენს ქვაში, და იგი, როგორც ხელოვანის, შენი იქნება. მე კი მსურს მქონდეს ნეტარება საკუთარ ხორცში, არა შენს ქვაში, ცოცხალ ხორცში, სინამდვილეში. მე ვარ მამაცი ჩემ სულითვის, არა შენს ქვისთვის.

(შემოდის უხმოდ, დევილო, ბაქარი, გულუდი, ცეცხლის მგზნებელი და მლოცველები; მოწიწებით მიაქვთ არმაზის ქანდაკება და უქრობი ცეცხლი. ყველას ყვავილები აქვს და უფუნენ გზაზე, მიდიან. ჩანება სამი მლოცველი და ცრემლით გოდებენ)

1-ლი მლოცველი — ეს ადგილი იქცა წყლულად დედამიწისა.

მე-2 მლოცველი — განრისხდი, მზეო, დაეც მენი სამიშ ადგილს.

მე-3 მლოცველი — ამოწვი ცეცხლით ბოროტება არიამანისა.


(შემოდის მიქელი მღვდლებით, ბრბოთი და ხელოსნებით, მლოცველი, უხმოდ შეჩრდნი, გადიან)

მიქელი — ამ ადგილიდან ამოვარდა ბუდე ჩირქისა.


1-ლი მღვდელი — ამ ადგილიდან აღმოიფხვრა სიცრუე, კაცთა მწვალებელი.

1-ლი ბერი — უწყალო სიცრუე აღმოიფხვრა და მიდრე ცრუ ენა-მოთხრილი, შერცხვენილი. ქარს მიაქვს ცრუ ენის სიტყვები. ტირიან როკაბები.

მიქელი — აქ მოდის კეშმარიტი ღმერთი.



- 1-ლი ბერი — ღმერთი, ვინც კაცად დაიბადა, მოკვდა კაცთათვის და აღდგა ჩვენდა სასოებად და აღდგომით მსხვერპლად აღსდგა.
- მიქელი — აქ აღმოვფხარით ძველი საუკუნის სიკრუე და ვუღვათ საყდარს სამარადისო ცხოვრების მომნიჭებელს.
- ბებები — დიდება მიქელს, ხორცშესმულ წმინდანს!
(ზალბი ალტაცებით იხოქებს მიქელის წინაშე, კოცნიან მის კალთას და ფეხის ნაკვალევს მუხზე ეამბორება დინარა)
- მიქელი — ამ სიკეთეში მთავარი ღვაწლი დედო ნეტარმა, თანამეფედ აღმომავალმა ცინკარმა, დინარამ.
(ყველა გამოხატავს დინარას მიმართ თავანისცემას, ალტაცებას)
- მიქელი — ხელოსნებო, შეუდექით თქვენს წმინდა საქმეს. ვასწმინდეთ ეს ადგილი, დაუდეთ საფუძველი, იშრომეთ უბზოდ. ვით მოითხოვს წესი საყდრის აგებისა.
- 1-ლი ხელოსანი — აქ კიდევ კერპია დარჩენილი!
- მიქელი — ო, კერპია. ჩვენი თვალუბის შესაბილწად დატოვეს შორს წაიღეთ და დაამსხვრიეთ.
- ვალენტო — შეჩერდით, ბრძებო. ეს მეუფის ქანდაკებაა!
- მიქელი — მეუფის? — ო, მას ტანს უშიშვლებ ასე თავხედად! შენ, დინარა, ეს არ ვინახავს?
- დინარა — ო, თუმც ვიხილე, ნახულად არ ვთელი, რადგან თვალში მას შემდეგ მომდის სრული სინათლე, როცა შენი სიტყვა ჩამწვდება.
- მიქელი — მას შენს სახეში ავ დემონს სული ჩაუდგამს. ვერ დავანებებ კურთხევის წინ ახალ მეუფეს ცილი დასწამოს. უკ დაიხით, ერო და ბერო, თვალი არიდეთ ამ დაცინვას. თქვენ, ხელოსნებო, მოლით, დაამხეთ, დაამსხვრიეთ ეს უმსგავსება.
- ვალენტო — ამის დაქცევით თვითონ შე მკლავთ. ამ ქმნილებაში, თუმცა მეუფეს ვსახავ, ჩაედ შეგ ჩემი სული.
- მიქელი — დიას, წარმართის სული ჩადე, მოუნათლავი, სპეტაკს აბრალე უზნეობას, შენ ხარ ქურდი, მას პპარავ სიკეთეს და სიწმინდეს და მარხავ ბიწში.
- დინარა — ეს შე არ მიკვირს, ხელოვანი ყველა ქურდია, ისინი ყველას, სულიერს და უსულო საგნებს როცა ხატავენ, შიგ საკუთარ სულს აპარებენ.
- ვალენტო — კაცის სულია ნაწილი ღვთის დიდი სინათლის; მე თუ შერთული სულითა ვარ ამ ქმნილებაში, იმ ღვთის სინათლედ ვლავივი. ვისი ნაწილიცა ვარ. ქურდობს ცრუ, სულით მონა. ხოლო ხელოვნება და თავისუფლება კეშმარიტად განუყრელია.
- მიქელი — თავისუფლებას ნიავს ვაძლევეთ და არა გრივალს.
- დინარა — ო, შენი სიბრძნით გვიხსენ, მამავ!
- მიქელი — შენი წუხილი მესმის. დინარა, და უბრძანე ვალენტა, თავს ცუდად ნუ გადაავებს.



- ვალენტი — მე ბრძანება ამ ქვიდან უფრო
მქუხარვდ მესმის, ვიდრე თქვენგან.
- ხმები — მთლად სატყნა-ხმობს
- ვალენტი — რა თვალთ გვიცქერს!
შენი თვალი ქვას, ქვის ეშმაკო!
- დინარა — თავს ნუ ილუპავ, ვალენტი. იყავ მორჩილი, მშვიდი.
- ვალენტი — აქ მე სიცოცხლე უფრო მლუპავს, ვიდრე სიკვდილი.
რას უცდით, მოდით, ამ კვარცხლბეკზე ჰოი, ბნელო
ბრბოვ,
თქვენ თვით ღვთაებაც გინდათ მხოლოდ
ძალადობისთვის
და თუ შემთხვევამ სისასტიკის გზა აღგვივითათ,
თქვენს თავზე თვითონ წამოიმზობთ ავ მოძალადეს.
- ხმები — კული აქვს, ძმებო, სამოსის ქვეშ.
ჩაეჭოლოთ, ძმებო,
ჩაეჭოლოთ, ნურვის ვეკითხებით.
- მიქელი — ო, ჩქარა მოვსპოთ!
- ვალენტი — ვალენტი. მე არ მსურს მსგავსად ბნელი წარმართებისა,
ტაძრის აგებას კაცის სძახლი დაეუდო ფუძედ.
და ვერც გავბედავ, აგზნებულ ბრბოს ხელი შევუჭრა.
- ვალენტი — რა მრჩება ქვეყნად? ო, რად ვიხსნა ჩემგან დინარამ?
- დინარა — ეს იყო ღვთისგან. ახლა, ვალენტი, შენს თავს უშველე.
ვინძლო საჭირო იქნე ჩვენთვის.
- ვალენტი — რა რიგ მაშფოთებ.
აბა, ბნელო ბრბოვ, შეესიეთ ამ ქანდაკებას,
სისხლსაც წყურია სხეულიდან გადმოიღვაროს,
წითლად შედედდეს ჩემ ცივ გვამზე და ამ
კვარცხლბეკზე.
- მიქელი — მე გკითხე, ვალენტი, მშობლის წიგნი რარივ გიყვარდა
- ვალენტი — რა ენით ითქმის.
- მიქელი — შენ გგონია, ის მე დავლუბე, —
მაქვს მისი ასლი.
- ვალენტი — რა რიგად, ის სულ ერთი შემრჩა.
- მიქელი — გადავიკითხე ის დაწვამდე და შიგ ვიპოვე
ზოგი აზრები ერთად თქმული ჭაბუკობაში,
ამისთვის ჩემ მღვდელს წიგნის ასლი შევაქმნევინი.
- მღვდელი — დღეს დამიბრუნა ამკინძველმა და ხელში შემრჩა.
- მიქელი — გადაეც ვალენტს.
- დინარა — სწრაფად ფურცლავს, ო, ეამბორა.
- ხმები — გადადექი მაგ კვარცხლბეკიდან!
ვით შხამიან გველს
ზედ მიგასრესთ, თუ ხელს აღმართავ!
- მიქელი — მაშ, ფილოსოფოს
მშობლის შერილის ვადარჩენას არჩევ, ვალენტი, თუ
შენს განწირულ ქმნილებასთან ერთად დალუპვას.
- მღვდელი — მშობლის ქმნილების
პატივით აწ თავს ვერ გაწირავს.
- ვალენტი — სიკვდილსაც მართმევთ.

- მიქელი — ო, ბნედა მოსდის, გულწასული დაეცა, ჩვენთა
სპეტაკ მეფეთა მგინებელი ქვები დაფშვენიერულნი
(ისმის კელეს იქედან მსხვრედა: ჩემი მუქა)
- ხმები — თვითონ ეშმაკი ვერ ავკუწე.
ჯვარცმულის სისხლი
ვერ ამოვიღეთ.
- დინარა — სისხლი მიწადა, — ქვა უსისხლოა!
(დინარა გადაიხედავს ქეგლისკენ)
- (თავისთვის) ო, ბრბო რარივად სასტიკია. ეს
ნამსხვრევები
ჩემი ტანის ცოცხალ ნავეთებად მიმობნეულა;
შეუტრაცხოფილ ნამსხვრევების სილამაზეში
ჩემ სულს ვცნობილობ, ჩემ სისხლსა ვგრძნობ.
- ო, რარივ ვდუღვარ,
მაგრამ მიქელის კალთის გარე უმწეო ვარ და,
პირმოთნეობავ, არ მიმტყუნო.
- მიქელი — რად დრტვინავ ჩემად,
როცა მტრის ბუდე შენი ღვაწლით უსისხლოდ
დაგვრჩა.
- დინარა — ვშიშობ, ფართლად დაღვრილ სისხლის კვალი არ
პოვონ,
აქ მოსულა ის ორი მოყმე ჩვენი ცინიდან,
რომელნიც გუშინ ტყვე დესპანებს შენს თვალწინ
გვემდნენ.
- მიქელი — აქ რა საქმე აქვთ.
- დინარა — ვატყობ, ჩვენთან ცდილობენ შეყრას.
(შეშოდიან ისინი და დიგორე)
- იასონი — დიდება თქვენდა!
- დინარა — აქ რამ მოგიყვანათ?
- დიაგორე — ცის კიდემდე ისმის ეს ზეიმი.
- იასონი — ყველა ციხეში მოიტანეს მტრედებმა შენი ქების ბა-
რათი, — და მოგაშურეთ თხოვნით.
- დინარა — რას ითხოვთ?
- იასონი — დაგვიხსენ ცოდვით წაწყმედისგან.
- დინარა — რამ წავწყმიდათ?
- იასონი — ერთ ტყვეს ნაშუქი რომ ვაქამეთ, და დაიღუბა, მას
აქეთ მისი მეგობრები ჩვენგან არაფერს იღებენ.
- დინარა — ეს ზომ ვუწყი.
- იასონი — ეს წმინდა მამამაც იცოდა გუშინ და მაინც არ დაგვი-
შალა მშვიერი ტყვეები არგნით გაგველახა.
- მიქელი — თქვენ შეასრულეთ მიჰრანის ბრძანება. — მე ხელი
დავიბანე.
- იასონი — მას შემდეგ ტყვეები ისე მხურვალედ ლოცულობენ,
შევშინდით წმინდანები არ იყვნენ.
- მიქელი — თუ ლოცულობენ, წაადგებათ.
- იასონი — დღეს დიდმა ბატონმა გვიბრძანა, ის ორი ტყვე და-
ღამებისას ტყეში შევიყვანოთ და მიწის სათბრელი
იარაღიც გავიმღვანოთ.
- დიაგორე — თან გავვაფრთხილა, გული გაიმაგრეთო.

საქართველოს
საზღვრო-საზღვრო

- იასონი — ბატონს სიტყვა ვერ შევუბრუნეთ, მაგრამ მეტად შეეშინდით.
- დიაგორე — შიშით წაგზავნით.
- იასონი — ტყვეები წმინდანებივით ლოცულობენ და გვლოცავენ. ერთი მაინც, პეტრე რომ ჰქვია, ისე გვიცქერის, თავით ტერფამდე გვაზრიალებს.
- მიქელი — ვერ ვაგვიგე, ბატონა უჩივით?
- იასონი — ბატონს ღირს მოვკამთ, ოღონდ, ცოდვის გვეშინია.
- დინარა — გუშინ შიში არ გეტყობოდათ!
- დიაგორე — მაშინ ეპისკოპოსის იმედით ვგვემდით ტყვეებს. გვიგონა, ცოცხალი წმინდანი დაგვლოცავდა.
- იასონი — შემდეგ კი დავინახეთ, თქვენ თვითონ გაფითრდით და პირჯვარს ხშირად იწერდით.
- მიქელი — როცა ბატონი ყმას ცოდვას ჩაადენინებს, თვითონ აგებს პასუხს ღმერთთან. მე თქვენი ბატონის სულს ვევედრებოდი ღმერთს.
- იასონი — უფლის ასულო, დღეს შენ ცის კიდემდე გადიდებენ და ჩვენზე მადლს ვერ მოიღებ?
- დიაგორე — ვერ გვიხსნი წაწყვედიდან?
- დინარა — მე გირჩევთ არ გამჟღავნდეს, რომ სინდისის ქენჯნით მოგვმართე, მე არ ვაგამხელთ და ამით სიცოცხლეს შეგარჩენთ. მიხვდით?
- დიაგორე — (იასონს) შენ მიხვდი?
- იასონი — (დინარას) კიდევ გვითხარი.
- დინარა — იმ დესპანს ნაზუქი მისთვის მივართვით, რომ თავის თანამგზავრებზე მეტი ამბავი იცოდა და პირში ენა ჰქონდა.
- იასონი — გესმის, დიაგორ?
- დიაგორე — შენ რას იტყვი?
- იასონი — მადლობა გადავუხადოთ მზის სწორს, რომ თავის დახსნა გვასწავლა.
- დიაგორე — კი.
- იასონი — ვმადლობ, მზის სწორო, ტყვეების დაწვაც რომ მოგვთხოვოს ბატონმა, ჩვენ შუბლგახსნილად შევასრულებთ, რათა ეკვის მსხვერპლი არ გავხდეთ.
- დიაგორე — წმინდა მამის დარიგებაც ასე ვავიგოთ.
- იასონი — ვმადლობ, ნეტარო მამავ, ვმადლობ, მზის სწორო. (მთისმის ზემის ხეში. მოემენი ცალკე შეჩერდებიან)
- დიაგორე — ცოდვა მაინც ავიკიდეთ სიცოცხლის შესარჩენად.
- იასონი — არა-თუ ავიკიდეთ, მე დინარას სიტყვამ დამარწმუნა. რომ ცოდვას ჩაგვადენინებენ და შემდეგ ნაზუქს შეგვაპყვევენ, ანუ მოგვკლავენ კვალის დასაფარავად.
- დიაგორე — მაშ, რად ვუხდით მადლობას?
- იასონი — ვიცრუოთ ამითთან და არა ღმერთთან.
- დიაგორე — რარიგად, იასონ?
- იასონი — ტყვეები სულ ერთს ევედრებიან ღმერთს, ერთს ნატრობენ. მეუფე ჟაბტანგს ხმა მიაწვდინონ.
- დიაგორე — ო, ნატრობენ.

- იასონი — მე მომდის ფიქრად, თუ იმ წმინდანებს ტყეში გაგვ-
ტანენ წასაწყმედად, გავიპაროთ და წაჩვედვით მძე-
ფე ვახტანგს. ჩუმად — ჰაერმაც არ გავხვდეთ.
- დიაგორე — მე მგონია, ეს თვითონ ღმერთმა ჩაგვავონა.
- იასონი — ვფიქრობ, უფალი ხელს შეგვიწყობს.
- დიაგორე — უფალი შეგვეწევა.
- იასონი — მაშ, ახლაც დაეხვეროთ საჭირო ბილიკები.
(იასონი და დიაგორე მიდიან. შემოდის ქალაქის ყველა წრეების ბრბო)
- მღვდელი — მოდით, იხარეთ! მღვდელთმთავრის და მეუფის ღვაწ-
ლით განწმენდილია სიბილწისგან მწვერვალი.
- მოსულთახმები — ჩვენი
თავყანისცემა წმინდა მიქელს, ღმერთთან მოუბარს!
ქება, — ვახტანგის თანამეფედ მომავალ ცისკარს!
- დინარა — მისთვის მინდა ვიქცე ვარსკვლავად,
რომ ვიგზნებოდე თქვენთვის მუდამ, დაუსრულებლად.
(შემოდან დიდებულნი)
- მიქელი — მეფის მსახურნი, დიდებულნი, არა თქვენი ხმლით
მოხდა ეს საქმე. მოაშწიდა განგებაჲ ქამი
და უფლის მადლით უსისხლოდ და უხმოდ გაქარდა
ამ მწვერვალიდან ათასი წლის სიცრუე, მაგრამ
თქვენს გულში, ვიცი, ისევ დარჩა ძველი სიყვე:
ღარიბთა ჩაგვრა, უწყალობა, ამპარტავნება,
და ძრწოდეთ. რადგან უფლის ქამის სიძარბოსაგან
ვერა მახვილით ვერ დაიკავთ უზომო ცოდვით
შექმნილ დიდებას, მტვრად იქცევა ის თქვენთან
ერთად.
- დიდებულნი — გვიხსენ, წმინდანო, დავგარივე, გავებანე სულთი.
- ბერი — სავირველებავ, ვახტანგს ცხენი შეუსვამს მხარზე.
- დინარა — ჰოი, ჭურვილი ცხენი მოაქვს მეფეს ფეხშიშველს,
ქება ძალღონეს მისას, მაგრამ ეს რასა ნიშნავს?
- ბერი — მეფეს თავისი საომარი ცხენ-იარაღი,
ვით ქრისტეს მონას. მიაჩნია სოფლიურ ცოდვად
და მოაქვს ზურგით ამის ნიშნად, რომ იგი არის
სიმძიმე, მისთვის ბედისაგან აკიდებულნი.
მას სურს მოიხსნას ტვირთი ახალ ტაძრის ფუძესთან
და უკ მიიღებს მხოლოდ ფიცით ზეცისგან, რათა
ამ ცხენ-საქურვლით ემსახუროს ღვთის განდიდებას
და არა თავის მეუფებას.
- მღვდელი — მოიხსნა ტვირთი.
(გამოჩნდება შეჭურვილი ცხენის ზურგი მიწაზე)
- ბერი — იჩოქებს ფიცით.
- დინარა — წმინდა მამავ. ვაცნობებ ვახტანგს,
შენი და მშობლის დახმარებით რა რიც დავთრგუნეთ
შორით მუქარით მეცეცხლენი და სასწაულით
გავაწმენდინეთ ეს მწვერვალი უსისხლოდ. უხმოდ.
(დინარა მიდის. ზეიმის ხმაურობა. შემოდან ჩვეულები)
- მიქელი — ერს ვადაეცით. ყიფინით ნუ მოგრიალეებენ,
მთას ამოვიდნენ წყნარი ლოცვით და სასოებით,
ვით სასწაულის მოჭლენაზე.


- მოსულნი — იმდენი მოდის, ამ მთის კალთები ვერ იტყვენ. ეს ხმა გრეოდნებური შენი თაყვანით და მიპრანის ასულის ქვებით (შემოდან ვახტანგი და დინარა)
- ხმები — დიდება მეფეს, ქებათ-ქება მიპრანის ასულს!
- ვახტანგ — წმინდაო მამავ, შენი ღვაწლით კვლავ მოვიპოვე ერთსულოვნება მიპრანთან და იმის ასულთან. დღეს ამ თანხმობის კეთილ ნაყოფს აშკარად ვხედავ, დინარას ხელის შეშველებამ, შენი დალოცვით, მომახვეჭინა უბრძოლველად, რაც მე გარეშე მტერთან ომით და შინ აღრევით უნდა დამეპყრო. მე მარტო მიმძიმს ტვირთი, მისთვის ხვალ ქვეყნის ბურჯნი ერთგულების ფიცს დაუდებენ ჩემს თანამეფეს და შენ ჯვარს დასწერ სანეტარო ჩვენ შეუღლებას.
- მიქელი — მე გლოცავთ, შვილნო.
- ხმები — გაუმარჯოს ქვეყნის გმირს — ვახტანგს!
- ხმა — დიდება ცისკრად ამომავალ მიპრანის ასულს.
- წყევლა ბნელ სულებს, იბერიას მარად დიდებამ!
- (გ ა რ დ ა)

მოქმედება მესამე

მეფე ვახტანგის დარბაზი მცხეთაში. სცენაზეა სახლთუხუცესი და მოურავი. შემოდან ერისთავნი, არტავაზ, ნასარ, ბივრიტიანი.

- სახლთუხუცესი — ვარდი გვენიათ, გამარჯვებულ ქვეყნის სპასპეტნო! რადგან მიქელმა, სათაყვანო ჩვენმა მოძღვარმა, დინარა ღირს ცნო მეუფესთან გვირგვინი ისკენას, მართლმორწმუნენიც გაიმსჭვალენ პატივისცემით და შეიყვარეს წრფელი გულით; დღეს მთელ სამეფოს იერთიანებს აღტაცება ახალ დედოფლით. ბრბო იკრიბება ქორწინების ზეიმზე გზნებით და გემართებს წესის მტკიცედ დაცვა.
- მოურავი — მდაბიო ერი შოვნის სიხარბით გამსჭვალული დარბაზზე იწევს, ერისთავებს კი თან ხმდენი ლაშქარი ახლავთ, ვერ იტყვს ქუჩა-მოედნები.
- ბივრიტიანი — ჩვენ დავრჩით მცხეთის კედლების გარეთ და ვეწყობით არაგვის ველზე.
- არტავაზ — ჩვენ გვრაცხენ მეფის რჩეულებად, მოგვხსენებათ. აქ კი, ჩანს, თავი მოუყრია სხვა ერისთავთა ლაშქრებს, რომელთაც ჯერ მახვილი ატ აღუმართავთ მტერზე სამეფოს დასაცავად და განდიდებას აღწევენ მხოლოდ შიგნი ბრძოლით.
- ბივრიტიანი — ჩვენ არ ვუწყით აქ სად დავდგეთ ფიცის მისაღებად.

- სახლთუხუცესი — ქვეყნის ერთგული მცირეც და დიდც სამეფოში თავს გრძნობს. მასპინძლად, თქვენ უნდა შეხვედეთ უცხო სტუმრებს მასპინძლის გულით, დაუთმობთ სუფრა და ადგილი გამორჩეული. ალბათ, ვახტანგიც ასე ფიქრობს.
- მოურავი — რადგან ქალაქში მძვინვარე ბრბოა, წესისმცველებს, იქნებ, დასჭირდეს დასახმარებლად ამათი სპა.
- სახლთუხუცესი — ესეც ავწონოთ. ციხის სვეტიდან განიშნებთ, რა მსლებლით მობრძანდეთ. (მიდიან არტავაზი, ნასარი, ბევრიტიანე და მოურავი. შემოდინან ერისთავნი დემეტრე და გრიგოლი)
- დემეტრე — აქა მშვიდობა!
- სახლთუხუცესი — გამარჯვება გრიგოლს, დემეტრეს! დღემდე დარბაზთან სხვა სიკეთე თუ გაერთებდათ, ნათესაობაც დაემატა.
- გრიგოლი — ზოგის სიხარბეც.
- სახლთუხუცესი — თქვენ გირჩევნიათ, რომ სიხარბეს გრძნობდნენ თქვენდამი, ვიდრე სიბრაალულს.
- გრიგოლი — ო, მანამდე რამდენჯერაც არ ვცადეთ მეუფის მეგობრობა. ვერ მოვახერხეთ. ჩანს, სიბრძნეზე და სიტყვაზე ღრმა ჩამაგონებლად სჭირს ქვეყნად ქალის სილამაზე.
- სახლთუხუცესი — ვიცნობ მეუფეს. — ყოველი ქალის სილამაზეს ვახტანგის თვალში ბურუსი ფარავს. მაგრამ ოდეს ტურფა არსება გამოამყვანებებს სიკეთეს და სულის სიწმინდეს, თითქო უკუნით მოსილ სახეს მზემ დაანათა, წამს დაინახავს მაშინ მთელ მის სახის სიტურფეს. დინარა ერთ ყამს მას ხიბლავდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მოვლო წმინდა ადგილნი და ბრძენთა საყანნი, ვერც ერთი ქალის მხიბლაობა მასზე ვერ ჭრიდა, მხოლოდ ერთსა დღეს მაყვლოვანში ნაცარდაყრილმა დინარამ კვალად მისი გული აღაფრთოვანა, მაგრამ მეტადრე მოაწონა თავის თავი, რაც სინხლდაულვრელად დააქცია ათას წლის კერბი ნატიფ წვერვალზე და აღმართა ზედ წმინდა ჯვარი. ეს მართალია, რომ მშვენიერ ასულის ტრფობით გაგიღოთ გული თქვენ მეუფემ, მაგრამ გახსოვდეთ, სულში აქვს ფესვი მის სიყვარულს და არა თვალში.
- დემეტრე — (ცალკე გრიგოლს) ეს რა გადმოგვკრა, მექარაა, თუ გაფრთხილება?




- გ რ ი გ ო ლ ი — ჩვენთვის ერთია, მგელია თუ მგლისფერი ძაღლი, კბენას არ იშლის და კბილებში თითს ვერ ჩაყუდებთ. (შემოდის შიპანი მხლებლებზე ხელ-ჩაყუდებულს)
- მ ი შ რ ა ნ ი — სანთლით დაგეძებთ (მხლებლებს) გამეცალეთ. (მხლებლები მიდიან)
- გ რ ი გ ო ლ ი — მოწყენითა ხარ, მეუფის ტოლო.
- მ ი შ რ ა ნ ი — თქვენ კეთილნი, რამ დავალბინათ, იპოვეთ კვალი გაპარულის რომაელების?
- გ რ ი გ ო ლ ი — ჩვენ დავეუმატეთ შენს მამებართ ას-ასი კაცი.
- დ ე მ ე ტ რ ე — წუთით წუთს ველი—შეიპყრობენ დესპანებს და შენს მუხთალ მოყმეებს.
- მ ი შ რ ა ნ ი — აქ რა ძალა გაქვთ?
- გ რ ი გ ო ლ ი — მე რჩეული ლაშქარი მახლავს.
- დ ე მ ე ტ რ ე — მე შემოველ ათასი მხლებლით.
- გ რ ი გ ო ლ ი — ეპისკოპოსიც ჩაბმული გყავს.
- მ ი შ რ ა ნ ი — მაინც გკანკალე, გვირგვინის სკენამდე არ გამოჩნდნენ რომაელები. იციან მთელი საიდუმლო, რაკი გაფწირეთ, მათთან აღარას ვფარავდით, ვით მკედრების წინაშე.
- გ რ ი გ ო ლ ი — აქ ისეთი ბრბო შეკრებილა შენი ასულის თაყვანისცემით, ავიწყდებათ ვახტანგი.
- დ ე მ ე ტ რ ე — ვფიქრობ, დესპანები რომ გაჩნდნენ, ერი ჩვენ მოვეუმხრობა.
- მ ი შ რ ა ნ ი — რასაც ვთესავდი ჭაპან-წყვეტით, დაუსვენებლად, დღეს გასახარად ამოვიდა, მაგჭამ მე დაეხვდი სწულს მოხუცად. აწ დინარას ტახტზე დაჯდომით თქვენ ისარგებლეთ, მე რაღა ვარ. მე ახლა ვიბრძვი ჩვეულებით და არა გზნებით.
- დ ე მ ე ტ რ ე — არ გეკადრება წარმატების ეამს ჩენს მესვეურს სასოწარკვეთა.
- გ რ ი გ ო ლ ი — მიხედე ასულს, გაამაგრე. ადამიანის სუსტი ბუნება საჭიროებს მშველელს მაშინაც, ბედნიერებას როცა იღებს. (ყველა მიდის. შემოდის ქვანშერი და სამნადირი)
- ს ა მ ნ ა დ ი რ ი — რა ფოფინია, დიდებულთა თავო, ჟუანშერი. — თითქო სამოთხე მოაქვს ქვეყნად ამ გვირგვინის სკენას.
- ჯ უ ა ნ შ ე რ ი — არ მივირის ეგრის-სვანთ მთავრისგან ეს დაღონება, თქვენ არჩევთ, რომის სეფე-ქალი გყავდეთ დედოფლად.
- ს ა მ ნ ა დ ი რ ი — მტრობაზე მეტად მე მოყვრობა მაშინებს სპარსთან.—
- ჯ უ ა ნ შ ე რ ი — რასაც შენ ბრძანებ, წინათგარძნობა ერქმის, მაგრამ ჯერ თვალს დაეუყვროთ და ჩვენც ავეყვით საერთო ფერხულს. (მოისმის მხურვალე თაყვანება ხმები)

- ბმე ბი — წმინდანია, ნეტარია ჩვენი მოძღვარი!
(შემოდის მიქელი ბერებით)
- მიქელი — მე მიწა ვარ. ზოლო თქვენი სიყვარულით
ვცოცხლდები. მე თქვენ
შორის მეტად მიყვარს ღატაკნი და უძლურნი.
(შემოდის ვახტანგი, დინარა, მიჩანდუხტი, სახლუხუცესი,
საურმაგი)
- ჯუანშერი — პატივი ვახტანგს, სვე-ბედნიერს.
სამნალირი — მართლაც, შეფერის.
- ჯუანშერი — დიდება წმინდა მამას!
სამნალირი — მაღლით შეგვემოსე, მწყემსო!
- მიქელი — გესმის ერის ხმა. იახიან, თითქო მიწაზე
მეტის სიწმინდით ფეხს არ ვადგამ.
- 1-ლი ბერი — სასწაულს ცნობთო.
- მიქელი — ეს სიყვარულით ეჩვენებათ.
- მე-2 ბერი — თვითონ წარმართნიც
ადასტურებენ.
- მიქელი — მაღიდებენ ისინი ლიქნით,
რადგან დინარას ვაკურთხებთ დღეს.
- სამნალირი — სასიამოა,
მაგრამ მაკვირვებს ყველა სჯულის ერთსულოვნება.
- მიქელი — ვფიქრობ, მთავარი სამნალირიც მოხარულია
ამ არჩევანის.
- სამნალირი — ჩვენ არ ვეჭვობთ. კეთილ ყოს ღმერთმა.
ვახტანგ — შენ მეტად გავხარ შენ სამთავროს, სამნალირ, მაღალ
სვანეთის ქედის სიქუშე და თბილი ეგრისის
სინაზე ერთად ისახება შენს არსებაში.
წელან ჩემ ღიმილს და სიხარულს ჭეშად მოხედე.
ახლა მიღიმი ეგრისის ტკბილ გაზაფხულოვით.
- სამნალირი — რბილად ვადმომკარ საყვედური.
ვახტანგ — არა, მე ამით
ვალბარებ, რომ გულწრფელი ხარ.
- სამნალირი — მაშ, ნათლად ავხსნი,
წელან ცალ-ცალკე გინახულეთ, ახლა კი ვხედავ.
რომ შესაფერი გიპოვნია. თქვენ გავხარო, ვახტანგ,
ისეთ მნათობებს, რომელთაც აქვთ წყარო შუქისა
ერთმანეთისა არსებაში და იღებთ შვებას
ერთი-მეორის სულ-ხორციდან. შენ ძლიერ მტერსაც,
მოსპე ღრუბელი, მომავალი ჩვენკენ მებებით
და დღეს ჩვენს ცაზე ერთი ხალიც არ იპოვება.
- ვახტანგ — ეკლესიასაც ვარგეთ, სისხლით რაც მოვიხვეჭეთ.
მიქელი — ამით ირანი შევაშფოთეთ.
- სამნალირი — სამაგიეროდ
მაღლიერია დიდი რომი.
- მიქელი — ყოველი ომის
წყაფს ამწიფებს ბოლოს ღმერთი.
- სამნალირი — არ მესმის ნათლად.
შენ რას ბრძანებდი, მზის სადარო?



- დინარა — ფიქრში ჩამადეთ.
 მე გამარჯვება ვახტანგისა მახარებს, ხოლო ვით მამა ბრძანებს, ქედმაღლობა სიბრძნის მტერია.
 (ისმის ბრბოს ხმა)
- ვახტანგ — დინარავ, ერის სასოებავ, გესმის ეს ხმები?
 დინარა — ვერ გავარჩიე.
 ვახტანგ — მეუფებას გილოცავს ერი.
 დინარა — არა, სულ შენი გამარჯვების მომლოცველნია.
 ვახტანგ — მხოლოდ შენს სახელს ახსენებენ.
 დინარა — ქეშმარიტს ბრძანებ,
 მე შეძახიან... ო, ეს მძიმედ მაწვება გულზე.
- სახლთუხუცესი — რისთვის, კეთილო?
 ჯუანშერი — ფერი ხშირად რისთვის გეცვლება?
 რამ დაგაფიქრა?
- დინარა — მეშინია.
 ჯუანშერი — რისი, გვიბრძანეთ.
 დინარა — ბედნიერების.
 ჯუანშერი — რას ბრძანებ, ბედნიერება
 ხომ ამას ნიშნავს, რომ სანადგულო ქვეყნად არა
 გაქვს.
- მიქელი — არა, დინარა ჭვრეტს ცხოვრებას საღი გონებით,
 იგი მიწვდა, რომ მიწიერი ბედნიერება
 სხვა სათავესოში ვერ ეწყობა, გარდა შიშისა.
- საურმაგი — (დინარას) ჩვენ თანამეფის გვირგვინს გადავით.
 დინარა — მე მეტს ვღებულობ. —
 რომელი ტახტი შეედრება საყვარელის გულს!
- სამნაღორი — მას აღხენს შენი სილამაზე, ჰეროვნება.
 დინარა — თქვენი სიტყვები მე მაწითლებს.
 სამნაღორი — რისთვის, მეუფავ?
 დინარა — მჩხვლეტს ქება ჩემი სილამაზის.
 სამნაღორი — ქალისთვის მეტად
 საამაყოა სიტურფე, თუნდ ქვეყანას ფლობდეს.
- დინარა — ო, ამით უფრო დამამორცხვე.
 სამნაღორი — სიტურფე ქალის
 მორცხვობის გარდა სხვა ჩარჩოში უსანდომოა.
- დინარა — მე მინდა ჩანდეს ჩემს სახეზე მხოლოდ ღვთისმცნება.
 ჩემი სიტურფე იქცეს ისეთ სიწმინდედ, ყველა
 ჩუმი ჭვრეტითა შეფრფენოდეს ღმერთს და არა — მე
- მიქელი — აი, მოგიგოთ ისე ბრძნულად, დაგვარწმუნა, რომ
 მისი გზა ქვეყნად გზაა ხორცსმულ ანგელოზისა.
 (მოისმის მეტი ხმაური)
- ვახტანგ — ბრბო მეტის-მეტად ახმაურდა, მაგრამ ამართლებს
 ახალ, ბრწყინვალე მეუფისა ხილვის სურვილი.
 (მირანდუხტს) მიჰყევ მეუფას ფანჯარასთან — ერს
 შოეჩვენოს.
 (დინარა და მირანდუხტი მიღიან ფანჯარასთან)
- მირანდუხტ — ყველას უპყრია ყვავილები და ხის რტოები.

- დინარა — ზოგი ჭვარით და ზოგიც კერპით მოემართება.
(დინარა ესალმება ერს უანჯრიდან. ისმის კლეროთოვანება)
- მიქელი — (ვახტანგს, დიდებულთა თანდასწრებით) აქ ავწერეთ ჩვენ წესი თქვენი დაგვირგვინების.
(მიქელი გაშლის პერგამენტს)
- დინარა — (ცალკე შირანდუხტს)
ო, რარიც მძავს ბრბო, შირანდუხტ, — და რა საამოა,
როს უთვალავ ბრბოს დაჩოქებ შენს სადიდებლად.
თუმც გეზიზდება, მაგრამ ოდენ ღიმილს აჩუქებ,
ვით შუშის ნატეხს, ყალბსა, ნაცვლად ძვირფას
თვალისა,
და ერთსულოვნად აქუხდება მადლობის გრძნობით.
აღფრთოვანებით ყველა ყალუხე შედგება, რათა
შენს ლანდს შორიდან ეამბორონ და ერთმანეთსა
ფეხით თელავენ, ვით მყრალ ბალახს. ასეთ ბრბოს
შენი
სისხლმწყურვალების გასაძღომად თუ მოინდომებ,
მკერდს მოიღელავს, გულს მოგაწვდის ამოსავლევად.
მაგრამ თუ თვითონ შეგეპარა ღმობიერება,
საკუთარ გულმა დაგიშალა მკაცრი კერპობა,
ბრბო რა გიხილავს სინდის ქენჭილს, შეგიცნობს
სუსტად
და ვით დახსნილი ხაფანგისგან სასატკი მხეცი.
მძვინვარედ დაგვლევს და გაწამებს ყველა ტირანზე
მეტად უწყალოდ.
- შირანდუხტ — შენ მეუფეს ტახტს გაუმაგრებ.
- დინარა — ერს ბოჰავს და სრულ მონად აქცევს მისივ სიცრუე.
- მოურავი — ნაცადებივით შემოდის ბრბო.
- ჯუანშერი — ისინი ზოგჯერ
სასჯელის ცქერად თავს იყრიან. — ახლა კი კვრეტენ
ბედნიერებას.
- სახლთუხუცესი — ქალაქის ბრბო უსულგულოა,
უცქერის სასჯელს, ვით გასართობს, და ვერც
ქეშმარიტ
ბედნიერებას გაიგებენ.
- დინარა — კეთილნო, სიტყვას
ბრბოს სიძულელით ნუ ვახსენებთ. წმინდა წერილით
ყოველ კაცსა ჰყავს ანგელოზი თავის მფარველი,
ისინიც ბრბოში განუყრელად არიან მათთან,
და ანგელოზთა კილვაა ბრბოს ზიზღით ხსენება.
- სამნადირი — მე გამაოცა თქმულმა ესდენ ჰაბუის ბავით.
- სახლთუხუცესი — ვმადლობ მოძღვარს, მის მასწავლებელს.
- მიქელი — ვხედავ მეუფას,
რომლის ბადალი რომს არ ახსოვს.
(მოსმის ხმები)
- სახლთუხუცესი — მოდის ვალენტო
სახელოვანი, სკვითებთან ომში შენი მცველი.



- დინარა — ის მოუძღვება
- სახლთუხუცესი — ხელოვანთა ჯგუფს, — კადნიერად.
 (მოიხმის ხმები, შემოდინ ვალენტი და ხელოვანი)
 ვხედავ, წილს ეძებ ამ ზეიმში.
- ვალენტი — ჩვენ ვაგვამხნევა
 ღვთაურ დინარას ვამეფებამ. ის ერს შუქს მოჰფენს.
 მისთვის ანაზღად მოვაკითხეთ მეუფე ვახტანგს,
 ყველა მუხებით ისარგებლოს.
- მიქელი — ვახტანგს წუთიერ
 ვერ აცდუნებთ სოფლის სიამის, მან იცის ფასი.
- 1-ლი ხელოვანი — სწრაფწარმავლობა ცხოვრების თუ გულს აკლებს
 ვახტანგს.
 რად არ დაიცვა დინარასი და თავის სახე
 დრო-ეამის გამძლე სპილენძში და მარმარილოში.
- ვალენტი — აქ, ხედავთ, მომყვენენ სახიობნი, მეუფევე, ვახტანგ-
 ესენი სახეს სულიერ და ხორციელს შენსას,
 მუხათ წყალობით, ისე მართლად გამოხატავენ,
 რომ მათი სიტყვა და სიმღერა ქვაზე, სპილენძზე
 გამძლე იქნება ამა ქვეყნად და თაობათა
 შორის დარჩება ესდენ გრძელ ეამს, რომ
 შეშურდებათ
 შენი წუთების ხანგრძლივობა საუკუნეებს,
 განმავალთ სწრაფად.
- მირანდუხტ — (დინარას) დააწიე ხმა.
- დინარა — (ჩემად მირანდუხტს) სიფრთხილე მმართვებს.
- მიქელი — ნამდვილი სახე კაცს შიგნი აქვს, თქვენ ხელოვნებით
 დრო-ეამს ვადასცემთ თქვენს სიციურეს, — არა
 ვახტანგის
 ქეშმარიტ ნახეს.
- ვალენტი — მეუფენი რას გვიბრძანებენ?
- დინარა — წმინდანს ვთხოვ თვალი აგვიხილოთ. მეტს ვერას
 გეტყვი.
- მიქელი — თქვენა ხართ მკვდართა ღმერთთა ქვრივი. ო, რა
 ცოდო ხართ. —
 სჯობს თავის ღმერთზე აღრე მოკედეს კაცი, რადგან
 მის
 სულს სასოება ეკარგება ქვეყნად და თავის
 გრძნობები სიზმრად, აზრიც ბოდვად წარმოუდგება.
- 1-ლი ხელოვანი — მეუფე ვახტანგს ვეკითხებით.
- მე-2 ხელოვანი — დიად, მეუფეს.
- ვახტანგ — თქვენ შეგრჩენიათ სამოსელი გამჭრალ ღმერთთაგან
 და ჩვენ გვთავაზობთ ხელოვნებად, მაგრამ ახალი
 რწმენა ჩვენ გვიქსოვს ახალ სამოსს.
- ვალენტი — თქვენ აცხადებთ, რომ
 თქვენი სამშობლო ზეცაშია. აქ ჩვენ ვმასპინძლობთ
 და ვზრუნავთ თქვენზე და გამშვენებთ.
- მიქელი — მუდამ მაცდურობთ.


- ვალენტი მიქელი — ბედნიერებას ვქმნით კაცთათვის.
- ვალენტი — მხოლოდ ერთ ქაშა მოგვენიჭა, ოდეს მისთვის აღდგომით კაცის ძემან.
- ვალენტი — დინარა ვერ გრძნობს მკვდრებით აღდგომის სასიკეთეს.
- ვახტანგ — ქირდავთ მეუფეს.
- ვალენტი — დინარა თუმცა არ აცხადებს, სურს მოლიმარე თავისი სახე დიდ ზეიმში შეასვას ერის მწყურვალე თვალებს.
- ვახტანგ — ო, დინარას თუ ნებას თქვენი მონაწილეობა, ბრძანოს და მეც ვთხოვ წმინდა მამას, არ გააწილოს. მხოლოდ ქებით ნუ გაგვაცერებთ. ძველ, ნეტარ ქაშის ხელოვანი ერს აყვარებდნენ თავისუფლებას; დღეს სიწმინდის არა მქონენი ყოველ სიმდაბლეს და მონობას ქმნიან კაცთ შორის.
- დინარა — ვალენტ, თქვენ გვარქმევთ ბედნიერებას, — ეს სიცრუეა. ჩვენ გვირგვინს ვიდგამთ დღეს ვით ტვირთისა, რა ვიზეიმოთ, ქვეყნის წინაშე გარდაუხდელ ვალის აღება? ვიცი რად შფოთავთ, მე მიცნობდით ამპარტავანად, მაგრამ ცის მადლით მომველინა წმინდა მიქელი და დამამწიფა, ვით სულის მზემ, მკვანე კეთილად. აღმიხვნა თვალი ცოდვა-მადლზე, ამისთვის მინდა მან თვითონ გასცეს წყალობა დღეს მთელი ერისთვის და პატიმართა პატივბაც მთლად მას მიენდოს, შენ კი მეუფევე, შეუთვალე კონსტანტინეპოლს, მეუღაბნოე ბრძენი პეტრე გამოაგზავნონ როგორმე ჩვენდა დასალოცად.
- მირანდუხტ — (ჩემად დინარას) ეს რა დაურთე, რა შხამიანად დასცინე მტრებს, დამარხე სიტყვით.
- დინარა — (მირანდუხტს ჩემად) გველს რომ გააჩნდეს მეტყველება, თავის ბოროტ შხამს ჩაიყენებდა ენის ქვეშ და არა კბილებში.
- ვახტანგ — აი, დინარამ ბრძანა, რომ თქვენ მას უღვივებდით სიამაყეს. ამ ქორწილისთვის თქვენი მზადება წარმართულია. ვით შეხვედრა დარიალში. ეს სხვადასხვა რწმენის მოცუვლებში შუღლს გააღვიძებს.
- ვალენტი — სამაგიეროდ ბრბოს წინაშე ღმერთებად ვსაზავთ.
- ვახტანგ — ოდეს კაცს იპყრობს ვნება თავის გაღმერთებისა, ვერ ძლება კაცთა დამცირებით. ის სუნთქავს სხვათა სუნთქვის შეწყვეტით, ასეთია ზნე მტარვალისა, და ყველა მისი ქვეშევრდომნი მტარვალდებიან. თქვენ გინდათ მაცდურ ხელოვნებით ეს ქრელი ერი



თაყვანისცემით ჩემს წინაშე ახოზოთ ჭიად,
მე კი ვეძიებ მათ კაცობას.

- ვალენტი — ნუ გვეცხავთ შეცდომას.
- გვაქვს აქ ნაღვლიც.
- მიქელი — ფალოსის კერპი, კაცთ გამრყენელი.
- ვახტანგ — ძველ, ცრუ ღმერთებთან დაბერდა თქვენი სულიც და აწ სიმახინჯეს ქმნით.
- ვალენტი — ჩვენ ვით სათუთნი, გაღმოფრინდით ანტიოქიით, გამოფეცალეთ სუსხს ამ ცივი საუკუნისას, რადგან აქ სითბოს მოველოდით მეუფეთაგან.
- 1-ლი ხელოვანი — აწ ჩანს, აქედან განდევნილნი, სულს დავლევთ სადმე ბარბაროსებში.
- ვალენტი — (აპირებენ წასვლას) ნება დავგრეთ!
- დინარა — არა, მისმინეთ. ძველად ბადებდა ქამი გმირებს, დღეს წმინდანებს ქმნის; მხოლოდ შენა ზარ ორივე ერთად, მეუფეც, ვახტანგ და მე რა გულით გავაძევო ვალენტი, ვისაც შენი სიცოცხლის ერთგულ მცველად აღიღებს ერი. ხოლო ვით შენ ზარ ქეშმარიტი გმირი, ისე დიდ წმინდანად მიქელს ვაღიარებ და მე ვსასობ, ჩვენს ეკლესიას აღიღებს და ვალენტს მოიხმარს წმინდა ტაძრების შემამკობელ დიად ხელოვნად. (მოისმას ხმაურობა. სახლთუხუცესი მიდის)
- ვახტანგ — ვინც მოერგება ქამს, მხოლოდ ის მოიღებს ნაყოფს. (შემოდინ მოურავი და საურმაგი. გაიხიზნენ ჟღანშერს და ჩუმაღ ელაპარაკებთან)
- მოურავი — მაღალო ჟღანშერ, შენი ლაშქრის ბანაკში გამოცხადდა ორი გაღანული მგზავრი. თავს აღიარებენ კეისრის დესპანებად და მოითხოვენ მეუფესთან წარდგომას.
- ჟღანშერი — დესპანების მიღების ქამი არ არის.
- მოურავი — ზოგიერთი მთავრები ბანაკს შემოესიენ მათ შესაპყრობად.
- საურმაგი — დესპანები გვევედრებიან, მტრის ხელში არ ჩავეყოთ.
- მოურავი — მთავრები კი თავდასხმას აპირებენ ბანაკზე.
- ჟღანშერი — თავდასხმას? ეს ზომ სიშმაგეა!
- მოურავი — სრული განცრფებაა, ორივე მხარე საბრძოლველად ეწყობა.
- ჟღანშერი — მაშ. ფარულად გავიდეთ დარბაზიდან. (ჟღანშერი, საურმაგი და მოურავი მიდინ. შემოდინ მღვდლები და სახლთუხუცესი)
- მღვდელი — მოვრთეთ ტაძარი, გაღაგანი, მისასვლელებიც.
- სახლთუხუცესი — ვალენტის გუნდი მოედანზე არ დაიშვება.
- მიქელი — იცნოს ქვეყანამ, რომ ვმოქმედობთ ნებითა ღვთისა. (მიქელი და მღვდლები მიდინ)

- ვალენტი — ჩვენ დავდუმდებით, ხოლო აი, ისმის ბრბოვ ზარიწვა.
(ვალენტი და ხელოვანი მიდიან)
- სახლთუხუცესი — მაშ, მოგვევლინეთ, მეუფენო, მოტარდნგებულს
აღმოსავლეთის მხრის დარბაზში, სად გელოდებით
დიდებულნი და ბანოვანნი, და ოდეს ნიშანს
მოგვეცემს ზარები, წაბრძანდებით მთავარ
ტაძრისკენ —
ერის მხურვალე დალოცვის და ფიცის ადგილზე.
(ყველანი ეწეობიან და აპირებენ წასვლას. მათ შემოეგებე-
ბიან ბანოვანნი და დიდებულნი ხელში ყვავილებით. მოისმის
მღელვარე ხმები)
- დიდებულნი — მოგვხედოს მადლით ყოვლად წმინდამ, ყოვლად
ძლიერმა.
(მოისმის მღელვარების ხმა. შემოდიან აღუვებულ
ჯუანშერი და საურმაგი)
- ჯუანშერი — (ხმადაბლა) მეუფევ, ვახტანგ! (ხელით ანიშნებს, რომ
შენიერდეს)
- ვახტანგ — (შეჩერდება) რად მაფერხებ, ჩვენო ჯავარო.
(ყველანი მიდიან ვარდა ვახტანგისა, ჯუანშერისა და საურმა-
ვისა. შემოდიან რომის გამხდარი და სამოსელშეღანძლული
დესპანნი, რომელთაც ხელს მიახმარს საურმაგი და ნელა
მიუჯეს შეფისკენ).
- ჯუანშერი — ესენი რომის კეისარის დესპანებია,
ძლივს მოაღწიეს, ვითარ ხედავ.
- ვახტანგ — სად შეხვდათ ჳირი?
- ჯუანშერი — შენს სამეფოში.
- ვახტანგ — ო, სირცხვილო!
- ლეონ — ვერ მცნობ, მეუფევ?
(უახლოვდებიან ვახტანგს)
- პეტრე — მადლობა უფალს.
- ვახტანგ — ლეონიდე!
- ლეონიდე — დიას, მეუფევ.
საერთო მტერთან გვიბრძოლია.
- ვახტანგ — ო, ეს პეტრეა!
მეუღდაბნოე წმინდა მამა! (საურმაგს) იხმე შირანდუხტ,
იხილოს, თუმცა... დრო არ გვაქვს...
- საურმაგი — იქ გელოდებიან.
- ვახტანგ — ვინ შეურაცხყო ჩემს ზღუდეში უცხო სტუმრები?
- პეტრე — ვინც იცის, თუ რა მომაქვს შენთან.
- ვახტანგ — სწორედ ამ წუთში
გულით ვნატრობდა შენ დინარა, რარიგად სწყუხდა,
რომ გვირგვინის სკენას ვერ ესწრები.
(გარედან მოისმის ხმაურობა, ჯუანშერი მიდის)
- პეტრე — როს თვალს ავიხელ
შენს ქორწილს იცნობ ჯოჯობეთად.
- ვახტანგ — რატომ მათრთხილებ?
- პეტრე — დალუპვის პირად მოვისწარით.



- ვახტანგ — თუმცა მე გიცნობ
უნათლეს სულად, შენი სიტყვა ჩემთვის ბნელდება
- პეტრე — არ სჯობს სიბნელე იმ სინათლეს, რაც დაგვანანს
გულის შემზარავ სიმბინჯს?
- ვახტანგ — მითხარ ყოველი.
- პეტრე — ღონე მელევა.
- ლეონიდე — კონსტანტინეს ქალაქის კედლებს
მტრები წვდებიან. ასეთ ქირში სპარსეთის შაჰი
იერუსალიმს ესხმის.
- ვახტანგ — დიად, მისგან არ მიკვირს.
- ლეონიდე — ანტიოქიის მისასვლელთან მე ვიდექ რაზმით,
იმ ვაშს მოვიდა კეისარის მცველთა უფროსი
ტიბერ, მიბრძანა კეისარის სახელით, რათა
ვეახლოთ კარზე შეუფესა ვახტანგს და ვთხოვოთ
წმინდა ქალაქის დასაცავად ლაშქრით გამოსვლა,
გზის დასალოცად მივმართეთ დიდს ტაძრებს. მამები
სვიმონ მესვეტეს შეეკითხნენ და მისი რჩევით
საჭიროდ იცნეს მამა პეტრე თან გაგვეყოლოდა,
ვით ვახტანგისგან მიღებული უნეტარესად,
მაგრამ უარი შემოთვალა მან უდაბნოდან
და კეისარის ბარათით ჩვენ გამოვეშურეთ.
მე იმედს მგვრიდა შენს წინაშე დამსახურება.
ტიბერმაც თავის მხრივ გამანდო და გამამხნევა,
რომ მოაქვს შენთან საიდუმლოდ გასამკლავებლად
გასახარელი ცნობა. ბოლოს ქვეყნის საზღვართან
წამოგვეწია მამა პეტრეც.
- პეტრე — მე ვერ ვერ დავთმე
ნეტარ ლოცვისთვის შესაფერი მყუდრო ადგილი,
მაგრამ დარჩენილს უდაბნოში თვალწინ დამიდგა,
მომკითხველებმა რაც მიამბეს. წარმოვიდგინე
საქრისტიანოს აკვნის დაწვა, რომის დამხობა,
და შემბუკრო იქ, უქმად მყოფი, სინდისის ქენჯნამ...
მესიზმრებოდნენ ავნი მხეცნი, ყორანნი, გველნი.
გარს მივლიდნენ და კაცთა ენით მეუბნებოდნენ,
რომ საშუდამოდ გადაშენდნენ ადამიანნი,
და ქვეყანასთან ერთად დარჩათ მათ კაცის ენა,
რაც მხეცთა პირში საშინელი იარაღია,
და აწ მიწაზე დამკვიდრდება ყოველ სიწმინდის
შეურაცხყოფა და ზეიმი სრულ ბოროტების.
მსგავსი სიზმრები ძილ-მღვიძარეს მქენჯდნენ,
გულს მგლეჯდნენ.
ასეთ ვარამში მომაგონდა, მეუფევე ვახტანგ.
ის დჯე, როდესაც შენ გიხილე ჩემს უდაბნოში
გონებამიზნდილ ავადმყოფად, თავზე მდგარ დითა,
შემდეგ, როს სული მოგიბრუნდა, ზრუნვით იკითხე
ვინმე გლეხ-ქალი, ვისაც ჩემ ხის ქვეშ მოეყვანე,
მაგრამ ვერ ჭპოვეთ მისი კვალი... მე გამასუნდა
შენი სიტყვები, რომ გადმოგცა მან ლოცვით ხმალი.

მოვთხოვა რწმენის დასაცავად ის მოიხმარო,
და დაგიტოვა გულში ერთ უთქმელ მკვანძობა,
აჲ ყველა ნიშნით ვცანით იგი ღვთის მოგზავნილად.
დავრწმუნდით, რომ მან წინდაწინვე ამ ქამისათვის
შეგქურვა რვალით, ავირჩია საქრისტიანოს
აკვნის დამცველად უფლის ნებით. ამ შთავგონებამ
მე სასოება ამინთო და უმთვარო ღამით
გამოვეშურე შურდულოვით.

ვახტანგ
ლეონიდე

— აჲ რა გადაგხდათ?
— დაგვესხნენ გზირნი, მიგვათორიეს ერთ ბნელ ციხეში.
ციხის ბატონმა რა გავგჩხრიკა, პოვა ბარათი
კეისრის, შენდა მონაწერი, და მიგვეცა მტარვალს.

* ვახტანგ

— არა, ლეონიდ, მე ასეთი ციხის ბატონი
ფფიცავ. არა მყავს.

პეტრე
ლეონიდე

— იგი თითქმის შენი ტოლია.
— ის არის შენი ნათესავი, — ბატონი მიპრან.

ვახტანგ

— აჲ ვინ, მიპრანი? არა! მენდეთ, ის არ იქნება.
(გარეთ ხმაურობა. კარში გამოჩნდებიან იასონი და დიავორე)

პეტრე

— ამ მოყმეების ხელში ვახლდით, გამოგვიტაცეს.

ვახტანგ

— ო, მეცნობიან. (მოყმეებს) ყმანო, გკითხავთ, თქვენმა
ბატონმა

ამ პატიოსან მოციქულთა შეპყრობა იცის?

იასონი

— რარიგ მიხარის, რომ უწოდებ მათ პატიოსანს.
ჩანს, ჩვენ სასჯელი არ გვერგება.

ვახტანგ

— სასჯელს რად ელით?

იასონი

— მიპრანის მკაცრი განაჩენი ჩვენ ამათ თავზე
ვერ ავასრულეთ ღვთისა შიშით, და შენ მოგგვარეთ.

დიავორე

— ამათი ხსნისთვის აჲ შენს კარზე ისრებს გვესვრიან.

ვახტანგ

— კარის უხუცესს შეეფარეთ.

იასონი

— მადლი შეუფეს!
(მოყმენი მიღან)

ვახტანგ

— რათა მგელი ცხვრად გარდამექმნა, შევმოსე მგელი
მშვიდი ცხვრის ქურჭით და ვიგემე მისი კბილები.
ეს შეაშფოთებს მიქელს, ვინც მას ცოდვა შეუნდო
და დინარსაც შეაძრწუნებს...

პეტრე

— ვმართებს გამაგრდე.

ვახტანგ

— უფლად ღირსეულ ასულისა უღირსსა მამას
და მის დამქაშებს ამოვძირკვავ.

პეტრე

— შენ ჩქარობ, ვახტანგ.
წამალს ამზადებ, სანამ სენი ვერ შეგიტყვია.

ვახტანგ

— ფიცს და კურთხევას რომ მოვრჩები, მთელ ყურს
მოგაპყრობთ.

თქვენ ვახლდათ კიდევ კეისარის დაცვის უფროსი?

ლეონიდე

— პო...

ვახტანგ

— მასაც ვიხმობ.

ლეონიდე

— მოაკედინა იგი მიპრანმა.

ვახტანგ


— მოკლა? დესპანი? ჭკუთმყოფი არავინ ახლდა?

ლეონიდე

— ახლდა შენი და, მირანდუხტი. და მანცა გვიმტრო.

- ვახტანგ — ჩემი და? არა, მშობლის დარად იფიცებს პეტრეს, ერთად მივლიდნენ უდაბნოში. — მოგჩვენებოდა?
- პეტრე — ნეტავ სიზმარი ყოფილიყო, რაც აქ გადავწყვიტეთ? მაგრამ ნამდვილად რაც მოხდა, მას ღმერთიც ვერ აქცევს
- ვახტანგ — არ მომხდარად.
- ვახტანგ — ვერ ვრწმუნდები.
(მოსმის ხმაურობა. შემოდინა ჭვანჭერი და სახლთუხუცესი)
- სახლთუხუცესი — ავი ენები გაჩნდა ბრბოში. ერს აქეზებენ, — აქ შემოიჭრან და დავლიჯონ უცხად სტუმრები.
- ჭვანჭერი — ზღურბლზე ვადმოკყავს ზოგ ერისთავს ზედმეტი ჯარი.
- სახლთუხუცესი — სასახლის მცველებს უბრძანებ, გზა გადაუღობონ.
(შემოდის შირანდუხტი)
- შირანდუხტი — შეკრბნენ მთავარნი, დინარა თრთოლით გელოდება.
- ვახტანგ — მოვალ ცისკართან. უცხო სტუმრებმა შემაფერხეს.
- შირანდუხტი — საით გამოტყვერენ? (ღაინახავს) ო, დამიბნელდეს!
- ვახტანგ — რად შეშფოთდი?
- შირანდუხტი — ნუ იგვიანებ ჩემო მეუფევ. სადაც არის, ზარით გიხმობენ.
- პეტრე — ჯერ წაუყენე, გვედარებით. ასულს მოყმენი.
- ვახტანგ — კარგი, მომგვარეთ.
(ისევ შემოყავთ იასონი და დიაგორე)
- შირანდუხტი — მდაბიობებს იყენებთ მოწმედ?!.
- პეტრე — მაშ, თვითონ წრფელად აღიარე.
- შირანდუხტი — (გააფთრებული) ხმა ჩაიწყვიტეთ! (ჩამოგლეჯს კელიდან ხმალს, მაგრამ რა ღაინახავს ვახტანგს, ხელიდან გაუვარდება ხმალი)
რა საღბინოში შემოხობნით, უდაბნოს გველნო!
რა ბოროტება პოვე ჩემთან?
- პეტრე — მიყვარდი, მაგრამ
- შირანდუხტი — რა ვცან, რომ გინდა დაუშინო ვახტანგ კეისარს, მრცხვენია კიდეც ძველი გრძნობის.
- ვახტანგ — ძვირად გიყიდე, ქრისტიანთ სისხლით დაგიხსენი და რა მივიდე?! ჩანს, ავის უფრო შესაძლოა კეთილად ქცევა, ვიდრე კეთილის გარდაქმნილის ბოროტად, ისევ გაკეთილება.
- შირანდუხტი — დე, გამკიცხე, სხვას ჩემებრ შაინც არ ეყვარები.
- ვახტანგ — ვერ მაცდუნებ სკვითური ლიქნით. — მოძმის ნამდვილი სიყვარული ევლინება კაცს, მხოლოდ მას შემდეგ. როცა უფალ ღმერთს შეიყვარებს. — ღვთის გარეგანის სიყვარული სულ სიყალბეა.

- ლეონიდე — აწ მოუყევი, ასულო, ძმას, რა ბჭობა გქონდათ სპარსთა დიდ ქურუმ-მაზდაკთან.
- ვახტანგ — მას სად შეგვდებოდნენ?
- ლეონიდე — მიპრანთან გახლდათ მაზდაკი და ერთად გვთრგუნავდნენ.
- ვახტანგ — მოყმენო, ამით არ ეშლებათ?
- იასონი — თვალთ ვიხილეთ.
- მირანდუხტ — რა უსირცხვილოდ აბეზლებენ საკუთარ ბატონს.
- იასონი — ცოდვას ვერ ვფარავთ.
- მირანდუხტ — ო, თავსლავი სულმდაბალ მონებს!
- იასონი — ჩვენც მიგვიღია ჭრილობა შენს გამოსახსნელად. (მოყმენი აივინებენ ვულჰერღზე ნაჭრილობებს)
- მირანდუხტ — უღირს მოყმეთა სისხლს ვაფასებ წყალზე იაფად.
- ლეონიდე — იქ იყო კიდევ მწვალბელო ეპისკოპოსი.
- ვახტანგ — რომელ ქვეყნიდან? სირიელი?
- ლეონიდე — არა, მეუფევე, შენი მოძღვარი.
- ვახტანგ — ვინ?
- ლეონიდე — მიქელი.
- ვახტანგ — ციხეში გნახათ?
- პეტრე — გვთრგუნა.
- ვახტანგ — იცოდა, ვინ იყავით?
- პეტრე — კეისრის ბარათს ფეხქვეშ თელავდა აღშფოთებით, მიპრანს ლოცავდა: ქურუმთა-ქურუმს გულს უგებდა.
- ვახტანგ — ეს მესმის ყურში ქვეყნის დაქცევის ამბავით.
- ლეონიდე — ჩვენთან, ვით მკვდრებთან. აღარ მალავდნენ თავის ზრახვებს.
- ვახტანგ — რას იქაფიდნენ?
- ლეონიდე — სრულად წაგართვან ძალა და ვით საზანდრის გულა. გამღერონ თავის ჰანგზე, თავის სულის ჩაბერვით.
- ვახტანგ — განუყოფელი ვარ მე სულით, ჩემს ხორცს ნაწილად დაგლეჯენ, სულს კი ვერ გაყოფენ.
- ლეონიდე — მეუფევე, შენებრ ვმირს ეშინოდეს არა შენივე მსგავსი ვმირისა, — სუსტს და მშიშარას მოერიდე, — ხელთ არ ჩაგიგდოს. თუ მოგერია შენ უსურმა, შენი თრგუნვით არ გაძღება, ვშთანთქავს, წამოგარწყევს და ისევ ვშთანთქავს, სანამ ხორცთან სულს არ გაგებრწინის.
- ვახტანგ — ოდეს მეგონა. ხელით ვწვდებოდი ზეცას, ვხედავ, დამხობილი ვარ ჯოჯოხეთში და თითქო დამწვარ გულიდან მეხის კვამლი ამომდის და მიბურავს ჭკუა-გონებას. რაც მაფრთოვნებდა, მიმიღია თურმე მზაკვრისგან.
- პეტრე — ცოდვისთვის პასუხს თვითონ აგებს.
- ვახტანგ — ერს ვით წარვუდგე,



მთელი სამეფო მას თაყვანს სცემს, იციან, ვით ზე
 ნიადაგიდან იკვებება, ისე მე მისგან ^{არაფრად}
 მიიღია, რაც გაგება მაქვს, და ზემ თავისი ^{სიძინე}
 ნიადაგი რარვ ალმოფხვრას და ინაყოფოს.
 დღეს მზაკვრის ხელით ვით ვეკურთხოთ შე და დინარა.
 — დინარასთან ვერ ისკვნი გვირგვინს.

ლეონიდე
 პეტრე
 მირანდუხტ

— (უცხად მხურვალედ) ვერა, მეუფევე.

დადუმდით, ძმა არ დამილტობთ ავ ენით, თორემ
 კბილებით დაგვლეჭთ! (ვახტანგს) მეუფევე. აჲ თამი არ
 არის

აპყვე ვისიმე მქირდაობას და თანამეფე
 სასტიკ ლოდინით შეაძრწუნო.

ლეონიდე

— ვერ დავდუმდები.

ის აცდენს ვახტანგს ტრფიალებით, ისე ექცევა,
 როგორც დალილა სამსონ ძლიერს.

პეტრე

— ის შეთქმულია

ეპისკოპოსთან და მიპრანთან.

ვახტანგ

— ნუთუ არ სცოდავთ?

ლეონიდე

— მოყმენო, დინარა როდის გაეშურა მაცვლოვანში
 ცოდვის მოსანანიებლად?

იასონი

— როცა ტიბერი ნაზუქით დაიღუპა.

ვახტანგ

— ეს ზომ მისი ცოდვა არ იყო.

დიაგორე

— იქ უმისოდ ბეწვიც არ ირხეოდა.

იასონი

— ჩვენ ვიგრძენით, რომ ესენი წმინდანებია, შეგვეშინ-
 და და ვთხოვეთ დინარას მოეღბო შამის გული, მაგ-
 რამ აშაოდ.

დიაგორე

— სიკვდილიც გვიქადა ამოღენა საიდუმლოს ცოდნი-
 სათვის.

ვახტანგ

— მას წილი უძევს მწვერვალის გაწმენდაში.

მირანდუხტ

— ახლა მაინც გააქვავეთ ენა.

პეტრე

— არა, მეუფევე. შაჰინ-შაჰს არ ეცალა მეცეცხლეთა და-
 საცავად და მახდაკმა უბრძანა მცხეთის ქურუმს დი-
 ნარასთვის მშვიდად დაეთმო მწვერვალი და ამით
 თანამეფობის მოპოვებაში დახმარებოდა.

ლეონიდე

— იქ ჩვენს თვალწინ ურცხვად ივაჭრეს, მიქელმა აღუ-
 თქვა მახდაკს რომისგან გათიშოს იბერიის ეკლესია.
 დინარამ შეფიცა თავის სამეფო მოაქციოს სპარსეთი
 წრეში.

მირანდუხტ

— ნუ მიაპყრობ ყურს რომაელებს.

ვახტანგ

— ო, მე ასე ვგრძნობ,
 თითქო საკუთარ სხეულსა ტკბილნი ნაწილნი
 ჩემივე ხორცის მჭამლად მექცენ.

მირანდუხტ

— მე დაგიყვავებ.

ვახტანგ

— შენ ჩემ უბეში გველად ძვრები.

(მოთხმის ზარების რეკვა)

მირანდუხტ

— აი, გიხმობენ,

გვირგვინი ისკვნათ.

- ვახტანგ — მე სინდისის ხმა მეტად მესმის.
- პეტრე — ამ რისხვის ქაშს შენ უფალთან ხარ. *მარტინეშვილი*
- ვახტანგ — შენით ვცანს ყველას.
- წმინდა მამავ, და შენი ვარ ხმლით.
- მირანდუხტ — ოოპ, რომაელ
დესპანებს წყევლა!
- ვახტანგ — ძმის მტერი ხარ.
- მირანდუხტ — წყევლა, ო, წყევლა
რომის დესპანებს, მათ შეშალეს ჩვენი მეუფე!
(მირანდუხტი აიღებს იატაკიდან ხმალს, გააფორებით მოიქნეეს
და გარბის გარეთ გასასვლელში)
- მირანდუხტის ხმა — (გარედან)
ერო, დარბაზში შეიქერი, დაგლიჯეთ რომის
უბოროტესი დესპანები. მეფეს წამლავენ!
(გარედან მოსმის ბრბოს ყვირილი, დრტივნა და დაფლავ-
ბის ხმა. შემოდის მოურავი)
- მოურავი — ერი დინარას თანაუგრძნობს, როგორც დიზაგრულს,
ის დარბაზიდან ტაძრისაკენ მიეშურება
და მედგრად ითხოვს შენს თანასწორ უფლად
კურთხევას.
ეპისკოპოსიც მოგვიწოდებს, მიპრანის ასულს
შევფიცოთ, ვით შენს თანამეფეს.
- სახლთუხუცესი — დარბაზს ქოლავენ
ქვა და გუნდით.
- ვახტანგ — რარივ გრგვინავენ.
- მოურავი — მთელი ბრბო შენზე
აქეზებს ლაშქარს.
- ვახტანგ — სად არიან დიდებულები?
- საურმაგი — სამმა მთავარმა თავის რაზმით გზა გაიკვალა
ტაძრისკენ ფიცის მისაცემად დინარასათვის.
- სახლთუხუცესი — ერისთავები დემეტრე და გრიგოლი ლაშქრით
საექვო ზრახვით გამოიქრნენ ამ დარბაზისკენ,
და წინ აღვუდექ.
(ისმის ხმაური)
- საურმაგი — კვალად დავხვერავ (მიდის).
(გამოჩნდება კარსკაცი)
- კარისკაცი — დიდბანაკიდან
მეუფის მტკიცე ერისთავნი მობრძანდებიან.
(შემოდან არტავაზ, ნასარ, ბიერტიანე)
- არტავაზ — ქალაქის ზღუდე მკაცრად შეგვხვდა,
- ნასარ — როგორც პაერის
ხუთვაში ვიცილობთ ძლიერ თქემის მოახლოებას,
ისე ვიგრძენით, რომ მზადდება აქ სისხლის წვიმა.
- ბივრიტიანე — არ მოგვწონს ქცევა ჯუანშერის.
- ვახტანგ — რისთვის, სპასპეტრო?
- ბივრიტიანე — ჭრელ ბრბოსგან ითმენს შენს გინებას.
- არტავაზ — მშვიდობიანად
მოათათბირებას ცდილობს მტერთან.



- ვახტანგ — ხმა ჩაიწყვიტეთ!
- თქვენი ცოცხალი სული მე ვარ, და როგორც ცხრტკჰნი
ემორჩილება სულს თავისას, ისე დამყევებთ სულითქვენი
- არტავაზ — დიახ, მეუფევე, უშენოდ ჩვენს თავს ვერას ვარგებთ.
(შემოღოს საურმაგი მსლებლებით)
- საურმაგი — ბრბო ვადმოვიდა შეტევაზე.
- ვახტანგ — ჟუნაშერ რას შვრება?
- საურმაგი — იგი თითქო ცალკე გამდგარა.
- ვახტანგ — ცილსა სწამებენ.
- სახლთუხუცესი — ცამ გისმინოს. მხოლოდ ეს ვიცი,
რომ სახლსა შენსას მუხანათთა გარშემორტყმიდან
თავდასალწევად ჟუნაშერ არ მიშველებია,
მთელი ოჯახი ალვანის შაჰს შეუპყრია და
უზის ბანაკში.
- საურმაგი — მითხრეს, თითქო შენი ძე დაჩი
ჯუნაშერს. ვისაც აღსაზრდელად ჰყავს აყვანილი,
ექვსი წლის ბავშვი დარბაზიდან გაუტაცვინია.
ჯარებში ცხენით დაატარებს და ბრბოს წინაშე
ეთაყვანება, ვით მეუფეს.
- ვახტანგ — ნუ მიღრმავებთ ექვს, კმარა, ნათლად რა ხინჯსაც
ვხედავ,
ღვენილი ჩემნი ღვიძლნი მცხეთის გარე დაძრწიან,
ეს ბრბო უთვალავ თავიანი ვეშაპის მსგავსი,
გაუგონარი ცბიერებით მოიწევს, რათა
ქორწილის აღთქმით და ღიმილით მომიგდოს ხელში,
ყალბ მოფერებით გამთელოს და სული გამიფრთხოს.
- საურმაგი — მე ვერ ვცნობილობ ვერც ერს, ვერც ბერს.
- სახლთუხუცესი — თითქო ბოროტმა
ძალამ მათ სული ამოართვა და სხვა ჩაჰბერა.
- საურმაგი — დღეს განცოფების მსგავსი სენი ედება ყველას.
- ვახტანგ — ცოფს მკურნალობენ ცეცხლით, დროზე წყლულის
ამოწვით.
აწ ჩვენ, სპასპეტრო, გავიდეთ ამ გარემოცვიდან,
ანაზღად ფეხზე დავაყენოთ მთელი ბანაკი
და ქალაქს ალყა შემოვარტყათ, რომ არ გავრცელდეს
ეს ჭირი მთელს ჩვენს სამეფოში.
- არტავაზ — გავაპობთ მიწას,
მთელ ბრბოს გავგლეჯთ და გავიყვანთ.
- ნასარ — თუ დაგვჭირდა, შემდეგ
დავამსობთ მცხეთის კედლებს, ხოლო ბრბოს
ფერფლად ვაქცევთ.
რადგან ვახტანგის მეუფება ვერ შეიღირსეს
და მისი ღმერთი თავის ღმერთად ველარ იწამეს.
(ყველა მიდის. მოისმის ხმაური, ბრბოლის ხმება,
იარაღის ელარუნია)

(ფარდა)

(ვარჩელება იქნება)

ჰიმნოზი კინეზი

ყინვარებისა და ნარინჯების ქვეყანა

ახალი ათასწლეულობით ინახარიშება

იმ ზაფხულს, როდესაც საქართველოში სტუმრად ვიყავი, ჯგუფი, რომელიც ერთი მწერლისაგან, ერთი ისტორიკოსისაგან, ერთი კარგად გავარჯიშებული სპორტსმენი-მთამსვლელისაგან და ერთი ექიმისაგან შედგებოდა, ძნელად მისადგომ მწვერვალზე ავიდა, რათა გამოერკვია აქამდე ჯერ ისევ საიდუმლოებით მოცული ზოგიერთი უძველესი გამოქვაბული. ხეობის თავზე, მთასა და მთას შუა, თითქმის მთლად გლუვი ფრიალო კლდე აღმართულა, 70 მეტრი სიმაღლისა. გამოქვაბულები სწორედ ამ კლდეშია. ქართველებმა იციან თავიანთი წარსული და კიდევაც უყვართ იგი. დიდი წარსულისა და მდიდარი კულტურის მქონე ხალხს განსაკუთრებული მიდრეკილება აქვს სიძველეებისადმი, რაც სრულებითაც არ მოასწავებს იმას, თითქოს იგი ტრადიციონალისტი იყოს. ეს სიძველეები, რომლებიც ჩვენს თვალწინაა, ესთეტიკური თვალსაზრისით ასე გამძლე არ იქნებოდნენ, ვერ შეიქმნებოდნენ ასეთად და ვერ შეინარჩუნებდნენ თავიანთ ადრინდელ სახეს, თუ ავტორებს არ ექნებოდათ მისწრაფება, განუწყვეტლივ განეხორციელებინათ ის, რაც ადრე, ოდესღაც იყო. ცივილიზაცია და კულტურა მხოლოდ ამ გზით მდიდრდება და იხვეწება.

ამ მიუდგომელი კლდის გამოქვაბულები დიდი ხნის განმავლობაში შორიდან მოსჩანდა, მაგრამ უკვე აღარ შეიძლებოდა მათი საიდუმლოება საიდუმლოდვე დარჩენილიყო, მიუხედავად ასვლის სიძნელისა.

და აი, 1957 წელს კლდის ერთ-ერთ გამოქვაბულში ნაქანდაკევი ქვა აღმოაჩინეს. ზედ სტილიზებული ორნამენტებით გარს შემოვლებული ჯვარი იყო გამოყვანილი. ჯვრის გვერდით, ორნამენტაციის შუაგულში, აღმოჩნდა ტექსტიც. დამყრობელთა გზებით ტანდასერილი საქართველო ყოველთვის წინასწარვე იღებდა ზოლმე ზომებს ძვირფასი დოკუმენტების გადასამალავად. მემატინები, რომლებიც პერგამენტზე სწერდნენ იმ ავადმოსაგონარი დროის ამბებს, იმასაც უწყევდნენ ანგარიშს, თუ რა ზიფათი მოელოდათ თეთრად გათენებული ლამეების ფასად შექმნილ წიგნებს. მომხვედური მტრის ცხენის ფლოკები უსიროცხილოდ თელავდა ბიბლიოთეკების იატაკს. ბნელეთის სხვა მოციქულები წიგნებისაგან კოცონებს ანთებდნენ, ანდა ხელნაწერებს წყალს ატანდნენ. აი, რატომ იყო, რომ ერთმა ქართველმა მემატინანემ, ლეონტი მროველმა, „ქართლის ცხოვრების“ ყველაზე უფრო საინტერესო თავების ავტორმა, საჭიროდ ჩასთვალა ერთ-ერთი ეს გამოქვაბული იშვიათი ხატების სამალა-

ვად გამოეყენებინა, რათა დაეფარა ისინი საქართველოს გულდრძო მტრის — სულთან ალპარსოლანის შემოსევისაგან. 1957 წელს ნაპოვნ ქვაზე ტექსტი სწორედ იგივე ლეონტი მროველის ხელით არის ამოკვეთილი. თანამედროვე ისტორიკოსები მას 1066 წლით ათარიღებენ. მაგრამ ისტორიკოსებისათვის ფრიად საინტერესო ეს დოკუმენტი ყველა სხვა დოკუმენტზე ძველი მაინც არ არის.

ისტორიკოსები ამბობენ, რომ პირველი ქართული ტექსტები აქამდე უცნობ, დიდი ხნის წინათ უკვე დაკარგულ დამწერლობას განეკუთვნება. ქართველებმა ქრისტიანობა, როგორც ზემოთაც არაერთხელ ვთქვით, 337 წელს მიიღეს. ამ დრომდე მათ, შესაძლოა, წარმართული დამწერლობა ჰქონდათ. შემდეგ ეს წარმართული დამწერლობა ფიცხმა და ეკვიანმა ქრისტიანმა ბერებმა და მღვდელ-მონაზვნებმა ძირფესვიანად ამოძირკვეს და გაანადგურეს. მდიდარი წარმართული კულტურის კვალი მხოლოდ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში დარჩა.

ქრისტიანული პერიოდის პირველი ტექსტები, თავიდანვე, სამნაირი დამწერლობით იწერებოდა: ჩვეულებრივი საეკლესიოთი, ანუ ხუცურით, მეორენაირი საეკლესიოთი, ოღონდ ყდისა და სათაურისათვის — ასომთავრულით და, ამას გარდა, საეროთი, უფრო სწორად — მხედრულით, რომელსაც, როგორც თავიანთ ეროვნულ აღფაბეტს, ქართველები დღემდე ხმარობენ.

მსოფლიოს სხვა აღფაბეტებთან რაიმე გრაფიკული ანალოგია ქართულ აღფაბეტს არა აქვს. საერო დამწერლობას, იგივე მხედრულს, თავისი ელევანტურობითა და სიმრგვალით. შესაძლოა, რაიმე შორეული ნათესაობა ჰქონდეს ბერძნულ აღფაბეტთან. მაგრამ ეს ნათესაობა და ურთიერთდამთხვევა ძალზე პირობითი იქნება, რადგანაც ასოების მოხაზულობა და სახელწოდებანი სულ სხვადასხვანაირია.

ქართულ დამწერლობათაგან გამოყენების უდიდეს სიმარტივეს შეიცავს მხე-

დრული. მისთვის, უპირველეს ყოვლისა, დამახასიათებელია აბსოლუტური ფონეტიზმი. მას, ვისაც ძალუქს ქართული ენის ბგერების წარმოქმნა, ყოველთვის შეუძლია თავისუფლად და შეუცდომლად წაიკითხოს ყოველნაირი ქართული ტექსტი. ყოველ ქართულ ბგერას თავისი აღმნიშვნელი ერთი ნიშანი აქვს — ასო. აქამდე ქართულ ენაში 33 ბგერა და მათი შესატყვისი 33 ასოა.

თითქმის ყველა ხალხის ლიტერატურა წერილობით რეგისტრირებული ბგერითი მოვლენებით იწყება. ლიტერატურული ხელოვნება, როგორც ცნობილია, შედარებით გვიან ჩნდება. ქართულ ენაზე შექმნილი უძველესი ტექსტი ქრისტიანული პერიოდისა ჩვენი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნეს, 400 წელზე ცოტა მოგვიანო ხანას განეკუთვნება. იმავე საუკუნეში იაკობ ცურტაველი წერს ლიტერატურულ თხზულებას „წამება წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“, რაიც უფრო ძველ ლიტერატურულ გამოცდილებაზე მიუთითებს.

მე სულაც არ ვცდილობ ქართული კულტურის ისტორია გადავუშალო მკითხველს, თუნდაც ისტორიის ის ნაწილი, რომელიც აქამდე მოპოვებულ ისტორიულ ძეგლებს ეფუძნება და თხუთმეტ საუკუნეზე მეტს ითვლის. ტრადიცია, ფოლკლორი და პირველი ტექსტების მინიშნებები, ისევე, როგორც ფრაზის დახვეწილობა და კლასიკური გამოკვეთილობა, უხსოვარ დროში გვაბრუნებენ. ქართული კულტურის ასაკი მხოლოდ ათასწლეულობით უნდა განსაზღვრო, განსაკუთრებით არქიტექტურისა და კედლის მხატვრობისა, რომლებიც ზემოთ ნათქვამის უპირველეს და უტყუარ მოწმეებად გვევლინებიან.

თუკი მცხეთას, ქვეყნის ყოფილ სატახტო ქალაქს, თითქმის ორიათასი წლის წინათ მთავარი ხუროთმოძღვარი და მთავარი მხატვარი ჰყავდა, რომლებიც თავიანთი მუდმივი მოვალეობის შესრულების სანაცვლოდ ქალაქის ორგანიზებისაგან ჯამაგირს იღებდნენ, ეს

სხვას რას უნდა ნიშნავდეს, თუ არა ატესტატს დიდი და ძველი ცივილიზაციისა, დახვეწილი კულტურითურთ, რომელსაც ფესვები ღრმად აქვს გაღმული.

ეს დახვეწილობა და დაუცხრომელი წყურვილი კულტურისა ადვილად აიხსნება. ჩვენს დღეებამდე, სულ ცოტა, ათასი წლის წინათ ქვეყანას რამდენიმე აკადემია ჰქონდა. თუნდაც ეს ტრადიცია რად ღირს, რომ ერის უდიდესი სახალხო პოეტის ნაწარმოები, ზედიზედ შედინახევაი საუკუნის განმავლობაში, ნიადგ საკითხავი წიგნი იყო მეფეების სასახლეებშიც და მწყემსების თუ მწიფათმომქმედი გლეხების ქოხებშიც.

წერა-კითხვის უცოდინარნი ექსპლოატირებულ ადამიანებს შორის ოდესღაც საქართველოშიაც იყვნენ, მაგრამ არცთუ ისე ბევრი, როგორც სხვა ქვეყნებსა და სხვა ხალხებში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ წერა-კითხვის უცოდინარობას ერთხელ და სამუდამოდ მოეღო ბოლო.

ძველ საქართველოში კულტურა როდი იყო მხოლოდ მაღალი წრის ადამიანებისათვის მისაწვდომი. აქ იყვნენ პოეტი-მეფეები, როგორც, მაგალითად, არჩილი ან თეიმურაზ პირველი და მეფეები, რომელთაც უზარმაზარი პირადი ბიბლიოთეკები ჰქონდათ, როგორც მაგალითად, დავით აღმაშენებელს. დავით აღმაშენებელი აღორძინების ხანის მონარქის ტიპური ფიგურა იყო. ეს უადრესად განათლებული და მაღალი კულტურის ადამიანი დიდ გავლენას ახდენდა თავის ქვეშევრდომებზე. მეფეს თვით ბრძოლის ველზეც კი თან ახლდა თავისი ბიბლიოთეკა, რადგანაც მან, როგორც ყოველმა ინტელიგენტმა კაცმა, წინასწარ არ იცოდა, რა უფრო ესია მოუწებოდა ამა და ამ საათზე, ბრძოლის შემდეგ, ფიქრთ გასართველად თუ რაფინირებული სულის საღებნად.

მეორე მეფე, ვახტანგ მეექვსე, ლიტერატურის კრიტიკოსი და გამომცემელი იყო. მან პირველმა აღადგინა რუსთაველისეული ტექსტი «ვეფხისტყაოს-

ნისა», თვითვე გაუწია რედაქცია და კიდევაც გამოსცა. «ვეფხისტყაოსნის» პირველი ბეჭდური გამოცემა 1113 წელს მთავრის მიერ თბილისში დაარსებულმა ქართულმა სტამბამ განახორციელა.

შორეულ წარსულში, მდიდარი ქართველები, ვისაც ეროვნული სკოლები და აკადემიები არ აკმაყოფილებდა, თავიანთ შვილებს არისტოტელეს ფილოსოფიის შესასწავლად ბიზანტიის, ბოლო ზეოთმოძღვრების, ასტრონომიისა და ალგებრის დასაუფლებლად არაბეთის უნივერსიტეტებში აგზავნიდნენ. ცოტა უფრო მოგვიანებით, დედნიდას ქართულ ენაზე ითარგმნებოდა მსოფლიოს უდიდეს მწერალთა ქმნილებანი. მაგალითად, შექსპირი დღემდე რამდენჯერმეა თარგმნილი.

ყველა ეს კეთილი ტრადიცია მემკვიდრეობით მიიღო ახალმა საქართველომ და, როდესაც მე იქ ჩავედი, ყველაფრით ვგრძნობდი, რომ ინტელიგენტი ხალხის სტუმარი ვიყავი.

ზოგიერთი ციფრის მოყვანა, მგონია, ზედმეტი არ იქნება. ბუჰხალტერულ ხელოვნებას არასოდეს არა ვფლობდი, მაგრამ იგი არც არასოდეს მძულებია, მითუმეტეს დღეს, ასტრონომიულ და კოსმონავტურ ეპოქაში, როდესაც ციფრები ყოველდღიური ვარჯიშის საგნად იქცევა. ამიტომაც ზოგი ციფრი შეიძლება ბევრად უფრო შთამაგონებელი აღმოჩნდეს, ვიდრე ჩვეულებრივი პოეტური ფრაზა.

კარგია, თუ დავიმახსოვრებთ, რომ ქართველი ხალხი, მცირერიცხოვანია, მათი თეატრები, კინოები, სკოლები, მუზეუმები და სხვა კულტურული დაწესებულებები კი ხუთჯერ მეტ მოსახლეობაზეა გამიზნული. მაყურებელთა თუ სამკითხველო დარბაზებში ხალხის ნაკლებობას ვერასოდეს ვერ იგრძნობთ. ვინ ნახავს აქ თავისუფალ ადგილს! საბჭოთა საქართველოში მუშაობს ვეებერთელა მეცნიერებათა აკადემია, რომელსაც რამდენიმე ასეული მეცნიერი მუშაქისაგან შემდგარი არმია ჰყავს. საქართველოში

მუშაობს ოთხი ათას ორმოცდაექვსი სკოლა, რომლებშიაც ყოველწლიურად 880 ათასი მოსწავლე და სტუდენტი სწავლობს. აქვეა 1800 კლუბი, 2850 ბიბლიოთეკა, რომელთაგან ერთ-ერთს — თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას — 5 მილიონი წიგნი აქვს. ზემოხამოთვლილ სასწავლო-სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს მხარს უბამს 1100 კინოთეატრი, 20 სტაციონალური თეატრი, 40 მუზეუმი და 750 სასოფლო ლექტორიუმი.

მაგრამ ზოგჯერ შეიძლება ციფრებშიც ვერ გითხრან ყველაფერი. მე რამდენჯერმე მომიხდა შეხვედრა სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან. აი, სხედან ისინი, უზარმაზარი დარბაზი საცხა, აქ მყოფნი კი მხოლოდ ნაწილს წარმოადგენენ ერთი დარგის მუშაელებისა. ერთხელ კიდევ ვავლებ თვალს დარბაზს და საბოლოოდ მიმტკიცდება აზრი, რომ იშვიათი პროფესიის ამდენი სპეციალისტი, რამდენიც დარბაზშია, თავისუფლად ეყოფოდა 30-40 მილიონიან ხალხს. და ციფრები ხელახლა იწყებენ ცეკვას. მე შევიტყუე, მაგალითად, რომ თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, გორის, ზუგდიდის, ცხინვალის, თელავის, მახარაძისა და ჭიათურის სახელმწიფო თეატრებში 1200 მსახიობი და რეჟისორი მუშაობს. ძალიან ჩამაფიქრა გამომცემლობების ციფრებშიც. პირველი ციფრი ემინესკუს ლექსების ტირაჟი გახლდათ. წიგნი რამდენიმე დღეში გაქრა. არა და, ამ ავტორის სახელი მკითხველმა მხოლოდ ახლა გაიგო. ტირაჟი ხუთი ათასი ეკზემპლარი იყო. «ვეფხისტყაოსანი» ყოველ წელიწადს იცემა. მე მაქვს 1951 წლის გამოცემა, რომელიც 30 ათასი ეკზემპლარი ტირაჟით არის გამოცემული.

მაგრამ ეს ციფრები კლასიკოსთა ნაწარმოებებს განეკუთვნება. მოდიოთ ახლა ახალგაზრდა პოეტი ქალის ანა კალანდაძის ლექსების წიგნის უკანასკნელ გვერდს დავხედოთ! ახალგაზრდა პოეტი ქალის წიგნი შვიდი ათასი ეკზემპლარი ტირაჟით დაბეჭდილია...

მე განზრახ ავიღე პოეზიის ტირაჟის მაჩვენებელი ციფრები, რადგან ყოველ ქვეყანაში ლექსებს უფრო ცოტა მკითხველი ეტანება, ვიდრე პროზას. განზე ვტოვებ რომანებს და ძველი მატრიანების მონუმენტურ კრებულს — «ქართლის ცხოვრებას» დავყურებ. ეს მეცნიერული გამოცემა ამას წინათ ხელახლა გამოვიდა. როგორ მინდა გავიგო, რა ტირაჟით იბეჭდება ამჟამად ფრუასარის და დინო კომპანის მატრიანები მათი ხალხების ენებზე, რომლებიც თბუთმეტყვერ თუ თექვსმეტყვერ აღმატებიან რიცხვით ქართველ ხალხს, რომელმაც «ქართლის ცხოვრების» 1955 წლის გამოცემა 10 ათასი ეკზემპლარი ტირაჟით გამოუშვა!

წიგნების გამოცემა საბჭოთა წყობილების დამყარებამდე, რასაკვირველია, მძიმე პირობებში ხდებოდა და მაშინდელ მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოფილებდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში 43 ათასი სახელწოდების წიგნი დაიბეჭდა, რომლის საერთო ტირაჟი 188 მილიონ ეკზემპლარს მიაღწია. აქედან 6440 სახელწოდების წიგნი მხატვრულ ლიტერატურას განეკუთვნება.

უცხოელს, მსოფლიოს რომელი დიდი ქვეყნიდანაც არ უნდა ჩამოვიდეს, საქართველოში გზა არასოდეს დაებნევა რადგან თუნდაც მარტო თბილისში ნახავს ათობითა და ასობით ადამიანს, რომლებიც მას მისსავე მშობლიურ ენაზე გაუბამენ საუბარს. ბევრი ახალგაზრდა ქართველი ინტელიგენტი თავისუფლად ფლობს სამ ენას მაინც. ამ სამი ენიდან ერთი აუცილებლად რუსულია. მე არაერთჯერ აღტაცებულს მიდევნებია ხოლმე თვალი, თუ როგორი ძალდაუტანებელი უბრალოებით გამოეხატებოდა მათი ხოლმე ერთმანეთს ქუჩაში ან მაყურებელთა დარბაზში საცხებით უცნობი ადამიანები: ქართველები და იმ ზაფხულს საქართველოში სამოგზაუროდ ჩამოსული ინგლისელები თუ ვერმანელები, ჩინელები თუ

ირანელები, იტალიელები თუ არგენტინელები...

ყველგან, სადაც კი მოვხვდით, ტრამვაიში თუ ავტობუსში, პარკში თუ დასასვენებელ სახლში, ერთსა და იმავეს ვხედავდი: ადამიანები ხარბად და ბევრს კითხულობდნენ. ადრე მეგონა, წიგნებით ვატაცებას მხოლოდ ახალგაზრდები იჩენენ. იქნებ, ზოგს ირონიულადაც კი გავლიმოს, ეს გარემოება აქ რა მოსატანი იყო, მაგრამ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აქვე დავაზუსტებ. მატარებელში თუ ავტობუსში ადამიანები კლასიკოსებსაც კითხულობენ და, შემძლია ვთქვა, რომ კითხვის ნამდვილი სურვილი და მოთხოვნილება მაშინაა, როდესაც იგი წლების მანძილზე გამომუშავებულ ტრადიციას ეყრდნობა და როდესაც ადამიანს შეუძლია მთლიანად გამოეთიშოს ყველაფერს, რაც ყოველი სერიოზული მკითხველისათვის აუცილებელია. ბოლოსდაბოლოს, დავით აღმაშენებელი წიგნებს მინდვრად, საომარ ბანაკშიც, კითხულობდა და ნუთუ ჩვენს თანამედროვე ახალგაზრდა ქართველს გაუჭირდება იმავე სერიოზულობით წაიკითხოს წიგნი მატარებელში ან ტრამვაიში?

ადამიანებს უნდათ ბევრი რამ წაიკითხონ, მაგრამ არასოდეს არ შეიძლება ცხოვრება მარტო კითხვას მიეძღვნას. თვით ის ხანგრძლივი ცხოვრებაც კი, რითაც ბუნებამ კავკასიის მკვიდრნი დააჯილდოვა, არ არის საკმარისი ხალხის ყველა დიდი სურვილის შესასრულებლად, იმ ხალხისა, რომლის სულსა და გულს ეკლესიასტეს სეპტიციზმის სათაფრზე გაკარებაც არ შეუძლია.

წიგნის მალაზიებში ხშირ-ხშირად დავიარებოდი. თბილისში ძალიან ბევრია წიგნის მალაზია. თუ შეხვედი, გარეთ ადვილად ვეღარ გამოხვალ და წიგნების თაროებთანაც ვაგვიკირდება მისვლა. ზღვა ხალხი ტრიალებს ამ თაროსთანაც, იმ თაროსთანაც; ყველას უნდა შეიტყოს, რა გამოსცეს ახალი საქართველოს თუ საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების გამომცემლობებმა, რა არის მიღებული

საზღვარგარეთიდან. აქ არასოდეს არ იძენენ წიგნებს ტყუილუბრალოდ, ქალი რომ გულსაბნევს ყველას და კაცი კიდევ პალსტუხის დასამაგრებელ ქინძისთავს. საქართველოში წიგნებს ისევე სერიოზულად ყიდულობენ, როგორც პურსა და ღვინოს. ამოარჩევენ, კარგად გასინჯავენ, ფულს გადაიხდიან და ახლასხვა საქმეზე გასწევენ. იქ ყოფნის განმავლობაში არც კი მინახავს წიგნის მალაზიაში შესული კაცი, რომელიც იქიდან ხელცარიელი გამოსულიყოს და ხელში ორი ან სამი ახლადნაყიდი წიგნი არ სჭეროდეს.

საქართველო მდიდარი ტრადიციების ქვეყანაა. ეს ძველი ხალხი, რომელსაც ასე დიდი ინტელექტუალური ტრადიციები აქვს, თავის ეროვნულ კულტურას ყოველგვარ ისტორიულ ვითარებაში აშენებდა. ისტორიული ვითარება ძალიან რთული იყო, მაგრამ კულტურის განვითარებამ მაინც საკვირვლად მაღალ მწვერვალებს მიაღწია. მდგომარეობა ხანდახან პირდაპირ ტრაგიკულიც იყო ხოლმე, მაგრამ ქართველები მუდამ პოულობდნენ გამოსავალს. შოთა რუსთაველის პოემის ეკზეგლარების უმრავლესობა, როგორც ხელით გადაწერილი, ისე ვახტანგ მეექვსის სტამბაში ბეჭდური წესით გამოშვებული, ამბობენ, გონებადაბნელებულმა მღვდლებმა და ბერებმა მტკვარს გაატანესო, მაგრამ ხალხის წიაღიდან გამოსული უბრალო ადამიანები ზეპირად სწავლობდნენ მთელ პოემას, თითქმის შეიდი ათას სტრიქონს და, ვინ იცის, იქნებ, ის სწორედ ამან ვადაარჩინა და ჩვენამდე მოიყვანა.

ცარიტული ოხრანკა ფეხილად სდევნიდა ქართულ სტამბებს, ატუსალებდა მწერლებს, გამომცემლებს, სტამბის მუშაკებს. რუსთა ზოგმა თვითმპყრობელმა ხელმწიფემ თავი დააჯერა, ქართველები წიგნების წერასა და ბეჭდვას გადაეჩვიე, ბრძანებებით დავაშინეო. ზოგს ქართველები იმ ხალხად მიანდა, რომელსაც არაფერი აქვს დასაწერი. მაგრამ, ასე იყო თუ ისე, მე საქარ-

თველოდან მაინც ჩამოვიტანე ნაზი მხედრულით დაბეჭდილი ქართული წიგნები, რომლებიც სწორედ იმ დროს გამოდიოდა, როცა რუსეთის თავდაჯერებულ მონარქს ეგონა, რომ მისმა ოხრანკამ ქართველი ხალხის კულტურის წყარო დააშრო და გადააკეტა. ბოლოსდაბოლოს, ეს, მე მგონია, ნათლად ჩანს ჩემს მოთხრობაში — ქართველების დაშინება და დამორჩილება თვით მჭინვარე შაჰმა აბას პირველმაც ვერ შესძლო!

ქართველ ინტელიგენტს ყველაფერზე შეგიძლიათ ესაუბროთ. მაგრამ ინტელიგენცია მაინც ინტელიგენციაა. როგორი შრავალრიცხოვანიც არ უნდა იყოს, იგი საგანგებოდ გავარჯიშებულია კითხვაში და, ბუნებრივია, თავისი ინტელექტუალური დონე აქვს. მაგრამ მე ხომ პლანტაციებიც მოვიარე და საძოვრებიც, ვენახებიც მოვიჩახუთე და საბნავეებიც, იქ მწყემსებსაც ვხვდებოდი და მეთევზეებსაც, მუშებსაც და მევენახეებსაც. ყველას სახლში ვნახულობდი წიგნებს, ბიბლიოთეკებს. თვითველ ოჯახში ბიბლიოთეკა, დიდი თუ მცირე, ისევე აუცილებელია, როგორც სასადილო მაგიდა, სკამები და ჭურჭლის კარადა. ჩაის მკრეფავს ემინესკუს ლექსებზე ვესაუბრე. სწორედ წინააღმდეგ წაეკითხა. სხუმელმა ადმინისტრაციულმა მოსამსახურემ თავისი მოსაზრებები გამიზიარა ბიოლოგიაზე. თბილისელი მუშა ასტრონომიის საკითხებზე მსჯელობდა. მზიური სოფლის ბობოყვათის ბიბლიოთეკაში შევიტყე, რომ ყველაზე უფრო პოპულარული ავტორი, რუსთაველის შემდეგ, რომელიც ქართველების ეროვნული სიამაყეა, არის შექსპირი.

ადამიანები დაუღალავად და დაეინებით სწავლობენ. საქართველო მარად ახალგაზრდა კულტურის ქვეყანაა, მიუხედავად იმისა, რომ ამ კულტურის ფესვები ჩვენგან ძალიან დაშორებულ ათასწლეულებშია გადგმული.

მე ყოველთვის უცნაურ მღელვარებას ვანიციდი, როდესაც ამ კულტურასთან და მის მამოძრავებელ ძალებ-

თან ცოცხალ კონტაქტს ვამყარებდი. თქმა რალად უნდა, ყოველწიველწიველად მყოფელი კაცი აღელდებდა ჩემს ხელრმავეება და გავცნობა უძველეს კულტურას, რომლის შემქმნელი დრომ უკვე დიდი ხანია აღგავა პირისაგან მიწისა. პორაციუსს ან ტაციტუსს ვკითხულობთ, მაგრამ ვიცი, რომ ისინი გამქრალ სამყაროს ეკუთვნიან და სხვა ხალხები, რომლებიც ჩვენს გარემოში სხვა დროებამ ქმნიან, თავიანთი არსებობით თითქოს ყოველ წამს მოგვაგონებენ, რომ რომაელები სამუდამოდ გავიდნენ ისტორიის სამოქმედო ასპარეზიდან. აქ, საქართველოში, მე ანტიკური კულტურის სფეროში ვარ. მისი შემქმნელები თუ პირდაპირი შთამომავლობა მისი შემქმნელებისა დღესაც ცოცხალია და კვლავ ქმნის, ქმნის იმგვარი ინტერესითა და ინტელექტუალური გახელებით, რომ ხანდახან მგონია ხოლმე — ეს ხალხი გუშინ თუ გუშინწინ განაღდა-მეთქი.

ქართველები ძველი ეგვიპტელების თანამედროვენი იყვნენ. რომაელები, მათზე უმცროსნი, უკვე გაქრნენ. დიპტო ანტიკური ეგვიპტე. მეზობელი ხორეზმი თითქმის უკვე დავიწყებულია. თანამედროვე სპარსელები მხოლოდ სახელითა თუ გვაგონებენ იმათ, ვიზუდაც ჰეროდოტე ლაპარაკობდა. ეს ის სპარსელები კი არ არიან, ვინაც მოვიანიებით ფირდოუსი დაჰადა. მაგრამ ქართველები დღეს თითქმის იმავე ენაზე ლაპარაკობენ, რომელ ენაზეც, რვაასი წლით წინათ, თამარ მეფემ სთხოვა შოთა რუსთაველს ქართული ლექსით რაიმე გმირული თქმულება დაეწერა.

ქართველებთან ყოფნისას ხანდახან მეზადებოდა დაუცხრომელი სურვილი ჩვენს ნიჭიერ მემკვიდრესთან, მირონ კოსტინთან ერთად მეკითხა:

- სად ხართ, მეფეო ამა ქვეყნისა?
- სადა ხარ, ქსერქსე? არტაქსერქსე?
- დიდო პომპეუს, აგუსტუსო დაჯეისარო?
- თქვენ ხომ დაიპყრეთ ზღვა და ხმელი?
- მაგრამ ვაი, რომ დრომ გავფანტათ, ვით ქაფი ზღვისა.

დავეხეტები საქართველოს წიგნის ნა-
ლაზეებში, გამოვდივარ მუზეუმებიდან,
სადაც პერგამენტს ვფურცლავდი, ვე-
ლარ ვშორდები სიციცხლის სიხარულით
აღსავსე, გონებაშახვილ და დაუზარებ-
ლად მოლაპარაკე ქართველებს, რომ-
ლებმაც ათგზის და ასგზის მეტი იციან
თანამედროვე ევროპის ქვეყნებზე, ვი-
დრე თანამედროვე ევროპამ მათს შესა-
ხებ.

მივეყები ასფალტს, გვერდს ვუქცევ

ტროლეიბუსებს და თვალი წმინდა/მთის
მწვერვალზე აღმართულ, სატელეფონო
კოშკზე მრჩება. საკუთაზს მანქანა ქვედარ
ვუჭერი. ასე მგონია, რომ მოჩვენებების,
ჩემივე ფანტაზიით შექმნილ ქვეყანაში
ვიმყოფები. ეს გრძნობა ბევრად უფრო
უცნაურია, ვიდრე გრძნობა ამერიკელ-
ისა, რომელსაც უცებ მეფე არ-
ტურის ქვეყანაში ხის ქვეშ გამოვლვიძა.
მარკ ტვენის ფანტაზია არასოდეს არ წა-
სულა ასე შორს...

ცისარბჟელაბი, გეღაბი, გულგულაბი

მოხუცი პროფესორის თვლები ნა-
პერწყლებს პყრიდნენ და ამ ხანდაზ-
მულ აღამიანს თოვლივით თეთრ თმას
უნათებდნენ. პროფესორი თავისი ქვეყ-
ნის წმიდათა-წმიდა ტაძარში — საქარ-
თველოს ხელოვნების მუზეუმში შე-
მიძღვა. ნელა გავეყვით მოგრძო დარ-
ბაზს, სადაც ერთად თავმოყრილ სა-
უყუნებებს დაუდვიათ ბინა. მზნ წელს
შესრულებული ხატი, უფრო სწო-
რად — მისი რამდენიმე ნაფლეთი, რო-
მელსაც გახუნებული საღებავი შერჩე-
ნია, ვერაფერს ვერ ეტყვის სულსწრად
მნახველს. მაგრამ ხატის ნაშთს რამდე-
ნიმე წუთს ვაკვირდები და ერთბაშად
ვეგრძნობ ხაზების ჯადოსნურ მოძრაო-
ბას. ეს სიმბოლოებია. ტანსაცმლის
ირიბი ნაკეცები მთების მწვერვალებზე
მოგრაგნილ ღრუბლებს გამოჰხატავენ.
მაცხოვარს თავზე შარავანდედი კი არ
აღვას, როგორც ტრადიცია და საეკლე-
სიო ზნე-ჩვეულება მოითხოვდა, არა-
მედ ცისარტყელა. თუ სხვა წმინდანე-
ბისა და მოციქულების ტანსაცმელს
ირიბი ნაკეცები აქვთ, მაცხოვრის ტან-
საცმლის ნაკეცები სწორია და ალაგ-
ალაგ ელვასავით გადატეხილი.

ჩემს წინაშეა უზარმაზარი ჯვრები,
ხატები. მაგრამ აი, განცვიფრებული
ვჩერდები ღვთისმშობლის ხატების წინ,
რომელიც მხატვარს ბარელიეფად ამო-
უყვითია. მას იოტისოდენადაც კი არ ახ-
ლავს ბიზანტიური სიმშრალე. ღვთის-

მშობელი მშვენიერი ქართველი ქალია.
იგი ქართველ ქალთა სიმშვენიერის
უფაქიხეს სინთესს წარმოადგენს. ქარ-
თველი ქალის სილამაზეს ჰვრეტდა უსა-
თუოდ სკულპტორი, როდესაც ღვთის-
მშობელს აქანდაკებდა და სულს უდ-
გამდა.

— ეს ჩვენი რენესანსი გახლავთ, —
მოკრძალებულად თქვა პროფესორმა,
— ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ცოტა
უფრო ადრე გავბედეთ ამის გაყვება,
ვიდრე ევროპამ — მეათე საუკუნეში...

ვათვალიერებ აუარებელ ხატს და
წიგნის ყდას, რომლებიც საღებავით ან
საჭრეთელით არის შესრულებული.
ყველა ხატი დინამიურად წარმოსახავს
ტიპიურ ქართულ ფიგურებს. ძალიან
ხშირად ვხვდები წმინდა გიორგის, და
უცებ მგზხენდება, რომ ამ წმინდანის
სახელის გავლენით, რომელიც წინათ
ქართველთა ქვეყნის მფარველად ითვ-
ლებოდა, უცხოელებმა საქართველოს
გეორგია, ანუ ჯორჯია უწოდეს. მაგრამ
წმინდა გიორგის გამოსახულებაზე უფ-
რო ხშირად აქ ორნამენტებში ვაზის
ფთოლსა და ყურძნის მტევანს ენახუ-
ლობ.

მუზეუმის ერთ კუთხეში დავათვალი-
ერე ისეთი მშვენიერი კერამიკა, რომ-
ლის მსგავსი სხვაგან არსად მინახავს.
იგი არც მრეწველობის ნახელავი იყო
და არც ხელოსნობისა. თიხის ეს ჭურ-
ქელითვით მხატვრის ხელს გამოეჭერ-

წა. ცოტა მოგვიანებით ხელახლა ვიხილეთ ასეთივე კერამიკა, ასეთივე ცინცხალი, ფაქიზი და მომსიბლავი, მაგრამ ის უკვე თანამედროვეების მიერ იყო გაკეთებული. გაკვირვებამ თანდათან გაიარა. თურმე ნუ იტყვიოთ, თბილისის სამხატვრო აკადემიაში საგანგებოდ არის გახსნილი კერამიკის ფაკულტეტი. რატომაც არა? თუკი გელათის აკადემიაში, რომელსაც ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი წინამძღოლობდა, თითქმის ათასი წლის წინათ მელენიების სპეციალური კათედრა არსებობდა?

ქემშარიტ სახვით ხელოვნებასთან ერთად, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, უძველესი დროის საქართველოში კალიგრაფიული ხელოვნებაც ვითარდებოდა. ეს იმიტომ, რომ სტამბური წესით ბეჭდვა ჯერ კიდევ არ იყო, ხალხს კი წიგნები სჭირდებოდა. ყველა მონასტერს თავისი ბიბლიოთეკა ჰქონდა, აგრეთვე ყველა აკადემიას, სამეფო კარს ხოლო, რაც შეეხება ძველსა და ახალ აღთქმას, მატიაწეებსა და შოთა რუსთაველის პოემას, მათი ნახვა ყოველ სახლში შეიძლებოდა. კალიგრაფებს სამუშაო გამოუღლეველი ჰქონდათ, მაგრამ თავიანთი საქმიანობა არასოდეს არ გადაუქცევიათ ინდუსტრიად.

საქართველოს ისტორიულ მუზეუმში, ხელნაწერთა განყოფილებაში, ვნახე არაერთი ხბოს ტყავზე შესრულებული მხატვრული ხელნაწერი. ტექსტს ცისარტყელის შვიდივე ფერით ნახატი მინიატურები ამშვენებდა. აი, ერთი ძველი ბიბლიის რამდენიმე მინიატურა. ისინი ათასი წლის შემდეგაც პირვანდელი ბრწყინვალეობით არიან შენახული. მხატვრობა შესრულებულია სუფთა ოქროს ფონზე, რომელიც მეწამულის, ცისფერის, იისფერის, მწვანისა და სხვა ფერითა დაუსრულებელ მონაცვლეობასა და ლივლივში გადადის.

რუსთაველის პოემის ასლთა უმრავლესობის ასოები სწორია და ცოცხალი, ყოველგვარ პირქუშობასა და სიმკაცრეს მოკლებული. სკულპტურულად დახვეწილი. ასოებს დავაჭერი და ასე მგონია

ქართველი ქალების მწყობრ ცეკვას ეუყურებ. მოცეკვავენი არ ფრჩხილებს მათ როდ მისცურავენ. *ხელოვნება*

პერგამენტმა, ქვამ, ლითონმა თითქოს სული ჩაიდგეს და გაცოცხლდნენ. ეს მარტო იმიტომ კი არ მოხდა, რომ თვითელი მათგანი მხატვრის ხელმა გარდაქმნა, ამ გარდაქმნაში კი შეუძლებელია ვერ შენიშნო ადამიანის ხელი, არამედ უფრო იმიტომ, რომ მას შემდეგ, რაც ნივთი ადამიანმა მიატოვა მისი სრულყოფის შემდეგ, უკანასკნელმა თავისი საკუთარი სიცოცხლე დაიწყო. ქართველებს ყოველთვის უყვარდათ ორნამენტები. გარემო ბუნება, აგრეთვე ცოცხალი და შეიძლება უფრო ცოცხალიც, ვიდრე რომელიმე სხვა ადგილას, ადამიანის შთაგონების გზით უსულო საგანში გადავიდა და იქ სიცოცხლე განაგრძო შესანიშნავი ორნამენტების გადოსნურ ხაზებში.

საქართველოდან რამდენიმე ყანწი ჩამოვიტანე. ხარისა თუ ჯიხვის ეს რქები სუფთად არის დამუშავებული, გაწმენდილი და გაპრიალებული. თავსა და ბოლოში ვერცხლით შეჭვიდელ ყანწებს ვერცხლისავე ძეწკვი აქვთ შებმული, რითაც სავსე ხასპისს დაღვევის დროს ხელში იკავებენ ხოლმე.

ღვინო ბევრი დამიღვეია. დამიღვეია თიხის კათხითაც. ფრანგული ბროლის წკრიალა ქიქითაც. სულაც არ არის მართალი, თითქოს მნიშვნელობა არა ჰქონდეს იმას, თუ რა ქიქითა სვამ. ერთხელ კეთილშობილი ყურძნის ნაყური ღვინო ომისდროინდელი თუნუქის ფათქით დავლიე. ამ ფათქაში არამცთუ ღვინო, წყალიც კი ჰკარგავდა თავის ბუნებრივ გემოს. ღვინო არასდროს არ მომჩვენებია ისე გემრიელი, როგორც მაშინ, როცა ის ქართული ყანწით შევსვი. სუფრის მოპირდაპირე კუთხიდან ვადმოსროლილ ყანწს ჰაერშივე იჭერ. მეზობელი გივსებს, რადგან შენ ყანწი ორივე ხელით გიკავია. შემდეგ ჩელა სვამ, შეუსვენებლივ და ყანწი თანდათანობით პირში გემობა. ტუჩებით გრძნობ მოვერცხლილ სატუჩეს, ხელავ ყანწის ბო-

ლოსაც, რომელიც აგრეთვე ვერცხლით არის მოზარნიშებული. სვამ და ყურში თითქოს ძველი, ათასწლოვანი ზღაპარი ჩაგვისმის. საქართველოში ყოველი საგანი რაღაც ამბავს გიყვება. აქ რომ ოდესმე ყოფილიყო ჩვენი ალექსანდრე მაჩედონსკი, რომელიც ამბობდა:

ამ საგნებს ნეტავ საით გავაქცევით მოვისვენო, ჰოი, ბუნებაჲ! ზრინჯაოც, ხეცა და აბრეშუმაც კაციშვილის ზმით შეჭრინულა,

უსათუოდ ბევრ საგულისხმო რამეს გაიგონებდა.

აბა როგორ არ უნდა იმეტყველონ ქართულმა საგნებმა, რომლებიც ასეთი შინაგანი მოძრაობით არიან აღსავსე.

ფერი და მოძრაობა ქართული ფერწერის უმთავრესი ელემენტებია. ერთიცა და მეორეც უძველესი დროიდან მოსდევს ქართულ ფერწერას, მაგრამ, თუ თანამედროვე ქართული ფერწერა მდიდარია კოლორიტითა და დახვეწილობით, ეს, უპირველეს ყოვლისა, დიდი ტრადიციებით აიხსნება.

პირველმა ქართველმა მხატვარმა, რომლის ხელოვნებასაც ნაწილობრივ საქართველოში ჩამოსვლამდე გავეცანი შეგ-თეთრად გადაღებული ფოტორეპროდუქციების საშუალებით, უმაღლვე მიმაქცევინა ყურადღება ამ გარემოებისათვის. ეს გახლდათ ს. ქობულაძის ნახატები — ილუსტრაციები „ვეფხისტყაოსნის“ რუმინული გამოცემისათვის. ნახატების ამ სერიაში, პოეტის პორტრეტით დაწყებული, დიდი მოძრაობა იყო ჩაქსოვილი. გავიხსენოთ თუნდაც ტარიელი, როცა ის „ჯდა მტირალი წყლისა პირსა“, ანდა ჯავრით გულშემოყრილი ნესტან-დარეჯანი, როცა ის წიგნსა სწერს თავის დაკარგულ მიჯნურს. ამ ნახატებში თავი და თავი ოვალური და მომრგვალებული ხაზების მოძრაობაა.

საქართველოს ხელოვნების მუზეუმში გამოფენილი განძეულობა რომ ვნახე და სხვადასხვა ეკლესიების კედლებზე შერჩენილ ფრესკულ მხატვრო-

ბას გავეცანი, მაშინღა მივხვდი საბოლოოდ, თუ საიდან მომდგნობდა ქობულაძის ნახატის განფორმებულ მსიფაქიზე და დახვეწილობა.

ქართველი მხატვრები და მოქანდაკეები ძველთაგანვე ახერხებდნენ ტანსაცმლის ნაკეცების თუ ღრუბლის გამომსახველი ელემენტარული ხაზების საშუალებით შთამაგონებლად გადმოეცათ ბუნების თუ ადამიანის მოძრაობა (ენერჯია, გააფთრება, ელვა, ქარიშხალი).

მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეების მიჯნაზე ცხოვრობდა საქართველოში ბექა ოპიზარი — მოქანდაკე-ოქრომკედელი. მისი ხელით გაკეთებული ბევრი ყდა და ხატის ჩასასმელი ჩარჩო ვნახე. ყდები ბიბლიისა იყო. მხატვარს მოდელისათვის შორს წასვლა არ სჭირდებოდა. მოდელის მეტი რა იყო ირგვლივ! და მე ვიგარძენი, რომ ბექა ოპიზარის ორნამენტული ფურცლები თავიანთი ფესვებით ღრმად არის წასული მშობლიურ მიწაში და მაცოცხლებელ ტენს იქიდან ისრუტავს.

საქართველოს ბუნება მდიდარია ფერებით. იქ თვით ცისარტყელაც კი ბუნების ღარიბ ნათესავად გამოიყურება. აქედან, კავკასიის მთებისა და ველებსაგან მომდინარეობს სწორედ თანამედროვე ქართველ მხატვართა ტილოებზე აღბეჭდილი მკლერი ფერები, რომლებიც კონტრასტებსა და ჰარმონიებში იჩენენ თავს.

ზემოთ მე უკვე ვილაპარაკე კვიპაროსისა და ნაძვის, მათა მარადიული ყინვარებისა და სუბტროპიკული მზის საკვირვლად ჰარმონიულ შეთანხმებაზე. ეს თითქოს ბუნებისმიერი გამართლებაა ქართული ფერწერისა.

დიდად პატივცემული მხატვარი მოსე თოიძე, პორტრეტის ნიჭიერი ოსტატი, ზოგიერთ თავის სურათში, რომლებიც შესაძლოა, ჩემი არასაკმარე მეცნიერული კომპეტენციის გამო, პორტრეტებზე უფრო მომეწონა, ნამდვილ კოლორისტად გვევლინება, თუმცა მხატვრის ორნამენტაცია უფრო ეპიკურულობის

შთაბეჭდილებას სტოვებს. მის ფერებს ხანდახან შესწევთ უნარი გადმოსცენ პაეროვანი ფორმები, როგორც, მაგალითად, ხეები ერთ სურათში, სადაც ხორბლის განივებაა ნაჩვენები. ხეებს უცნაური ჩრდილები აქვთ მიხატული. ესენი თითქოს ჩრდილები კი არა, მიწიდან ამოზრდილი ფესვებია, რომლებიც თვით ხის ორგანულ გაგრძელებას წარმოადგენენ. ანდა გავიხსენოთ იისფერი ტონები. ის აქ ცისფერისა და მწვანის შერწყმითაა მიღებული და გაბატონებულია ამ ორივე ფერზე, მაგრამ ორივეს რჩება შესაძლებლობა ტილოზე ემულსიის კვალი შეინარჩუნონ. სურათს „ბორჯომის საღამო“ ეწოდება.

მე ფერწერის სპეციალისტი არ ვაზღავრებ. ამას ისიც ზედ ერთვის, რომ საშუალება არ მქონდა ყველა სურათი შენახა, შემდეგ კი რამდენიმე სურათს ხელახლა დავბრუნებოდი. ასე რომ, ქართულ ფერწერულ მხატვრობაზე გამოთქმულ ამ იმპრესიონისტულ შენიშვნებს უპეველად აქვს მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი.

ერთ ორშაბათ საღამოს ლადო გუდიაშვილის სურათების გამოფენაზე ვიყავი და, უნდა გამოვტყუდე, იმავე საღამოს გუდიაშვილი მისი ქვეყნის უდიდეს მხატვრად მივიჩინე. იგი თვალსაჩინო კოლორისტი, რომელიც ფერებს მარტო კონტრასტებში კი არ იყენებს, როგორც, მაგალითად, პეტრაშკუ, არამედ ზოგიერთ თავის სურათში ერთიდაიმავე ფერის ინტენსივობის ნიუანსირებას მისდევს. მე დიდხანს ვერ მოვშორდი ქართველი ქალის პორტრეტს. მას ჯიოკონდას გამომეტყველება მქონდა. პორტრეტს ახლაც დიდი სიყვარულით ვაკვირდები. მხატვარმა პატივი დამო და იგი საჩუქრად გამომატანა სამშობლოში. სურათი ერთადერთი მხატვრული დოკუმენტია, რომელიც ძველ მოგონებას შემორჩა.

მეორე სურათში, თუ მეხსიერება არ მდლატობს, გამოსახულია ადამიანების ჯგუფი, რომელიც პაწაწინა კოთახის ბინდებულში ცეცხლს მისჯდომა. ცე-

ცხლის გამდნარი და გამჟვრავალე ოქრო შექს ჰფენს მთელ კომპოზიციას. დიახ, სწორედ ასე შეგონა: სინათლე მხოლოდ ცეცხლიდან მოდიოდა, მაგრამ, როდესაც დაუკვირდი, შევნიშნე, რომ ცეცხლიდან გამომდინარე შექს ირეკლავდა კიდში მდგარი პერსონაჟის წითელი თავსაფარი თუ ბერეტი. მე თითი დავაფარე პატარა წითელ თავსაფარს. სურათი უმაღლეს ჩაბუქდა და დაბნელდა.

ლადო გუდიაშვილის რეკვიზიტი არაჩვეულებრივად მრავალფეროვანია. ეს ფერები ლირიკული პოეტის ვიზუალურ სახეთა გამოსახატავი სიტყვებია. მაგრამ ნეტა გენახათ, როგორ ხატავს ის სურათს მარტოოდენ ერთი საღებავით. გუდიაშვილი იმ ფერიდან ყოველგვარ შესაძლო ნიუანსს გამოსწურავს, რის წარმოდგენა ადრე არც კი შეგვეძლო. ვნახე, მაგალითად, „გაზაფხული“ მოლისა და მწვანე ფოთლების ფონზე ბალახებში ზის შიშველი ასული, ცოცხალი, ხორციელი მშვენიერებით აღსავსე, მაგრამ მინც პაეროვანი, რომლის სხეული თითქოს მომწვანო-გამჟვრავალეა. ასულის სხეულის ყოველი ნაკვთი და ნიუანსი სიჯანსაღით, ახალგაზრდობით, სიცოცხლისაღმი ტრფობით და მომხიბლავი სილამაზით აუნთქავს. ასეთია მისი ფეხები, ხელები, მკერდი, ღვიძლი, თვალები, მხრები. ის, მართალია, ზის, მაგრამ თითქოს მთელი არსებით მოძრაობს, ფეთქავს და ირგვლივ თავისი ნატიფი ტანის მშვენიერებას გამოასხივებს. მწვანე ფერების გამოწვეული მკერდისა და მხრების გამჟვრავლობის იმდენ ვარიანტად სწვდება, რომ ასული მომწვანო ბროლის ქიქა გგონია, რომელიც ვილაცას ცინცხალი შემსუნა ღვინით აუვსია.

ლადო გუდიაშვილი ბევრს ხატავდა და ხატავს ფერებით. ასევე დიდ დროს უთმობდა და უთმობს გრაფიკასაც. მის ადრინდელ, სიყრმისდროინდელ ნამუშევრებს, დაწყებული ფანქრის მონახებით და დამთავრებული შესანიშნავი ტილოებით, რომლებშიაც მხატვარი და-

ენებით ემებდა თავისთვის, გოიას ანდა სენანის გავლენის კვალი აზრით. მხატვრის ძლიერმა პიროვნებამ ვერ იკმარა მხოლოდ პეიზაჟისტობა. იგი უმღერის მზიური ფერებით გასხვივსნებულ საქართველოს, გმირული სულის ჩანჩქერებსა და ძლიერი ხასიათის მდინარეებს, როგორც ოდესღაც უმღერა მათ მტირალი მოყმის მგოსანმა.

როდესაც გაზაფხულის სიმბოლოს, გამჭვირვალე შიშველ ასულს ვუყურებდი, თითქოს ვუცდიდი, რომ ის აგერ-აგერ სურათიდან ჩამოვიდოდა და მთვარისეულ აბრეშუმში გახვეული, ვით წყნარი ტბის ზედაპირზე მოცურავე თეთრი გედი, ეროვნული ცეკვის ნახ მელოდიას როკვით გაჰყვებოდა.

დაბა, საქართველოში ცეკვა, უპირველეს ყოვლისა, პლასტიკურ ხელოვნებას წარმოადგენს. „გედის ტბა“, ცეკვაში გარდასახული უმშვენიერესი მუსიკა ჩაიკოვსკისა, მინც თეატრალური ბუტაფორიაა, თუმცა იგი შესანიშნავი ბალეტმეისტერის მაღალი ხელოვნების ნაყოფია. მაგრამ ქართულ ცეკვაში გედები მეტაფორიდან გამოდიან. ის, რაც სახვით ხელოვნებაში მხოლოდ ნაკარახევია, ქართულ ხალხურ ცეკვებში ჩარჩოებიდან გამოდის, ადამიანების თვალწინ ცოცხლდება და არ საქროვებს მაყურებლის ფანტაზიის დაძაბვას. მაგრამ, როდესაც ცეკვას უყურებთ, გეჩვენებათ, რომ თქვენს თვალწინ უზარმაზარი ფერწერული ტილო გამოიტანეს, ისევე, როგორც ფერწერული ტილოს ჭკერტისას გეჩვენებათ, რომ ფერების მეჭლისს ესწრებით.

მსოფლიოს ბევრი ხალხის ცეკვა მინახავს, მაგრამ არასად არ შემინიშნავს ამდენი ღირსება და ლირიზმი, რითაც განმსკვალულია ქართული ხალხური ცეკვები. ცეკვების შთამაგონებელი სიკისკასე, მე მგონია, თვით მოცეკვავეთა თვალ-ტანადობიდან მომდინარეობს. ქალებიც ულამაზესნი არიან და ვაჟებიც ვაჟები ცოცხლად და მსუბუქად ცეკვავენ, ქალები ტანის შეუხრებლად დასცურავენ და, როცა მათ ეროვნული

თეთრი კაბები აცვიათ, მართლაც, ტბის სარკისებურ ზედაპირზე შემინიშნავს თქვენს გედებს ჰგვანან.

ქართული ხალხური ცეკვა ყოველთვის სიხარულის, სილამაზის, ადამიანური ღირსების სიმბოლო და გამოხატულებაა.

ცეკვის დროს ქალები და ვაჟები ერთმანეთს არ ეხებებიან თვით თითის წვერითაც კი. ისინი ერთმანეთის გვერდით დასცურავენ. ქალი თითქოს ერიდება, გაურბის მამაკაცს, მაგრამ ნახად, გულში ჩამწვდომად, ხოლო მამაკაცი ქალს არ ეშვება, მისდევს, მისდევს ასევე თავაზიანად და ღირსების დაცვით და შედარებით უფრო ფიცხად, მაგრამ სიფიცხის შწვერვალს არასდროს არ აღწევს.

მამაკაცები სცენის იატაკზე ან მიწაზე ფეხებს არასდროს არ აბრაზუნებენ, პირიქით, თავიანთ მოკლე-მოკლე მოძრაობებში მიწას ოდნავ ეხებიან და ფენისწვერებზე ცეკვავენ. ქართველი მოცეკვავეები უძირო ჩექმებს იცვამენ და ცეკვის დროს, სწრაფ და ხანმოკლე შეხებისას, თითქოს იატაკის სიმავრეს სინჯავენ.

სიმსუბუქე, მოქნილობა, დაბეწილობა. ქალებს, ამას გარდა, სინაზეც ახლავთ. ისინი არასოდეს არ ძაბავენ კუნთებს, არასოდეს არ ტლინჯაობენ.

ყველა საცეკვაო მელოდიას თან ახლავს დოლი, ხშირად ასეთსავე მოვალეობას ასრულებს ჩონგურიც, რომელიც გიტარასაც წააგავს და კობზასაც. ხანდახან მელოდია მარტო დოლზე ან ჩონგურზე სრულდება. ადამიანები, რომლებსაც მოცეკვავეების გარეშემო წრე შეუყრავთ, რიტმულად ტაშს უკრავენ. არსად არაფერი ისტერიული, ქართულ დოლს ხავერდოვანი ბმა აქვს.

სუბტროპიკული სისხლის ჩუხჩუხი აფიცებს ცეკვას, ხოლო სამხრეთული სიცხე-პაპანაქება, რომელიც სხეულის ერთიან მოსხლეტილობას ბევრად უფრო სამხრეთ განედებში იწვევს, სიფიცხეს აზომიერებს. სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი მშვენიერი ქართული ხალ-

ხური ცეკვების ესთეტიკური წონასწორობისა.

მე ხელახლა მოვისმინე ფირფიტაზე ჩაწერილი საცეკვაო „ქართული“. მოძრაობა მელოდისა, რომელიც არცთუ ისე ბევრი ნოტისაგან შედგება, ფანტასტიკური სიმკვირცხლით მიმდინარეობს. გგონია, რომ სოფლის შუკაში ან სცენაზე გიჟურ სარბოლას დაინახავ. მაგრამ მე თვალნათლივ მახსოვს, როგორ სრულდება ეს ცეკვა: მელოდის უსწრაფესი რიტმი სხეულის მოძრაობას ექსპოზება და სუფთა წყლის ვიბრაციად იქცევა. თვით მოძრაობა დამაწყნარებელია, მიხვეულ-მოხვეული და მოცურავე. ქართული ცეკვა სულაც არ არის აკრომატობა, ან ველური გააფთრება, რომელიც დრომოქმული ინსტინქტების ვახსენებას წარმოადგენს. იგი ელემენტური და დახვეწილი ხელოვნებაა.

არის მკაცრი ცეკვებიც „ხანჯლის“ სახით, რომელშიაც მოცეკვავეები (მაკაცები) საცეკვაო მელოდის კვალდაკვალ რიტმულად სცემენ ხმალს ხმალზე. ეს ძველისძველი მხედრული ცეკვაც უადრესად რაფინირებულია, რადგანაც უძველესი კულტურის მქონე ქართველებს დიდი ხნის წინათ დაუეწიყებიათ თავიანთი პირველყოფილი წარსული. ხალხის შემოქმედებითი ნიჭიერება საუკუნეების მანძილზე ოდნავადაც არ გაფერმკრთალებულა. მაშ რის გულისათვის დაიჭირებდა საუკუნეთა ბურუსში მიმჭარალი პრიმიტიულობის აღდგენას და აღორძინებას!

ქართული მელოდია არამარტო ძალიან ძველია, მას წილად ხვდა ბედნიერება, მსოფლიოს სხვა ხალხთა მელოდებზე აღრე, ნოტების საშუალებით ჩაწერილიყო.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ვასული ათასწლეულის მიწურულში ჩაწერილი მუსიკალური ნოტები აღმოაჩინეს. ახლა ბევრი მათგანი ამოკითხულია. მაგრამ ამ ისტორიული პრიორიტეტის მიუხედავად, ნათელია, რომ ქართველი ხალხი ერთი ყველაზე

უფრო მუსიკალური ხალხია დედამიწის ზურგზე. ამის მაჩვენებელია ხანგადასული მელოდების დიდი რაოდენობა (და ქართული მუსიკალური საკრავების განსაკვირვებელი მრავალფეროვნება. საკრავები არამარტო მუზეუმში ვნახე, არამედ ორკესტრებშიაც. ამ საკრავებს კიდევ მრავალი საუკუნის სიცოცხლე უწერიათ, ვიდრე ნამდვილ სამუზეუმო რელიქვიებად გადაიქცეოდნენ. მათ ხომ ვერ თავიანთი ცხოვრება არ დაუმთავრებიათ და ყოველდღიური ხმარებიდან არ გამოსულან.

ინსტრუმენტებს შორის შეხვდებით ოდნავ სახეშეცვლილ აზიურ საკრავებს. იქვეა უძველესი საკრავებიც. ზოგ მათგანს რალაც საერთო აქვთ რუმინულ საკრავებთან. ისინი, ალბათ, კაცობრიობის პირველ მუსიკალურ საკრავთა საერთო ფონდის ნაწილს წარმოადგენენ. ქართველები იყენებენ ვულასტივრის.

იგი საგანგებოდ დამზადებული ტიკია, რომელსაც სასულეში სალამურისმაგვარი ჩასაბერი საკრავი აქვს ჩაყენებული. ქართველი უკრავს აგრეთვე ლერწმის სალამურს, რომელიც ლერწმისაგან კეთდება, ზურნას. ბევრია სიმებიანი საკრავიც. ყველაზე უფრო სადას (ყველაზე უფრო ის აფხაზეთშია გავრცელებული) ეწოდება აბხიარცა. მას ორი სიმი აქვს და პატარა კობზას მოგავგონებთ. შეხვდებით სხვაგვარ კობზისებურ საკრავსაც, რომელსაც გიტარის მელოდური ხმა აქვს — ფანდურს (სამლარიანს) და ჩონგურს (ოთხლარიანს). ეს უკანასკნელი ყველაზე უფრო გავრცელებულია. ჩონგურს ლექსებსაც კი უძღვნიდნენ პოეტები. ქიანური? ის გარეგნულად მანდოლინას მოგავგონებთ. სამსიმიანი საკრავია.

ქალები ხშირად უკრავენ ჩანგს. ჩანგი მიაგავს პატარა არფას, ამ, ცოტა არ იყოს, უცნაურ შესახედავ არფას 12 სხვადასხვა სიგრძის სიმი აქვს. მაგრამ ცეკვა და საცეკვაო მუსიკა ყოველად წარმოუდგენელია პატარა დოლის გარეშე. იგი ცილინდრული მოყვანილობისაა, ორივე თავში ტყავადაქიმუ-

ლი. დოლი ისევე გავრცელებულია საქართველოში, როგორც ჩვენში ციმბალებში...

ერთხელ, საქართველოს რომელიღაც ქალაქში, რესტორანის ტერასაზე, ღია ცისქვეშ ვიჯექი საზაფხულო ბაღში, როგორც ჩვენში უწოდებენ ამნაირ რესტორანს. ორკესტრმა შეიტყო, ერთ-ერთ მაგიდას რუმინელი ფრანგო და ჩემს სასიამოვნებლად რუმინული სიმღერა შეასრულა. აღარ ვიცოდი, რა უფრო მომწონდა და რით ვყოფილიყავი უფრო აღტაცებული: იმ ფაქტით, რომ მუსიკოსებმა ასე დელიკატურად შეიტყეს ჩემი ეროვნული ვინაობა? თუ ასეთი მეგობრული სტუმართმოყვარეობით? თუ კარპატების ძირას, ნიკორეშტული ლეინის ეშხით შეთხზული ნაღვლიანი სატრფიალო სიმღერის უცნაური მოგზაურობით ზღვის კიდიდან კიდემდე და მისი აელერებით კავკასიის ქედის ძირას, სადაც ჭიქა ზვანჭკარას ვუჯექი? თუ იმ ვასაოცარი ფაქტით, რომ ჩემი მშობლიური სიმღერის შესრულებაში მონაწილეობას არ იღებდნენ არც ვიოლინო და არც, ასე გასინჯეთ, ციმბალებიც კი?

მე მაშინ შევიტყე პირველად, რომ ციმბალა, მისი ოცდაოთხსიმიანი მწკრივებით, ქართველთა ეროვნული საკრავიც ყოფილა.

მაგრამ იმ დროს, როდესაც თითქმის ყველა საცეკვაო მუსიკა, რომლის შესრულებაშიაც ინსტრუმენტები მონაწილეობენ, მხიარულია, ვოკალური (განსაკუთრებით გუნდური) ხმები მუდამ მსუბუქ, ნაზ სევდას გადმოსცემენ. მათ არაფერი აქვთ საერთო ტრაგიზმთან, მხოლოდ მთის ექოს მსუბუქ ნაღველს მოგაგონებენ.

ქართული გუნდები ხშირად შერეული ტიპისაა, მაგრამ სხვადასხვა ტონალობის მქონე ქალებისა და კაცების ხმები ერთადერთ სიმფონიურ ჰარმონიად ინთქმებიან. მე გამუდმებით ვუსმენ საგუნდო სიმღერის „ახლა გზედავ, საყვარელოს“ ელერას. მის შესრულებას თან ახლავს ტკბილი ჩონგური, რო-

გელიც თავისებურ ლირიულობას მატებს ამ ნაღველითა და მშვენიერ სიხარულით სავსე სიმღერას — ჩხაღვინაძის „ღიღებულად ელერს ხმები სხვა საგუნდო სიმღერაში — „გაზაფხული ყაზბეგში“. ისინი შეგხარაიან წლის დროთა მონაცვლეობას (იქ, ზემოთ, როგორც ყველგან მაღალ მთებში, დიდი და ხანგრძლივი ზამთარი იცის) და, ამავე დროს, ნაღვლიან ტონსაც არ კარგავენ. თითქოს სწორედ ეს ნაღვლიანი ტონია, რომელიც სიმღერაში მანძილის, ყაზბეგის თოვლის სითეთრისა და ელვარების შთაბეჭდილებას სტოვებს.

საქართველოს მთებში ათასნაირი ექო გაისმის. ალბათ, პირველად საქართველოში გაჩნდა მოულოდნელი ახტომები მელიოდის ჩვეულებრივი სანოტო სისტემის ზემოთ. ამგვარი რამ ევროპის კონტინენტზე გახმარებულ ტიროლურ სიმღერებში გვხვდება. და ეს ამოხტომა მელიოდის ძირითადი ფორმიდან, რაიც ასე ლამაზი და ძველისძველია საქართველოში, ჩემი ღრმა რწმენით, მთების გავლენით უნდა წარმოქმნილიყო.

მომსმენია დედის სიმღერა „ნანინა“, სადაც იგივე „ამოხტომები“ იგრძნობოდა, ანდა შერეული სიმღერა, საგუნდო, „ხაანბეგურა“, აქაც მამაკაცთა ხმები ჰარობოდა. მე ძალიან მიყვარს ქართველების ხმაშეწყობილი სიმღერები. რაღაც ამის მსგავსი, ხაიდურო დონების სახით, თითქოს შინაც გამიგონია. ვოკალური ნახტომები „ხასანბეგურას“ ექოში ჩინებულად ექსოვება ამგვარ გადაძახილ-გადმოძახილს, რასაკვირველია, ძირითადი მელიოდის ფონზე, თითქოსდა მოუწესრიგებელ სიმფონიაში, რომელიც გაზაფხულის ნიაღვრების დროს აღიდებელი არაგვევით მომსკდარა და აზავთებულა.

სხვადასხვანაირია სუფრული სიმღერებიც. ერთ-ერთი მათგანი, სახელადაც „სუფრული“, შეიცავს რაღაც არსებითი ხასიათის მატარებელს ლიტურგიული საეკლესიო ქორალიდან, ცოტა უფრო შენელებულ და დაბალ ტონებში (ღვი-

ნოს ზომ ნელა სვამენ). მაგრამ მეორე ნახევარში სიმღერა ერთბაშად ფიცხდება, რის მიზეზიც თვით სიმღერით აღვხვება და ღვინით შეზარხოშება უნდა იყოს.

სიმღერა სიმღერისათვის როდი იმღერება. მას მღერაან, ადამიანის ვასაპირებლად, რომელიც თავისუფალი ბუნების წიაღში იმყოფება.

მეორე სუფრული სიმღერა „მრავალკამიორ“ ქართულ სუფრაზე მაშინ ავღუგუნდება, როცა ღვინი უკვე ეშაში შედის. იგი რაღაცით მაგონებს ჩვენს „დიღბამა იცოცხლს“, მაგრამ, მე მგონია, უფრო ნელი, რთული და შეხმატბილებულია.

ნოშნად თავისი პოეტების სიყვარულისა, ხალხმა მათი ქმნილებებიდან ნაწყვეტები ამოიღო და უსახელო მუსიკის ტექსტებად გამოიყენა. ეს ბედი ეწია რუსთაველის ლექსსაც. ეს არამართო პატივისცემის ნიშანია პოეტებისადმი, ვისი წიგნებიც გამოქაბილს პოელოზს მშობელი ხალხის გულში, არამედ ყოველი ადამიანის სიყვარულსა გამოხატულებაც გახლავთ საკუთარი ქვეყნის პოეზიის მიმართ. ერთი ასეთი სიმღერაა, მაგალითად, „ჩონგურული“, რომელშიაც ჩონგურის სიმების აკომპონიმენტზე თითქოს სამი დევგმირის — ტარიელის, ავთანდილის და ფრიდონის ფეხბზმა მოისმის.

სიმღერები თვით დიდ პოეტზე, შოთა რუსთაველზეც, შეუთბზავთ. ერთ სიმღერაში ნალვლიანი ხმა თითქოს მთე-

ლი ხალხის წუხილს გადმოსცემს იმის გამო, რომ რუსთაველს ისევე მწიფრებედი ხედა წილად, რომ სიტყვების მქტბარე ნახევარი უცხოეთში გადახვეწილმა გაატარა და არ ერგო ბედნიერება ღრმა მოხუცობამდე მშობელი ქვეყნის ცქერით დამტკბარიყო და მშობლიური ლიტერატურა სხვა ახალი შედეგებით გამდიდრებინა. სამშობლოდან განდევნილმა პოეტმა ტანჯული სული უცხოეთში, სხვის ქერქვეშ დალია.

შესაძლოა, ნახევრად გიყურ, თავბრუდამხვევ კაჯაფონიას, ანდა ერთმანეთს ჩახუტებული სხეულებს მონოტონურ ძახილს შეჩვეულ ყურს ვერაფერი განსაკუთრებული რამ უთხრას ქართული ჩონგურის ან სალამურის სისადავემ. მაგრამ აქ არც ხმაა დამნაშავე და არც სალამური.

კაცმა შეიძლება ისიც იფიქრო, რომ განსაზღვრულ ისტორიულ მომენტში სალამური ხმარებიდან თითქოს გამოვიდა, აი, რას ამბობდა „სულიკოს“ ავტორი, გასული საუკუნის დიდი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი:

სად ხარ, ჩემო სალამურო,
ხმატბილო და საამურო,
რომ შენი ხმით ჩრდილოეთში
ქართველს გული გამიხურო!

მაგრამ, როდესაც სალამურის ხმა საქართველოს ერთ-ერთ ხეობაში გავიგონე, სულ დამავიწყდა, რომ კარბატებში არ ვიყავი. ამისხდა მატარებელში შეტენილი მეგობრის ნათქვამი: მე თავი უკვე შინ მეგონა!

სომეხი ქართველი — კოეტი, ხოლო სომეხი ქართველი კოეტი ორგზის კოეტი

გამიგონია, ახალწლის ღამეს ოჯახის უფროსი მამაკაცი დანაკვერცხლებულ ჯირკს საეცეს შეუჩიჩხინებს და ბუხარს ნაპერწყლებით აავებს. ეს სწორედ რომ ოქროს სილის დაბნევაა მოჩვენებათა მეჯლისში. ალი ცეკვავს და უთვალავი ნაპერწყალი ზედ გახატუ-

ლის წვიმასავით აწვიმს. ყოველი ქართული ოჯახის მამა, როდესაც ბუხარში ცეცხლს უჩიჩხინებს და ნაპერწყლებს აყრევიწვიმებს, გულში ნატრობს: „ამ ახალწელს ამდენი საქმელი დაასამელი მისცეს ღმერთმა ჩემს ოჯახს, ამდენი ხორბალი, ამდენი ღვინო, ამდენი ოქრო და

ვერცხლი, ამდენი ძვირფასი თვალ-მარ-გალიტი“...

ახალი წლის პირველ დღეს, ამ საზეი-მო წუთებში, ყოველი ქართული ოჯახის მამა პოეტია, რადგან, როცა ის ტრადი-ციულ მოქმედებას ასრულებს და მრავალჯერ უკვე ნათქვამ სიტყვებს ერთ-ხელ კიდევ სასოებით იმეორებს, მას სჯერა ამ სიტყვების მავიური ძალისა და მანამ განიცდის პოეტურ შთაგონებას და აღტყინებას, ვიდრე ბუხარში ნაპერ-წყლების შედრევიანი აწყობებს.

საქართველოში მოგზაურობის დროს რამდენჯერ ვუთხარი საკუთარ თავს მადლობა, რომ ბრძენი გოეთეს რჩევას დაუჭერე და პოეტების ქვეყნის სანახავად წამოვედი. მართლაც ვგრძნობ — ყველა ქართველი პოეტია! მკითხვე-ლებს, რომლებმაც იციან, დედამიწის რომელ კუთხეში ცხოვრობენ ქართვე-ლები, შესაძლოა, უკვე აღარ გაუკვირ-დეთ, მაგრამ მე მაინც მივიჩნის რომ, არამართო ისეთ ზნე-ჩვეულებებში, რო-გორც ნაკვერცხლების ააწყობა, გამოვლინდება ხოლმე ამ რაფინირე-ბული ერის პოეტური ტემპერამენტი, არამედ ენაშიც, ზოგიერთ ცალკეულ სიტყვაშიც კი, რომელთა შესატყვის სიტყვებს სხვა ხალხებისათვის არა აქვს სხვა მნიშვნელობა და აზრი, გარდა ლო-გიკური ინფორმირებისა. აქ იგი სიტყვა პოეტური სინედლით არის გაყენებული.

თავის მეგობრებს, ვუღიღით საყვარელ ადამიანებს, დიდსა და მცირეს, ქართვე-ლი „გენაცვალეთი“ მიმართავს. სხვა ენებზე ეს სიტყვა ყოველთვის მშრალი სიტყვით — „ძვირფასოთი“ ითარგმნე-ბა. იგი ოდნავდაც ვერ სწვდება „გენა-ცვალეთი“ ჩაქსოვილი ემოციის სიღრმე-სა და აზრის კეთილშობილებას.

სიტყვა „გენაცვალე“ მთელი პოემაა, რომლის სხვა ენაზე გადმოლება ყოვ-ლად შეუძლებელია. მთელი პოემა რამ-დენიმე ასოსაგან შემდგარ პატარა სიტ-ყვაშია მოქცეული. მაინც თუ ვცდი და გადმოვთარგმნი, დაახლოებით ასეთი რამ გამოვა: „შენი ცხოვრების ყველაზე


უფრო ძნელ წუთებში დმერთმა შენს ადგილზე მე შენას!“

კიდევ უფრო ნაზი დმერთმა სიტ-ყვა „ჭირიმე“, რომელსაც სიყვარულის ახსნის დროს ამზობენ ხოლმე — „დაე, შენი ყოველი ჭირი და სატყვივარი ჩემი ხვედრი იყოს!“

მსოფლიოს თითქმის ყველა ენის სიტ-ყვებით შეიძლება ამის თქმა, მაგრამ ნათქვამით მხოლოდ ლოგიკურ აზრს გა-მოსატყვე. იქ მეტი არაფერი იქნება, „ჭირიმე“ კი შეიცავს ღრმა ემოციას, ალერსს და, ამავე დროს, ყოვლად უან-გარო თავგანწირვას.

ქართველი თავის მახლობელ ადამი-ანთან საუბარში ხმარობს სიტყვას „პო“, რაც სხვა ენებზე თანხმობას ნიშნავს, მაგრამ სხვა საუბარში, როცა მას სურს უცხო კაცის მიმართ მოკრძალება და თავაზიანობა გამოიჩინოს, „პოს“ უკვე აღარ ახსენებს. მისი გამოყენება ახლა უზრდელობაც კი იქნებოდა. „დიას!“ — იტყვის ქართველი. ეს იგივე თანხმობის გამომხატველი სიტყვაა, მაგრამ, რო-გორც ვხედავთ, მას უკვე სხვა ელფერი და დანიშნულება აქვს.

როდესაც ქართული ლაპარაკი პირვე-ლად გავიგონე. მომეჩვენა, რომ ყველა სხვა ენისათვის უცხო ბგერების ნიაღ-ვარს ვუსმენდი. ეს არ იყო მკვეთრი ბგერები, თუ მათ ერთიმეორის მიყოლე-ბით მოისმენდი, თუმცა ზოგი მათგანი, ცალკე გამოყოფილი, მკაცრადაც ეღერ-და. თავიანთ ოცდაცამეტ თანამედროვე ბგერაში ქართველებს მკვეთრი ბგერე-ბიც აქვთ, მაგრამ ეს ბგერები უკვალოდ იკარგება სასაუბრო მეტყველებაში, რომელიც ასე ხშირია და ქართულის მოსმენისას შეუძლებელია რომელიმე სხვა მეტყველებასთან მისი ნათესაობა იგრძნო. ზანდახან, როდესაც ყური თან-დათან მიეჩვევა ქართული ენის ეღერას, თქვენ გგონიათ, რომ იტალიური ბოლო-სართები გესმით. მაგრამ ეს მხოლოდ ცალკეული ფონეტიკური დამთხვევებია. ქართული ენა მხოლოდ ბასკურ ენას და ორ-სამ კავკასიურ კილოკავს ჰგავს. მი-სი სათავეები მიუკვლეველია. მაგრამ,



ასეა თუ ისე, გაცნობის რამდენიმე დღის შემდეგ, ქართული ენა შენს ყურს ეაღერება. იგი სრულებითაც არ არის შეყვარალა, უბნეში, მკვნესარე ენა. არა. ქართული ენა სწორედ მელოდიური ენაა, ხოლო რამდენიმე ხორხისმიერი ბგერა, რომლებსაც ლექსიცა იყენებს, მეტყველებას ვაკეცურ შეფერილობას აძლევს. ქართულ ენას არა აქვს მკვეთრ-მახვილიანი მარცვლები და ამიტომ ქართული ლაპარაკი სიმღერას ჰგავს. არც ლექსს გააჩნია მახვილები ზომების მიხედვით და ეს გარემოება მას, ლექსს, რიტორიკულობისაგან იფარავს.

ქართული ენა ათასეული წლების მანძილზე თავისთავშივე ვითარდებოდა და მან განსაცვიფრებელ ლექსიკურ სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას მიაღწია. ამჟამად ენათმეცნიერები იზიარებენ აზრს, რომ ამ ენას ძალუძს გამოთქვას ყოველივე ის, რის გამოთქმაც მსოფლიოს, რომელიც გნებავთ, დიდ კულტურულ ენას შეუძლია.

ახლა კი აღარ ვიცეი, რაღა ვთქვა: ყველა ქართველი ასეთი დიდებული ენის წყალობით დაიბადა პოეტად, თუ ქართული ენა იმიტომ არის მშვენიერი, რომ იგი პოეტმა — ხალხმა შექმნა? ერთი რამ ცხადია: ჰეშმარტება სადღაც ახლო ტრიალებს ამ მოჯადოებულ წრეში.

ქართველ პოეტებს აქვთ შესანიშნავი ენა, რომელიც მათი შემოქმედების ნაყოფიც არის. ამ ქვეყნის ხალხური ზეპირსიტყვიერება სიმღერების, ბალადებისა და ეპოსის აურაცხელ რაოდენობას იტევს, რაიც ტემპერამენტია ქართველი ხალხის პოეტური მიდრეკილების უტყუარი მაჩვენებელია.

ჩემი ღრმა რწმენით, არ შემცდარა სომეხი პოეტი ოვანეს თუმანიანი, როდესაც თქვა: ყოველი ქართველი პოეტია, ხოლო ყოველი ქართველი პოეტი ორგზის პოეტიაო.

მე ბევრი ხალხური სიმღერა და ლექსი მოვისმინე. ცისქვეშაც და აუდიტორიაშიც. ვუყურებდი, როგორ უსმენდნენ ლექსს და მუსიკას ადამიანები. შე-

მოვიარე ბიბლიოთეკები და წიგნთა მაღაზიები. ენახე ადამიანები, რომლებიც ზღვის ან მთების ცქერით ტკუნებდნენ. იმასაც კი მოვკარ ყური, როგორ უმხედნენ ერთმანეთს სიყვარულს ახალგაზრდა ქალი და ვაჟი, მთვარის შუქით განათებულ სანაპიროზე, კვიპაროსების ქვეშ. წავიკითხე, ერთის მხრივ, სახელგანთქმულ ქართველ პოეტთა და, მეორეს მხრივ, მწყემისს მიერ შეთხზული ლექსები და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ სომეხმა პოეტმა ნამდვილად სიმართლე ბრძანა.

თუ მოსახლეობის რიცხვის მიხედვით ვიმსჯელებთ, მე ვფიქრობ, საქართველო ერთი იმ ქვეყანათაგანია, რომელსაც ყველაზე ბევრი პოეტი ჰყავს. მას სწორედ დამსახურებულად შეფერება სახელი პოეტების ქვეყნისა, თუმცა „დასავლურ-აღმოსავლური დივიანის“ ავტორი ამ სახელწოდებაში სულ სხვა ქვეყანას გულისხმობდა. სტატისტიკურად მე ყველა მოლექსეს როდი ვიხსენიებ — მხოლოდ ნამდვილ პოეტებზე ვლაპარაკობ. ქართული პოეზიის ანთოლოგიაში, რომელიც რუსულ ენაზე გამოქვეყნდა 1954 წელს, ოცდაჩვიდმეტი თანამედროვე სახელია ერთი ამდენი და კიდევ მეტი პოეტი, რომელმაც თავისი ნიჭიერებით ყურადღება მიიქცია 1917 წლიდან ანთოლოგიის შედგენის დღემდე. ანთოლოგიაში არ არის შეტანილი. რას იზამ! ნეტა რამდენი ათასწლეულია, რაც საქართველოში ლექსი იწერება!

ქართველი კაცი არცერთ ვითარებაში არ ივიწყებს პოეზიის სიყვარულს. ამ ქვეყნის პოეტების ლექსებს, ძველსა და ახალს, კითხულობენ, ზეპირად სწავლობენ და კვლავ და კვლავ კითხულობენ. პოეტებს აქ ყველაზე უფრო ცნობილ ადამიანებად თვლიან, იმ ადამიანებად, რომლებიც ხნულიდან, ციხე-დარბაზიდან თუ მთებიდან ამოიზარდნენ იმის სათქმელად, რასაც ხალხი გრძნობდა და გამოთქმას კი ვერ ახერხებდა.

ახლა ქართველ მთარგმნელთა კოლოსალური მუშაობის ამბავს აღარ იკით-

ხავთ? ვინ არ უთარგმნიათ აქ ფირდოუსიდან ბოდლერამდე, მილტონიდან ესენინამდე, ჰომეროსიდან გოეთემდე, დუ ფუდან ემინესკუმდე. მე მკონია, არ არსებობს ქვეყნად ზეგარდმო ნიჭით ცხებულ პოეტი, ვისი სახელიც პოეზიის მოყვარულს სმენოდეს და რომელიც ნათარგმნი და გამოცემული არ იყოს საქართველოში, თუნდ ერთხელ მაინც.

მე პირადად დავრწმუნდი, რომ პოეზია საქართველოში ისევე სჭირდება ადამიანებს, როგორც სივრცე და ჰაერი — ციურ ფრთოსნებს. აქ საყვარელ ადამიანთაგან არავინ უყვართ ისე, როგორც ლეთებრივი ნიჭით დაჭილდობილი ეროვნული პოეტი. უდიდესი შემოქმედია, შოთა რუსთაველი, რომელიც აგერ რვა საუკუნეა ქართველი ხალხის ხასიათის ყველაზე უფრო ნიშანდობლივ მხარეებს წარმოგვიდგენს. საქართველოში ისევე მალმერთებელი სიყვარულით უყვართ, როგორი შეყვარებაც თავისი პოეტისა მსოფლიოს ორ-სამ ხალხს თუ შეუძლია. სად, დედამიწის რომელ ქვეყანაშია ისეთი ზნე-ჩვეულებები, როგორიც ამ განსაცვიფრებელ საქართველოში? რომელ ქვეყანაში გაიგონებთ ამგვარ რამეს, რომ გასათხოვარი ქალის მზითვეი სრულად არ ითვლება, თუ იქ არ არის ლამაზად გადაწერილი ან სტამბური წესით დაბეჭდილი ეკზემპლარი ეროვნული პოეტის წიგნისა. სოფლელი თუ ქალაქელი გოგო ხელცარიელი როგორ შევა ვაყის სახლში. მან უსათუოდ უნდა მიიტანოს „ვეფხისტყაოსანი“ და თავისი გულის რჩეულს ძღვნად მიართვას. შერე ისინი დასხდებიან და ერთად წაიკითხავენ ამ წიგნს (ვინ იცის, მერამდენად!). ვაჟი ტარიელის ხასიათს მიაქცევს ყურადღებას, ქალის არსება კი მთლიანად ნესტან-დარეჯანის სათნოებითა და სიბრძნით აივსება.

ლამქრად წასულ ქართველ მეფეებს მუდამ თან ახლდათ „ვეფხისტყაოსანი“. ერთხელ, ომში მიმავალმა ალექსანდრე მაკედონელმაც წაიღო თან „ილიადა“, რომელიც, პლუტარქეს თქმით, ლიტერა-

ტურის მოყვარულმა მაკედონის მეფემ შემდეგ დარიოსის საგანგებო მესამეჯობენ სკივრში ჩასდო. რათქმუნაწარმასაყვარელი ქმნილების ტარება გაეადვილებინა.

ერთუღესი განსაცდელის ეპოს საქართველოს მეფეები რჩევასა და დასტურს პოეზიას ეკითხებოდნენ. არაერთჯერ გაუციათ განკარგულება, ციხის ქონგურზე აეტანათ და იქ ყველას გასაგონად წაეკითხათ, წაეკითხათ სწორედ ბრძოლის დაწყების წინ, ერთი საათით ადრე, წაეკითხათ „ვეფხისტყაოსნის“ მთელი თავი ან მეფის კარის პოეტის მიერ იქვე შეთხზული სიმღერა, რომელაც სულგანაბული და ხმაგაკენდილი ლამქარი გულისკანკალით უვღებდა ყურს. ასე იქცეოდა, მაგალითად, მეფე ერეკლე, რომლის კარზეც ცხოვრობდა და მრავალ ომში თან ახლდა საფიცარ მეფის ნაზი ლირიკული პოეტი საიათ-ნოვა. იგი ერთნაირად ეკუთვნოდა ქართველობაც და სომხებსაც. ქართული და სომხური საიათ-ნოვასათვის მშობლიური ენები იყო და შთაგონებულ სიმღერებს ორივე ენაზე ქმნიდა.

სხვა ქართველი მეფეები თავადვე წერდნენ გამამხნეველ ლექსებს. ასეთები იყვნენ, მაგალითად, არჩილი, თეიმურაზი, ვახტანგ მეექვსე.

საქართველოში ისეთი ადამიანებიც მოიძიებებოდნენ, რომელთაც, გარდა საეკლესიო პიძნებისა, არა ლექსი არ მოსწონდათ. ესენი იყვნენ წმიდა მამები, ბერები. მათ რუსთაველი საზოგადოების გამრყენელად მიაჩნდათ და გააფთრებულნი სდევნიდნენ საუკუნიდან საუკუნეში. სწვადნენ ხელნაწერ და ნაბეჭდ წიგნებს, ზედვდნენ, ფურცელ-ფურცელ წყალს ატანდნენ.

ქართველი კაცისათვის „ვეფხისტყაოსანი“ ისევე წმიდათა-წმიდა და ხელი-ხელსაგოგმანებელია, როგორც სამშობლო, როგორც მისი მთები და ნაყოფი, რითაც ქვეყანა საზრდოობს. შეიძლება, უფრო მეტიც იყოს. გიორგი ლეონიძე ასე იწყებს რუსთაველის წიგნისადმი მიძღვნილ თავის პატარა ლექსს:

ხელში ავიღებ... ვაკოცებ,
კიდევ ჩაკოცინა...
ჩაკაქერა...

მაგრამ თვით გიორგი ლეონიძე, ან როგორც მას ეძახიან უბრალოდ და ალერსით, გოგლა, ყველას ნაცნობია. ყველასათვის საყვარელია. მე ერთხელ პოეტთან ერთად პროვინციული ქალაქის რესტორანში ვიჯექი. ჩვენს სუფრასთან მოქალაქეთა ჯგუფი მოვიდა. პოეტს სთხოვეს, თანამემამულეებისათვის პატივი დაედო და მათთან ერთად ჭიქა ღვინო დაეღია. ცხრა თუ ათი კაცი იყო, ექიმები და ინჟინრები, რომლებსაც პოეტი იმ დღეს პირველად ხედავდა. მსგავსი ფაქტები, ამჯერად უკვე სხვა პოეტების თანდასწრებით, მე სოფლადაც მინახავს.

მაგრამ ფიზიკური ბედი საქართველოს ზოგი ძველი პოეტისა არ შეესაბამებოდა იმდროინდელი ხალხის სიყვარულს და თავყანისცემას მის შემოქმედებისადმი. ამ მხრივ ყველაზე უფრო გაუხარეული აღმოჩნდა დიდი შოთა, რომელმაც სამშობლოდან განდევნის შემდეგ ათეულობით წლები გაატარა შორს, იერუსალიმის მონასტერში, ნათესავ-მეგობართან და სანუკვარ დედა-სამშობლოსთან მოშორებულმა.

ასაკობრივი სიმწიფის ხანაში, როდესაც საყოველთაო პატივითა და დიდებით იყო გარემოსილი, პოეტმა დასტოვა ყოველივე, თვით საფიცარი სამშობლოც კი და ამით თითქოს გაიშვია ხვედრი სპარსეთის მეფე ჰუშენგისა, რომელსაც მთელი თავი ეძღვნება ქართულ შორის ფრიად პოპულარული პოეტის ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“.

მაგრამ გაიარა საუკუნეებმა და, ამჟამად ყველა ქართველ პოეტს, მთელ ხალხთან ერთად, შოთა რუსთაველი ქვეყნის უდიდეს მასწავლებლად და მოძღვრად მიაჩნია.

რუსთაველმა, აზიის კონტინენტზე დაბადებულმა პოეტმა, რომელიც მშობელი ქვეყნის კულტურის ძველ ტრადი-

ციებს ითვისებდა, შთამომავლებს პოეტური შემოქმედების უფრო მეტოდი დაუტოვა. მის შემოქმედებით მხრივ, დამყარებული იყო იდეებზე, რომლებიც ახლა ნორმად უკვე აღიარების მიაჩნია, მაგრამ, ასეა თუ ისე, სათავეს მაინც ყველა იქ იღებს. თავისი პოემის დასაწყისში რუსთაველი ამბობს:

აწ ენა მინდა განოქება, გული და
ხელოვნება,
ძალი მომეც და შეწყენა, შენგნით მიქვს,
მისცე გონება.

პოეზიის მოყვარული ქართველი, ე. ი. ყველა ქართველი, დიდად აფასებს იდეით აზრით განსწავლულ პოეზიას: სადაც იდეები და აზრები სულ სხვაგვარად არიან განსხვავებული ვიდრე, ვთქვათ, ფილოსოფიურ ტრაქტატში ან მხატვრულ პროზაში.

ქართულ პოეზიაში დღეს, ისევე, როგორც წინათ, იდეა ნაწარმოების შემეყვრელ-შემადღებელი დედაბია. ქართველებს არ აკმაყოფილებთ ის, რაც პოეზიად დასახა ჟიურ რენარმა: „შემოქმედება სახისა და ოცნების მეშვეობით. ეს ფორმულა, სხვათაშორის, ბევრად უფრო ადრე დაიბადა, ვიდრე ავტორი საინტერესო „დღიურისა“. ქვეყნის ზღაპრულ ლანდშაფტში დაბადებული ქართული პოეზია ლექსის შემწეობით წვდება იდეას. იგივე რუსთაველი ამბობს:

შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი
ღარავი.

სწორედ ეს გახლავთ მისი ზოგადი ნიშანი. სიმღერა ქართულ პოეზიაში არ გულიანობს აუცილებლად სამღერალ ფორმას. სიმღერაში, ჩემი აზრით, იგულისხმება ლექსის მუსიკალური პლასტიკურობა, რაც დიდად უწყობს ხელს ხალხში მის გავრცელებას, მკითხველის მიერ ადვილად დახსომებას.

ქართულ პოეზიაში იდეა მოფილოსოფოსო პროზის ქინტვა როდია. ის, ზოგიერთი კრიტიკოსის გამოთქმა რომ

ვისმართ, პოეტური იდეაა, პოეტის მიერ მიგნებული, ამათუიმ საზოგადოებრივი მოვლენის გამოსახატავად, რაიც თქმა აღარ უნდა, მხოლოდ შემოქმედების ბედნიერ წუთში შეიძლება იპოვნო.

ქართული პოეზია ყოველთვის არასახარბიელო ისტორიულ ვითარებაში — გამუდმებულ ომებსა და სისხლის წვიმებში იქმნებოდა. მისი ხმები წლითიწლობით იფილტრებოდა, იხვეწებოდა და იქცეოდა მახვილ იარაღად შინაურ და გარეშე მტრებთან შეუტივებელი ბრძოლის საქმეში. განა სამშობლოს მხოლოდ ფარი, შუბი და მათა მწვერვლებზე გადმომდგარი ციხე-სიმაგრეები იხსნიდა აურაცხელი მტრის შემოსევებისაგან? ლექსი მხარში უდგა შუბსა და ფარს და დღემუდამ სამშობლოს კეთილდღეობას ემსახურებოდა. ქართველი პოეტები ამაყობენ თავიანთი ლექსის ამ მაღალი დანიშნულებით. პოეტის ხმას ხალხი ყოველთვის დიდი მოწინებითა და სიყვარულით ისმენს. დიდი კლასიკოსი პოეტი ილია ჭავჭავაძე, აი, ასე ხედავდა პოეტის როლსა და ადგილს ერის ცხოვრებაში:

მეცა მნიშნავს და ერი შრდის,
მიწიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ვლასარაკობ,
რომ წარუძღვე წინა ერსა.

ტრაგიკული ბედის სამსალა სხვებმაც დალიეს. გაჭირვება და ვივავლახი ხელა წილად მწუხარე რომანტიკოს პოეტს ნიკოლოზ ბარათაშვილს, რომლის საფლავზე დადგმულ ჭეგლთან დიდხანს ვიდექი, როცა ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის მოსანახულებლად მთაწმინდაზე ავედი. ის სულ ახალგაზრდა მოკვდა, 29 წლისა, იმ ასაკში, როდესაც ბევრი ახალგაზრდა შემოქმედი ჯერ ხეირიანად ვერც კი გამოსულა სამწერლო ასპარეზზე. დაუვიწყარ პაწაწინა ლექსში „ცისა ფერს“ (ფერს სატრფოს თვალებისას და სამშობლოს ცისას, ფერს ოცნებისა და მიუღწეველ სიმაღლეებისას, ფერს ცრემლე-

ბისას, რომლითაც მის სიკვდილს დაიტრებენ) პოეტი თითქოს წამუდამუდგ: შეერწყა ლურჯ შორეთს: *ბიზლუქოთქა*

ფიქრი მე სანატრელი
მიმიწვევს ცისა ჭელს,
რომ ეშხით დამდნარი
შვეერთო ცისა ფერს.

არც ვაქა-ფშაველა, მთების ეპიკოსი მომღერალი, რომლის საფლავის ქვა მთაწმინდაზე იმდენადვე სიმბოლურია, რამდენადაც არ გამოხატავს რაიმე სიმბოლოს (საფლავს კლდის გამოუჩორკნავი ნატეხი ადევს), ყოფილა ბედისაგან დიდად განებივრებული. პეტერბურგის უნივერსიტეტში ლექციების მოსმენის შემდეგ, ის მთებსშუა გამომწყვდეულ სოფელს — მშობლიურ ჩარგალს დაუბრუნდა და იქ მიწის მუშად და სოფლის მასწავლებლად იქცა. ვაქა თან მიწას ბარავდა ლუქმა-პურის მოსაპოვებლად და თან მთიელ ბაღლებს ვაზისებურად მომრგვალებული მხედრული ასოების კითხვასა და გამოყვანას ასწავლიდა. ნივთიერმა ხელმოკლეობამ და გამუდმებულმა გარჯამ საშუდამოდ გასტეხა პოეტის ისედაც შერყეული ჯანმრთელობა და ისიც, როგორც მისი არაერთი სულმწათი წინამორბედი, სიცოცხლეს ნაადრევად გამოეცალა.

მაგრამ ისინი წერდნენ, რათა შთამომავლობისათვის ნათელი სახეები დაეტოვებინათ, შეექმნათ მშობელი ხალხისათვის პოეზიის მთელი ბიბლიოთეკა, რომლის თავიდან ბოლომდე გადაკითხვას ადამიანი მთელი სიცოცხლის მანძილზე თუ შესძლებს. ამას მიემატა რევოლუციის შემდეგდროინდელი პოეტების ახალი პოეზიის ბიბლიოთეკა.

ძველ დროში, ბნელეთის მოციქულ ბერ-მონაზონთა და დამპყრობელი ერების გვერდით, ვისაც ქართული კულტურა სულაც არ აინტერესებდა, მეფის ოხრანკის უმკაცრესი მეთვალყურეობის ქვეშ, პოეტური შემოქმედება გმირობას უტოლდებოდა. რევოლუციის შემდეგ, მას შემდეგ, რაც ორჯონიკიძემ სამახსოვრო დეპეშა გაუგზავნა ლენინს,

მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. მხედრულმა ასობმა ამიერიდან თავი დააღწიეს დევნასა და შევიწროებას. ალბათ, ამანაც გამოიწვია პოეტების მომრავლება.

თანამედროვე ქართველი პოეტების ერთგული მგობარი იყო სერგეი ესენინი. 1924 წელს დაწერილ ლექსში — „ქართველ პოეტებს“ ესენინი რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის შთამომავალთ თავის ძმებს უწოდებდა. რუსი პოეტი ამ თავის ლექს-წერილში გადაკვრით ასენებს ქართველ პოეტთა ლიტერატურულ დაჯგუფებას — „ცისფერს ყანწებს“, რომელიც 1916 წელს შეიქმნა. ცისფერყანწელები ახალ პოეტურ ფორმებს ეძებდნენ, ბოჰემურ ცხოვრებას ეწეოდნენ და პოეზიაში მისტიკით საზრდოობდნენ. ესენინი თბილისში ჩამოვიდა და ჯგუფის წევრებს დაუმეგობრდა. ამ ეპოქაში, დაახლოებით, 1921 წელს, ერთმა მათგანმა, ჯვარის დაწერასთან დაკავშირებით, მეორე თანაჯგუფელს ლექსი მიუძღვნა და ამ ლექსში, სონეტში, მთელი ჯგუფის შემოქმედებითი სურვილი და სწრაფვა განაცხადა.

რომ მოვედებით საქართველოს ლექსის
ნიღვრად,
ველს ვინდოდა ყოფილიყვე ჩვენი აზრა,
შეგარა ჩვენ ძმობას დღეს გიბრძანებს
შენა თამარი.

ამ დროს ეპოქას იმიტომ ვეძახი, რომ იგი დღეილისა და ძიების პერიოდი იყო. ჯგუფში მაშინვე ამოტივტივდა რამდენიმე მაღალნიჭიერი პოეტი, რომლებმაც შემდეგ და შემდეგ ნელ-ნელა დაიბიეს რეალიზმის პოზიციებზე, უკუაგდეს მისტიციზმი და ბოჰემა, მიაგნეს გამოსახვის ნამდვილად ახალ ფორმებს და, ამგვარად, რევოლუციის შემდეგ დროინდელი საქართველოს უპირველეს პოეტებად იქცნენ. მათ შორის იყვნენ, უწინარეს ყოვლისა, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, შალვა აფხაიძე, კოლაუ ნადირაძე და გიორგი ლეონიძე.

იწყებოდა ახალი ერა. პოეტებმ დგობოდნენ ძველი ტრადიციების ნოყიერ

ნიადაგზე, რომელიც პოეტთა ახალ დაობებს ძალითა და ღონით ავსებდა. რუსთაველის პოემის, ბარათაშვილისა, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვიქტორ-ფშაველას მდიდარ პოეტურ მემკვიდრეობას ნაზიარევი ახალთაობა თავისი დროის შესაფერის ფორმებს ეძებდა. ტიციან ტაბიძე, დიდი ფანტაზიისა და მკაფიო ლირიკული ხმის მქონე პოეტი, ამბობდა:

მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ
მწერს,
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს.

პაოლო იაშვილს, სწორედ იმას, ვისაც ჯვარის დაწერასთან დაკავშირებით სონეტი მიუძღვნა ტიციან ტაბიძემ, მიაჩნდა, რომ პარნასი საწერი მაგიდაა; ხოლო მეორე ლექსში მუშაობისათვის საჭირო ისეთ სიმშვიდესა და სიწყნარეს ნატრობდა, როცა მეტაფორები ირგვლივ საათის ისრებივით იტრიალებდნენ და უზარმაზარ ხეტა ჩრდილებივით ჩამოდებოდნენ.

გიორგი ლეონიძე, გოგლა, რომელიც ახლა უკვე პაპაა, მიუხედავად ხანდაზმულობისა, ხალისიანია, კაცი ადვილად წარმოიდგენ, როგორი უნდა ყოფილიყო ის 20 წლის ასაკში.

ულამაზესი მხოლოდ ის არის,
ვინც ავსებულა თავის დროს ძალით —
ადიდებული, დამწიფებული,
ყანა, ვენახი, მდინარე, ქალი.

ასე ამბობს გოგლა, ბატონი გოგლა, როგორც მიემართავდი მისი ასაკისადმი და პოეტური დამსახურებისადმი ღრმა პატივისცემის გამო.

სხვა პოეტებიც, ახალგაზრდები, ანთებულნი სურვილით, რომ ადიდონ და დაიკვან თავიანთი სამშობლო ისევე, როგორც იცავდნენ მას მათივე წინაპრები ათასი და ორიათასი წლის წინათ, შემწეობას სთხოვენ მდიდარზე უმდიდრეს ქართულ ენას, რომლის დიდი ხნის წინათ მივიწყებულ კილოკავზე ლაპარაკობდა თვით მედეა, თანამეცხედრე

იაზონისა. გრიგოლ აბაშიძეს, მაგალითად, სწყურია სიტყვა, რომელიც სეტყვასავით წამოვა, ხოლო იოანე ნონეშვილი, ერთ-ერთი ენერგიული, მებრძოლი პოეტი საქართველოს თანამედროვე პოეტებში, შეათასველ აკვირდება კაცყასიურ პეიზაჟს:

სახე ურმები ზანტად მიდიან,
ღვას სურნელება უხვი მოსავლის.
კაცყასიონის მწვერვალს ჰკიდია
ცა — ვარსკვლავების კრილოსანი.

შეგნება იმისა, რომ ხალხის მომღერლები არიან, ისე ღრმად აქვთ გამჭდარი ქართველ პოეტებს სისხლსა და ხორცში, რომ ტოციან ტაბიძის მშვენიერი პოეტური სახე:

ვარ გათლელი ლურწამის ღერი,
ტუნჩიუღებლიდ რომ იყოცნება.

არსებითი ხასიათის მატარებელ დახასიათებად უნდა ჩაითვალოს, რომელიც ეპიგრაფად გამოადგებოდა ქართული პოეზიის მრავალსაუკუნოვან ისტორიას.

და არამართო პოეზიის ისტორიას!

ქართული ლიტერატურა ძალიან მდიდარია. იგი ყველაზე უფრო დიდ მუსიკალურ საკრავს — ორგანს შეიძლება შეადარო. ვიღაც ამბობდა (არ მახსოვს, მიახმებს თუ წაეკითხებ), რომ ნამდვილი პოეტი კეთილი, ფაქიზი გულის ადამიანი უნდა იყოს. მე მწამს, რომ ქართველი პოეტები ამ მხრივ თითოთ საჩვენებელი არიან. გასულ შემოდგომაზე თბილისის ერთ-ერთ რესტორანში მოგხვდი ქართველ პოეტებთან ერთად. რესტორანი გადაწყურებს გზას, რომელიც დედაქალაქიდან ის არის გამოსულა და მთებისაკენ მიემართება. რასაკვირველია, თანამეინახეები ღვინოს ვსვამდით და პოეზიაზე ვსაუბრობდით. ოფიციალტმა რამდენიმე წუთის წინ ვენახში მოწყვეტილი ყურძნის მტევანი მოგვიტანა, წლის მოსავლის პირველი მერცხალი. ეს ერთადერთი მტევანი ყველამ ვიგემეთ. მე სტუმარი გახლდით და ვიცი, ძნელი არ

იყო შემენიშნა, თუ რა მოკრძალებითა და პატივისცემით ეკიდებოდნენ მტევანს მჯდომი ერთმანეთს, როგორ სტუმართმომყვარულ თავაზიანობას იჩენდა ყველა ის, ვისთანაც მე პოეზიაზე ვსაუბრობდი და ვისთან ერთადაც ღვინოს ვსვამდი. მე უკვე სამი თუ ოთხი კვირის ჩაასული ვიყავი საქართველოში. ამ ხნის მანძილზე არაერთეგრ დავრწმუნდი ქართველ ადამიანთა ურთიერთობის სისადავესა და გულლიაობაში, რაც აგრერიგად შეეფერება და შეშვენის მათი ტურფა ქვეყნის განუყოფელ ბუნებას, მაგრამ, ამ სუფრას სხვა ნიშნებიც გააჩნდა.

ადამიანები, როცა ისინი ძველ ღვინოს სვამენ და ახალი მოსავლის პირველ მტევანს გემოს უსინჯავენ, მუდამ გულწრფელნი არიან. ასევე ეზიარნენ, ალბათ, ოდესღაც პირველი ქრისტიანები, რომლებიც დამთხვეული ნერონის მძვინვარებას რომის კატაკომბებში ემალებოდნენ და ჯერ კიდევ არ ქცეულყვენ არც პაპებად. არც ინკვიზიტორებად და არც წმიდა სინოდის უგანათლებულეს წევრებად.

ჩვენ არ გვწამდა ღმერთი და სუფთა პაერზე ძველ ღვინოს და ახალი მოსავლის პირველ მტევანს ყურძენს შევეძკოდით. ის, რაც ქართველმა პოეტებმა იმ დღეს ღვინოსა, ყურძენსა და მთელ ქვეყნიერებაზე ილაპარაკეს, ჩემთვის იყო ყველაფერი, რით დაინტერესებაც კი უცხოელ მოგზაურს შეეძლო.

თუ რომელიმე მკითხველი უკმაყოფილო დამრჩება ზემოთ მოთხრობილი ამბით და შემნიშნავს, ფსიქო-ტექნიკური მეთოდით შედგენილ კითხვებს რად არ უპასუხო (რამდენადაც მახსოვს, ლიცეის წლებში ამ ბლანკებს წაღმა-უჯულმა ვავსებდით), ვისწრაფვი განვაცხადო, რომ ძველი ღვინოსაგან შემდგარი ბლანკი ჩემთვის უფრო სარწმუნო გამოდგა.

აი, ეს არის სულ რის თქმაც შეუძლია ადამიანს, ვისაც სხვებივით აწვალებს ლექსის წერის ცთუნება.

თ ა მ ა ლ ა

საქართველო

„დაბადებამი“ სწერია: „და შეუღლა ნოე დამოუკიდებლად მიწისა და ჩაყარა ვენახი (თუ სწორად მახსოვს, არარატზე, სადაც თავისი კიდობნით გაჩერდა. იქიდან აღმოსავლეთ კავკასიაში ჩამოვიდა, უფრო ახლოს ზღვასთან, და, შენაძლოა, სულ ბოლოს კახეთში დასახლდა...) და მან იგემა ღვინო, — ვკითხულობთ შემდეგ ბიბლიის ტექსტში, — და დაითრო და გაითხლაშა კარავსა შიგან“.

რამდენჯერაც არ უნდა წაგიკითხოვს ორი ფრაზა, იმდენჯერაც სიცილით ვიგულები. ნოეს რაღაც თავისებური პიგმალიონიზმი დაემართა, იქნებ, ნაკლებ სავალალო, ვიდრე ელინელ მოქანდაკეს, მაგრამ მაინც გვარიანად სასაცილო (ცინზე, უფრო გულუბრყვილო, ვინც ამ ჩემს კომენტარიებს წაიკითხავს. იფიქრებს, ამ ადამიანს მთვრალი კაცი თავის დღეში არ უნახავსო, მაგრამ უკაცრავად, მე მინახავს ადამიანები, რომლებიც სვამენ და იოტისოდენა ჩრდილსაც კი არ აყენებენ თავიანთ ადამიანურ ღირსებას). საქმე ის კი არ არის, დალიო თუ არ დალიო ღვინო, საქმე ის არის, იცოდე, როგორ შეაფერის მას დალევა. მაგრამ ნოეს, მევენახეობის დებიუტანტს, როგორც მსმელსა და მოჭიფვეს. სასაცილო დებიუტი გამოუვიდა. რა ექნა, გამოუცდელი იყო. ამჟამად მარტო ის ადამიანები, ვინც არ აფასებს და ატივის არა სცემს ღვინოს, ისჯებიან სიმთვრალით და მისი მომყოლი შედეგებით, როგორც ეს ოდესღაც ბიბლიურ ნოეს დაემართა.

საქართველოში ბევრი ღვინის სპა მომიწია. ვსვამდი ისევე, როგორც სვამენ თვით ქართველები. სვამენ განა ცოტას, მაგრამ ღვინით გაღებული ქართველი მე მაინც არსად შემხვედრია, არც ქუჩაში და არც საღამე სტაგან. ღვინო არც კია დასათრობი სასმელი. ის უფრო ბალზამი და ესთეტიკური სიამოვნების მოპნიკებული ქმნილებაა. ღვინის დალევა ქალის კონსანა ჰგავს. ვისა აქვს ქვეწინად უფლება, აგიკრძალოს მისი ხანგრძლივი

კონსანა. თუკი იცი, რომ თვეგზამსარსა დასაქარავ?

ერთხელ, წინანდლის მარანში ყოფნისას, როდესაც სხვადასხვა ხანდაზმულობის ღვინის ქაშნიკს ესინჯავდით და კოველი ყლუბი თითქოს ჯან-ლონეს მიმეტებდა, მედეას ლოცვა ვამახსენდა. იგი ოვიდოსს აქვს გადმოცემული „მეტამორფოზებში“. კოლხთა მეფის ასული ღმერთს ევედრებოდა მოეცა ის წვენი, რომელიც მოხუცს კვლავ ახალგაზრდობას, სიცოცხლის გაზაფხულის წლებს დაუბრუნებდა... ვინ იცის, იქნებ, ამ ღვთაებრივ წვენს დედამიწის ნოყიერი ნიადაგიდან სწორედ წინანდლის ვენახები ისრუტავენ?

სხვათაშორის, ქართველები, რომლებიც მაგარი სასმელებიდან მხოლოდ ღვინოს სვამენ და სხვა სასმელს არ ეტანებიან, ყოველთვის და განურჩევლად არც ღვინოს სწყალობენ..

ერთი ქართველი გაკვირვებული მიამბობდა, თუ რა ენახა რომელიღაც ქალაქში, სადაც სამოგზაუროდ ჩასულიყო. „ვხედავ, მიდის კაცი სამსახურში, — თქვა იმ ქართველმა, — უცებ ჩერდება შუაგზაზე, შედის რესტორანში, ფეხზე სვამს ჭიქა ღვინოს, იზღის ფულს და განაერძობს გზას... დალახვროს ეშმაკმა, ეს ღვინო გაზიანი წყალია, თუ რა?“.

ღიან, სწორედ რომ არ გახლავთ ღვინო გაზიანი წყალი (რასაკვირველია, ყოველი ნამდვილი, ნატურალური ღვინო) და მისი არევა გაზიან წყალში, როგორც ჩვენს ქალაქებში შვრებიან ხოლმე, შებღალვა ღვინისა და მეტი არაფერი. განა ამასვე არ სჩადის ისიც, ვინც ღვინოს მარტო სვამს და ისიც ხანმოკლე შესვენებისას, ფეხზე?

„ქართველები ჩვენებურად არ სვამენ და საკვირვლად ჯან-ლონით სავსენი არიან“, — წერდა პუშკინი დავის „მოგზაურობაში“. არზრუმს მიმავალმა პოეტმა 1829 წელს საქართველოზე გაიარა. პუშკინი ისევე აქებდა ქართულ ღვინოებს, როგორც აქ ნამყოფი ყველა მოგზა-

ური, ვისაც სისხლის გამაჯანსაღებელი კახური ღვინო გაეცინება. მაგრამ რამდენი ასეთი ღვინოა საქართველოში! მხოლოდ პირველი კლასისა ოცდაექვსნაირია. პირველი, ზემოთაც ხომ ვთქვით, ვახლავთ წინანდალი. ეს არის თეთრი, მშრალი ღვინო. სიმაგრით 13-14 გრადუსამდე აღის. მსუბუქი დასაღვია. დაღვევს შემდეგ, რასაკვირველია, არ ვაწუხებს და თანდათანობით ოცნებათა სამყაროში გადაყავხარ. გონება ნათელი გრჩება თვით რამდენიმე ბოთლის დაღვევის შემდეგაც კი. გული ნორმალურად სცემს, ნაბიჯსაც სწორად, სწორი ხაზიდან არასასიამოვნო გადახვევების გარეშე ადგამ. წინანდლის ღვინო, უმაღლესი ხარისხისა, ისევე, როგორც „გურჯაანი“, აგრეთვე თეთრი და მშრალი, № 3, როგორც სხვანაირად ეძახიან, ცის ფერითა და შუქით არის ნაზიარევი. ორივე ეს ღვინო გეოგრაფიული მეზობლებია და, ჩამოსულ უცხოელებთან ერთად, ერთი-და-მეორეც ადგილობრივ მცხოვრებლებს ძალიან მოსწონთ. დაღვევ და უმალ კრიკა გაეგხსნება, ლაპარაკის გუნებაზე დაღვები. სმა არა გლლის, პირიქით, ზეაწეული, საზეიმო განწყობილება მაშინაც კი გრჩება, როცა ნადიმი და პურობა უკვე დამთავრებულია.

მე სხვა თეთრი ღვინოებიც დავლიე (თელიანი — № 2, ცოლიკაური — № 7, ჩხავერი — № 11, კარდანახი — № 14). ყველა ზინებული ღვინოა, თუმცა ზოგი მათგანი ძალიან ტყბილი მომეჩვენა. სამოთხისებურ სიამოვნებას, რომელსაც წინანდლისა და გურჯაანის დაღვევა გგვრის, მე მგონია, ეერცერთი ვერ განვაცდევინებს.

წითელ ღვინოებს შორის, მიუხედავად ნომრების თანმიმდევრობისა, მე ვვირგვინოსნებად მივიჩნევ ორი — ზენაქარა, იგივე № 22, და ქინძმარაული. მართლაცდა წარმტაცი ღვინოები! არცერთი არ გიქმნის იმ უსიამოვნო შეგრძნებას, რომელიც ბიბლიურმა ნოემ განიცადა, მაგრამ მათი თაფლისებური გემო საშუალებას არ გაძლევს ერთი ან

მეორე ბევრი დალიო. თუ ამ მცნებას არ დაუჯერებ და მაინც შეეცდები, გუწუნება შეიძლება არ დაგებინდოს, — შესტყმამქენა უსათუოდ დაგებმება და მთელ ტანში უცნაურ მოსხლეტას იგრძნობ.

ლოთები გარყვნილი ადამიანები არიან. მათ არც კი შეიძლება ეწოდოს ეს მაღალი სიტყვა — ადამიანი. მაგრამ როგორ გამოიყურებიან მსმელები? ზოგი კაცი თავს ხანდახან ასე იქებს: „რა ნაკლები მაქვს? ღვინოს მე არა ვსვამ და პაპიროსს მე არ ვეწევი!“ მას იმის დამატებაც შეუძლია, რომ ქალები ჭირივით ეჯავრება, რომ არც მთა უყვარს და არც ბარი, ყვავილებს მხოლოდ შორიდან ყნოსავს, რომ ყოველ პარასკევს მარნვას ინახავს, არ კითხულობს ბოდლერს და რუთის წიგნს ბიბლიიდან. მაგრამ ამ ყიდის კაცი უვარგისია სწორედ თავისი სულელური ამპარტავნობისა და ბუნების საძულელიის წყალობით.

რას გრძნობენ ადამიანები, რომლებიც არ სვამენ ღვინოს? ძნელია თქმა (მე უკვე აღარ მახსოვს ჩემი ბავშვობის უმნიშვნელო დეტალები), მაგრამ იმის თქმა კი დანამდვილებით შემიძლია, თუ რას გრძნობენ ისინი, ვინც სვამს ღვინოს.

ომარ ხაიამი, საქართველოს გეოგრაფიული მეზობელი, აღიარებდა: „მეუბნებიან: — რად სვამ, ხაიამ? მე ვეუბნები: — როდესაც ვსვამ, მესმის, რას ჩურჩულებენ ვარდები, ტულზანები და იასამნები. მე ისიც კი მესმის, რასაც თვით სატრფოც ვერ მტყვოდა“.

„რა სუბუქია სული ღვინისა, — ამბობს სხვა რუმბაიაში ომარ ხაიამი. — მეჭურჭლეებო, ამ სუბუქი სულის მოსაკავებლად გლუვი კოცები გამოძერწეთ. ჭიქის ოსტატო, სიყვარულით დაამრგვალეთ თქვენი ჭიქები, რათა ღვინის უტკბესი სული ნებეირად ნანაობდეს ბროლის ლავეარდში“.

„ვემოვნების ფიზიოლოგიის“ ფრიალნიჭიერმა ავტორმა ეან-ანტელმ ბრია-სავარენმა ტყუილად როდი უწოდა ღვინოს „სასმელთა შორის უპირველესი“. ზოგი იტყვის ხოლმე: „რისთვის დავლიო ღვინო? წყალი გამოილია თუ?“

მაგრამ წყალს ვინ არ სვამს! წყალი, ამბობდა იგივე ბრია-სავარენი, ერთადერთი სასმელია, რომელიც წყურვილს კლავს. ამიტომაც ცოტა წყლის დალევა საკმარისია. დანარჩენ სასმელებს, მისი აზრით, აქვთ ის უპირატესობა, რომ მათი დალევა წყურვილის გარეშეც შეიძლება.

ღვინის დალევა, როგორც ყოველგვარი სიამოვნება, შეიძლება მხოლოდ მეტადორული აზრით მოგინდეს. ღვინოს იხევე სასურველია, როგორც მეგობრობა და აღერსი. ასე სურდა ის. მაგალითად, ჰორაციუსს. გამოგონილი მეფის ტალიარქესადმი მიძღვნილ ოდამი:

ხედავ, სორაკტის თოვლიან მთებში
ვით ისადგურებს ყინვა და თოში?
ხეებს აწევა ყინვის ჩაჩქანი
და ჩერდებიან მდინარეებიც.

განდევნე იგი შენი სამწყსოდან,
ცახსლს შეუძბა ხმელი კენძები;
ამოიტანე მარნიდან ღვინო,
ოთხი წლის ღვინო, დიდო ტალიარქ,
და ბროლის კაახით დაღიე, შესვი!

თვით მკაცრი ვირგილიუსიც, როგორც აგრონომი, თავის „აგროგიაში“ სასოფლო-სამეურნეო რჩევა-დარიგებებს აღუევდა კარპატისძირელ მიწათმოქმედებს. სწორედ მან წამოიძახა, უჩვეულოდ აღუღებულმა:

მე ვინა ძალმამს დაგაფრყო
ღირსო თვით ღმერთთა.
მწვენებაჲ სუფრის,
ღვინოვ, ლეთურო!

ღვინო, მე გგონია, უერთგულესი მეგობარია ადამიანისა, პურთან ერთად, ყველა იმ სიკეთეთა შორის, რაიც კაცთ მოდგმას ბუნებისა და ნაყოფიერების ქალღმერთმა უწყალობა. ღვინო მხოლოდ იმას დაღატობს, ვისგანაც არად ჩაგდება და წყენინება მოუღია. მხიარული ადამიანები, ღვინის დალევის შემდეგ, კიდევ უფრო მხიარულნი ხდებიან, ხოლო ნაღვლიანებს კიდევ უფრო ერევათ ნაღველი. ამიტომაცაა, რომ

ქართველები ღვინოსთან კონტაქტის დამყარებისთანავე მხიარულებას ეძლევიან, რადგან მათი მზიურ ტემპერამენტის სათავე ჯანსაღი და კეთილი ბუნებაა. კარპატებიდან გამოსულ მხიარულ და სიცოცხლეზე შეყვარებულ კაცს მაინც ამძიმებს რაღაც ნაღველი, მაგრამ იმაზე მეტი არა, ვიდრე ჰორაციუსს აწუხებდა, როდესაც ის სორაკტის მთის პირისპირ იდგა. ჩვენ პესიმისტები მაინც არა ვართ. არც ვირგილიუსი იყო პესიმისტი. პესიმისტი იყო მხოლოდ ბუნდოიანი, ნიჭიერი რუმინელი პოეტი, რომელიც ორი უკანასკნელი მსოფლიო ომის შუაწლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. მან ღრმა მეღანქოლით აღსაქმე სიტყვებით მიმართა ტალიარქს.

ღვინო როდია გადაუღებლად საჭირო რამ ცხოვრებისათვის, როგორც, მაგალითად, წყალი და ჰაერი. უღვინოდ ცხოვრებაც შეიძლება, ისევე, როგორც შესაძლებელია ცხოვრება უღექსოდ და უსიყვარულოდ. მაგრამ მსგავსად პოეზიისა და სიყვარულისა, ღვინო აუცილებლად საჭიროა სხვა ცხოვრებისათვის, იმ ცხოვრებისათვის, რომლისთვისაც უცხოა პირველყოფილი ადამიანის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებანი და რომლის დედაზრს მშვენიერება და სუფიერი კმაყოფილება წარმოადგენს. სწორედ ეს უკანასკნელი განასხვავებს ადამიანთა მოდგმას მისი ბიოლოგიური წინაპრებისაგან, რომლებიც ხის ტოტზე კუდით ეკიდებოდნენ. ზოგიერთი იმასაც კი ამბობს, კაცი ხმელა პურზე და ღვინოზეც გადავაო. მაგრამ საქართველოში, როგორც შევენახეთა ყველა სხვა ქვეყანაში, რომლებიც მუდამ და ყოველთვის თაყვანს სცემენ ვაზს, ღვინოს არც იმისთვის სვამენ, რომ მუცელი გაიბერონ და არც იმისთვის — როგორც ამბობენ ხოლმე ლოთები თავიანთი უზნეობის გასამართლებლად, — რაღაც დაივიწყონ ან რაღაც გაიხსენონ.

ქართველები ღვინოს სიამოვნებისთვის სვამენ. ღვინო მათ საუბრის, მეგობრობის და ყველა იმ გრძნობის ნია-

დაც უმზადებს, რაც კი ქართველ კაცს ძვირფასად და საგულისბმოდ მიაჩნია

ერთხელ რესტორანში ვიჯექი და პატარ-პატარა ყლუპებით ვსვამდი ღვინოს, გემოს ვუსინჯავდი. ეს იყო „წინანდალი“, კრიალა ოქროსფერი, მშრალი და მავარი ღვინო. ფერით მზესუმზირის ზეთს მიაგავდა, ისედაც მოსქო იყო. გრძნობდი, როგორ გადადიოდა პირში, ყელში, შემდეგ კუნთებში და ტანში სასიამოვნო ურუნატელს გგვრიდა. თანამეინახებ მკითხა, აბა თუ გამოიცნობთ. რა ღვინოს ვსვამთო. არ ვიცი, რამ მთქულა ხმამალა არ წარმოგიტევა ღვინოს სახელწოდება, თუმცა კარგად იცოდი, რომ „წინანდალს“ ვსვამდი და ასე ვუპასუბე:

— არცერთ ღვინოს არა ვსვამთ, ვსვამთ ღვინოს საერთოდ...

თანამეუფრემ, ქართველმა, ყოველგვარი გაკვირვების გარეშე, შემომხედა და დაინახა თუ არა, როგორ მივიტახე ღვინო საფეე ჰქია ტუჩებთან, ალტაცებულმა წამოიძახა:

— თქვენ კი არა სვამთ, კოცნით!

— ისევე, როგორც ჩემს პირველ შეყვარებულს, — ვუპასუბე.

— ამსობაში ღვინო ხელსა და ხელშეა გიჭრებათ.

შვით განათებულ რესტორანს დარბაზში, სადაც მე ვიჯექი, მაგიდაზე ღვინოები იღამებოდნენ.

როდესაც ქართულ რესტორანში სუფრასთან ჯდებით, სადაც არ უნდა იყოთ, ოფიციანტი გიცდით, ვიდრე კერძებს აარჩევდეთ და შეუქვეთდეთ და ბოლოს გკითხავთ:

— რომელი?

და მეტი არაფერი. ხოლო თუ სტუმარი უცხოელია, მაშინ უკითხავად მოაქვთ „წინანდალი“.

მე არ ვიცნობ იაპონურ ხალხურ სიბრძნეს, მაგრამ შემთხვევამ გამაცნო ერთი იაპონური ანდაზა, თანაც ისეთი, რომლის მსგავსს, დარწმუნებული ვარ, ვერცერთ ქვეყანაში ვერ შეხვდები. პირველი ჰქითო, ამბობს, ცოტა არ იყოს უცნაური ანდაზა, კაცი სვამს

ღვინოსო, მეორეთი ღვინო ღვინოს სვამსო, ხოლო მესამეთი კრეწნო ღვინოს კაცსო. შესაძლებელია ეს სწორი იყოს? დიციანის თვალსაზრისით, მაგრამ ქვეყანაში, რომელიც მიწისძვრებითა და ამრეშუმით არის განთქმული, მინც სხვაგვარი კონტრეციის აღმოჩენას მოველოდი.

როგორ შეიძლება ღვინო სვამდეს ადამიანს მესამე ჰქიდან მოკიდებულთ? მხოლოდ ჩვენი ბებერი კოტნარი იტაცებს ღვინოს მსმელს მესამე ჰქის გამოცლისთანვე, როგორც ამბობდა კანტემირი, მაგრამ გადაყლაპვით ადამიანს არც ის უღაპავს. მაგრამ „კოტნარი“ ღვინო არ არის. იგი უფრო დემიურგების ელექსირია, რომელშიაც ხუშარა ღმერთმა ალკოჰოლი ჩააწვეთა. „ყველაზე საუკეთესო ღვინოს კოტნარში აყენებენ“, — წერდა დიმიტრიე კანტემირი და იქვე უმატებდა, რომ მსმელი, „ყველაზე უფრო სქელშუბლიანი, ძლივს ასწრებს მესამე ჰქია ღვინოს დაღევას, რომ უკვე მთვრალია, მაგრამ თავის ტავალს კი ვერა გრძნობს“. კანტემირი აღწერს კიდევ იმ ღვინოს: „ფერი უცხო აქვს, მთლად განსხვავებული, ვიდრე სხვა ღვინოებს, კერძოდ, მწვანე და, რაც უფრო ძველია, ფერიც მით უფრო მუჭი დაჰკრავს“.

მაგრამ ადამიანს თვით „კოტნარიც“ კი არა სვამს, ხოლო ჩვეულებრივი ღვინო, საქვეყნოდ სახელგანთქმული და გავრცელებული მეგობარია ადამიანისა. იგი არასდროს არ გიღალატებს და არ მოგატყუებს, თუკი იცნობ და პატივსა სცემ. „ლოთების გამოსწორებაში“ ხალხურ ლექსებზე მონადირე რუმინელი პოეტი ანტონ პანი ნათლად და გასაგებლად ამბობდა:

ღვინო მხიარული,
ღმერთი წვეულების,
უმალ გამკურნავი
ყველა სნეულების;
ხალხში დაჭრილითა,
სად ტყეა, მინდორი,
მარკველი სოფლისა,
ქალაქის რიგორი.

საქართველოში ღვინო ყველგან რიტორად გამოდის, სხვათაშორის, ისევე, როგორც ჩვენთან, და მე მივიჩნის, რომ ანტონ პანმა, ქვეყნად ბევრი რამის მნახველმა კაცმა, თუმცა ძირითადად ქალაქის მკვიდრი იყო, ღვინის გენეტიკური ცირკულაცია შეაფიქროვა.

ღვინო აღაგზნებს აზრს და ხელს უწყობს მის ხმაშალალ, გონებამახვილურ გამოთქმას, რადგანაც იგი მაღალი სულის მატარებელია. მე არ ვიცი, განადიდეს თუ არა ქართველმა პოეტებმა ქართული ღვინის სული, მაგრამ ქვეშეცნული გუმანი მკარნახობს, რომ მათ სხვა ღვინოების თუ არა, წინანდლის ღვინის ქებათა-ქება მაინც ეწებათ დაწერილი. ბოდლერმა, უპირატესად მევენახეთა ქვეყნის პოეტმა, რომელიც თავადაც ჩინებული მკოდნე იყო შშვენიერი სასმელისა, ერთ საღამოს საკუთარი ყურით გაიგონა, თუ როგორ მღეროდა ღვინო ბოთლებში (ყოელ რენარმა სატირის მათრახი გადაჰკრა ამ გამოცხადებას, და უნდა გამოეტყდე: დიდად გაკვირვებული ვარ რენარის პოზიციით!) ღვინო გულს უტსნიდა ადამიანს და ეუბნებოდა, შენთვისა ვარ დაბადებული და სინათლითა და მშობით განმსკვალული ეს ჩემი სიმღერაც შენდამია მოძღვნილიო.

ყველამ, ვინც კი საქართველოსაკენ პირს იზამს, უნდა იცოდეს, როგორ ისმება ღვინო, რადგანაც ის ერთნაირად შერცხვენილი აღგება სუფრიდან, სულ არ დაღვეს, თუ მაცთუნებელი ღვინის სმის დროს ზედმეტ გულმოღვინებას გამოიჩინა. სუფრიდან კაცი ფიზიკური უნდა წამოდგეს და, ამავე დროს, კარგ გუნებაზე უნდა იყოს. ეს მთავარია!

როდენაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი, მეგობართან ერთად, ნიკიტა ინკურკელიმეს დუქანში ღვინოს ვწრუჰავდი, აბა როგორ შემქმლო წარმომედგინა, რომ ღვინოსთან დამეგობრების დაწყებით კურსს გავდიოდი, რათა კარგა ხნის შემდეგ, სიმწიფის ატესტატის მისაღებად ქართულ სუფრას მოვჯდომოდი და თამადის ხელმძღვანელობით სახლის შერი მალლა ამეწია.

ქართულ სუფრას თავისი წესი და რიგი აქვს. ღვინის უთავებულად სმა და ყლაპვა იქ წარმოუდგენელი სუფრას ხელმძღვანელობს ერთ-ერთი წვერი სუფრისა, კაცი ბროლისყელიანი და ოქროპირი. მას თამადას ეძახიან. თამადა რიგრიგობით აღდგარძელებს სუფრის ყველა წვერს და ასევე აღდგარძელებს იმთავ, ვინც სხვადასხვა მიზეზის გამო ამჯერად პურობას არ ესწრება. ყოველი სადღეგრძელო ყანწით ან ქიჩით ისმება. ერთიცა და მეორეც უსათუოდ უნდა გამოიცალოს, ოღონდ ერთი დაკვრით. სულმოუთქმელად კი არა, როგორც ჩვენში ცუციკას სვამენ. თამადა, ნადიმის სრულუფლებიანი თავმჯდომარე, თვითონვე სწყვეტს, რა ჭურჭლით და რამდენი ღვინო უნდა დალიოს თვითუელმა თანამეინახემ. ბოლოსდაბოლოს მაინც ისე ხდება, რომ ყველა იმდენს სვამს, რამდენიც გულით სწადია. თამადა სადღეგრძელოს ფეხზე ამდგარი მიიჩრთმევს. ასევე აღდგარძელებენ თავიანთ სტუმრებს მასპინძლებიც.

იმისათვის, რათა სადღეგრძელოების ჯაჭვმა თავი არავის მოაბეზროს და არავინ მოქანცოს, სუფრის წვერებმა დროდადრო საჭმლით უნდა შეიქციონ თავი. ასე რომ, ღვინის მსმელს ყოველთვის ინეთი გრძნობა აქვს, თითქოს ეს წუთია პირველად დაუღვეს წინ საცხე ქიქა.

მე ძალიან მომწონს, რომ ქართულ სუფრაზე ღვინოებს არ ურევენ. სტუმრებს ეეთხებიან, რომელ ღვინოს ინებებთო, ან მასპინძელი თვითონ, თავისი გემოვნებით აარჩევს საუკეთესო ღვინოს. ერთსა და იმავე კაცს ერთსა და იმავე სუფრაზე არააოღებს არ მიიჩრთმევენ „წინანდალს“ და „გურჯაანს“, „ხვანჭკარას“ და „ჩხავერს“. ის ამათვან მხოლოდ ერთ-ერთს დაღვეს. თანამესუფრენი აგრეთვე არ დაღვევენ რაიმე სხვა მაგარ სასმელს, როგორი მიმიზღველი და მაცთუნებელიც არ უნდა იყოს იგი. გარდა ამისა, წინდახედული ქართველი კაცი ღვინოს არ წაეკარება, ვიდრე არ დანაყრდება. სუფრაზე საჭმელს დიდხანს და მაღიანად ქაშენ, თუმ-

ცა არც ისე ბევრს. ქართველებს ნოყიერი და მსუბუქი კერძები აქვთ. ძირითადი საქმელებია: ქათმის, ცხვრის, ღორის, ძროხის ხორცი, ნანადირევი, მაწონი, ყველი და მწვანელიყვანილი.

სადილისა და ვახშმის სუფრაზე პირველად ცხარე საუზმე მოაქვთ. მოაქვთ, მაგალითად, ნიგვზით, პილბილითა და ტყემლით შეკმაზული ფხალი, ლობიო, ცხელი ხაჭაპური, შემწვარი სულგუნი.

ვიდრე ღვინის სმას შეუდგებოდნენ ერთ თევზ მწვინას — ჩიხირთმასაც უნდა გაუსინჯო გემო. იგი ქათმის ხორცის ნახარშისაგან მზადდება. წვეს უმატებენ ათქვეფილ კვერცხს, ხახვს, ტარხუნას და ცხარე-ცხარე მწვანელიყვანობის მთელ ქრისტომათიას. უცებ სუფრაზე შემოაქვთ ვერცხლისფერი ბურღი თუ შუბი, რომელზედაც ცხვრის ხორცის შემწვარი ნაჭრებია წამოკმული. ეს გაზღავთ შამფურზე აგებული მწვადი, რომელიც სწორედ შემოტანის წინ ნელ ცეცხლზე შიშინებდა. მწვადი ეროვნული კერძია. ქართველები მას მწვანელთან და ტყემლის საწებელთან ერთად შეეპყვიან. მაგრამ ხორცს ყოველთვის როდი მიირთმევენ შემწვარი და მშრალი სახით. თუ ერთხელ იგემე, შენს დღეში არ დაგავიწყდება, მაგალითად, საცივი — მრავალი საკმაზით შეზავებული კერძი — ქათამი ან ინდაური სოუსში.


მაგრამ მე განცვიფრებული დავჩი, როდესაც კავკასიის აზიურ ნაწილში ტბილი ნამცხვრები მხოლოდ საშაქარლამოში ვნახე. საშაქარლამო ნაწარმი არ წარმოადგენს მდიდრულად გაწყობილი ეროვნული სუფრის დამავიკრავინებელს. ეს სუფრები, უპირატესად შემოდგომასზე, ხილით მთავრდება. ხილულს თავად შეუძლია ნამდვილი სანადიმო სუფრის რეზერვობა გასწიოს. იმდენად, რამდენადაც ჩვენს ქვეყანაში წლის მეთერთმეტე თვის ბოლოს საგვიანო მსხალი მოიწიეს, მე მკითხველს აღარ დავდლი ვაშლებზე, ყურძნებზე, მანდარინებზე, ბროწეულზე, კაკალზე, ლეღ-

ზე, ფორთოხალზე, ნესკებზე ლაპარაკით.

თუ ბოლღერმა სულ ღვინო მსამსახრიაინა, კიდევ მეტი ითქმის ქართულ სუფრაზე, რომელსაც აგრეთვე აქვს თავისი საკუთარი სული. მე რამდენიმე ათეული წვეულების მონაწილე გასლავართ, სადაც ბურ-მარილის მთები ნამდვილი სულიერი დასვენებით მიღებულ სიამოვნებას ებჯინებოდა. მე მიმაჩნია, რომ ქართულ სუფრაზე ადამიანი განუსაზღვრელი სიამოვნებითა და ნეტარებით ივსება. მაგრამ, ის, რაც ქართულ სუფრაზე ყველაზე უფრო მომწონს, გემოვნების ფიზიოლოგის — ბრია-სავარენის შეხედულებათა სრული შესატყვისობა. „ფიზიკური თვალსაზრისით, — ამბობს ის, — იმ დროს, როდესაც გონება მშვიდება, სახე ნათდება, ფერი მუქდება. თვალები ბრწყინვას უმატებენ და მთელ სხეულში უცნაური სითბო იღვრება“. შემდეგ ბრია-სავარენი განაგრძობს: „მორალური თვალსაზრისით სულს მხნეობა ემატება“. წარმოსახვა ინტენსიური ხდება, გონება მახვილური სიტყვები და ზეაწეული განწყობილება თითქოს თავისთავად იზადება“.

ყველა ეს მოვლენა ქართულ სუფრაზე ქეიფის დროს მე საკუთარ თავზე გამოვცადე.

ამგვარი ნადიმების მოწმე და მონაწილე 99 წლის წინათ იყო ბრია-სავარენის თანამემამულე. რომანსტი, რომელიც სიყმაწვილეში აღტაცებას გვეკრიდა თავისი დაუცხრომელი უნარით მოეხდინა ფანტასტიკურ განვიადებათა მანევრირება. მე ამას იმიტომ ვინსენებ, რომ ალექსანდრე-დიუმა-მამა აგრეთვე ნამზავარია კავკასიაში. მოგზაურის ჩანაწერების მოზრდილი წიგნის ავტორმა გადაქარბებით დაგვიხატა თავისი განცვიფრება — ქართველები ამდენ და ამდენ ღვინოს სვამენო. არტოს-პორტოს-არამისის უკვე ხანში შესულმა შემქმნელმა ვერც კი შეინიშნა ათობით სხვადასხვა გემრიელზე უკემ-



რეალური კერძი, რომლებიც თავისდა-
უნებლიედ შემოვიქცა, მაგრამ ყურნალ
„ცისკრის“ რედაქციის მიერ მორთმე-
ულმა ღვინომ მწერალს უდიდესი აღ-
ფრთხილება მოჰგვარა. რედაქციის მუ-
შაკებმა ფრანგი მწერალი მიიწვიეს მი-
სი ერთი სტატიის აქ გამოქვეყნების გა-
მო და უცხოელ სტუმარს გულითადი
პატივი სცეს. დიუმა აღლევებული
ლაპარაკობდა: „ღმერთმა, რომელიც
ანელებს ცივი ქარის სიმკაცრეს და
ახლადგაყრვილ ბატანს სიცივისაგან
იფარავს, ქართველებს უბოძა მშვენიე-
რი კახური ღვინო, სწორედ რომ გან-
საკვიფრებელი სასმელი. ის არ გათ-
რობს, ანდა უფრო სწორად, თავში არ
გიჯდება“. დიუმამ „ცისკრის“ მიპატი-
ება დასჯად ჩასთვალა იმ დანაშაულის
გამო, რომ მას აქამდე, გარდა წყლისა,
არცერთი სასმელი არ დაეღია, მაგრამ
დარტანიანის შემქმნელი გმირის თავდა-
ბლობით გვატყობინებს, რომ რედაქცი-
ის მიერ გამართულ წვეულებაზე ღირსე-
ულად ევირა თავი. ამის დასტურად მას
მოაქვს საბუთი — მოწმობა, რომელიც
სუფრის დასასრულს მას მისცეს რედა-
ქციის თანამშრომლებმა, და რედაქ-
ტორის — ივანე კერესელიძის თავკა-
ცობით ზედ ხელიც მოაწერეს. მოწმობა-
ში გასაგებად სწერია: „ბატონმა ალექ-
სანდრე დიუმამ კეთილი ინება და ჩვენს
ღარიბ-ღატაკ რედაქციაში მობრძანდა,
რის შემდეგაც ქართულ სუფრაზე ქარ-
თველები დაგვჯაბნა ღვინის სმაში.“
28 ნოემბერი 1858 წლისა“.

ღანამღვილებით ცნობილია, რომ
დიუმას, მართლაც არ შეურაცხენია თა-
ვი წინანდლის ღვინით ავსებული ყან-
წებისა და კათხების წინაშე. წინანდლის
ღვინოს ის შემდეგ თავის წიგნში წამ-
დაუწუმ ასხენებს.

ქართველები თავიანთი ზუნებრივი
მონაცემებით მეგობრული ადამიანები
არიან. მათი ნადიმები ამ თვალსაზრისით
უფრო ეფექტია, ვინამ მიზეზი. ღვინოს
თავისთავად ფასი არა აქვს, თუმცა მას
სავსებით შეგნებულად და უდიდესი
სიამოვნებით, მე ვიტყვოდი, ნამღვილი

მხატვრული ემოციით სვამენ. ღვინოს
ფასი იმის ფასია, რაც სმამს მისი გემო-
რი, განდგვილებო და პუნქტუალური
შეწუხდებით და ნუ გატენით თქვენს
კარბინებს ანათემის ტყვიებით. არა-
ვინ გაიძულებთ. შეგშურდეთ იმათი,
ვისაც თქვენზე მეტი ღვინის დალევა
შეუძლია, და ვინც, იმ აუარებელი ღვი-
ნის ჩანთქმის შემდეგ, სხეულის ვერტი-
კალურ მდგომარეობას შეინარჩუნებს!

საქართველოში ყოფნისას მე ყო-
ველდღიურად სუფრაზე ვხვდებოდი
ჩემს ქართველ მეგობრებს. მათი უმ-
რავლესობა არც პოეტები იყვნენ და
არც ორატორები. მაგრამ როდესაც სა-
დღეგრძელოებს ვუსმენდი, მეზადებო-
და გრძნობა, რომ სუფრას კი არ ვუჭე-
ქი, არამედ პოეზიის საღამოს ვესწრე-
ბოდი. თითქმის მიწერილი ვიყავი და
ზეციერიც. მზიარულება ერთი წუთი-
თაც არა მტოვებდა. ხანდახან სმენას
ჩონგურის სიმების მოლულუნე ხმები
ატკობდა. შეზარხოშებული ვაკეაქები
სუფრაზე „მრავალყამიერს“ მღეროდ-
ნენ.

როგორ შორსაა ყოველივე ამისაგან
საშინელი იდეა, რომელსაც მიავნო
გოგმა, პაპინის სადისტურმა და კაცთ-
მოძულე გამონაგონმა. გოგს მობეზრდა
საერთო სუფრის გარეშე მო შემომსხდა-
რი ადამიანების ამდენი სირის ვაღება-
მოკუმვის, კბილების, საკმლის ღეჭვის
ქტრა. მან ბრძანება გასცა გაუქმები-
ნათ მის სახლში საერთო სატრაპეზო.
ამიერიდან ყველას ცალკე-ცალკე ოთა-
ხებში უნდა ესვა და ექცა. ასეც მოხდა.
ადამიანები მალულად შეეჭკოდნენ
სასმელ-საკმელს, თითქოსდა სმით სა-
მარცხინო საქმეს აკეთებდნენ.

ქართულ სუფრაზე, ისევე, როგორც
რუმინულ სუფრაზე, მე ყოველთვის იმ
სურვილით მივიდიდი, რომ სხვებთან
ერთად დრო გამეტარებინა. აღმოსავ-
ლეთს აქვს ეს მშვენიერი გრძნობა, რო-
მელსაც სტუმართმოყვარეობა და სხვე-
ბთან ერთად სიამოვნების მოპოვება
ეწოდება.

სიამოვნებით ვიგონებ რამდენიმე

ლაშქრულ სადილს, ჭარისკაცის გამოუცდელი ხელით მომხადებულს, ხელით, რომელსაც ნიჩბისა და შაშხანის ხმარება უფრო ემარჯვებოდა, ვიდრე ტაფისა და ქაფქარისა. ერთად ვსადილობდით. პირზე ღიმილი დაგვთამაშებდა. კიდევ წამიც და გარემოებას ეს ღიმილი, შეაძლოა, მრისხანებად ექცია, და ადგილი, სადაც დასაწყობებლად ჩავიმუხლეთ, ბრძოლის ველად ქცეულიყო. მაგრამ ვიდრე არსებობდა ეს ღიმილი, მას ნამდვილი ღიმილის სახე ჰქონდა. საყოველთაო ღიმილის ჰაეროვანი სხეულის შექმნაში, თუკი შეიძლება ასეთიქვას, მაშინ მონაწილეობას იღებდნენ რუსებიც და სომხებიც, ყაზახებიც და უკრაინელებიც, მოლდაველებიც და ქართველებიც. ერთხელ როგორღაც ქართველმა ჭარისკაცმა ქართული ჰანგი მიმღერა. ეს მგონი 1944 წელს მოხდა, ტრანსილვანიაში. ერთი პური გექონდა და ერთი ბოთლი ღვინო. სუფრის მაგივრობას თივის ზეანი გვიწევდა. ეს იყო პირველი ქართული სუფრა, რომლის მონაწილეც მე გახვდი. ცამეტი წლის შემდეგ ვინახულე ტრანსილვანიაში გაგონილი სიმღერის მშობელი ქვეყანა. სული, რომელიც ყველა სუფრაზე იყო

გამეფებული, საშუალებას მაქვს ვეძიო თავი ისე მეგრძნო, როგორც შენც თქვამს უფრეთა თავაზიანობა. მსოფლიოში უფრები უფრადღება ერთმანეთის მიმართ. თავშეყრილ საზოგადოებას თითქოსდა ერთი დიდი ოჯახის წევრებად აქცევდა. მასპინძელი კი მაშინ არის ბედნიერი. როდესაც სტუმრები ბევრს და სიამოვნებით მიირთმევენ სასმელსაც და საჭმელსაც და, პირიქით — ის შეუზნებელია, თუ ვინმე სტუმართაგანი მორცხვობს, თავს იკავებს და მორთმეულ საჭმელს კიყნის, ხოლო ღვინოს სანახევროდ წრუპავს.

ყოველივე ეს, მაღალი კულტურა ქართული სუფრისა, ერთხელ კიდევ მაგონებდა, რა შორს ჩამოიტოვებს ქართველებმა პირველყოფილი ხანა ადამიანთა საზოგადოებისა, ის ხანა, რომელსაც აქა-იქ ჯერ კიდევ შეხვდები მეოცე საუკუნის დედაპირზე, სადაც ადამიანი ადამიანს ჯერ კიდევ მტაცებელი ცხოველის ხარბი თვლით უყურებს.

არა, საქართველოში მძვინვარე მტაცებელი ცხოველები გაუვალ, უღრან ტყეებში ბინადრობენ.

ქართველი კაცის ბალადა

ჩემი ფიქრით, პირველი ევროპელი, ვინც ჩვენს ათასწლეულში ქართველების შესახებ დასწერა, მარკო პოლო იყო. ეს გახლდათ მეთორმეტე საუკუნეში, ღქროს ხანის მიწურულს, როდესაც თამარის მეფობის დროს თავის უკვდავ «ვეფხისტყაოსანს» წერდა დიდი შოთა რუსთაველი. ცნობისმოყვარე მარკო პოლომ კავკასიაში მოგზაურობისას საქართველოც შემოიარა. ის ყურადღებით აკვირდებოდა ამ ქვეყნის მკვიდრთა მოხდენილ თვალტანადობას და აღტაცებული წერდა: «ქართველები ლამაზი, სიამაყით აღსავსე ხალხია. ისინი შესანიშნავად ფლობენ იარაღს და ომში ბადალი არ მოეპოვებათ».

მარკო პოლოს გვალდაკვალ მომდევნო წლებსა და საუკუნეებში ყოველი უცხოელი მოგზაური ამჩნევდა ქართული სახეების სილამაზეს.

ამ ქვეყნის ქალები და ვაჟები უკონტრასტოდ ლამაზნი არიან. მათ შორის ულამაზოს იშვიათად შეხვდები და ამიტომ, შესაძლოა, ვერც სილამაზე შენიშნო. ამ ადამიანების სილამაზე მართო სახის სილამაზე როდია. ისინი ამავე დროს ტანადებიც არიან, თითქოსდა გამოქანდაკებულინი. მამაკაცებს ნაკვთების მკაცრი მოხაზულობა ამშვენებთ. ეს მოხაზულობა ჰარმონიულად ერწყმის სახის საერთო იერს. მე ბევრ ქართველ მამაკაცს დაეუნახე ულამაზე-

სი ხელის მტვერი, ფაქიზი და გრძელი თითებით, რომლებიც ვან დეიკის ხელებს მაგონებდა მისი ავტოპორტრეტიდან.

ტრადიცია, რომელიც დღეს მივიწყებულია ევროპაში, ამჟამად ქართული ვაქაყაების სილამაზეს სახის იმ ნაწილში, რომელსაც დაუნდობლად სპობს და ანადგურებს ჩვენი სამართბელი. ქართველი მამაკაცების უმრავლესობა უღვაშს ატარებს. უღვაშები დამოკლებული აქვთ, შეკრეჭილი, მაგრამ სქლად კი იყენებენ. შავი უღვაშები თეთრ პირისახეზე დასამახოვრებელ კონტრასტს ქმნის. პირდაპირ გასაოცარია, როგორ ინარჩუნებენ თეთრი პირისკანის სიღვარეს ამ მცხუნვარე მზის სხივებით გახუხული მამაკაცები.

ქალების სითეთრეს ოდნავი ვარდისფერი გადაჰყარავს. ეს სითეთრე ჯანმრთელი ადამიანის სისხლქარბა სითეთრე გახლავთ, რომელიც მოკლებულია გამკვირვებლობას.

ადამიანს დროთა განმავლობაში შეუძლია ძალზე გავრცელებულ უღვაშობაზე შეეჩვიოს, მაგრამ როგორც კი თვალები პირველ მშვენიერებას იხილავენ, ის წაშვე უღიღესი სიამოვნებით უქუადგებს სისხლსა და ხორცში გამჭდარ ჩვეულებას. უცხოელი მოგზაურები ყოველთვის მოხიბლული რჩებოდნენ და რჩებიან ქართველი ქალვების მშვენიერებით, თვით მაშინაც კი, როცა ისინი, მარკო პოლოს მსგავსად, ისეთ ხალხს მიეკუთვნებიან, როგორიც იტალიელები არიან.

„ვინ არ შეხედავს და არ დატკბება ქართველ ასულთა მოხიბლავი სილამაზით, რომელთა სახეზე გრილი ცეცხლი ანთია“. ასე ამბობდა ინგლისელი პოეტი თომას მური პოემა „ლალა რუჟი“. ალექსანდრე დიუმა-მამა საქართველოს მშვენიერი თვლების ქვეყანას უწოდებდა. ის ამ სახეს განზოგადებული აზრით ხმარობდა, რადგან ძველთაგანვე მიღებულია, რომ ადამიანის გარეგნული სილამაზე თვლებიდან იწყება.

მაგრამ გარეგნული სილამაზე იშვიათი მოვლენა როდია და იგი უმეტესად დაჯერებულობას როდი ადამიანები მორალურადაც ლამაზი და მშვენიერი არიან.

ის, რასაც პირველად აღიქვამ ქართველი კაცის გარეგნული სილამაზის შემდეგ, ეს მისი ხასიათი გახლავთ. ქართველები უარესად გულითადი და პატიოსანი ადამიანები არიან. მაგრამ გულითადობა ერთია და გულუბრყვილობა — მეორე. მათი ხასიათი აღტურავილია სულიერი ცხოვრების ყველა ნიშნით — გონებითაც და ცნობისმოყვარეობითაც, ცხოვრების ინტერესითაც და ვნებიანობითაც, მშვენიერებისადმი მისწრაფებითაც და ბუნებისა და საზოგადოების მოვლენების მორალურ-ესთეტიკური შეფასებითაც.

ამათ იმ მოვლენაზე ქართველი ადამიანის ფსიქოლოგიური რეაგირება ხშირად ელვისებური სისწრაფით ხდება, მაგრამ ეს რეაგირება არამედარამც არ არის მხოლოდ შეგრძნებისმიერი და ამ აზრით ბიოლოგიური.

ქართველებზე არ შეიძლება თქმა, თითქოს ისინი საშუალო ადამიანები იყვნენ. პირიქით! ქართველი ადამიანი უეცრად ფეთქდება. ასევე უეცრად შეუძლია მას ჩაქრეს და გაცივდეს. გადაწყვეტილების სწრაფად მიღების და მისი ასევე სწრაფად სისრულეში მოყვანის უნარი რომ არ შესწევდეთ, ქართველები დიდი ხნის წინათ ჩაინთქმებოდნენ ისტორიის უფსკრულში. მშობელი ქვეყნის ზომიერმა ჰავამ ქართველს დედის მუცლიდანვე დაუბედა ისეთი ტემპერამენტი, რომელიც საშუალებას აძლევს მას გონივრულად მოაწყოს საკუთარი ცხოვრება, საკუთარი არა მხოლოდ პირადულის, არამედ საერთო-ეროვნული თვალსაზრისით. მაგრამ ქართველ ხალხს ბევრი რამ შესძინა დიდი საბჭოთა კავშირის მომე ერებთან მიჯობობამ. გაგობსენოთ თუნდაც რუსთავის მეტალურგიული ქარხანა. მის ამქნებაში, შეიძლება ითქვას, მთელი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა კუ-

თხე მონაწილეობდა თვით ქართველებთან ერთად. რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ერთა უბაღლო თანამეგობრობის კეთილი ნაყოფია. როგორი ნიჭიერი და შრომისმოყვარეც არ უნდა იყვნენ ქართველები, მათ გაუჭირდებოდათ მხოლოდ საკუთარი ძალებით შექმნათ ეს უხარმანარი კომბინატი. ისინი, რაც უნდა იყოს, საამისოდ მაინც ცოტანი, მცირერიცხოვანი არიან. მაგრამ სხვა ხალხებთან მეგობრობამ გააორკეცა და გაათვქვა ქართველების აღმშენებლობითი ძალა და უნარი. ხოლო მეგობრობა ხომ ქართველი ადამიანის ხასიათის ერთი არსებითი ნიშანია. ქვეყანაზე პირქვე ხალხებიც ხომ არიან, მაგრამ ქართველები, ისევე როგორც რუსები, ანდა კარპატებსა და დუნაის შუა მოსახლე ჩემი მშობელი ხალხი, მგონი, მსოფლიოს ყველაზე უფრო მოსიამოვნებელი ხალხების დონეზე დგანან. მათ არც ჩრდილოელთა ცივისსხლიანობა და გულგრილობა ახასიათებთ და არც უკიდურესი სამხრეთის ბინადართა სიზნანტე და მოთენთილობა.

რა არის მეგობრობა, ის მეგობრობა, რომლის შესახებაც საქართველოში ასე ცოტას ლაპარაკობენ, მაგრამ რომელიც მე ყოველი მხრიდან გარს მერტყა, როგორც ამ ქვეყნის გამჭვირვალე ჰაერი? რუსთაველის პოემას „ვეფხისტყაოსანს“ სამი გმირი ჰყავს: ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი. სამივე სხვადასხვა ერის შვილები არიან. მათი მეგობრობა მეგობრობის საუკეთესო მაგალითია. პოეტმა რვა საუკუნის წინათ უმღერა მეგობრობის უზენაეს იდეას, უმღერა იმ დროს, როდესაც ხალხთა მეგობრობის წმინდა მცნება ჯერ კიდევ არ სარგებლობდა! პოპულარობითა და აქტუალობით ევროპის ხალხთა ლიტერატურაში, მაგრამ ის უკვე სულწაღვმული იყო რუსთაველის ხალხის ზნეჩვეულებებსა და ადათ-წესებში.

რას ეყრდნობა ჩვეულებრივ ყოველგვარი მეგობრობა? გადავფურცლოთ სხვა წიგნები, სადაც ავტორები თავიანთ მოსაზრებას გამოთქვამენ იმ გრძ-

ნობაზე, რომელიც ადამიანს არაშარტო ნადირისაგან, არამედ ორპირი ცხოველი ადამიანისაგან ასხვავებდა. „ციცინა“, რომელსაც მიაჩნდა, რომ მეგობრობის საფუძველი ზნეობრივ ადამიანებს შორის დამყარებული კეთილი განწყობილება და სიყვარულია, ამბობდა: „მოამორეთ ცხოვრებას ადამიანთა შორის კეთილი განწყობილება და სიყვარული და თქვენ დაინახავთ, რომ ის ყველაზე უფრო სასიამოვნო რამისაგან დაიცლებათ“.

მეგობრული ურთიერთობის დამყარება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ წინასწარვე უკუაგდებ აკვიტებულ იდეას, თითქოს ყოველი ადამიანი ბიწიერი იყოს. სხვაგვარად არაფერი გამოვა. ყველა ქართველი, ვისაც კი მათ ქვეყანაში ყოფნისას შევხვდი, ჩემი მეგობარი გახდა. ასეთივე მეგობრობა მაკავშირებს მეც მათთან. ათობით გავზავნილი და მიღებული წერილი ამ მეგობრობის სიმტკიცის საბუთი გახლავთ.

ქართველთა შორის ისტორიამ აღზარდა ურთიერთობების მკაცრი ეთიკა და ამიტომ მეგობრობა ამ ხალხის ძირითად გრძნობას წარმოადგენს. თითქოსდა მათზე უთქვამს ვოლტერს თავის ფილოსოფიურ ლექსიკონში, სადაც მეგობრობას განსაზღვრავს: „ეს არის ორი მგრძნობიარე და კეთილისმყოფელი ადამიანის უხმო შეთანხმება“.

ვიმეორებ: მგრძნობიარე ადამიანს, ვინაიდან მწირს, განდევილს, რომელიც ყველასაგან განმარტოებულა, არ ძალუშს გახდეს ცოდვილი. ის წუთის-რუფელს ბოლომდე გააჩახირებს და ვერც კი შეიტყობს, თუ რა არის მეგობრობა.

რაც შეეხება მეგობარს, ის მხოლოდ კეთილისმყოფელ ადამიანს შეიძლება ჰყავდეს.

ქართველ კაცთან დამეგობრების დროს საგებით უნდა უქუაგლო სკვპტიკური ცინიზმი, რომელიც თუნდაც ლაროშფუკოს ამ გააფთრებულ ტირადაშია გამოხატული: „ის, რასაც ადამიანები მეგობრობას უწოდებენ, სინამდვილეში საზოგადოებაა, სადაც მისი სხვა-

დასხვა წევრები, გამორჩენის მიზნით, ერთმანეთს ამათუ იმ სამსახურს უწევენ“. სხვანიარად: „ის არის ვაჭრობა, რომლის დროსაც პატივმოყვარეობა რისამე მოგებისაკენ გიბიძგებს“.

ეს სიტყვები, ეტყობა, იმ ადამიანის მიერ არის ნათქვამი, რომელსაც არასოდეს არავინ ჰყვარებია. მას არასდროს არ შეეძლებოდა ქართველებთან დამეგობრება, ქართველებთან, რომლებიც ინსტინქტურად მისდევენ პითაგორეს სავსებით უბრალო ნორმას: „ყველა ადამიანთაგან სამეგობროდ ხელი მხოლოდ იმას გაუწოდე, ვინც კეთილშობილური თვისებებით გამოირჩევა“. რაც შეეხება ცინიზმს ან სკეპტიკურ გაბოროტებას, ერთი ცა და მეორეც, როგორც ცნობილია, ძალიან დაშორებულია სიკეთისაგან.

ეტქვათ, გაეცანით ჩვეულებრივ ქართველს, რომელსაც არაფრით გაუკვირვებინათ, არც განსაკუთრებული გმირული საქციელით, არც ოსტატობით, არც სხვა რაიმეთი. მიუხედავად ამისა, ახალი ნაცნობის დავიწყებას მაიაც ვერ შესძლებთ. რატომ? ყოველი ქართველი, ვისთანაც თუნდ ერთი საათი ჩვეულებრივად გისაუბრია, გატყუებებს და თუ მას გულწრფელად მოეკადები, თავიდანვე იგრძნობ, რომ თანამეინახე უკვე შენი მეგობარია.

უძველეს დროიდან მოკიდებული დღემდე ხასიათის ამ ნიშნებმა დაძაბდეს საქართველოში უბადლო სტუმართმოყვარეობა.

ერთხელ, 1880 წელს გამოცემულ და ამჟამად უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულ ქართულ წიგნს ვეძებდი. სად არ ვიყავი, ვის არ მივკითხე! წიგნი ვერცერთმა ბუკინისტმა ვერ მიშოვნა. ბოლოს, ამაო ძებნა მომბეზრდა და ხელმოცარული ბედს დავმორჩილდი. იმხანად სტუმრად აღმოვჩნდი ერთ ოჯახში. წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება — მაგიაღზე ის წიგნი დავინახე! რასაკვირველია, მაშინვე მივვარდი, ხარბად გადავფურცლე. მაგრამ გამომკლავნებით მაინც არ გამომი-

მკლავნებია, რომ ის წიგნი ძალიან მკირდებოდა. მასპინძელმა, რასაკვირველია, ეგვიც ვერ აიღო. დაწვრილებით მომიყვა ამ წიგნის იშვიათობის მიზეზს. მეორე მეგობარმა, რომელთანაც ერთად თბილისის ყველა ბუკინისტური მაღაზია მქონდა შემოვლილი, უცებ გაკვირვებულმა წამოიძახა:

— აი, ვიქტორ, ის წიგნი, ჩვენ რომ ვერ ვიშოვნეთ!

ამის გაგონებაც იყო და მასპინძელმა მე შემომხედა, თითქოს უნდოდა შეეტყო, მართლა ამბობდა მეგობარი თუ არა, და როდესაც დარწმუნდა, არა ხუმრობსო, წიგნი დახურა და ჩემს წინ დასდო. ვერაფერს მივხვდი. მაშინ თავადვე დაუმატა და თვალით წიგნზე მანიშნა:

— ინებეთ! მამატივთ, თუ უცებ ვერ მივხვდი, რომ ასე ძალიან გკირდებოდათ...

რასაკვირველია, შორს დავივირე. აბა, ვის შეუძლია დაუნანებლად შეელოოს საყვარელ წიგნს, ისიც ასე ძნელად საშოვნელს! მაგრამ მასპინძელი უმალ მოიღუშა. მითხრა, ძალიან ნაწყენი დაგრჩებით, თუ წიგნს არ გამომართმევთ და მეგობრულ საჩუქარზე ხელს მიკრავთო. როდესაც წიგნს დავეპატრონე, სახე ვაუბრწყინდა, თითქოს დიდი რამ სასიხარულო ამბავი მომხდარიყო.

საქართველოში სტუმრად ნამყოფ ადამიანებს ათასობით ამგვარი შემთხვევის გახსენება შეუძლიათ.

მეორეჯერ სხვა მეგობართან — ვახტანგ ქოჩორაძესთან — ვიყავი სტუმრად. ქოჩორაძე, ჩინებული მცოდნე ქართველი კაცის ფსიქოლოგიისა, მაშინ უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე გახლდათ. მან მთელი საქართველო კიდით კიდემდე შემომამტარა. დრო ვიხელთე და ვახტანგს ვკითხე, საიდან უნდა მომდინარეობდეს ქართველების მიდრეკილება მეგობრობისადმი, რომელიც ამ ზომითა და მონუმენტურა-

მთლიანობით სხვაგან არსად შემიმჩნე-
ვია-მეთქი.

— ჩვენ, ქართველებს, — მიბასუხა
ვახტანგ ჭოჩორაძემ, — მთელი ისტორიის
მანძილზე ისე ცოტა მეგობარი
გვყავდა, რომ ყოველი ახალი მეგობრის
შეძენა სიბარულს გვგვრიდა, და მეგობ-
რობის დაფასებაც ამან გვაწავლა.

ეს გულწრფელი აღსარება და ამავე
დროს ერთობ მოკრძალებული ახსნა
იყო.

ყოველი ქართული ოჯახისათვის
სტუმარი წმიდათა-წმიდაა. ამბობენ,
წინათ, თუ რომელიმე ოჯახის სტუმარს
ვინმე შეურაცხყოფდა, შეურაცხყოფ-
ვებს უსათუოდ მასპინძლის ხელით
სიკვდილი ელოდა. სტუმრის შეურა-
ცხყოფა შეუწყნარებელი მკრეხელო-
ბაა, თუნდაც ის, სტუმარი, უპატიოსნო
კაციც იყოს. ვიდრე სტუმარი სტუმარ-
ია, მისი ხელის ხლება არავის შეუ-
ძლია. თუ, მაგალითად, სტუმარმა შეუ-
რაცხყოფა მიაყენა იმ ოჯახის ქალს,
რომლის ქერკვეშაც პურ-მარლი მიი-
ღო და ღამე გაათია, მას არაფერს ეუბ-
ნებოდნენ. სტუმარს შეუძლია დარჩეს და
ოჯახის პატივისცემა მიიღოს მანამდე,
სანამ არ მობეზრდება. (სხვათაშორის,
ქართველი არასოდეს არ გაგრძობი-
ნებთ. რომ სტუმრობა ძალზე გაჭიანუ-
რდა და უკვე დროა ცხენის შეკაშვი-
სა), მაგრამ, როდესაც ეს უზნეო სტუ-
მარი ოჯახს სტოვებს და თავისი გზით
მიდის, მას გზაშივე ეწევა შეურა-
ცხყოფილი მასპინძელი და სტუმარ-
მასპინძლობის ადათის შემბლაღავს საკა-
დრისს მიუზღავს...

ამნაირი ამბები ახლა, რასაკვირვე-
ლია, აღარ ხდება, მაგრამ კაცს, ვინაც
სტუმარი შეუვიდა, ქართველი დაუძინე-
ბელ მტრად შერაცხავს და კუბოს ფი-
ცრამდე არ შეურიგდება.

ახლა, როდესაც ქართველების ამ
ჩვეულებებს ვიხსენებ და ხალხის
ისტორიულად ჩამოყალიბებულ ხასია-
თს ვაკვირდები, მათე კარაჩაღეს შე-
დევრის გმირის სკეპტიკოს ფოშადიას
სიტყვები მახსენდება: „ტყუილად

მხოლოდ ბოროტება ხდება, სიკეთე/ცი,
თუნდაც სიამოვნება — უნდა იყოს“
მაგრამ ფოშადიას ხატულობის გან-
წყობილებას საერთო არაფერი ჰქონდა
რუმინელი ადამიანის ხასიათსა და გან-
წყობილებასთან. ფოშადია რომ საქარ-
თველოში მომხედარიყო, განცვიფრე-
ბისაგან თვალებს გადმოკარკლავდა.
იქ, საქართველოში, ერთი კაცი მეორეს
სიკეთეს უშვებდა და თავის პირად
სიამოვნებას ამაში ხედავს.

ქართველები საჩუქრებს აძლევენ თა-
ვიანთ მეგობრებს და არცთუ ისე იშ-
ვიათად იმითაც, ვისაც პირველად ხედა-
ვენ. საჩუქრებს აძლევენ და უბარიათ,
რომ მოახერხეს და ასიამოვნეს სხვებს.
მათთვის წარმოუდგენელია სიძინე,
კრიყანგობა, თუნდაც იმდაგვარი ბუჰ-
ხალტრული ანგარიშთანობა, როგორც
სტენდალის გმირს ბატონ დე რენალს,
სხვისი გალატაკებით გამდიდრებულ ვე-
რიერის შერს ახასიათებდა: „რაო? სა-
ჩუქარი მისცე ადამიანს, რომელიც ყო-
ველმხრივ გაკმაყოფილებს და კარგად
გეშასხურება? დასაჩუქრება უპრიანი
იქნებოდა, თუ ხელქვეითს დაუდევრობ-
ბას შენიშნავდი და მისი გულმოდგი-
ნების წახალისებას მოიწადინებდი“.

განუსაზღვრელი გულუხვობით გაკ-
ვირვებულმა ერთ ქართველს ვკითხე:
— ნუთუ თქვენ ყველაფერს საჩუ-
ქრად არიგებთ, რაც გულით გიყვართ
და რაც სტუმარს ასევე გულით მოეწო-
ნება?

ჩემმა მოსაუბრემ გაიღიმა და ფართ-
ლი ირონიით მომიგო:

— არა, ყველაფერს არ ვიძლევი
საჩუქრად. სამშობლოს, საყვარელ ქალს
და პატიოსნებას არავის ვუთმობთ. და-
ნარჩენის ყველაფრის გაჩუქება შეი-
ძლება.

მაგრამ ქართველი ქალი, შეგნებული
და ამავე დროს ინსტინქტური მომხრე
ძალზე მკაცრი ეთიკისა, წამითაც არ
ფიქრობს იმის შესაძლებლობაზე, რომ
ვისმე მისი გაჩუქება მოუვიდეს თავში.
ქართული სიყვარული დულაბია და
ამიტომ ქართული ოჯახი ყოველთვის

მტკიცეა და მონუმენტური. მაგრამ ქართველი ქალი შედარებით მაინც განცალკევებულია. მიუხედავად მისი ადგილისა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ქართველი ქალი მაინც იზღუდება ოჯახური ყოფით, ოჯახის საპირობებით. მე, მაგალითად, იშვიათად მინახავს ისინი რესტორანში, მაგრამ ქართველი ქალი რომ იქ მარტო შევიდეს, ეს სავსებით წარმოუდგენელია. ქუჩებში მოსეირნე ახალგაზრდობა ურთიერთპატივისცემისა და ზრდილობის საზღვრებს არ აღევებს, ისევე, როგორც ხალხურ ცეკვებში, რომელიც განწმენდილია არამარტო უხერხულ მოძრაობათაგან, არამედ საჭორწინო ხევენა-კოცნის თუნდაც სიმბოლური მინიშნებისაგანაც კი.

საქართველო აზიაში მდებარეობს და იგი ერთგულია ამ სახის ეთიკისა, მაგრამ საქართველო აზიური ქვეყანა არ არის ამ სიტყვის ძველი გაგებით, აზიური ქვეყანა არ არის თუნდაც ქალის სოციალური მდგომარეობის საკითხში. მართალია, შორეულ წარსულში ქართველ ქალთაგან ცოტა ვინმე თუ გამოდიოდა მამაკაცის გვერდით ისეთ დარგებში სამოღვაწეოდ, როგორცაა პოლიტიკა და კულტურა. ერთი-ცა და მეორეც იმ დროს „საკაცო“ საქმედ ითვლებოდა. მაგრამ გამოჩაყლისები, რასაც ადგილი არ ჰქონია აზიის დანარჩენ ქვეყნებში, მაინც იყო. ამის თავიდათვი დამადასტურებელია ცხოვრება თამარ მეფისა.

მომხიბლავ სილამაზესა და სინაზეს ხელი არ შეუშლიათ ქართველი ქალებისათვის მნიშვნელოვანი როლი ეთამაშათ ერის ისტორიაში. თამარ მეფეს დიდებულად ეჭირა თავი მინისტრებისა და ხალხის წინაშე. თავისი სიბრძნითა და ტაქტით, აგრეთვე სიმკაცრით, მიღებული გადაწყვეტილების შესრულების დროს, რომელსაც ქალური კაპრიზის გამოძახილი იოტისოდენადაც არ ერია, თამარს კიდევ უფრო აღმაღლებდა ქვეშევრდომთა თვალში. მისი თანამედროვე პორტრეტისტები წარმოგვიდგენენ ქალს, რომელიც ულამაზესად

ითვლებოდა თვით საქართველოშიც კი. თამარისადმი ფარულ მწვერულებს შოთა რუსთაველი სოციალურ-ტრეტიკატურობით გვიმხელს. მაგრამ ამ ქალს მტკიცე, მამაკაცური ხასიათი ჰქონდა.

აი, როგორები არიან ქართველი ქალები, როდესაც მათ თავიანთი ხასიათის გამომჟღავნება სჭირდებათ დიდი სოციალური ელერადობის საქმეებში.

ვინ მოსთვლის, რამდენი ქართველი ასული გაუტაცნიათ თავიანთი ჰარამხანებისათვის უცხოელ დამპყრობლებს. ბევრ მათგანს თავზარი დაუცია შაჰებისა და სულთნებისათვის, მტკიცედ მდგარა, არავითარ დათმობაზე არ წასულა და, თუ სხვა სამეფო არ ყოფილა, თავი მოუწამლავს. მტრის შემოსევის მოგერიებისას ქმარი სადღაც, ციხის ქონგურზე კედლებოდა მტრის მახვილით გულგაბობილი, ბავშვებს მომხვედურთა ჯარისკაცები იტაცებდნენ, ხოლო ქალს, რომელიც უცხო ქვეყანაში შაჰის ჰარამხანის შესავსებად მიჰყავდათ, თავი კვლავ აწ დანგრეული ოჯახის დედად მიაჩნდა და გაუბედურებული სიცოცხლეს საკუთარი ხელითვე უღებდა ბოლოს. წარმოუდგენელია, რომელიმე ქართველ ქალს ერთ ანეკდოტში მოხსენიებული ამგვარი კითხვა წამოეკრა:

— გესმის, მეზობელო? ჩემი ქმარი წისქვილში წავიდა. როგორ ჯობს, ახლავე გამოგყვე ცოლად თუ მის მოსვლას დავეუცადო?

ქართველ ქალთა და მამაკაცთა ამ მტკიცე ხასიათმა მოიყვანა საქართველო ჩვენს დღეებამდე. ასე რომ არ ყოფილიყო, ქართველები თავიანთ თავსა და ქვეყანას უკვე დიდი ხნის წინათ დაჰკარგავდნენ. მათი პატრიოტიზმი პირადული როდია. იგი ნამდვილია და ღრმა, მიწაში ფესვებგადგმული. ქართულ მამულიშვილობას საერთო არაფერი აქვს შოვინიზმთან ან ყოყონობასთან. შესაძლოა, ქართველი კაცის პატრიოტიზმს ამჟღავნებდეს, ასე ეთქვას, მისი „ველკანური სიამაყე“, მა-

გრამ ის, პატრიოტიზმი, ზღვარს არასოდეს არ გადადის.

ქართველებს უყვართ თავიანთი ქვეყანა, თავიანთი დედაქალაქი, თავიანთი ისტორია. ასევე უყვართ მათ თავიანთი ლიტერატურა და ხელოვნება და ყველა ის, ვინც ქართული კულტურის, საქართველოს გულწრფელი და უანგარო მოყვარულია. მაშ როგორ! აბა, ვის შეუძლია დაძალოს ქართველებს, გინდათ თუ არ გინდათ, მაგალითად, შაჰ აბასი შეიყვარეთო, შაჰ აბასი, რომელიც საქართველოს გაუღაბნობდა და ქართველების დედაბუდიანად გადაშენებას ესწრაფვოდა! მათი სიყვარული აქტიური და ნაყოფიერია. თავიანთი ქვეყანა ბრმა სიყვარულით კი არ უყვართ, არც ყოყორობენ, არც თავს იწონებენ ამით. მათ პატრიოტიზმს, უპირველეს ყოვლისა, საფუძვლად სიმართლის ცოდნა უდევს. თვალს რომ ავლებ საქართველოს ისტორიას, ერთხელ კიდევ გონების თვლით რომ გადაჰხედავ ამ ხალხის თავდადებული შრომის ნაყოფსა და მიღწევებს სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში, უნებლიედ გახსენდება საადის „ბუსთანში“ ამოკითხული აფორიზმი: „ხალხი მშვენიერი მსხმოიარე ხეა. ხეს უნდა მოუარო, რომ ნაყოფი მოიხსას“.

საქართველოში ცოტა როდი ვნახე ამ ხეზე ნაზარდი და მოწეული ნაყოფი, ძველიც და ახალიც, ვნახე აქაც, ვნახე სხვაგანაც, სადაც კი საბუთოთა კავშირში მოგზაურობის დროს ფეხი დავადგი. მკითხველი, ვიმედოვნებ, ამას გრძნობდა წიგნის კითხვის დროს. მაგრამ აქ ერთხელ კიდევ უნდა შეეჩერდე და მკითხველის თვალწინ უნდა გაეაცოცხლო ზღვისპირას, ქობულეთის მახლობლად, მდებარე სოფელი ბობოყვათი, სადაც სადამოყმის მონაბერი ზღვაური სიამოვნებასა და აღტაცებას მგვრიდა.

არ მინდა მკითხველს დარჩეს შთაბეჭდილება, თითქოს ეს სოფელი საქართველოს სხვა სოფლებზე უფრო მომწონდეს. ბობოყვათი ისე, ალაღბედლად ავირჩიე იმ ასობით სოფელს შორის.

სადაც კი სტუმრობა მომიწია. არც იმის თქმა მინდა, თითქოს ამ სოფელს უფრო უკეთ ვგრძნობდი, ვიდრე სხვა სოფლებში, ვინაიდან ყველგან, ქართულ მიწაზე, სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, თავი შინ მეგონა.

ბობოყვათზე იმიტომ კი არ ვაჩერებ მკითხველის ყურადღებას, თითქოს იქ რაიმე სენსაციური და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რამ შენახოს, ვიდრე სხვა სოფლებში ვნახე. მე მიმაჩნია, რომ ბობოყვათის სასოფლო-სამეურნეო არტელი ერთი იმისთანა არტელია, როგორც ათი ათასობით შეიძლება ვაიციო საბუთოთა კავშირში. იქნებ, შეძლებით კიდევაც ჩამოუყვარდებოდეს სხვა არტელებს.

როდესაც მანქანა სოფლის პირველ ქუჩაში შევიდა, უეცრად ვერ მივხვდი, რომ უკვე მისული ვიყავით. შოფერს ვკითხე, ეს რომელი ქალაქია-მეთქი. შოფერმა, ცოტა არ იყოს, გაუბედავად მითხრა, ეს ქალაქი კი არა, სოფელი გახლავთ, სახელად ბობოყვათი ჰქვიაო. მაგრამ ჩემს თვალში ბობოყვათი, თუ-მცა პატარა, მაინც ქალაქი იყო. ქვისა და აგურის სახლები, სასურავზე რადიონანტენებით. მოასფალტებული ქუჩები, ტროტუარები, ბომბები ელექტროლა-მიონებლისათვის, ფართოვიტრინებიანი მაღაზიები. ზოგიერთ სახლს განსაზღვრული სტილის იერი აზის. მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანები, რომლებითაც ხალხი გადაჰყავთ და ტვირთი გადააქვთ; ორი სკოლა და ერთი ფაბრიკა...

კოლმეურნეობის გამგეობის შენობაში, პატარა, ლამაზ სასახლეში შესვლის წინ გავუარე შადრევანს, რომელიც მოყვითალო ტუფისაგან იყო გამოქანდაკებული და წყლის შროშანის სახე ჰქონდა, გავუარე აგრეთვე მონუმენტურ სვეტებს, რომელთაც ფრონტონი ეყრდნობოდა...

კოლმეურნეობა დიდი არ არის. იგი სულ 332 კომლისაგან შედგება. რა მრავალსულიანიც არ უნდა იყოს თვითეული კომლი, სოფლის მოსახლეობა

ათასხუთას სულს მინც არ გადა-
ქარბებს. აღმინისტრაციული აღრიცხვა
სულაც არ მინტერესებდა, მაგრამ ამ
სოფლის ბიბლიოთეკის სივრცეში ერთ
გასაოცარ ციფრს წავაწყდი: თურმე ნუ
იტყვი, ბიბლიოთეკას 1200 მკითხვე-
ლი ჰყავს! ბავშვები, ვისაც ჯერ კითხვა
არ უსწავლია? ისინი ხომ ამ ციფრში
არ იგულისხმებიათ! მაშასადამე?

1928 წელს დაარსებულმა კოლმეურ-
ნობამ ბუნებისა და თავისი საკუთარი
ძალებით გაზარდა სოფლის დოვლათი.
მას აქვს ჩაის თვალუწვდენელი პლან-
ტაციები, მანდარინისა და ლიმონის
ბაღები, სიმინდის ყანები. სოფელს
ჭიშინი მსხვილფეხა პირუტყვის ჯოგე-
ბიც დაუდის. კოლმეურნეებს აქვთ
აგრეთვე საკარმიდამო ნაკვეთები პირა-
დი სარგებლობისათვის, რომლებშიაც
ოჯახის წევრები მუშაობენ.

ბოზოყვითლი გავიციანი ერთი მოკრძა-
ლებული, თითქმის მორცხვი ქალი,
სოციალისტური შრომის გმირი, რესპუ-
ბლიკის უმაღლესი სამჭოს დეპუტატი.
მე ის არ მინახავს პლანტაციაში მუშა-
ობის დროს. დღის ბოლოს შევხვდი და
ქალაქელად მივიღე. მშობლიურ სო-
ფელში სტუმრად ჩამოსული მეგონა.
მაგრამ გულო ჭინჭარაძე ქალაქელი არ
გახლავთ, ისევე როგორც მისი პატარა
სოფელი არ არის ქალაქი. ცოტა უხე-
შად კი გამოვივიდა, მაგრამ გაბედულე-
ბა მოვიკრიბე და დანტერესებულმა
ვეითხე, წლიური შრომის გასამრჩელოდ
რას იღებთ-მეთქი. ამისთანა შეკითხვის
მიცემა არცერთ კულტურულ კაცს არ
უბატიებდა მაშინაც კი, როდესაც ამ ქა-
ლის ცოლად თხოვას აპირებს. მაგრამ,
როგორც ხედავთ, მოგზაურის ცნობის-
მოყვარეობამ სძლია ჩემს თავაზიანო-
ბას და სწორედ გაცნობის ერთი საათის
შემდეგ ვკითხე გულოს, რა გასამრჩე-
ლოს იღებთ-მეთქი. ქალმა დაუყოვნე-
ბლივ მიპასუხა, თანაც მორცხვობის
სიწითლემ გადაკვრა სახეზე. გულომ
მითხრა, რომ შარშან 700 შრომადღე
გამომიშუშავა, მიიღო ნაღდ ფულად
29 ათასი მანეთი. ამას გარდა, პრემიის

სახით, 5 ათასი მანეთი და ჭირნახულა
(2800 კილოგრამი სიმინდი და სურბე-
ლი და სხვა პროდუქტები) და აგრეთვე
ეს გულომ კოლმეურნეობის საერთო
შემოსავლიდან მიიღო, მაგრამ რამდე-
ნი ტონა ნარინჯები მოიყვანა საკარმიდა-
მო ნაკვეთზე, ეს აღარ მიკითხავს...

სოფლის შუქეში სეირნობის დროს
ეზოებში ბევრი მსუბუქი მანქანა დავი-
ნახე. მანქანები ისვენებდნენ. თორმე-
ტამდე დავთვალე. ყველა, ალბათ, არ
მინახავს. მანქანების უმრავლესობა,
როგორც მოგვიანებით შევიტყე, კოლმე-
ურნეებს ნისიად შეეძინათ თავიანთი
ოჯახებზე სასაიზოვნოდ.

შემიყვანეს ადგილობრივი კულტურის
სახლის დარბაზში. აქ არის, რასაკვირ-
ველია, სცენა და მოძრავი ეკრანი, აგრე-
თვე ქანდაკები და ლოქები, სულ 440
ადგილი.

გული სიხარულით მიძგერდა. სკამები
სულ ასაღო-ახალი დაედგათ. იატაკიც
ამ ცინცხალი სკამების შესაფერისი
იყო. არ ჭრიალებდა. მხოლოდ ისა
მწყინს, რომ ვერ დავრჩი და ვერცერთი
აქაური სპექტაკლი ვერ ვნახე.

ბოზოყვითლი ჩვენებური ზამთარი
არასოდეს არ იცის. ყინვის მაგიერ
აქ ნოტიო სიცივეა, რომელიც მთელი
წლის განმავლობაში ერთ ან ორ თვეს
გრძელდება. ამიტომ ძალიან გამიკვი-
რდა, როდესაც ზოგიერთ სახლში კა-
ლორიფერი ვნახე. მე ხმამაღლა გამო-
ვთქვი გაკვირება, და ერთმა კოლ-
მეურნემ იქვე ამიხსნა: „მოხერხებუ-
ლია, სუფთაც არის...“ მართლაც, ამაზე
სულ არ მიფიქრია!

— ფაბრიკა რისთვისაა ააშენეთ?—
განვაგრძე მე.

— ჩი ძალიან ბევრი მოგვყავს. დრო-
ისა და ენერჯიის ეკონომიას ვეწევი.
აქვე ვამუშავებთ ჩაის ფოთოლს...

ჩემი ფიქრით, უკვე დაღდა დრო თავი
დავანებო ამ უცნაურ კიდეებს. ეს
აღამიანები, გლეხები, რომლებიც ცი-
ვილიზაციასა და კომფორტს სხვა
ჭეყენის ზოგიერთი ქალაქის მოსახლე-
ებზე უფრო იყვნენ შეჩვეული, საესე-

ბით ლოგიკურად აზროვნებდნენ. და ისიც სად — ერთ პატარა ქართულ სოფელში, რომლის მოსახლეობისათვის ყველაზე უფრო საყვარელი უცხოელი ავტორი შექსპირია...

მოგვიანებით ბანანებითა და პორტენოებით დამშვენებულ ქიშკარში შევედი. ეზო და სახლი კოლმეურნე პუსეინ მანელიშვილს ეკუთვნოდა. ვიდრე სუფოას შლიდნებ, მასპინძელთან ერთად ნარდს მიეუწყე და ზუსტად ისევე, როგორც ბუქარესტში, სამი თუ ოთხი ხელი გავაგორე.

სადილად შევექმეთ ფხალს, საცივს, მწვადს და კიდევ რალაც-რალაცებს. ქიქები ღვინით აივსო. მასპინძელმა 14 სტუმრისათვის ორმოცდაათამდე პოთლი მოიტანა და მე შემიძლია ხატუე უავიფიცო, რომ მას მარანში მთელი კასრი ეღვა ასეთივე ღვინით ჭიპამდე გაპიინებული.

საადი მართალი იყო. სადღეგრძელოებს გარინდებული ვუსმენდი და ისევ და ისევ საადი მახსენდებოდა ამ ადამიანებს მემკვიდრეობით ერგოთ კეკეაიის ბუნების მდიდრული ძღვენი, მაგრამ ძღვენსაც ხომ მოხმარება და გამოყენება უნდა!

შესაძლებელია, სხვა ხალხს, ასევე ნიჭიერს, მაგრამ ნაკლებ მარჯვეს, ვერ მოეხერხებინა ამ დონის მიღწევა და ყველაფერი ბუნებისათვის გადაებრალებინა, მსგავსად ინდურ ანდაზაში მოხსენიებული მოცეკვაეებისა, რომლებიც ცეკვაზე უკაცრავად ბრძანდებოდნენ და დამნაშავედ იატაკის უსწორმასწორობა გამოჰყვდათ, ყველაფერი მისი ბრალიაო. ქართველებს, იმ მოცეკვაეებისაგან განსხვავებით, არც იატაკის დაწუნება დასჭირვებით და არც ბუნებისა. შესაძლოა, მთელმა მსოფლიომ ჯერ ყველაფერი არ იცოდეს მათ შესახებ. ეს თვით ქართველების ბრალიც არის. რეკლამას არ უყებენ თავიანთ თავს, თუმცა დღეს, რუსთაველისა და ფალიაშვილის, გუდიაშვილისა და ჭაბუჩიანის, პოეზიისა და მუსიკის, ფერწერისა და ცეკვის

შემწეობით საქართველოს კარგად იცნობს პეინიცი და პარიზშიც ევროპასათუ აზიაში ვის არ უნახავს მისი ცეკვითა მომაჯღოებელი ანსამბლი, რომელსაც ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი ხელმძღვანელობენ. ისინი ხომ ორჯერ იყვნენ საგასტროლოდ ბუქარესტში! საქუთარი თავის გამოჩენას ისინი არ მისდევდნენ, თუმცა ეს აუცილებლად საჭირო იყო.

ადრე მეგონა, რომ სიამაყისა და თავმდაბლობის ცნების შეთავსება ცხოვრებაში არასაზოთ არ მოხერხდებოდა, მაგრამ ეს ორი ცნება, ერთიმეორეში შერწყმული, როგორც მთლიანი და განუყოფელი რამ, საქართველოში ვნახე. ქართველები თავს არ იქებდნენ და არ მკევენარობდნენ. შეიძლება იმის გამოც, რომ სერიოზული საქმეებით იყვნენ გართული და თავის ქებისა და მკევენარობისათვის არ ეცალათ. ისინი ყოველთვის შრომით გულმოკერებული ცხოვრობდნენ და თავიანთ ისედაც მშვენიერ ქვეყანას აშენებდნენ, ანდა იარაღით ხელში მკერდით ხედებოდნენ მომხდურ მტერს და ნაჭირნახულევ მამულს არავის უთმობდნენ. თუ მტერი მოერეოდათ და ბუდეს დაუნგრევდათ, ქართველები ნანგრევებს უბრუნდებოდნენ და მიწასთან გასწორებულ სოფლებს თუ ქალაქებს ხელახლა აშენებდნენ. ამირანის შთამომავალთ განცხრომის დროდაჟამი არასდროს ჰქონიათ. ისინი მუდამ აშენებდნენ, აშენებდნენ ორი თუ სამი ათასწლეულის განმავლობაში. არ ჩქარობდნენ, რჩევა-დარიგებები მიეცათ სხვა ხალხებისათვის. სხვა საქმე რომ არა ჰქონოდათ. მათ შეეძლოთ ელაპარაკათ თავიანთ თავზე, რჩევა-დარიგებებიც მიეცათ სხვებისათვის, მაგრამ საამისოდ ქართველებს ჯერაც არ მოუცლიათ.

ბერნარდ შოუ ამბობდა ერთჯერ, რომ ის, ვინც იცის, როგორ გააკეთოს ესა თუ ის საქმე, აკეთებს კიდევაც. ხოლო ვინც არ იცის, სხვას ასწავლის, ასე და ასე უნდა გააკეთოთ. უკანასკნელ ღონისძიებას სრულებით არა-

ფერი აქვს საერთო ქართველთა ზნესა და ჩვეულებასთან.

მას შემდეგ, რაც საქართველოს კორმან და ულრან ტყესავით დაბურულ ისტორიას გავეყანი, შემეძლო მეფიქრა, რომ ქართველი ხალხი დაღლილ-დაჭანტული უნდა იყოს, მაგრამ ეს ასე როდია. თანამედროვე ქართველი ადამიანი ყელამდე სავსეა სიცოცხლის წყურვილით და აღმშენებლობისაჲში დაუტყობელი მისწრაფებით. ასეა ქუთაისში, სადაც ქართულ ავტომობილებს აკეთებენ, ასეა გორში, სადაც ბამბის ქაოვილებს უშეებენ, ასეა აჭარის ჩაის ფაბრიკებში, მეცნიერებათა აკადემიაში და მწერალთა სამუშაო კაბინეტებში, ასეა ბობოყვათის კოლმეურნეობასა და საზღვაო ნავსადგურებში.

უმიზეზო ნაღველს ვერსად შეხვდები, ისევე, როგორც ვერსად შეხვდები ნაღველის მიზეზს. ქართველი ადამიანი ახალგაზრდა ადამიანია. თითქოსდა მი-

სი მშობელი ხალხი გუშინ გაჩენილიყოს და არა ათასეული წლები წინათ. ქართველი კაცის ღიმილში მარტოვე ათასი წლის ქარცეცხლში ნაწრობი სიცოცხლისუნარიანობა გამოსჭვივის. ეს ღიმილი მე ქართულ აბრეშუმშიაც ვპოვე და ქართველი ქალის თვალეზშიც, კახური ღვინის მზიურ ფერშიც და ქართული ანტრაციტის ციმიმშიც, ქართული ცის სილურჯეშიც და ქართველ პოეტთა ლექსებშიც, მოუდგომელ ყინვართა ბრწყინვაშიც და პონტოს ნაპირებზე გაშენებულ ნარინჯოვან ბალებშიც.

მრავალ ჭირსა და ვეებაში გამოვლილი ქვეყანა კვლავ შენდება და მშვენდება. გარდასულ მწუხარებათა ამბავი მე მხოლოდ წიგნებში ამოვიკითხე, მაგრამ ქართული გულის სითბო და სიტბო, რომლითაც ყოველ წუთს და ყოველ წამს გარემოსილი ვიყავი, ჩემთვის სამარადისო სიამოვნებად გადაიქცა.

ჩემი საუბარელი საქართველო

შინ გამგზავრებისა და, ამავე დროს, საქართველოში დარჩენის სურვილით აღზნებულმა მხოლოდ ნაშუაღამევს მოვხუქე თვალი. საშობლო უზომოდ მენატრებოდა და თან გული მტკიოდა, რომ უნდა დამეტოვებინა მეორე სამშობლო, სადაც შვიდი კვირა გავატარე. ხანმოკლე და ბუნდოვანი სიზმარი გათავდა, და მე ერთბაშად გამომეღვიძა.

ღილით ჩაცმული ვიჯექი ლოგინზე და გაზეთებს ვფურცლავდი. ვიღაცამ კარზე დააკაკუნა.

— შენა ხარ, ბესიკ?

ჩვენ დაღვრემილი ვიდექით ერთმანეთის პირისპირ. ბესიკ გელოვანთან ერთად მე კიდიდან კიდეზე შემოვიარე მთელი საქართველო. მე ის ბესიკმა მჩვენა არა როგორც მეგზურმა, არამედ როგორც თავისი ქვეყნის კარგად მცოდნე და მშობლიურ მიწა-წყალზე თავ-

დავიწყებით შეყვარებულმა ქართველმა, როგორც ჩემმა ძმამ.

— უკვე მიღინარ? — მკითხა მან და უფარავი გულისტკივილით. მივდიოდი. ეს მან იცოდა. ახლა იმისთვის მოვიდა, რომ აეროდრომზე გავეცილებინე და არა წინანდალში ან ბათუმში.

საქართველოში თავი ერთი წუთითაც არ მიგრძენია ტურისტად. აქ თითქოს ჩემმა ღვიძლმა ნათესავმა მომიპატოჯა, რათა თავისი სახლი და ოჯახი ეჩვენებინა. ხელი არაფერს შეუშლია. სახლაც დავათვალიერე და ოჯახიც გავიცანი. ახლა კი მივდიოდი. ჯერ აეროდრომზეც არ ვიყავით მისული, რომ ბესიკმა მკითხა, კიდევ როდის გვესტუმრებო...

გამომშვიდობებია ნიშნად მეგობარს გადაეხვიე და აეროდრომის ბეტონზე დავტოვე. ის ქანდაკებასავით უძრავად იდგა. მე თვითმფრინვაში შევედი და ერთხანს შევეყვინდი კართან, სანამ ვი-

დაც არ ამოვიდა და კარი არ დაეკეტა. მერე ძრავები აღმუშლდნენ და მანქანა სარბენ ბილიკისაკენ შეტრიალდა.

ცა უღრუბლო იყო. თვითმფრინავი დინჯად მიაპობდა სივრცეს. ოღნავ, სულ ოღნავ ირწეოდნენ თეთრი ფრთები, როგორც ქართველი ასულის მკლავები ცეცვის დროს.

ნახევარი საათის შემდეგ, მარჯვნივ, ცისკიდურზე, კავკასიის მთების ჯაჭვი დაეინახე. მთები უცნაურად ბრწყინავდნენ მზის სხივებზე. თვითუღი მათგანი თითქოს გამჟვინვრალე იყო და დედამიწას კი არა, სხვა პლანეტას ეკუთვნოდა.

ქუთაისში შეჩერება მოგვიწია. განთიადისას, კვლავ მარჯვენა მხარეს, მთები ნისლში გაეხვივნენ. ქარიც ამოვარდა. მე ძირს ჩავედი, რათა ერთხელ კიდევ გამეხედა იმ მხარეს, სადაც თბილისი დარჩა, მაგრამ მთები ყოველივეს ფარავდნენ და არაფრის დანახვა არ შეიძლებოდა. აეროდრომი თითქმის ცარიელი იყო. მზეს ძალიან მაღლა აეწია. მინდორში ადამიანები იდგნენ, ხოლო გარეშემო ქარი დამრწოდა.

ხელახლა ავედი თვითმფრინავში. ნალექელი მომერია. დაჯვჭი და საარკმელში გავიჭვრიტე. უფრო კი საკუთარ სულში ვიჭვრიტებოდი. ქარი ოღნავ აქანებდა თვითმფრინავს, რომელიც ჯერ კიდევ არ დამრწოლიყო ადგილიდან. სიჩუმე სუფევდა. უკაცრიელი აეროდრომი ქარს დარჩენოდა სათარეშოდ.


ქუთაისის შემდეგ ათასას მეტრზე ავიჭვრით ცაში. მარჯვნივ თითქოს თავიანთი მასიურობით დადლილი, აქაიქ თოვლის ლაქებით განათებული კავკასიის მთების უწყვეტი ჯაჭვი მოჩანდა. წინაც მთები იყო, მოშიშვლებული ალპური ქედებითურთ, მარცხნივ კი ზღვის ნაპირი, შემდეგ ლურჯი ზღვა, თვალუწვდენელი და მოელვარე. მიფრინავდით და უკან მზე მოგვედგა. ეს საქართველოს მზე იყო, რომელსაც წუთწუთობით ვმორბეობოდა.

არ ძალმიძს ავხსნა იმის მიზეზი, თუ რატომ მიუფლებოდა იგივე გრძნობა,

რამაც თითქმის ორი თვის წინათ, მუქარესტიდან თბილისში ევროპელების დროს შემიპყრო. მაგრამ, ჩემს ფეხი მოზობლიურ მიწას შევასე, მივხვდი, რომ ჩემი საყვარელი საქართველო, რომელიც კავკასიის საუკუნოვან ყინვარებსა და პონტოს შუა დარჩა, ჩემთან ერთად ჩამოვიდა რუმინეთში და ის ახლა ჩემში იყო.

ძნელია ამის ახსნა. ჯერ არცერთ დასტაქარს არ გაუყვეთია თავისთავი, ხოლო სოკრატეს მოწოდება — შეიცანით თავი თქვენიო, რაიც დღეს თანამედროვე ფსიქოლოგიის ყველა სკოლის დროშას აწერია, აქ არაფერში გამოგვაღვება. დრო გავა და შეიძლება მივხვდე, რად მეგონა საქართველოში ყოფნისას, რომ შინ, სამშობლოში ვიყავი. ცხადია, ამის მიზეზი მართო ის არ გახლავთ, რომ ქართველები, მაგავსად რუმინელებისა, ღმრთა და ღვინოს მიერთმევენ. მიზეზი არც ქართველი ადამიანების სულიერი თავისებურებები უნდა იყოს. ამნაირი ფრძნობა ზომ მართო მე არ გამჩენია. ბევრი ჩემი თანამემამულე, რომელმაც რამდენიმე დღე დაჰყო საქართველოში, ამასვე ამბობს. ზოგი მათგანი მსგავსფუძიან ორსამ სიტყვას პოულობდა და გახარებული სწორედ წყლიდან ამოსულ არქიმედით გაიძახოდა, ევრიაკო! მსგავსფუძიანი სიტყვები შეიძლება მეტიც აღმოჩნდეს, მაგრამ განა მათ რისამე თქმა შეუძლიათ, გარდა ლათინური, სპარსული, არაბული ან თურქული ენების გავლენის დემონსტრირებისა!

ერთი მოგზაური ფრიალ გაცივრებული დარჩა, როცა ქართული სიტყვა „საპონი“ გაიგონა. „ნუთუ აქ ევრაიკოთარ კავშირს ვერ ხედავთ?“ ამგვარი რამის აღმოჩენა ზუმრობა როდია. თუ ჩემი დანტერესებული თანამოსაუბრე შესძლებდა იმის დამტკიცებას, რომ ქართული და რუმინული ენები მონათესავე ენებია, ის ამით საფუძველს ჩაუყრიდა ახალ თავს ენათმეცნიერებაში.



მართალია, „საბუნ“ ქართულად „საპონია“. ქართველებსა და რუმინელებს სხვა საზიარო სიტყვებიც გვაქვს, მაგალითად: აგარა — ხნული, ამბარი, ჰაერი, ღვინო, აიაზმა — წმინდა წყალი, აუზი, ბაყალი — მელუქნე, ბოსტანი, ხარი, მურტალი, ნანა, ნანინა, რომელიც სავალდებულო ბგერათშეთანხმებაა ქართულსა და რუმინულ სიმღერებში, ფისო, ფორთოხალი, ვექილი... მე მგონია, მსგავსი სიტყვების გამოჩნება კიდევ შეიძლება.

რამდენიმე მსგავსი სიტყვა როდი ქმნის ორივე ხალხის ხასიათის არსებით ელემენტების მსგავსებას, ხალხებისა, რომელთა შორის ვებერთელა შავი ზღვა გაწოლილა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არის მრავალი სულიერი ნიშანი, ხშირად ფიზიკურიც, რითაც ქართველები და რუმინელები ერთმანეთს ჰგავნან.

ცხრა წლის წინათ ბუქარესტში საგასტროლოდ იყო ჩამოსული საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი. მე გამოვესაუბრე ანსამბლის მოცეკვავეებს. ზოგმა მათგანმა საგულისხმო რამ მიაგმო.

— ქუჩაში, — მითხრა ერთმა ახალგაზრდა მოცეკვავემ, — მგონი, კალია ვიქტორიაზე, ქართველების დიდი ჯგუფი დავინახე. ზოგიერთს სწორედ ჩვენებურად დაეტოვებინა უღვაშები. მივედი, ქართულად გამოვეცნაურე, მაგრამ არავინ მიასუხა, რადგან ქართული არ იცოდნენ.

ამ ყმაწვილმა, რომელსაც ბუქარესტში ჩამოსვლამდე მრავალი ქვეყანა შემოევლო და ფიქრადაც კი არსად გაუვლია ვინმე უცხოელთაგანი თავისიანად მიეღო, მითხრა, რომ არ მოელოდა ამოდენა ფიზიკური მსგავსების აღმოჩენას ორი ერის ადამიანებს შორის. დარწმუნებული რომ არ ვყოფილიყავი იმ ბიჭების ქართველობაში, გამოცნაურებას და ქართულად გამოლაპარაკებას როგორ გავბედავდიო.

ხუსტად ამისთანა ამბავი მეც შემე-

მთვა ვასულ ზაფხულს, რუსთაველს პროსპექტზე ხეტილის დროს. ^{1911 წელს}
 თუ ლათინთა მოდემის კაცო იტალიაში მიემგზავრები, ანდა სლავური სისხლის მონათესავე რუსეთის ან უკრაინის მიწა-წყალზე მიიბიჯებ, ყოველგვარი მსგავსება, რომელიც შეიძლება შესა და მასპინძლებს შორის აღმოაჩინო, ნორმალურად გეჩვენება. მაგრამ აქ?

მე ისტორიკოსი არა ვარ და თავს ვერ ვიღებ პასუხისმგებლობას მკითხველს რაიმე კატეგორიული ახსნა მივაწოდო. მაგრამ როგორ მოხდა, რომ ანთიმოზ ივერიელი ისე სწრაფად და იმგვარი სიღრმით შეეთვისა რუმინულ ჰავას? რა მიზეზის გამო ეგრძნობდი თავს შინ საქართველოში ყოფნის დროს?

ნება მიბოძეთ გადავშალო ისტორიკოს და არქეოლოგ ვასილ პირვანის მიერ დაწერილი წიგნი „დაკია“ და ერთი ამზაცი ხმამალა წაეკითხო: „გუთები და კომერიელები 1000 წელს ქრისტეს დაბადებამდე ერთ სამყაროს შეადგენდნენ, ჰქონდათ გზები ალპებიდან კავკასიამდე ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის საწარმოებლად. წინა აზიაში აღმოცენებული კულტურის ფორმები ადვილად აღწევდნენ გუთების ტერიტორიის შუაწელს ჩრდილოეთ კარპატებიდან ან დუნაის დაბლობიდან“.

იქნებ, სწორედ ეს არის ახსნა მსგავსებისა, რომელსაც მე ვეძებდი? დეტალებში ამგვარი არაკომპეტენტური ფოთიალი ვინმემ შესაძლოა არასერიოზულობადაც ჩამომართვას, მაგრამ ის, რაც ვნახე, კერძოდ, ქართველებისა და რუმინელების აშკარა მსგავსების ელემენტები, არ შემეძლო მოუხსენიებლად დამეტოვებინა.

არ ძალმიშ ვღუმდე, მაგრამ ვაითუ ენა ვადუღავს წადილს გულისას...

ბოდიშობს ერთგან პეტრარკა. მე შემოძლია ვთქვა: ენას გულის წინააღმდეგ არაფერი უთქვამს.

მას შემდეგ, რაც ქუთაისის აგროდრომადან აფერინდით და გეზი ჩრდილო-დასავლეთისაკენ ავიღეთ, მთავრე-

ხილებს თავზე ფრენის დროს ლერმონტოვის დემონზე ფიქრმა ამიყოლია. მე არაფის გავუღვენივარ სამოთხიდან! შინ მივფრინავდი, რადგან პასპორტში აღნიშნულმა სტუმრობის ვადამ გაიარა, ვტოვებდი დაუფიწყარ სამოთხეს, რათა სიცოცხლის მიწურულამდე კვლავ არაერთხელ მოვბრუნებულეყავი და მეხილა იგი.

თვითმფრინავი მძიმედ მიარღვევდა სივრცეს. გავყურებდი გამჭვირვალე პანერს და ღრუბლებს, რომლებიც საწინააღმდეგო მხარეს მოსკურავდნენ. ფაიფურის მელანს ცაზე ზღაპრული ქვეყნის — საქართველოს სახელი გამოჰყავდა.

არა, მე არ ვყოფილვარ სამოთხიდან განდევნილი! პირიქით! ბესიკი რკინაბეტონის ბილიკზე იდგა და გული სწყდებოდა, რომ მე აქაურობას ვტოვებდი. მე სულ სხვა ფრთებით მივფრი-

ნავდი, განა ლერმონტოვის დემონის ფრთებით!

გულმა ძვერას მოუხშირა, როდესაც ქვემოდან ვერცხლისფერი მარადიული ყინვარებისა და თოვლის ბრწყინვა მოსწვდა მზერას.

თვითმფრინავმა ღრუბლებზე გაივკა. მან ნელ-ნელა ჩამოიტოვა უკან კავკასიის მთები, რომელთაც ჯერ ისევ ვხედავდი თითქოსდა სიგარის კვამლში გახვეულთ.

გულაჩუყებულმა სასოებით წავიჩურჩულე:

— ნახვამდის, ჩემო საყვარელო საქართველო!

კავკასიონი ისევ ჩანდა, ალბათ, ჩანდა, მაგრამ მე აღარ ვუყურებდი, რადგან უკვე მოგონებაში გადასული საქართველო, სულში სამუდამოდ აღბეჭდილი, ჩემი იყო და შინ მიმქონდა.



საგო კლიაშვილი

დემნა შენგელაია

(დაბადების 70 წლისთავის გამო)

დემნა შენგელაიას დაბადების სამოცდაათი წელიწადი შეუსრულდა. სხვებთან ერთად მეც მინდა მივესალმო საყვარელ კოლეგას, რომლის შემოქმედება ყოველთვის იყო და იქნება ჩვენი ლიტერატურის დამამშვენებელი.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისა და დაეკაცეების საქმეში დემნა შენგელაიას მეტად თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის. ბევრ ჩვენგანს კარგად ახსოვს ის გამომხმაურება, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა მწერლობის გარიყრაჟზე ჰპოვა მისმა „სანავარდომ“. ეს იყო ერთ-ერთი პირველი ქართული საბჭოთა რომანი, რომელმაც საერთო ყურადღება მიიპყრო თავისი შინაარსით, ფორმით და სტილით. წმინდა მხატვრული ღირსებების გარდა, ნაწარმოებმა საერთო მოწონება დაიმსახურა და გამომხმაურება ჰპოვა კიდევ იმის გამო, რომ გულის სიმართლით, გაბედულად და დამაჯერებლად ითქვა ის ახალი სიტყვა, რომელიც თავისი დროისათვის საჭირო და შესაფერისი იყო. შეიძლება ითქვას, რომ ამ რომანის გამოჩენა იყო დემნა შენგელაიას, როგორც მხატვრის, ნათლობის დღე. იმ თავიდანვე დემნა შენგელაია ჩადგა ჩვენი ახალი მხატვრული მწერლობის ავანგარდში და დღემდე ამავე ადვილზე, ყველაზე მოწინავეთა რიგში ვხედავთ მას.

შემდგომ რომანებსა და მოთხრობებში დემნა შენგელაია კიდევ უფრო ამაღლდა როგორც შემოქმედი, და საბოლოოდ განიმტკიცა მკითხველის სიყვარული. „შთავონება“, „ბათა ქექია“, „წითელი ყაყაჩო“, „განძი“ და სხვა მრავალი, — ეს ხომ ის ნაწარმოებებია, რომლებიც ღირსებას მატებენ ჩვენს ლიტერატურას და სადაც მთელი თავისი ბრწყინვალეობით გამოვლინდა დემნა შენგელაიას მაღლიანი ტალანტი.

დემნა შენგელაიას რომანები და მოთხრობები დიდი პროფესიული პასუხისმგებლობით არის დაწერილი. მათ აქვთ ყველა შესანიშნავი თვისება ქართული პროზის ძველი ოსტატებისა, ვისი თითოეული სიტყვა გულის კარნახით არის თქმული და თითოეული სახე ღრმა გააზრების შედეგადაა დახატული. პატრიოტიზმი, ჰუმანიზმი, ხალხურობა, ნათელი იუმორი, — აი ზოგი რამ, იქიდან. რაც აგრე დამახასიათებელია დემნა შენგელაიასათვის.

„ბათა ქექია“ სამუდამოდ დარჩება ჩვენი ლიტერატურის საგანძურში არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყნის წარსულის ამსახველ ფართო ტილოს წარმოადგენს.

აქ ქართველი ხალხის დამახასიათებელი არა ერთი დიდად კეთილშობილი თვისება დავგვანახა მწერალმა. რა ნათე-

ლი, რა დაუშრეტელი იუმორი აქვს ბათას! როგორი ხალისი, სიცოცხლის რა ძლიერი წყურვილი, რა კეთილშობილი სიამაყით საესეა ეს უბრალო ადამიანი! ეს ზომ ნამდვილი თვისებაა ჩვენი გლეხისა, ქართველი კაცისა, რომელმაც საუკუნეების მანძილზე საშინელ ქართველობებს გაუძლო, დაღუპვის გადაგვარჩინა და დღევანდლამდე მოგვიყვანა. და განა მართო დღევანდლამდე, ეს ეროვნული ხასიათი ჩვენ მომავალშიც უნდა შევინარჩუნოთ და უნდა წინ გვიძღოდეს.

დემნა შენგელაიამ ბევრი შესძინა ქართულ ლიტერატურას, მომავალში ბევრი რამ აქვს სათქმელი და მჭერა, კიდევ არა ერთი ნაწარმოებით გაგვახარებს.

დემნას რომ ვუყურებ, ვერ დამიჯერებია, რომ 70 წელი შეუსრულდა. რომ არ ვიცოდე, თუ რა-საესეებით უანგარო კაცია ჩვენი დემნა, ალბათ, ეჭვიც დამებადებოდა, რაიმე მოსაზრებით ათი წელიწადი მაინც ხომ არ წაიმატათქო პასპორტში? იშვიათად მინახავს ასე მხნე, სულით ჯანსაღი, დაუღალავი ადამიანი. და მერე, რა შვიდ ათეულს გამოვლილი! აქედან ზომ ნახევარ საუკუნეზე მეტი გატარებული აქვს დაძაბულ გონებრივ შრომაში, ქართული სიტყვისათვის მამაშვილურ ზრუნვაში!

დაწმუნებული ვარ, დემნა კიდევ უფრო ახალგაზრდა იქნებოდა, რომ თავისი თავის მტერი არ იყოს: არ შეუძლია ყველაფერი გულთან ახლო არ მიიღოს. ბევრჯერ გვინახავს დემნა, როცა ტრიბუნიდან სიტყვა უთქვამს.—ხშირად, ხშირად კი არა, ყოველთვის, ისე ანთებულღაბარაკობს, ისეთ ქარიშხალს დაატრია-

ლებს, ისე ჩებავს მარჯვნივ და მარცხნივ, სადაც რამე ეკალს შენამსახურს რომ მას, ვისკენაც მიმართულია გულსიტყვარამა, მხოლოდ ის დარჩენია, რომ გაეცალოს, უტიოს. ყველაფერს, რასაც დანახავს ყალბს, ქართული მწერლობის ღირსებისათვის დამამცირებელს, პირად შეურაცხყოფად დებულობს და არ შეუძლია მის წინააღმდეგ ხმა არ აღიმალლოს. პირდაპირ ჭიქურ, მღელვარებით ეკვეთება ხოლმე ყოველგვარ მახინჯ გამოვლინებას. მაგრამ როგორი დაუფარავი, გულწრფელი აღტაცების გამომთქმელია ყოველთვის, როცა რომელიმე მწერალი, ძველი კოლეგა იქნება ის, თუ დამწყები, გაახარებს თავის ნამუშევართი! აი ამიტომ არის, მუდამ ვენდობით დემნას, ყოველთვის ყურს ვუგდებთ სიმართლით თქმულ და დაწერილ მის სიტყვას.

თავისი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობით დემნა შენგელაიამ ღირსეულად დაიმსახურა ქართული ხალხის სიყვარული და პატივისცემა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო: ხალხს უყვარს თავისი გულის მესაიდუმლე, ადამიანი, რომელიც თავისი ქვეყნის კეთილდღეობაზე ფიქრში ატარებს ცხოვრებას, ვინც პირადულზე უფრო მაღლა სამშობლოს ინტერესებს აყენებს.

თავისი შესანიშნავი რომანებით, მოთხრობებით, წერილებით მრავალი წლის მანძილზე გვახარებს დემნა შენგელაი. ნურც დაგველიოს ის სიხარული, რომელსაც ყოველთვის გვანიჭებდა მხატვრული სიტყვის ეს დაუღალავი და ბრწყინვალე ოსტატი!

დაპროსი კალენდამ

პოეტი და მისი რამდენიმე მოტივი

ეს ჩასკენილი, ლომთავა თუ ლომთა-
 ფარა კაცი ბუნებას თითქოს ერთობ
 ელვარე ფერებით დაუწერიაო, მისგან
 პირდაპირ მოჩქეფს შუშუნა იუმორი.
 მის თვალს არ ებარება არცერთი კომი-
 კურა ვითარება... იგი ხარბად იჭერს
 ღიმილით დამუხტულ წუთებს გარემო-
 მცველი სინამდვილისა. თავისთავად,
 შესაძლოა, ამ წუთებს ერთობ სავალალო
 შინაარსიც კი ჰქონდეს, მაგრამ ჩვენ მა-
 ინც ვიციანთ. რა გაეწყობა, ასეთია ჩვე-
 ნი ბუნება. სულდგმულთა შორის მხო-
 ლოდ ჩვენ, ადამიანებს, გვაქვს მონიჭე-
 ბული სიცილის უნარი... და, შესაძლოა,
 იმიტომაც, რომ მხოლოდ ჩვენ ძალ-
 გვიძს დავინახოთ გონების თვალთ რო-
 გორც „ღვთის გაჩენილის“, ისე ჩვენს მი-
 ერვე შექმნილი ქვეყნის ნაკლოვანებანი
 და შეუსაბამობანი. სიცილი, ალბათ,
 ერთგვარი საშუალებაცაა ჩვენი ამქვეყ-
 ნიური ტვირთის შესამსუბუქებლად.
 დიას, არც ისე უღრუბლო და უმწყუხა-
 როა ჩვენი წუთისოფელი, რომ იუმო-
 რის გრძნობა ადამიანის ერთ-ერთ ბედ-
 ნიერ თვისებად არ ჩავთვალოთ.

ამ თვისებით კი უხვად არის დაჯილ-
 დოებული კარლო კალაძე, პირადად მე
 ბევრჯერ მომისმენია და მინახავს მის-
 გან აფეთქებული სიცილი. არა, ბევრიც
 რომ ვიძღწნოთ, არ შეიძლება ზოგიერთი
 მისი ნაკვესი არ მივაკუთვნოთ გონებაშა-
 ხვილობის უმაღლესს კლასს. კიდევ მე-
 ტი: ზოგიერთი მისი ნაკვესი თუ ეპიგრა-
 მა შეიძლება საუკუნის დიდ ხუმრობა-
 დაც ჩაითვალოს. მაგრამ სანამ ცოცხალ
 ვართ, სჯობს იმ ნაკვესებმა ზეპირსიტ-
 ყვაობაში იცოცხოვნ.

შემოქმედი რომ შემოქმედებაში გან-

სხვაგვებული და თავისებური უნდა იყ-
 ოს, — ეს თვით შემოქმედების ბუნებო-
 დან მოდის, მაგრამ, როგორც ვხედავთ,
 ჩვენი პოეტი ცხოვრებაშიაც საკმაოდ
 ხაზგასმული თუ ნიშანდებული, ანუ,
 როგორც იტყვიან, საკმაოდ კოლორიტუ-
 ლი პიროვნებაა. თანაც იგი ერთობ სა-
 ზოგადოებრივი და გულგამზიარებელი
 კაცია, ადვილად ამყარებს კონტაქტს
 ადამიანებთან და ცდილობს გადასდოს
 მათ თავისი ხალისიანობა. პოეტის ხასი-
 ათშიც და შემოქმედებაშიც შეიძლება
 ბევრი რამ აიხსნას მისი ერთი ტეპით
 ლექსიდან „სოფლად“.

გამოვდივარ... და თუ ისევ მღუპარ
 ვხაზე ვინმე წარბშეკრული ვხაზე,
 თავს მოვიკლავ მისალმების უმალ,
 ღიმილით არ ვაგუნათო სახე.

უეჭველად მომხიბვლელია ეს თავგა-
 მეტება იმისათვის, რომ ღიმილით გაუ-
 ნათოს სახე ყოველ მოწყენილ ადამიანს,
 მით უმეტეს, თუ ვიცით, რომ არიან ისე-
 თები, რომელთაც გულში ლაზვრად ეს-
 ობათ სხვათა სიხარული. უხალისოდ
 და უსიხარულოდ კი, მე ასე მგონია,
 პოეტი პატრუქივით ჩაქრებოდა. შემთ-
 ხვევით როდი ამბობს იგი ერთ თავის
 ლექსში, მოწყენილი და ცივი საღამო
 ჩემს დაუდგრომელ და უქრობ ხალის-
 თან შეუწყობი და შეუსაბამოაო. თავი-
 სი ხასიათით იგი სადღაც ეპიკურელია,
 ეპიკურელია არა ფილოსოფიური გაგე-
 ბით, არამედ დაყინებული მისწრაფე-
 ბით საამო განცდებისა და ემოციებისა-
 კენ. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ქარ-
 თველი დარდიმანდია, მის პოეზიაშიაც
 ბევრი რამ არის ხალისიანი, დარდიმან-

დელი. მაგრამ, დახეთ, ამ დარდიმანდმა ქართველმა კაცმა თავისი შემოქმედების თითქმის 45 წლიანი გზა აღნიშნა ერთ-ერთ ყველაზე დარდიანი სიმღერით. მამასადაამე, უნდა ვიფიქროთ, არც ქართული დარდიმანდობა ყოფილა უდარდებლობა და არც ჩვენი პოეტის შემოქმედება ყოფილა მოკლებული ერთგვარ ტრაგიკულ ძარღვს. „ჩემი დღისა და ღამის წიგნიც“ და „მამაც“ უწოდა პოეტმა ამ ლირიკულ პოემას. გულში დიდხნის ნაზარდი დარდია ამ პოემაში ჩაქსოვილი. ამ დარდის ფესვები საკმაოდ ღრმად მიდის პოეტის ბიოგრაფიაში, პოეტის ბიოგრაფიიდან კი—ჩვენი ქვეყნის ბიოგრაფიაშიც, ქვეყნისა, რომლის გულმხურვალე მომღერალი იყო და არის პოეტი.

ერთი წამით ჩავიხედოთ პოეტის ბიოგრაფიის სათავეში:

„ჩვენი ოდასახლი ხელახლა იყო აშენებული უკვე ჩემს დროს, — წერს პოეტი თავის ავტობიოგრაფიულ ესკიზში. — ცეცხლის ალით გააღული ფიცრები მახსოვს. კარგად მახსოვს, — ოჯახში არაერთხელ უამბნიათ, თუ როგორ გადაგვეწვა ცხრაას ხუთში ალიხანოვის დამსჯელმა რაზმმა“. პოეტი ახსენებს თავის პაპას, რომლის შვილები რევოლუციურ ბრძოლებს გაუტაცნია. „უფროსი ვაჟი (მამაჩემი) რაჟდენ კალაძე საზოგადო მოღვაწე გახლდათ, მარქსისტ-ლენინელი, თავის დროზე საკმაოდ ცნობილი ეურნალისტი, სულ უმცროსი კი — მინა გმირულად შეეწირა მუშათა უბნის დაცვას ცხრაას ხუთში. და მე ვამაყობ ახლა, საქვეყნოდ ცნობილ „ცხრაამის“ ობელისკს და ქუჩას თბილისში ჩემი ალალი ბიძის სახელიც რომ აწერია.

მამის ხშირმა პატივობამ, გადასახლებამ, ჩვენი ოჯახის არალეგალურმა ცხოვრებამ, ბინის ცვლამ ჩემზე უთუოდ თავისებური გავლენა მოახდინა... მე სიყმაწვილე უმეტესად ნაქერალას ქედის კალთებზე ვავატარე, ტყიბულის მდაროების მახლობლად, ძველი გელათისა და ხრესილის თვალწარმტაც ბუნებაში. ანბანიც აქ ვისწავლე

და დედის ჩაგონებით მოკითხვეს ბარათებსაც აქედან ვუგზავნებდი შორეულ ჩრდილოეთში გადასახლებულ მამას, შემდეგ კი თანდათან (ვგონებ, ჩემდა შეუუმჩნევლად) ეს ჩემი ბარათები ლექსებმა შეცვალეს და მე სამუდამოდ ვენდე ქართული სიტყვის ძალასა და სილამაზეს“.

არის რაღაც საგულისხმო ლექსებად ბარათების ამ გადაზრდამში.

30-იან წლებში პოეტის მამა ცილისმწამებლობის ატალღებამ იმსხვერპლა. გარეგნულად თითქოს ეს ფაქტი უდევს საფუძვლად „ჩემი დღისა და ღამის წიგნს“. მაგრამ არსებითად პოემა სცილდება ამ ავტობიოგრაფიული მოტივის ჩარჩოებს. იგი თითქოს მთელი თაობის სულის მოძრაობის ემოციური სურათის წარმოსახვას ესწრაფვის.

უამსა ხილვისასა, როცა პოეტის სულს იპყრობს გაწყვეტილი წამის გრძნობა (ო, რა მტანჯველია ეს გრძნობა!), მას ეცხადება მამის ზმანება. შეხვედრა და დიალოგი მამასთან თითქოს ერთბაშად ხსნის გულის ყველა პრალობას, ძველსა და ახალს არა, ერთი წუთითაც არ უთქვამს „არა“, ერთი წუთითაც არ გამიჯენია მამის სულიერ მემკვიდრეობას, მის სამომავლისო რომანტიკას, მაგრამ პოეტი მაინც თავდაბრძლია მამის აჩრდილის წინაშე: ვერ დაიტრია მშობელი, უფრო მეტიც — ვერ გამოეჭომაგა მის ალალ სიმართლეს. სულში ჩაახლდა რაღაც გაუგებარი, რაღაც აუხსნელი. „დავიტირო იქნებ ჩემი ბედისწერა“, — სწუხს დღეს პოეტი. რა არის ეს? თაობის შემფოთებული სინიდრის ხმა? ცოდვა, თუ ტრაგედია? იქნებ, ერთიც და მეორეც... და განა მხოლოდ ერთეულნი იყვნენ დამძიმებულნი ამ ცოდვითა თუ ტრაგედიით? დროის სულს, დროის სახეს ყველა ძერწავს, ყველა აკეთებს; ისიც კი, ვინც განზე დგას და არაფერს აკეთებს, ბევრიც ეცადო, ვერ გაჟმევი პასუხისმგებლობას შენი დროისათვის. გაქცევა სულმდაბლობაცაა. თაობათა ანგარიშგება კი მკაცრი და უღმობელია. შესაძლოა, მამები, საერთოდ უფრო,

სულგრძელები იყვნენ შვილთა მიმართ, ვიდრე შვილები მამათა მიმართ. თუმცა, ვინ იცის... დროს გააჩნია!

თაობათა კავშირის მწვავე საკითხებს პოეტის გულიდან დაუძრავს შემოფოთების ხმები. ეს ხმები აღვიძებს ფიქრებს, დარდიან ფიქრებს... დე, იყოს დარდი, იყოს ნადგელო! დარდი ხშირად სულის გამსპეტაკებელიცაა.

თაობათა კავშირი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე დიდი სასიცოცხლო ნერვია. შესაძლოა, ყველაზე მგრძობიარეც. ამ ნერვში გადის ადამიანთა ისტორიული არსებობის ყველა საამო თუ უსამო შეგრძნება, ყველა სიხარული და ტკივილი. მაგრამ ზოგჯერ, ალბათ, შესაძლებელია დაზიანდეს ან გაწყდეს ეს ცოცხალი ნერვი და დარჩეს მხოლოდ უსიცოცხლო ძაფი ცივი მოვონებებისა, მშრალი ცნობებისა. გაწყვეტილი ან დაზიანებული ნერვი კი ძლიერ მტკივნეულია. შემაზრუნენია გარყვანა თუ განმარტოება უამთავლაში. ამოდ ჩავლილი სიცოცხლის მტანჯველ გრძობას ამ ქვეყნად ყველაზე უმალ თაობათა კავშირის დარღვევა ბადებს. თაობათა კავშირის რღვევა სადაც ხალხისა და ერის ცოცხალი ორგანიზმის რღვევაც არის. მძიმეა, მწარეა, როცა შვილებს მშობლებისა არა ესმით რა და მშობლებს — შვილებისა.

პოეტს კი ესმის რევოლუციურ ბრძოლებში ნაწრთობი მამის გულისნადები. პოეტის წარმოდგენაში მამა თავისი ტრაგიკული ბედით გაავებული და რწმენადაკარგული ადამიანი როდია; იგი შეურყეველი რწმენის კაცია, რომელსაც სჯერა, „რომ სიმატლეს ბელტი ვერ დაჰფარავს მიწის“. ახლა მისი აზრდილიც კი შვილს სწორედ რწმენის სიმტკიცესა და ისტორიულ ქართველებში დაბადებული ახალი ქვეყნის სიყვარულს უწონებს. პოეტისათვის მამის ყველაზე უძვირფასესი მემკვიდრეობა — სიმართლისათვის თავგამეტების სულისკვეთება და იდეალებისადმი უანგარო ერთგულებაა. ამიტომაც მიაჩნია მამა პოეტს თავისი სიმღერის პირველ

სიტყვად, ამიტომაც ეალერსება მის აზრდილს:

რა კარგი ხარ, მამე, შენსად რომ არ ხმობს
ვაცნი მე შენს თვალს, რა შეტყვევალ
სდუმანი

რომ ვაბედოს ვინმე და მოვიგოს ნიშნი, —
შეთქმულით ვიცი, შეაჩვენებ უმალ!

ნიშნისმოძებნი, რასაკვირველია, მოძებნებნიან... მერე რა? ურწმუნოებს შეუძლიათ ნიშნისმოგება, მაგრამ საეჭვოა, შეუძლიათ თუ არა ადამიანურ სილამაზეთა გამრავლება? მიწიერებას ყოველთვის თან სდევს ბიწიერებად გარდაქმნის საფრთხე. პოეტი ვერ მიიღებს იმათ გზას, ვინც აშკარად დასწყევლეს და დაგმეს ყოველგვარი რწმენა. უნდა გიყვარდეს, უნდა გწამდეს რაღაც წმინდა, რაღაც მაღალი, რომ სილამაზით აგვესოს სული.

პოეტი ეძებს თაობათა კავშირის ცოცხალ ძაფებს. აგერ სარკე ირეკლავს და ერთ ჩარჩოში აქცევს მამას, შვილსა და შვილიშვილს. მაგრამ ეს ხომ ანარეკლია, ეს ხომ სარკის ეფემერაა! პოეტს კი სწყურია ნამდვილი და მტკიცე სულიერი ერთობა. მას უყვარს „ხელჩართული შებმა“ შვილის ფიქრებთან და მათი გადანასკვა მამის იდეალებთან. იგი დაჟინებით ელტვის საუკუნის განუყოფლობას, თაობათა გაუთიშელობას:

მზე სამთავეს ერთად გვიანთედეს მინდა!
ისე, როგორც გრგვინვა ცხრაასიან წლების,
სართულ-სართულ ქართულ ჰერის ამაღლების
სილამაზეც არის სიმამაცე შვილთა.
ყველა, ყველა, ყველა — პატარა თუ დიდი,
პირველი დღის სწრაფვა, მეორე დღის ხიდი,
ყველა წამი იწვის ერთ განუყრელ წამად, —
საუბუნე ჩვენი არ იყოფა სამად!

მაგრამ საუკუნის მთლიანობისა და თაობათა ურღვევი კავშირის თვით ამ გულმზურვალე მტკიცების სიღრმეში ილანდება რაღაც მწვავე გრძობა, თითქოს თვით ეს მტკიცებაც ნაკარნახევი იყოს სწორედ რაღაც ბზარითა თუ ნაპრალობით. გაწყვეტილი წამის გრძობაც

ხომ თვით პოეტს ეკუთვნის?

ჩვეულებრივ კარლო კალაძე ხალი-სიან ფერებს ეტანება. „ჩემი დღისა და ღამის წიგნი“ თითქოს ასეთივე ფერებია, მაგრამ მათ შეზავებაში არის დარდიც, შეშფოთებაც და ძლიერი წყურვილიც გაუბზარავე საუკუნისა, გაუთიშავე თაობებისა.

მრავალჭირნაცად წინაპართა სულის სკოლა დიდი სკოლაა პოეტისათვის. ბრძოლებსა და განსაცდელებში გამოწრთობილი ზნეობა სულ სხვა ღირსებისაა. და, მართლაც, ნურავენ დაიკვირდნენ უზადობას სინიდიხისას, თუ იგი ჭირვარაში გამოცდილი და გამოწრთობილი არა აქვს.

საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ თავის სიჭაბუკეში, როცა ირგვლივ საკმაოდ მძლავრობდა წინაპართაგან არამც თუ გამიჯვნის, არამედ ყველა მათი სულიერი გამოცდილების უარყოფის სულისკვეთება, პოეტი წინაპართა დიდი ღვაწლის ერთგული რჩებოდა. მიწაზე ფეხის დადგმაც კი წინაპრებს აგონებდა:

დღღაო მიწა ფეხს რომ ვაბიჯებ,
ვგრძნობ, წინაპართა ძვლები იმტრევა.

და პოეტი მზად იყო მათგან მიეღო არა მარტო დიდი სულიერი მემკვიდრეობა, არამედ სახელიც კი:

მთაო ვადმიშვი, მამ, როგორც ნისლი,
არავგის ჰალეხს ვადაქარგული,
რომ ჭეყნის ველზე მეტი ხალისით
ვხეტიალობდე თერგდალულთი.

ამას წერდა პოეტი ლექსში — „ნახტომი გულიდან“ (შემდეგ ამ ლექსისათვის პოეტს „დარიალის კლდეებში გავლა“, დაურქმევია) წერდა მაშინ, როცა დიდი სოციალური ძვრების რომანტიკით გატაცებული ჭაბუკი თაობის დამკვიდრების სულისკვეთებას უსახლვრო სივრცეებისაკენ ლტოლვით გამოხატავდა. შინაგანი შეუზღუდაობის სურვილი პოეტს რაღაც გრანდიოზული ფორმების მოძრაობისაკენ ეწეოდა, იგი თითქოს ლამობდა ყოველდღიურობის მდორე მდინარეებიდან ამოვარდნას და ახალ,

უჩვეულო სამყაროში გასვლას, ახალი ადამიანური კავშირების გაბმას. ზამღერ-ნიმედ განკენებული და „ქოსმოსტრა“ იყო მაშინ პოეტის მხატვრული მსოფლშეგრძნება. ქროლვა, სწრაფვა, უჩვეულობა იტაცებდა მას. ამ მხრივ დამახასიათებელია „დარიალის კლდეებში გავლის“ პოეტური ფაქტურაც: გაქროლებული ლურჯა, სირბილით მოქრილ მანძილებს რომ ისვრის, ნაბღიანი მთები, ხევის ბუნაგიდან ამოსროლილი ყელგავუდული მდინარე, კლდეების ღმუილი, დარიალში ველურივით გადმომხტარი მრისხანე თერგი და სხვ. თითქოს რამდენიმედ ხელოვნურიც და გულუბრყვილოც იყო მეტაფორული მასალა, რაშიაც პოეტი ახვევდა თავია ახალგაზრდულ სწრაფვას. მაგრამ თვით მისწრაფება, რომ ქროლვით გადაესწრო თავისთავისათვის, საკუთარ სულში ატეხილი ტკივილებისათვის („გადამაშორე ამ ტკივილს, ლურჯავ“), მსგავსად იმისა, როგორც თანამედროვე ზეხმომიანი თვითმფრინავი უსწრებს ხოლმე საკუთარ გუგუნს, უეჭველად საგულისხმო პოეტურ აზრს შეიცავდა. ეს იყო ცხოვრებაში თავისთავის პოვნის, თავისი ადამიანური სამყაროს დამკვიდრების რომანტიკული გზა. გადაუსწარი თავისთავის, რათა იპოვო თავისთავი! განა ზოგჯერ არ გვემართებს ადამიანებს რაღაც უკან მოვიტოვოთ ჩვენი არსებიდან, რაღაცას გადავუსწროთ თუ გავეჭვით საკუთარ სულში, რომ ადამიანურად ავმადლდეთ და მოვლენათა დაღართულ მოძრაობაში ვიპოვოთ თავისთავი?

ეკვი არ არის, რომ თავის ზოგიერთ პოეტურ მოტივში, კერძოდ, მქროლავი ლურჯას მოტივში, პოეტი ასე თუ ისე დავალებული იყო ქართული პოეტური კულტურის უკვდავ ქმნილებათაგან, პირველ ყოვლისა, ბარათაშვილის „მერანისა“ და გალაკტიონის „ლურჯა ცხენებისაგან“. თუმცა ერთი შეხედვით, უცნაურიც კი იყო ახალი სოციალური სინამდვილის დამკვიდრების სულისკვეთების გამომხატველი რომანტიკული სწრა-

ფვის „მიახლოვება“ იმ დიდებულ ექსპრესიასთან, რაც „მერანში“ გაპირობებული იყო სწორად არსებული სინამდვილის უარყოფით, ღრმა ეროვნული, სოციალური და მასთან დაკავშირებული პიროვნული დრამით, ბედის საზღვრის გადალახვის სულისკვეთებით, ხოლო „ლურჯა ცხენებში“ — თავისი დროის რომელიღაც ტრაგიკული ნერვის უმძაფრესი განცდით. მაგრამ, როგორც ჩანს, გავლენები და მიახლოებანი პოეტურ შემოქმედებაში ყოველთვის როდია დამოკიდებული სულისკვეთებათა თანახმიერებაზე. აქ, ალბათ, ზოგჯერ მხატვრული შემოქმედების დამოუკიდებელი შინაგანი კანონებიც მოქმედებენ, რომელთა სრული უარყოფა სრული უაზრობა იქნებოდა. მით უმეტეს რომ არსებითად სწორედ ამ კანონების მოქმედებასთან არის დაკავშირებული არა მარტო სულ სხვადასხვა სულისკვეთების გამომხატველ პოეტურ ფორმათა დაახლოების შესაძლებლობა, არამედ მხატვრულ ღირებულებათა გამძლეობაც. განწყობილებანი, სულისკვეთებანი, აზრები და იდეები იცვლებიან, მაგრამ ქვეშარბიტი მხატვრული ქმნილებანი საუკუნეებს უძლებენ.

თაობათა გაუწყვეტელი კავშირისა და წინაპართა სულიერი მემკვიდრეობის დაცვის მისწრაფებას კარლო კალაძის შემოქმედებაში ნიადაგს უმაგრებდა ეროვნული ფესვების ძლიერი გრძნობაც, რაც იმთავითვე მეტად ორგანული იყო პოეტისათვის. ამ მხრივ იგი მტკიცედ აღგა ილიას, აკაკის და ვაჟას დიდ გზას. პოეტი არ აპყოლია თავის დროზე საკმაოდ გავრცელებულ ნიპილისტურ განწყობილებებს.

პატრიოტული მოტივით პოეტის აღრინდელ ნაწარმოებთა შორის შეიძლება ყველაზე დამახასიათებელ ლექსად მივიჩნიოთ „ძახილი აღმოსავლეთს“. ფორმალური შესრულების თვალსაზრისით, ეს ლექსი შორს არის სრულყოფისაგან, მაგრამ მაშინ — 1926 წელს — ქართულ პოეზიაში ეს იყო ერთ-ერთი ვაჟაკური, გაბედული პოეტური

ხმა. პოეტმა გულმხურვალედ გასძახა ისტორიული ბედუელმართობით გატანჯულ და გადაკარგულ თვისტომებს... ფერეიდანელ ქართველებს... შეიძლება ითქვას, რომ ეს ტყვილი დღესაც არ არის მოშუშებული, ამდაგვარი ეროვნული მოტივებისათვის დატუქსეს მაშინ პოეტი, ეროვნული შეზღუდულობა უყვიინეს და 1931 წელს გამოცემულ რუსულ „ლიტერატურულ ენციკლოპედიაშიც“ ჩაუწერეს, კარლო კალაძის შემოქმედების განვითარებაში იყო პერიოდი, როდესაც იგი ბურჟუაზიული ტენდენციების გავლენაში მოექცა და თავისი ხარკი გადაუხადა ნაციონალიზმსო.

ჩემი აზრით, არ იყო სამართლიანი ეს საყვედური.

აქი იმავე 1926 წელს თავის „მხედრულში“ პოეტი მგზნებარედ უმღეროდა საბჭოთა ქვეყანაში დამკვიდრებულ ხალხთა შეგობრობას:

თუმცა სხვადასხვა გორის ვართ,
გვარჩევს სხვა გვარ-ტომობით,
ჩვენ გულის ლტოლვა ერთი ვაჟებს...
ხორცილ და სისხლით ტოლვბა!
ახლა ხვეიდან ხვეებში
მტრობით ხომ არვინ გადარბის!
ძმადშეფიცული მოვდივართ,
როგორც ზვირთები არავის!

გარდა ამისა, გადაკარგულ თვისტომებთან შეხმიანებაც და, თუ გნებავთ, ერის აღრინდელი ტყვილეუბის მოშუშების სხვა მოტოვებიც არსებითად ხალხთა თავისუფლების, მათი ძმობისა და შეგობრობის მოტივის გაგრძელება თუ განვრცობა და, მაშასადამე, ეპოქის სულისკვეთების გამონახტულება იყო. პოეტს სწამდა, პოეტს სჯეროდა, რომ რევოლუციურ ეპოქას უნდა ემკურნალა ქვეყნისა და ხალხის ყველა ჭრილობისათვის... და ის, რაც ტყივა „სამშობლოს, რაც ტყივა ხალხს, არ შეიძლება არ ტყიოდეს პოეტსაც... აღამიანი სულიერად შეიძლება აღდგეს და გამთლიან-

დეს მხოლოდ თავის ხალხთან, თავის სამშობლოსთან ერთად. ამ მოტივს — მოტივს ადამიანის სულიერ-ზნეობრივი არსების ორგანული კავშირისა თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის ბედსა და უბედობასთან — პოეტი არაერთხელ უბრუნდება თავის სრულ პოეტურ სიმწიფეშიაც.

ესა ხელით ხალხთან ერთად ვწვდებოდი,
ბოჩკით წაღწი ფეხბქვემ გვეყარა, —
მეც ვინგრეოდო, მეც ვმუნდებოდი
ისე, ვით ჩემი ცა და ქვეყანა.

პოეტს მუდამ ფლობს სამშობლოს მთელ ისტორიულ ბედთან განუყრელობის გრძნობა. ეს გრძნობა კი არსებითად პუმანიზმის დიდი გრძნობის ნაწილია. სამშობლო სხვა არ არის რა, თუ არა ადამიანის უპირველეს და უახლოეს კავშირთა ცოცხალი ხეულო: დედა, მამა, ძმები, დები — ადამიანები, ხალხი, რომლებთანაც გაიბმის ხოლმე ჩვენი პირველი ადამიანური კავშირები, გზები, ბილიკები, მთები, ველები, მდინარეები, სოფლები, ქალაქები, პირველნი რომ შეგვიღებენ ხოლმე სამყაროს კარებს, ენა, რომლითაც პირველად ავმეტყველდით, წინაპართა დიდი სულიერი საგანძური, ხალხის დიდი მატთანე, ზღაპრები, ლეგენდები, სიმღერები, პანგები, პირველნი რომ გვაზიარებენ სულის დიად ნაყოფთ... რასაკვირველია, ამის იქითაც ჩვენ განუწყვეტლივ ვაბამთ ახალ კავშირებს, მაგრამ ისინი არსებითად აგრძელებენ პირველ კავშირთა ხეულოს... დიდი ანგარიშით ქვეყნიერება აგრძელებს და აღრმავებს სამშობლოს ისე, როგორც კაცობრიული — პიროვნულს.

ვინ მოთვლის, რამდენი ვინმე და რამდენი რამე წამოიწყებს ხოლმე ადამიანის სულში სამშობლოს მშვენიერ სიმღერას, რამდენი რამის ხატება გააკება გულს დღეთა დასასრულამდე... და, ვინ იცის, სად, როგორ და რამდენხაირ ფიქრს გადაჰქსოვება თვითეული მათგანი... აი, ვთქვამთ, ხატება ძელქვების იმ კორომი-

სა, პოეტის სამშობლო სოფლის გორცეს რომ ამშვენებდა პოეტის უბედობაში. საერთოდ, ქართველ ქაცის უწყვარს მცენარეები, იგი გულგრილად ვერ ჩაუვლის ვერც ვაზსა და ვერც კაკლის ხეს, ვერც ჭადარსა და ვერც ვერხვს, ვერც ვაშლისა და ვერც ატმის ხეს, ვერც წიფელსა და ვერც მურყანს, ვერც მუხასა და ვერც ძელქვას... ბევრჯერ წმინდა ხედაც კი შეურაცხავთ ზოგიერთი მათგანი.

ძელქვა, ვკონებ, საქართველოს, კერძოდ, კოლხეთის ბუნების ერთ-ერთი იშვიათი ხელწერაა, დაახლოებით ისეთივე ხელწერა, როგორიც არყის ხე რუსეთის ბუნებისა.

რასაკვირველია, ძელქვაც, ისე როგორც ბუნების ყოველი უსულდგმულო საგანი, უმეტყველო, უგონო და გულცივია, სანამ მას კაცის ხელი, თვალი და აზრი არ მოჰკიდებია. კაცის თვალითა და აზრით კი იწყება მისი ცხოვრების გრძელი და წარმატცი ზღაპარი, იბადება პოეზია. ბევრი რამ არის ამ ზღაპარში: მშობელი მიწის ტკივილიცა და სიამეც, მსურველებაც და სიკრილეც...

იმ ძველ ძელქვებს პოეტმა დაგვიანებით, თითქმის ხანდაზმულობაში, უმღერა, უმღერა მაშინ, როდესაც დიდი ხნის შემდეგ კვლავ ეწვია სამშობლო სოფელს და ნახა, ძელქვები ისევ იდგნენ „გჯუფად, ვით ძველი დიდებულეები“; მხოლოდ ერთი მათგანი გადასდგომოდა იმ გზას, სოფელს რომ გაჰყავდა. აქ კი პირველი ხილვის სიანკარე სხვა ფიქრს, სხვა ამბავს გადაეხლართა, ურჩი ძელქვის ტრაგედიაში სხვა სიღრმეები გაიხსნა. სოფელმა დასცა ნიადაგში ღრმად ფესვგადგმული ხე. პოეტი ხედავს სოფლის დიდ ძალას, მის უღმობელ სიმართლეს, მაგრამ აძრწუნებს დიდებული და მშვენიერი ძელქვის სიკვდილიც:

შეძრწუნებული დავრჩი სიკვდილით,
ხე ჩემს კიშართან ეგლო გულამბა.

ბედი უდრეკთა? ისინი ზომ თავისას არ იშლიან, თავისას არ თმობენ, თავს

აკლავენ იმას, რაც სწამთ, რაც სჯერათ, რაც უყვართ; მათ არ შეუძლიათ შეღი-
რწება. შეგუება და ამიტომ იღუპებიან
აღმატებულ ძალასთან ჭიდილში. მათ
ეჯავრებათ ღირწნი და შემგუებელ-
ნი, ფეხქვეშ რომ ეგებიან და ტალახი-
ვით ედებიან აღზევებულთ... დაცემუ-
ლი ძელქვის ერთი კუნძი კი ბუხარში
განაგრძობს თავის აალებულ ზღაპარს.
ძელქვა იწვის, მაგრამ პოეზია არ კვდე-
ბა.

აღარ დგას როგორც ხე ახოვანი,
კუნძია ახლა, მაგრამ ფარული
გულში აქვს სითბო ათასწლოვანი,
ენი, სიცოცხლე და სიხარული.

ო, ეცემიან, იწვიან, იდაგებიან, მაგ-
რამ სითბოს, სიცოცხლეს, სილამაზეს
მიინც სულით მაღალნი ამრავლებენ.

კ. კალაძის შემოქმედება გააზრებულ-
ი იდეური მიმართებისაა. პოეტის ყვე-
ლაზე დიდი და ყველაზე ორგანული
რომანტიკა ვადახდილ რევოლუციურ
ბრძოლათა რომანტიკაა. თავისი სულიე-
რი ბიოგრაფიის სათავეს პოეტი ასე
გამოხატავს:

ეიცი, და გულში მაქვს ჩარჩენილი,
ცხრა მამ თუ სიხბლი როგორ დიდვარა, —
დედაენასთან ერთად ლენინი
ჩემმა მშობელმა მეც შემაყვარა.

თავისი მთავონების უმაღლეს საგანს
კი ასე განსაზღვრავს პოეტი:

სულერთია, კლდეა თვალწინ,
თუ ზურმუხტი მდელისი, —
სულერთია, ოღონდ იყოს
კალთა საქართველოსი.

ამრიგად, პოეტის მსოფლშეგრძნებას
იმთავითვე ახასიათებს გარკვეული ში-
ნაგანი დისციპლინა. ო, ეგ სიტყვა —
დისციპლინა, — შესაძლოა, ერთობ ცი-
ვი და ერთობ არაპოეტური იყოს. იგი
ხომ შებორკვას და მორჩილებას მო-
ასწავებს. მაგრამ ამ შემთხვევაში საქ-
მე ეხება გარკვეულ მსოფლმხედვე-
ლობით, გარკვეული სოციალური და

ზნეობრივ-ესთეტიკური იდეალებით მო-
წესრიგებულ სულიერ სამყაროზე. მე
ეხება ადამიანის მარწმამს
მი მარწამსი კი ჩემი შინაგანი დისციპ-
ლინაა. და თუ მე განვიციდი, ვაზროვნებ
და ვმოქმედებ ჩემი მსოფლმხედველო-
ბის შესაბამისად, მაშინ მე შინაგანად
თავისუფალი ვარ, მე წესრიგი შემაქვს
ჩემი ინსტინქტებისა და ემოციების მოძ-
რაობაში, მე თვალს ვუსწორებ და ვშვე-
ლი ჭეშმარიტებას, თუნდაც იგი ანგრევ-
დეს და ლეწავდეს მთელს ჩემს გაუც-
ნობიერებულ ვნებებს... ეგ ასე არის...
თუმცა, ვინ იცის, შესაძლოა, ერთობ
დაოკებულ და დათვინიერებულ გრძნო-
ბებში იმალებოდეს პოეტისა თუ
პოეზიის სუსტი მხარეც, რადგან
პოეზია იქნებ სწორედ მაშინ აღ-
წევდეს მწვერვალებს, როდესაც
შეუზღუდავი და შეუბორკავი გრძნო-
ბებითა და ვნებებით იკვებება. მაგ-
რამ ყოველი ეპოქა, მით უმეტეს, დი-
დი გარდაქმნებით დაძუტული ეპოქა,
თავის „კანონებს“ უწესებს გრძნობებ-
საც, აზრებსაც და, მაშასადამე, პოეზია-
საც. დიდ ისტორიულ გადასასვლელებ-
ზე — მწვევე სულიერ-ზნეობრივი გამო-
ცდების ეამს — ზოგჯერ განა აუცილ-
ბელი არ არის გულის მხურვალე სი-
მღერის დაყუჩება გონების მკაცრი დას-
კვნების წინაშე?

კარლო კალაძე ყოველთვის კვალში
ჟღვას დროს.

.30-იან წლებში შექმნილი ლექსები,
რომლებიც შეიძლება აგებულ იქნან
ციკლების — „მთების ეპოსის“, „ხერ-
თვისის განთიადების“ და ცნობილი ლი-
რიკული ლექსის „ფიქრის გორას გაზა-
ფხულის“ ირგვლივ, შეადგენენ პოეტის
შემოქმედების მნიშვნელოვან ეტაპს. ამ
ლექსებში მთავარია შემოქმედებითი
შრომისა და ადამიანთა სულიერი გაუხ-
ვეების მოტივები, დაკავშირებული შენე-
ბის, აღორძინების და ბუნების ძალთა
დამორჩილების პროცესებთან. პოეტი
ადიდებს სიცოცხლის ძალებს, ადიდებს
გმირულ საწყისებს ცხოვრებასა და
ადამიანებში.

შესაძლოა, ყოველთვის ვერც კი მოქონდა წარმატება პოეტის კიდილს ქართული სიტყვის სტიქიასთან, მაგრამ იგი დიდხანს რჩებოდა ახალ ფორმათა დაუცხრომელ მაძიებლად, პოეტ ექსპერიმენტატორად. ერთი რამ კი, სახელდობრ, ომანხიან-ხალისიანი კილო ანუ ეგრეთწოდებული მაჟორი ბოლომდე დარჩა მისი ლექსის ორგანულ თვისებად. მართალია, „ფიქრის გორას გაზაფხულის“ ნათელი საგაზაფხულო ტონები სამამულო ომის წლებში „საარტილერიო დუელის“ მკაცრი საბრძოლო-პატრიოტული პეროიკის დრამატიულმა ტონებმა შესცვალეს. მაგრამ პოეტის ლექსში სისხლიანი დღეების სუნთქვამაც ვერ ჩააქრო სიკოცხლის ძალების ძალში ეღერა. დამახასიათებელია, რომ პოეტის მიერ აღქმულ ომის სინამდვილის თვით ყველაზე პირქუშ და ტრაგიკულ ვითარებაშიაც კი — მწვევე სიუჟეტებსა და სურათებში — თითქმის ყოველთვის მონაწილეობს სიყვარული, ქალი, სიმღერა... პოეტს სწამს, რომ კეთილისა და ბოროტის დაუნდობელ ბრძოლაში სიყვარული კეთილის უღვევი ღონე და უჟანგავი აბჯარია. ამიტომაც სიკვდილთან გაკამათებულ მეომრებს ყველაზე დიდი შინაგანი გასხვივონებისა და შემართების ძალას აძლევს სწორედ მოგონება საყვარელი არსებისა, მოგონება ამურის პირველი ნაისრალისა. მათ ფიქრებს იმედის შუქივით ერთვის „ის ერთი წუთი დაუვიწყარი“. ბარათიც კი, ბარათიც რაა სასურველისა — „თითქოს იმედად მეტად მცირეა“, მაგრამ თუ აი ამ ქართველ ჯარისკაცს ჰკითხავთ, თერგის ნაპირებთან მძიმე ბრძოლები რომ გადაუხდია, გეტყვით, რომ ეს ბარათი „ბრძოლების მონაწილეა“. აზრის შესაკრავად პოეტი მიმართავს პოეტურ სენტენციას:

როგორ დაცხრება გულისთქმა ბრძოლით,
კაცს მხრები როგორ მოეღუნება, —
თავისი სატრფო და გულისტოლი
ყოველთვის გვერდით თუ ეგულება.

აღსანიშნავია, რომ ცხოვრების მწვევე და რთული საკითხების წამოჭრას კვალობაზე პოეტის შემოქმედებამ მისი თანდათან ძლიერდება სენტენციურ-შეგონებითი ნაკადი. პოეტის გულიცა და თვალიც თითქოს უფრო გამომკვლევი და ანალიტიკური ხდება. შემთხვევითი არ არის, რომ პოეტის ერთ-ერთი „საპროგრამო“ ლექსი — „სიყვარული“, შექმნილი 50-იან წლებში, არსებითად შეგონებითი ხასიათისაა. შესაძლოა, ეს ლექსი პოეტმა თავის მომავალ „რჩეულ-ლებში“ არც კი შეიტანოს. მაგრამ იგი მაინც საგულისხმოა თავისი ერთგვარი საეტაპო მნიშვნელობით პოეტის შემოქმედებაში. მოულოდნელი და განსაცვიფრებელი ლექსში არაფერია, მაგრამ მას აქვს ნათელი შინაგანი სარკე, რომელშიაც ბევრი რამ ირეკლება. ლექსი და პოეზია, საერთოდ, არ საქირიებს არც მოყოლას, არც აღწერას, იგი უნდა წაიკითხოთ და განიცადოთ დაახლოებით ისე, როგორც მუსიკას ან მხატვრობას განიცდით. აქ კი მაინც უნდა გავყვეთ ლექსის ძარღვს. პოეტი გეკამათებათ თუ გესაუბრებათ თქვენ სიყვარულის გამო, გესაუბრებათ, რომ ფიქრებში, შეგიყოლიოთ და თავის სანუკვარ აზრამდე მიგიყვანოთ. ალბათო, შენც გიყვარს და გზიბლავს ცინცხალი ცისკარი, გულს გიზურავს, განაღვლიანებს პირქუში ცა, გზიბლავს სიბნელიდან ამოცურებული მშვენიერი სანახები სამშობლოსი, გახარებს ფერებად აფეთქებული გაზაფხული და, ვინ იცის, იქნებ შენც.

კიდით კიდემდე მოიარე მიწა ქართველთა
და სიყვარულში ახლაც ისე შემოგათენდა,
რომ მზემ ნათელი ხელმეგაწვდილს

შემოგაფრქვია...

და ამ სიყვარულს — სიყვარული მაინც არ ჰქვია!

გიტაცებს, ალბათ, წინაპართა ნაამბარის — ძველი ტაძრების, ციხე-კოშკების, ძეგლების, ნანგრევების, ხელოვნების ნიმუშების — ერის ისტორიული ცხოვრების ამ დიდი წიგნის კითხვა, სუ-

ლში მუდამ ელერს „გეგებისტყაოსანი“;
გაღვლევს მცხეთაც, არმაზიც... გეგუ-
თის „დაქცეული ციხე-დარბაზიც“ და,
ვინ იცის, იქნებ, შენც დადინარ და

ჭვთა გულშეგრძე ნაჩუქრთმევე გრებილს
დაქეძებ
და სასოებით შეგიძლია მუხლზე დაუცე...
ჩუქრთმევე თითქოს აწყვეტილი ვულის
ძარღვია...
და ამ სიყვარულს — სიყვარული მაინც არ
ჰქვია!

შეგიძლია თავი დასდო სამშობლო-
სათვის, თავი დასდო თბილისისათვის
მტერმა საზღვრების მუდრობა თუ
დაარღვია...
და ამ სიყვარულს — სიყვარული მაინც
არ ჰქვია!

რაგინდ გიყვარდეს, რაგინდ გზი-
ბლავდეს სამშობლო ქვეყნის ბუ-
ნება, „...მთები და ჩუქურთმები...
ძველი ქართული... ჩვენი ახალი ქა-
ლაქები ცად ამართული“, უსულო
უსიცოცხლო გრძნობაა, თუ ამ ქვე-
ყნისა და ამ ბუნების ადამიანი არ გი-
ყვარს... არარა არის აღფრთოვანება
ბუნებისა და საგნების სილამაზით, თუ
შენ იმავე დროს შეგიძლია გულგრილად
ჩაუარო ადამიანებს, მათ ტანჯვასა თუ
სიხარულს, გულგრილად ჩაუარო ბიჭუ-
ნას, „დედაქანას“ რომ ჩასხივებია.

მაშინ ჩვენს იმედს და სიცოცხლეს
გზა დაკარგვია —
და ამ სიყვარულს — სიყვარული, მართლაც,
არ ჰქვია!

აქ არის კარგი პოეტური გუჟანი: დი-
დი სიყვარულის გზა ნივთების ტყვეო-
ბისაგან თავდახსნის გზაა. რა თვალწი-
რმტაკიც უნდა იყოს ბუნება, რა დიდე-
ბული და ბრძნულიც უნდა იყოს საგნე-
ბისა თუ ნივთების წყობა. ისინი მაინც
ადამიანურ ღირებულებათა და თვისება-
თა გარეშეა. სიყვარული კი (და, თუ გნე-
ბავთ, სიძულვილიც) შეიძლება იყოს
მხოლოდ ადამიანის ადამიანთან დამოკი-
დებულება და არა ნივთებთან დამოკი-

დებულება. არსებითად სიყვარულიც და
სიძულვილიც შეიძლება მხოლოდ იმისა,
რაც ადამიანს ახასიათებს ანუ, რაც ადამი-
ანია. ადამიანი კი ერთხელ ცოცხ-
ბლობს და ცოცხლობს როგორც პირო-
ვნება, როგორც ერთადერთი და განუ-
მეორებელი. ზოგადი ნიშნებით; რასა-
კვირველია, ადამიანები მეორდებიან,
მაგრამ პიროვნებანი—არასოდეს. ადა-
მიანს, როგორც პიროვნებას, ვერც ვე-
რავენი შეცვლის, ვერც ვერავენი გაიმეო-
რებს, ვერავენი იცოცხლებს მისი სიცოც-
ხლით, ვერავენი იტყვის მის სათქმელს;
მისი სულის, მისი არსების ანაბეჭდი
მთელ სამყაროში ერთადერთი და განუ-
მეორებელია. ეს ერთადერთობა და გა-
ნუმეორებლობაა მისი ბედისა და უბე-
დობის სათავსოც. მხოლოდ აქ შეიძლე-
ბა იყოთ მისი მტერიცა და მოყვარეც,
მისი თანაზიარიც. მართლაც, თუ სიყვა-
რული ამ ქვეყნად შესაძლებელია, შესა-
ძლებელია სიყვარული მხოლოდ იმისა,
ვინც თქვენს გვერდით არის და თქვენს
დროში ცხოვრობს, ვისთანაც ზიარი
გაქვთ დღე და ღამე, ცა და მიწა, ჭირი
და ლხინი, სიკეთე და ბოროტება. სიყვა-
რული, პოეტის აზრით, ბედთა ზიარ-
ობაა:

აქი ჩვენც ზრბოლამ და იმედმა დაგვაშობილა,
ვგრძნობთ: სიყვარული მხოლოდ ჩემი შობა
ყოფილა!

სიყვარული ადამიანისა განყენებულად,
ზოგადად, მხოლოდ მირაქია და არც
არავის არაფერს ავალებს. ბევრს რასმეს
კი მხოლოდ კონკრეტული ადამიანების
სიყვარული გვავალებს. სწორედ ეს სი-
ყვარული იწვევს მთელი ჩვენი ძალბის
ამოქმედებას. მომავლის დიდი საქმე
მხოლოდ იმათ უკეთებიათ, ვისაც თავი-
სი დროის ადამიანები ჰყვარებიათ, მა-
თი ჭირ-ვარამით უცხოვრიათ და მათი
ბედნიერებისათვის უღწვიათ. მომავალს
მხოლოდ დღევანდელი ცოცხალი ადამი-
ანები ქმნიან. და არის უღიღესი ადამი-
ანური სიკეთე სწორედ იმაში, რომ ამ
ცოცხალი ადამიანების საკეთილდღეოდ

გააკეთოთ ის, რაც შეგიძლიათ გააკეთოთ. ეს იქნება ნამდვილი ბრძოლა მომავლისათვისაც და იმის ბედნიერი გომბაც, რომ რალაცათი, — თუნდაც სულ მცირეოდენი რამეთი, — გაახარე ადამიანი და თუნდაც ერთი ბეწოთი მაინც იმაზე უკეთესი დატოვე წუთისოფელი, ვიდრე დაგვდა იგი.

აქეთენ არის მიმართული პოეტური შეგონება:

რასაც გვიჩვენებს თვითელი წამის ისარი,
საკეთილდღეოდ მხოლოდ ცოცხალ გულისთვის
არა...

ამ გზით, ამ რწმენით, „კერის ცეცხლივით გაღვივდება დღე წინანდელიც“ და „მომავლის შუქიც შიგ თვალებში შემოგვეფრქვევა“.

ვფიქრობ, კარგია, როცა პოეტი ფიქრებში შეგიყოლებს და ცოცხალ სიტყვას ავადღვენებს. ვინ იცის, სად და როდის მოგვიხდება გავიხსენოთ: „და ამ სიყვარულს — სიყვარული მაინც არ ჰქვია“.

კარგია ისიც, როცა ქმნილებაში, როგორც სარკეში, ჩანს თვითონ შემოქმედიც. აი, მე ვხედავ მას, მესმის მისი ხმა, რამდენიმედ გამძნელებული თუ დაძახული, თითქოს ცდილობსო, სიტყვას რაც შეიძლება, გულის მეტი მღელვარება ამოაყოლოს. მერე რა? თუ „ჩუქურთმაც თითქოს აწყვეტილი გულის ძარღვია, ვანა სიტყვას ნაკლებად მართებს იყოს გულის ნაგლეგი“?

პოეტი უმღერის სიყვარულს, როგორც ძმობასა და მეგობრობას, სიყვარულს, რომელიც ანთებს, მაგრამ არ აღნობს, აკავშირებს, აახლოვებს, მაგრამ არ სპობს, არ ნთქავს.

დიდი სულიერი სისავსისა და პარმონის სათავეს პოეტი ხედავს ადამიანთა ისეთ ძმობასა და მეგობრობაში, რომელიც გამორიცხავს პიროვნულისა და განსხვავებულის ყოველგვარ შებლაღვასა და წარხოცვას.

ხალხთა ძმობა და მეგობრობა კარლო კალაძის მთელი შემოქმედების ერთერთი მთავარი თემაა. მაგრამ პოე-

ტი არა მარტო პოეზიაში, ცხოვრებაშიაც მეგობრობის გულმმრეკრუნი იმდენია. მეგობრობის გეოგრაფიის მის ცხოვრებაში არანაკლებ ვრცელია, ვიდრე მის შემოქმედებაში. მას აუარებელი გულთადი მეგობარი ჰყავს — რუსი, უკრაინელი, სომეხი, აზერბაიჯანელი, აფხაზი, დაღესტნელი, ოსი და ბევრი სხვა ერის შვილი. მათმა ამბავმა შეიძლება პოეტის ბიოგრაფიის ძალიან დიდი ტომი შეადგინოს. ვიტყვი თ მხოლოდ: მეგობრობით ნაწრთობი თუ ნაქსოვი სული ადამიანისა და პოეტისა უძველად უხვი და ლაღია.

თუმცა მეგობრობაცაა და მეგობრობაც. ზოგჯერ ანგარებაც და ვაბატონების ტინიც იკეთებს ხოლმე მეგობრობის ნიღაბს. მაგონდება, ასეთ ცრუ მეგობრობაზე პოეტმა ერთხელ თქვა: — ღმერთმა გვაშოროს მეგობარი, რომელიც გეაღერებს, გულში გეკრავს, რომ მერე უეცრად წელში შეგვივარდეს და მიწაზე დაგვესო. ღიახაც! რად უნდა დავივიწყოთ უკვდავი სიბრძნე:

მოყვარე-მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო
მტრია.

კარლო კალაძის მთელ შემოქმედებაში, თითქმის ყოველ მის ლექსში, იგრძნობა რალაც გასაოცარი შეპყრობილობა ყოფიერების სიხარულით. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სიცოცხლის შელენილმა და შეხუთულმა ძალეებმა რმის ბორკილები აიყარა და ქვეყნიერებამ ბოროტის ძლევა იხიემა, პოეტი თითქოს ახალი ძალით შეიჭრა თავის ბუნებრივ სტიქიაში. ფურცლავთ მის ლექსებს და თითქოს ვილაც განუწყვეტლივ ჩავძახით: — არის ცა, მიწა, მზე, ჰერი, არის საქართველო, თბილისი, მტკვარი, რიონი, ენგური, ალაზანი, არს შოთა, ვაჟა, ილია, აკაკი არიან მეგობრები, არის ქართული სიტყვა, არის ქალი, არის ვენახი. და ხარ შენ, მამასადამე, არის უსრეტი წყარო სიხარულისა, და შენ ძალგამს მოიპოვო სიხარული, მოიპოვო იმისათვის, რომ მთელ ქვეყანას გადასდო.

თავად პოეზიაც პოეტს მიაჩნია სიხარულად, სიხარულად ხილვისა, მიკვლევისა, აღმოჩენისა. პოეზიისა და სიხარულის ეს შეწყვილება სრულიად ბუნებრივია იმ პოეტისათვის, ვინც ჭვეყნად ფუტკარივით დაძებებს სიყვარულისა და სიხარულის ნექტარს და ვინც ფიქრობს: „სიცოცხლე ჩემი, კაცმა რომ მკითხოს, ამ სიხარულის ერთი პწკარია“.

მაგრამ ყოფიერების ეს სიხარული, რასაც ასე განუყოფლად ეძლევა პოეტი, ცხოვრების ტრაგიკულ მხარეთა დაუნახავობისა და მათთვის გვერდის აგლის ნაყოფი როდია. ეს ხომ უსაგნო, უაზრო სიხარული და, მაშასადამე, სულის სიბრძავე იქნებოდა. არა, პოეტმა იცის, კარგად იცის, რომ ცხოვრებაში ბევრია ტკივილიცა და მწუხარებაც. მაგრამ მიიღებთ თუ არ მიიღებთ პოეტის შეხედულებას, — ეგ სხვა საქმეა, მას მაინც ასე სწამს: სიმღერამ, ხელოვნებამ, პოეზიამ, კი არ უნდა გააღრმავოს და გააძლიეროს სევდა, მწუხარება, ტკივილი, არამედ, პირიქით, უნდა შეამსუბუქოს, უნდა ჩააქროს იგი, ამიტომაც ნატრობს პოეტი; „ნეტავი თვალის გახელით ბნელი კვლავ დამაფრთხობინა“.

დღე, ჰგავდეს პოეზია ბნელის დამფრთხრობთ თვალის გახელასაც.

კარლო კალაძის ეანრობრივი დიაპაზონი საკმაოდ ფართოა. იგი წერს პოემებსაც და პიესებსაც. მაგრამ, ჩემი აზრით, მისი ნიჭისათვის ყველაზე ორგანული მაინც ლირიკაა, განსაკუთრებით, ეანრულ-პეიზაჟური ლირიკა, ლირიკული ნატურმორტები თუ პორტრეტები. პოეტის შემოქმედებაში ყველაზე უმაღლესწორედ ასეთი ხასიათის ლექსები იჭყვევს ყურადღებას თავისი გამოკვეთილი პოეტური აზრით, დამთავრებული პოეტური ფორმით. ამ ლექსებში სიტყვაც საგნის გარეგნული აღწერის საშუალებიდან გადაქცეულია საგნის დამორჩილების საშუალებად, საგნის შინაგანი პოეტური აზრის, მისი რიტმისა და სახიერების, მისი წარმოსახვითი კავშირების გადმოცემის საშუალებად.

ერთ ფრიად საგულისხმო ლექსს „მევე ძელქვევს“ ამ მხრივ უკვე შევხვედით. დინჯი და დრამატული ძელქვევებისაგან“ განსხვავებით, მაგალითად: „მუხა-ბერდია“ მოკისკასე ლექსია, მაგრამ ამ ლექსშიაც დგას სამშობლო ჭვეყნის საამო სურნელება.

ახალ ყანებში ჩამდგარო,
მუხავ, მოთხარი ვინა ხარ?
მეფე ერეკლეს კაცივით
აგრე ვინ შემოვიხახ!

ამ ჩვენს ხეესა და მდინარეს
დაჟურებ მაღალ-მაღალი,
ბადის გასროლა თუ მოგწონს,
ტალღების აყალმაყალი!
მუხავ, შენ ჩრდილქვეშ დაეჯდები,
დაჟუციდი ფიროსმანიშვილის,
ხელდალოცვილი კაცია —
სუფრას მინდორზე გამიშლის!

აქ პეიზაჟის გრძნობა თავისი მოულოდნელი და თითქოს უცნაური ასოციაციებით გადადის სიცოცხლის, ბუნებისა და სამშობლოს შთაგონებულ განცდაში. თუ თქვენ გინახავთ სადმე ყანაში, მსკოვანი კაცივით, შემორჩენილი მუხა, პური გაგიტეხიათ ან თვალი მოგიტყუებიათ მის ჩრდილში, მოგისმენიათ მშობლიური მდინარის ტალღათა აყალმაყალი, დაგინახავთ ბადის გაშლა და თევზების ფართხალი, — ადვილად შეუზიარდებით პოეტის გულისნადებსაც და ხელდალოცვილი კაცის მოლოდინსაც.

მოვისმინოთ „ივავი ბუზრის წინ“ — ეს ერთიანი ლირიკული მეტაფორაა, ლექსად თქმული ქართული ნატურმორტი. იგი რომ საღებავებით შეესრულებინა რომელიმე კარგ მხატვარს, ალბათ, სამხატვრო გალერეასაც დაამშვენებდა (ეს ლექსი 1945 წელს არის დაწერილი; შემდეგ პოეტს მისთვის რატომღაც „გუდა-სტერიი და ღვინის გუდა“ დაურქმევია და, ჩემი აზრით, სათურში ჩაუქვრია ერთგვარი რომანტიკული შუქი). ეს ლექსი კარგად გამოხატავს სწორედ პოეტის ერთ-ერთ მთავარ თემას — პოეზიისა და სიცოცხლის ძალთა კავშირს, ქართული სიმ-

ღერისა და ქართული კერის შეწყვილებას. ლექსისა და სიმღერას, კაცივით. თავის სამშობლო აქვს. უსამშობლოდ ლექსი თუ სიმღერა უსაშველო უსაზოზა იქნებოდა. ბევრიც ედავოთ, ასე სწამს პოეტს. თითქოს თვალწინ გვეშლება მითითური ელფერით მოსილი სურათი: მოგიზგიზე ქართული ბუხარი და ბნელი კუნძულიდან გამომბტარი ორი ქინკა: გუდა-სტვირი და ღვინის გუდა, მუხლებზე რომ შემოსხდომიათ და ილღაში რომ შეკუჭვია მელექსეს. ერთი რომ ჯამს უვსებს ღვინით, მეორეს სინარულით ევსება გული, „რომ სტვირს უკვდავი სული შთაბეროს“.

სტვირის ქარასა პირმოვერცხილი,
როცა ნატყვიარ მარჯვენას მიქებს,
ის ტიციც ღამზე დაკრული ღილით
დახედავს ჯამს და... ტაბილად ტიბტიკებს.

ლექსი ქართული ფესვიდან იხსნება. ბახუსის კულტი ქართველ ხალხში არასდროს არ ყოფილა ფართოდ გავრცელებული. ღვინო ქართველ კაცს უმალ ჯან-ღონის შემატების, მხიარული განწყობილებისა და სასიციოცხლო ძალების აღმგზნებ საშუალებად მიაჩნდა, ვიდრე უგონო ღრეობისა და ლოთობის საგნად, ორი გულის იგავიც აქედან ამოაქვს პოეტს. კაცის შრომით მოპოებული ბუნების მადლი — მზის მცხუნვარებისა და მიწის წვეწვინის შენახავი, აღვიძებს, აბობოქრებს სიცოცხლის ძალებს, ხოლო სიცოცხლის აგზნებული ძალები ბადებს სიმღერას, პოეზიას.

პოეტი დაჟინებით ელტვის იმას, რაც გულსაც და თვალსაც ახარებს. სწორედ ქართული სოფლის ცხოვრებიდან ამოხატული, გულისა და თვალის გამხარებელი სურათით იქცევა ყურადღებას ლექსი „მედოქეები“. ეს ლექსი, დაწერილი 1947 წელს, პოეტის უკეთეს ქმნილებათა რიცხვს ეკუთვნის. იგი არ გამოირჩევა რაიმე გამსაკუთრებული პოეტური სამკაულებით, რითმით, რიტმით და ქდერადობით. „აყალო მიწით მძერწავეების“ მსგავსად პოეტი სრულიად უბრალო საშუალებებით ხატავს

მთელ სურათსაც და დეტალებსაც. შთამბეჭდავად გადმოგვცემს სოფლელი პატარძლის სილამაზით ელდნანაცემი ახალგაზრდა მედოქის მღელვარებას. მცირე დეტალით თვალწინ გვიდგება სურათით ტანაწყობილი ლამაზი ქალი. აი, დამახასიათებელი ლაკონიზმიც: ლამაზი პატარძლის მეუღლე რომ ომგადახდილი ვაჟაკია, ამას ზებედებით ღობეზე დადაკიდებულ ჯარისკაცური ფარაჯით და ღმილით სავესე რეპლიკით, თუ შინ ასეთი საბედო ელოდა, დიახაც სასახელოდ უნდა მოეცლო ქვეყნებში... ვგრძნობთ „გამომწვარ თიხის ფერის“ მედოქეებს — „წარმართთა მეტოქეებს“, ამ უშუალო მხატვრებს, რომლებიც სრულიად უბრალო მასალით — აყალო მიწით, და ხელოვნების უშუალო გრძნობით ძერწავენ ამ ლამაზ სურებს, ხალმებს, დოქებს, კინქილებს, კურებს, ახლა პირღია „დევებივით გაბაწრულები“ რომ გაწოლილან გოგორა ურმებზე. ერთი სიტყვით, პოეტი გვიწყობს სასიამოვნო შეხვედრას ქართული სოფლის ადამიანებთან და ქართული ხალხური ხელოვნების ნიმუშებთან. ამ შეხვედრაში არის კარგი და ნათელი პოეზია.

საერთოდ, პოეტის ბევრი ლექსი აღბეჭდავს ამგვარ სასიხარულო შეხვედრას ჩვენი ქვეყნის ადამიანებთან და ბუნებასთან, სოფლებთან და ქალაქებთან, თბილისთან და აფხაზეთთან, მეგობრებთან და წინაპრებთან, ზღვასთან და მდინარეებთან. ყველა ლექსი ერთნაირი ძალისა როღია. მაგრამ მათ შორის არ შეიძლება არ აღინიშნოს „დედა“ და „მასწავლებელი ქალი სოფლად“.

„დედა“, ეს სადა, ნათელი და ძალდაუტანებელი ლექსი, მართლაც, გულითადი შეხვედრაა ომის ქირგადახდილ ქართულ კერასთან და მის მარად მღელვარე გულთან, მის ხელთუქმნელ სიბრძნესთან — ჭაღარა დედასთან.

საველისხმოა, რომ პოეტის შემოქმედებითი განვითარება მიიმართება არა პოეტურ ფორმათა ვართულებისა-

ენ, არამედ, პირიქით... მიისწრაფება, რომ ხალხის გულთან მიიტანოს თავისი სულიერი მღვდლვარება, თავისი ფაქრი და სიხარული, პოეტს სულ უფრო და უფრო ეწევა პოეზიის ხალხური სათავეებისაკენ, პოეტური სიტყვის სისადავისა და გამჭვირვალობისაკენ. ალბათ, პოეტი კარგად გრძნობს, რომ ეს მას აყენებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეგრეთწოდებული „რთული პოეზიის“ წრის გარეთ, მაგრამ პოეტი, როგორც ჩანს, ამას არ ნანობს; თავისი პოეტიკით იგი მიიწევს თავის ხალხთან, თავის ეპოქასთან რჩება და დაბეჭითებით აცხადებს:

მე გადაწყვიტე, ვიფიქრო მხოლოდ
სიტყვის მომხიზველ სისადავეზე.

და შემთხვევითი არ არის, რომ ამ მხრივ პოეტი, უწინარეს ყოვლისა, აკაკის „გაკვეთილს“ მიმართავს:

გამითენდება ნათელი დილა
და: „რა კარგია“, ვიტყვი, „რა კარგი!“
ვიპოვი შეიხვევს და გულახდილად
გავეხუმრები, როგორც აკაკი.

აკაკისებური ხალხური სინათლე და სისადავე თავს იჩენს პოეტის უკეთესი ლექსების როგორც სახობრივ, ისე რიტმულ აღნაგობაში. ამის ერთ-ერთ ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ლექსი „მასწავლებელი ქალი სოფლად“— ეს ალტაცებული შეხვედრა იმერეთის მიმოხატულ სოფელთან, მისი ახალი ყოფა-ცხოვრების ცოცხალ სურათებთან და, რაც მთავარია, სულით და ხორცილად ლამაზ ადამიანთან, ახალგაზრდა მასწავლებელ ქალთან. ლექსში იგრძნობა რომანტიკული სინათლე, კრიალა ფერები, ნარნარი სულიერი მოძრაობა.

მიუვარს, როცა თვალს შევასწრებ სოფელს
ჩემად მძინარეს,
ვარსკვლავები კენჭებივით როცა მოაქვს
მდინარეს...
გაზაფხულის დილა მიუვარს, — მისი
თვალს ბრიალი, —
შილითაა რომ გამოგხედავს ქალი
თავსაფრინი...

მაგრამ სოფლისა და ბუნების საღამაზე მხოლოდ მაშინ არის წარმეტყველებულია ადამიანით. ამიტომაც ეუბნება პოეტი ახალგაზრდა მასწავლებელ ქალს:

ან რად მინდა მთა-გორები ასე მიმოხატული,
სოფლად რომ არ გაისმოლდეს შენი ტბილი
ქართული.

პოეტი ერთგვარ რომანტიკულ გაზვიადებასაც მიმართავს:

შენ ისეთი ძალით გვხიზლავ და ისეთი
უფლებით,
რომ ცისპირზე ჩერდებოან მოგზაური
ღრუბლები.

არა, ეს არ არის უგანცდო ლამაზ-სიტყვაობა! განა არ უთქვამთ და დიდებულადაც არ უთქვამთ, თუ როგორ არწევს სიყვარული ვარსკვლავებს? რით ვერ შესძლებს სულიერი და ხორციელი სილამაზე შეაჩეროს ღრუბლები? ეგ ხომ პოეზიად ქცეული გრძნობაა!

ლამაზი ადამიანი ალამაზებს ქვეყანას. ეს აზრი მთასავით ხნიერია. მაგრამ ახალია პოეტური გრძნობა ამ აზრისა. კარგი და მიმზიდველია ჩვენი დროის ახალგაზრდა მასწავლებელი ქალის ლირიკულ-რომანტიკული პორტრეტი.

ბევრი გზა უვლია, ბევრი შეხვედრა ჰქონია, ბევრი მოსაგონარიც აქვს პოეტს. არ შეიძლება მის პოეტურ ბიოგრაფიას არ ამდიდრებდეს, ეთქვას, ნაცნობობა და პოეტური შეხმაურება მაიაკოვსკისთან, შეხვედრა ნაზიმ ჰიქმეთთან და ელდუარდ ბაგრიკისთან კუნცოვოში, გასაუბრება ვურგენ მაართან საიათნოვას ლექსების გამო, შეხვედრა ცნობილ უკრაინელ პოეტებთან და მრავალი სხვა ასეთი რამ. მაგრამ დროსა და თავისთავს, შესაძლოა, პოეტი არანაკლები ძალით გამოხატავდეს თბილისელ ტაქსის შოფერთან საუბარში, შოფერთან, რომელიც მხოლოდ ერთ რამეში ეჯიბრება პოეტს: თბილისის სიყვარულში. პოეტივით მასაც ახარებს ის, რომ თბილისი იზრდება, შენდება, მშვენიდება, მაგრამ პოეტივით მასაც

განსაკუთრებული ძალით ხიბლავს თბილისის განუყოფელი სახიერება, მისი ქართული სული.

პოეტი ხშირად მღერის მგზავრულსაც. მაგრამ შორეული გზები მაინც არ არის მისი სიმღერის დიდი საგანი. მის პოეზიას, უწინარეს ყოვლისა, სამშობლო ქვეყნის ფუძისეული თუ ნიადაგისეული წყაროები ასაზრდოებენ. ერთ თავის საპაექრო ხასიათის ლექსში „ფიქრი გზა და გზა“ იგი კიდევაც ედავება ვიღაცას ამ თემაზე:

რომი,
ლონდონი,
პარიზი,
არ ვაართობდა ვანა ვულს?
და მაინც ბილიკს დავებებ,
დედის კალთიდან დანახულს.
და მაინც უცხო პალმებთან
მე საოცნებოდ არ მივალ,
ამ ჰადრის მყერად ვი რამდენჯერ
გულმგერდით დავტოლებივარ!

თავის ამ ნიადაგისეულ სულისკვეთებას პოეტი შთაგონებულად და კიდევ უფრო ენერგიულად გამოსთქვამს:

მთა გადაფურცლე წიგნივით
და ჩემი ქვეყნის დიდი დღე
მზისა და მთვარის ნათელში
ხელახლა გადაეკითხე.
საუკუნეა აქა ვარ,
ამ გზებზე გვიპლარავდი,
რიონს შევხლემდე მივდიე
მტკვარს — თითქმის განჯის კარამდი.

საერთოდ პოეტისათვის დამახასიათებელია თითქმის გულისტკივილამდე მისული სიხარული, აღძრული სამშობლოს მთებითა თუ მდინარეებით. სწორედ ამ სიხარულს გამოხატავს პოეტი ლექსში „ეს რა დიდებულ დღეს დავესწვარი“. ვისაც ერთხელ მაინც განუცდია სამშობლოს მთების რაღაცნაირი აფეთქება სულში, ის კარგად ჩაწვდება პოეტის სიტყვებს:

თქვენი სურათი მთის მწვერვალებო,
ზღვის პირად ვანა ერთხელ მინახავს?
და თქვენი თავი ვის დავანებო,
თქვენზე ლამაზი ქვეყნად ვინა მყავს.

საქართველოს მდინარეები?

ვინ იცის, რამდენი პოეტური ცეცხლი დაუგზნიათ მათ ქართულ სიტყვაში. და

ვანა მარტო ქართულ სიტყვაში? ხომ მათ გამოაკვესინეს ჩაუქრფობელ სიტყვური ნაპერწკლები მტკვარის, მდინარის და კიდევ, ვინ მოთვლის, რამდენი პოეტის მუხას... ქართულ სიტყვაში კი განსაკუთრებით დიდებული და მშვენიერია ბარათაშვილის მრავალდროების მოწამე, მაგრამ უტყვი მტკვარი, არაგვიანი არაგვი და ვაჟას არაგვი, მტკვარი, რომელთა წყალს „თამარის ტურფა თვალნი“ დაუბანიათ, ერთ-ერთს რომ ფრანგულს უქნევენ; ლიახვი, მათ რომ წინ ეგებება „წვერბასარი შუბის ტარითა“, და რიონი, მთის იქით რომ მოსთქვამს თავისი „გაშიშვლებული ხმალითა“. მათი პოეტურ-აზრობრივი ძალა და მოცულობა განუზომლად დიდია...

კარლო კალაძის ერთ-ერთი ყველაზე შთაგონებული და ჯაერიათი ლექსი „ენგურიც“ ქართული მდინარის სტიქიდანაა გამოკვესილი. მას უძველად დაკრავს შუქი დიდი ტრადიციისა. თუმცა, რასაკვირველია, „ენგური“ სულ სხვა სულეერ გამოცდილებაზე, სულ სხვა სულეერ თრთოლებაზეა სწავობილი.

ენგური რუხის ციხესთან ენახე,
იქ მოჩანს მისი ტალღების ლეწვა, —
და ერთი სიტყვა მეც გადავძახე, —
ენგურის ერთი ერთველი მეც ვარ!
— ვაგარდევია ცლდების სისქი,
როგორღა ვინდა მოვბს უერთგულო,
სამურხაყანოს მიწიდან — ზღვისკენ
თავდავიწყებით გარბი ენგურო!
იმღერე, სანამ არაა გვიან,
სანამ მიზეზიდან გასული არ ხარ,
იმღერე, სანამ ენგურის გვიან
და არა უკვე შევიზღვის ტალღა!
ენგური რუხის ციხესთან ენახე,
იქ მოჩანს მისი ჰქარი ფერხული,
ჩაოლარეია მურხაყანს სახე

და დვართაფებად მოჰქუხს ენგური
მთა შეფთოლილი ახლაც მავონებს.
რომ ტანზე წაქვის პერანგი ცეცა,
ენგური სხელი ჰქარა და მთა-გორებს
ესმის ამ წაქმნის აშკარა ლეწვა...
ვიმღეროთ, სანამ არაა გვიან,
სანამ აქ ფეხზე დვას მთების ალუა,
სანამ თვით ენგურს ენგური ჰქვიან
და არა უკვე შევიზღვის ტალღა!

როგორც ვხედავთ, აქაც პოეტისათვის ჩვეული მეორეა, სასიმღერო განწყობილება და ყოფიერების სიხარული. მაგრამ სადღაც ამ სიხარულის სიღრმეში თითქოს რაღაც წუხილიც არის. გარეგნულად ლექსში დროის ხელშესახები ნიშანიც არ ჩანს. პოეტური ნივთის თვალსაზრისით, იგი შეიძლება შექმნილიყო შორეულ წარსულშიაც. მაგრამ აქ დრო განცდაშია და არა ნივთში. ეს განცდა კი არის განცდა ენგურისა, როგორც თავისთავადი სახიერებისა. მართლაც, ენგური დიდებული და მშვენიერია მხოლოდ მაშინ, როცა იგი სავსეა თავისთავით, თავისი სტიქიით, როდესაც ლაღად მოჰქუხს და მოჰყეფს თავის მთებსა და ჭალებს, როდესაც თავის საკუთარ სიმღერას მღერის... და არა მაშინ, როდესაც იგი შავი ზღვის უსახო ტალღად იქცევა, სახესაც ჰკარგავს და სახელსაც.

უსახო და უპიროვნო ზეც არ ვარგაო, უთქვამთ; თუ არ უთქვამთ, იტყვიან ალბათ, იტყვიან, რადგან ადამიანები ელტვიან მშვენიერებას. მშვენიერი კი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რასაც თავისი სახე, თავისი განუმეორებელი არსება აქვს.

გაუსახურება სიკვდილსაც უდრის. მართლაც, პიროვნულობისა თუ სახიერების მოშლა და სამყაროს დაუსაბამო ნივთიერებაში გათქვეფა რომ არა, სიკვდილი არც იქნებოდა საშიში და შემადრწუნებელი, რადგან სამყაროში არც არაფერი ჭრება, არც არაფერი იკარგება.

განცდაში გასხივებული ენგური კი ენგურიცაა და რაღაც სხვა უფრო დიდებულიც. მდინარე ენგურს, რასაკვირველია, ვერ მოშლის, ვერც შთანთქავს შავი ზღვა. ენგური არ მოკვდება (ან რად უნდა მოკვდეს ენგური?), იგი მუდამ იდენს, ზღვა მხოლოდ მის წყალს შეირთავს. ენგური უხვია და ზღვისათვის წყალი არ ენანება.

მაგრამ, ალბათ, სულ სხვაა ბედი იმ არსებათა და სახეთა, რომელთაც, შესა-

ძლოა, მართლაც, ემუქრებოდეთ გათქვეფა, გაუსახურება. რად არ უნდა იყოს ბუნებრივი და სამართლიანი მათი დრტვინვა? რად უნდა იყოს დასაძრახი და დასაგმობი ეს დრტვინვა? მით უმეტეს, რომ პიროვნულობის მოშლა და გაერთსახება არსებითად ცხოვრებისეულ წინააღმდეგობათა გადაწყვეტის ყველაზე არაბუნებრივი და არაადამიანური გზაა...

გაერთსახება (ანუ ეგრეთწოდებული სტანდარტიზაცია), რასაკვირველია, სასარგებლო და აუცილებელიც არის, ვთქვათ, ნივთიერი წარმოების დარგში, იქ, სადაც საჭიროა სავანთა სერიული გამოშვება. იგი ალბათ, ხელსაყრელია მშენებლობაშიც (თუმცა თანამედროვე ქალაქების ზოგიერთ უბანს რომ ვახედავთ, გული შეგიღონდებათ იქ გამეფებულ უსიცოცხლო ერთფეროვნებისა თუ ფორმათა საოცარი სიღატაკის გამო). მაგრამ ხალხთა და ადამიანთა სულიერი ცხოვრების, მათი სულიერი შემოქმედების გაერთსახება ხომ ცხოვრების შემზარავი გამოფიტვა და გაბერწება იქნებოდა!

არის რაღაც ლამაზი, წარმტაცი და მაღალი სიმღერის ეინში, რომელიც ებრძვის იმ დარღსა და წუხილს, რასაც ფერთა წარბოცვისა და სულიერი გაერთსახების მოძალეებული შესაძლებლობა იწვევს. არსებითად ეს არის სიმღერა სიცოცხლის დამკვიდრებისა.

ვიმღეროთ, სანამ არაა გვიან, სანამ აქ მთებზე ღვას მთების ალყა, სანამ თვით ენგურს ენგური ჰქვია და არა უკვე შავი ზღვის ტალღა.
 კარლო კალაძე თითქმის მუდამ სიხარულისათვის მღერის. მაგრამ ხდება ხოლმე ზოგჯერ ისეც, რომ ადამიანი ომპიან და მხიარულ სიმღერას სწორედ მაშინ წამოიწყებს, როდესაც რაიმე განსაკუთრებული უახლოვდება ან გულში რაღაც სევდა უტრიალებს. უსევდო, როგორც ჩანს, არც ჩვენი პოეტი არის. მაგრამ მთელი მისი შემოქმედება სავსეა სიცოცხლის ტრფილებით.

პირველი მუხაბა

პოეტი-მომხარბი

ბევრი ქართველი პოეტის „რჩეულს“ თუ „ერთგულს“ ამშვენებს დიდი სამამულო ომის დროს დაწერილი ლექსების ციკლი.

ამ ლექსებს თავისებური საბრძოლო ბიოგრაფია აქვთ; თავისებურია და ორიგინალური მათი ლირიკული გმირი-პოეტური შთანაფიქრით, გააზრებით, გამოსახვის ფორმით და შესრულების ოსტატობით. ყველა მათგანს საერთო ლაიტმოტივი ასულდგმულებს და საგმირო-პატრიოტული იდეა უდევს საფუძვლად. ამიტომ გაიკაფა ამ ლექსებმა გზა მებრძოლი კაცის გულისაკენ, მასთან ერთად ჩადგა საბრძოლო მწყობრში. ბევრი მათგანი კავკასიიდან ბერლინამდე ჩაყვა საბჭოთა მეომრებს. ეს ლექსები არ ბერდებიან, მუჟამ ახალგაზრდები არიან, თადარიგშიც არ მიდიან, დღესაც საბრძოლო მწყობრში დგანან და პატრიოტული სულსიკვეთებით აღანთებენ ადამიანის გულს.

დღეს მეც მინდა ჩაეიცვა
არმიის ფარაქა,
მინდა ფრონტს ვამსახურო
ჩანგიცა და მკლავიცა;
მინდა ვიყო დარაჯად
ჩემი ქვეყნის შთა-ველის
და გულმკერდით დაეიცვა
მისი ყველა მტკაველი!

ამ ლექსით გამოეხმაურა გიორგი ქუჩიშვილი დიდი სამამულო ომის დაწყებას, მეორე დღესვე, 1941 წლის 23 ივნისს. და მართლაც, მთელი ოთხი წლის მანძილზე ღირსეულად ემსახურა სამშობლოსა და ფრონტს პოეტის ჩანგი. თავისი პოუბლიცისტურ-ლირიკული ლექსებით პოეტი მოგვევლინა როგორც

ფაშიზმის წინააღმდეგ ვაჟკაცურად მებრძოლი, ღირსეული მამულიშვილი.

ზემომოტანილი სტროფები უბრალო თქმა, ლამაზი პოეტური სიტყვები როდია, — არამედ მართალი, გულიდან მომდინარე ლაღადია მამულიშვილსა.

ომში მამაცად მივდივართ,
გული მივიწვევს ყველასა;
თავს ვინ დაზოგავს, როდესაც
სამშობლო ითხოვს შეველასა!
მივდივართ გულგამეხებით;
საბრძოლო დროშის ფრიალით;
სადაც მტერს შევეჩხვებით,
თავს დავატყდებით გრივალთ!

ასეთი მოწოდებით მიმართავდა პოეტი თანამემამულეებს. საომრად ამხედრებულ პატრიოტთა რიგებში, მოძმე ხალხთა შეილებთან ერთად, ქართველ მეომრებს თავიანთი ადგილი ღირსეულად ეკავათ. ისინი ყველა ფრონტზე იბრძოდნენ სახელოვნად და ვაჟკაცურად. და როცა მძაფრი ბრძოლები გაჩაღდა უშუალოდ კავკასიაში, მტრის ურდოების შესაკავებლად და დასამარცხებლად, ათასობით ქართველი მეომარი მიდიოდა ფრონტზე... მათი მამაცობისა და გულადობის ამბავი ფრონტიდან ზურგში აღწევდა და იმედის რწმენით ავსებდა მშრომელთა გულს.

ამ მრისხანე დღეებში გ. ქუჩიშვილი თანამოკალმეებთან ერთად ფრონტისაკენ მიეშურება. ომის მძიმე გზაზე, ფრონტზე მხნედ მიმავალი პოეტი წერს ლექსს — „მოლაშქრე პოეტის ფიცი“. კითხულობ ამ ერთგულების აღთქმას და კვლავ გრძნობ, რა მიზნით, რა განწყობით, მოილტვოდა პოეტი ჩვენსკენ,

ფრონტზე მყოფთ თანამემამულეებისა-
კენ:

მტერს ზურგს
ვინ აქცევს წაბანის მეთი;
ვინ გაეცემა
ჩვენს წმინდა ბრძოლას?
და მეც,
მოლაშქრე თქვენი პოეტი,
დღეს მეც ხელთ ვიღებ
პირმახვილ ფოლადს!
და ვფიცავ, ძმებო,
ჩვენს ურიცხვ გმირებს,
ჩემს უსაუვარლეს
სამშობლოს ვფიცავ,
რომ ბრძოლის ველზე
თუ გავიგმირო,
პირზე ღმილით
დავკოცნი მიწას!

ასეთი პოეტური ფიციტ, ასეთი
მეომრული აღთქმით მიდიოდა იგი
ფრონტზე. ამ ურყევ ფიცსა და აღთქმას
გულით იმეორებდნენ პირნათლად ას-
რულებდნენ მისი თანამომქმენი მოქ-
მედ არმიისში.

მაშინ ისინი მშობლიური კავკასიის
მთებს, მის სისპეტაკეს დარაჯობდნენ,
მისი ხალხების ღირსებასა და თავისუფ-
ლებას იცავდნენ სახელოვნად და ვაე-
კაცურად.

ჩვენი მთებისკენ
მოძვრება მტერი!
არ შემოუშვას!
დავიცვათ მთები!
ცხენებზე, ძმებო!
ვიწყებთ იერიშს!
მტერთა საფრენად
ვიშიშვლოთ ხმლები!

ამ მოწოდებით, ამ საბრძოლო ძა-
ხილით პოეტი თანამოკალმებთან ერ-
თად 1942 წლის შემოდგომაზე უახ-
ლოვდება ფრონტის იმ უბანს, სადაც
392-ე ქართული დივიზიის პოლკები,
ბატალიონები უა ასეულები მოქმე-
დებდნენ, მედგრად და თავდადებუ-
ლად იბრძოდნენ ძლიერი და გამოც-
დილი მტრის წინააღმდეგ.

ოქტომბრის პირველი დღეები იყო.
ჩვენს დივიზიას ფრონტზე დისლოკაცია

შეუცვალეს. ნაღიციის რაიონში მოქ-
მედების ცენტრიდან მარცხენა ფლანგ-
ზე, კავკასიონის ჩრდილოეთ კალთები-
საკენ, გადმოინაცვლა შენაერთმა. ამ
ღონისძიებათა შესაბამისად 802-ე
მსროლელ პოლკში ვიყავი გაგზავნილი.
პოლიტგანყოფილების მუშაკთან, ვლა-
დიმერ კალანდაძესთან ერთად, დაკის-
რებული ამოცანა შევასრულეთ. ერთი
კვირა დავყავით ამ პოლკთან მთებში,
საბრძოლო ლაშქრობაზე, ნაწილის პი-
რადმა შემადგენლობამ და ქვეგანყო-
ფებმა დროულად და ორგანიზებულად
ჩააბარეს პოზიციები მდინარე ბაქსანის
მარჯვენა ნაპირებზე შემცველ ქვეგა-
ნყოფებს, ჩინებულად შეასრულეს ას-
კილომეტრიანი გადასვლა მთებსა და
ხეობებში და ღანიშნულ დროზე გან-
ლაგდნენ მათთვის განკუთვნილ ახალ
პოზიციებზე.

დავალების შესრულების შესახებ პო-
ლიტგანყოფილებაში სათანადო მოხსე-
ნების შემდეგ, იქვე საბავშვო ბაღის
შენობაში ვიპოვეთ ღამის გასათევი და,
ის იყო, ძილს ვეძლეოდით, რომ გვიან
ღამით, მოულოდნელად სტუმრები
გვეწვიენ. ესენი იყვნენ ცნობილი ქართ-
ველი მწერლები: გიორგი ქუჩიშვილი,
კონსტანტინე ლორთქიფანიძე, კარლო
კალაძე, სოლომონ თავაძე და ერემია
ქარელიშვილი. დაღლილობა გადაგვა-
ვიწყა ამ უეცარმა სტუმრობამ. შუალა-
მემდე გაგრძელდა მათთან საუბარი,
თუმცა ისინიც ძალზე დაღლილები ჩან-
დნენ, მაინც არ ეძლეოდნენ მოსვენე-
ბას. დიდად სასიხარულო იყო მათი ჩა-
მოსვლა ფრონტზე, მაგრამ გაკვირვებას
მაინც ვერ ვმალავდით: ასეთ დროს და
ასეთ ვითარებაში, როგორ ჩამოვიდნენ
ისეთი ხანშესული ადამიანები, როგო-
რიც იყვნენ გიორგი ქუჩიშვილი და სო-
ლომონ თავაძე.

ნაშუალამევს დროებით მიწყნარდა
ბაასი და იქვე, ვისაც როგორ შეეძლო,
მოეწყო მოსასვენებლად... დილაზე
გასტანა ნახევრად უძილობამ. ალბათ,
თვალი თუ მოატყუეს იმ ღამეს სტუმ-
რებმა და მასპინძლებმა.

დილით მწერლებს გავუმასპინძლით. ფრონტული საუზნით, და გავაცანით, სად ვიყავით და რას აკეთებდნენ ჩვენი დივიზიის მეომრები. კითხვას კითხვაზე გვაყრიდნენ ჩვენი სტუმრები. ყველაფერი აინტერესებდათ, როგორ იბრძოდნენ ქართველი მეომრები, მათი მამაცობისა და გულადობის მაგალითები, აინტერესებდათ პირადად ენახათ ისინი იქ, სადაც ბრძოლა, მოწინავე ხაზი იყო.

შორი ახლოს სროლის ხმაც ისმოდა, უმთავრესად, საარტილერიო ქვემეხების ქუხილი. მწერლებს გული სწორედ იქითკენ მიუწევდათ. ცხადია, მაშინვე მათი სურვილის შესრულება ძნელი იყო. მძიმე, საბრძოლო ვითარებაში, საჭირო იყო მეტი სიფრთხილე და ამიტომ დივიზიის საარდლობამ ჩვენ, რედაქციის მუშაკებს, დაგვაცივრა მათი „მეურვეობა“.

პირველად მწერლები რედაქციაში, მის თავშესაფარში მივიწვიეთ. სათითაოდ გაეცნენ ისინი რედაქციისა და სტამბის მუშაკებს. გულისყურით დაათვალიერეს ჩვენი მეურნეობა. გ. ქუჩიშვილმა და ს. თავაძემ ძველი ზელობა, ასოთამწყობობა, გაიხსენეს და პირადად მოსინჯეს სასტამბო კასები, აწყობაში შეეჯობრნენ მებრძოლებს, ზოგიერთი ზელით ბეჭდვაში შეეშველა მორიგი ნომრის მბეჭდავებს.

სცადეს, მაგრამ მზარი ვერ გაუსწორეს ჩვენს მებრძოლ ასოთამწყობთ ნიკოლოზ ცინცაძის, ვალერიან ჭაცარიძის და სხვათა ოსტატობას. მათ იქვე, სტუმრების თვალწინ ააწყეს თითო სვეტი უშპონო პეტიტით სახელდახელო ზელნაწერი დედანი. ანაბექდის წაკითხვის შემდეგ, გაოცებულნი დარჩნენ თითქმის უშეცდომო მათი ნახელავით.

საფრონტო ვითარებაში გემოვნებით შეკრულმა გაზეთის გვერდებმაც მიიქცია სტუმრების ყურადღება. სუფთა, ზომიერი საღებავით ნათლად დაბეჭდილ ნომრებში ჩანდა ჩვენი მბეჭდავების არტემ სააკოვისა და სერგო ზედგინძის გულმოდგინება.

ცოცხლად, იქვე გაკეთებულმა კლი-

შეებმაც მიიპყრო მწერლების ყურადღება. უფროს ლეიტენანტ ალექსი პირმისაშვილის, ლეიტენანტ აკაკი ქედიძის, უმცროს ლეიტენანტ ნესტორ მიქაძის, უფროს სერჟანტ ნოე ჩინჩალაძის, წითელარმიელ იოსებ კაკაურიძის და ბრძოლებში წარჩინებულ სხვა მეომართა საბრძოლო პორტრეტებმა დიდი ინტერესი გამოიწვია. მწერლებს გაუკვირდათ კიდევც, რა გემოვნებით გამოკვეთა პატარა დანით ლინოლეუმზე მათი სახეები პოლიტბელის მოადგილემ ალექსანდრე ტარანმა!

ასეთი მებრძოლებით, ასეთი ოსტატებით კმაყოფილნი დარჩნენ ჩვენი სტუმრები. ეს მოწონება ჩვენი რედაქციისა და სტამბის მუშაკთა მეომრული შრომის დიდი დაფასება იყო.

შემდეგ, სტუმრები გამოშვებულ ნომრებს გაეცნენ. სახელდახელოდ გადაათვალიერეს საბრძოლო კორესპონდენციები, ჩანახატები, ნარკვევები, ინფორმაციები, მათში აღწერილი ამბები. ბევრი მოგვიწონეს, ცოცხალი და ოპერატიული ელფერი აქვსო, თემატიურად მრავალფეროვანიაო. ზოგიერთზეც მეგობრულად გვიჩიეს. — მართალია, დრო ცოტა გაქვთ, — ამბობდნენ ისინი, — რომ მასალები უფრო დახვეწილად და ხატოვნად მოამზადოთ, მაგრამ რაც უფრო სხარტად, მიმზიდველად გააკეთებთ, მით უფრო დაინტერესებს მებრძოლებსო. შრიფტებიც საკმაო გქონიათ, მაგრამ პეტიტს ჭარბათ ხმარობთ, მართალია, ამით ადვილს იგებთ გაზეთში, მეტ მასალას აძლევთ, მაგრამ სანგრებში მისი წაკითხვა მეომრებს გაუძნელდებათო.

გამოითქვა აზრი, რომ გაზეთის ერთ-ერთი მორიგი ნომერი ერთობლივი ძალებით მოგვემზადებინა, ერთი გვერდი ლიტერატურული ყოფილიყო. და ამ წინადადებას მალე ხორცი შეესხა. აი, გაზეთის ეს ნომერიც 14 ოქტომბრის თარიღით. მის მეორე გვერდს ქართველ მწერალთა ლიტერატურული ფურცელი დავარქვით. მასში დაბეჭდილია გ. ქუჩიშვილის იქვე დაწერილი ლექსი

„მთებში მებრძოლთ“, ს. თავაძის ბალადა „ძმები გულვარდაშვილები“, კ. ლორთქიფანიძის მოთხრობის ნაწყვეტი „ხანჯალი თუნდაც ხის იყოს, ოღონდ გული იყოს რკინისა“ და სხვ.

წითელი საღებავით დაღებულ მკვდრის „ქუდი“. იმავე დღეს, დილით ადრე, ვახეთის ეს ნომერი ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში წაიღეს მებრძოლმა ფოსტალიონებმა, და მას მკითხველთა დიდი მოწონება ხვდა წილად.

მეორე დღეს კვლავ მძაფრი ბრძოლები გაჩაღდა ფრონტის ამ უბანზე. დივიზიის ნაწილებსა და ქვეგანაყოფებიდან მოსული ოპერატიული ცნობები შტაბსა და პოლიტგანყოფილებას შეუწვავდა შეტევებს აუწყებდნენ. ბრძოლები მთებში მიმდინარეობდა. კავკასიონის მისადგომების მთის კალთები კვლავ ცეცხლის ალში გაეხვია, მაგრამ ყველგან სიმტკიცე და სიმხნევე სუფევდა. ჩვენი ნაცადი მეომრები მოსვენებას არ აძლევდნენ მოწინააღმდეგეს. ამას იტყობინებოდა ჩვენი კორესპონდენტების მოკლე წერილებიც, რომლებსაც მკაცრი ბრძოლისა და ახალ თავგამოჩენილ მეომართა საქმე და სახელი მოქონდა რედაქციაში.

იმ დღის მეორე ნახევარში შტაბისა და დივიზიის მეთაურის საკომანდო პუნქტის რაიონში მოწინააღმდეგემ მოულოდნელად მეავტომატეთა ძლიერი დესანტი გადმოსხა. ეს იყო მტრის გაბედული ცდა, უეცრად დაეკავებინა შენაერთის მართვის სასიცოცხლო პუნქტი; წარმატების შემთხვევაში, ზელმძღვანელობის გარეშე, დაეტოვებინა დივიზია და შემდეგ არეგ-დარევა შეეტანა ნაწილებისა და ქვეგანაყოფების მოქმედებაში.

საბედნიეროდ მტერი მოტყუვდა — საბჭოთა მეომრებს მოუშაადებელს ვერ მოუსწრო. მყისვე გამოცხადდა განგაში. ყველა სრულ საბრძოლო მზადყოფნაში აღმოჩნდა, ყველამ იარაღი მოიმარჯვა და თავისი პოსტი დაიკავა მითითებულ უბანში. ბრძოლაში ჩაება იქ მყოფი „მნათობი“, № 6.

ფი ყველა ქვეგანაყოფი, თითოეული მეომარი, დანიშნულების მიხედვით ჩვენი სტუმრები-მწერლებიც ცურად შეხვდნენ მოულოდნელობას: იარაღი ითხოვეს, რათა სახელდახელო ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ. — მოიტათ თოფი, მე ვუჩვენებ მაგათ — იძახდა გიორგი ქუჩიშვილი. მაგრამ, საბედნიეროდ, ბრძოლაში მათი ჩაბმა საჭირო არ გამხდარა: საშტაბო-საკომენდანტო ქვეგანაყოფის მეომრები ღირსეულად დახვდნენ ჰიტლერელთა მეავტომატეებს; ბევრი დახოცეს, ხოლო გადარჩენილებმა მთებსა და ტყეს შეაფარეს თავი.

გვიან საღამოს რედაქციაში, რომელიც მიტოვებული კლუბის შენობას იყო შეფარებული, თავისებური საფრონტო-შემოქმედებითი საღამო მკავწყეთ. მოვიწვიეთ „ბრძოლაგადახდელი“. საბრძოლო წრთობამიღებული მწერლები. შეხვედრაზე იყვნენ რედაქციის მუშაკები: ლუკიანე დგებუაძე, კომანდო დობორჯინიძე, ნოე კაკუშაძე, მალხაზ ფარულავა; ასოთამწყობები: ნიკოლოზ ცინცაძე, ვალერიან ჭაცარიძე, რაჟდენ მარუაშვილი, არმენ ჰაბიაშვილი; მბეჭდავები — არტემ სააკოვი და სერგო ზედგინიძე; პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე მიხეილ გვასალია, ინსტრუქტორი ალექსანდრე გურგენიძე და 802-ე მსროლელი პოლკის კომისარი შალვა ვასაძე.

ვსაუბრობდით ვულღიად საბრძოლო ვითარებაზე, იმ დღეების ბრძოლებში თავგამოჩენილ მეომრებზე, მათ მხედრულ უნარსა და მამაცობაზე. ვიხსენებდით იმ თავდადებულ ადამიანებს, რომლებიც სიცოცხლეს არ იშურებდნენ სამშობლოსათვის. შემდეგ საუბარი შეეხო იმ ოპერატიულ კორესპონდენტებს, რომელიც იმ დღეს დივიზიის გაზეთში დაიბეჭდა, — „პარტიული კრება ბრძოლის ველზე“. საინტერესო ის იყო, რომ ამ მასალის გარჩევის დროს აქ მოვიდა ამ კორესპონდენტის მთავარი გმირი, მამაცი პოლიტელი ვლადიმერ ლურსმანაშვილი. ეს მედგარი მეომარი მწერლებს წარუდგინეთ, მან წა-

რუმული შთაბეჭდილება დასტოვა სტუმრებზე. მისმა მოკლე, აზრიანმა ნაამბობმა კვლავ დაადასტურა გაზეთში მოთხრობილი საბრძოლო ამბის სისწორე.

დიდხანს შევეყვით საუბარს. ამასობაში ჯარისკაცური სუფრაც გავაწყეთ ჩვენი ულუფით თბილისიდან გამოგზავნილი საოჯახო საჩუქრებიდან შემორჩენილი ჩვენებური ჭაჭის არაყით. ნასიამოვნებები დარჩნენ ჩვენი სტუმრები. ბოთლს ძირი დაუკონა გიორგი ქუჩიშვილმა, ცოტა-ცოტა ყველას შეხვდა სასმელი, ჩვენი სამშობლოსა და არმიის წარმატებისა და გამარჯვების სადღეგრძელო ფეხზე მდგარი დაილია.

გუშმართავ პიანინოზე ჩინებულად უკრავდა ქართულ სიმღერასა და საცეკვაოს საშა გურგენიძე. ჩუმი სიმღერაც წამოვიწყეთ, მას ცეკვაც მოჰყვა, მშვენივრად ჩამოუქროლა მთიულური იარაღში ჩამჯდარმა, ნაბადწამოხურულმა შალვა ვასაძემ, მწერლებიც გამოიწვია ცეკვაში... მაგრამ ბოლომდე არ დაგვცალდა ეს უჩვეულო სუფრა და ბაასი.

პოლკის მეკავშირე შემოიჭრა და კომისარი ვასაძე იკითხა, გუშანით მივხვდით, რომ მის უბანზე რაღაც სერიოზული ამბავი მომხდარიყო... მხოლოდ იმას მოვკარით ყური, რომ მეკავშირემ სწაპასტუპით ჩასჩურჩულა კომისარს: მთა ბარა-ხორაზე, მესამე ბატალიონის მოგერიების უბანზე მტერი დიდი ძალებით შეტევაზე გადმოვიდა და სისხლისმღვრელი ბრძოლებიაო. შალვა ვასაძემ ბოდიში მოიხადა, უშალ დაგვტოვა, შალე შეგხვდებითო, — ესა თქვა, ცხენს მოახტა და ლამის სიბნელეში გაუჩინარდა.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა, არავინ იღებდა ხმას. განწყობილება რომ აღგვედგინა, სტუმრებს ჩვენი კეთილი მალხაზ ფარულავა წარუდგინეთ და ვთხოვეთ წაეკითხა საკუთარი ლექსი ერთი მამაცი და საზრიანი მეზობლის ალექსანდრე ბენიძის შესახებ, მაგრამ ვერ იქნა და ვერა, მალხაზს ლექსი ვერ

ვატქმევინეთ. მაშინ თვით გიორგი ქუჩიშვილმა წაიკითხა *გვერდულს მოეწონა*, გულთბილად *შინაწიფარულს* ქება ყოჩაღი მეზობლისა...

გვიან დავიშალეთ, ზოგი იქვე მიწვა მოსასვენებლად, ბევრს ამალამინდელ ბრძოლის ბედზე ფიქრი თან ჩაყვა ძილში, დილაამდე არ ასვენებდა. მთა-ხარა-ხორას მთაზე ბრძოლების ფიქრი.

... იმხანად ჩეგემის ხეობაში იყო დავიზიის მეთაურის საკომანდო პუნქტი და შტაბის ადგილსამყოფელი. აქედან 10-15 კილომეტრის მანძილზე სამედიცინო-სანიტარული ბატალიონის საველე ლაზარეთი იყო გამართული. შენაერთის კომისრის კონსტანტინე სოხაძის დავალებით, ამ დღეს ჩვენი სტუმრები უნდა მენახა. გუშინ, ისინი, საკომანდო პუნქტზე მოწინააღმდეგის დესანტის მოგერიების შემდეგ აქეთ გამოვიტუმრეთ. — სიფრთხილეს თავი არა სტკივო, — თქვა დავიზიის კომისარმა, — ვინ იცის, კიდევ რა გაუთვალისწინებელი შემთხვევა მოსალოდნელიო ფრონტის ამ ხაზზე, ასეთ მძიმე და დაძაბულ ვითარებაში. საზრუნავი სხვაც ბევრი გვექონდა. მართალია, ჩვენი მწერლები ცოტათი უქმეყოფილნი იყვნენ უხიფათო ზურგში გადანაცვლებით, მაგრამ მაინც დათანხმდნენ დროებით „დისლოკაცია“ გამოეცვალათ.

დილით ადრე დაგტოვე რედაქცია და „ვილისით“ გავყვიე ჩეგემის ნაპირს. ლამაზია ჩეგემის ხეობა, ამ დილით კიდევ უფრო ლამაზი მეჩვენა. ორმხრივ მთებს შეუკრავს ეს ხეობა; დილით სიწყნარე სუფევს აქ, ნისლს დაუფარავს მთების კალთები და მწვერვალები... მხოლოდ ჩეგემის ხმაური, მისი მშუილი არღვევს დილის სიმშვიდეს. დროდადრო შემხვედრი სამხედრო მანქანები თუ ჩავვიჭროლებენ, ჯარითა და საჭურველით დატვირთულნი.

აქედან არც ისე შორსაა ბრძოლის ველი, მოწინავე ხაზი, მაგრამ აქ მაინც სიმშვიდეა ახლა. მართალია, ჯერ კიდევ დილაა, და შესაძლოა, იქ, ასეთ დროს ერთგვარი მიუტჩნებაც იყოს

ორივე მხრიდან, მაგრამ ეს არ არის გულის ღამამშვიდებელი. ასეთ დროს ხშირად ხდება ისეთი რამ, რასაც ყოველთვის როდი ითვალისწინებს მოწინავე ხაზზე მყოფი.

სწრაფად მიიღია მთებში ძნელად სავალი გზა. მზის ამოსვლისას სამედიცინო-სანიტარულ ბატალიონს მივაღეჭით, სადაც დილიდანვე თადარიგი დაუჭერიათ. უკვე მოეყვანათ წუხანდელ ბრძოლაში მძიმედ დაჭრილები. პირველად შემოგვხვდა ამ ბატალიონის კომისარი, უფროსი პოლიტბელი ვასო გრეკოვი; ვუთხარი მოსვლის მიზეზი და ჩვენი საერთო სტუმრები მოვიკითხე. მძიმე ვითარების მიუხედავად, მათთვის შესაფერისი ბინა გამოეყოთ და კეთილი მზრუნველობაც გამოეჩინათ.

მძიმე და უჩვეულო თადარიგს შესდგომიან მთის კალთებზე ჭარისკაცები, რათა მეომრული პატივისმცემებით მიწას მიიბარონ ბრძოლის ველზე მამაკურად დაცემული მებრძოლი. აქ არიან ქართული მწერლებიც: გ. ქუჩიშვილი, კ. ლორთქიფანიძე, კ. კალაძე, ს. თავაძე და ე. ქარელიშვილი. ფერდობებზე ჩანან მთიელთა ნახევრად ცარიელი სახლები, ადამიანები უხმოდ, მდუმარედ დგანან, მწერლებს ხელში შემოდგომის ყვავილები უჭირავთ, ქუდი მოუხდიათ და წუთიერი მდუმარებით აცილებენ უკანასკნელ გზაზე მებრძოლ ახალგაზრდას.

გამოსათხოვარ სიტყვას ამბობს უფროსი პოლიტბელი ვასილ გრეკოვი. შემდეგ რიგრიგობით საფლავთან მიდინან და მთის ყვავილებით ამკობენ სამშობლოს ერთგული შვილის საფლავს...

მეომრებს თოფები ძირს ჩამოუშვიათ რომ გაიზიარონ საერთო მწყურბრება, ხოლო შემდეგ ზედამართული თოფებით ბათქი მისცენ მებრძოლის პატივსაცემად: ეს ერთობლივი გასროლა შორს წაიღებს ბრძოლაში დაცემულ მამულიშვილის უკვდავების ამბავს...

გიორგი ქუჩიშვილს უბრალო. საშემოდგომო კოსტუმი და შავი ხალათი ეცვა, თავზე ასეთივე ქუდი ეხურა. კე-

პი ოდნავ წინ წამოეწია. უფრო გამხდარი მეჩვენა ისედაც გამხდარი და ფერმკრთალი, მაგრამ მხნედ, ყომახად გაუმოიყურებოდა...

თითქოს ეუბერხულა ამ ვითარებაში აქ ყოფნა, ქუდი უფრო წინ წამოიწია, სახედაძაბულს თითქოს ძარღვებიც დაეკვიმა საფეთქელთან. შემდეგ ქუდი სწრაფად მოიხადა, მარცხენა ხელში დაიჭირა. ეტყობოდა ღელავდა, დაძაბულად უგდებდა ყურს კომისარის ნათქვამს.

პოეტს თითქოს უჭირს უთქმელად ერთ ადგილზე დგომა. მაგრამ აი მებრძოლებმა თოფები ზევით აღმართეს ბათქის მისაცემად, გასროლისათვის ემზადებოდნენ. პოეტი უცბად გასწორდა, თითქოს მეომართა საბრძოლო მწყობრში ჩადგა, მხრები გაუსწორა გვერდით მდგომს, თავი ზევით ასწია, მასაც ხელში მთის ყვავილთა კონა უჭირავს, თითქოს ეუცხოვება იარაღის მაგივრად რომ ყვავილი უკავია, ხელებიც ოდნავ უკრთის, არ იცის, რა ქნას... შემდეგ თითქოს გამოერკვაო, მსუბუქად და მორცხვად წინ გადადგა ნაბიჯი, მიუახლოვდა ახლად გათხრილ საფლავს და მოწინებით დადო ბეჭობზე ყვავილები. რაღაცას ჩურჩულებს თავისთვის, რას, — ვერ გაგიგონეთ, მაგრამ უთქმელადაც გასაგები იყო მისი გულისხმადები, მისი ჩუმად ნათქვამი სიტყვა...

ფიცარზე პატარა წარწერა გაუკეთეს საფლავს:—აქ განისვენებს სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლი შოთა ფიფია... სალი კლდის ნატეხიც თავთ დაუღეს სამახსოვროდ. ასეთი იყო ხედრი ამ ჭარისკაცისა, გულმხურვალედ დატრებული ბრძოლის ველზე მისი ხალხის ღირსეულ შვილთა მიერ.

შემდეგ კი მებრძოლი კაცის წმინდა საფლავს მიუახლოვდა სამი ქართველი ცხენოსანი მხედარი, წუთიერი დუმილით ქუდმოხდილი დაემშვიდობნენ მას და საომრად გემართნენ, გაუჩინარდნენ მთის კალთებზე. ასეთი მძიმე,

მაგრამ დაუვიწყარი სურათის მოწმენი იყვნენ ჩვენი მწერლები იმ დღეს.

პოეტი სხვებთან ერთად კვლავ საველურ ლაზარეთში ბრუნდება; წინა დღით ბრძოლებში მიიმდებ დაჭრილთა გმინვით შეშფოთებულია, მაგრამ მალე ერკვევა, მალე პოულბოს ადგილსა და დანიშნულებას. იგი თბილად, მშობლიურად მიესალმება დაჭრილებს. ეკითხება, რა შეემთხვათ, როგორ გრძობენ თავს... მისი სიტყვა სათუთი და მშობლიურია, თითქოს მალამოსავით აწუშებს ნაბრძოლ ვაჟკაცთა ჭრილობებს და უწყნარებს მწვავე იარებს... ამაზე მეტყველებენ სახეები და სულგანაბელი სმენა მებრძოლებისა ანთებული თვალებით რომ შესცქერიან საყვარელ პოეტს.

— მალე გამოჩანსალებას გისურვებთ, ძმებო, — თქვენით ამაყობს საქართველო, ჩვენო გმირებო! — ეუბნება პოეტი მათ და კვლავ ბრძოლისაკენ მოუწოდებს მამულიშვილებს.

ამ შემთხვევამ ათქმევინა უთუოდ და აქ ნათქვამი აზრი გამოხატა შემდეგში ბრძოლის ველიდან შინ, დედაქალაქში, დაბრუნებულმა პოეტმა ლექსში — „დაჭრილ მებრძოლებს“.

დაუვიწყარი იყო ბრძოლის ველზე მებრძოლთა და პოეტთა ეს შეხვედრები, მათი მეგობრული საუბრები.

შემდეგ კი ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში მიეღოდნენ მებრძოლები სასურველ სტუმრებს. მათაც იქითკენ მიეჩქარებოდათ, ყველაზე მეტად მაინც ს. თავაძე მოუსვენრობდა. მას მოწინავე ხაზზე ელოდა პოლიტბელი გრიგოლ ახალაძე, მსროლელი ბატალიონის კომისარი, უშიშარი მეომარი, მებრძოლთა სული და გული. იგი სოლომონის სიძე იყო. წუხდა მწერალი, რომ აქამდე ვერ ნახა საყვარელი ადამიანი, ხოლო სიძემაც ვერ მოახერხა ამ ცხარე და განუწყვეტელი ბრძოლის დროს რამდენიმე საათით მაინც დაეტოვებინა თანამებრძოლნი.

ბრძოლების შუალედებში მცირე შესვენებაზე ხვდებიან მწერლები მებრძოლებს; გულთბილად მიესალმებიან ერთ-

მანეთს. საუბრობენ გულდიად, ვინ რას აკეთებდა, როგორ იბრძოდა, რა უჭირდა ან რა ულხინდა.

აი, მორიგ ბრძოლაში ჩაბმის წინ, ახალი საბრძოლო შემართების წინ, ახალბედათა შეხვედრაზე მოვიდნენ პოეტები. ზოგი ნაცნობია, ბევრიც პირადად უცნობია მათთვის, მაგრამ ყველამ იცის, რომელია მათ შორის გიორგი ქუჩიშვილი! ბევრს, ძალიან ბევრს სკოლაში უსწავლია მისი მქუხარე ლექსები, ბევრმა აქ, საფრონტო ვაზეთში წაიკითხა მისი ახალი ლექსები.

შემადლებულ ადგილას, თოფიან ზღვა ხალხში მკვეთრად გამოირჩევა ერთი უიარაღო შუა ტანის, გამხდარი კაცი. ახლა ყველას მზერა მისკენა მიპყრობილი. ეს ძლიერი ხმის, და მკვერი სიტყვის კაცი, პატრიოტი-ტრიბუნი გიორგი ქუჩიშვილია, — თითქოს ცეცხლს აფრქვევს ლექსებით და თავისი მაღლა აწვდილი, გამხდარი მარჯვენით წინსვლისაკენ მოუწოდებს ახალგაზრდებს. მეომართა საპასუხო გუგუნი ხევიდან ხევის, მთიდან მთას ეფინება.

ვის არ ხიბლავდა გიორგი ქუჩიშვილის მკვექარე ხმა! აქ მთების გამოძახილიც თითქოს ბანს აძლევდა და მებრძოლთა რიგებში საბრძოლო მოწოდება გადაჰქონდა. მისი მგზნებარე სიტყვა, ეს მისი ძახილი ახლაც ყურში ჩამესმის:

გულმოგუგუნე მქუხარე ჩანჯით
დღეს თქვენს ბანაკში
ძმურად მოსულნი,
მოგვალმებით საგმირო პანჯით
თქვენი ბრძოლებით აღტაცებულნი!
ნურც დაიბრაოთ,
ძმებო, ევ დროშა,
სისხლით ნაბანი,
წითლად კაშყაში,
რომ თქვენ,
არწივებს საქართველოსას
მთანიც მოგძახდეთ
ვაჟკაცურ ვაშას!

დიან, აქ, ფრონტზე დაწერა და მეომართა წინაშე წარმოსთქვა პოეტმა ლექსი — „ვაჯკასიის მთებში მოქმედ ქართულ დივიზიას“, რომელიც დაიბეჭდა

ჩვენი გაზეთის 25 ოქტომბრის ნომერში და სწრაფად გავრცელდა ათასებს შორის.

ქართველ მეომრებს საგმირო საქმეებისკენ მოუწოდა პოეტმა ლექსით „მთიელ მოძმე ხალხს“.

თავისუფალ მთების შეიღო,
ლალ ნაივს

ნანით ზრდილხო,

ქარზე მტერი მოგვდგომია,
ამკლები და სასიკვდილო;
ცის გუმბათი,

მზის ქაბჯათი

სურს სუღართ დაგვიჩრდილოს!

არ დავზოგოთ მტერი არსად,
თავს დავატყდეთ

ყველგან მებად

ეს ლექსიც ფრონტზე დაიწერა. აქვე წაიკითხა პოეტმა მეომართა მწყობრის წინაშე, 1942 წლის 14 ოქტომბერს დაიბეჭდა ჩვენი დივიზიის გაზეთში და უშალ გავრცელდა ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში.

იმ დღეებში დაწერილ ლექსთა შორის არ შეიძლება არ გავიხსენოთ გ. ქუჩიშვილის „მხედრის სინანული“. იგი ლეიტენანტ სოსო ტატიშვილის ნაამბობით არის შთაგონებული. საარტილერიო პოლკში ამ ოფიცერს ბევრი იცნობდა, როგორც გულისხმიერ მეთაურს, ხალისიან კაცს, მისი სატიკეარი, ცხენის დაქარგვის გამო, ბევრმა გაიზიარა და პოეტის ყურადღებაც მიიქცია, რადგან ცხენი არტილერისტთა ერთგული მეგობარი იყრ მთებში ბრძოლისას. ამიტომ გასაგები იყო მებრძოლის სინანული ამ დანაკლისის გამო. მეომრისადმი თანაგრძნობას გამოხატავდა ეს პოეტური სტრიქონებიც:

ვაჰმე, რა ცხენი მომიყლეს,
ქარს აჩოქებდა ქროლავში,
რამდენჯერ გადამარჩინა

ქვემებთა სასტიკ სროლავში,

მე კი ერთბელავ

ვერ ვესხენ,

სული დალია ბრძოლავში...

„მხედრის სინანული“ ოპტიმისტურ-ლირიკული სული და განწყობა მუდამ კეთილ მოსაგონრად დაწინაურების ერთგულ მკითხველებს, მთებში მებრძოლ ნაცად მეომრებს.

ის რაც ლექსებში არ უთქვამს ფრონტზე ნანახისა და განცილების შესახებ პუბლიცისტურ ნარკვევში თქვა პოეტმა. მწერლები და მათ შორის გ. ქუჩიშვილი და ს. თავაძე უსტუმრენ ქართველ არტილერისტებს, მიხეილ გეთიას ნაქებ მეომრებს. რამდენიმე მშვენიერი ლექსი დაიწერა მათზე, მაგრამ პოეტის ეს ნარკვევი ცოცხლად ასახავს მაშინდელ საფრონტო განწყობილებას.

„წინა ღამით დათოვლილ მთების მწვერვალებსა და უცნაურ ჩუქურთმებით დაღამებულ ციკაბო კლდეებს ნისლი შეჰფენია. ვიწრო ხეობას ნაცრისფერი გუმბათი ჰსურავს. ეინელავს.

„უთხეში, ნაჩქარევად გასწორებულ ლოგინთან ზის ტანმორჩილი, ჩასკვნილი ვაჟკაცი, ქაღალდებს ათვალეირებს.

ქარი გაიღო და შემოდის ნაწილის შტაბის უფროსი, შავვერემანი, შავთვალწარბა ჰაბუკი — შალვა წიკლაური; დინჯად, აუჩქარებლად მოახსენებს მეთაურს.

— მტერი შეტევასზე გაღმოვიდა. საჭიროა ცეცხლის გახსნა, — 20 გასროლას მოითხოვენ.

ნაწილის მეთაური, მაიორი მიხეილ გეთია შეუშფოთველად შეხვდა შალვას.

შალვა, მტრად ახოვანი კაცია მიხეილი. საოცრად დინჯი, ხმაც აუჩქარებელი აქვს და მჭრელი.

— მეთვალთვალე თუ ხედავს, ათი გასროლა, — მოკლედ მოსჭრა, და გეთიამ მტერა თავის მოსაუბრეს მიაპყრო. კვლავ განაგრძეს მშვიდი საუბარი.

უთხეში მჭდომმაც მხოლოდ ერთხელ ახედა შალვას, უშალვე გავრკვა და ქაღალდების ფურცლა განაგრძო.

იქვე ახლოს, სულ ოთხ კილომეტრზე, ერთ-ერთ სოფელში შეტევასზე გაღმოსულ მტერს იგერიებდნენ ჩვენები. მძაფრი ბრძოლაა. ჩვენს შეუპოვარ არ-

ტილერისტებს — ალექსი პირმისაშვილს, გიორგი მაჩაბელს, აკაკი ჭელიძეს, სერგო თომაიას, სერგო უმიკაშვილს მტრის ბანაკი მიზანში აქვთ ამოღებული. აგერ ქვემეხთა ყუმბარებმა გაბზარეს სივრცე, დაბალჭერიან სადგომშიაც შეიჭრა მათი გუგუნე.

აქ კი, თითქოს არაფერი არ მომხდარიყოს, კვლავ მშვიდად განაგრძობენ საუბარს. ხანდახან ოდნავ დამკინავი ღიმილით იგონებენ რომელიმე ამხანაგის შეკრთომას, ან შეცდომით გადადგმულ ნაბიჯს.

კუთხეში რომ ზის, — ეს კლიმენტი გვალია. რა სიძნელეებსაც არ უნდა წააწყდეს, მის თაფლისფერ თვალებში მუდამ გამარჯვების რწმენა ციმციმებს. ამ წუთს რომ აქ არის, სულ მალე მეორე მთის მწვერვალზე გაჩნდება, ბრძოლაში წრთობილ არტილერისტებს... ახალ საბრძოლო ამოცანებს უსახავს.

აგერ მტრის არტილერიის ყუმბარები სკდება. ჩვენი ქვემეხების ირგვლივ ამოთხრილი მიწის მტვერი, ცეცხლი და კვამლი ცას აბნელებს, მაგრამ ჩვენი ქვემეხების მეთაურები და მემიზნეები... ერთი წუთითაც არ წყვეტენ ცეცხლს.

კლიმენტი გვალიაც მათთანაა. შეტევაზე გადასულს ვაჟაკის იერი შეენის. ვიწროდ აშვალდულ წარბებს შეარბევს ხოლმე ამ დროს, თვალთაგან სამხიარულო სხივი გამოუქრთება, ისე გაიღიმებს, იფიქრებ, რაა სიცოცხლე თუ არა მარტოოდენ მარადი გზნება, წინსვლა და გამარჯვებაო.

ახალი ძალით შეიჭრა სადგომში ქვემეხის მკვექარე ხმა. ფანჯრები ოდნავ აზრილდნენ.

კლიმენტის ქალღღებისათვის თვალი არ მოუწყვეტია, ხოლო მაიორმა გეთიამ ცალკეად გაჰხედა სივრცეს, გამახვილებული სმენით გაიზარა ყოველივე ეს და საუბარს განაგრძო...“

ბევრი საინტერესო და დამახასიათებელი დეტალი შეამჩნიეს პოეტებმა ამ მამაცი ადამიანების საფრონტს უკბრებებაში. ამ მართალ საბრძოლო ვითარების სურათებში არაფერია მოგონილი ან გადაჭარბებული, რადგან იგი უშუალოდ, საკუთარი თვალით დანახული და აღბეჭდილია უშუალო მოწმეთა მიერ. ვისაც საკუთრივ თვითონ უნახავს იმ მკაცრ დღეებში ქართველ არტილერისტთა მოქმედება, გულით გაიზიარებს პოეტთა ნათქვამსა და განცდილს.

ფრონტზე თანამემამულე-მეომარებთან შეხვედრამ სხვა ლექსებიც შთააგონა პოეტს. შინდებრუნებულმა კვლავ გაიხსენა ეს შეხვედრები, იქ მიღებული საბრძოლო შთაბეჭდილებები. და გაზეთის მეშვეობით კვლავ დაუბრუნდა ახალი, პოეტური სტრიქონები ფრონტს, მებრძოლთა რიგებს. და კვლავ მედგარი კვეთებისაკენ უხმობდა სამშობლოს მამაცსა და სახელოვან დამცველებს პოეტის ქნარი.

ამ ფრონტულმა ლექსებმა პოეტის რჩეულთა ერთტომეულში ღირსიეულად დაიკავა თავისი კუთვნილი ადგილი.

— ჩანგო, ვუმღეროთ დიდება! — მაისის ღიადი გამარჯვების მეორე დღეს პოეტი ამ საზეიმო მიმართვით ხვდება ომგადახდილებს, გულით მიესალმება ვაჟაკურად შინდებრუნებულებს, გამარჯვების სიმღერით ეგებება მათ.

ქეშმარიტად, ნამდვილი პოეტი-მეომარი იყო გიორგი ქუჩიშვილი.

მას ნამდვილად ჰქონდა მორალური უფლება პოეტი-მეომარი ეწოდებინა თავისთვის, რადგან თვითონვე გვიჩვენა ეს პოეტური სიტყვითა და საქმით. ამაზე მკვერამეტყველურად მოგვეთხრობს მის რჩეულ ლექსთა ერთტომეულის „სამამულო ომის“ განყოფილებაში შესული ოცდამეოთხედი ლექსი — „სამშობლოს დამახინღე“.

შალვა ნუსხუბიძე

არეოპაგიტების წყაროები

რუსთაველის გენიალური შემოქმედების იდეოლოგიური ძირის გარკვევაში პეტრე იბერის (ფსევდო-დიონისეს) ნააზრევს გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ანტიკური ფილოსოფიის მემკვიდრეობა, პეტრე იბერის იდეათა სისტემაში გადატეხილი, როგორც მოგვიანო ანტიკურობის იდეოლოგია, საფუძვლად დაედო შუა საუკუნეთა აზროვნებას, ვიდრე რენესანსამდე. გასაგებია, რომ ამის გამო რუსთაველის მსოფლგაგების ამოსახსნელად უადრესი მნიშვნელობა ენიჭება პეტრე იბერის (არა როგორც თეოლოგიურ-საეკლესიო მოღვაწის), ამ გენიალური მოაზროვნის საქმიანობას. მან ანტიკური ფილოსოფიის მიერ დასმული, მაგრამ გადაუჭრელი საკითხები ისეთი სახით დაამუშავა, რომ მთელი შუა საუკუნეების აზროვნებას მისცა მიმართულება.

არეოპაგიტული ფილოსოფიის, ესე იგი პეტრე იბერის (ფსევდო-დიონისეს) ნააზრევის ისტორიულ-ფილოსოფიური მნიშვნელობის ნათელყოფამდე, რაც საბჭოთა მეცნიერების დამსახურებას წარმოადგენს, შუა საუკუნეთა მანძილზე იდეალისტური და მატერიალისტური ხაზის აღნიშვნა შუა საუკუნეობრივ ფილოსოფიაში ძნელ საქმედ იყო მიჩნეული და ერთგვარი შემცვლელებით, ნომინალიზმითა და რეალიზმით წარმოიდგინებოდა.

პეტრე იბერის ნააზრევის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. მან ალლოლო ანტიკურიდან შუა საუკუნეებისაკენ გარდამავალი აზროვნების გადაზარდას ფილოსოფიურ სისტემად და პანთეისტური იდეალიზმის დიალექტიკური დასაბუთებით წარმართა მთელი მომდევნო მედიევალური აზროვნება ვიდრე რენესანსამდე. ეს თვალსაზრისი პეტრე იბერის (ფსევდო-დიონისეს) აზროვნებაზე კარგა ხანია შემჩნეულია, მაგრამ მთლიანად ვერ გაიშალა თვით არეოპაგიტული აზროვნების განვითარების ნათელყოფამდე. ჩემს მონოგრაფიაში "Петр Ивер и философское наследие античности" ვწერდი, რომ შუა საუკუნეთა ფილოსოფია არის გამოსაცდელი პეტრე იბერის ნააზრევისათვის.

ჩემზე ადრე არეოპაგიტის შესახებ ეს თვალსაზრისი გამოთქვა ანტიკური ფილოსოფიის ისტორიის ბუმბერაზმა ელუარდ ცელერმა. 1903 წელს „ბერძენთა ფილოსოფიის ისტორიაში“ იგი წერდა: „პროკლეს სისტემა წარმოადგენს არა მარტო დასკვნით წერტილს ბერძენთა ფილოსოფიაში, არამედ გამართიანებელ რგოლს, რომელიც მოასწავებს შუასაუკუნეობრივ მეცნიერებაში გადასვლას, რაც ფსევდო-დიონისესა და სხვებისაგან იღებდა შემდგომ ბიძგს“ (ტ. III, 2, მეორე გამოცემა). გასაგებია, რომ ცელერი ლაპარაკობს მხოლოდ ფსევდო-დიონისეზე, რადგან საბჭოთა მეცნიერების აღმოჩენა 1942 წლის შემდეგ ვახდა ცნობილი მეცნიერებისათვის.

წაკითხულია მოხსენებად ბიზანტიოლოგთა საკავშირო ყრილობაზე, თბილისში, 1965 წ. 18 დეკემბერს.

1958 წელს შუა საუკუნეთა ფილოსოფიის კონგრესზე ასეთივე აზრი გამოთქვა ერთ-ერთმა მომხსენებელმა — გრონიციკმა (ფრანგულად):

„იმ დროს, როდესაც ათენის ფილოსოფიური სკოლა დაიშალა, ეს იყო ფსევდო-არეოპაგელი, რომელმაც მათი მემკვიდრეობა მიიღო და გადასცა იგი ბიზანტიის ეკლესიას“ (შუასაუკუნეთა ფილოსოფიის პირველი საერთაშორისო კონგრესის აქტები, გვ. 345, ლუვენ-ბრიუსელი, 1953 წელი).

ავტორი, როგორც ჩანს, საეკლესიო აზროვნების კაცია და ფსევდო-არეოპაგელის ნაზრევის არა შუასაუკუნეების, არამედ „ბიზანტიის ეკლესიისათვის“ გადაცემაზე ლაპარაკობს. მაგრამ, რაც მთავარია, იგი მანც ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობის გადაცემაზე ლაპარაკობს. მაშასადამე, ის აფასებს არეოპაგეტიკულ ნაზრევს ფილოსოფიის ისტორიის თვალსაზრისით. ისიც მიღწევია, რომ ის „ფსევდო-არეოპაგელზე“ და არა „ფსევდო-დიონისზე“ ლაპარაკობს.

ამრიგად, ფილოსოფიის ისტორია აფასებს და წინ სწევს ფსევდო-არეოპაგელის (პეტრე იბერის) საქმიანობაში მის ნაზრევს, რომლითაც მან კავშირი გააბა ანტიკურ ნაზრევსა და შუასაუკუნეებს შორის. ეს გარემოება მთელი ეპოქების შემცველია და ამიტომაც პეტრე იბერი ისეთი ფიგურაა, რომლის გარეშე კაცობრიობის კულტურის ისტორია არ არსებობს. მან მიიღო ანტიკური აზროვნების მემკვიდრეობა და გადასცა ის შუასაუკუნეებს. მაშინდელი დროის კვალობაზე, როდესაც ფილოსოფია მთავარ მიზანს თეოლოგიაში ხედავდა, გასაგებია, რომ პეტრე იბერმა (ფსევდო-დიონისემ) ადამიანის მთავარი მიზანი „გალმერთებაში“, „ღმერთად გახდომაში“ (ბერძნულად „თეოზისში“) დაინახა. ეს საკითხი გამუქებულია ჩემს ზემოდასახელებულ მონოგრაფიაში და აქ მასზე აღარ შევჩერდები.

ამ შემთხვევაში ჩვენს წინაშე დგას საკითხი — არსებობს თუ არა იმის გარდა, რაც მე (1942 წელს) დამატებულ ელმა აკადემიკოსმა ერნ. პონიგმანმა (1952 წელს) გვაკეთეთ, კი დევს ხვა გზა, წმინდა ლიტერატურულ-დოკუმენტური, რაც არეოპაგეტიკის ჩასახვა-განვითარებაზე მიუთითებდეს? ამით ის კი არ მინდა ვთქვა, თითქოს ვეთოდო, რომელიც გამოვიყენეთ მე და პონიგმანმა საკმარისი არ იყო. არა, მთავარი დასაყრდენი ჩვენი არგუმენტაციისა, რომელიც 1942 წლის ნაშრომში — „Тайна Псевдо-Дионисия“ წამოვყავნე, ხოლო ათი წლის შემდეგ აკად. პონიგმანმა დაადასტურა, და რომელიც შეიცავდა პეტრე იბერის (ფსევდო-დიონისეს) მასწავლებლის იოანე (მითრიდატე) ლაზისა და იეროთეოზის იგივეობას, ურყევია და ძალაში რჩება. ამის გარდა, პონიგმანის დამატებითი საბუთი, პეტრე იბერისა და იეროთეოზის მოსახსენებელ დღეთა დამთხვევის ირგვლივ, ერთგვარად დაეას იწვევდა, ხოლო ჩემი დამატებითი საბუთი ფსევდო-დიონისეს (პეტრე იბერის) „მიზეზთა წიგნის“ ავტორობის თაობაზე და ისიც ქართულ ენაზე, აგრეთვე, ერთგვარ წინააღმდეგობას აწყდებოდა.

ყველაზე ნაკლები ღირებულებისაა პეტრე იბერის (ფსევდო-დიონისეს) მოღვაწეობიდან მოყვანილი ის ფაქტები, რომელთაც ზოგიერთნი ემყარებიან ჩვენ მიერ დასმული საკითხის ირგვლივ გამართული კამათის დროს. როგორც დავინახეთ, არეოპაგეტიკის ავტორი ფილოსოფიის ისტორიას ეკუთვნის, მის გარკვეულ პერიოდს გამოხატავს; იგი ათენის სკოლის შემდეგ გამოვიდა სამწერლო სარბიელზე, პროკლეს ნაზრევი გადაამუშავა და ამის ნიადაგზე ანტიკურ ფილოსოფიურ მემკვიდრეობას ის სახე მისცა, რომელიც მოგვიანო ანტიკურობის შუასაუკუნეების ფილოსოფიაში გადასვლას წარმოადგენდა ვიდრე რენესანსამდე.

ესაა ისტორიულ-ფილოსოფიური ჩარ-

ჩოები, რომლებშიც მოცემულია არეოპაგიტის ჩასახვა-განვითარება და პრობლემა არეოპაგიტის წყაროების შესახებ. ეს ამოსავალი თხზულება (თუ ზოგიერთი სხვა მომენტი განზე იქნება დატოვებული) არის პროკლეს „კავშირნი თეოლოგიური“ (ბერძნულად „სტოიხეიოზის თეოლოგიკე“), დაწერილი მეხუთე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში. დიდი ხანია დადგენილია, რომ მაშინდელ საერთაშორისო სიტუაციაში (ბიზანტიისა და სპარსეთის ურთიერთობა), ქართველი მეფის ვარაზ ბაკურის ძე, ერობაში ნაბარნუგად ანუ მურვანად წოდებული, თორმეტი წლისა, მეფის კარზე მისთვის კოლხეთიდან საგანგებოდ მოწვეული მასწავლებლის, მითრიდატე ლაზის თანხლებით, ბიზანტიაში იქნა მძევლად გამოთხოვილი, რათა სპარსეთ-საქართველოს პოლიტიკურ დაახლოებას ხელი შეშლოდა. კოლხეთის აკადემიის წრეებში ფილოსოფიურად განსწავლული მითრიდატე (ბერობაში იოანე) ლაზი მალე დაუახლოვდა ბიზანტიაში ფილოსოფოს პროკლეს, რაც, სხვათა შორის, მათ ფილოსოფიურ თანამშრომლობამდე მივიდა. ამის შემდეგ მითრიდატე (იოანე) ლაზმა ანუ იეროთეოზმა, როგორც მას პეტრე იბერი უწოდებდა, გადაამუშავა პროკლეს წიგნი „კავშირნი თეოლოგიური“.

ეს სათაური პროკლეს წიგნის ბერძნული სათაურის „სტოიხეიოზის თეოლოგიკეს“ თარგმანია, მაგრამ არეოპაგიტის წიგნების ბერძნულიდან ქართულად მთარგმნელმა XI საუკუნეში ეფრემ მცირემ (რომლის თარგმანებშიც ამ წიგნების პირველ ნამდვილ თარგმანს წარმოადგენდა მსოფლიო ლიტერატურაში), მას გაუყვია ქართული სახელი „წმინდისა იეროთეოზისა ღმრთის მეტყუელებითთაგან თხრობის შენივთებათა“.

ამით ნაჩვენებია ის განსხვავება, რომელიც არსებობს პეტრე იბერის (დიონისე არეოპაგელის) მასწავლებლის იოანე ლაზის (იეროთეოზის) მიერ გა-

დამუშავებულს წიგნსა და პროკლეს მიერ დაწერილ ორიგინალს შორის. არეოპაგიტულ წიგნთა შემდგომ ბელ ნაწარმოებში „სალმრთოთა სახელთათვის“ ავტორი, პეტრე იბერი (ფსევდო-დიონისე), პირდაპირ ამბობს, რომ ზემოთ დასახელებული ნაშრომი იეროთეოზისა არის „შემოკრებილი“ (ბერძნულად „სანეგემენა“) პროკლეს წიგნიდან „კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნი“. მაშასადამე, წიგნი, რომლისაგან „შემოკრებილი“ გადმოცემული მეორე წიგნი იმავე სათაურით იყო, პროკლეს თხზულება კი არაა, არამედ მისი გადაამუშავება, პეტრეს მასწავლებლის იოანე ლაზის მიერ. რათა ნათელი ყოფილიყო, რომ აქ ლაპარაკია არა პროკლეს „კავშირით“ პირდაპირ სარგებლობაზე, არამედ მისგან (პროკლეს „კავშირნიდან“) გადმოკეთებულ იმავე სათაურის წიგნზე, თხზულების — „სალმრთოთა სახელთათვის“ ავტორი პეტრე იბერი (ფსევდო-დიონისე) წერს, რომ ამ მეორე, იეროთეოზის (იოანე ლაზის) მიერ დაწერილ წიგნში, ლაპარაკია „რაოდენ-რაჲ არს ზეშთაბუნებისათა მათ იესუმს ბუნების-მეტყუელებაჲ“ („სალმრთოთა სახელთათვის“, ს. ენუქაშვილის გამ., გვ. 22, თბ., 1961 წ.). ეს ჩაზგასმა, სახელდობრ, რომ ამ მეორე „კავშირნი“, ლაპარაკი იყო (რომლის სათაური, როგორც ითქვა, იყო „წმინდისა იეროთეოზისა ღმრთისმეტყუელებითთაგან თხრობის შენივთებათა“) იესოს შესახებ, იმ მიზნითაა გაკეთებული, რათა ნათელი იქნეს განსხვავება ერთი და იმავე სათაურის მქონე ამ ორ წიგნს შორის, რადგან მეორის ავტორმა იეროთეოზმა, შემოკლებით გადმოსცა „იესუმს ბუნების-მეტყუელებაჲ“, ე. ი. ქრისტეს ბუნების შესახებ მსჯელობანი, რაც, ცხადია, პროკლეს, როგორც წარმართი ფილოსოფოსის, წიგნში ვერ იქნებოდა.

პეტრე იბერი იქვე აგრძელებს, რომ მას ამავე საკითხზე საკმაოდ აქვს თქმული თავის თხზულებაში: „ამის პირისათვის ჩუენ მიერცა კმასაყოფელად“

თქმულ არს სხუათა ადგილთა შინა“. ეს „სხუა ადგილი“ არის ის წიგნი, რომელსაც პეტრე იბერი ასახელებს თავის ნაშრომის — „საღმრთოთა სახელთათვის“ პირველ პარაგრაფშივე, სადაც მიუთითებს: „ამ ჩემი წიგნის წინ დავწერე თხზულება „ღმრთის მეტყუელებითთა სახეთ შემოღებათა“. ამ ადგილს პეტრე იბერი სწერს თავის კორესპონდენტს — თანამღვდელ ტიმოთეს:

— „ხოლო აწ ჰეი სანატრელო, შემდგომად, საღმრთოთა სახელთა თარგმანებისა მოუძღე, რაოდენ დასახევენებელ არს“.

ამრიგად, პეტრე იბერი მოგვითხრობს, რომ მან, ვიდრე ის შეუდგებოდა წიგნის „საღმრთოთა სახელთათვის“ წერას, დაწერა წიგნი ღმრთისმეტყველების (თეოლოგიის) ძირითადი ცნებების შესახებ, რასაც ერთგვარი შესავლის როლი უნდა ეთამაშნა მის „ახალ თეოლოგიაში“ ანუ არეოპაგიტული წიგნების მთელი კრებისათვის.

ამ მითითებით უდავო ხდება, რომ პირველი ნაწარმოები პეტრე იბერისა იყო „ღმრთისმეტყუელების სახის შემოღებანი“. ეს თხზულება, მისივე მითითებით, პეტრე იბერმა დასწერა იეროთეოზის (იოანე ლაზის) მიერ დაწერილი წიგნის საფუძველზე, რომელიც პროკლეს წიგნის „კავშირნი თეოლოგიურის“ შემოკლებას ანუ, როგორც პეტრე ამბობს, „შემოკრებას“ (ბერძნულად „საჟუნეგემენას“) წარმოადგენდა. პეტრე პირდაპირ ამბობს, რომ „კავშირის“ შემოკრებილად დაწერი მისი მასწავლებელი იყო („დიდებულიისა მისცა წინამძღურისა ჩვენისაგანცა ზემთაბუნებისა“, დას. ნაშრ. გვ. 22).

მასწავლამე, ზემოდასახელებულმა ევროპელმა მეცნიერებმა, გერმანელმა ედ. ცელერმა და ფრანგმა ლუი გრონთისმა, იციან არეოპაგიტული წიგნების ავტორის — პროკლეს მიერ ერთგვარ სისტემაში მოყვანილი ანტიკური ფილოსოფიის მემკვიდრეობის შუასაუკუნეებისათვის გადაცემის ფაქტი,

მაგრამ არ იციან, რომ ეს ამბავი უფრო რთული მოვლენა იყო, რამე ქრისტიანული თეოლოგიის გაფორმებაში მრავალმული არეოპაგელის ნააზრები ვერ იქნებოდა პირდაპირ წარმართი პროკლეს მემკვიდრეობიდან, როგორც წყაროდან, მომდინარე.

რა თქმა უნდა, პროკლეს მეოხებით იმ საფეხურის შექმნა, რომელსაც შუასაუკუნეებისათვის უნდა გადაეცა ანტიკური ფილოსოფიის მიღწევები, აუცილებელი იყო, და ეს, ორივე ზემოდასახელებულ მკვლევართან შედარებით. უკეთესად გაიგო კარლ მარქსმა, როდესაც ის პროკლეს თვლიდა ასეთ გარდამავალ საფეხურად, რომ მან „ფანტასტიკურად გააღო“ ერთ მთლიანობად ანტიკური ფილოსოფიის მემკვიდრეობა, რასაც დიალექტიკურად გაგებული ისტორიულ-ფილოსოფიური განვითარება მოითხოვდა. ფილოსოფიის ისტორიკოსებს უნდა სცოდნოდეთ, რომ ქრისტიოლოგიის სახით გაშლილ ანტიკური ფილოსოფიის მემკვიდრეობას სათანადო წინამძღვრები ესაჭიროებოდა, და ასეთი კაცი უნდა მდგარიყო პროკლესა, როგორც ანტიკური ფილოსოფიის უკანასკნელი სისტემატიზატორისა, და ისედაც საეჭვოდ გამოიყურე, დამწყები ქრისტიოლოგიის ფილოსოფიურ საფარად გამოიყენებელს შორის.

ამიტომაც, თხზულების „საღმრთოთა სახელთათვის“ ავტორმა, პეტრე იბერმა, სწორედ ის ნაწყვეტი მოიყვანა ამ თხზულებაში თავისი მასწავლებლის — იოანე ლაზის (იეროთეოზის) წიგნიდან „ღმრთის მეტყუელებითთა სახის შემოღებანი“, რომელიც პირდაპირ ქრისტიოლოგიურად ეღერდა. აქ იყო მეორე მიზეზიც, რომლის შესახებ „მნათობის“ მკითხველნი საქმის კურსში არიან, სახელდობრ, ეს დასახელებული წიგნი, რომელიც ფილოსოფიის ისტორიის განვითარებაში „მიზეზთა წიგნად“ იწოდება, პეტრე იბერის მიერ ქართულად იყო დაწერილი და ამის გამო მისი ციტირება ბერძნულ ენაზე დაწე-

რილ მსოფლიო ფილოსოფიურ ძეგლში უჩვეულო აზრად გამოიყურებოდა.

ამრიგად, მე-5 საუკუნეში პროკლეს „კავშირნი“-ს, როგორც წარმართული ნაწარმოების, ქრისტოლოგიური ფილოსოფიისათვის გადასაკეთებლად საჭირო შეიქმნა ორი მოაზროვნე — იოანე ლაზი (იეროთეოზად წოდებული) და პეტრე იბერი, რომელთაც ანტიკური ფილოსოფიის შემკვიდრეობა მიიღეს, გადაამუშავეს და აერეოპაგიტიკულ მსოფლგაგების („დამიანის გაღმერთების“) ლოზუნგით სინამდვილედ აქციეს ახალი რენესანსული ერა, რომლის აღმოსავლური მონაცემთის მეთაური რუსთაველი იყო.

დასავლეთის მეცნიერებას საკითხი არეოპაგიტიკული წიგნების ავტორისა და ანტიკური ფილოსოფიის ისეთი დამამთავრებელისა, როგორც იყო პროკლე, ცხადია, ისევე არ გამოეპარა, როგორც ჰეგელსა და მარქსს. მაგრამ, თუ უკანასკნელმა ამ დამთავრებაში დაინახა ანტიკური ფილოსოფიის მოხსნა და იმავე დროს განვითარება, სხვა მეცნიერები, დიალექტიკური გზის არცოდნის გამო, დაიბნენ და სწორ გზას ვერ მიაგნეს. მაგალითად, ამ საკითხების მკვლევარი მიულერი (1918 წელს) და შეიცერი (1951 წელს) ნეოპლატონიკოს პლოტინსა და არეოპაგიტიკული წიგნების ავტორს შორის შეამავალს პროკლეში ხედავდნენ (შეად. ერნ. ჰონიგმანი, გვ. 56, ჩვენნი გამოცემისა).

ამრიგად, პლოტინსა და პროკლეს შუა კი არ იყო საჭირო საფეხურის მონახვა, როგორც ამას დასავლეთის მეცნიერება შეცდომით ჩადიოდა, არამედ პროკლესა, როგორც ანტიკური აზროვნების სისტემატიზატორ-დამამთავრებელსა, და მოგვიანებით ანტიკურობის გამაგრებლებელს, პეტრე იბერს შორის. როგორც გაირკვა მეცნიერებისათვის ეს შეამავალი პროკლესა და პეტრე იბერს (ფსევდო-დიონისეს) შორის ქართველი მოაზროვნე — იოანე ლაზი (იეროთეოზად წოდებული) სულ ბოლო ხანამდე უცნობი იყო, სანამ ცხადი არ

გახდა თვით პეტრე იბერის მითითება ამ წყაროზე, როგორც შეამავალზე პროკლესა და პეტრე იბერს შორის.

სადაა დაცული ეს წყარო პეტრე იბერის ნააზრებისა, რომელსაც დღეს მაინც არეოპაგიტიკას ვუწოდებთ, როგორც აკადემია ეწოდა პლატონის ფილოსოფიურ სკოლას იმის გამო, რომ იგი აგებული იქნა პლატონის მიერ ვინმე აკადემისაგან ნაყიდ მიწის ნაკვეთზე (შეად. „არეოპაგა“, როგორც ადგილი არეოპაგიტიკის დაბადებისა).

იოანე ლაზის (იეროთეოზის) თხზულებიდან პეტრე იბერმა მოიყვანა ადგილები თავის თხზულებაში „საღმრთოთა სახელთათვის“ და დააღაგა „თეოლოგიური სახეთშემოლებანი“ სახით დიდი ნაწილი პროკლეს „კავშირნისა“, იოანე ლაზის (იეროთეოზის) მიერ ზემოდასახელებული „შემოყრებილის“ მიყოლით. შინაარსი თავისი პირველი თხზულებისა, რომელიც პეტრე იბერმა ზემოდასახელებული გზით მიიღო, ე. ი. „თეოლოგიური სახეთშემოლებანი“ მოათავსა თავისი თხზულების „საღმრთოთა სახელთათვის“ პირველ სამ თავში.

რატომ უნდა გადაემუშავებინა პეტრე იბერს მისი მასწავლებლის იოანე ლაზის (იეროთეოზის) მიერ „შემოყრებილი“ პროკლეს „კავშირნიდან“?

პეტრე იბერი ამ მეტად მნიშვნელოვან გარემოებაზე საგანგებოდ ჩერდება და ცდილობს ამ გარემოების გამართლებას.

შეიძლება ვისგანმე საყვედურის ღირსი იყოს, ამბობს პეტრე იბერი. — „რომ დიდებულსა მას მოძღუარსა ჩუენსა — იეროთეოზს შემოეკრიბნეს „ღმრთისმეტყუელებითნი თხრობის შენივთებანი ზეშთაბუნებასა“ და ჩვენ, თითქოს „არა კმარ იყვნეს იგინი“, აღვსწერეთ აწინდელსა ამას ღმრთისმეტყუელებისას“. ამის საპასუხოდ პეტრე წერს: მას, იეროთეოზს, რომ ყველაფერი საკმაოდ სისრულითა და თანმიმდევრობით ეთქვა „ყოველნი სიტყუანი ღმრთის-მეტყუელებისანი და კერძოთა-

გან შემოკრებიტა წარმოესრულნეს ყოველი თავნი ღმრთის-მეტყუელებსიანი“, ჩუენ არ დავუშვებდით ისეთ სივერაგეს, რომ „მისვე და, ერთისა ორგზის თქუმიტა ნამეტნავად ცუდათ ვმეტყუელებდეთ“.

ეს, განავრობს პეტრე, უსამართლობაც იქნებოდა „მოძღუარისა მიმართ და მეგობრისა“, რომელმაც პაულეს შემდეგ თავისი სიტყვით განგვამტკიცა და მივითვისებდით „დიდებულსა მის მხედველობასა და გამოთქმულებასა მისსა“. მაგრამ პეტრე აღიარებს, რომ მისმა მასწავლებელმა იეროთეოზმა, „მოხუცებულებრივ მოგვითხრა ჩუენ და მოკლებითნი საზღვარნი დამისხნა და თითოულსა მათგანსა შინა მრავალი რაჲ შეაწყუდია“ („საღმრთოთა სახელთათვის“, თავი 3, § 2).

როგორც ჩანს, თვითონ პეტრე იბერის (ფსევდო-დიონისეს) განმარტების თანახმადაც კი, მასწავლებელსა იეროთეოზსა და მის აღზრდილსა, პეტრე იბერს შორის პრინციპული განსხვავება არ ყოფილა. რომ პეტრემ რაიმე ახალი თქვა თავის მასწავლებელთან, იეროთეოზთან, შედარებით, ეს კატეგორიულად უარყოფილია თვითონ პეტრეს მიერ, რომელიც თავის თხზულების „საღმრთოთა სახელთათვის“ მესამე თავის ბოლოში პირდაპირ აცხადებს: — „ხოლო არა რას ახლის მეტყუელებათა კადნიერ ვიქნებით, არამედ, განავრობობს პეტრე იბერი, ნაწილ-ნაწილ და ზედმიწევნით ნათელი ვიყავით შემოკლებულად თქმული ნამდვილი ტაძრისა ღმრთისა — იეროთეოზისა“ (დასახ. ნაშრ. გვ. 29, თავი 3, § 3).

აქ სრულიად ნათლადია ნათქვამი, რომ იეროთეოზი ნამდვილი სახელი კი არ არის, არამედ შერქმეული სახელდება, რის გაგებაშიც პეტრე იბერი თვითონ გვეხმარება ბერძნული სიტყვის „იერო(ნ) თეოსის“ („ტაძარი ღმრთისა“) ქართულად თარგმნით.

ამდენმა განმარტებამაც არ უშველა დასავლეთის საეკლესიო მწიგნობართ გაეგოთ პეტრე იბერის ნათქვამი, რომ

მისი მასწავლებელი იყო საქართველოდან ბიზანტიაში გატანებული ლაზი მითრიდატე, ბერობაში მონაწილე (ბეროთეოზი). ასე, მაგალითად, პეტრე იბერის არეოპატიკული წიგნების ავტორობის მოწინააღმდეგე იერ. პაუსლერი აცხადებდა, რომ ბიზანტიოლოგები — შტიგლმაიერი და კოხი, ფსევდო-დიონისეს პრობლემას გადასწყვეტდნენ ადრე, თუ იეროთეოზისა და პროკლეს ივენტურობას აღიარებდნენ (იერ. პაუსლერი, „ორიენტალია ქრისტიანა“ ლათინურად, 1933 წ. 182).

ჯერ ერთი, პროკლესა და პეტრე იბერს შორის იეროთეოზის შუამავლობაზე ლაპარაკის შემდეგ, პაუსლერის ეს განცხადება სრულიად უნიადაგოა. მეორე ის, რომ პროკლე, როგორც წარმართი ფილოსოფოსი ანტიკურობისა, სრულიად შეუფერებელი იყო პეტრე იბერის ქრისტიოლოგიურ მასწავლებლად. ამრიგად, პეტრე იბერის (ფსევდო-დიონისეს) პირველი თხზულება ყოფილა ის, რომელიც მან საქართველოდან (იბერიიდან) თავისი გაყოლებული მასწავლებლის — იოანე ლაზის (იეროთეოზის) მიერ, პროკლეს „კავშირნიდან“ შემოკრებილი წიგნიდან გადააქეთა, და რომელშიაც დამუშავებული იყო საკითხი „ღმრთის-მეტყუელების პირველ სახეთა შემოღებისათვის“. ამ წიგნის სახელს პეტრე იბერი ბერძნულად დაწერილ წიგნში „საღმრთოთა სახელთათვის“, ცხადია, ბერძნულად ხმარობს („იპოტიპოზის თეოლოგიკაი“), მაგრამ შემდეგში სახელწოდება იცვლებოდა. მაგალითად, ლათინურად მისი სათაური იყო „დე სუმა ბონიტატე“ („უმაღლესი სიკეთისათვის“), ხოლო XII—XIII საუკუნეებიდან იგი იწოდებოდა „მიზეზთა წიგნად“ („ლიბერ დე კაუზის“).

ასეთი სათაურის შესაძლებლობა უზრუნველყოფილი იყო, როგორც ჩანს, უკვე იეროთეოზის მიერ შემოკრებილი „კავშირნიდან“. ამაში დასაბამუნებლად საკმარისია მხედველობაში იქნას მიღებული ის ფრაგმენტი, რომელიც პეტრე იბერს თავისი მასწავლებლის იოანე

ლაზის (იეროთეოზის) დასახელებული შემოკრებილი „კავშირნიდან“ შეუტანია წიგნში „საღმრთოთა სახელთათვის“.

აქ მოყვანილი პირველივე ფრაზა იეროთეოზისა იკითხება ასე:

— „ყოველთა მიზეზი და აღმავლებელი იესუსს ღმრთებმა, რომელი კერძოთა ყოვლობისა თანაერთობით... არცა კერძო არს, არც ყოვლობა, და ყოველ არს და კერძო, ვითარცა ყოვლისავე ყოვლობისა და კერძობის თავსა შორის თვისსა შემომკრებელი“. ამის შემდეგ მოდის ღვთაების, როგორც პირველი მიზეზის, იმ ელემენტების დადგენა, რომელთაც წინ წასწიეს მოძღვრება დიალექტიკის შესახებ, მოცემული პროკლეს „კავშირნი“¹, რასაც პროკლეს უმაღლეს მიღწევად უთვლიდა ჰეგელი. თუმცა პროკლეს ორ ქართველ მოაზროვნეთაგან ვადაძეშავება დასაქირდა, რადგან პროკლეს ტრიადით, რომელიც მან პლოტინისაგან ისესხა, არ ამოიწურებოდა დიალექტიკის საკითხი, საჭირო იყო კერძოსა და ზოგადის ისეთი მიმართების განვითარება, სადაც მათს მთლიანობაში მიღწეული განდებოდა უსასრულობა და უსაზღვრულობა.

ამ სახით, დიალექტიკის განვითარების საკითხი იდგა ისე, როგორც მას, ლენინის თქმით, არისტოტელე ეხებოდა, მაგრამ ანტიკურ ფილოსოფიას არისტოტელის შემდეგ კიდევ ორი ნაბიჯის გადადგმა დასჭირდა — პროკლემდე და აქედან ორ სახელოვან ქართველ მოაზროვნემდე — იოანე ლაზამდე და გენიალურ პეტრე იბერამდე.

იოანე ლაზისაგან მოყვანილ ფრაგმენტს (რომელიც პროკლეს ვადაძეშავებას წარმოადგენს), პეტრე იბერი შემდეგნაირად აგრძელებს: „პირველი მიზეზი“ სრულ არს უკუე უსრულთა შორის, ვითარცა სრულთ მთავარი, ხოლო უსრულ სრულთა შორის, ვითარცა ზეშთა სრული და წინაითვე პირველთაგან სრული, სახე სახე-ყოფელ უსახოთა შორის, ვითარცა სახეთ მთავარი, ხოლო უსახო სახეთა შორის, ვითარცა ზეშთა

სახეთა“ („საღმრთოთა სახელთათვის“, თავი ბ, § 10).

და აქედან მოჰყავს პეტრე იბერი იოანე ლაზის ნაშრომის დასკვნითი ადგილები: „იგი (პირველი მიზეზი, შ. ნ.) უზეშთაეს არს არსთა შორის ყოფისა ამის ერთობისაგან... მომყვანებელ ყოვლისა ერთობისა და სიმრავლისა“ (დას. ნაშრ., თავი ბ, § 11).

დიალექტიკის განვითარების ისტორიისათვის მოყვანილ ადგილებს უაღრესი მნიშვნელობა აქვს და, თუმცა იეროთეოზის წმინდა ფილოსოფიური ნაშრომიდან ყველაზე დიდი, პეტრე იბერის მიერ შემონახული, ეს ფრაგმენტი გვაქვს, მაგრამ ესეც საკმარისია იმის გასაგებად, თუ როგორ ვადაძეშავება იოანე ლაზმა მისი მოწაფის პეტრე იბერის დიალექტიკა და როგორ ვადაძეშავება უკვე პეტრე იბერმა დასახელებული ადგილი იმ წიგნში, რომელსაც მან თვითონ უწოდა „ღმრთის-მეტყუელებითა სახის მოღებანი“ და რომელიც საბოლოოდ „მიზეზთა წიგნად“ იწოდა.

თუ პირველი წყარო პეტრე იბერის ფილოსოფიური მუშაობისა მიგნებულია და მიზეზთა შესახებ მოძღვრება არეოპაგიტკულ წიგნების შესავლის საფეხურს წარმოადგენდა, მაშინ გასაგებია შემდეგი საფეხურიც — „მიზეზთა წიგნიდან“ შემდეგი თხზულებისაკენ — „საღმრთოთა სახელთათვის“, რომელშიაც „საღმრთოთა პირველ სახეთა შემოღებანი“ შესავალი სამი თავის სახით იქნა დალაგებული. რა თქმა უნდა, „მიზეზთა წიგნის“ როგორც შესავლის, გამოყენება თხზულებისათვის „საღმრთოთა სახელთათვის“, არ ნიშნავს, რომ ვარდა მოხსენებული სამი თავისა, ამ შესავლის მოხსენებასა და გამოყენებას არ ჰქონდეს კიდევ ადგილი.

ამის გამო, მთავარია ახლა იოანე ლაზის (იეროთეოზის) ნაშრომის „მიზეზთა წიგნისათვის“ და თხზულების „საღმრთოთა სახელთათვის“ ზოგიერთი ძირითადი მომენტის შედარება. ზოგი რამ არეოპაგიტკულ წიგნთა დასახელებუ-

ლი შესავლიდან მოიპოვება სხვა არეობაგიტაციულ წიგნებშიაც, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას იმის დასადგენად, თუ სანამდე სწვდებოდა ამ შესავლის გავლენა.

თუ დამტკიცდება, რომ აღნიშნულ წიგნებში თანმიმდევრობით გამოყენებულია იოანე ლაზის (იეროთეოზის) აზრები, გადამუშავებული პეტრე იბერის მიერ, ნათელი გახდება, რომ პროკლეს „კავშირნი“ მართლაც ყოფილა პირველი წყარო არეობაგიტაციული წიგნებისა, ხოლო არა უშუალოდ, რადგან წარმართი ფილოსოფოსის აზრები, რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ვერ გამოდგებოდნენ ქრისტიანობის დასადგენად.

ამიტომაც ვასაგებია, რომ ასეთი შუა საფეხური პროკლესა და პეტრე იბერს შორის უნდა არსებულებოდა, და არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ეს შუა საფეხური იყო პეტრე იბერის მასწავლებელი, აგრეთვე ქართველი მოაზროვნე, მითრიდატე (იოანე) ლაზი.

როგორც პირველ წყაროზე, პროკლეს „კავშირისნი“ იოანე ლაზის (იეროთეოზის) მიერ გადამუშავებაზე დამყარებული პირველი ნაწარმოები პეტრე იბერისა — „მიზეზთა წიგნი“ („ღმრთისმეტყველებითთა პირველ სახეთა შემოღებანი“) და მეორე წიგნი „საღმრთოთა სახელთათვის“, როგორც ეს თვითონ პეტრე იბერს აქვს მითითებული ამ წიგნის პირველი თავის პირველსავე პარაგრაფში, არეობაგიტაციულ წიგნთა სისტემაში შესულია როგორც ორი ძირითადი წიგნი. ამით არეობაგიტაციულ წიგნთა თანმიმდევრობა, დასავლეთის მეცნიერთა მიერ ამ საკითხის გადაჭრის შედეგებისაგან განსხვავებით, გარკვეულია, და ამითვე გარკვეულია ყველა ხუთი წიგნის (და არა, როგორც აქამდე ეგონათ, ოთხის) თანმიმდევრობა. სრულიად ბუნებრივია, რომ არეობაგიტაციულ წყაროთა პრობლემა, როგორც ფაირკვა, დიდ როლს თამაშობს

არეობაგიტაციულ წიგნთა თანმიმდევრობისათვის, რადგან იგი არ შეიძლება გაირკვეს, თუ მისი დასაწყისისადმი მიმართება არ არის ნაჩვენები.

სამწუხაროდ, მეცნიერება აქამდე ამ პრობლემას არ აქცევდა ყურადღებას, არ მიაჩნდა საჭიროდ პეტრე იბერის (ფსევდო-დიონისეს) ისტორიულ-ფილოსოფიური თვალსაზრისით განხილვა და, მიუხედავად ზოგი მითითებისა საქმის ამ მხარეზე (ცელერის და სხვ.), არ თვლიდა საჭიროდ ნათელი გაეხადა სად და როგორ გადავიდა ანტიკური ფილოსოფიის მემკვიდრეობა მოგვიანო ანტიკურობის და აქედან შესაუქუნეების იდეოლოგიადა.

თუ საჭიროა გაირკვეს, ვინ და როგორ შეასრულა მსოფლიო კულტურის ისტორიის უდიდესი ამოცანა, ანტიკური ნააზრების მოგვიანო აზროვნებისათვის გადამუშავება, მან უნდა წამოსწიოს წინ ორი ქართველი, მსოფლიო ფილოსოფიურ-ისტორიული საქმიანობის წარმომადგენელი, იოანე ლაზი და პეტრე იბერი, რათა პირველში დაინახოს ანტიკური ფილოსოფიის მემკვიდრეობის „შემოკრება“, ხოლო მეორეში — მისი გადამუშავება მიზეზთა ფილოსოფიის სახით. სწორედ აქ მთავრდებოდა არისტოტელეს მიერ წამოყენებული მიზეზთა ფილოსოფიის საკითხები, რითაც მან პლატონის იდეების ნაცვლად მიზეზთა პრობლემა დააყენა. მაგრამ მას საბოლოო სახე ვერ მისცა, რადგან უსასრულობის ცნების უტყულებელყოფის გამო ვერ მოუპოვა დიალექტიკას უარყოფითი დასაყრდენი და წინააღმდეგობათა მთლიანობა „საზღვრის დაუსაზღვრებო“ ვერ გამოხატა, ეს ფილოსოფიურად იოანე ლაზიდან ამოსულმა პეტრე იბერმა გააკეთა, და XI-XII საუკუნეთა ქართველი ფილოსოფოსით — იოანე პეტრიწით გაშუალებული, გენიალურმა პოეტმა და მოაზროვნემ შოთა რუსთაველმა პოეტური სახეებით გაშალა.

აქ ჩაეყარა, მამასადამე, საფუძველი იმ დიდ საფეხურს კაცობრიობის კულ-

ტურის ისტორიაში, რომელიც შუა საუკუნეთა გასწვრივ პანთეისტური მატერიალიზმის და იდეალიზმის ბრძოლის მრავალ საუკუნეთა მიჯნაზე „ადამიანის გაღმერთების“ უდიდეს ჰუმანიტურ დროშას აღმართავს და დაიწყება რენესანსის ეპოქა.

იოანე ლახისა და პეტრე იბერის საქმე ანტიკური აზროვნების შემოკრებითი გამამუშავების ნიადაგზე და მიზეზთა ფილოსოფიაზე პასუხის ვაცემით უნდა შეფასდეს. ამ გზით წასული აზროვნებისა და შემოქმედების გაერთიანება ადრინდელი რენესანსის სახით წარმოსდგება რუსთაველის შემოქმედებასა და აზროვნებაში და „ღმერთკაცის“ (არეომაგიტიკულ „თეანდრიკოსის“) იდეას „კაცღმერთის“ იდეას დაუპირისპირებს. ამას ამზადებს საუკუნეთა განმავლობაში ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტი იოანე ლახისა, „მიზეზთა წიგნი“ პეტრე იბერისა და ყველა ამათი იოანე პეტრიწის მიერ „კვალად გადმოღება“, რაც „ერთისა“ და „ასის“ დიალექტიკად ჩაეჭსოვა რუსთაველის ფილოსოფიურ პოეზიაში იმის სადიდებლად „ვინ საზღვარსა დაუსაზღვრავს“ და „გაზღვის წამის ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად“.

საკითხავია, არსებობს თუ არა მე-5 საუკუნიდან (როცა შემუშავდა არეომაგიტიკის წყაროები) ვიდრე XII საუკუნემდე, (როცა რუსთაველით აღმოსავლეთის რენესანსი იწყება), საშუალება იმის ჩვენებისა, თუ როგორ ვითარდებოდა აღნიშნული იდეური კავშირი? ეს კითხვა არ გულისხმობს არეომაგიტიკის იდეური განვითარების ისტორიის მთლიანად მოტანას, რაც ფრიალ ვრცელი ამბავი იქნებოდა და არ იქნებოდა მჭიდრო კავშირში არეომაგიტიკის წყაროების ძირითად საკითხთან. უკანასკნელს აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ შეიძლება დადგინდეს კავშირი: ა) პროკლეს „კავშირისა“ და იოანე ლახის ნაწერებს შორის (ცხადია, შემონახული ფრაგმენტის ფარგლებში), ბ) იოანე

ეს ამ ფრაგმენტსა და პეტრე იბერის ნაშრომის „მიზეზთა წიგნის“ შორის, გ) პეტრე იბერის „მიზეზთა წიგნის“ და არეომაგიტიკულ წიგნთა შორის (მომეტებულად წიგნთა „საღმრთოთა სახელთათვის“).

სამიბეგლი მასალის უფრო ახლობრივად დაზუსტებისათვის უნდა განსხვავებული იქნას ერთიმეორისაგან ორგვარი საშოში არეომაგიტიკის იდეური განვითარებისა: ერთია — ეხება ეს განვითარება თვით არეომაგიტიკული წიგნების ავტორის პეტრე იბერის იდეურ ფონდს თუ არა? და მეორეა — ეხება თუ არა არეომაგიტიკის იდეური განვითარება მის ისტორიას საზოგადოდ, რაც, პირველისაგან განსხვავებით, შეიძლება სხვა ავტორებსაც ეხებოდეს, რომელთაც არეომაგიტიკის დამუშავების პროცესში, ადრე თუ მოგვიანებით, ესა თუ ის მონაწილეობა მიიღეს?

პეტრე იბერის, როგორც არეომაგიტიკული ნაწერების ავტორის, მოღვაწეობის დადგენისათვის, რა თქმა უნდა, მთავარი იყო ის, რაც დოკუმენტურადაა მოცემული, როგორც არეომაგიტიკის წყაროები, ხოლო ისეთ პიროვნებებს, რომლებიც ასე თუ ისე უკავშირდებოდნენ მის ნაწერებს, როგორც იყვნენ VII საუკუნის მოაზროვნე მაქსიმე აღმსარებელი, რომელიც თავისი კომენტარებით არეომაგიტიკის ქრისტიანობასთან შეგუებას ცდილობდა, იოანე სკოტ ერიუგენას, რომელმაც IX საუკუნეში თარგმნა არეომაგიტიკული წიგნები ბერძულიდან ლათინურ ენაზე (თუმც არც ისე ხარისხიანად, როგორც ეს ეფრემ მცირემ გააკეთა ქართულ ენაზე XI საუკუნეში), თომა აქვინელს, რომელმაც თვალსაჩინო კომენტარები მიუძღვნა XII-XIII საუკუნეებში „მიზეზთა წიგნს“ (თუმცა არც ისე შედეგიანად, როგორც ეს დაახლოებით იმავე XII საუკუნეში გააკეთა ქართველმა მოაზროვნე იოანე პეტრიწმა) — საერთოდ დამხარე როლის შესრულება შეუძლიათ არეომა-

გიტიკული ნაწერების მის წყარობთან მიმართების ისტორიული დადგენისათვის.

ნათქვამის მიხედვით საჭიროა სათანადო საბუთების მოყვანა არეოპაგიტიკის წყარობსა და მის შემდგომ განვითარებას შორის კავშირის დასადასტურებლად. იოანე ლაზის ფრაგმენტში საკმაოდ გავრცედა ორი მომენტის განსაკუთრებული მნიშვნელობა არეოპაგიტიკული სისტემისათვის: ა) პირველ მიზეზის შესახებ, მისკენ მიმავალ და მისგან მომავალ გზის გათვალისწინებით და, ბ) პირველ მიზეზის მეოხებით წინააღმდეგობის მოხსნის შესახებ. პირველ შემთხვევაში უტრადღების საგანია საფეხურების ანუ იერარქიის ამბავი, რომელიც არეოპაგიტიკული სისტემის მთელ გარკვეულ აღნაგობას გამოხატავს.

პირველ მიზეზში, გვასწავლის იოანე ლაზი, მოცემულია ყოვლობაც და კერძოც, ამიტომ ის ყოვლის მიმართ უპირატესია და „პირველთაგან მყოფი“. ამიტომაც პირველი მიზეზი დგას არსში, როგორც ყოველისა და კერძოს უპირატესი მთლიანობა და არსი ისწრაფის პირველ მიზეზისაკენ, ე. ი. იზღებამასში. ესაა პანთეოზმის რაობა, ზემოდან ქვევით და ქვევოდან ზევით იერარქიულად გაშლილი.

ეს ამბავი გამოთქმულია მიზეზთა წიგნში მრავალ ადგილას, რომელთა შორის უფრო დამბახსიათებელია ის, რაც იოანე ლაზის ფრაგმენტიდან გადატანილია ჯერ „მიზეზთა წიგნში“ და შემდეგ აქედან, როგორც შესავლიდან, წიგნში „საღმრთოთა სახელთათვის“. საქმე ეხება შუალობას, რომელიც აერთებს პირველს და შემდგომს. ეს ადგილი „მიზეზთა წიგნში“ მოცემულია 30-ში, სადაც ის იკითხება ასე:

„იმ საგანთა შორის, რომელთა არსება და მოქმედება მარადიულობის მომენტს განეკუთვნება, და იმისაგან იმ საგანთა შორის, რომლის არსება და მოქმედება დროის მომენტს განეკუთვნება, არსებობს შუალობა, სახელ-

დობრ ის, რომლის არსება მარადიულობას, ხოლო მოქმედება დროულობას მიეკუთვნება“. მასასადააქვე, ლაზარაკია იერარქიაზე, რომლითაც პირველის დასასრული და შემდგომის დასაწყისი ერთიმეორეს უკავშირდება.

სწორედ „მიზეზთა წიგნის“ ეს მდგომარეობა, როგორც აეროპაგიტიკული წიგნების შენაგლის § 30-შია მითითებული, გამოყენებული აქვს პეტრე იბერს (ფსევდო-დიონისეს), თხზულებაში „საღმრთოთა სახელთათვის“ (თავი, ზ, § 3), სადაც იგივე აზრი იკითხება ასე:

„ყოველთა მოქმედი იგი (პირველი მიზეზი, ღმერთი, შ. ნ.) და მარადის ყოველთა... წესისა მიზეზი და მარადის დასასრულია სპირველთა სპა შეაწყობს დასაბამთათანა მეორეთასა (შ. ნ.) და ერთსულობასა და შეწყობასა კეთილის-მოქმედებს“ (იქვე, § 3 ბოლო).

ყველაზე ადრინდელი წყარო პირველ და მომდევნო საფეხურთა იერარქიისა პროკლეს „კავშირშია“ მოცემული (თავი 106) და იკითხება ახალ ქართულით ასე: „ყოველი შეიძლება იყოს არსებითადაც და მოქმედებითაც და აგრეთვე ყოველი დროული საშუალოა საუკუნისა და დროულს შორის“. ცხადია, რომ ზედროული და დროული, როგორც იერარქიის საფეხურები, საშუალის მიერ ერთდებიან, მაგრამ ეს არაა ნათლად პეტრე იბერის მიერ შემონახულ იოანე ლაზის ფრაგმენტში, რადგან იქ წინააღმდეგობათა დიალექტიკური მთლიანობა ქარბობს, როგორც მსჯელობის მეთოდი. პირველ მიზეზი, შემდგომთა მიმართ დგინდება არეოპაგიტიკაში, მაგრამ ეს დამოკიდებულება, პირველთაგან მყოფი, განისაზღვრება ან საფეხურების საშუალებით — პირველი, საშუალო და შემდგომი — ან დიალექტიკურად დაპირისპირებულთა მთლიანობით: სრული, უსრულო და ზეშთასრული. იოანე ლაზის ფრაგმენტში ეს ორი მომენტი არის მოცემული, მაგრამ აქცენტი წინააღმდეგობათა მთლიანობას აქვს გაცემებული. არ შეიძლება ითქვას,

რომ თვითონ პეტრე იბერი უპირატესობას აძლევდა იერარქიის გზით მოცემულ ქვეყნის მთლიანობას, ან დიალექტიკის გზით (წინააღმდეგობათა გზით) მოპოებულს. პეტრესათვის აქ მთლიანობა იყო მთავარი, როგორც მის პირველ წყაროშიც, იოანე ლაზის ფრაგმენტში სწერია. მომდევნო მოაზროვნეთათვის — ხან იერარქიული და ხან დიალექტიკური მთლიანობა სჭარბობდა. თუ მაქსიმე აღმსარებელი მთლიანობის თვალსაზრისზე იდგა, ერიუგენა იერარქიის თვალსაზრისს უსვამდა ხაზს, თომა აქვინელი მის ნიადაგზე იდგა თავის „კომენტარებში მიზეზთა წიგნისა“, იოანე პეტრიწი ისევე არეოპაგიტიკულ პოზიციას დაუბრუნდა (ი. პეტრიწი, შრომები, II, გვ. 219, 1937, თბ.).

ზემო აღნიშნულიდან ნათელია, რომ არეოპაგიტიკაში მოცემული იყო ორი ნაკადი, რომლებიც საბოლოოდ ერთ „შემოკრებულში“ ეზიარებოდა მთლიანობას. „პირველითგან მყოფი შემოკრებილი“ იოანე ლაზისა (V ს.) იგივე იყო, რაც იოანე პეტრიწის მიერ შვიდი საუკუნის შემდეგ ხაზგასმული მარადიულობა პირველისა, რომელიც თავმდებია შემდგომთა, როგორც „მართლულად“ შეკრებილ საფეხურებისა (ი. პეტრიწი, დასახ. ნაშრ. და ადგილი). ამ თვალსაზრისიდან განსხვავებულია IX საუკუნეში ლათინურად დაწერილი წიგნი იოანე სკოტ ერიუგენასი „განყოფისათვის ბუნებისა“, სადაც იერარქიული თვალსაზრისია წინ წამოწეული, ამდენად, უფრო ადრინდელი გაგება არეოპაგიტიკისა არ აღმოჩნდა ისე ახლო იოანე ლაზისა და პეტრე იბერის გაგებასთან, როგორც იოანე პეტრიწის მიერ მოწოდებული გაგება.

ამ განსხვავებამ დიდი როლი ითამაშა მხატვრულ შემოქმედებაში, რის ნიმუშებს წარმოადგენენ რუსთაველი და დანტე. პირველი ი. პეტრიწით გაშუა-

ლებული პეტრე იბერის შეხედულებათა რენესანსის ნიადაგზე იდგა დიალექტიკის „გაკეთილებას“ ღვთაებისადმი დიალექტიკური გზით სვლაში ხედავდა, სადაც „საზღვრის დაუსაზღვრება“ — უკვდავი ღმერთისადმი სავალი გზა იყო, როგორც უსაზღვრული საზღვარი. ამ გზაზე ოცნებობს ნესტან-დარეჯანი, რაც სატრფოსადმი მიწერილი წერილიდან ჩანს:

„მომნეს ფრთები და აღფრინდე,
მივსწვდე მას ჩემსა ნდომასა,
დღისით და ღამით ვხედვიდე ცისა
ელვათა კრთომასა“.

დღისა და ღამის წინააღმდეგობათა მიღმა სწრაფვა და სიბნელის მიღმა მარადიული სინათლის წვდომა — ასეთია დიალექტიკურად გაშლილი ქვეყნის წყობა, არეოპაგიტიკის ამოსავალ წყაროდან ვიდრე მის უკანასკნელ საფეხურამდე, რომელიც „საიდუმლო ღმერთისმეტყველებაშია“ მოცემული. ამ ფილოსოფიურ წვდომაშია გასაგები რუსთაველის სახეები: „მზე დაუვალი“, „უღამო ღამე“ და მისთანანი.

ამ მარადიულ სინათლეს (იტალიურად „ლუჩე ეტერნას“) ეტრფოდა იტალიელი გენიოსი დანტე, მაგრამ მისი გზა ღვთაებისაკენ, როგორც მარადიული სინათლისაკენ, წარმართულ იქნა იერარქიის მეშვეობით. დანტეს მსოფლგაგება არეოპაგიტიკულ ელემენტებს შეიცავდა, რომელიც, თომა აქვინელის მიერ შესწორებული, ერიუგენას გაგებას წარმოადგენდა. დანტეს პოემაში ისე, როგორც რუსთაველის პოემაში მოხსენებულია ფსევდო-დიონისე, მაგრამ „იერარქიის ოსტატად წოდებული“. ასეთი სახელი დანტემ აწარმოა ფსევდო-დიონისეს ტიტულისაგან „იერარქიის დოქტორისა“, როგორც მას შუა საუკუნეთა სწავლულნი ადიდებდნენ.

რა თქმა უნდა, ლეთაებისაყენ, როგორც უზენაეს სინათლისაყენ, დანტესათვისაყენ პირდაპირი გზა არ არსებობდა და ჯოჯოხეთის — ბნელისა და სამოთხის სინათლის შუა წინამძღვრებრივი გზა იყო ვათვალისწინებელი, რომლის შე-

მდგ ზემოთასინათლის სამყოფელი/სუფეგდა. ეს არ იყო არეომაგნეტრის მარველწყაროდან წარმოებელი გზა, რამდენადაც აქ იერარქიის საწყისი იყო გაბატონებული.



გეომაწულ მეცნიერულ ჟურნალში „ბიკანტინიშე ცაიტშრიფტ“ (ლიბეციე, 1965 წ. ტ. 58, წიგნი 2, 388—7 გვ.) გამოქვეყნდა მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორის ი. ასფალგის შეტად საუერადლებო რეცენზია 1961 წელს თბილისის უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ს. ი. ენტქაშვილის წიგნზე: „პეტრე იბერიელის (ფსევდო-ლიონისე არეომაგნეტრის) შრომები, ეფრემ მცირის თარგმანი, გამოსცა და გამოკლევა დანტოთ ს. ი. ენტქაშვილმა, გვ. 199 + 303“.

რეცენზენტ მალალ შეფისებას აძლევს ს. ენტქაშვილის შრომას, რის მართებულად გაგებინათვის საჭიროა ზოგიერთი განმარტება იმ რთული საკითხებისა, რომლებიც დაისვა მხოფლიო მეცნიერებაში პეტრე იბერიელის ირგვლივ.

პროფ. ასფალგი თავისი რეცენზიის დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ ფსევდო-ლიონისე არეომაგნეტრის ნაწერები ითარგმნა XI საუკუნეში ქართულ ენაზე ეფრემ მცირის მიერ, და დასძენს, რომ „თავისი საუცხოოდ შესრულებული კრიტიკული გამოკვით ს. ენტქაშვილმა ისინი ჩვენთვის მისაწვდომი გახადა“. აქ არ იქნებოდა ზედმეტი რეცენზიის ავტორის აღნიშნა XI საუკუნის ქართული თარგმანის უპირატესობა ბერძნულიდან შესრულებულ ყველა წინამორბედ თარგმანთან შედარებით, მით უმეტეს, რომ ეს საკითხი ზედმიწევნით განხილულია ს. ენტქაშვილის წიგნის პირველ ნაწილში „პეტრე იბერიელის (ფსევდო-ლიონისე არეომაგნეტრის) შრომების ძველ-ქართული თარგმანი და მათთან დავაეშორებული საკითხები“. რეცენზენტს აინტერესებს განსაკუთრებით ავტორობის საკითხი და ამტკუნს: როგორც „უკვე შრომის სათაური მიგვითითებებს ამას, ფსევდო-ლიონისე არეომაგნეტრი გაიგებებელია პეტრე იბერიელთან“.

პროფ. ასფალგს კარგად ესმის ფსევდო-ლიონისეს ბერძნულ ორიგინალთან დავაეშორებით განსაკუთრებული განხილვა ავტორობის საკითხისა. მის გამოხვლას „ბიკანტინიშე ცაიტშრიფტში“ ფსევდო-ლიონისესთან პეტრე იბერიელის გაიგებების მიმართულებით უღარესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ ეს ჟურნალი ერთი პირველთაგანი გამოცემბურა 1953 წელს იყო. ე. პონიგმანის მიერ ბელგიის აკადე-

მიის სბდომაზე წაკითხულ მოხსენებას: „პეტრე იბერი და ფსევდო-ლიონისე არეომაგნეტრის თხზულებანი“ (ფრანგულად, ბრიუსელი, 1952 წელი). აკადემიკოს ე. პონიგმანის მოხსენების წიგნად გამოცემას რეცენზიით გამოცემბურა ამ ჟურნალის რედაქტორი პროფ. ფრ. დელგერი, რომელიც ფრანგულად წერდა: „მე შესაბება, რომ თავისი დაკვირვებებით პონიგმანმა გაღაწყვიტა საკითხი, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში აწვალებდა მეცნიერებას“ („ბიბლ. ცაიტ“. 1953 წ., გვ. 445).

აქ მკითხველმა არ შეიძლება არ მიაცქიოს უერადლება ორ გარემოებას:

1) პროფ. ფრ. დელგერი ფსევდო-ლიონისეს სახელით ცნობილ წიგნთა ავტორობის საკითხის გაღაწყვიტებს, თუმცა ერთგვარი სიფრთხილით, მაგრამ მიინცი მიაწერს ე. პონიგმანს, პონიგმანი კი თავის ზემოთ დასახელებულ წიგნში სწერს: „ქართულმა მეცნიერმა შ. ი. ნეტუბაძემ რამდენიმე წლით ჩემზე ადრე უკვე გამოაქვეყნა იგივე მოსაზრება“ (პონიგმანი, „პეტრე იბერი და ფსევდო-ლიონისე არეომაგნეტრის თხზულებანი“, ფრანგულად, ბრიუსელი, 1952 წ. გვ. 26).

2) იმავე 1952 წელს, ფრანგულ ჟურნალში „ახალი კლიო“ ცნობილი ფრანგი ბიზანტიოლოგი ეპიტორ გრიუმელი წერდა: „ფსევდო-არეომაგნეტრის სარწმუნო ავტორი არის პეტრე იბერიელი. ამის მიუხედავად, ქართველი მეცნიერბანი ნეტუბაძის გარდა (1942 წ.), ვერაიენ ვახსნა ეს საიდუმლოება“.

ერთი შეხედვით, ეს გარემოება თითქოს აიხსნება მით, რომ არეომაგნეტრული წიგნების ავტორობის შესახებ ე. პონიგმანის გამოსვლამდე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სბდომაზე 1942 წელს (ე. ი. ათი წლით ადრე) გაკეთებულ და შემდეგ იმავე 1942 წელს რუსულ ენაზე წიგნად გამოცემული მოხსენება შ. ნეტუბაძისა ვერ ვახდა დასავლეთის მეცნიერების ურადლების საგანი 1952 წლამდე. ეს უკანასკნელი შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჟურნალ „Византийский восток“-ში დაიბედა პროფ. ლ. მელიქეთბეგის რეცენზია წიგნზე „Тайна Псевдо-Дионисия А-та“ (1949 წ.).

პროფ. ასფალჯი მალალ შეფასებას აძლევს ს. ენუქაშვილის მიერ არეოპაგანდისტული წიგნების ცფრემ მიერისეული თარგმანის კრიტიკულ გამოცემას მისი ყველა მნიშვნელოვან მომენტის აღნიშვნით. ასევე შეფასებული ს. ენუქაშვილის გამოკვლევა ცფრემ მიერის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე (გვ. 0132—0158).

ამის შემდეგ პროფ. ი. ასფალჯი ისევ უბრუნდება არეოპაგანდისტული წიგნების ავტორობის საკითხს. „განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, — წერს რეცენზენტი, — შესავლის მეხუთე თავი, და აღნიშნავს, რომ „ს. ენუქაშვილი კარგად იცნობს დასავლეთის ლიტერატურასაც. განსაკუთრებით, დაწერილებით გადმოცემულია შ. ნუტუბიძისა (1942) და ე. ჰონიგმანის (1952) მიერ წამოყენებული თეზა, რომლის თანახმად ფსევდო-დოინსი იგივე პეტრე იბერიელია“.

პროფ. ი. ასფალჯის ეს განცხადება არსებითად განსხვავდება დასავლეთის მეცნიერების რამდენიმე გაურკვეველ პოზიციიდან არეოპაგანდისტის ავტორობის მტკიცებაში. იგი იმეცნება დასავლეთის მეცნიერთაგან მით, რომ მხარს უჭერს ს. ენუქაშვილის პოზიციას (ე. ი. რომ ნუტუბიძე-ჰონიგმანის თეორია ისე უნდა იყოს გაგებული, რომ თეორიის ავტორია პარველი, ხოლო მისი დამადასტურებელია შეორე — ე. ჰონიგმანი).

„ამ მოსაზრებას იზიარებს აგრეთვე ს. ენუქაშვილი, — წერს რეცენზენტი, — რომელსაც 1952 წლიდან ბერ... ნაშრომში ჩამოყალიბებული აქვს თავისი პოზიცია ამ საკითხზე. შემდეგ ნაკვეთში ენუქაშვილი თავს უყრის პეტრე იბერიელის ბიოგრაფიიდან ყველაფერს, რაც მხარს უჭერს ამ ვაიციებას“.

სრულიად ნათელია, რომ პროფ. ი. ასფალჯის მიერ სარეცენზიო ნაშრომის მალალ მეცნიერულ შეფასებაში შედის ყველა იმ მასალის კარგი გამოყენება ს. ენუქაშვილისაგან, რაც პეტრე იბერიელის ავტორობას ამტკიცებს.

ს. ენუქაშვილის წიგნის ორივე ძირითადი განყოფილების განხილვის შემდეგ, სადაც დიდის ყურადღებითაა წინ წამოწეული როგორც ისტორიული მიმოხილვა ტექსტებისა, აგრეთვე თითონ არეოპაგანდისტული ნაწერების გამოცემის თეოლოგიური მნიშვნელობის დამხმარე აპარატი, რომელიც, რეცენზენტის თქმით, „ფრთხილ სასარგებლოა ასეთი თარგმანის ტექსტებზე მუშაობისას“, პროფ. ი. ასფალჯი კვლავ უბრუნდება არეოპაგანდისტული ნაწერების ავტორის საკითხს, რაც შეეხება ავტორობის საკითხს, შესაბამის ნაკვეთში (0159 — 0196), ჩემი

აზრით, — სწერს რეცენზენტი, — არაფერია, რაც ძირითად შორდებოდეს შ. ნუტუბიძისა და ე. ჰონიგმანის მოსაზრებებს. ეს უნდა იქნას ისე გაგებული, თითქოს ს. ენუქაშვილს დასპირებოდეს რაიმე ახალი საბუთის დამატება პეტრე იბერიელის ავტორობის დასამტკიცებლად ამ თეორიის ავტორებთან შედარებით. ეს არც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ასეთი დამატებითი საბუთის არსებობა პროფ. ასფალჯის სადმე ვგულებოდეს.

ეს იქიდანაც ნათელია, რომ თავის ამ განცხადებასთან ერთად რეცენზენტმა საქართველოდანაც მიუთითებდა ერთ ახალ საბუთზე, რომელიც მან პროფ. ს. ყუბინიშვილის „ბიზანტიის ლიტერატურის ისტორიაში“ (თბილისი, 1963 წ. გვ. 102 — 119) ამოიკითხა. პროფ. ი. ასფალჯი აღნიშნავს, რომ „თავისი წიგნის 102 — 119 გვერდებზე ს. ყუბინიშვილი აგრეთვე იხილავს ფსევდო-დოინსის პეტრე იბერიელს, ამის დამამტკიცებელი შრავალი არსებული საბუთის დაწერილებითი დადასტვებით, მაგრამ ამ საბუთების გარდა კიდევ დამატებით მოყვანილი არგუმენტი უყრდნობა, ცხადია, ორი დოინსის ერთიმეორესთან აღრევას და ამიტომ უსუსურია“—ო.

თავის დებულების დასამტკიცებლად პროფ. ასფალჯის სათანადო საბუთები მოყავს ა. ბუმ-შტარკის „სირიული ლიტერატურის ისტორიიდან“ (ბონი, 1922 წ. გვ.274) და ურთი ფრანგული ეურნალიდან, მაგრამ, ეტყობა, არ იცნობს თვითონ პროფ. ს. ყუბინიშვილის მიერ საკუთარი შედგომის გასწორებას — („გეოგრაფია“, ტ. II, 1965, გვ. 298-299). ამით რეცენზენტი გვაგრძნობინებს, რომ არსებული საბუთები არეოპაგანდისტული წიგნების პეტრე იბერიელის ავტორობის შესახებ საკმარისი საკმარისია და „ბიციანტინიშე ცაიტშიფტის“ რედაქტორმა ფრ. დელგერმა შეისრულა 1962 წლის თავისი დაბრება, რომ გამოცემაში გამოქვეყნდებოდა ს. ენუქაშვილის დასახელებული ნაშრომის ლირსეული რეცენზია, რომელიც დადასტურებდა პეტრე იბერიელის ავტორობის საკითხს.

„ფილოლოგიური თვალსაზრისით, — ამითვე რეცენზ. ი. ასფალჯი თავის რეცენზიას, — ეს გამოცემა მნიშვნელოვანია და სრულიადც არა იოლი ტექსტის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. ამ სინიშეო ნაშრომით ს. ენუქაშვილი იმსახურებს ყველას მადლობას, ვინც ფსევდო-დოინსისა და ძველ ქართულ ლიტერატურას სწავლობს“.

დავით გვირიტიანი

ივანე ჯავახიშვილი

ივ. ჯავახიშვილი სამეცნიერო მუშაობის ასპარეზზე გამოვიდა 1905 წლის რევოლუციის ხანაში. იმ დროს ქართველ ისტორიკოსს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აწვა. ბრძოლად ამდგარ ქართველ ხალხს საკუთარი ისტორია სჭირდა, ისტორია თანამედროვე მეცნიერების მონაპოვართა სიმადლეზე მდგომი. ისტორია ცოცხალი, შებრძოლი და მომავლის მჭონე ხალხისა, ისტორია მკაცრი, კეშმარიტი და სასარგებლო.

ნამდვილი მეცნიერული ისტორიის დასაწერად საჭირო იყო სათანადო ნიადაგის შექმნა. ქართული საისტორიო კვლევა-ძიება მეთოდოლოგიურად ძალიან დაქვეითებული იყო. წყაროების კრიტიკული შესწავლის აუცილებლობის შეგნება არ არსებობდა. როგორც აკად. ს. ჯანაშია სამართლიანად შენიშნავდა: „საქართველოს ისტორიის მოყვარულთა წრეში გულუბრყვილო-მოწიწებითი ნაციონალისტური განწყობილება იყო გაბატონებული მშობლიური წარსულის ყველა ძეგლისადმი, განურჩევლად; დიდმპყრობელური და შოვინისტური წრეები კი, პირიქით, ნერგავდნენ უარყოფითს, ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ამ წყაროებისადმი, ცდილობდნენ რა მათი მნიშვნელობის გაბანებასა და გაქარწყლებას.“

ყოველივე ამას ზედ ერთვოდა ცარიზმის პოლიტიკის მთელი საშინელება, ცარიზმი სთიშავდა და გზას უხშობდა

ყოველივე ნაციონალურს, პროგრესულს, გამათავისუფლებელს.

ივ. ჯავახიშვილის დამსახურება იმაშია, რომ მან დიდი შემოქმედის სიმკაცრით გაწმინდა ქართველი ერის ისტორიის საშენი მასალა.

„არა ერთი საისტორიო წყარო, რომლის სანდოობაში აქამდის ეჭვი არავის შესდიოდა, უღმობელი კრიტიკის სინათლეზე გამოიტანა და უკუ აგდო; არა ერთი პატრიოტული გადმოცემა, ხალხური შემოქმედების ლამაზი ნაყოფი, როგორც ისტორიისათვის უფარგისი წყარო, შეუბრალებლად გასწირა; უზარმაზარი შრომის შედეგად საეცებით დაამსხვრია მისი დროების არსებული შეხედულება ქართულს ისტორიოგრაფიაზე და სრულიად ახალი შეხედულება დაასაფუძვლა. ამავე დროს მან შემოკრიბა უცხოური წყაროები ქართველი ხალხის წარსულის შესახებ; ყველაფერი ეს შედეგებითი შესწავლის მკაცრი კრიტიკით გაცხრილა და აგრე დამზადებული სანდო საშენი მასალით ქართველი ერის ისტორიის წერას შეუდგა“ (აკად. ნ. ბერძენიშვილი).

ამ მეთოდით იწერებოდა მისი „ქართველი ერის ისტორია“ (5 ტომად), „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“ (4 ტომად), „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ (3 ტომად), „ქართული სამართლის ისტორია“ (3 წიგნად) და სხვა კაპიტალური ნაშრომები.

ერთი ადამიანისათვის სრულიად საყ-

მარისი იყო, რომ ქართველოლოგიის ერთ რომელიმე დარგში იმდენი გაეკეთებინა, რაც ივანე ჯავახიშვილმა გააკეთა, რომ მას ქართული კულტურის მოღვაწეთა პანთეონში საპატიო ადგილი დაექირა. მაგრამ ივ. ჯავახიშვილი ქართული ეროვნული კულტურის თითქმის ყველა მხარეს შეეხო. არ არის ქართული ეროვნული მეცნიერების ისეთი დარგი, რომლის განვითარებაში ივ. ჯავახიშვილს ფასდაუღებელი წვლილი არ შეეტანოს.

ივ. ჯავახიშვილის მეცნიერულ პროდუქციას განკვირებაში მოჰყავს ადამიანი თავისი რაოდენობითაც. გამოქვეყნებულ შრომათა რაოდენობა 10.000 გვერდს აღემატება; მცირე როდია გამოუქვეყნებელიც.

ივ. ჯავახიშვილის მთელი მეცნიერული მოღვაწეობა იმას ემსახურებოდა, რომ გამოეყვანა ქართველი ხალხის „თვისობრივი თავისებურებანი“, მისი სპეციფიკა; ეჩვენებინა, თუ რა შეიტანა ქართველმა ხალხმა მსოფლიო კულტურის საგანძურში, რითი გაამდიდრა მან ეს საგანძური.

ამ კეთილშობილ საქმეს შეაღია ივანე ჯავახიშვილმა მთელი თავისი ცოდნა და ენერჯია.

ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი დაიბადა 1876 წლის 11 (23) აპრილს, ქ. თბილისში, მასწავლებლის ოჯახში. მამა მისი ალექსანდრე, ქართველ ინტელიგენტთა პროგრესულ ჯგუფს ეკუთვნოდა. ეს ჯგუფი, რითაც შეეძლო და როგორც შეეძლო, იბრძოდა ქართული კულტურის დასაცავად და მოსწავლე ახალგაზრდობაში ეროვნულ შეგნების გაღვივებას ყოველმხრივ ხელს უწყობდა.

1885-1895 წ.წ. ივ. ჯავახიშვილი სწავლობდა ქ. თბილისში, ჯერ პროგიმნაზიაში, ხოლო შემდეგ გიმნაზიაში.

ამ დროს გიმნაზია ცარიზმის ჩვეულებრივ სამოხელეო დაწესებულებას წარმოადგენდა, სადაც გარუსების ტენდენცია და ქართული კულტურის დევნასულს უხუთავდა ქართველ მოსწავლეებს.

გიმნაზიის მოსწავლეთა შეგნებულ ნაწილი სკოლის გარეშე მხრს მტრულ ქართული ჟურნალ-გაზეთების წინაშე, გატაცებული იყო ქართული ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლით. ამ მხრივ ივ. ჯავახიშვილი თავის ტოლებში გამოირჩეოდა. ივ. ჯავახიშვილის სიყრმის მეგობარი გ. ფონდოვეი, რომელიც თბილისის პირველ გიმნაზიაში ივანესთან ერთად სწავლობდა, წერს: „იგი ყველა ჩვენგანზე ადრე მიხვდა, რომ გიმნაზია ყველაფერს ვერ შეგვასწავლიდა: მიხვდა, რომ მოწაფემ თავის განვითარებაზე თვითონ უნდა იზრუნოს, სკოლის გარეშე მეცადინეობით უნდა დაწინაურდეს... ამას ის ახორციელებდა დიდი აღტაცებით და თავისი მაგალითით დაგვიმტკიცა, თუ რა წარმატების მიღწევა შეუძლია მოწაფეს ამ გზით“.

ივ. ჯავახიშვილს გიმნაზიის წლებში ჩაენერგა ქართული კულტურისადმი უანგარო სამსახურის იდეა და მას ამ კეთილშობილი იდეისათვის არასოდეს არ უღალატია.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1895 წლის აგვისტოში, ივ. ჯავახიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-ირანულ განყოფილებაზე შევიდა. აქ ის სპეციალურ საგნად საქართველოსა და სომხეთის ისტორიას ირჩევს, მაგრამ ზოგად ისტორიულ-ფილოლოგიური და იურიდიული ფაკულტეტების ლექციებსაც ესწრება.

1899 წელს ივ. ჯავახიშვილმა წარმატებით დაამთავრა უნივერსიტეტი და აღმოსავლური ენების ფაკულტეტის დადგენილებით დატოვებულ იქნა უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად, უნდა აღინიშნოს, რომ ივ. ჯავახიშვილი უნივერსიტეტის დამთავრებისას საფუძვლიანად იყენებდა ბერძნულ, ლათინურ, სომხურ, სპარსულ და სირიულ წყაროებს, ამასთან ერთად დაუფლებული იყო ევროპულ ენებს (ფრანგულს, გერმანულს, ინგლისურს). 1901 წლის 27

იანვარს ივ. ჯავახიშვილმა ჩააბარა სამაგისტრო გამოცდები და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გაემგზავრა საზღვარგარეთ. ცნობილი ორიენტალისტი პარნაყი ვაკვირებული იყო ივ. ჯავახიშვილის ფილოლოგიურ-ისტორიულ მეცნიერებათა დრმა ცოდნით და დაბეჭდვით სთხოვდა ბერლინის უნივერსიტეტში დარჩენილიყო სამუშაოდ.

საზღვარგარეთ ყოფნის დროს ივ. ჯავახიშვილი ქართულ ისტორიულ ძეგლებს გერმანულად თარგმნიდა, გამოკვლევებს წერდა და ქართველი ხალხის კულტურულ მიღწევებს ევროპულ მეცნიერთათვის ხელმისაწვდომს ხდიდა.

საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ, 1902 წ. ივ. ჯავახიშვილი გაემგზავრა არაბეთს, სინას მთაზე. აქ მან არა ერთი ქართული ძეგლი გამოავლინა და ამით ქართული სამეცნიერო ლიტერატურა კიდევ უფრო გაამდიდრა.

1903 წლის იანვრიდან ივ. ჯავახიშვილმა, როგორც პრივატ-დოცენტმა, დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა პეტერბურგის უნივერსიტეტში. გარდა საუნივერსიტეტო ლექციებისა, ივ. ჯავახიშვილმა, იმავე წელს უნივერსიტეტში მყოფ ქართველ სტუდენტთაგან დააარსა საქართველოს ისტორიის შესწავლელი წრე და აქ საქართველოს ისტორიის ზოგად კურსს კითხულობდა. დამახასიათებელია, რომ ივ. ჯავახიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა არა მარტო რუსულად, არამედ ქართულადაც.

1907 წლის 13 მაისს ივ. ჯავახიშვილმა წარმატებით დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია თემაზე: „ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფოებრივი წყობილება“.

ივ. ჯავახიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტში თავის პედაგოგიურ-საღვთა-საღვთა და მეცნიერულ-კვლევით მუშაობას იმ მიმართულებით იწყებს, რომ

შექმნას წინამძღვრები საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებისათვის; რომ ქართული კულტურის ცენტრის საქმე პეტერბურგიდან თბილისში გადმოიტანოს. ამ მიზანს ემსახურებოდა „პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე“, რომელიც, ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით, 1907 წ. დაარსდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 20 წლისთავზე გამსვენებული მეცნიერი იგონებდა: „1907 წელს დაარსებული იყო ქართული სამეცნიერო წრე... თითქოს სრულებით მარტივი და სრულებით უმნიშვნელო ამბავია, მაგრამ ამ სამეცნიერო წრეში სტუდენტები რომ თავს იყრიდნენ, მსჯელობა სწარმოებდა ქართულად, მოხსენებები იწერებოდა ქართულად სხვადასხვა დარგის შესახებ; კამათი, მსჯელობა ქართულად სწარმოებდა. და ვარჯიშობა დაიწყო, ენა გაიკვეთა ახალგაზრდობამ და მოიბოვა უნარი მეტყველებისა, რომელიც მანამდე არ ჰქონდა“.

ეს იყო იმ დიდი საქმის მარცვალი, რომელმაც შემდეგში უხვი მოსავალი მოგვცა.

ჯერ კიდევ 1917 წელს, როცა იგი უნივერსიტეტის დაარსების პროპაგანდას ეწეოდა, მას შეგნებული ჰქონდა, რომ „საქართველოსა და კავკასიის წარსული და აწმყო, მისი ბუნება და ადამიანი უნდა შეადგენდეს ამ ქართული უნივერსიტეტის ყოველმხრივ სამეცნიერო კვლევა-ძიების უპირველეს მიზანს. ქართველი ერის ისტორიული ბედი საუკუნეთა განმავლობაში მრავალი სხვადასხვა კულტურისანი ერის ბედთან იყო დაკავშირებული და, თუ დასავლეთ ევროპის მკვლევართათვის აღმოსავლეთის კულტურის შესწავლა უფრო რომ მეცნიერული ცოდნის მოყვარეობის შედეგია, ჩვენ, ქართველთათვის და ქართველი მეცნიერებისათვის ასურელთა, სპარსელების, ბერძნების, არაბებისა, სომხებისა და სხვათა ისტორიის, მწერლობისა და კულტურის შესასწავლად, თვით ჩვენივე წარ-

სულისა და აწმყოსათვის არის აუცილებლად საჭირო“.

ივ. ჯავახიშვილი იყო ერთი პირველთაგანი, რომელსაც სათანადოდ ესმოდა მეცნიერების ნამდვილი ამოცანები. მისი აზრით, მეცნიერება მეცნიერებისათვის კი არ არის საჭირო, არამედ ხალხის საკეთილდღეოდ, პრაქტიკული ცხოვრებისათვის. ჯერ კიდევ 1924 წელს ის წერდა, თანამედროვე ცხოვრების განვითარება მეცნიერების განვითარებასთან არის დაკავშირებული, და ამიტომ მოითხოვდა მეცნიერების მკიდრო კავშირს ცხოვრებასთან.

ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის უნაყოფიერესი წლები რევოლუციის შემდგომი ხანა იყო. საბჭოთა წყობილების პირობებში ივ. ჯავახიშვილი ჰაბუკურით ენერგიით შეუდგა განახლებული საქართველოს სოციალისტური კულტურის კეთილშობილ სამსახურს. ეროვნული კულტურის თითოეული მიღწევა ახარებდა და ყოველი ახალი სასწავლო თუ სამეცნიერო დაწესებულების გახსნა აღაფრთოვანებდა მას.

აკად. ნ. ბერძენიშვილი სრულიად სამართლიანად წერდა განსვენებულ მეცნიერზე: „ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში ივ. ჯავახიშვილი ახალი ეტაპის შემქმნელია. ქართული ისტორიოგრაფიისათვის აქამდის უჩვეულო სიღრმითა და მოცულობით სრულიად ახლად დამუშავა განსვენებულმა მეცნიერმა ჩვენი ისტორიის აურაცხელი საკითხები: პოლიტიკა, ეკონომიკა, სამართალი, ეთიკა, იდეოლოგია, მატერიალური და სულიერი კულტურა. დიდი ერუდიცია, მაღალი მეცნიერული აღჭურვილობა, ფართო ისტორიული პერსპექტივა, ბასრი კრიტიკული აღღო, სანიმუშო და მისაბაძი მეცნიერული სინდისი, მუშაობით შეუნელებელი გატაცება, დიდი ნებისყოფა და მშობელი ხალხისადმი კეთილშობილი სიყვარული, - ყველაფერი ეს ერთად ამკობდა განსვენებულ მოღვაწეს და საშუალებას აძლევდა მას ქარ-

თული მეცნიერების დაკორდებული ყამირი ძლიერი მკლავით ფრმად ვეღამეხნა“.

ნიკოლოზი

ივ. ჯავახიშვილი სარბიელზე გაშლის არა როგორც კაბინეტში ჩაყვრილი სწავლული, რომლისათვისაც სამეცნიერო საგანი მხოლოდ საკვლევ ობიექტს წარმოადგენს და სხვა არაფერს, არამედ როგორც საზოგადოებრივი მებრძოლი, რომლისათვისაც მეცნიერული მუშაობა საზოგადოებრივი აქტივობის ერთი ფორმათაგანია მხოლოდ.

ივ. ჯავახიშვილის საფიციარს ქართული ეროვნული კულტურისა და მეცნიერების განვითარება წარმოადგენდა, და შეურიგებელი იყო იმათ მიმართ, ვინც ამ კეთილშობილურ საქმეში ხელს უშლიდა.

როდესაც 1917 წელს უნივერსიტეტის დაარსება რეალურ საქმედ ჩანდა და ივ. ჯავახიშვილი უნივერსიტეტის დაარსების მოძრაობას სათავეში ჩაუდგა, ქართული კულტურის მტრები ამოძრავდნენ. უნივერსიტეტის 20 წლისთავეზე ივ. ჯავახიშვილი იგონებდა: „რამდენი იყო ჩვენში 1917 წელს, მაშინ, როდესაც ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობაზე მსჯელობა სწარმოებდა, ისეთი განათლებული ქართველი, რომელსაც ან მთელი ეს კამათი სასაცილო გულბრყვილობად მიაჩნდა, ანდა მის ვაგონებაზე ღიმილი მოსდიოდა; რამდენი გვყავდა ბრძენი დამრიგებელი, კუის მასწავლებელი და წინასწარმეტყველნიც-კი, რომელნიც მათი ღრმა რწმენით, სრულებით უნიადაგო და უიმედო განზრახვისაგან ხელის აღებას გვირჩევდნენ. ისეთებიც ხომ იყვნენ, მათ შორის, მეცნიერებიც კი, რომელთაც მთელი ეს გეგმა და დაწყებული საქმე თვით ქართველებისათვისაც დამღუპველად ჰქონდათ პრესაშიაც კი აღიარებული: კულტურული დაქვეითების მეტი არაფერია საქართველოს მეცნიერული აზროვნებისათვის ამ გეგმის განხორციელებისაგან მოსალოდნელი, და იმავე დროს იგი პეტერბურგში (აწ

ლენინგრადში) დიდი გაჭირვებით და ხანგრძლივი მუშაობით შექმნილი სოციალ-ქართული ფილოლოგიის ერთ-ერთი კერის გავერანებას უდრისო“.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ივ. ჯავახიშვილის ცხოვრებაში დაიწყო ახალი შემოქმედებითი ხანა. მან თავისი მეცნიერული და საზოგადოებრივი შესაძლებლობა ხალხის კეთილდღეობას დაუჭვემდებარა და მშრომელი ხალხის სამსახურში აქტიურად ჩაება. 1918-1919 წწ. დეკემბრამდე იგი იყო უნივერსიტეტის სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტის დეკანი; 1919წ. დეკემბრიდან 1926 წლის ზაფხულამდე მუშაობდა უნივერსიტეტის რექტორად.

1919-1925 წლებში ივ. ჯავახიშვილი ითვლებოდა საქართველოს სამეცნიერო საბჭოსა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარედ. 1931 წ. ივ. ჯავახიშვილი დაინიშნა სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ კონსულტანტად, ხოლო 1936 წ. მიწვეულ იქნა კავკასიისმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუდმივ მეცნიერ კონსულტანტად.

მთავრობის მაღალი ჯილდოს მიღებასთან დაკავშირებით, 1938 წლის 17 ივნისის ვაზ. „კომუნისტში“ ის წერდა: „შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოება უდიდეს მოვალეობას მაკისრებს: მთელი ჩემი ძალდონე შევსწირო საბჭოთა მეცნიერების შემდგომ განვითარებას სოციალისტური კულტურისა და მშრომელი საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ“.

საქართველოს მშრომელებმა თავისი

საყვარელი მეცნიერი ერთსულაუნად აირჩიეს საქართველოს უმაღლეს საბჭოს დეპუტატად.

ივ. ჯავახიშვილს არ ეყო სიცოცხლე, რომ ყველაფერი მოესწრო, ყველაფერი გაეკეთებინა, რაც მისი პროგრამით იყო გათვალისწინებული, მაგრამ იგი ბედნიერი იყო ყოველმხრივ. მან თავისი თვლით ნახა განათვისუფლებული თავისი საყვარელი ხალხი და თავის თავისუფალ ხალხთან ერთად საუკუნის ერთ მეხუთედზე მეტხანს აშენებდა ქართველი ხალხის ნამდვილ სამშობლოს — სოციალისტურ საქართველოს. მან თავისი თვლით ნახა, როგორ იზრდებოდა მის მიერ დაარსებული უნივერსიტეტი, როგორ მრავლდებოდნენ უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო დაწესებულებები. ივ. ჯავახიშვილი არა მარტო პალიმფსესტებს შიფრავდა და სადაო თარიღებს ადგენდა, არამედ სადღეისო ამოცანებთან აკავშირებდა ჩვენი ქვეყნის გარდასულ ამბებს და პირნათლად შესცქეროდა აღორძინებულ აწმყოს.

ივ. ჯავახიშვილი იყო გულმართალი წარმომადგენელი იმ მეცნიერთა, რომელნიც ხალხს კი არ ემიჯნებიან, ხალხისაგან შორს კი არ უჭირავთ თავი, არამედ მზად არიან ემსახურონ ხალხს, გადასცენ ხალხს ყველა მონაპოვარი მეცნიერებისა ნებაყოფლობით, ხალხისათ.

ივანე ჯავახიშვილი ჩვენი ხალხის იმ რჩეულ შვილთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა უკვდავი ღვაწლი არასოდეს არ იქნება დავიწყებული.

პროკოვი ააზიანი

ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობისათვის

დიდი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ივანე ჯავახიშვილი ქართული კულტურის იმ სახელოვან მოღვაწეთა რიგს ეკუთვნის, რომლებმაც წარუშლელი კვალი დასტოვეს თავისი ქვეყნის ისტორიაში. ივ. ჯავახიშვილის ნამოქმედარი და ნაფიქრ-ნააზრი ქართული ისტორიული მეცნიერების და საერთოდ მთელი ქართული კულტურის ფასდაუდებელი სიმდიდრეა, ქართველი ხალხის ეროვნული საგანძურის დამამშვენებელია. ამით აიხსნება ის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობისა და საერთოდ მთელი მისი მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლას ენიჭება.

წინამდებარე წერილში მიზნად არ ვისახავთ ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის ყოველმხრივ განხილვასა და შეფასებას. ჩვენი მიზანია დავაყენოთ და შეძლებისდაგვარად, ნაწილობრივ მაინც გავაშუქოთ მხოლოდ ზოგიერთი, მის მსოფლმხედველობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხი.

როგორც ცნობილია, ქართულ საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარების პირველ პერიოდში, სახელდობრ 20—30-იან წლებში არა ერთხელ ყოფილა ცდები ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის შეფასებისა, მაგრამ იმდროინდელი ავტორები, სამწუხაროდ, დიდი ისტორიკოსის მემკვიდრეობის შეფასებას უდგებოდნენ ცალმხრივად, უმთავრესად ვულგარული მარქსიზმის პოზიციებიდან. ამით აიხსნება, რომ მათ

არა თუ ვერ შესძლეს ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის ახსნა და შეფასება, არამედ წარმოუდგენლად გაართულეს და დახლართეს ხსენებული მსოფლმხედველობის გაგების პრობლემა და დიდი ხნით შეაფერხეს მეცნიერული კვლევა-ძიება ამ მიმართულებით.

ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის ფორმირების პროცესი ძირითადად გასული საუკუნის 80—90-იან წლებში მიმდინარეობდა. თუ წარმოვიდგენთ ამ პერიოდის რუსეთისა და საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას და ივ. ჯავახიშვილის აღზრდის პირობებს ოჯახსა, გიმნაზიასა და უნივერსიტეტში, აგრეთვე ისტორიული მეცნიერების იმდროინდელ მდგომარეობას, — ძნელი არ იქნება იმის მიხედვით, თუ რა ფაქტორებს უნდა მოეხდინა გადამწყვეტი გავლენა მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე და განესაზღვრა ამ მსოფლმხედველობის მიმართულება და ხასიათი.

ივ. ჯავახიშვილის მამა ალექსანდრე ჯავახიშვილი განათლებული ქართველი არისტოკრატი, პროფესიით პედაგოგი ყოფილა და შვილები სანიმუშოდ აღზრდიდა. როგორც ჩანს, ივანეს აღზრდაზე დიდი გავლენა ჰქონია აგრეთვე მის დედას, სოფიო ვახვახიშვილს, — მეტად ჭკვიანსა და ფაქიზი სულის ადამიანს. მომავალი გამოჩენილი ისტორიკოსის ოჯახი ტიპიური ქართული განათლებული ოჯახი ყოფილა, სადაც პატრიოტული სულისკვეთება სუფევდა და სადაც მოიპოვებოდა თითქმის ყველა წიგნი, რაც კი იმ დროს საქართველოსა და ამიერკავკა-

სიაში იყო გამოცემული. ექვს გარეშეა, რომ სწორედ აქ, საყუთარ ოჯახში ჩაენერგა პირველად პატარა ივანეს თავისი სამშობლოსა და მისი წარსულისადმი განსაკუთრებული სიყვარული და ამ სიყვარულმა შეაძლებინა მას, ფიზიკურად სუსტ ადამიანს, ვიგანტური შრომის გაწევა სამშობლოს ისტორიის შესასწავლად.

სამშობლო ქვეყნის სიყვარული და მისი დიდებული წარსულისადმი განსაკუთრებული ინტერესი კიდევ უფრო უნდა გაძლიერებულიყო ივანე ჯავახიშვილის გულში ვიმნაზიაში სწავლის დროს. როგორც ცნობილია, თბილისის ვიმნაზიაში, ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა სასწავლებელში, იმ დროს მკაცრი რუსიფიკატორული რეჟიმი იყო გამეფებული და ქართული ენა სასტიკად იდევნებოდა. ამით ახსენება, იმდროინდელი მოწინავე ქართველი ახალგაზრდობის მისწრაფება დამოუკიდებლად, სასწავლებლის გარეშე შეეძინა ცოდნა და შეესწავლა თავისი დაჩაგრული სამშობლოს წარსული. ივ. ჯავახიშვილიც რომ იძულებული იყო სწორედ ასევე მოქცეულიყო, ეს კარგად ჩანს მისი სიყრმის მეგობრის ივანე ნიჟარაძის მოგონებიდან, რომელიც უაღრესად საინტერესო დოკუმენტია მომავალი ისტორიკოსის იმდროინდელი განწყობილების გასაგებად. „ვიმნაზია ვანოს არ მოსწონდა,—ამბობს ნიჟარაძე,—სწავლობდა კი კარგად. გარუსების ტენდენცია და ქართული კულტურის დევნა სულ უხუთავდა ქართველ შეგნებულ ახალგაზრდობას... შეგნებული ქართველი ახალგაზრდობა დამოუკიდებლად სწავლობდა თავის ენასა და კულტურას; მათ შორის საუკეთესო წარმომადგენელი იყო ვანო. მას უკვე ვიმნაზიაში ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტის ქართულ-სომხურ განყოფილებაზე შევიდოდა“.¹

აქედან ჩანს, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში შესვლისას ივანე ჯავახიშვილს უკვე ჰქონდა დასასრული თავისი მომავალი მოღვაწეობის ძირითადი მიმართულება.—ეს იყო სამშობლო ქვეყნის სამსახური, მისი ისტორიის მეცნიერული შესწავლა. მაგრამ რა გზით, რა მეთოდებით, როგორი თვალსაზრისით? ამ კითხვაზე მას, ცხადია, ჯერ კიდევ არ ექნებოდა გარკვეული და საბოლოოდ ჩამოყალიბებული პასუხი, მაგრამ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ახალგაზრდა ივანე ჯავახიშვილს უკვე ვიმნაზიის წლებშივე ჩაესახა თავისი მომავალი მსოფლმხედველობის დამახასიათებელი ტენდენცია,—მაშინვე გამომქლავნდა მისი თვალსაზრისის დამახასიათებელი ნიშნები. ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა იმავე ნიჟარაძის ცნობა, რომლის მიხედვით ივ. ჯავახიშვილს ვიმნაზიაშივე მოუშაბდებია და წაუკითხავს საყურადღებო რეფერატები ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსის ბოკლის შესახებ და აგრეთვე თემაზე „ანდრია მოციქულის მოგზაურობა საქართველოში“.

რეფერატებისათვის ამ თემების არჩევა, რასაკვირველია, შემთხვევითი ფაქტი არ არის; ამგვარი არჩევანი ფრიად დამახასიათებელია არა მარტო ივ. ჯავახიშვილის პირადი გემოვნებისა და მისწრაფებებისათვის, არამედ ისტორიულ მეცნიერებაში იმ დროს გაბატონებული განწყობილებისათვისაც. ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ამ თემებს ახალგაზრდა ივ. ჯავახიშვილი ჯერ კიდევ უნივერსიტეტში შესვლამდე შეჰყავდა იმ ისტორიკოსთა მეცნიერული ინტერესების სფეროში, რომლებიც მაშინ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ფაკულტეტზე მუშაობდნენ. ცნობილია, რომ რელიგიის ისტორიის შესწავლა ამ მეცნიერთა მოღვაწეობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისება იყო; ცნობილია აგრეთვე, რომ ინგლისელი მეცნიერი ჰენრი ტომას ბოკლი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ისტორიკოსი იყო იმდროინდელ რუსეთში, ხო-

¹ დ. გვრიტიშვილი, ქართლის ცხოვრების შესაიღწეველი, 1960. გვ. 6

ლო ის ფილოსოფიური მიმდინარეობა, — პოზიტივიზმი, — რომლის წარმომადგენელიც ისტორიულ მეცნიერებაში ბოკლი იყო, წარმოადგენდა იმდროინდელი რუსული პროფესიული ისტორიოგრაფიის ძირითად სახელმძღვანელო თეორიას, მის მსოფლმხედველობრივ, მეთოდოლოგიურ საყრდენს.

ბურჟუაზიული ისტორიული მეცნიერების კრიზისი, რომელმაც იმპერიალიზმის ეპოქაში რუსეთის ისტორიოგრაფია მოიცვა, აღმოსავლეთმცოდნეობის აკადემიურ ჯგუფზეც გავრცელდა და ეს გამოჩენილი მეცნიერებიც, მეტი თუ ნაკლები ზომით, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის სამსახურში ჩააყენა. თუ იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ მეფის მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა დაენერგა ე.წ. „სახელმწიფოებრივი“ („Казенное“) აღმოსავლეთმცოდნეობა¹, რომლის წარმომადგენლები (მ. გრუღევი, კ. სმირნოვი, ნ. ოსტროუმოვი და სხვ.) ზემოდან დასცქეროდნენ და აბუჩად იგდებდნენ აღმოსავლეთის ხალხებს, მათ შორის რუსეთის ქვეშევრდომ კავკასიელებს, და ყოველი ღონისძიებით ცდილობდნენ მათ გარუსებას, — ადვილად წარმოვიდგინებთ, რა რთულ და არახელსაყრელ ვითარებაში მიმდინარეობდა ახალგაზრდა ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის ფორმირება.

ისტორიული მეცნიერების კრიზისი რუსეთში გამოწვეული იყო ღრმა სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური მიზეზებით, რომლებიც თვითმპყრობელური სახელმწიფოს თვით საფუძვლებს ღრღნიდნენ. მასების რევოლუციურ მოძრაობას მეფის მთავრობამ აშკარა ძალადობა და სასტიკი ტერორი დაუპირისპირა. მთავრობის რეაქციულ პოლიტიკას მოჰყვა ცვლილებები იდეოლოგიის სფეროშიც. 80 — 90-იანი წლების ხანა რუსეთში რეაქციული იდეოლოგიის ზეიმის ხანა იყო. ოფიციალური საზოგადოებრივი მეცნიერებანი, მათ შორის, ისტორიული მეცნიერებაც, სულ უფრო და უფრო ეფ-

ლობდნენ სუბიექტური იდეოლოგიის კაობში; პოზიტივიზმი, რუმელებს უფრო ეუზიული ისტორიულმეცნიერებების თეორიულ საფუძვლად იქცა, აიძულებდა ისტორიკოსებს ხელი აეღოთ განმარტოვებული ნაშრომების შექმნაზე, ისტორიის კანონზომიერებათა კვლევაზე და დამაყოფილებულიყვნენ მართოდენ ემპირიული ფაქტების აღწერით.

ასეთ ვითარებას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა და მოახდინა კიდევაც ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე.¹ ამ გავლენამ, ცხადია, უარყოფითად იმოქმედა ივ. ჯავახიშვილის აზროვნებაზე, განსაკუთრებით რევოლუციამდელ პერიოდში ამ გავლენის შედეგია კერძოდ ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისი სახელმწიფოს წარმოშობაზე; ამ გავლენის შედეგია აგრეთვე, რომ ივ. ჯავახიშვილი თავის ადრინდელ შრომებში შედარებით დიდ ყურადღებას უთმობდა გამოჩენილ პიროვნებათა ცხოვრებას, ხოლო ისეთ თემებს, როგორცაა კლასთა ბრძოლა და მშრომელი მასების როლი ისტორიაში, არასრულად აშუქებდა. ჩვენი ფიქრით, სწორედ პოზიტიური ფილოსოფიის გავლენას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ სახელოვან ისტორიკოსს, ყოველ შემთხვევაში რევოლუციამდელ პერიოდში, მაინცა და მაინც არ იზიდავდა განმარტოვებული, თეორიული ნაშრომების შექმნა და უპირატესობას ფაქტების ძიებას ანიჭებდა.

მაგრამ ნათქვამი ესე არ უნდა გავიგოთ, თითქოს რუსეთის იმდროინდელმა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ და ისტორიულმა მეცნიერებამ ივ. ჯავახიშვილზე ცალმხრივი გავლენა მოახდინა.

¹ იმავე 80—90-იან წლებში რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაიწყო განახლების დიდი პროცესი, მარქსისტული ლიტერატურა იმ დროს უმთავრესად არალეგალურად ვრცელდებოდა, მაგრამ ივ. ჯავახიშვილს, რომელიც არ იდგა ახლოს მარქსისტულ წრეებთან, არ ნუცდია ამ ლიტერატურის გავლენა.

ნა. ასე მსჯელობა, ცხადია, საკითხის გაუბრალოება იქნებოდა როცა ჩვენ ვლაპარაკობთ გავლენაზე. მხედველობაში გვაქვს უმთავრესად თეორიულ-მსოფლმხედველობრივი გავლენა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ სერიოზულ ნაკლოვანებებთან ერთად იმდროინდელი რუსეთის ისტორიოგრაფიას, კერძოდ კი, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ფაკულტეტზე მომუშავე მეცნიერთა წვდვას ძალიან ბევრი დადებითი ნიშან-თვისებები გააჩნდა. კრიტიკული დამოკიდებულება წყაროებისადმი და დიდი წყაროთმცოდნეობითი ოსტატობა, განსაკუთრებული ინტერესი ფილოლოგიური კვლევა-ძიებისადმი, გაძლიერებული ყურადღება არქეოლოგიის, ეთნოგრაფიასა და სხვა სპეციალური ისტორიული დისციპლინებისადმი, ფართო ერუდიცია, ენების ცოდნა, მეცნიერული კეთილინდობიერება და მრავალი სხვა ამგვარი თვისება ამშვენებდა პეტერბურგის ე. წ. „აკადემიური მიმართულების“ გამოჩენილ აღმოსავლეთმცოდნეებს, რომელთა შორის მრავალი წლის მანძილზე იზრდებოდა და იწითობოდა დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი.

ივ. ჯავახიშვილის ნაშრომებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მათი ავტორი ახერხებდა გამოჩენილი რუსი მეცნიერებისაგან მიეღო და შეეთვისებია სწორედ ის, რაც მათში საუკეთესო იყო, ხოლო მათი რეაქციულ-კონსერვატორული შეხედულებებისათვის გვერდი აეველო ამის საუკეთესო მაგალითია ივ. ჯავახიშვილის დამოკიდებულება ისტორიკოს სერგეი პლატონოვის შეხედულებებისადმი. როგორც ცნობილია, პროფ. ს. პლატონოვი ივ. ჯავახიშვილის პეტერბურგში ყოფნის დროს მოღვაწეობდა და ისტორიკოსთა პეტერბურგის „სკოლის“ აღიარებულ მეთაურად ითვლებოდა. მისი «Лекция по русской истории», რომელიც ათჯერ მაინც გამოიცა, შეი-

ცავდა ისეთ შეხედულებებს, რომლებიც ახლოს იდგა ოფიციალურ კონსერვატულ-მონარქისტული მიმართულებებს ისტორიკოსთა აზრებთან, და ივ. ჯავახიშვილს, ცხადია, არ შეეძლო მათი გაზიარება, მაგრამ პლატონოვს ჰქონდა აგრეთვე ფრიად საინტერესო ისტორიოგრაფიული გამოკვლევები, რომლებიც არა მარტო ფაქტების დადგენის მხრივ, არამედ მეთოდოლოგიური თვალსაზრისითაც საყურადღებო დაკვირვებებს შეიცავდა. ამ ნაშრომებში პლატონოვმა, პირველად რუსულ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში, გამოთქვა აზრი ისტორიული წყაროების ავტორთა „პარტიულობის“ შესახებ. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რა წყაროს „გარეგან“ და „შინაგან“ კრიტიკას, პლატონოვი მოითხოვდა, რომ გამორკვეულიყო «Кто писал, какой партии человек, с какой точки зрения, под каким влиянием, какие у него пристрастия, тенденции, настроения». ივ. ჯავახიშვილმა, როგორც ცნობილია, წარმატებით გამოიყენა ეს თვალსაზრისი და შესანიშნავ შედეგებსაც მიაღწია თავის კაპიტალურ გამოკვლევაში „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“.

ფრიად ნაყოფიერი იყო ივ. ჯავახიშვილისათვის მისი მუშაობა აკად. ვიქტორ როზენთან, რომელიც, პლატონოვისაგან განსხვავებით, შედარებით მოწინავე შეხედულებების მეცნიერი იყო და შეძლებისადაგვარად ებრძოდა კიდევაც მეფის მთავრობის კოლონიურ პოლიტიკას. მაგრამ განსაკუთრებით მჭიდრო და მრავალმხრივი თანამშრომლობა ივ. ჯავახიშვილს პროფ. ნიკო მართან ჰქონდა. ნ. მარმა ივ. ჯავახიშვილის დიდი ნიჭიერება და ჩინებულ მომზადება ჯერ კიდევ მისი სტუდენტობის დროს შენიშნა, ამიტომ დაი-

1 «Очерки истории исторической науки в СССР», ტ. II, გვ. 576.

ხლოვა იგი და არა მარტო ლექცია-სემინარებზე ამეცადინებდა, ბინაზეც იწვევდა დამატებით მუშაობისათვის. ნ. მარმა ყოველმხრივ შეუწყო ხელი ივ. ჯავახიშვილის დატოვებას უნივერსიტეტში და პროფესორად მის მომზადებას. უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს ნ. მარიც ბურჟუაზიულ-ლიბერალური მიმართულების მეცნიერი იყო და არასწორი შეხედულებები გააჩნდა არა მარტო ისტორიისა და ენათმეცნიერების რიგ ზოგად საკითხებზე საერთოდ, არამედ საქართველოს ისტორიის საკითხებზეც; მიუხედავად ამისა, მან ბევრი რამ კარგი შესძინა ივ. ჯავახიშვილს და დიდად შეუწყო ხელი მის, როგორც მეცნიერ-ისტორიკოსის, მომზადებას. ამით უნდა აიხსნას მათი იმდროინდელი მჭიდრო ურთიერთობა და მეცნიერული თანამშრომლობა, კერძოდ, მათი ერთობლივი ექსპედიცია სინას მთაზე, სადაც ამ გამოჩენილმა მეცნიერებმა დიდად ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს ქართული ხელნაწერების შესასწავლად; ამითვე აიხსნება ის ფაქტიც, რომ იმ დიდ იდეურ კამათში, რომელიც 90-იან წლებში გაჩაღდა, ერთი მხრივ, ნ. მარსა, ხოლო მეორე მხრივ, პატრიოტული მიმართულების ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა შორის, ივ. ჯავახიშვილმა ნ. მარის მხარე დაიჭირა და საგანგებოდ დაწერილ ნაშრომში („მამულიშვილობა და მეცნიერება“, 1904 წ.) სცადა ნ. მარის შეხედულებების დაცვა.

ასეთია ზოგადად ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე რუსეთის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის გავლენის საკითხი, როგორც ამ გავლენის დადებითი, ისე მისი უარყოფითი ასპექტის გათვალისწინებით. ეს გავლენა იმდენად ძლიერი და ყოველმხრივია, რომ შეიძლება ითქვას: იმ დროს, ე. ი. თავისი მეცნიერული მოღვაწეობის პირველ პერიოდში, ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის საფუძველს პოზიტივისტური ფილოსოფია შეადგენდა. მაგრამ ივ. ჯავახი-

შვილის ნაწერების გულდასმით შესწავლა გვარწმუნებს, რომ მის მსოფლმხედველობაში ძალიან მალე შექმნილი 1905 წლის პერიოდიდან იწყება მნიშვნელოვანი ევოლუცია დემოკრატიზმისაკენ. საქართველოს ეროვნულ-გამათვისებლურებელი მოძრაობის იდეების გავლენით, განსაკუთრებით კი 1905 წლის რევოლუციის იდეების გავლენით ივ. ჯავახიშვილი თანდათან თავისუფლდება ბურჟუაზიულ-ლიბერალური შეხედულებებისაგან და დგება დემოკრატიულ თვალსაზრისზე.

პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ამ გზაზე ივ. ჯავახიშვილმა გადადგა 1906 წელს, როდესაც გამოქვეყნდა მისი შესანიშნავი ნაშრომი «*Политическое и социальное движение в Грузии XIX в.*». ეს ნაშრომი არა მარტო ივ. ჯავახიშვილის მემკვიდრეობაში, არამედ საერთოდ ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთი საუკეთესო მეცნიერული გამოკვლევება, რომელშიც დიდი სიღრმითა და ოსტატობით არის გაშუქებული საქართველოს ახალი ისტორიის უმნიშვნელოვანესი სოციალურ-პოლიტიკური საკითხები. ჩვენ უკვე გვეჩინდა შემთხვევა დაწვრილებით გავვერჩია ამ ნაშრომის ლირსება-ნაყოფანებანი¹ და ნათქვამს აქ აღარ გავიმეორებთ, მაგრამ ამას კი ვიტყვი: მისი ავტორი გვევლინება უკვე როგორც ნამდვილი დემოკრატი, როგორც ქართული გლეხობის ერთგული დამცველი და მეგობარი.

შემდეგი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ლიბერალური შეხედულებების დაძლევისა და დემოკრატიული თვალსაზრისის შეთვისების გზაზე ივ. ჯავახიშვილმა გადადგა 1913 წლის შემდგომ პერიოდში, როდესაც მას, ერთი მხრივ, „ქართველი ერის ისტორიის“ მესამე, შევსებულ გე-

¹ პ. რატანი, „ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს ახალი ისტორიის ზოგიერთი საკითხი“ (ისტორიის ინსტ. შპ., ტ. III, 1958 წ.).

მოცემაზე მუშაობამ, ხოლო, მეორე მხრივ, თბილისის უნივერსიტეტის დაარსებასთან დაკავშირებულმა იდეურ-პოლიტიკურმა ბრძოლამ არსებითად გადაასინჯინა დამოკიდებულება ნ. მარის შემცდარ შეხედულებებთან და ენერგიულად დააცეკვინა საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი ხაზი. ვინც არ მოერიდება შრომას ყურადღებით გადაათვალიეროს და ერთმანეთს შეუღაროს „ქართველი ერის ისტორიის“ ადრინდელი და შემდგომი გამოცემები, ის თვალნათლივ დარწმუნდება, რომ ივ. ჯავახიშვილმა ხსენებული ნაშრომის მესამე (1928 წ.) გამოცემაში და ამ გამოცემის ე. წ. „შესავალ წიგნებში“ დაუნდობელი კრიტიკის ცეცხლში გაატარა ნ. მარის შემცდარი ისტორიულ-ფილოლოგიური შეხედულებანი, აგრეთვე, ნ. მარის მოძღვრებასთან დაკავშირებით თავისი საკუთარი ადრინდელი აზრები. შეიძლება ითქვას, რომ არ დარჩენილა საქართველოს ძველი ისტორიის თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, — ქართული ეკლესიის ისტორიით დაწყებული და „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემებით გათავებული, — რომელზეც ივ. ჯავახიშვილს არ გადაესინჯოს თავისი დამოკიდებულება ნ. მარის შეხედულებებთან. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო მასალას შეიცავს ივ. ჯავახიშვილის კაპიტალური ნაშრომი „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, რომელშიც სპეციალურად არის განხილული ქართულ-ქართველური და კავკასიური ენების შესახებ მთელი ლიტერატურა და მათ შორის ნ. მარის ე. წ. იაფეტური თეორია. ნაშრომის წინასიტყვაობაში ივ. ჯავახიშვილი თვითონვე გულახდილად მიუთითებს იმ მიზეზებზე, რომლებმაც იგი აიძულეს მოეკიდა ხელი სპეციალური ენათმეცნიერული საკითხების შესწავლისათვის და ძირფესვიანად გადაესინჯა ამ დარგის მკვლევართა წინანდელი შეხედულებანი. აი მისი სიტყვები:

„როდესაც „ქართველი ერის ისტორიის“ I წიგნს ვწერდი, ქართულ-ქართველურს ლინგვისტიკურ საკითხებზე მსჯელობის დროს, პროფ. ნ. მარის ნაშრომებს და თეორიას ვემყარებოდი, რომელიც მაშინ შეუმცდარად მეჩვენებოდა. I წიგნის მეორე, გაფართოებულს გამოცემაზე მუშაობამ უკვე დამარწმუნა, რომ ქართულის სემურობის თეორიის დასაბუთება არც ისე მტკიცე იყო, როგორც წინათ მეგონა, და არა ერთი ფრიად დამაფიქრებელი გარემოება და მოსაზრება მას მეტად სათუოდა ხდიდა... პირველი წიგნის მესამე გამოცემის შესავალზე მუშაობა უკვე იმ დროს მომიხდა, როდესაც წინანდელი დებულებების გამეორება უკვე სრულებით შეუძლებელი იყო...

ასეთ პირობებში, ან ქართველი ერის ისტორიის დასაწყისი ხანის განხილვის დროს ზემოაღნიშნული პრობლემების შესახებ მსჯელობაზე უნდა მეთქვა უარი, ან და ამ საკითხების შესწავლას თვით შევდგომოდი...

ქართულისა და ქართველურის, ისევე როგორც ე. წ. კავკასიის ენებზე დაწერილ გამოკვლევების გულდასმითმა შესწავლამ ბევრი რამის გათვალისწინების საშუალება მომცა: მათი ღირსებანაკლიც დამანახვა და ისიც გამაგებინა, თუ რატომ გამოდგა უნაყოფო ყოველივე ცდა ქართულ-ქართველური და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნებისა და ნათესაობის გამოსარკვევად. ცხადი შეიქმნა, რომ ამ უნაყოფობის ერთ მიზეზთაგანს იმ მეთოდოლოგიური პრინციპების გაუთვალისწინებლობა შეადგენდა, რომელთა გამოყენებით ეს უაღრესად რთული აგებულების ენები უნდა გამოკვლეული ყოფილიყო.¹

აქედან სავსებით ცხადია, რომ ივ. ჯავახიშვილი როგორც მეცნიერი წინ წავიდა, ახალი, უფრო მოწინავე მეთოდო-

1. ივ. ჯავახიშვილი, „ქართული და კავკ. ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, 1937 წ. გვ. XI — XII.

დოლოგიური იარაღი მოიმარჯვა და რადგან წინანდელი ენათმეცნიერული თეორიები აღარ აკმაყოფილებდა, თვითონვე შეუდგა მათ ძირფესვიან გადასინჯვას და ენათმეცნიერებაში ახალი გზების გაკაფვას. განსაკუთრებით ვრცლად და საფუძვლიანად აკად. ნ. მარის შემცდარი შეხედულებანი გააკრიტიკა და, რაც მთავარია, ნ. მარის მეთოდოლოგია დაუწუნა. ააშკარავებდა რა ნ. მარის ეტიმოლოგიური ანალიზის თვით მეთოდის უვარგისობას, ივ. ჯავახიშვილი დიდი დამაჯერებლობით, და ოდნავი ირონიითაც, ასაბუთებდა მარის საენათმეცნიერო თეორიის სრულ უსაფუძვლობას, ის ამბობდა:

„ტომობრივი და გეოგრაფიული სახელების (არასწორმა) ეტიმოლოგიებმა, იაფეტური მრავლობითი რიცხვების მისმავე მწკრივმა მკვლევარს უცნაური სურათი გადაუშალა: ერთსა და იმავე მიწაწყალზე, ერთსა და იმავე დროს ძველადვე მრავალი სხვადასხვა სახელის მატარებელი ხალხი აღმოჩნდა მოსახლედ. ვასათყარი ის იყო, რომ მარტო ერთგან სადმე კი არა, არამედ ყველგან მოსახლეობის ასეთი მდგომარეობა ყოფილა. იმის მაგიერ რომ ამ საოცრებას ამ ეტიმოლოგიების შეუმცდარობისა და სისწორის ეჭვი აღეძრა, აკად. ნ. მარმა ეს უცნაურობა კანონად აღიარა და იაფეტური ენათმეცნიერების უდავო ჭეშმარიტებად გამოაცხადა. საქმე ის არისო, ამბობს ნ. მარი თავის 1924 წ. გამოსულ ერთს შრომაში, რომ ესლა უკვე უცილობელი ფაქტია, რომ სანამ ახალი ხალხები და ენები (ე. ი. სემიანნი და ინდოევროპელები) შეიქმნებოდნენ, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროების იაფეტური მოსახლეობა განუწყვეტლივ მიმდევრო კვანძ-კვანძებად იყო მოფენილი. მოსახლეობის ეს კვანძები სხვადასხვა, ერთი მეორისაგან სრულიად დამორებულ ადგილებშიც კი ერთი და იმავე ტომობრივი ჯგუფების გამეორებას წარმოადგენენ. რა აერთებდათ ამ მუდამ ერთი და იმავე შემადგენლობის ჯგუფებს? როგორც ჩანს, ტომობრივ ძმანდაფიცობად

ქცეული ტოტემური კავშირიო, რაც იაფეტური ტომებს ხმელთაშუა ზღვის სანაპიროების უძველეს, დასახლებულ მხრებს სახლედ გვაფიქრებინებსო, ბრძანებს ავტორი.

აკად. ნ. მარი არ უხსნის თავის მკითხველს, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ის ჯადოსანი, რომელმაც „იაფეტიათა“ სხვადასხვა ტომები ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებს ერთი და იმავე ტომობრივი შენარევობით მოსახლეობის განუწყვეტელ კვანძებად მოჰფინა, ან ვინ ბრძანდებოდა ის დალოცვილი, ჩვენ ცოდვილ ქვეყანაზე მშვიდობიანობის დამნერგველი, რომელმაც იაფეტიათა ყველა ტომები ისეთ უმანკო კრავებად გახადა, რომ უერთმანეთოდ ცხოვრება არ სურდათ და ბრძოლა-ქიშობის მაგიერ მხოლოდ ტოტემურ ძმანდაფიცობას შეჰხაროდნენ? არა მგონია, ასეთი მისტიკური სურათისა და იდილიის დაჯერება ვისმე შეეძლოს.“

როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილს დიდ შეცდომად მიაჩნია ამა თუ იმ ხალხზე ცალკეული ეტიმოლოგიების მიხედვით მსჯელობა, ამ ხალხის ისტორიული ვითარებისა და მისი ენის შინაგანი ბუნების გაუთვალისწინებლად. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ეს უაღრესად საინტერესო თვალსაზრისია, წინ გადადგმული საყურადღებო ნაბიჯია, რომელიც გამოჩენილი ისტორიკოსის თვალსაზრისს თანამედროვეობის ყველაზე მოწინავე მეთოდოლოგიასთან აახლოვებს.

კიდევ უფრო საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ივ.ჯავახიშვილი კატეგორიულად უარყოფს ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ყბადაღებულ თეზისს, ხალხებისა და ტომების ვითომდა შეხმატკბილებული, მშური თანაცხოვრების შესახებ და სრულიად გარკვევით მიუთითებს, რომ უძველეს დროშიც ხალხებსა და ტომებს შორის ძმანდაფიცობა კი არა, განუწყვეტელი ბრძოლა და

1. ივ. ჯავახიშვილი, „ქართული და კავკ. ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, 1937 წ., გვ. 69—70.

ქიშობა სუფევდა. ძნელი შესამჩნევია არ არის, რომ ამგვარი თვალსაზრისით შორს სცილდება სხვადასხვა იდეალისტურ-პოზიტივისტურ მოძღვრებებს და ისტორიის მატერიალისტურ გავებას უახლოვდება.

თავის საინტერესო მსჯელობას ნ. მარზე ივ. ჯავახიშვილი შემდეგი საყურადღებო დასკვნით ამთავრებს: „აკად. ნ. მარის მოღვაწეობის ზოგადი შეფასების დროს, უნდა გულახდილად აღინიშნოს, რომ ქართულის, ქართველურისა და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნების, ავტულებისა და მონათესაობისა, — იმგვარადვე, როგორც მათი წარმოშობილობისა და სადაურობის პრობლემა ისევე გადაუწყვეტელია, როგორც წინათ იყო. . . ამ სფეროში მისი (ნ. მარის) დაუცხრომელი ცდის უნაყოფობა მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ სამეცნიერო მეთოდოლოგიის უგულვებელყოფით დასახული მიზნის მიღწევა არ შეუძლიან ისეთი არაჩვეულებრივი ნიჭისა და დაუშრეტელი ენერჯის პატრონს და მრავალ ენათა მცოდნესაც-კი, როგორც უცილობლად აკად. ნ. მარია“.¹

ასე მკაცრად, მაგრამ სრულიად სამართლიანად, შეაფასა ივ. ჯავახიშვილმა ნ. მარის საენათმეცნიერო მოღვაწეობის შედეგები. ცხადია, მას ამის შესაფერისად უნდა შეეცვალა და შესცვალა კიდევაც თავისი აზრი ქართველოლოგიის ისტორიაში ნ. მარის ადგილის შესახებ. თუ წინათ, „ქართველი ერის ისტორიის“ ადრინდელ გამოცემებში იგი ნ. მარს ქართველოლოგიის საენათმეცნიერო დარგის ფუძემდებლად და მოთავედ მიიჩნევდა,² ახლა მან ქართველთმცოდნეობის საენათმეცნიერო დარგის ფუძემდებლად და თაოსნად გამოჩინილი სამოციანელი მოღვაწე ალ. ცაგარე-

ლი გამოაცხადა,³ ნ. მარს კი ამ საქმის მხოლოდ გამგრძელებლის, როგორც მთავრად, რითაც ისტორიული სიმართლე აღადგინა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როდესაც ქართული კულტურის მანამდე არანახული აყვავების ხანა დადგა, ივ. ჯავახიშვილს ძალიან ბევრი, წინანდელზე გაცილებით მეტა საქმე და საზრუნავი გაუჩნდა, მაგრამ განახლებულმა სამშობლომ ამ სუსტსა და ჯანგატილ ადამიანს გოლიათური ძალა შემატა და იგი ყველაფერს აკეთებდა, ყველა საქმეს ასწრებდა: უნივერსიტეტი და მუზეუმი, მცხეთის გათხრები და რუსთაველის იუბილე, წინანდელი მრავალრიცხოვანი ნაშრომების შევსება-გადაკეთება თუ ახლების დაწერა, — აი, ის ფართო ასპარეზი, რომელზეც ასე მხნედ და ენერჯიულად მოღვაწეობდა ეს შესანიშნავი ადამიანი.

ივ. ჯავახიშვილის ნაშრომებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მისი, როგორც მეცნიერის, მსოფლმხედველობა სულ უფრო ვითარდებოდა და წინ მიდიოდა, მტკიცდებოდა და ვითარდებოდა მისი შეხედულებების დემოკრატიული ნაკადი, რომელიც თავის სათავეს მეცხრამეტე საუკუნის ყველაზე მოწინავე ქართველ მოღვაწეთა აზროვნების დიდ მდინარეში იღებდა. ივ. ჯავახიშვილი თვითონვე სულ უფრო მეტის ძალით გრძნობდა იმ სულიერ ნათესაობას, რომელიც მას მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებთან, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურებთან აკავშირებდა. მას კარგად ესმოდა, რომ არსებითად მთელი მისი მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლის, იაკობ

¹ ივ. ჯავახიშვილი, „ქართული და კავკ. ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, 1937 წ., გვ. 76.

² ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, 1913 წ. გვ. 3.

³ ივ. ჯავახიშვილი, „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, 1937 წ., გვ. 7.

გოგებაშვილის, დიმიტრი ბაქრაძის, ექვთიმე თაყაიშვილის და სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა და ისტორიკოსთა საქმის გაგრძელებას და დაგვირგვინებას წარმოადგენდა. შემთხვევით როდი იყო, რომ ივ. ჯავახიშვილმა, იმ დროს, როდესაც იგი უნივერსიტეტის დაარსებისათვის იღწვოდა, — თავის უახლოეს თანაშემწედ ექვთიმე თაყაიშვილი მიიწვია და მასთან უმკიდროესი თანაშრომლობა და მეგობრობა ჰქონდა; შემთხვევითი როდი იყო აგრეთვე, რომ მან 1937 წელს საჭიროდ ჩასთვალა საგანგებო სიტყვით გამოსულიყო ი. გოგებაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე და განსაკუთრებული გულთბილობით, პატივისცემითა და სიყვარულით აღენიშნა „ღეღაენის“ შემქმნელის უკვდავი ღვაწლი ქართველი ხალხის წინაშე. ეს და სხვა მრავალი ამის მსგავსი ფაქტი და, რაც მთავარია, მისი მეცნიერული მემკვიდრეობა სავსებით ექვემდებარება დანატრებას ივ. ჯავახიშვილის უახლოეს იდეურ ნათესაობასა და სულიერ კავშირს მეცხრამეტე საუკუნის დიდ მოღვაწეებთან. ივ. ჯავახიშვილი პროფესიულ ისტორიულ მეცნიერებაში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხაზის გამგრძელებელია. ამიტომ სავსებით მართალი იყო ივ. ჯავახიშვილის სახელოვანი მოწაფე აკად. სიმონ ჯანაშია, როცა შენიშნავდა: „აკადემიკოს ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილის საზოგადოებრივი შეხედულებანი იმ სახალხო განმანათვისებელი მოძრაობის გავლენის ქვეშ ყალიბდებოდა, რომელმაც საქართველო გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან მოიკცა. ივ. ჯავახიშვილის შრომები ამ მოძრაობის იდეებითაა გამსჭვალული“¹.

ივ. ჯავახიშვილის სულიერი ნათესაობა მე-19 საუკუნის გამოჩენილ ქართველ მოაზროვნეებთან განსაკუთრებით რელიეფურად ჩანს მის შესანიშნავ ნაშ-

რომში „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“, რომელსაც აუღიფიქრესი პნიშენელობა აქვს მისი ავტორის მსოფლმხედველობის გასაგებად. ეს ნაშრომი ივ. ჯავახიშვილის მემკვიდრეობაში და საერთოდ ქართულ საისტორიო მეცნიერებაში ერთი საუკეთესო ნაშრომთაგანია, იგი ქართული ისტორიოგრაფიის ნამდვილი თვალმარგალიტია. ამიტომ თავს ნებას მივცემთ მოკლედ მაინც შევჩერდეთ მის შინაარსზე.

რა მიზანს ისახავს ივ. ჯავახიშვილი ამ ნაშრომში? იგი თვითონვე აღნიშნავს, რომ მისი მიზანია გამოარკვიოს ილია ჭავჭავაძის როგორც ზოგადი ისტორიული კონცეფცია, ისე მისი კონკრეტული წვლილი საქართველოს ისტორიის შესწავლაში. მიუხედავად ნაშრომის შედარებით მცირე მოცულობისა, ავტორი ახერხებს ამ თავისი მიზნის ბრწყინვალედ შესრულებას.

ივ. ჯავახიშვილმა ძირითადად სწორად შეაფასა ი. ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფცია და მისი ღვაწლიც საქართველოს ისტორიის შესწავლაში, რითაც მოგვცა გასაღები მეცხრამეტე საუკუნის ამ დიდი მოაზროვნის საზოგადოებრივ შეხედულებათა გასაგებად. საყურადღებო და ნიშანდობლივია, რომ ივ. ჯავახიშვილი ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობაში, მის ზოგად — თეორიულ შეხედულებებში არჩევს და იწონებს სწორედ ისეთ საკითხებსა და ისეთ დებულებებს, რომლებიც, მართლაც, განსაკუთრებით ძვირფასი და დასაფასებელია ილიას ნააზრევში. ეს სწორედ ის საკითხებია, სადაც ილია ჭავჭავაძე გვევლინება, როგორც დიდი მოაზროვნე და მკვლევარი, რომელიც მშვენივრად იცნობდა და ხშირად მარჯვედაც იყენებდა აზროვნების დიალექტიკურ წესს. დავასახელოთ ორი-სამი მაგალითი

პირველი. ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებით გამოყოფს და მაღალ შეფასებას აძლევს ილია ჭავჭავაძეს შემდეგ დებულებას: „ყველა დროს თავისი ტივილი

1. „მოამბე“, ტ. I, 1940, № 9, გვ. 644.

12. „მნათობი“, № 6.

აქვს და გაგება ამ ტყვილისა ხედრია მარტო ჩინებულ კაცებისა“, ამიტომაც „ქეშმარიტი მემისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაქდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილიცა“¹. ეს დებულება უადრესად მნიშვნელოვანი დებულებაა. მართალია, ივ. ჯავახიშვილი არ იძლევა ილიას აქ გამოთქმული თვალსაზრისის თეორიულ-ფილოსოფიურ ინტერპრეტაციას, მაგრამ რაკი მან ასეთი თვალსაზრისი დიდი მოაზროვნის განსაკუთრებულ დამსახურებად მიიჩნია, თავისთავად იგულისხმება, რომ მას მშვენივრად ესმოდა ამ თვალსაზრისის დიდი მნიშვნელობა. ძნელი მისახვედრი არაა, რომ ი. ჭავჭავაძის ეს თვალსაზრისი, რომელიც ასე მოეწონა ივ. ჯავახიშვილს, მჭიდროდ უახლოვდება ისტორიული პროცესის დიალექტიკურ გაგებას, რომლის მიხედვით საზოგადოებრივი მოვლენები განხილული უნდა იქნან კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში, რადგან ყველაფერი დამოკიდებულია ადგილსა, დროსა და ვითარებაზე.

მეორე მაგალითი. ივ. ჯავახიშვილი აღფრთოვანებულია და ილია ჭავჭავაძეს ქებათა-ქებას ასხამს იმის გამო, რომ „მან პირველმა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი წარსულის ეკონომიური საფუძვლების გამორკვევის აუცილებლობა აღიარა“². „იმ ეკონომიურ საფუძვლად, — განაგრძობს ივ. ჯავახიშვილი, — რომელმაც ქართველ ერს მრავალრიცხოვან მტრებთან ესოდენ ხანგრძლივი ბრძოლის წარმოება შეაძლებინა, ილ. ჭავჭავაძეს მიწისმფლობელობის წესი მიიჩნადა... საქმე ის კი არ არის, სწორეა თუ არა თავისთავად ილ. ჭავჭავაძის ზემოყვანილი განმარტება; აქ ყველაზე საყურადღებოა ის გარემოება, რომ მან ჯერ კიდევ 1880 წ. აღიარა ისტორიული პროცესის გასა-

გებად ეკონომიური საფუძვლის ცოდნის აუცილებლობა“¹.

როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილს მოსწონს ილიას მსოფლმხედველობის სწორედ მეთოდოლოგიური მხარე, ე. ი. მის მიერ საკითხის მატერიალისტურად დაყენება. აქ ორივე მოაზროვნე ერთნაირად ფიქრობს და ამიტომაც ამბობს ივ. ჯავახიშვილი „ეს პრობლემა ილ. ჭავჭავაძეს სრულებით სამართლიანად საქართველოს ისტორიის პირველხარისხოვან ამოცანად აქვს აღიარებული“².

დაბოლოს, მესამე მაგალითი. ივ. ჯავახიშვილი საგანგებოდ უსვამს ხაზს ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის იმ თავისებურებას, რომელიც დამახასიათებელი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადისათვის და რომელიც ძირფესვიანად განასხვავებდა მის მსოფლმხედველობას ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მიმართულების მოღვაწეთა მსოფლმხედველობისაგან. ეხება რა ილიას მიერ ერის გამოჩენილ მოღვაწეთა დაფასების საკითხს, აერძოდ კი საქართველოს წინაშე დევით აღმაშენებლის ღვაწლის ილიასეულ გაგებას, ივ. ჯავახიშვილი ამბობს: „ისეთ პირად, რომლის ღვაწლისა და ამავის დავიწყება საქართველოს არ შეშვენის, ილ. ჭავჭავაძეს, რასაკვირველია, დევით აღმაშენებელიც მიიჩნადა და ჩვენთვის სწორედ ის არის საინტერესო, თუ რა მოსაზრებებით. მისი სიტყვით, „დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არ მარტო სახელოვან მეფობითა“, საქართველოს მთლიანობის დამყარებითა და სახელმწიფოებრივობის შექმნით, „არამედ თავის დიდებულებოვან კაცობითაც. იგი, თავდადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და... სარწმუნოებისა“, იმავე დროს „დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნებისაც და სარწმუნოებისა“... ილ. ჭავჭავაძეს საქართველოს პოლიტიკურ

1. ივ. ჯავახიშვილი, „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“, 1938 წ. გვ. 7-8.

2. იქვე გვ. 8-9.

1. ივ. ჯავახიშვილი, „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“, 1938 წ. გვ. 9—10.

2. იქვე, გვ. 9.

მოღვაწეთა ნამოქმედარში... „სხვა ერთა ღირსებისა და უფლების პატივისცემა იზიდავდა“.¹

აქედან ცხადია, თუ რა შორს იდგნენ ილია და ივ. ჯავახიშვილიც შეზღუდული, ნაციონალისტური თვალსაზრისისაგან, რომელიც სხვა ერთა დამცირებასა და დაჩაგვრას ჭადაგებს; აქედან ცხადია აგრეთვე. თუ რა ახლოს იდგნენ ეს დიდი მოღვაწენი ერთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის ყველაზე მოწინავე მოძღვრებასთან.

მაგრამ სრულიად გარკვევით უნდა ითქვას, რომ არც ივ. ჯავახიშვილი და არც სხვა რომელიმე დემოკრატიული მიმართულების ქართველი მეცნიერი, მათ შორის ისეთი ბუმბერაზი მოაზროვნეც კი, როგორც ილია ჭავჭავაძე იყო, ისტორიის მთლიან მატერიალისტურ გაგებამდე არ მისულა². ამით აიხსნება, რომ მათ ნაწერებში, ისევე როგორც რუსეთისა და ევროპის ყველა მარქსამდელი მოაზროვნის ნაწერებში, ჯერ შეგვიძლია აღმოვაჩინოთ ისტორიული მოვლენების იდეალისტური გაგების არა ერთი ნიმუში.

ივ. ჯავახიშვილის ნაშრომების ყურადღებით შესწავლა, ნათლად გვიჩვენებს, რომ დიდ მეცნიერს ისტორიული განვითარების გადამწყვეტ ფაქტორად მიაჩნდა სწორედ მატერიალური ცხოვრების პირობები და არა ადამიანების, თუნდაც მეფეების ნება-სურვილი; ივ. ჯავახიშვილმა მშვენივრად იცოდა, რომ სწორედ საზოგადოებრივი მდგომარეობა ქმნის საზოგადოებრივ შეგნებას და არა პირიქით. მას კარგად ესმოდა, თუ რა პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოების განვითარებისათვის ეკონომიურ ფაქტორს, საწარმოო ძალთა მდგომარეობას, შრომის იარა-

ღებს. ამიტომაც იყო, რომ მან კოლოსალური ენერჯია დახარჯა „საქართველოს ეკონომიური ისტორიის შესწავლა“³ ლად. მის კაპიტალურ ნაშრომში „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ შესწავლილი და გაანალიზებულია უამრავი საინტერესო და დიდმნიშვნელოვანი მასალა, ურომლისოდ შეუძლებელია საქართველოს სეროიზული ისტორიის შექმნა.

მაგრამ ივ. ჯავახიშვილი ამ ნაშრომში, სამწუხაროდ, არ შეეხო ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა წარმოების წესი და მასში მომხდარი ცვლილებების გავლენა საზოგადოების განვითარებაზე, საწარმოო ძალთა და საწარმოო ურთიერთობათა შესატყვისობა და აქედან გამომდინარე კლასობრივი ბრძოლის ხასიათი ამა თუ იმ ეპოქაში და ა. შ. ავიღოთ, მაგალითად, მისი უაღრესად საინტერესო გამოკვლევა ქართველი ხალხის შრომის იარაღებზე, ექრძოდ კი, ქართულ სახნავ იარაღებზე, რომელიც „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ პირველ ტომშია წარმოდგენილი. როგორც ცნობილია, ეს გამოკვლევა ივ. ჯავახიშვილის ეკონომიური ნააზრევის ერთ-ერთი შესანიშნავი ფურცელია, ავტორი გულდასმით აღწერს თითქმის ყველა სახეობის სახნავ იარაღს, უმარტივესი კავით დაწყებული და ურთულესი გუთნით დამთავრებული, იკვლევს თვითეული მათგანის სადაურობას, ადარებს მათ სხვა ქვეყნებში ხმარებულ იარაღებს და ა. შ.

„სახენელის საუკუნეთა განმავლობაში თანდათან გაუმჯობესებამ და ახალ-ახალმა სახეობამ წინამორბედი სახეობა ვერ მოსპო, — ამბობს ივ. ჯავახიშვილი და განაგრძობს: — ამ ერთის შეხედვით უცნაური გარემოების მიზეზების გაგება ადამიანს არ გაუძნელდება, თუ საქართველოს ნიადაგის გასაოცარ სხვადასხვაობასა და ბუნებისა და თვისებათა მრავალფეროვნებას გაიხსე-

1 ივ. ჯავახიშვილი „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“ 1938 წ. გვ. 10—11.

2. ესეც უნდა ითქვას, რომ ი. ჭავჭავაძისა და ივ. ჯავახიშვილის საზოგადოებრივი შეხედულებანი საეხებით ერთნაირი როდია. ზოგიერთ საკითხში ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისი არსებობდა განსხვავდება ილიას თვალსაზრისისაგან.

ნებსო“¹. მაგრამ აქ ჩვენ ბუნებრივად გვებადება კითხვა: შეიძლება თუ არა, რომ ხსენებული მოვლენა მთლიანად ნიადაგისა და საქართველოს ბუნების თავისებურებებით აიხსნას? ივ. ჯავახიშვილი მსჯელობს ერთ უღლიან, ორ უღლიან და ოთხ-ხუთ უღლიან გუთნებზე და მათ არსებობას ისევ და ისევ ნიადაგის თავისებურებით ხსნის, საკითხის სოციალურ მხარეს კი მაშინაც არ ეხება, როდესაც არქანჯელო ლამბერტის ცნობას იმოწმებს, სადაც პირდაპირაა ნათქვამი „რკინის გუთნის გაკეთებას მეტი ხარჯი სჭირდებოდა“ და ამიტომაც სამეგრელოში უფრო ხის მარტივი სახნავი იყო გავრცელებულიო².

ძნელია გადაჭარბებში შევჭაფსოთ ივ. ჯავახიშვილის როლი ქართული ისტორიისა და საერთოდ ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაში. ეს როლი უდიდესია. ივ. ჯავახიშვილმა ქართული ისტორიული მეცნიერება მანამდე არნახულ სიმაღლეზე აიყვანა, ხოლო რისი გაკეთებაც მან ვერ მოასწრო, გააკეთებენ მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეები — ოღონდ გააკეთებენ არა როგორც ეპიგონები, არამედ როგორც ნოვატორი მეცნიერები, რომლებსაც უნარი შესწევთ დანიცვან, დააფასონ და განავითარონ ის დიდი ეროვნული საქმე, რომელსაც სახელოვანმა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა მთელი თავისი ნათელი სიცოცხლე შესწირა.



¹ ივ. ჯავახიშვილი, „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, ტ. I, 1930 წ. გვ. 173.

² იქვე, 83.

„იქნება მის გამოვს გვერი სთქმელი...“

პოეტის ყოველი წიგნი, ყოველი ლექსი საკუთარი სიცოცხლითაც ფუტკავს და ავტორის მთლიანი შემოქმედების პელსსაც გვაგრაზობინებს. როგორც ახალმა, თავისთავადმა საკითხმა და მოულოდნელმა მხატვრულმა შთაბეჭდილებამაც არ უნდა შეძრას პოეტი, ყოვლად შეუძლებელია, რომ მთლიანი შემოქმედების ხასიათმაც არ გაიხშიანოს და რაღაც ახალი მხატვრული ნიუანსებიც არ გაჩნდეს. ეს პრინციპი გულისხმობს სიახლეთა ძიების უწყინსად და ჩვეული მხატვრული მანერისადმი პრინციპულ ერთგულებასაც. ამ ორი პირობის პარაზონიულობას გულწრფელი პოეტური შთაგონება, გაუნფლებელი მხატვრული სულისკვეთება განაპირობებს.

არცთუ ისე იშვიათად ლაპარაკობენ ხოლმე გულწრფელობაზე, მაგრამ მის რაობასა და ხასიათს გვერდს უღლიან.

ეს იმდენად საპირბორიოტო და რთული პრობლემაა, რომ საგანგებო მსჯელობასა და განხილვას მოითხოვს. ამ შემთხვევაში გვიანტერესებს საკითხის ერთი მხარე, რასაც ჩვენი აზრით, გარკვეული ურთიერთობა აქვს სარეცენზიო წიგნთან.

გულწრფელობა და მხატვრული გამოგონება გარეგნულად, თითქოს ერთმანეთის საპირისპირო ცნებებია, მაგრამ შინაგანად სწორად გამოგონების სფეროში მტკიცდება მხატვრული გულწრფელობის არსი და მნიშვნელობა, ანუ როგორც ვაჟა-ფშაველა იტყობდა — საღი ფანტაზია ისეთს არაფერს შექმნის, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამებოდეს. პოეტური გამოგონება გულწრფელობიდან იწყება და გულწრფელობაშივე ასრულებს თავის მხატვრულ მიზანს.

ეს საკითხები, რა თქმა უნდა მერტნაყლები სიღრმე-სივანით, წამოჭრა ჩვენს წინაშე ჯანსუღ ჩარკვიანის ახალმა წიგნმა — „ფერადი მერიდიანები“.

ჯანსუღ ჩარკვიანის პოეტური სახელთან დაკავშირებით მკითხველს უკვე თავისებური წარმოდგენა ექმნება. შესაძლოა ეს წარმოდგენა ჯერ

კიდევ არ იყოს შეკარად დაზუსტებული და ჩამოყალიბებული, მაგრამ მისი არსებობის ნიშნებიც კი აშკარად შეტყველებენ ჯანსუღ ჩარკვიანის გარკვეულ პოეტურ პროფილზე.

მისი პოეზიის განუყრელი და ორგანული თვისებაა დაძაბული პათოსი, ენერგიული სუნთქვა და აგზნება. ამ ნიშნების გარეშე წარმოუდგენელია ადამიანის სულიერი სამყაროს შერბევვა, მაგრამ არც მათი შიშველი ილუსტრაციაა ნამდვილი პოეზიის გზა.

ჯანსუღ ჩარკვიანმა თავიდანვე ამ ენერგიული სუნთქვითა და პოეტური სიცოცხლისუნარიანობით მიიქცია ყურადღება. მან დღემდე შეინარჩუნა შინაგანი ძიება, პოეტური ვიტაცება და რიტმულ-ინტონაციური მრავალფეროვნებისაყენ სწრაფვის უნარი. რიტმული მრავალფეროვნების ფაქტი მით უმეტეს საბატიო აღნიშვნის ღირსია დღეს, როცა ზოგიერთი ჩვენი პოეტი, მექანიკური განცდის გამო, ერთ ყალიბში აერთიანებს რაეკტისა და ურმის რიტმს.

ჯანსუღ ჩარკვიანმა არა ერთ და ორ ლექსში მოახერხა გონების რეაქციასთან პოეტური აგზნების, ლექვის შერწყმა და აზრიანი ემოციის პრიმატს მოაღწია. მან მკითხველის მგზისიერებაში დამაყრებულად აღბეჭდა ცალკეული მოქნილი, გააზრებული მხატვრული სახე თუ მთლიანად ლექსი.

ლექსების ახალ კრებულს — „ფერადი მერიდიანები“ შეიძლება ძირითადად მოგზაურის, ტურისტის, პოეტურ შთაბეჭდილებათა დღიური ვუწოდოთ.

წიგნში განვითარებულია ორი ხაზი — უცხოური და მშობლიური შთაბეჭდილებანი, არამშობლიურის და მშობლიურის განცდა. ამ კონტრასტის ფონზე ნათლად ჩანს, რომ ჯანსუღ ჩარკვიანის მხატვრული განცდა, პოეტური ხილვა პირველ შემთხვევაში გაცილებით უფრო ნაკლებ შთამაგონებელი და გამიზნულია. იგი მთელ მხატვრულ შესაძლებლობას, გულწრფელ დრტივენას და პოეტურ გაქანებას მშობლიურ გარემოსთან მიმართებაში აყვლის:

შენ ჩემო სახლო, ა
და ჩემო ხალხო,

ჯანსუღ ჩარკვიანი, „ფერადი მერიდიანები“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1965.

ჩვენო სისხლო და
 ჩვენო ვენახო.
 ვინც ვერ აუღო
 შენს სუნთქვას ალღო
 და შენი კარი
 ვინც ვერ შეაღო...
 ვინც ცოცხალია
 და აღარ გეძებს
 შწამს შუა გზაზე
 დაღამდება,
 იცოდე შენი
 ცოდვა აქვს მხრებზე
 და გადუხდის
 რაღაც განგება.

მართალია პოეტი ცდილობს ყოველი უცხო-
 რი ფაქტი, საგანი თუ მოვლენა პატრიოტული
 თვალთ დინახოს და სამშობლოს მოწყობრებუ-
 ლი გულის განიცადოს, მაგრამ აშკარად იგრძ-
 ნობა, რომ იგი, როგორც მოქალაქე და პოეტი,
 ახლოს არაა ამ საგნებთან, მოვლენებთან და გან-
 ცდაც რამდენადმე არაორგანულია. ამის ისიც
 უნდა დაუმატოთ, რომ ავტორი თითქმის არ
 არჩევს თავისი პოეტური და აღამიანური სტი-
 ჭისათვის შედარებით უფრო მახლობელ, შესა-
 ბამის საგანს თუ ფაქტს და ზოგჯერ ინდიფერენ-
 ტული დამოკიდებულებით კმაყოფილდება.

„ლიტერატურაშია ვაზებას“ ფურცლებზე ამს
 წინათ გამოქვეყნებულ წერილში სიმონ ჩიკო-
 ვანი წერდა: „...ეგრეთწოდებულ „საგზაო“
 ლექსების წარმატება შეიძლება მხოლოდ იმ შე-
 მთხვევაში, თუ პოეტი სულიერად არის შეგზა-
 დებული მოგზაურობაში ნაპოვნი თემისათვის“.

როგორც წიგნიდან ჩანს, ქანსულ ჩარკვიანს
 ბევრი რამ უნახავს და ყველაფრის შესაბამისი
 განწყობა, ფსიქოლოგიური მზალყოფნა თითქმის
 შეუძლებელიც იყო. ამიტომაც მარტუბა მას
 ეგრეთწოდებული შერჩევითი მეთოდის მონახვა.
 ჩვენ პოეტს ვედავებით პაინციპული მხატვრუ-
 ლი მოტივირების საკითხში, თორემ შეიძ-
 ლებოდა წარმოგედგინა არა ერთი და ორი ნა-
 წვეტი, ან მოლიანად ლექსი, რომლებშიც იგრ-
 ძნობა ვაზარტებელი, ღრმა და წრფელი განცდა;
 მაგალითად:

თითქოს ცხოვრებაც მდორად მიღღავს,
 ენქნული მოჩანს დაცილლ ტოვივით,
 მე მაგონდება შენი სიშლერა,
 რომელსაც კვიო
 კაცის ტირილი,

ქანსულ ჩარკვიანი ხანდახან აგზნებას, ეგრეთ-
 წოდებულ პოეტურ მოუსვენრობას შედგვის
 ფუნქციას აკისრებს და მხატვრულ მიზანს, ძი-
 რითად საგანს, ცენტრალურ მოტივს ჭარბიან
 ყურადღებას არ აქცევს, რის გამოც ლექსის
 ცალკეული დეტალები, ძირითად საგანთან მიმ-
 ართებაში, არანებურზე შთაბეჭდილებას ტოვებ-
 ზენ. უფრო ზუსტად: პოეტს ზედმეტად იტა-
 ცებს „როგორ თქვას“ და ნაკლებად აინტერე-

სებს მეორე — ძირითადი მხარე „რა უნდა
 თქვას“.

მწელია ვაიგო — რა კონკრეტულმა, საგნობ-
 რებმა მხატვრულმა მოტივმა! შთაბეჭდილმა, პოეტს,
 მაგალითად „სანდრო ბოტიჩელის — „ვენერა“
 ან „ერთი წუთი“. ამ ლექსების ცალკეული სახე-
 ები, ლამაზი პოეტური სტრიქონები ნამდვილად
 რომ გვანიჭებენ მხატვრულ სიამოვნებას, გვა-
 ფიქრებენ, გვაღვლევენ, მაგრამ ერთი რამ ცხა-
 დია: ორიენტაცია, მხატვრული ცენტრი, პოზი-
 ცია, საითენაც გამოხუნული უნდა იყოს ყოველი
 დეტალი, ცხადი და გამოკვეთილი არ არის და
 ამდენად ავტორის პოეტური, მხატვრული მოქ-
 მედების ძირითადი მიზნებიც არ ჩანს.

ამ რეცეზიისათვის შემთხვევით არ დაგვირ-
 კმევია სათურად ქანსულ ჩარკვიანის სტრიქო-
 ნი — „იქნება მეც მაქვს ბევრი სათქმელი“. ისე-
 თი ხალსი ტალანტის, ენერგიული განცდისა და
 ლამაზი მეტაფორული აზროვნების პოეტს, რო-
 გორიც ქანსულ ჩარკვიანია, ნამდვილად რომ
 ზევრი და მნიშვნელოვანი სათქმელი აქვს და სა-
 ამისო პოეტური უნარიც შესწევს.

ჩვენი აზრით, მან უფრო მეტად უნდა გაამახვი-
 ლოს ყურადღება კომპოზიციანზე, ორიენტაცია-
 ზე. რათა ყოველ ლექსში იგრძნობოდეს აქცენ-
 ტური მოტივი, მხატვრული ცენტრი.

ქანსულ ჩარკვიანი ძირითადად გრძნობისმიერ-
 ი პოეტი. სწორედ ეს ფაქტორი განსაზღვრავს
 მისი პოეზიის უშეაღობასა და სიღაღეს, მაგრამ
 წიგნში აქა-იქ განზრახული ეფექტის, მანერული
 სახეები და გამოთქმებიც გვხვდება. მაგალითად:
 „და შენი ფიქრის ღურჯი ფერღობი“, „მე საკუ-
 თარ გულს ვეღვამ ფეხს და იმითი ცეცობობ“,
 „ლამე ვამოთლებ ჩემს ზარცხილ დიდის კიბეებს“,
 „დილა ჰკავს თეთრი ზარცხის წყრიალს, აწუთო
 ჰკავს უცებ ხელის წყალბაბს“.

ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, თავს იმარ-
 თლებენ ხოლმე—სტრიქონების კონტექსტისაგან
 იზოლირებულად აზრი ევარგებათო. უაზრო თუ
 ბუნდოვანი აზრის სტრიქონი, სახე ან გამოთქ-
 მა მხოლოდ თავის მსგავს კონტექსტთან პოვებს
 საერთო ენას და ურთიერთობას. ამ სტრიქონებს

კი პრიიტი — დისონანსი შეაქვთ ნათელ, დაზ-
 გწილ მხატვრულ კონტექსტებში. ახლა საპი-
 რისპირო მაგალითები მოვანხათ: „რომ სიყვარ-
 ლი ისეც ვაწწავდი იმ კაცს, რომელსაც
 სძულს სიყვარული“, „მამიდ მანუტა მველელის
 სახეს რეპორება“, „პროწულებში ცის ფერი
 ღვივის“, „ვინ დამიხუტა თვალბი სხავით, ვინ
 დამიარა დაირით ტანში“... ეს სტრიქონები კონ-
 ტექსტისაგან დამოუკიდებლადაც ამქდავენბენ
 ნათელ აზრს, მხატვრულ სინატიფეს და კონტექს-
 ტშიც სრულყოფილად ასრულებენ თავიანთ
 ფუნქციას.

შესანიშნავი კრებული დიდ ქართულ მეცნიერს

იშვიათია მეცნიერი, რომელსაც ისე მოეწეს-რიგებინოს თავისი ლიტერატურული მემკვიდრეობა, როგორც ეს აწ გარდაცვალებულმა აკად. კორნელი სამსონის ძე კეკელიძემ (1879-1962) მოახერხა. იგი მოესწრო მის მიერ შექმნილი კაპიტალური და ფუძემდებელი ნაშრომის „**ქართული მწერლობის ისტორიის**“ I ტომის მეხუთესა (1923-1960) და II ტომის მეოთხე (1924-1959) გამოცემებს. მისთვის გამოკლევები, ძიებანი და პუბლიკაციები შეადგენენ 10 მსხვილტანიან კრებულებს, სათაურით „**ერთდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან**“; ამათგან 8 ტომი ავტორის სიცოცხლეშივე გამოქვეყნდა, მეცხრეს (თბ., 1963) სასტამბო კრებულების წაითხვა მოასწრო თავით ავტორმა და მეათე ს. ყუბანეიშვილს აქვს მომზადებული გამოსაცემად.

ყოველივე ამის გამო მკვლევრებს სრული შესაძლებლობა აქვთ დიდი მეცნიერის კ. კეკელიძის ლიტერატურული მემკვიდრეობის თანმიმდევრობით შესწავლისა და გამოყენებისა.

ასეთსავე ხელსაყრელ პირობებში არ იყვნენ იგივე მკვლევრები, როდესაც მათ სჭირდებოდათ გაეთვალისწინებიათ, რა დაწერილა კ. კეკელიძის შესახებ.

კ. კეკელიძემ თავიდანვე მიიბურო სათანადო დარგების სპეციალისტთა ყურადღება, იგი ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში იბუქდებოდა და მის შესახებაც წერდნენ. დღემდე არსებობდა კ. კეკელიძისადმი მიძღვნილი მხოლოდ სამეცნიერო სესიებისა და იუბილეების გამო გამოცემული კრებულები. სხვა რიგის მასალებისათვის თავი მოუყარა კ. კეკელიძის ერთგულ მოწაფესა და გამოცდილ ტექსტოლოგს, კ. კეკელიძის შრომების ცნობილ გამოცემულ სოლომონ ყუბანეიშვილს, აი, ეს ფრიად მნიშვნელოვანი კრებული გამოვიდა მიმდინარე წლის დასაწყისშივე. იგი შეიცავს ჩვენი დიდი მეცნიერის ცხოვრების, სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადო მოღვაწეობის დოკუმენტურ მიმოხილვას.

კრებულის პირველ ნაწილში წარმოდგენილია მასალები იმ დიდი ინტერესის თაობაზე, რომელსაც კ. კეკელიძისადმი ავლენდა ჩვენი საზოგადოებრიობა და მოწინავე უცხოური მეცნიერები.

წიგნი იხსნება აკად. ალ. ბარამიძის საფუძვლიანი ნარკვევით „**კორნელი კეკელიძე. ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა**“.

სხვა მასალები დაგვამბობელია ქრონილო-

გიურად, — ვერ წარმოდგენილია **„მიმოხილვა: კ. კეკელიძის მეცნიერული მოღვაწეობის“** 40 წლისთავი“. ეს თარბი სამეცნიერო სესიითა და პრესის საგულისხმო გამომხატურებით აღინიშნა.

შემდეგი განყოფილება შეიცავს კ. კეკელიძის დაბადების 75 და მეცნიერული მოღვაწეობის 50 წლისთავის გამო ჩატარებული ზეიმის შესავალ სიტყვას, კ. კეკელიძისადმი მიძღვნილი ადრესების ტექსტებს, ჩვენი გამოჩენილი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეთა სიტყვებს, სათანადო ბრძანებებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი, კ. კეკელიძისა და უნივერსიტეტის სახელზე მოსულ დეპუტებს, კ. კეკელიძის სიტყვას, ამ ზეიმის გამო პრესის გამოშახილს (წერილები) და სხვა მასალებს.

ასეთივე თანმიმდევრობითა და შინაარსით უფრო ვრცელადა კრებულში ასახული კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავის იუბილე.

კრებულის მეორე განყოფილება — კ. კეკელიძის გარდაცვალება და დაკრძალვა — შეიცავს სრულ დოკუმენტაციას ამ საწუჭბარო ფაქტისა: — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს დე სხვათა განცხადებებს, გარდაცვალებულის სხეულის უკვდავოების ღონისძიების ცნობის, საფლავთან წარმოთქმულ სიტყვებს (გ. ძოწენიძე, ი. დოლიძე, ი. აბაშიძე, გ. ლეონიძე და სხვები), საბჭოთა პრესაში გამოქვეყნებულ წერილებსა და უცხოეთის გამომხატურებას (დ. მ. ლენგი, — ლონდონი; მგისი, — პარიზი; კ. პ. სტივენსონი, — ოქსფორდი; ვ. მინორსკი, — ბრიტანეთის აკადემიის წევრი და სხვები).

კრებულს დართული აქვს კ. კეკელიძის შრომების ბიბლიოგრაფია, მეცნიერისა და სხვა ფოტოსურათები.

ამგვარად, ეს მრავალმხრივ საყურადღებო დოკუმენტური კრებული შეიცავს სახელოვანი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის აკად. კ. კ. კეკელიძის მდიდარი ბიოგრაფიის უძვირფასეს მასალებს და მისი სამეცნიერო და საზოგადო მოღვაწეობის სხვადასხვა მხრივ შეფასებას ასახავს.

კრებულს დაართული ს. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი, უკანასკნელი გამოცემებით შევსებული და დახუსტებული კ. კეკელიძის ნაწერების სრული ბიბლიოგრაფია პირველად არ ქვეყნდება, მაგრამ ეს არის ყველა წინა გამოცემაზე უფრო სრული და მეცნიერული ბიბლიოგრაფიის პრინციპებისა და წესების მიხედვით გამართული რედაქცია. იგი უდავოდ დიდ დახმარებას გაუწევს კ. კეკელიძის ლიტერატურული მემკვიდრეობის და საქართველოსთან ისტორიულად ურთიერთობის მჭონე ხალხების ყ-

...დიდი ქართველი მეცნიერი აკად. კორნელი კეკელიძე“. კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა სოლომონ ყუბანეიშვილმა, „**მეცნიერება**“, 1965.

ლტერისა და ისტორიის შესწავლით დაინტერესებულ პირებს. ეს ბიბლიოგრაფია ცალკეც უნდა გამოიცეს ისევე, როგორც ამას წინააღმდეგობა მტორე დიდი მეცნიერის, აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის შრომათა ბიბლიოგრაფია და რუსეთში გამოქვეყნებულია აკადემიკოსების: მეშჩინინოვის, ი. კრაჩკოვსკის, ე. შიშკაროვის, ი. ორბელის და სხვათა „და ჩვენში პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის (1909—1960 წწ., თბ., 1960) ბიბლიოგრაფიები.

კრებულის შემდგენელი და გამოსაცემად მომზადებელი ს. უზანაშვილი სწორად მოქცეულა, რომ მას, „ბიოგრაფიული ცნობების განმეორებათა თავიდან აცილების მიზნით“, ზოგიერთი ერთეულის შესახებ მხოლოდ ბიბლიოგრაფიული ცნობა წარმოუდგენია ან შემდეგ გამოცემასთან მოუხსენებია ასეთი.

შემდგენელს კრებულში არ შეუტანია მისთვის ცნობილი, ფრანგულ ენაზე გამოქვეყნებული

ბული ოსლოს უნივერსიტეტის რექტორის, ქართველოლოგის პროფ. ჰანს ვოლტერს წერილი კ. კეკელიძის მოღვაწეობის შესახებ. სისრულისათვის კრებულში ამ წერილს შეტანილ იყო საჭირო და მისი ქართული თარგმანის გამოქვეყნება კიდევ უკეთესი იქნებოდა. ამას გარდა, განმეორებათა თავიდან ასაცილებლად, ზოგიერთი წერილი შემოკლებულია, ზოგიც კი — სრულიად გამოტოვებულია და მასზე ბიბლიოგრაფიული ცნობა მხოლოდ მოცემულია. საჭიროა, ასეთებიც გამოქვეყნდეს არა მარტო სისრულისათვის, არამედ ისტორიისა და პრაქტიკულად გამოყენებისათვისაც.

კრებული შედგენილია საქმის ცოდნითა და დიდი სიყვარულით; იგი მრავალმხრივ სასარგებლო წიგნია.

იოსებ მაგრალიძე

„მე საქართველო აქედან ვიცი“

„ასე იწყება ლერწმის შრიალი“ — ეწოდება ახალგაზრდა პოეტის დილარ ივარდავას ლექსების პირველ წიგნს.

დილარ ივარდავას ლექსებში ყურადღებას იქცევს სიტუაციის გრძობა და ღირსიზმი, ადამიანის განცდების პოეტური ფიქსაცია, მაგრამ ის, რასაც დილარ ივარდავა აცემებს, არა არის მხოლოდ და მხოლოდ გარითმული ფიქსაცია — ახალგაზრდა პოეტის ბევრი ლექსი თვითმყოფელია.

დილარ ივარდავას ლექსები ხშირად იბეჭდებოდა ჩვენს ქუჩა-გაზეთების ფურცლებზე, თუ ყველა არა, ბევრი მათგანი პოეზიით დაინტერესებული ადამიანების მოწონებას იმსახურებდა.

და აი, ახლა ჩვენ ხელთა გვაქვს პოეტის პირველი წიგნი, რომელიც გამომცემლობა „ნაკადულმა“ მიაწოდა მკითხველს. ამ წიგნის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია გარკვეული წარმოდგენა ვიჭერით პოეტის შესაძლებლობაზე, ვისაუბროთ და ვცვაობთ მის კარგ თვისებებზე, მივუთითოთ ხარვეზებზე, რომლებიც წიგნში გვხვდება.

დილარ ივარდავა ამჟამინებს სხვადასხვა ლექსებში ერთსა და იმავე თემაზე ესაუბროს მკითხველს; მთელ წიგნში პოეტი ძირითადად ორ თემას იმუშავებს: სამშობლოს სიყვარულის, პატრიოტიზმისა და სიკატუნის, ჩვენი ახალგაზრდობის თემას, ახალგაზრდობისა, რომელიც იზრდება იმისათვის, რომ ამწინოს და დაამკვიდროს ქვეყნად ლამაზი, კეთილი. ეს არის დილარ ივარდავას პოეტური სამყარო, მისი თემატიკა. იგი

არ ცდილობს ყოველ ახალ ლექსში ახალი თემის დამუშავებას, მაგრამ ეს თემები მრავალგვარი ელფერით ჩნდებიან სხვადასხვა ხასიათის ლექსებში, რადგან, დ. ივარდავა ჩვენი დროის ცხოვრებით ცხოვრობს და როგორც მოქალაქე, როგორც ადამიანს მრავალგვარი ინტერესი ამოძრავებს. პოეტს ერთნაირად აინტერესებს ბარიკადებზე დაცემული დედისა და ფერების მაიყვებელი ახალგაზრდა მხატვრის ბედი, თვითმფრინავის საერკლიდან დანახული საქართველოს ნაირსახეობანი, რელიეფი და შორს, აზუის სივრცეში გვირგვინად დაცემული მამა. ზღვაში ჩაძირული და „ფელსის სიციხით გაბრუნებული“ დიოსკურიისა და არმანის ბედი. მაგრამ რაზედღაც არ უნდა სწერდეს პოეტი, რაც არ უნდა იყოს მისი სათქმელი, იგი ყოველთვის პირდაპირი და უშუალოა. სტრიქონებს შორის იმდენი სიტობა, რომ არ შეიძლება არ მოიხიბლოთ. მოვიშველიოთ ერთი რიგითი ლექსი:


სულში კანკალებს მიხაკების თეთრი სისველე,
გარეთ ქარია... ქარი სუნთქავს თეთრი
ნისლებით, —

შენ კი დაღლილი ჩემს მკლავებზე ჩემად
ისვენებ,
და წამი რაღაც მოლოდინით გაერთობს ისევე,
ნუ შეერთი ასე...

გარეთ ახლა თეთრი თოვლია,
ფიფქები ცვიფა და ბელურას რა ემღერება, —
შენ ფრთებმოკეცილს ჩემს წინაშე გზედავ
თოლიას,

სინემის ერთობა დღეს საოცრად
მესტვაფერება.
მაგრამ თოვლია, რა საოცრად წმინდაა თოვლი,
ხელს ნუ შეახებთ, დაეშინება თითების
თრთოლვა.

დილარ ივარდავა, „ასე იწყება ლერწმის შრიალი“, „ნაკადული“, 1965.



„ხელს ნუ შეაბნობ, დაემჩნევა თითების თრთოლვა“ — წერს პოეტი და ჩვენ დაჩემუნებული ვართ, რომ ამის დაწერა შეუძლია იმას, ვინც ძალიან გრძნობს, ახლოს განიცდის სავანს, თემას. უამისოდ კი წარმოუდგენელია პოეტური ცეცხლით გასხივოსნებული სტრიქონების შექმნა.

სწორედ განცდის უშუალობის სიკარბე ხდის დილარ ივარდავას ლექსებს საინტერესოს, სწორედ ეს უშუალობა კვებავს მის პოეზიას, ზოგჯერ იგი ხმადაბლა, ჩურჩულით ესაუბრება მკითხველს, და ამ ჩურჩულით სერს შეარბიოს ადამიანის გულის სიმები, ამ ჩურჩულით სერს ხმაშიაღა თქვას სათქმელი, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ შემთხვევაში დ. ივარდავა ხშირად გაცილებით უკეთეს შედეგს აღწევს:

აქ ვილაც ივლის,
აქ ვილაც იყო,
აქ ვილაც დადის
საყუთარ ფიქრით,
მაღალი მიზნით.
მღუშარე დარდით, —
ჩემად ფარფატებს ფოთილი ჭადრის, —
და კარგად შესმის
და კარგად ვიცო,
ჩვენი ფიქრები სიმაღლეს ერთვის,

და კარგად შესმის ეს წამი რად ღირს,
ეს წუთი რად ღირს,
ან ეს დღე რად ღირს,
შენთვის და ჩემთვის.

დ. ივარდავა ქართული პოეზიის სრულიად ახალი ნაკადის წარმომადგენელია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მის წიგნში აბის ბევრა კარგი და გულწრფელი სტრიქონი, პოეტი არც ნაკლისაგანაა დაზღვეული, მთავარი კი მაინც ისაა, რომ დილარ ივარდავა სწორ გზაზე დგას, რაც შემოქმედებითი გამოაჩვენებს საწინდარია.

სამწუხაროდ დილარ ივარდავას ზოგიერთ ლექსში შეიკბნეული ვერ იგრძნობს მის პოეტურ ინდივიდუალობას, საერთოდ დ. ივარდავას ზოგიერთ ლექსს რემინისცენციების ბეჭედი აბის. მაგრამ რადგან წიგნის მთლიან სახეს სწორედ ის ლექსები ქმნიან რომელზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ, რადგან წამყვანი ადგილი სწორედ შთაგონებით შექმნილ ნაწარმოებებს უჭირავს, ჩვენც ვცნობ, რომ პოეტის შემდგომი გზა სწორედ აქეთკენ წარიმართოს და მის ლექსებში სრულყოფილად აისახოს ჩვენი თანამედროვე აღმზანის სულიერი ცხოვრება. ამის თქმის საშუალებას კი პოეტის პირველ წიგნში შესული ლექსების უმეტესობა გვაძლევს.

ზარამ ბათიაშვილი

„გადანახული საგანძობრიდან“

გახელ წელს „ლიტერატურა და ხელოვნება“ გამოცემა ლიტერატურული წერილების კრებული სათაურით „გადანახული საგანძობრიდან“, რომლის ავტორია ცნობილი მედავოგი სიმონ სხირტლაძე.

ინტერესს მოკლებული არაა მკითხველს მოკლედ გავაცნოთ მოცულობით პატარა, მაგრამ დიდი სიყვარულით დაწერილი წერილების სერია, რაც დავგარწმუნებს იმაში, თუ რა ფართოა წიგნის ავტორის თვალთახედვა და რამდენად მზრავლეროვანია მისი ინტერესების არე.

ამ ნაშრომით ავტორი მკითხველის წინაშე წარდგა როგორც ქართული ლიტერატურისა და კულტურის დაკვირვებელი მკვლევარი. თუნდაც ის ფაქტი, რომ სულხან-საბა ორბელიანის ნაკლებად შესწავლილ ქადაგებათა „კრებული“ ახეთი დიდი სიყვარულითა და ღრმა ცოდნითაა გამოიღული, უდავოდ იმას მოწმობს რომ ავტორი კარგად იცნობს სულხან-საბას ეპოქას, გენიალური მწერლის ამ კრებულზე ს. სხირტლაძეს ბევრი საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული და, ვფიქრობთ, ქართული ლიტე-

რატურის მკვლევრები სათანადო ანგარიშს გაუწევნ მას.

ს. სხირტლაძემ სამართლიანად დაინახა მასში არა მარტო ბერის ქადაგებანი; და მართლაც საბას, ამ სვედამწარებელ მამულიშვილს, ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი საქართველოს მძიმე ტრაგედია, ამიტომ უსაფუძვლო იქნებოდა გვეფიქრა, რომ ისეთი განსწავლული პირივნება, როგორიც სულხან-საბა იყო, შემოფარგლულიყო მხოლოდ რელიგიური დოგმატიზმით და თავის კრებულში „სწავლანი“ მხოლოდ მორჩილება ექადაგა და მერე როდის, იმ დროს, როდესაც რამდენიმე სამეფოდ და სამთავროდ დაფიცილი ეს პატარა ქვეყანა, აკაცის ენით რომ ეთქვათ, აღდგომის კვრსწიხით იყო შელებილი და ყოველ მხრივ იქნედა ხმალს შემოსეული მტრის მოსაგერიებლად.

„ახლა ჩაიხედეთ სულხან-საბა ორბელიანის ჩვენთვის საინტერესო დღემდე გამოუქვეყნებულ ნაშრომებში, შემოაძვრეთ მას რელიგიურა მანტია და ნახეთ, რა მხატვრული სახეები აელცარდება თქვენს თვალწინ, ზნეობის რა გამაყვთილშობილებელი შარგალიტები მოიძებნება... შიგ, როგორი გოლიათური სული ბორავს იმ სტრიქონებში..., რომელთა მიზანია მაჰმადიანე-

ს. სხირტლაძე „გადანახული საგანძობრიდან“, „ლიტერატურა და ხელოვნება“. 1965.

რი გარემოების მღვრიე ტალღებში მოხვედრილი ქართული ხომალდის ჩაიჭრისაგან ხსნა" (-გადანახული საგანძურადან", გვ. 6). ს. სხირტლაძე თავისებოთ სწორ დასაყვანს აყვებებს: „სწავლანში“ საბა მორჩილების მქადაგებელი ბერა კი არა, ერის მოძღვარია, რომელიც ქადაგებს ბრძოლას მტრის წინააღმდეგ, ერთობას, სიყვარულს და თანდგომას ქართველებისას ისლამის მორევში ჩასაძირავად გაწირული საქართველოს გადარჩენისათვის. სწორედ ამ ქრილში აქვს განხილული წიგნის ავტორს სულხან-საბას „სწავლანი“. მაგრამ იქვე ავტორი აღნიშნავს, რომ ქადაგებთა ეს კრებული არსებითად სასულთნოს-საკაცურის შინაარსის ნაწარმოებია და ამ ენარის საკაცობრიო შედეგებს განეკუთვნება რიტორიკის თვალსაზრისით.

ამ წერილში განხილულია აგრეთვე საბას მეორე ნაშრომი „სამოთხის კარა“, რომელიც ქართული დოგმატური შიშრობის ციკლს მიეკუთვნება. ს. სხირტლაძე აღნიშნავს, რომ ნაშრომი თეოლოგიის სახელმძღვანელო წიგნს წარმოადგენს, მაგრამ შეცდომა იქნებოდა იქვე „სწავლანის“ მსგავსად შიგადაშიგ საერო-საგანმანათლებლო და დიდებულ-მორალისტურ ტენდენციებზე არ დავეხება.

წერილში „შვედრებუთველი ქართველი ქალი“ განხილულია სიტყვა, რომელიც გაბრიელ ქიქოძის დაკრძალვაზე წარმოუთქვამს განსწავლულ ქართველ ქალს დარია ფაღავა. ს. სხირტლაძის დიდი დამსახურებაა ის, რომ, ამ კარგად დაწერილი პუბლიცისტური წერილით, ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გახადა ქართველი ქალის შვედრებუთველების ეს შესანიშნავი ნიმუში, რომ ქართველმა მკითხველმა გაიყნო დარია ფაღავას ხანმოკლე, მაგრამ ნათელი ბიოგრაფია.

ავტორის შემდეგი წერილი მიძღვნილია მრავალწლის ისტორიული ეკლესიისადმი. მას კარგად შეუწავლია ეკლესიის ისტორიის შესახებ არსებული ძველი მასალები, საინტერესოდ აქვს აღწერილი ტაძრის სიდიადე, მოხატულობა და არქიტექტურა.

კრებულში მოთავსებული დანარჩენი წერილებიდან განსაკუთრებით საინტერესოა „დიდაქტიკურ-აღმზრდელითი ნაკადი დავით გურამიშვილის პოეზიაში“.

ძველი ქართული ლიტერატურა მოიცავს უზარმაზარ პერიოდს V საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე დავით გურამიშვილამდე. დავითის ვოლიანური პოეტური ფიგურა წამომართა ძველი ქართული ლიტერატურის დასასრულისა და ახლის დასაწყისის მიჯნაზე. დავითის პოეზიამ მაკოცლებელი ქართული კოლორიტი და ეროვნული სიმსუბუქე დაუბრუნა ქართულ ლექსს. გურამიშვილის პოეზია დროშა გახდა ქართული შიშრობისა. ს. სხირტლაძეს გურამიშვილის პოეზიის ერთ საინტერესო ნა-

გვით აქვს გამოყოფილი, რაც შემდგომ გალრმავებდასა და შესწავლას მოიძღვრეს. ეს არის აღზრდა და დიდებუთკო გურამიშვილის პოეზიაში.

საგვებით მართალია ავტორის მოსაზრება, რომ დ. გურამიშვილის პედაგოგიური შეხედულებანი სწავლა-აღზრდის საკითხებზე ეპოქის საერთო ხასიათითა გაპირობებული. დიდი პოეტის მიზნია დამოძღვროს ახალგაზრდობა, სულსა და გულის მარგებელი საზრდო მისცეს მას. დავითის აღზრდის სისტემა ეროვნული საწყისების ემუარება და ღრმად ნაციონალურია.

დავითის მთელი შემოქმედება გამსჭვალულია ზნეობისა და მორალის ქადაგებით. იგი თავისი მღვდლურ ეპოქის, სულხან-საბასა და ვახტანგ VI ეპოქის შვილი იყო. კარგად ხელადა, რომ თურქ-სპარსთა და ლეკთა გამუდმებულმა თავში ქართველთა ზნეობა შერყენა, რომ აუცილებელია ამ ზნეობის აღდგენა და გაწმენდა.

შემდეგ წერილში — „იაკობ გოგებაშვილი და გაბრიელ ქიქოძე“ — ავტორი არცეეს ქართული კულტურის ამ ორი ბუმბერაზის ურთიერთობას. უველასათვის ცნობილია იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი მშობლიური კულტურის წინაშე, მასზე ბევრი დაწერილა. თითქმის მთლიანად გამოცემულია ქართული პედაგოგიკის ფუძემდებლის — ი. გოგებაშვილის შრომები.

რაც შეეხება შესანიშნავ მოღვაწესა და მეცნიერს გაბრიელ ქიქოძეს, მას შედარებით ნაკლებად იცნობს ფართო საზოგადოება.

იაკობ გოგებაშვილის კიევი წისკლის პერიოდში ეტრნალ „სოფრემენიკის“ ფურცლებზე ცხარე კამათი გამართულა მატერიალისტურნი და იდეალისტური ფილოსოფიის საკითხებზე, ამ კამათში მატერიალისტებს სათავეში ედგნენ მაშინდელი რუსეთის ბუმბერაზები: ჩერნიშევსკი და დობროლიბოვი. ამ პოლემიკაში დიდი წარმატებით მიუღია მონაწილეობა ჩვენს სასიქადლო მამულიშვილს გაბრიელ ქიქოძეს თავისი ნაშრომით: „ედიხლელი ფსიქოლოგიის საფუძვლები“. ნაშრომს დიდი ინტერესი გამოუწვევია და იმდენად საყურადღებო და საფუძვლიანი ყოფილა, რომ დობროლიბოვი დაინტერესებულა ამ ნაშრომით.

დასასრულს გვინდა შეეჩრდეთ სარეცენზიო კრებულის ბოლო წერილზე. იგი ეხება ილია ჭავჭავაძის ერთ უცნობ წერილს და მის გამოწვევ მიხედას.

ილიას, როგორც ჩვენი ერის მედროშეს, მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს უველა პროგრესულ მოღვაწესთან, მთ შორის გაბრიელ ქიქოძესთანაც.

გაბრიელ ქიქოძის ვარდაცვალება დიდი ეროვნული დანაკლისი იყო ჩვენი ხალხისათვის. იმდროინდელმა ქართველმა საზოგადოებრი-

ბამ დატირია საუჯარელი იდამიანი და სამშობლოს მოამავე გაბრიელ ქიქოძე. ქართული პრესა ფართოდ გამოეხმურა ამ ამბავს, ხოლო ვაზულ „კავკასიში“ დაბეჭდა ცნობილი ქართველი ჟურნალისტის ილია ხონელის ნეკროლოგი გაბრიელ ქიქოძის გარდაცვალების გამო.

ნეკროლოგის ავტორი აღნიშნავს განსვენებულის დიდ დამსახურებას ეროვნული კულტურის წინაშე, მაგრამ შემდეგ წვრილმანდება და განსვენებულს პირად ანგარიშებს უსწორებს. ილია ხონელის ამ გამოსვლას ძალიან აღშფოთებია ქართველი საზოგადოება, ხოლო ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ ხელმოუწერლად დაუბეჭდავს

შეატრია წერილი ილია ხონელის წინააღმდეგ. წიგნის ავტორს მოყვანილი აქვს ი. ხონელის პირადი წერილი ილია ჭავჭავაძისადმი, რითაც დასტურდება, რომ „ივერიაში“ გამოქვეყნებული ზემოხსენებული წერილი ილია ჭავჭავაძის ვეუთენის, და, ამდენად, სამართლიანია წიგნის ავტორის მოთხოვნა, რომ ამ წერილმა თავისი ადგილი დაეკავოს ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ ნაწერებში.

წიგნი კარგადაა გამოცემული და ინტერესით იკითხება.

ბ. ჯაფარიძე,

„კიტა აბაშიძე“

კიტა აბაშიძის გარდაცვალებიდან თითქმის ნახევარი საუკუნე ვაიდა, მაგრამ მისი ლიტერატურულ-კრიტიკული ნააზრევის შეცნობილი შესწავლა არსებითად ახლახან დაიწყო.

უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული რამდენიმე საფუძვლიანი გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ბოლოსდაბოლოს, დედოფ ზღვარი სახელოვანი კრიტიკოსის მიმართ წარსულში დამკვიდრებულ ტენდენციურ დამოკიდებულებას, და თუმცა ჭერ კიდევ ბოლომდე არ არის გაფანტული ათეული წლების მანძილზე ზელოვნურად დანერგილი გაუგებრობანი და მომავალშიც სერიოზული კვლევა-ძიების ჩატარება საჭიროა. კ. აბაშიძის რთული, შინაგანი წინააღმდეგობებით აღბეჭდილი ლიტერატურულ-კრიტიკული შეხედულებების სათანადოდ შესწავლისათვის, მაგრამ ის, რაც უკვე გაკეთდა ამ მიმართულებით, საქმის წარმატებით დაგვირგვინების უტუფარი საბუთია.

ამ მხრივ უფრადლებას იმსახურებს დ. რამიშვილის გამოკვლევა „კიტა აბაშიძე“.

ნაშრომი ვადმოკვცემს კ. აბაშიძის ბიოგრაფიის ძირითად მომენტებს, ზოგადად ახასიათებს მის სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებებს და იმ ისტორიულ გარემოს, რომელმაც განსაზღვრა, კ. აბაშიძის მსოფლმხედველობის ხასიათი.

ნაშრომში შევლევარი ცდილობს ვაარკვიოს, თუ რა კავშირი აქვს კ. აბაშიძის ესთეტიკურ კონცეფციას ფ. ბრიუნტიერის ესთეტიკურ შეხედულებებთან.

სარეცენზიო ნაშრომში სწორადაა დადსტურებული, რომ კ. აბაშიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველი რომანტიკოსების შემოქმედების შესწავლაში. მან ერთ-ერთმა პირველმა სცადა ქართული რომანტიზმი საქართველოს იმდროინდელი სოციალ-პოლიტიკური და კულ-

ტურულ-ეკონომიური ცხოვრების ფონზე განეხილა და ეპოქის ხასიათით აუხსნა მისი სპეციფიკური ბუნება.

ავტორი ვრცლად მიმოიხილავს კრიტიკოსის ნააზრევს აღ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ვ. ორბელიანის პოეტური შემკვიდრების შესახებ და მეტწილად საინტერესო და ანგარიშვასაწევ დასკვნებს გვთავაზობს.

საინტერესოდაა დაწერილი შრომის მომდევნო თავი — „კიტა აბაშიძე — ქართული რეალისტური სკოლის მკვლევარი“.

მკვლევარი კვლავაქვალ მიჰყვება კრიტიკოსს და იძლევა მისი დებულებების კონკრეტულ ანალიზს. იგი აკრიტიკებს კ. აბაშიძის მთელ რიგ მკლარ თუ აზრებს დებულებებს.

ნაშრომში საინტერესოდაა შესწავლილი კ. აბაშიძის შეხედულებანი 80—90-იანი წლების ქართულ მწერლობაზე, გაანალიზებულია კ. აბაშიძის წერილები აღ. ყაზბეგის, ვეპა-ფშაველას, შ. არაგვისპირელისა და დ. კლდიაშვილის მხატვრულ შემოქმედებაზე.

საყურადღებოა მონოგრაფიის უკანასკნელი თავი, სადაც ლაპარაკია, კ. აბაშიძის ღვაწლზე დასავლეთ ევროპული (უპირატესად ფრანგული) ლიტერატურის პოპულარიზაციასა და ფრანგულ-ქართული ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევის საქმეში, ნახევრები კ. აბაშიძის პოზიცია რუსული ლიტერატურის მიმართ.

ასეთია მოკლედი ის საკითხები, რომლებიც განხილულია სარეცენზიო ნაშრომში. მაგრამ ამასთან ერთად, ვფიქრობთ, დ. რამიშვილის მონოგრაფიაში ბევრი რამ ჭერ სადავოა და შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს.

1. უმჯობესი იქნებოდა მკვლევარს ნაშრომის პირველ ნაწილში გაანალიზებია კ. აბაშიძის ზოგადეთიოიური შეხედულებანი ლიტერატურისა და ხელოვნების პრიმლემურ საკითხებზე, ეჩვენებია კრიტიკოსის თვალსაზრი-

დ. რამიშვილი, „კიტა აბაშიძე“, საბჭოთა საქართველო, 1964.

სი ხელოვნების არსის, ხელოვნების და სინამდვილის ურთიერთმიმართების, ლიტერატურის განვითარების შინაგანი კანონზომიერების, ლიტერატურულ სტილთა ბუნების, მხატვრულ ნაწარმოებში ფორმისა და შინაარსის, ტიპისა და ტიპიერის, ტენდენციურობის და სხვ. შესახებ, ბოლო შემდეგ ეჩვენება თუ როგორ იმართებოდა იგი ზოგად ესთეტიკურ პრინციპებს კონკრეტული ლიტერატურული მასალის ანალიზის დროს. ამ გზით, ჯერ ერთი, შეითხველოსათვის უფრო ნათელი გახდებოდა კ. აბაშიძის ესთეტიკური იდეალები, მეორეც, თავიდან ავიცილებდით აზიასურულ განმეორებებს. ასე, თ. ბრიუნეტერის ევოლუციური მეთოდისა და ამ მეთოდისადმი კ. აბაშიძის დამოკიდებულების გარკვევას ეძღვნება ნაშრომის მეორე თავი, მაგრამ შრომის უკანასკნელ მეექვსე თავშიც საკმაოდ ვრცელად არის საუბარი იმავე საკითხზე ან კიდევ: ფორმისა და შინაარსის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ კ. აბაშიძის თვალსაზრისს ვეცნობით ნაშრომის ბოლო — მეექვსე თავში, ე. ი. მაშინ, როცა უკვე დასრულებულია კ. აბაშიძის კრიტიკული შეხედულებების ანალიზი.

2. ბოლომდე ზუსტად არ არის გააზრებული შრომის კომპოზიცია. გაუგებარია, მაგალითად, თუ რატომ არის განხილული კ. აბაშიძის შეხედულებანი საზოგადო და ნატურალისტზე და საკუთრივ ე. წერეთლის შემოქმედებაზე ნაშრომის უკანასკნელ თავში ცალკე, უველაფრისაგან მოწყვეტით.

3. მონოგრაფიის ავტორს უფრადლება უნდა გაემახილებოდა იმ შეცდომაზე, რომელიც კ. აბაშიძემ ქართული რომანტიზმის გენეზისის გარკვევაში დაუშვა. ნაშრომში რა თქმა უნდა, არის ეს საკითხი დასმული, მაგრამ აქცენტია გადატანილია სასურველზე და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს კ. აბაშიძემ ბოლომდე სწორად გაიზიარა ქართული რომანტიზმის ჩასახვისა და განვითარების ობიექტური მიზეზები.

4. ნაშრომის მე-9 გვერდზე ვკითხულობთ, „მოსალოდნელი იყო, რომ კ. აბაშიძე გამოხატავდა „დაცემული და გათახსირებული წოდების წინააღმდეგ ბრძოლის მისი ეპოქის შესაფერ იდებს, მაგრამ იგი აქ „შესამე დასს“ გამოიყენა და ამჟღად დაიკავა „ოთარაანთ ქვრივის“ ავტორის მხარე“. ამ წინადადებადგან გამოდის, მეტი რომ არ ეთქვათ, უზერხული აზრი, თითქოს „შესამე დასი“ ებრძოდა, ხოლო ილია (და, მამასაღამე, კიტაც) იცავდა „დაცემულ და გათახსირებულ“ წოდებას. წინადადების სტილისტურად გაუმართობობამ გამოიწვია, ცხადია, ასეთი აზრობრივი შეცდომა.

5. შელევარი ნაშრომის მე-10 გვერდზე წერს: „კიტა აბაშიძის მთელი პრაქტიკულ-პოლიტიკური და ლიტერატურულ-თეორიული

მოღვაწეობა ამ პერიოდში (90—900-იანი წლები — შ. რ.). მთლიანად ეყრდნობა სამოციანელთა სოციალ-პოლიტიკურ კრებს და ილ. ჭავჭავაძის შეხედულებათა პრაქტიკულ განხორციელების ცდას წარმოადგენს“. და შემდეგ: „კიტა აბაშიძე რევოლუციის აღმავლობისა და რეაქციის პერიოდში, ბოლომდე დარჩა ილ. ჭავჭავაძის ერთგულ მიმდევრად, კლასთა ბრძოლის თეორიის მოწინააღმდეგედ“ (გვ. 14).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ, ჯერ ერთი, კ. აბაშიძე „მთლიანად“ ვერ დაეყრდნობოდა „სამოციანელთა სოციალ-პოლიტიკურ კრებს“ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი რიგი პრინციპული საკითხების გაგებაში აშკარად სცილდებოდა სამოციანელებს და მათ ბელადს ილ. ჭავჭავაძის. ნაწილობრივ ეს დადასტურებულია თვით სარეცენზიო წიგნში (იხ. გვ. 13).

მეორე, შეუძლებელია „კაკო უხადის“ ავტორი დროისა და სივრცის მიღმა დაეყენოთ და გამოვაცხადოთ იგი კლასთა ბრძოლის თეორიის მოწინააღმდეგედ, მით უმეტეს, თუ დიდი ილია „რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით“ იყო შთაგონებული, როგორც ეს ნაშრომში სხვა ადგილზეა მითითებული (იხ. გვ. 43).

6. ფერდინანდ ბრიუნეტერის ზოგადფილოსოფიური შეხედულებების ნათელსაყოფად მკვლევარი ემაყოფილებოდა მისი ერთი წერილის — „მეცნიერება და სარწმუნოება“ (1895 წ.) ანალიზი. მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს ეს წერილი და რა სისრულითაც არ უნდა ვაღმოვეყენოთ მისი შინაარსი, სურერთა, იგი ვერ მოგვეცემს სრულ წარმოდგენას ფრანგ კრიტიკოსის ზოგადფილოსოფიურ შეხედულებებზე, თუნდაც იმიტომ, რომ ხსენებული წერილი დაწერილია ბრიუნეტერის მოღვაწეობის მეორე პერიოდში, როცა იგი უკომპრომისოდ ჩადგა რელიგიის სამსახურში და ამდენად არაფერს გვეუბნება კრიტიკოსის მოღვაწეობის პირველი პერიოდის შეხედულებებზე.

კ. აბაშიძე აღმოფიქვით შეხვედრია თავისი მასწავლებლის ლამპრობას მეცნიერების წინააღმდეგ და „კათოლიციზმი“ დამცველის კრიტიკაში ფრანგ მეცნიერებზე კი შორს წასულა (გვ. 23) ამთავრებს, რა ამ საკითხზე კიტას თვალსაზრისის განხილვას, დ. რამიშვილი წერს: „კიტა აბაშიძე... როდესაც... მხოლოდ სხვა რელიგიებზე კათოლიციზმის გაბატონების სურვილში ზედანებ ბრიუნეტერის შეცდომას, თანამედროვე მეცნიერული ცოდნის დონეს, ცხადია, ჩამორება“ (გვ. 30). აქედან კიდევ ის გამოდის, რომ თუ კი ბრიუნეტერი კათოლიციზმის სხვა რელიგიებზე მაღლა კი არა, მათ გვერდით დაეყენებდა, კიტას არაფერი სადავო არ ექნებოდა მასთან. და თუ ამით ამოიწურება კ. აბაშიძისა და ბრიუნეტე-

ერის ზოგადფილოსოფიურ შეხედულებებს შორის არსებული განსხვავება, მაშინ ძნელად სარწმუნოა ამგვარი დასკვნა: „ქობა აბაშიძის შეხედულებანი ზოგადფილოსოფიური აზროვნების სფეროში ძირფესვიანად (ხაზი ჩვენი, შ. რ.) განსხვავდებიან ფ. ბრთუნტერის შეხედულებებისაგან...“ (გვ. 32).

7. წიგნში ფართოდ არის განხილული ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში ჭერაც საკამათო საკითხი — გამჟღავნა თუ არა ნ. ბარათაშვილმა პოემებში „ბედი ქართლისა“ თავისი პოზიცია საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხზე.

კ. აბაშიძე გამორიცხავდა პოემის პერსონაჟებისადმი ნ. ბარათაშვილის დამოკიდებულების გარკვევის შესაძლებლობას. მას მიაჩნდა, რომ ნ. ბარათაშვილმა სრულიად ობიექტურად გადმოსცა იმდროინდელ საზოგადოებრივ აზრში არსებული განხეთქილება საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხთან დაკავშირებით და არ გამჟღავნა თავისი დამოკიდებულება ამ დიდი პრობლემისადმი. კ. აბაშიძე შეეცადა ექვემდებარებინა დაესაბუთებია ეს თეზისაზრისი, მაგრამ მისი ცდა წარმატებით ვერ დავერგინდა. ეს ასეე უნდა მომხდარიყო, ვინაიდან ჩვენს სახელოვან კრიტიკოსს ხელს უშლიდა თავისივე მკდარი კონცეფცია ეროვნულ საკითხზე. დ. რამიშვილმა შრომის 42-ე გვერდზე სავეტოით სამართლიანად უარყო ის საყრდენი დებულება, რომლის დასასაბუთებლადაც მოიმარჯვა კ. აბაშიძემ ე. წ. „უპირადოვნობის დაცვის“ თეორია პოემა „ბედი ქართლისას“ ანალიზის დროს, ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ იგი ასევე დამაყრებლად უარყოფდა ამ მკდარ წინამძღვარზე აღმოცენებულ შეხედულებას ბარათაშვილის პოემებში თითქოსდა „საეროვნო იდეალის“ გატარებისადმი. მაგრამ ამ შემთხვევაში მკვლევარმა ვერ დააღწია თავი კ. აბაშიძის არგუმენტაციას. მან უკრიტიკოდ გაიზიარა კ. აბაშიძის ზემოხსენებული თეზისაზრისი (გვ. 88—93).

საგანგებო დასაბუთებას არ მოითხოვს ეს გარემოება, ნ. ბარათაშვილმა კარგად იცოდა, თუ რა მძიმე იყო სამშობლოს დამოუკიდებლობის დაკარგვა. მას რომ ზედღონედ არ შეეცნო თავისუფლების ფასი, იგი ვერ იქნებოდა ერის სთაყუანებელი პოეტი, მაგრამ, ასევე, მის გამკრაბ გონებას კარგად უნდა ეგრძნო ისტორიული პერსპექტივა.

8. ჩვენი აზრით, არ არის სწორი შეკვლევარის შემდეგი დასკვნაც: კ. აბაშიძემ „ამომწურავად დაახასიათა გ. ერისთავის ღრამატურგია“ (გვ. 126), რომ ეს ასე არ არის, კარგად ჩანს წინამჟღადი მსჯელობიდანაც (იხ. გვ. 105, 106) კ. აბაშიძე გ. ერისთავის შემოქმედების საერთო იდეური ხაზის შეფასებაში უთუოდ ჩამორჩა წინამორბედ კრიტიკოსებს, მკვ. ა. წერეთელს.

9. შეცდომაა იმის თქმაც, თითქოს კ. აბაშიძემ „პირველმა დაინახა ილ. ჭავჭავაძეში ნ. ბარათაშვილის ღრმადი შექცეული“ (გვ. 110). ეს საკითხი პირველად ა. წერეთელმა წამოიჭრა 1865 წელს გამოქვეყნებულ წერილში „რამდენიმე სიტყვა „ჩანგურის შესახებ“.

10. მონოგრაფიის 112-ე გვერდზე სწორადაა დადასტურებული, რომ კ. აბაშიძე ლუარსაბ თათქაიძის „სახეში ზედაეს არა თავდაზნაურობის, არამედ საზოგადოდ ქართველის ტიპს“. მაგრამ სპირო იყო, რომ მკვლევარს იქვე ეჩვენებია ამ დებულების მკლარობა. ლუარსაბ თათქაიძე სწორედ ისტორიისაგან განწირულ თავდაზნაურთა წოდების ტიპური წარმომადგენელია და არა „საზოგადოდ ქართველის ტიპი“. კ. აბაშიძის მოსაზრება კლასობრივ სულს იცლის „კაცი-იდეალიზმის“?

11. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სარეცენზო წიგნში იგარანობა ციტირებული მასალის სიუხვე და ზოგჯერ ანალიზი შეცვლილია აღწერით. გვხვდება აგრეთვე უნებლიე, კალმის-მიერი შეცდომები, სტილისტურად გაუმართავი წინადადებები თუ უხეზბული გამოთქმები.

შალვა რაბინი.

შეხვედრები თუ დაუდევრობა?

ჩვენ საზოგადოებრიობა დიდი კმაყოფილებით შეხვდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის შესანიშნავ წამოწყებას — გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა მრავალტომეულის გამოცემას.

კარგად შედგენილი ტომები, რომლებიც პოეტის შემოქმედებას ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმოგვიდგენს, სათანადო კომენტარიებით, შენიშვნებით და მაღალ დონეზე მღვარი თანამედროვე მეცნიერული აზრებით, დაეხმარება დღევანდელ მკითხველს გაერკვეს გ. ტაბიძის პოეტურ სამყაროში, სადაც არცთუ ისე იშვიათად ვხვდებით ისტორიულ, მითოლოგიურ, ლიტერატურულ და პოლიტიკურ რეაქციებს.

უკვე სამი ტომი გამოვიდა. ამ ტომებში გ. ტაბიძის პოეტური შემოქმედება სრულად და ჭარბად არის წარმოდგენილი, მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, კომენტარები და შენიშვნები, რომლებიც თან ახლავს თვითველ ტომს, იშვიათი გამოჩაყლისის გარდა, მეტად დაბალ დონეზეა შესრულებული.

ძნელია ამ პატარა წიგნში უკვე კომენტარისა და შენიშვნას შევხვით, ჩვენ ვეუბლებით მოვიტანოთ რამდენიმე ისეთი მაგალითი, საიდანაც შეიძლება თვითონ გამოიტანს დასკვნას, უმეტრებისთან ვაქვს საქმე თუ დაუდევრობასთან.

დავიწყოთ პირველი ტომიდან. 437 გვერდზე სიტყვა „ნიობა“-ს ურცელ კომენტარში, სხვათა შორის, წერია: „მითის მიხედვით ნიობა იყო 12 თუ 14 შვილის დედა“. უნდა მოვახსენოთ კომენტატორს, რომ ძველი ბერძნული მითოლოგიიდან დიდი ხანია ცნობილია, რომ ნიობას ჰყავდა შვილი ვაჟი და შვილი ქალი, და მხოლოდ კომენტატორს შეაქვს ამ საკმაოდ ქრესტომათიულ ცნობაში ეჭვი. მაგრამ იქვე კიდევ განსაკუთრებულია შემდეგი წინადადება, „ღვთებმა ლატონოს, რომელსაც მხოლოდ ორი ქალი შვილი ჰყავდა (აპოლონი და არტემიდა)“. ეს საესეებით სერიოზულად წერია, და არავითარი „შეუცლომის ვასწორება“ ტომს არ ახლავს. აქამდე ჩვენ ვგვგონია, რომ საქართველოშიც მეტად გავრცელებული სახელი აპოლონი მამაკაცს ეკუთვნის, კომენტატორის აზ-

რით, აპოლონიც ქალიშვილი ყოფილა. მართალია, მეორე ტომში ხელახლა არის ახსნილი სიტყვა „ნიობა“, და იქ „ორი ქალიშვილის“ მაგივრად წერია „ორი შვილი“ (გვ. 326), მაგრამ რა ქნან პირველი ტომის შეთხვევებმა?

მავე გვერდზე „აპოკალიფსი“ ახსნილია ასე: „ძველი აღთქმის ერთ-ერთი წიგნი, რომლის ლეგენდარული ცენი (?) ჰყავს მხედველობაში ავტორს“. ჯერ ერთი, აპოკალიფსი — ახალი აღთქმის წიგნია, და მეორეც, აპოკალიფსი ნათქვამია არა ერთ „ცხენზე“, უფრო სწორად, მერანზე, არამედ ოთხ მხედარზე, რომელნიც გამოხატავენ ომს, ჭირს, მსაჯულებას და სიკვდილს.

ძველი საბერძნეთის ერთ-ერთ უდიდეს მოქანდაკის პრაქსიტელის შესახებ წერია: „მოწაფე და აღბათი, შვილი მოქანდაკე ქეფისალოტ უფროსისა“ (გვ. 458). ჯერ ერთი, რა საჭიროა, მოყვ კომენტარში, რომელიც არ ეხება სპეციალურ ხელოვნებისმცოდნეობის საკითხს, ასეთი დაწვრილებითი ცნობების მოტანა, თუ ესი შვილი და მოწაფე იყო ესა თუ ის ხელოვანი, მაგრამ რაღა შენიშვნების ავტორს მოყვას ბიოგრაფიული ცნობები, უნდა მოიყვანოს სწორად და უტყუარად. საქმე ისაა, რომ აქ არავითარ „აღმათობას“ ადგილი არა აქვს. ხელოვნებისმცოდნეობაში დიდხანია დამტკიცებულია, რომ პრაქსიტელი იყო არა მარტო მოწაფე ქეფისალოტ უფროსისა, არამედ შვილიც. შემდეგ კომენტატორი წერს, რომ პრაქსიტელის ქანდაკებებიდან „ჩვენამდე მოაღწია რამდენიმე, მათ, „გერმესს (უნდა იყოს ჰერმესი) ჩვილი დიონისი“. უნდა მოვახსენოთ კომენტატორს, რომ გარდა ერთი ადრინდელი ნამუშევრისა, პრაქსიტელის არც ერთ ორიგინალს ჩვენამდე არ მოუღწევია. არსებობენ მხოლოდ რომელიც ეპოქის ასლები, და მათ შორის „ჰერმესი ჩვილი დიონისი“.


კიდევ ბევრ სხვა უზუსტობას წააწყდებით პირველ ტომში მოთავსებულ შენიშვნებში, მაგრამ ჯობია გადავიდეთ მეორე ტომის „მარჯალიტებზე“, ოღონდ არ შეგვიძლია ვაყვრიოთ არ შენიშნოთ, რომ ტორკვატო ტასოს „სამშობლო ქალაქი“ (გვ. 469) ნეაპოლი კი არაა, არამედ სორენტი. მართალია, იტალიის ეს ქალაქები ახლოს მდებარეობენ ერთმანეთთან, მაგრამ ვინ ამატირს კომენტატორს, თუ ის დაწერს,

ეთქვამ, ა. წერეთელი ქუთაისშია დაბადებული და არა სხვიტორში?..

მეორე ტომში გ. ტაბიძეს ორჯერ სხვადასხვა ლექსში წახსენებია იქვე სიტყვა „გრაალი“: „გრაალის კოშკებში“ და „ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევევადრებო“. რა არის ეს „გრაალი“, ან, უფრო სწორად, „გრაალი“ გერმანული Gral)? შუასაუკუნის გერმანული საგის მიხედვით (იხ. ვოლფრამ ფონ ეშენბახი), რომელიც გამოიყენა რიხარდ ვაგნერმა თავის ცნობილ ოპერებში „პარსიფალი“ და „ლოენგრინი“, გრაალი არის ქრისტეს სისხლით სავსე სასწაულომოქმედი თასი. თანამედროვე მწიგნობრისა, რომელიც ფანტასტიკურ ქვეყანაში (ვაგნერი „პარსიფალის“ ლიბრეტოში ესპანეთის მსგავს ქვეყანას გულისხმობს) გრაალს რაინდები დარაჯობენ ამ თასს. ერთ-ერთი ასეთი რაინდია — ლოენგრინი. ჩვენ კომენტატორი ვვადგინებ „გრაალი — ციხე-ბასტიონი ლიდიის სახელმწიფოში“ (!) (გვ. 305)..

გ. ტაბიძის „ხიდი რიალტო“ კომენტატორის ყადოქარი ხელით უცებ გადაიჭრა „მთად აღების სისტემაში“ (გვ. 453). საოცარი მეტა-მორფოზაა... მოვიყვანოთ პოეტის სტრიქონები: „და ამინდდება ხიდი რიალტო“, „და კვლავ ამაღლდა ხიდი რიალტო“. მთა რიალტო ჩვენ არ გავიგონია, ხიდი რიალტო კი, მართლაც, არსებობს ვენეციაში, იგი შესანიშნავია თავისი სიმაღლით, სიგრძით (50 მეტრამდე) და სიგანით (22 მეტრი).

ლექსში „ისევ ეფემერა“ პოეტი წერს: „ეშაფოტიდან უყურებს შორს პანს“ (გვ. 107). აქ მეტად ორიგინალური გააზრებით დახატულია დოსტოევსკის სახე („ასეთი არის მისი პორტრეტი“). პანი ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ცნობილია, როგორც მწყემსების მფარველი ღვთაება, შემდეგ პანი საერთოდ ბუნების განსაზღვრებად იქცა. კომენტატორი ასე ხსნის სიტყვა პანს, „რომელი სიტყვებში ნიშნავს: განკუთვნილი ვეღაფრისათვის, შემკველი მან-ლაფრისა“ (გვ. 357). მართალია, პან-ნიწილავს ასეთი მნიშვნელობა აქვს, მაგალითად, პანთურქიზმი, პანგერმანიზმი და სხვ.; მაგრამ ეშაფოტიან როგორ უყურებს დოსტოევსკი სიტყვის ამ ნაწილს, ჩვენთვის გაუგებარია. ლექსში „პარალელი“ (გვ. 62) პოეტი წერს „პანი დაქრის ტყე-ველად“, აქ კი, ჩვენმა კომენტატორმა, ეტყობა, იგრძნო უხერხულობა, როგორ შეიძლება, რომ სიტყვის ნაწილი „პან“ დაქროდეს ტყე-ველად, და კომენტარში მოათავსა „პანი—ინდურ მითოლოგიაში შერჩანი ღმერთი (გვ. 331). არ ვიცი, რომელი კომენტარია სწო-

ბია სიტყვა „პანისა“, პირველი თუ მეორე, დე. მეთხველმა განაყოს...


ლექსში „აღმოსავლეთი“ პოეტმა შეიქმნა უფრო ჩა სამუდამოდ დრონი მენტენონის“ (გვ. 138). რა ქნას კომენტატორმა, თუ კი არ იცის, ვინაა ეს მენტენონი? იგი საოცარ სითამამეს იჩენს, გალაკტიონის მიერ სწორად დაწერილ გვარს ამბინჯებს და კომენტარში მენტენონის მავიერ ნდება „მენტენინი“ (გვ. 373). იქნებ, ვინმეს ეგონოს, რომ ეს კორექტურაა, მაგრამ რატომ ხსნის კომენტატორი, რომ „მენტენინი — ოდისეის მეგობარია“. მართლაც, ოდისეის პყვლად მეგობარი, ოდონდ არა „მენტენინი“, არამედ „მენტორი“, ოდისეის შვილის ტელემაქის აღმზრდელი. კომენტატორმა უნდა იცოდეს, რომ გალაკტიონის ლექსში ლაპარაკია მარკია მენტენონზე (1635-1719), საფრანგეთის მეფის ლუი XIV-ის საყვარელზე, და არა ოდისეის მეგობარზე — მენტორზე.

ანალოგიურ დამახინჯებასთან გვაქვს საქმე 473-ე გვერდზე, სადაც კომენტატორი აღმამოთხებულ სითამამეს იჩენს და გ. ტაბიძის მიერ სწორად დაწერილ სტრიქონს „დაფნისის სული, კროთმა ქლოესი“ (გვ. 287) ასწორებს, რადგან უყოლიანობის გამო, ფიქრობს, რომ აქ უნდა იყოს „ქლოესი“, „ერთი ცხრა მუხათავანი“ (კორექტურაა: უნდა იყოს „ერთი ცხრა მუხათავანი“) — „ისტორიის მუხა“ და არა „ქლოესი“, როგორც გალაკტიონს აქვს. უნდა მოვახსენოთ კომენტატორს, რომ პოეტს აქ მოყავს ძველი ბერძენი მწერლის ლონგის ცნობილ ნაწარმოების „დაფნისი და ქლოესის“ მოქმედი პირების სახელები: დაფნისი და ქლოესი, და არა ისტორიის მუხა „ქლოესი“.

394-ე გვერდზე კომენტატორი წერს: „კეელიო — ფრანგი მხატვარი“. კეელიო, უფრო სწორად, აღონსო სანჩეს კოელიო (1531-1588) ესპანელი მხატვარია, მოღვაწეობდა ფილიპე მეორის დროს.

ლექსში „გარდაიცვალა სარა ბერნარი“ გ. ტაბიძე ახსენებს მხატვრებს „დგორდანი და რიგერი“ (გვ. 130). კომენტატორის აზრით, აქ პოეტი შეუცდომას უშვებს და უნდა უყოლიოთ არა „დგორდანი“ არამედ „დგორდონე 1477-1570 — იტალიელი მხატვარი“. რატომ? ეტყობა იმიტომ, რომ მხატვარი „დგორდანი“ მის არ გაუგონია, „დგორდონე“ (უფრო სწორად ქორცონე) კი უფრო ცნობილია მაგრამ აქ თვითონ კომენტატორი უშვებს ორ შეუცდომას. დგორდანი, ანუ ლუკა ქორდანი (1632-1705)

ბაროკოს ეპოქის იტალიელი მხატვარია, რაც შეეხება რიგეირას (უნდა იყოს რიბეირა ან რიბერა, 1591-1652), იგი „ნიდერლანდელი მხატვარი“ (გვ. 368) კი არაა, როგორც კომენტატორს ჰგონია, არამედ ესპანელი მხატვარია.

კასტილია — ასეთ ქალაქს, ძალიანაც რომ ვინდოდეთ, ვერ იპოვით ესპანეთის რუკაზე. ესპანეთში არსებობს ორი ოლქი: ძველი და ახალი კასტილია. კომენტატორი წერს (გვ. 307): „კასტილია — ქალაქი და ოლქი ესპანეთში“. 323-ე გვერდზე კომენტატორი წერს: „შუაზელი — ესპანელი რაინდი, მარიამ ანტუანეტას მოთაყვანე“. უნდა ითქვას, რომ შუაზელი — ნამდვილი ფრანგული გვარია და, მართლაც, პოეტს აქ მხედველობაში ჰყავს პერსიუსი შუაზელი (1719-1783) — საფრანგეთის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, მადამ პომპადურის ფავორიტი. პომპადურის სიყვდილის შემდეგ, იგი ჩამოშორდა პოლიტიკურ ცხოვრებას, მაგრამ მარიამ ანტუანეტას დაქინებით ლუი XVI ხელახლა მიიწვია იგი სამეფო კარზე.

როგორც ვხედავთ, ორივე ტომის კომენტარებში მრავალი ლიტერატურულ-ისტორიული ხასიათის შეცდომაა დაშვებული. მაგრამ თუ კომენტატორი ლიტერატურულ და ისტორიულ საკითხებში ძნელად ერკვევა, ხომ უნდა ერკვეოდეს პოლიტიკურ ისტორიაში მინც, მეტადრე

უკანასკნელი დროის ისტორიაში. აქაც უნდა ვიშვებოთ მდგომარეობა. მოვიყვანო მხოლოდ ერთ მაგალითს: ლექსში „სულ მალე“ (გვ. 331) პოეტი წერს: „არის შორგანი. როცაფელერი, არის სტინესი“. კომენტატორი რატომღაც სამსავე ამ გვარს აერთიანებს და წერს: „შორგანი, როცაფელერი, სტინესი — ფინანსური ოლიგარქიის მსხვილი წევრის წარმომადგენლები ამერიკის შეერთებულ შტატებში“ (გვ. 368). ნუთუ არ იცის კომენტატორმა, რომ პეტრო სტინესი (1870-1924) რურის (დასავ. გერმანია) მძიმე შრეწველობის მსხვილი კონცერნის მაგნატი იყო. ახლაც დასავლეთ გერმანიაში პარპაშობს პეტრო სტინესი — უმცროსი, ზემოთდასახელებულ სტინესის შვილი, ასევე მსხვილი ფინანსიერი მაგნატი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს კორექტურული შეცდომების სიმრავლე, რაც ამახინჯებს ამოთუ-იმ სიტყვის ან ტერმინის შინაარსს. მოვიყვანო მხოლოდ რამდენიმეს: „აგატი — მყარალი მინერალი“ (უნდა იყოს „მყარი“, გვ. 477); „ერთი ცხრა მუხათაგანი“ (მუხათაგანი, გვ. 473); „ოზარისი“ (ოზირისი, გვ. 425); „როსინატი“ (როსინანტი, გვ. 420); „ჩან რაშპენი (რიშპენი, გვ. 367); „დეტროუდი“ (დრედნოუტი, გვ. 357); ოტენი „პიშოდანი“ (პიშოდანი, გვ. 399) და სხვა.

შალვა ალხაიშვილი

80 80 80.

6112/175

ИНДЕКС
76128

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“